გიორგი ციციშვილი

სიმართლე 1921-1923 წლების ეროვნული მოძრაობისა და მიხეილ ჯავახიშვილის პოლიტიკური ცხოვრების შესახებ

წიგნი I

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა

თბილისი 2003

УДК 947.922+929
Ц 784

წიგნი წარმოადგენს ავტორის მიერ მომზადებული ანტისამჭოთა ორგანიზაციის მოძრაობის ისტორიის ტრილოგიის პირველ ნაწილს. მასში, დღისათვის სელმისაწვდომი საარქივო მასალების და ავტორთა პუბლიკაციების გამოყენებით, გამოკვლეული და განხილულია ქართული ანტისამჭოთა ორგანიზაციის მოძრაობის პირველი ეტაპის (1921–1923 წწ.) ძირითადი მიმდინარეობებისა და საერთო ორგანიზაციის მრბოლის ისტორია. ამასთან წიგნში წარმოჩენილია მოცემული პერიოდის თუალსაჩინო ანტისამჭოთა მოქმედი მამოძრავებლის – მისეულ ჯავასიშვილის არალეგალური და ზოგ სხვათა ანტისამჭოთა პოლიტიკური ცხოვრება. მონოგრაფიაში, სათანადო ისტორიის მასალებსა და პირველწყაროებზე დაყრდნობით, დასაბუთებულია, რომ ცალეული ავტორთა პუბლიკაციებში გამოთქმული მოსაზრებები, რომლებიც მ.ჯავასიშვილს საჯოთირო პოლიტიკოსად თუ თანამოაზრე-თანამებრძოლთა და სამშობლოს მოღალატედ გვისახავს, ყალბია.

იურისტი კონსულტანტი ვახტანგ გვარამია

რედაქტორი პროფ. ავთანდილ სონღულაშვილი

რეცენზენტები: პროფ. კოტე ტოტოჩავა
პროფ. ბონდო არველაძე
პროფ. აკაკი მათიაშვილი

წიგნის სპონსორია საქართველოს გადამხდელთა კავშირის თავმჯდომარე, პარლამენტის წევრი ბატონი ნიკო ლეკიშვილი

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2003
© გ. ციციშვილი, 2003

Ц $\frac{1102020000}{608(06)-03}$

ISBN 99940-13-73-4

„...ეროვნული გაანადგურებელი ერთეულებისადმი, რომელსაც თვითშეგნება ძალუძს, ადამიანებმა სიჭირეს იცოდეს თავისი წარსული საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორია, უნდა იცოდეს, რასაც ვვირვეფია, ეტაკეანი, ქეშმარიტი ისტორია და არა გაზვიადებული, ყალბი...“

იოანე ჯავახიშვილი

ᲬᲘᲜᲐᲗᲥᲛᲐ

ანტისაბჭოთა ბრძოლის ისტორიის თეთრმა ლაქებმა არაერთი გაუგებრობა მოახვია თავს მკითხველ საზოგადოებას და ბევრი ღირსეული მამულიშვილის ხსოვნა გაგვიფერმკრთალა, ხოლო ზოგი მათგანის პოლიტიკური პორტრეტი საერთოდ დაგვიმახინჯა, მაგრამ მიხეილ ჯავახიშვილსა და კალე მისაბიშვილთან დაკავშირებული ბედისწერა, რომელიც 1923 წლის დასაწყისში მართა ჩეკისტურმა სიტუაციებმა, ახსნის სირთულის გამო, განსაკუთრებით გაუკულმართებულად ასახეს ჩვენი დროის ისტორიკოსებმა.

მ. ჯავახიშვილი და კ. მისაბიშვილი 1921-1923 წლების ქართული ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენლები, დიდი პატრიოტები და ამავე დროს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერები იყვნენ. მაგრამ ისე მოხდა, რომ მოცემული პერიოდის საქართველოს უაღრესად რთულ სიტუაციებში მათი არასტანდარტული, ორიგინალური აზროვნება და მიზანშეწონილი მოქმედება სწორად ვერ გაიაზრა და საჩოთიროდ მიიჩნია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ექსტრემისტული მიმდინარეობის ზოგმა წარმომადგენელმა. განსაკუთრებით ტრაგიკული აღმოჩნდა მ. ჯავახიშვილის უახლოესი თანამოაზრე-თანამებრძოლის კ. მისაბიშვილის ადამიანური ბედი. იმის გამო, რომ მან 1923 წლის თებერვალ-მარტის უაღრესად რთულ, ექსტრავაგანტურ კონკრეტულ სიტუაციაში მხარი არ დაუჭირა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის გადასვლას ანტისაბჭოთა ეროვნული ბრძოლის ამბოხებით ტაქტიკაზე და მკვეთრად დაუპირისპირდა ეროვნული მოძრაობის ექსტრემისტულ-ავანტიურისტული მიმდინარეობის წარმომადგენლობას, ამ უკანასკნელების მსხვერპლი გახდა. კ. მისაბიშვილი

მისმა თანამედროვე ექსტრემისტულ-ტერორისტული ბრძოლის მხარდამჭერთა ერთმა ნაწილმა ჩეკას მიერ დაპატიმრებული „სამხედრო ცენტრის“ გამცემადაც კი გამოაცხადა. ისე გამოვიდა, თითქოს კ. მისაბიშვილმა მართლა დააბეზღა „სამხედრო ცენტრის“ წევრები, ამით ულალატა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას და, ამდენად, სამშობლოს ღალატის მიუტევებელი ცოდვა ჩაიდინა. დიახ, იგი ისტორიოგრაფიაში ასეთი მცდარი გაგებით დამკვიდრდა. ამ გაუგებრობამ, აგრეთვე კ. მისაბიშვილისა და მისი უფროსი და უახლოესი თანამოაზრე-თანამებრძოლის მ. ჯავახიშვილის იდეურ-პრაქტიკული საქმიანობის თანხვედრამ ამ უკანასკნელის საქმიანობის შეფასებაზეც იქონია გავლენა. ზოგმა თანამედროვე თვალსაჩინო ეროვნულმა მებრძოლმა (მაგალითად, სოლომონ ზალდასტანიშვილმა, დავით ონიაშვილმა, იასონ ჯავახიშვილმა და სხვ.) საჩოთიროდ მიიჩნია აგრეთვე მ. ჯავახიშვილის ტაქტიკური სოლიდარობა კ. მისაბიშვილის მიმართ. ჩვენი დროის ისტორიკოსებმა, რომლებმაც მიზნად დაისახეს 20-იანი წლების დასაწყისის ანტისაბჭოთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შესწავლა-გაშუქება, გაკონტროლების გარეშე იწამეს კ. მისაბიშვილის თანამედროვეთა ყალბი აზრი მისი მოღალატეობის შესახებ და საჩოთიროდ წარმოაჩინეს აგრეთვე მისი თანამოაზრე-თანამებრძოლის — მ. ჯავახიშვილის საქმიანობა. ზოგიერთმა კი კ. მისაბიშვილის „მოღალატეობა“ მიზნობრივად, და არასაპატიო მიზეზებით, მ. ჯავახიშვილზეც კი გაავრცელა. არა და, ამ გაუგებრობებსა და მიზნობრივ „შეცდომებს“ ისტორიის წყაროებზე დაფუძნებული გამაბათილებელი ახსნა ეძებნება. მისი მეშვეობით ამ ორი პიროვნების მიმართ ბრალეულობათა უსაფუძვლობა მტკიცდება და მათი მოღალატეობა კონკრეტული წყაროებით ბათილდება. ცხადი ხდება, რომ კ. მისაბიშვილი და მ. ჯავახიშვილი, თავიანთი ეროვნულ-პატრიოტული გარჯის ღირებულების თვალსაზრისით, გვევლინებიან არა საჩოთირო პოლიტიკოსებად ან პოლიტიკანებად და სამშობლოს მოღალატეებად, როგორც ეს ზოგმა შეცდომით გაიგო და ზოგმა კი შემდგომი განვითარება-დასაბუთებით წარმოსახა, არამედ ღირსეულ მამულიშვილებად. 1921-1923 წლების არალეგალური ეროვნული მოძრაობის ისტორიაში მ. ჯავახიშვილი წარმოადგენდა იმ ერთადერთი სწორი მიმდინარეობის მედროშეს, რომელსაც ადრე მხარს უჭერდა ანტისაბჭოთა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცკ-ის წევრთა ავტორიტეტული უმრავლესობა, სა-

ქართველოს „დამოუკიდებლობის კომიტეტი“, მასთან არსებული საუკეთესო ქართველი სამხედრო სპეციალისტებისგან შემდგარი „სამხედრო ცენტრი“ და მათთან დაკავშირებული ეროვნული პატრიოტების დიდი უმრავლესობა. ხოლო ბრძოლის იმ ექსტრემისტულ ტაქტიკასა და მიმდინარეობას, რომელსაც უარყოფდა პირვანდელი „დამკომი“ და „სამხედრო ცენტრი“, და რომელსაც აგრეთვე განუდგნენ მ. ჯავახიშვილი და კ. მისაბიშვილი, შემდგომში ლოგიკურად მოჰყვა სამწუხარო გაბატონებული მდგომარეობა, ანტისაბჭოთა გმირი ექსტრემისტულ-ავანტიურისტული ტაქტიკით მებრძოლი ბელადების მიერ ძალთა ავანტიურისტულ-ექსტრემისტული ორგანიზება, 1924 წლის აჯანყება და შესაბამისი სახელმწიფოებრივ-ჩეკისტურად ნამართავი რეპრესიები, რომლებმაც ათასობით პატრიოტი ქართველის სიცოცხლე იმსხვერპლა. მეტიც, ექსტრემისტების მანამდე გასაიდუმლოებული გულისნადების გამოაშკარავებას მოჰყვა მათ მიმართ ხელისუფლების მიერ გატარებული შემდგომი რეპრესიები და მუდმივი ჩეკისტური დევნა. ამან გამოიწვია ეროვნულ ძალთა დეგრესია და ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის დეგრადაცია. ამის გამო ქართული ანტისაბჭოთა არალეგალური ეროვნული მოძრაობა დიდი ხნის მანძილზე ლამის ჩაკვდა და წელში ვეღარ გასწორდა. ხოლო ექსტრემისტებად გამჟღავნებულებს ჩეკა კოლექტივიზაციის და აგრეთვე 1937-1938 წლების დიდი ტერორის დროს საბოლოოდ გაუსწორდა.

ისტორიის კონკრეტული წყაროების საფუძველზე კ. მისაბიშვილის და მ. ჯავახიშვილის ეროვნული ღვაწლის შესწავლა-გაშუქება გვეხმარება და საშუალებას გვაძლევს დამატებით გავიაზროთ 20-იანი წლების დასაწყისის ანტისაბჭოთა მოძრაობის ნამდვილი ისტორია. მეორე მხრივ, 20-იანი წლების ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობის გამოწვლილვით შესწავლა საშუალებას გვაძლევს სწორად გავიგოთ ამ ორი მამულიშვილის და მათ მდგომარეობაში მყოფ სხვა პირთა მოცემული პერიოდის პოლიტიკური ცხოვრება. ამ შესაძლებლობებს ითვალისწინებს და ეყრდნობა წინამდებარე წიგნის არქიტექტონიკა თუ სტრუქტურა, ამასთანავე აუცილებელი ხდება კრიტიკულად გავიაზროთ მთელი ის წყაროები და მათზე დაფუძნებული ცოდნა, რომელიც ისტორიოგრაფიამ 1921-1924 წლების ქართული ეროვნული მოძრაობის ისტორიის გარკვევა-შეფასების მიზნით დააგროვა, და რომლის მიხედვით ყალბად წარმოჩნდა ამ ორი დიდი

პატრიოტის, აგრეთვე მათი მიმდევრების პოლიტიკური ცხოვრება. იგი კონკრეტული მაგალითების შუქზე დაგვანახებს 1921-1923 წლების ანტისაბჭოთა ეროვნულ მოძრაობის ნამდვილ ისტორიას, მოცემულ პერიოდში კ. მისაბიშვილის და მ. ჯავახიშვილის ეროვნულ-პატრიოტულ ღვაწლს და საგნობრივად გვიჩვენებს, რომ ამ ორ პატრიოტს არამცთუ არ უღალატია თანამოაზრე-თანამებრძოლებისა და სამშობლოსათვის, არამედ სხვებთან ერთად სიცოცხლე შეუნარჩუნეს პიროვნებებს, რომელთაც მთელი თავისი შემდგომი ძალისხმევა მოახმარეს საყვარელი სამშობლოსათვის ბრძოლის იმ მშვიდობიანი, ანუ უსისხლო ტაქტიკით აღორძინებას, რომელსაც თავიდანვე მისდევდა ქართველი ეროვნულ-პატრიოტი ინტელიგენციის დიდი უმრავლესობა (მეცნიერ-პედაგოგები, მწერლები...).

წინამდებარე პუბლიკაციის მიზანდასახულობებიდან გამომდინარე, აუცილებელი ხდება მოცემულ პერიოდში კ. მისაბიშვილისა და მ. ჯავახიშვილის პოლიტიკური ცხოვრების მეცნიერული გაშუქება, შესაბამისად, მათ გარშემო დაგროვილი და ამჟამად დომინირებული საჩოთირო და ყალბი აზრების მემკვიდრეობის გამოაშკარავება-დაძლევა. ამის მოთხოვნილება დღეს განსაკუთრებით ძლიერ იგრძნობა. ისტორიის სადღეისოდ ცნობილი უტყუარი წყაროები ქმნიან ანტისაბჭოთა ბრძოლის ამ ორი ღირსეული პოლიტიკური პიროვნების ეროვნული ღვაწლის სწორი ახსნის შესაძლებლობას. ამ მიზნით აუცილებელი ხდება კონკრეტული წყაროების მობილიზება და მათი გაანალიზება. მაგრამ ისე არ უნდა გავიგოთ, რომ წინამდებარე წიგნის ავტორს აქვს საკვლევ პრობლემასთან დაკავშირებული აბსოლუტურად ყველა ქვეპრობლემის, საკითხის და ასპექტის ყოველმხრივი, სრულყოფილი გაშუქების პრეტენზია. ამ შემთხვევაში საჭირო გახდებოდა დამატებითი შრომა და წინამდებარე წიგნის მოცულობის მნიშვნელოვანი გაზრდა. ისინი მოცემულ წიგნში გათვალისწინებულია, მაგრამ ყველა მათგანზე ბოლომდე შეჩერება, პუბლიკაციის ფინანსური სიძნელეების გამო, არ ხერხდება. წინამდებარე წიგნის გამოქვეყნების მიზანია სწორად გავიგოთ 1921-1924 წლების ეროვნული მოძრაობა და კ. მისაბიშვილს და მ. ჯავახიშვილს მოვუხსნათ უსაფუძვლოდ მიკერებული ბრალდებები.

1921-1924 წლების და, საერთოდ, ანტისაბჭოთა მოძრაობის ისტორიის წყაროთმცოდნეობითი ბაზა, სპეციალური პუბლიკაციები, პრობლემების შემდგომი მეცნიერული შესწავლის შესაძლებლო-

ბები საშუალებას გვაძლევენ ღირსეულ მამულიშვილებს მოვუხსნათ ის მძიმე და უსამართლო ბრალდებები, რომლითაც კ. მისაბიშვილი თითქმის მთელი 80 წლის განმავლობაში დაუმსახურებლად ათრიეს, ხოლო მ. ჯავახიშვილი ზოგი მკითხველის თვალში რამდენიმე ათეული წლით მაინც გააყალბეს და გააშავეს.

თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დიდ მწერალს მისი პოლიტიკური და შემოქმედებითი მოღვაწეობის ხანგრძლივი პერიოდის შემსწავლელი ბევრი მეცნიერულად მოაზროვნე ქომაგიც გამოუჩნდა. მაგრამ მას სამშობლოს მოღალატის ყალბის მთქმელი იარლიყი დღემდე, ისევე როგორც კ. მისაბიშვილს, სამწუხაროდ, ვერავინ ვერ ჩამოხსნა. ამის ერთ-ერთი „საიდუმლოება" იმაშია, რომ პრობლემის სწორი ხედვა აუცილებლად მოითხოვდა დიდ შრომას, სპეციალურ გამოკვლევას, პრობლემისადმი ახლებურ და ბოლომდე გულახდილ დამოკიდებულებას, რაც ძველი ყალბი შეხედულებების მსხვრევის გარეშე შეუძლებელია. იგი ჩვენში დამკვიდრებული, მავნე ტრადიციის თანახმად, პირად მტრობად განიხილება. ეს იმით აიხსნება, რომ ბოლო ათწლეულებში, ჩვენს ისტორიკოსებში იმძლავრა ურთიერთმიტევებისა და წაყრუების ფორმულამ: „არ შემეხო, არ შეგეხები. შემეხები, შეგეხები!" ამან მნიშვნელოვნად დაამუხრუჭა მეცნიერული აზრის თამამი წარმოჩენის შესაძლებლობა, მეორე მხრივ – საქართველოს უახლესი ისტორიის პერიოდის პროცესების, ტენდენციების და ცნებების გაგებაში თავს იჩენს კონსერვატიზმიც, რომელიც აფერხებს მკვლევრის ახლებური აზროვნების შემეცნებას. ალბათ, ამიტომაც შემოგვრჩნენ კ. მისაბიშვილი და მ. ჯავახიშვილი ბოლოდროინდელ, ზოგის მიერ ჯერ კიდევ მეცნიერების ბოლო სიტყვად და „არისტოლოგიურად" მიჩნეულ პუბლიკაციებში საჩოთირო ადამიანებად და სამშობლოს მოღალატეებად.

წინამდებარე წიგნის ავტორი სათანადო პატივისცემით ეპყრობა საწინააღმდეგო აზრის წარმომადგენლებს, მაგრამ ამასთანავე მას ესახება, რომ წინამორბედი მკვლევრების შეცდომებისაგან თავის დაღწევა სხვაგვარად შეუძლებელია, თუ არა პოლემიკის გზით. ამავე აზრით, წინამდებარე წიგნის ავტორი ყურადღებით და ობიექტურად მოეკიდება საწინააღმდეგო აზრის წარმომადგენელთა თვალსაზრისებს, ისტორიის წყაროებს და არგუმენტაციას, რადგან მისი ამოცანაა არა სხვათა დამცირება, არამედ უტყუარი, ჭეშმარიტი ისტორიის პროცესების გამოკვლევა, სათანადო ცნებების გამოყენება, კ. მი-

საბიშვილის, მ. ჯავახიშვილის და მისი მიმდევრების პოლიტიკური ცხოვრების და, საერთოდ, ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობის ისტორიის სწორად გაშუქება. ჩვენს წინაშე დასახული ამოცანის განხორციელების სირთულეებმა მოითხოვა ნაშრომის შედარებით მოკლე პერიოდით განსაზღვრის აუცილებლობა. წინამდებარე წიგნში ძირითადად ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობის 1921-1923 წლების ისტორია შუქდება. 1923-1924 და შემდგომი წლების ანტისაბჭოთა ბრძოლის ისტორიას ეძღვნება მომდევნო წიგნები, რომელთაგან ავტორს ხელნაწერის სახით მეორე წიგნი მზად აქვს და რომლის დასტამბვა ამჟამად მხოლოდ სპონსორის გამოჩენას ელოდება.

წინამდებარე წიგნის ავტორი მადლიერების გრძნობით მოეკიდება არა მარტო იმათ, ვინც ღრმად ჩასწვდება და დარწმუნდება ჩვენი უაღრესად შრომატევადი კვლევა-ძიების უმთავრეს სულისკვეთებას, არამედ აგრეთვე იმათ, ვინც მოგვაწოდებს საქმიან, თუნდაც კრიტიკულ, მაგრამ სამართლიან შენიშვნასა და მოსაზრებას. ისინი მომდევნო წიგნში უთუოდ გათვალისწინებული იქნება.

ავტორი დიდ მადლობას უხდის წიგნის სპონსორს, ბატონ ნიკო ლეკიშვილს გულისხმიერებისა და ქველმოქმედებისათვის.

კარი I. კვლევის აქტუალობა, მიზნები და ამოცანები

თავი I

ლიტერატურისა და წყაროების შესახებ

I. სპეციალური ლიტერატურა 1921-1923 წლების ქართული ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობის და მიხეილ ჯავახიშვილის პოლიტიკური ცხოვრების შესახებ დღემდე არ შექმნილა, მიუხედავად იმისა, რომ ამის აუცილებლობა უკვე დიდი ხანია არსებობს. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მ. ჯავახიშვილის პოლიტიკური პორტრეტების ასახვით და 1921-1923 წლების ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობის ისტორიის გამოკვლევა-გაშუქებით დღემდე არავინ დაინტერესებულა. საქმე ისაა, რომ ეს ორი, ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული პრობლემა, ერთიანობაში შესწავლა-გააზრებისა და გაშუქების თვალსაზრისით, არავის გაუხდია საკუთარი კვლევის საგნად. რაც შეეხება დიდი მწერლის იდეურ-პოლიტიკურ შეხედულებებს, იგი კარგად ირეკლება შესამეცნებლად საკმაოდ რთულ, მაგრამ უაღრესად ნოყიერ და მრავალრიცხოვან ნაწარმოებებში, რომლებიც შესულია მ. ჯავახიშვილის რჩეულ თხზულებათა ოთხტომეულში (1933-1934 წწ.), „რჩეულ თხზულებათა" ექვსტომეულში (1958-1964 წწ.) და ცალკეულ პუბლიკაციებში. მათი შემეცნებაასახვის ცდები მოცემულია მკვლევარ-კრიტიკოსთა მრავალრიცხოვან ნაშრომებში. ამათგან საყურადღებოა ტ. კვანჭილაშვილის „მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედება" (თბ., 1966), გ. გვერდწითელის „მიხეილ ჯავახიშვილი" (თბ., 1977), ქ. ჯავახიშვილის „მიხეილ ჯავახიშვილი" (თბ., 1984) და სხვ. დიდი მწერლისა და სამშობლოს პატრიოტის პოლიტიკური აზროვნება გასისხლხორცებულია მის პუბლიცისტურ წერილებში. მ. ჯავახიშვილის 1935-1937 წლების წერილების ერთი ნაწილი მოამზადა ე. შარაშენიძემ (თბ., 1990), ხოლო შედარებით სრული კრებული (მოამზადა რ. კუსრაშვილმა) გა-

მოსცა მისმა რედაქტორმა და მწერლის შვილიშვილმა რ. შიშნიაშვილმა (თბ., 2001). ეს უკანასკნელი ყურადღებას იპყრობს იმ მხრივაც, რომ მასში შესულია არქივებში დაცული, მკითხველისათვის უცნობი და მივიწყებული წერილები.

კ. მისაბიშვილის პიროვნებას მკვლევართაგან სიკეთით არავინ დაუინტერესებია. იგი სრულიად ახალგაზრდა (27 წლის, V კურსის სტუდენტი) გამოასალმეს სიცოცხლეს. მან, მართალია, უკვე ამ ასაკში შეძლო სახელოვანი ბიოგრაფიის შექმნა, მაგრამ იმის გამო, რომ თანამოაზრე-თანამებრძოლებმა შეცდომით მოღალატედ გაიცნობიერეს და სასიკვდილოდ გაწირეს, ხოლო შემდეგ თავიანთ მოგონებებშიც ასევე შეცდომით გამცემად გამოაცხადეს, მისით მკვლევართაგან აღარავინ დაინტერესებულა. კ. მისაბიშვილის პიროვნებას თუ ვინმე საკუთარ პუბლიკაციაში მაინც ახსენებდა, ეს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც საჭიროდ მიიჩნევდა აღმავლობის გზაზე მდგარი ანტისაბჭოთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო გმირი ლიდერების, „სამხედრო ცენტრის" წევრების და მათთან დაკავშირებული ქართული მხედრობის (15 პატრიოტის) დაპატიმრებისა და მოსპობის მიზეზის ახსნას. ასეთებს შორისაა 1921-1924 წლების ანტისაბჭოთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ერთ-ერთი აქტიური ხელმძღვანელი, პოლკოვნიკი სოლომონ ზალდასტანიშვილი.

მაშასადამე, ს. ზალდასტანიშვილმა დაუდო სათავე კ. მისაბიშვილის „სამხედრო ცენტრის" გამცემად გამოცხადებას, შემდეგ კი ეს ვერსია უტყუარ სიმართლედ მიიღო ყველამ, ვინც კი საკუთარ პუბლიკაციაში შეეხო „სამხედრო ცენტრის" წევრთა მოსპობის ისტორიას. კ. მისაბიშვილის პიროვნების ასეთ გაგებას ხელი შეუწყო იმანაც, რომ 1989 წლის 26 მაისს გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში" გამოქვეყნდა 1958 წელს მეტეხის ციხის ნგრევის დროს აღმოჩენილი დოკუმენტები, რომელთა შორისაა ახალი „სამხილი". ეს არის 1921-1924 წლების ქართული ანტისაბჭოთა ეროვნული ბრძოლის ერთ-ერთი ხელმძღვანელის მიხეილ იშხნელის მიერ 1925 წლის 21 ივლისს „პარიტეტული კომიტეტის" პროცესზე წარმოთქმული სიტყვა. იგი აქ სახელმწიფო ბრალმდებლის მიერ დასმული შეკითხვის პასუხად იმეორებს აზრს კ. მისაბიშვილის, როგორც მოღალატის,

შესახებ. მის ნათქვამში, როგორც ქვემოთ ვნახავთ, მოჩანს საწინააღმდეგო ნიუანსებიც, მაგრამ მკვლევრებისათვის იგი არ აღმოჩნდა ყურადღების საგანი.

მაშასადამე, კ. მისაბიშვილის პოლიტიკური ღვაწლით ამის შემდეგ უკვე, გასაგებია, აღარავინ დაინტერესებულა, მიუხედავად იმისა, რომ ალტერნატიული ცნობებიც მოიპოვება და „სამხედრო ცენტრის" ჩავარდნაში კ. მისაბიშვილის უცოდველობის დამამტკიცებელი უტყუარი წყაროებიც იძებნება.

რაც შეეხება მიხეილ ჯავახიშვილს, იგი, როგორც დიდი ქართველი მწერალი, ყოველთვის განსაკუთრებული ყურადღების სუბიექტი გახლდათ. მისი სამწერლო მოღვაწეობის პირველ ეტაპზე (ე.ი. 1923 წლის მარტამდე) ყველაზე გამოჩენილი კრიტიკოსები – კიტა აბაშიძე, იპოლიტე ვართაგავა, ივანე გომართელი, გრიგოლ რცხილაძე და სხვ. მ. ჯავახიშვილს უნიჭიერეს ქართველ ბელეტრისტს უწოდებდნენ. მ. ჯავახიშვილის პოპულარობა განსაკუთრებით გაიზარდა მისი ციხიდან განთავისუფლების (1923 წ.) შემდგომი პუბლიკაციების გამო. ამ დროიდან მ. ჯავახიშვილს, ისე როგორც ყველა ანტისაბჭოურად განწყობილ თვალსაჩინო შემოქმედს, პროფესიული მუშაობის ინტენსიურობის ზრდის იძულებითი სტიმულიც შეექმნა. მას, ისე როგორც საერთოდ ეროვნულ ინტელიგენციას, საბჭოთა ხელისუფლების და ჩეკას მუდმივი თვალთვალი და ზეწოლა თავისი პროფესიული ეროვნული გარჯის გაძლიერების დამატებით მასტიმულირებელ ძალად ექცა. ამ დროს თითოეული პატრიოტი შემოქმედი ცდილობდა საკუთარი ღირსება ამ დროისათვის, ფაქტობრივად, ერთადერთ შესაძლებელ, პროფესიულ სფეროში მაქსიმალურად გამოევლინა. ამავე მიზნით იყო, რომ პატიმრობის შემდგომ, პოლიტიკას ჩამოშორებული მ. ჯავახიშვილი მთლიანად ლიტერატურულ ცხოვრებაში ჩაება. მისი ამ ეტაპის პირველი ნაწარმოები „ტყის კაცი" სახელოვანი ეროვნულ-პატრიოტის პავლე ინგოროყვას ჟურნალ „კავკასიონში" 1924 წელს (№3-4) დაიბეჭდა. ამავე წელს გამოქვეყნდა მ. ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები", მას მოჰყვა „კვაჭი კვაჭანტირაძე", მოთხრობების ერთი ტომი, „თეთრი საყელო", „გივი შადური"(1929), „არსენა მარაბდელი"(1926-1932), „დამპატიჟე"(1928)...

მ. ჯავახიშვილის ეს ნაწარმოებები ერთგვარად ასახავენ მის გა-

ნცდებსა და პოლიტიკურ განწყობილებას. ამ მხრივ მისი, როგორც შემოქმედი მწერლისა და პოლიტიკური პოზიციის მატარებელი პიროვნების, შემეცნების შესაძლებლობას მნიშვნელოვნად ზრდიან ამ პერიოდის კრიტიკოსები: ვალერიან გაფრინდაშვილი, ივანე გომართელი, კონსტანტინე კაპანელი, იპოლიტე ვართაგავა, შალვა დადიანი, ვალია ბახტაძე, ბენიტო ბუაჩიძე, ვარლამ ხუროძე, თედო ბეგიაშვილი, გერონტი ქიქოძე, შალვა ამირეჯიბი, გრიგოლ რობაქიძე, მინდია ლაშაური (1981) და სხვები. მართალია, ზოგი კრიტიკოსი (ვ. ხუროძე, თ. ბეგიაშვილი, შ. ამირეჯიბი და სხვ.) უარყოფითად აფასებს მ. ჯავახიშვილის ცალკეულ ნაწარმოებს (განსაკუთრებით „ჯაყოს ხიზნებს", „დამპატიჟეს") და მწერლის პოლიტიკურ პოზიციას (შ. ამირეჯიბი, ბ. ბუაჩიძე და სხვ.), მაგრამ მ. ჯავახიშვილის პიროვნების შემეცნებისათვის მათი ნააზრევი არ არის უგულებელყოფის ღირსი. ზოგჯერ ამ ნააზრევში გვხვდება არა მარტო კრიტიკოსის ხედვა, უარყოფითი დამოკიდებულება, არამედ ნაწარმოების მხატვრული ღირსების მაღალი შეფასება (ვ. ხუროძე) და, აგრეთვე, ფართო საზოგადოების ერთი ნაწილის დამოკიდებულებისა და რეალური სინამდვილის ანარეკლიც. ამ მხრივ, ჩვენი აზრით, განსაკუთრებით საყურადღებოა შ. ამირეჯიბის კრიტიკული წერილი „ჯაყოს ხიზნების" გამო და ვალია ბახტაძის აზრი „დამპატიჟეს" შესახებ. ვ. ბახტაძემ 1929 წელს გაზ. „კომუნისტში" დაბეჭდა 1928 წლის ქართული პროზის მიმოხილვის მიზნით დაწერილი წერილი. იგი აქ ვრცლად შეეხო მ. ჯავახიშვილს როგორც შემოქმედს. „თანამედროვე ქართულ მწერლობაში მიხეილ ჯავახიშვილი ყველაზე უფრო პოპულარულია," – წერს ვ. ბახტაძე და დასძენს, – „არც ერთ მწერალს არ ეტანება დღევანდელი მკითხველი ისე, როგორც ჯავახიშვილს... ჯავახიშვილი ეპოქის მწერალია... ჯავახიშვილისგან ჩვენმა ახალგაზრდა პროლეტარულმა მწერლებმა უნდა ისწავლონ". იგი, ამასთანავე, მკაცრად აკრიტიკებს მ. ჯავახიშვილის მოთხრობა „დამპატიჟეს", მას უწოდებს რევოლუციაზე „ცილისწამებას" და დასძენს: „ჯერ კიდევ არავინ იცის რევოლუციასთან არის მ. ჯავახიშვილი თუ არა". საქმეც ისაა, რომ მ. ჯავახიშვილი არა მარტო „დამპატიჟეთი", არამედ, ჩვენი აზრით, მთელი თავისი შემოქმედებით რევოლუციასთან არ იყო და სწორედ ეს იყო მისი არა მარტო როგორც მწერლის პოპულარობის დამატე-

ბითი, არამედ აგრეთვე მისი ცხოვრების და შემოქმედების განსხვავებულად გაგების ერთ-ერთი ნამდვილი მიზეზიც. ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იპყრობს გერონტი ქიქოძე. მან მოგვცა მ. ჯავახიშვილის უაღრესად მაღალი, მაგრამ, ამავე დროს, ორჭოფული გაგების შესაძლებლობის შემცველი შეფასება. სახელოვანი ლიტერატორის აზრით, „მისი ოსტატობა მისი მდიდარი ცხოვრების გამოცდილების სიმაღლეზე იდგა". გ. ქიქოძე მ. ჯავახიშვილს ახასიათებს როგორც „დაკვირვებულ ადამიანს", „რომელიც დიდი შემოქმედებითი ნიჭითაა აღჭურვილი" და რომელსაც „გამძაფრებული პატრიოტული შეგნება ჰქონდა..." მაგრამ მას მ. ჯავახიშვილი მოსწონს როგორც ნოველების ავტორი. იგი წერს: „ბერიას მიერ დასჯილ ქართველ ინტელიგენტებს შორის ყველაზე პოპულარული მიხეილ ჯავახიშვილი იყო". მაგრამ ამასთანავე დასძენს: „ის რამდენიმე თვე სატუსაღოში იჯდა 1924 წლის აჯანყებასთან დაკავშირებით (? – გ.ც.), გამართლებულ იქნა და განთავისუფლებისთანავე ინტენსიურ ლიტერატურულ მუშაობას შეუდგა" (გ. ქიქოძე, თანამედროვის ჩანაწერები, ჟურნ. „მოამბე", 1989, №9, გვ. 40-41). სინამდვილეში მ. ჯავახიშვილი სატუსაღოში იჯდა 1923 წელს და არა „1924 წლის აჯანყებასთან დაკავშირებით" და, ამასთანავე, არც „გამართლებული" ყოფილა, ხოლო „ინტენსიურ ლიტერატურულ მუშაობას შეუდგა" 1923 წლის აგვისტოდან, როცა ანტისაბჭოთა შეთქმულების სხვა მონაწილეებთან ერთად „ჩეკიდან" განთავისუფლდა. როგორც ვხედავთ, გ. ქიქოძემ მ. ჯავახიშვილის გაგებას ერთგვარი უზუსტობა დაადევნა, რაც მისი გაუკუღმართებული გაგების ერთ-ერთი საფუძველი გახდა. მ. ჯავახიშვილის როგორც შემოქმედისა და ანტისაბჭოთა პოლიტიკური მებრძოლის გაგებისათვის განსაკუთრებით საყურადღებოა 1921-1924 წლების ანტისაბჭოთა პოლიტიკური ბრძოლის მონაწილეთა, შემდგომში ქართული ემიგრაციის წარმომადგენელთა შეხედულებები. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს გ. ქიქოძის ცოლის (ტასოს) ძმის, ანტისაბჭოთა გმირი მებრძოლების თვალსაჩინო წარმომადგენელისა და პოეტის შალვა ამირეჯიბის ნააზრევი „ჯაყოს ხიზნებზე". იგი საზღვარგარეთ, ემიგრაციაში, 1926 წელს დაიბეჭდა და ამიტომ შედარებით უფრო საყურადღებოა სიტყვის თავისუფლების თვალსაზრისით. შ. ამირეჯიბის კრიტიკული ნააზრევი მნიშვნე-

ლოვანია აგრეთვე მ. ჯავახიშვილის პოლიტიკური შეფასების თვალსაზრისითაც. კრიტიკოსი და პოლიტიკოსი შ. ამირეჯიბი წერს: „ჯაყოს ხიზნები“ დაწერილია ცუდ დროს და ცუდი დროისათვის. **მასში გამოსჭვივის თვით ავტორის ბედი.** მიხ. ჯავახიშვილი ერთ დროს ჩვენს რიგებში იდგა და ებრძოდა თავისი ქვეყნის მტრებს. 1923 წელს დაიჭირეს და **ირწმუნებიან, რომ ბოლშევიკებმა თერთმეტჯერ დაუპირეს დახვრეტა.** მეთორმეტეჯერ ის გაანთავისუფლეს და **დასწერა სუსტი ნაწარმოები** (? – გ.ც.). თქმა არ უნდა, ის, რასაც ბოლშევიზმი ჰქვიან, „ჯაყოს ხიზნებში“ თამამად არის დაწერილი. ავტორმა მას სასტიკი სარკე აუყუდა წინ. ამაში ჯავახიშვილი უსათუოდ ნიჭიერია“. შ. ამირეჯიბს მიაჩნია, რომ „ჯაყოს ხიზნების“ მიხედვით ის, ვინც არ ურიგდება ახალი ხელისუფლების წესებს, თეიმურაზ ხევისთავის ბედს ვერ ასცდება, „კოოპერატივი ის კუნძულია, სადაც უნდა მისცურო, თუ გინდა, რომ ბოლშევიკურმა ზღვამ არ ჩაგძიროს“ შ. ამირეჯიბი ყურადღებას ამახვილებს ნაწარმოებში მოცემულ, მკითხველისათვის ერთ-ერთ ყველაზე მძიმე ეპიზოდზე, რომლის მიხედვით თეიმურაზის ცოლი ჯაყოს მითხოვდა, ხოლო ქმარი (ბრინკა) ამ ქორწილს დაესწრო. შ. ამირეჯიბი მშვენივრად ჭვრეტს ავტორის ქმნილებას. იგი წერს, რომ „ის ეპოქის ფაქტია, რეჟიმული მოვლენაა. ავტორი აგვიწერს ქართულ ყოფას ბოლშევიკურ ჩარჩოში“. მაგრამ, ამასთანავე, კრიტიკოსი უკმაყოფილებას გამოთქვამს: „ჯაყოს მოქმედება ავტორისათვის დანაშაული არ არის“ ნაწარმოებში არა ჩანს, რომ ბედგაუკულმართებული „საქართველო იბრძვის!“ „დავიწყებულია ისტორია და მიმდინარე ცხოვრება, სული, რომელმაც შექმნა ქართული ზნეობა და ადამიანები, ვინც ამ სულს ატარებენ...“ შ. ამირეჯიბმა აქ ვერ მიჩქმალა მისი, როგორც დამარცხებული, მე ვიტყოდი, გაკოტრებული პოლიტიკოსის განცდა. მას სურს, თანამოაზრე-თანამებრძოლის შემოქმედებაში დაინახოს სწორედ ლუარსაბ და სვიმონ მეფეების, მათი მემკვიდრეების სულისკვეთების ანარეკლი. იგი ამიტომ წერს: „მიხ. ჯავახიშვილი განხორციელებული ბოროტებაა. მან იცის მხოლოდ ნაკლი და ადამიანის არც ერთი ღირსება. სულ სხვაა ჯაყო! მისი ბედი ბოლშევიზმი არის. ჯაყო ბოლშევიკია... იმდენად, რამდენადაც ბოლშევიზმი მდგომარეობს იმაში, რომ უვარგისებმა აჯობონ უკეთესებს და უვარგისებმა მართონ უკეთესები.

ავტორმა ყველაფერი ჩაიდინა განზრახ, რათა თეიმურაზი დაემდაბლებინა. ამაში დიდ შედეგებს მიაღწია"... შ. ამირეჯიბი სვამს კითხვას: „თანაუგრძნობს მას (ე.ი. თეიმურაზს – გ.ც.) ავტორი?" და პასუხობს: „კაცს რომ თერთმეტჯერ დაუპირებ დახვრეტას, შეიძლება აქციო არარად, მაგრამ არასდროს ბოლშევიკად!" კრიტიკოსს მიაჩნია, რომ უსუსური ბრინკა ქართული სინამდვილიდან არ არის, „ქართული ცხოვრება მოთხრობის გარეშე დარჩა." მისი აზრით, ნაწარმოებში შევიდნენ ადამიანები, რომლებიც ქართველები არიან, „მაგრამ მოკლებულნი ღვთიურ სახეს და ადამიანურ სულისკვეთებას და არა მებრძოლი საქართველო და არც ამ საქართველოსათვის არის დაწერილი ეს წიგნი. ის დაწერა კარგმა ავტორმა, მაგრამ ცუდი მკითხველისათვის!" (ქ. ჯავახიშვილი, მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება, თბ., 1991, გვ. 54-55). შ. ამირეჯიბის აზრით, ნიჭიერი ავტორი იმისათვის გაისარჯა, რომ „შეექმნა ისეთი უმსგავსი ტიპი, რაც მთელ საქართველოს აამყრალებდა" (იქვე, გვ. 54). ჩვენი აზრით, შ. ამირეჯიბის ნააზრევი უაღრესად ნიჭიერი წვდომაა „ჯაყოს ხიზნებისა". მართლაც, მნიშვნელოვანწილად ასეა, მაგრამ ეს „ამყრალება" მწერალს მკითხველის თვითშემეცნების გაძლიერებისათვის დასჭირდა და არა ბოლშევიზმის მხარდასაჭერად. თავდაპირველად ეს ასეც გაიგეს ოფიციალური ხელისუფლების და იდეოლოგიის მენტორებმა. ჩვენთვის საყურადღებოა მ. ჯავახიშვილის ყოფილი უახლოესი თანამოაზრე-თანამებრძოლის აზრი, საიდანაც საეჭვოდ ჩანს, რომ დიდი მწერალი მართლაც ბეწვზე გადარჩა და რომ ამაში დარწმუნებული ბოლომდე არაა არა მარტო კრიტიკოსი, არამედ იქნებ მისი ემიგრანტული გარემოცვაც.

შ. ამირეჯიბის აზრი მ. ჯავახიშვილის, როგორც მწერლისა და პოლიტიკური პიროვნების შესახებ, ჩვენი აზრით, ეს არის აღქმა ერთი მხრივ დიდი მწერლის შემოქმედების მოშურნე პოეტისა, ხოლო მეორე მხრივ, აგრეთვე, მ. ჯავახიშვილის მიერ უარყოფილი ანტისაბჭოთა ბრძოლის ექსტრემისტულ-ავანტიურისტული ტაქტიკის გამზიარებელი, 1924 წლის აჯანყებაში დამარცხებული, სამშობლოდან დევნილი და დაბრუნების მყარ იმედს მოკლებული ერთ-ერთი „გაკოტრებული" ლიდერისა. როგორც აღვნიშნეთ, იგი უკმაყოფილოა იმით, რომ „ჯაყოს ხიზნებში" არ ჩანან ლუარსაბ და სვიმონ

მეფეების ზნეობისა და საბრძოლო ტრადიციების გამგრძელებელი ქართველები, მათ შორის, თუნდაც, 1921-1924 წლების ანტისაბჭოთა არალეგალური ბრძოლის თავგანწირული წარმომადგენლები.

მ. ჯავახიშვილის, როგორც შემოქმედის, როგორც „ჯაყოს ხიზნების" ავტორის, შ. ამირეჯიბისეულ შეფასებაში აშკარად იგრძნობა დიდი მწერლის უაღრესად გახმაურებული და თვით რეჟიმის წარმომადგენელთა მიერ მოწონებული ნაწარმოებით გაღიზიანება. ამასთანავე, შ. ამირეჯიბი გაღიზიანებულია საძულველი რეჟიმის მიერ აღზევებული, ყოფილი თანამოაზრე-თანამებრძოლის ადამიანური ბედით. არალეგალურ ანტისაბჭოთა ბრძოლას ჩამოშორებული მ. ჯავახიშვილის სახელის აღზევება იმ დროს, როცა მისი ყოფილი თანამოაზრე-თანამებრძოლები ექსტრემისტული ბრძოლის ტაქტიკისადმი თანამიმდევრული ერთგულების გამო იყვნენ გაუბედურებულები, არ შეიძლებოდა არ ყოფილიყო ემიგრანტი მამულიშვილებისათვის დამთრგუნველი. ემიგრანტი ავტორების პუბლიკაციებში ხშირად შეინიშნება საბჭოთა საქართველოში მიმდინარე მოვლენების ტენდენციური გააზრება. ამ მხრივ შ. ამირეჯიბიც არ იყო დაზღვეული. ალბათ, ამიტომ იყო, რომ, როგორც თავად წერს, ე. გეგეჭკორს უთქვამს: „შალვა, პოლიტიკა შენი საქმე არ არის. თუ დავბრუნდით, შენ უნდა კულტურულ მოღვაწეობას შეუდგე, მაგალითად, თეატრის დირექტორობას" (იხ. შალვა ამირეჯიბი, წ. II, გვ. 199). ჩვენი აზრით, შ. ამირეჯიბის მიერ მ. ჯავახიშვილის, როგორც მწერლისა და პოლიტიკოსის, შეფასებისას ჯაყო შეცდომით გაგებულ იქნა როგორც ქართული ეროვნული ღირებულებების წამლეკავი ბოლშევიკი, ხოლო „ჯაყოს ხიზნების" ავტორი როგორც ხელისუფლების მიერ გამართლებული და აღზევებული შემომქმედი. ასეთი იყო ემიგრაციაში მყოფი მ. ჯავახიშვილის ყოფილ თანამოაზრე-თანამებრძოლთა უმრავლესობის აზრი. მათ შორისაა ცნობილი ემიგრანტი მიხეილ ქავთარაძე, რომლის ნააზრევზე ქვემოთ გვექნება საუბარი.

მ. ჯავახიშვილის უამრავ შემფასებელთა შორის, მისი, როგორც მწერლისა და მამულიშვილის გაგებისათვის განსაკუთრებით საყურადღებოა ნოვატორი მწერლის, ქართული ენის რეფორმატორის და პოლიტიკოსი ლიტერატორის, გრიგოლ რობაქიძის ნააზრევი. „ჩაკლული სულის" ავტორი თავის ამ უკვდავ ნაწარმოებში ასახავს

ასეთ ეპიზოდს: თბილისის საბჭო ზეიმით აღნიშნავდა საქართველოს გასაბჭოების წლისთავს. სოლიდარობის დელეგაციაში ყველაზე გამოჩენილი ქართველი მწერლებიც შეიყვანეს. ვინც ასეთთა რიცხვს არ ეკუთვნოდა, ამ წუთს ძალიან ხარობდა. თავისუფლად ამოისუნთქეს. „დელეგაცია ოპერის თეატრისაკენ წავიდა, სადაც საზეიმო სხდომა იმართებოდა. „კალეს მოქალაქენი!" დაიჩურჩულა ერთმა, ყველას უსიტყვოდ გადაედო. დადამბლავებულებივით დგამენ ნაბიჯებს..." (გრ. რობაქიძე, ჩაკლული სული, თბ. 1991, გვ.80). როგორც ჩანს, ხელისუფლების მიმართ ლოიალურად განწყობილმა მწერლებმა კალე მისაბიშვილის როლში იგულეს თავი. ეს თუ ასეა, მათ შორის მყოფი მ. ჯავახიშვილიც იგულისხმება. მაგრამ ეს დიდი მწერლის მიმართ განაჩენად მაინც არ ჩაითვლება, და აი რატომ:

გრ. რობაქიძემ 1953 წელს პარიზში, კალისტრატე სალიას ჟურნალ „ბედი ქართლისას" (№15) ფურცლებზე გამოაქვეყნა უაღრესად საყურადღებო წერილი „მიხეილ ჯავახიშვილი", რომელსაც ერთვის საკმაოდ საყურადღებო მინაწერი. ამის შემდეგ, 1976 წელს იგივე წერილი, რიგი საგულისხმო ცვლილებებით და ნიუანსებით, გამოქვეყნდა იმ ხანად (1975 წ.) გარდაცვლილი ვიქტორ ნოზაძის ჟურნალ „კავკასიონში" (№XVIII). იგი ჟურნალისათვის განკუთვნილ მასალებში აღმოაჩინა ვ. ნოზაძის საქმის გამგრძელებელმა მიხეილ ქავთარაძემ. იგი წერს, რომ წერილი შემოსული იყო რამდენიმე წლის წინ. ვ. ნოზაძისგან განსხვავებით, მ. ქავთარაძემ გრ. რობაქიძის „მიხეილ ჯავახიშვილის" ახალი რედაქცია ჩვენთვის საყურადღებო კომენტარებით გამოაქვეყნა.

მაშასადამე, ჩვენ ხელთა გვაქვს გრ. რობაქიძის ნააზრევის ორი რედაქციული ვარიანტი, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ ისტორიულ ჭრილში და გარემოებათა ერთობლიობაში გავიაზროთ ავტორის და მისი აზრის შემფასებელი რედაქტორების (კ. სალიას, ვ. ნოზაძის, მ. ქავთარაძის) დამოკიდებულება მ. ჯავახიშვილისადმი. უფრო მეტიც, საშუალება გვეძლევა აგრეთვე, ნაწილობრივ მაინც აღვიქვათ მ. ჯავახიშვილის შესახებ ქართული ემიგრაციის გარკვეულ წრეებში გავრცელებული აზრიც. ამ პუბლიკაციებით ირკვევა აგრეთვე სამი რედაქტორის დამოკიდებულება გრ. რობაქიძის ნააზრევისადმი.

გრ. რობაქიძემ მოგვცა მ. ჯავახიშვილის ღვაწლის მრავალმხრივი,

უაღრესად საყურადღებო, მაღალი შეფასება, რომელმაც ვერ მიიქცია დიდი მწერლის ღვაწლის შემფასებელთა, მათ შორის, მისი პოლიტიკოსობის არასწორად გამგები ჩვენი ისტორიკოსების ყურადღება. არა და, გრ. რობაქიძე ახლოს იდგა საბჭოთა საქართველოს ხელისუფლებასთან, მის ოპოზიციასთანაც და ქართული ემიგრაციის შემოქმედებით ცხოვრებასთანაც. ჩანს, რომ იცნობდა შ. ამირეჯიბის რეცენზიასაც. გრ. რობაქიძეს, როგორც ლიბერალს, მ. ჯავახიშვილის ეპოქის თანამედროვეს, მეგობარს, შემდგომში ბოლშევიკური საქართველოსგან გამიჯნულ ემიგრანტს, ანტისაბჭოთა მებრძოლსა და დიდ მოაზროვნეს, უთუოდ შეეძლო მ. ჯავახიშვილის, როგორც მწერლისა და პატრიოტის სხვაზე მეტი ობიექტურობით შეფასება.

აღნიშნულ წერილში, გრ. რობაქიძე აღიარებს: მ. ჯავახიშვილს „... ჰქონდა თვითშობილი შემოქმედებითი აღქმევა. ადარებთ მის ნოველას გორკის ნოველას, ხედავთ: პირველი არ ჩამოუვარდებოდა მეორეს, არც სიუჟეტის გულისხმიერებით და არც მისი მხატვრული განფენით." გრ. რობაქიძე წერს: „არცერთ მწერლის ნაქმს არ ჰქონია საქართველოში ისეთი გასავალი, როგორიც ჰქონდა მ. ჯავახიშვილისას – არცერთი ქართველი ავტორი არ თარგმნილა იმდენ უცხო ენებზე, როგორც იგი." მისი აზრით, მ. ჯავახიშვილი თავისი შემოქმედების თემატიკითაც იყო „ოთხყურა სამყურა მოლითგან." აქ ისიც აღსანიშნავია, რომ ბევრი მკითხველი მ. ჯავახიშვილს მისი მაღალმხატვრული შემოქმედების გამო ქართველ ტოლსტოიდ სახავდა.

გრ. რობაქიძე აღნიშნავს: „ჯავახიშვილის ნაწერებში ყველაზე მეტი კამათი წილად ხვდა „ჯაყოს ხიზნებს." იგი ამ ნაწარმოებზე შედარებით ვრცლად ჩერდება და დასძენს: „მსმენია ხშირად (! – გ.ც.): ასეთი რამ რაც ამ რომანშია მოთხრობილი, საქართველოში შეუძლებელია მომხდარიყოო. ჩვენში „ჯაყოებზე" უარესიც მომხდარა..." გრ. რობაქიძის აზრით, „ჯაყოს ხიზნები", როგორც ხელოვნური ნაქმი, სუსტია – როგორც დოკუმენტი შესანიშნავი."

მაშასადამე, გრ. რობაქიძეს ესახება, რომ „ჯაყოს ხიზნებში" „ხელოვნება კოჭლობს" (იხ. „კავკასიონი", 1976, №XVIII, გვ. 7). როგორც ვხედავთ, „ჯაყოს ხიზნების" მხატვრული და დოკუმენტური შეფასების თვალსაზრისით ერთმანეთს უახლოვდება, თითქმის ემთხვევა, გრ. რობაქიძის და შ. ამირეჯიბის შეხედულებები. გრ. რობაქიძე კრიტიკუ-

ლია აგრეთვე მ. ჯავახიშვილის სხვა ნაწარმოებების და, საერთოდ, მთელი მისი შემოქმედების მიმართ, მაგრამ გრ. რობაქიძის ეს კრიტიკული პათოსი ეხება მწერლის შემოქმედებას და არასდროს ეჭვის ქვეშ არ აყენებს მ. ჯავახიშვილის, როგორც დიდი მწერლის და მამულიშვილის ღვაწლს. გრ. რობაქიძე მ. ჯავახიშვილის, როგორც ხელოვანის შეფასების დროს, ხსნის საკუთარი გადაჭარბებული წუნიაობის მიზეზსაც. როგორც ჩანს, იგი ძირითადად გამოწვეული ყოფილა მავანთა მიერ მ. ჯავახიშვილის ნაწარმოებთა გადაჭარბებული ქების გამო გაღიზიანებით. „თუ წუნიას გუნებაზე ხარ, – წერს გრ. რობაქიძე, – იქ მრავალ უგემურობის დეტალს იხილავ. და კიდევ უფრო მრავალ მეტხორცს. მე წუნიათა ჯიშს არ ვეკუთვნი (? – გ.ც.), მაგრამ ერთხელ (? – გ.ც.) მეც წამოვეგებე წუნიაობას (! – გ.ც.)... ერთს გონებამახვილ იმერელ აზნაურს უთქვამს მეორესათვის: შენ იმდენს მიქებ „იმ" კაცს, რომ იგი უთუოდ შემომელანძღებაო. ერთი სწორუპოვარი დეტალი ადამიანის ფსიქიკისა. მეც იმ იმერელ აზნაურად ვიქეცი ერთხელ... ბარათი მივიღე თამარ პაპავასაგან „არსენა მარაბდელთან" ერთად. ბარათში იმდენი ქება იყო რომანისა, რომ ჩემი ბარათი-პასუხი უკანასკნელის უგემურობის დეტალებით და მეტხორცთა ჩამოთვლით ავავსე..." (იხ. იქვე, გვ.10). კრიტიკოსი მიიჩნევდა, რომ ეს ახალი (1976 წელს გამოქვეყნებული) წერილი თამარ პაპავასადმი გაგზავნილ წერილს აღსარებასავით დაერთობოდა და მ. ჯავახიშვილის შემოქმედებისადმი მისი დამოკიდებულების შემდგომი დაზუსტების შესაძლებლობას შექმნიდა. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა გრ. რობაქიძის წერილის მინაწერი, საიდანაც ჩანს, რომ ჯაყო ემიგრაციაში „ბოლშევიკის განსხეულებად" გაუგიათ. მისი აზრით კი ასეთი გაგება „სრულიად მცდარია..." ჯაყო ნადირკაცაა და თანავე გაიძვერა, რომელიც სარგებლობს ბოლშევიზმის მიერ შექმნილი გარემოთი." გრ. რობაქიძე წერს: „აქ არაა ადგილი" ვრცელი საუბრისთვისო (იხ. იქვე, გვ. 10-11). მეორე ვარიანტში კი განმარტავს: „თუ ჯაყო კომუნისტია, მარგო ქართულ დედულეთად, ხოლო თეიმურაზი „ქართულ მამულად გვევლინება." ამ შემთხვევაში, გრ. რობაქიძის აზრით, თავისთავად იბადება კითხვა: „შეურიგდა ბედს ქართული მამული?" აზრი უაღრესად საჩოთირო მიმართულებით ვითარდება. მაგრამ, მისი აზრით, „ჯაყო ბოლშევიკი არაა, იგი ნადი-

რკაცია, ბოლშევიკური გარემოს მიერ ჩამოყალიბებული ნადირკაცი" (იხ. იქვე, გვ. 7).

გრ. რობაქიძე, როგორც ზემოთ აღვნიშნე, მ. ჯავახიშვილის პიროვნების მიმართ არაფერს ამბობს საეჭვოს. პირიქით, იგი მ. ჯავახიშვილს წარმოაჩენს როგორც დახვრეტილ პატრიოტ მოაზროვნესა და დიდ ქართველს, მეგობარს. „ვიგონებ ცრემლით, მასთან ერთად დახვრეტილებსაც ცრემლით ვიგონებ, – წერს გრ. რობაქიძე და დასძენს, – ცრემლი აქ მეტაფორა არაა. მაგონდება ყველა შეხვედრა მასთან... საუბარი: საქართველოს ირგვლივ უმთავრესად – საქართველო: თითქმის ყოველთვის ლიტერატურულ რკალში..." ეს მეგობრული საუბრები, თურმე, მ. ჯავახიშვილის ანტისაბჭოთა არალეგალური ბრძოლის ამბებსაც ეხებოდა. ამასთან დაკავშირებით გრ. რობაქიძე წერს: „ჯავახიშვილი ერია (! – გ.ც.) შეთქმულებაში, რომელიც კოტე აფხაზის ჰეროული სახელით შევიდა „ქართლის ცხოვრებაში (ეს გამანდო პროცესის შემდგომ)." ჯავახიშვილი ჩემს იქ ყოფნის დროსაც ვერ ურიგდებოდა ბოლშევიზმს შინაგან, და, ვფიქრობ, ვერც მერმე შეურიგდებოდა" (იხ. იქვე, გვ. 10). ამ სიტყვებს, ჩემი დაკვირვებით, მყარ საფუძვლიანობასთან ერთად, მ. ჯავახიშვილის პოლიტიკური ცხოვრების გაგებისათვის მეთოდოლოგიური, სახელმძღვანელო დებულების ღირებულებაც აქვს. აქ ყურადღებას იპყრობს ისიც, რომ „კოტე აფხაზის" შეთქმულებაში მთელი 1921-1923 წლების (ანუ „პირველი ეტაპის" – გ.ც.) ანტისაბჭოთა არალეგალური ბრძოლის პერიოდი იგულისხმება. ამ დროს გონიერი ლიდერების ანტისაბჭოთა ბრძოლა მართლაც არ გასცილებია „შეთქმულებას". 1922 წლის ფშავ-ხევსურეთის აჯანყება იყო ამ „შეთქმულების" ანომალია, რომელიც უდროოდ წააქეზეს ეროვნული მოძრაობის ცენტრების („დამკომის" და „სამხედრო ცენტრის") მიღმა, მათ კრიჭაში მდგომმა სეპარატისტმა ექსტრემისტებმა. მაგრამ 1921-1923 წლების „შეთქმულებაში" მ. ჯავახიშვილი კი არ „ერია", არამედ ყველაზე სწორ, და ამდენად, ღირსეულ როლს ასრულებდა. გრ. რობაქიძის ნახმარი სიტყვა „ერია" უნდა მომდინარეობდეს მ. ჯავახიშვილის მიერ საკუთარი პოლიტიკური ღვაწლის მოკრძალებული შეფასებიდან. როგორც ცნობილია, მ. ჯავახიშვილი უბის წიგნაკის ჩანაწერებით საკუთარ თავს იმ პოლიტიკოსს ადარებდა, რომელმაც ცურვა არ იცოდა, მაგრამ სხვის გადასარჩენად გადახტა. მაგრამ, ჩვენი

დაკვირვებით, მ. ჯავახიშვილი პოლიტიკაში, ბევრისაგან განსხვავებით, ძალიან კარგად და სწორად „ცურავდა“. ზემოთ აღნიშნულთან დაკავშირებით ყურადღებას იპყრობს გრ. რობაქიძის წერილის გვიანდელ ვარიანტში ჩამოყალიბებული აზრები. იგი აზუსტებს, „ჯავახიშვილი იყო (! –გ.ც.)... მონაწილე (! –გ.ც.) შეთქმულებისა, რომელიც კოტე აფხაზის ჰეროული სახელით შევიდა „ქართლის ცხოვრებაში“. დიახ, მ. ჯავახიშვილი 1921-1923 წლების ანტისაბჭოთა ეროვნული ბრძოლის, ანუ მისი „შეთქმულებითი“ ეტაპის „მონაწილე“, და თანაც, უაღრესად აქტიური მონაწილე იყო. აქ საყურადღებოა მ. ქავთარაძის შესაბამისი კომენტარი. მის მიხედვით მ. ჯავახიშვილი „არ შეიძლებოდა ამ შეთქმულების მონაწილე ყოფილიყო.“ როგორც ჩანს, მ. ქავთარაძემ მ. ჯავახიშვილის მონაწილეობა „შეთქმულებაში“, რომელიც, გრ. რობაქიძისეული გაგებით, „კოტე აფხაზის ჰეროული სახელით შევიდა „ქართლის ცხოვრებაში“, ცუდად გაიგო. მისთვის ხელმისაწვდომ ოფიციალურ საბჭოთა პუბლიკაციებში და 1921-1924 წლების ანტისაბჭოთა ექსტრემისტულ-ავანტიურისტული ბრძოლის ყოფილ ორგანიზატორების, შემდგომ ემიგრანტი ავტორების მოგონებებში 1921-1923 წლების ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობა გაგებული იყო ისე, თითქოს მისთვის დამახასიათებელი მთავარი ნიშანი იყო 1922 წლის ანტისაბჭოთა აჯანყების ორგანიზება და 1923 წლის დასაწყისში აჯანყების ორგანიზებისათვის მუდმივი პრაქტიკული მეცადინეობა. მ. ჯავახიშვილი ანტისაბჭოთა არალეგალური ბრძოლის დროს (1921-1923 წ. დასაწყისში) თანამოაზრე-თანამებრძოლებთან ერთად ყოველთვის უდროო აჯანყების თავგამოდებული მოწინააღმდეგე იყო, ხოლო 1923 წლის დასაწყისის ექსტრემალურ სიტუაციაში საჭიროდ მიიჩნევდა ამ დროისათვის შეუძლებელ არალეგალურ-ექსტრემისტული ბრძოლის ტაქტიკაზე უარის თქმას და ხელისუფლებასთან ბრძოლის კომპრომისულ-ლეგალური გზით გაგრძელებას. ამ ტაქტიკის მიმდევრობა მცდარად, ღალატად გაიგეს ექსტრემისტულ-ავანტიურისტული ტაქტიკის მიმდევრებმა და, როგორც მოღალატეებს, შეაგებეს უნდობლობა და მტრობა.

მ. ქავთარაძე უთუოდ ფიქრობდა: რადგან ვ. ნოზაძემ გრ. რობაქიძის წერილი „მიხეილ ჯავახიშვილი“ არ გამოაქვეყნა, მის აზრს არ იზიარებდაო. თვითონ კი დიდი მწერლის – გრ. რობაქიძის – წერილი იმ პირობით დაბეჭდა, რომ მ. ჯავახიშვილის გაგება საკუ-

თარი კომენტარებით თავისებურად დაეზუსტებინა – სინამდვილეში კი გაეყალბებია.

კომენტარებში მ. ქავთარაძემ მოგვცა, ერთი მხრივ, გრ. რობაქიძის, ხოლო, მეორე მხრივ, მ. ჯავახიშვილის მცდარი გაგების არაერთი მაგალითი.

გრ. რობაქიძეს „მიხეილ ჯავახიშვილის" მეორე ვარიანტში შემოაქვს ახალი, უაღრესად საყურადღებო დასკვნა-ეპილოგი: „მოვა დრო... საქართველოც ამოისუნთქავს, ერთხელაც არის, თავისუფლად და აქა ერთი ვიზიონი:

მიხეილ ჯავახიშვილის დახვრეტის დღეს, ყოველწელ, მარაბდის ველითგან გადმოეშვება ღვინისფერი ბედაურით ერთი ძალაყრილი ჯეელი. სახელი მხედრის: არსენა, სახელი ბედაურის: მარაბდა. კოჯრის მაღლობებიდან დაეშვება დედაქალაქში. ააფრიალებს თეთრ ალამს, რომელზედაც შინდისფერი ასოებით ამოქარგული იქნება ერთი სიტყვა: მარაბდა. გასძახებს რვალი-ხმით: „მარაბდა მოდის ბიჭებო"! დედაქალაქი შესძახებს: „მარჯი არსენას!" შემდგომ მხედარი: „გაცოცხლდეს ჩვენს გულში მიხეილ ჯავახიშვილი"! – ერთად ყველანი: „ცოცხალია, ცოცხალი!" (იქვე, გვ.32).

მაშასადამე, „ჩაკლული სულის" ავტორმა, გრ. რობაქიძემ საქართველოს განთავისუფლებისათვის ბრძოლის სიმბოლოდ ქცეულ სიტყვებად და ერთ მცნებად გაიაზრა – „არსენა", „მარაბდა", „მიხეილ ჯავახიშვილი". როგორც ვხედავთ, გრ. რობაქიძემ მიხეილ ჯავახიშვილს, როგორც მწერალსა და პოლიტიკურ მებრძოლს უმაღლესი შეფასება უბოძა. მაგრამ მ. ქავთარაძემ დიდი მწერლები ცუდად გაიგო. იგი კომენტარებში წერს, რომ თითქოს გრ. რობაქიძემ მხოლოდ დახვრეტილ პატრიოტ „მწერლის მოსაგონებელი გვირგვინი დაწნა. მაგრამ შეატყო რა, რომ იგი ეკლიან ჯაგებისაგან შესდგებოდა, მოინდომა ერთი ყვავილი მაინც შიგ ჩაერთო, ხოლო ეს ყვავილი, რა თქმა უნდა, ლამაზი ბგერადობის მქონე სიტყვაში იპოვა. მარაბდა, მარაბდა, მარაბდა. ჯავახიშვილის ბედზე, ოძელაშვილი მარაბდაში დაიბადა. ხომ შეიძლებოდა, ვთქვათ, ლამისყანაში დაბადებულიყო, მაშინ სადღა იპოვიდა საჭირო სიტყვას გრ. რობაქიძე.

ამ წერილში გრიგოლ რობაქიძე სცდება ვითარცა კაცი, ხოლო შემცდარმა კაცმა (მ. ჯავახიშვილმა – გ.ც.), სამწუხაროდ დიდი მწერალიც (გრ. რობაქიძე – გ.ც.) შეაცდინა" (იხ. „კავკასიონი", პარიზი,

1976, №XVIII, მ. ქავთარაძის „შენიშვნა“, გვ. 32).

მასასადამე, მ. ქავთარაძის აზრით, მ. ჯავახიშვილმა, რომელსაც „კ. აფხაზის ჰეროულ შეთქმულებაში“ და აჯანყებაში მონაწილეობა არ მიუღია იმის გამო, რომ იყო „შემცდარი კაცი“, შეაცდინა დიდი მწერალი გრ. რობაქიძე, რომელსაც დააწერინა მცდარი წერილი და არაერთგზის აძახებინა ეროვნულ სიმბოლოდ მიღებული არსენა ოძელაშვილის წარმოშობის ადგილი – მარაბდა. მაგრამ ეს არის შემთხვევითი, რადგან ოძელაშვილი შეიძლებოდა დაბადებულიყო სხვაგან, მაშინ საჭირო ბგერადობის სიტყვას ველარ იპოვნიდაო გრ. რობაქიძე.

ეს არის გაუკუღმართებული გაგება, ერთი მხრივ, გრ. რობაქიძის „მიხეილ ჯავახიშვილისა“, ხოლო, მეორე მხრივ, მ. ჯავახიშვილის, როგორც დიდი მწერლისა და პოლიტიკოსისა. მ. ქავთარაძე ცდება ეროვნული სიმბოლოების „ბგერადობის“ სიტყვების გაგების საკითხშიც. გრ. რობაქიძემ მ. ჯავახიშვილთან დააკავშირა არა მარტო მარაბდა, არამედ ეროვნულ სიმბოლოებად საყოველთაოდ მიღებული ცნებები: „არსენა“, „კოჯრის მაღლობები“, „თეთრი ალამი, შინდისფერი ასოებით ამოქარგული“, განთავისუფლებული დედაქალაქის მაცხოვრებლები, რომლებიც მ. ჯავახიშვილის ეროვნული გმირის, არსენას შეძახილზე პასუხობენ: „ერთხმად ყველანი“: „ცოცხალია, ცოცხალი!“

მ. ქავთარაძეს უთუოდ რაღაც უშლის, რომ სწორად გაიგოს გრ. რობაქიძე და მ. ჯავახიშვილი, როგორც მწერალი და პოლიტიკოსი. ამის მიზეზი შეიძლება იყოს ორი დიდი მწერლის პირადი მეგობრობის გამო შექმნილი ეჭვი; შეიძლება ისიც, რომ მ. ქავთარაძე განიცდის შ. ამირეჯიბის და სხვათა გავლენას. არ არის გამორიცხული, რომ მ. ქავთარაძე, ისე როგორც სხვები, უკიდურესად გაღიზიანებულია „ჯაყოს ხიზნებით“, ან, როგორც ექსტრემისტი ეროვნული დემოკრატების თანამოაზრე, დაბნეულია მ. ჯავახიშვილის არალეგალური ანტისაბჭოთა ბრძოლის უაღრესად რთული და ძნელად გასააზრებელი ცხოვრებისეული პერიპეტიებით. ერთი რამ უთუოდ ჩანს – მ. ქავთარაძემ მ. ჯავახიშვილის, როგორც მწერლისა და პოლიტიკოსის, გაგებაში კიდევ უფრო გააღრმავა უსაფუძვლო ეჭვები, რომლებმაც, ჩვენი აზრით, გარკვეული გავლენა იქონიეს მ. ჯავახიშვილის, როგორც პოლიტიკოსის, გაგებისას. მაგრამ ემიგრანტებს შორის იძებნება მ. ჯავახიშვილის ცალსახად დადებითად

შემფასებელიც. მაშასადამე, გრ. რობაქიძეს მ. ჯავახიშვილის გაგების საკითხში თამარ პაპავას და კალისტრატე სალიას გარდა ჰყოლია სხვა მხარდამჭერებიც.

შ. ამირეჯიბისა და გრ. რობაქიძისაგან განსხვავებით, ემიგრანტი მინდია ლაშაური წერილში „წამებული მწერალი. მიხეილ ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავის გამო", რომელიც აგრეთვე ქართული ემიგრაციის ცენტრში, პარიზში, გამოქვეყნდა, იუბილარს, როგორც მწერალსა და პიროვნებას, ცალსახად დადებითად აფასებს. იგი აღფრთოვანებულია „არსენა მარაბდელით", რომელშიც განსაკუთრებულ ღირებულებად მიიჩნევს ქართველი „მებრძოლი მამულიშვილების", როგორც პიროვნებისა და ერის, საერთოდ, ქართველი ხალხის თავისუფლებისათვის მებრძოლი მასის, წარმოჩენას. იგი წერს, რომ „აქედან გამომდინარე, მიხეილ ჯავახიშვილი დიდი ეროვნული მწერალია, ქართული ეროვნული მეობისათვის დაუღალავი მებრძოლი"

სამწუხაროდ, ბევრმა ვერ შენიშნა, რომ „ჯაყოს ხიზნები" და „დამპატიჟე", ისევე როგორც მ. ჯავახიშვილის ყველა სხვა ნაწარმოები, საქართველოს დიდი სიყვარულითა და რეალური საბჭოური სინამდვილით შებოჭილ-შეურაცხყოფილი ქართველი კაცის გულისტკივილით დაწერილი ნაწარმოებებია. ჯაყოს სახემ, საქციელმა და ბრინკას უმოქმედობამ იქნებ ზოგი მკითხველის თვალში მართლაც აამყრალა მთელი შეურაცხყოფილი საქართველო, მაგრამ ეს უფლებას არ გვაძლევს, დიდ მწერალს გამოვუცხადოთ უნდობლობა და კოსმოპოლიტად მოვნათლოთ იგი. მ. ჯავახიშვილის წარსული პოლიტიკური მოღვაწეობა საფუძველს არ გვაძლევს, რომ იგი საჩოთიროდ ან, მით უმეტეს, თანამოაზრე-თანამებრძოლების და სამშობლოს მოღალატედ წარმოვაჩინოთ. პატრიოტი მკითხველების დიდმა უმრავლესობამ მწერლის კონკრეტული მხატვრული ხერხი სწორად გაიგო. მათგან თეიმურაზი-ბრინკა ბევრმა ანტისაბჭოთა პატრიოტმა სწორედ ბოლშევიზმის მიერ შებოჭილი ადამიანების მდგომარეობად და სამწუხარო პერსპექტივად აღიქვა. მკითხველმა დაინახა, რომ რევოლუციამ პიროვნება ჩაჰკლა, ერს სასარგებლო ბრძოლისა და საქმიანობის ძალა გამოაცალა და რევოლუცია კიდევ უფრო დიდ უბედურებას უქადის ქართველობას, თუ ეროვნულ იდეალებს საბოლოოდ განუდგა ქართველი საზოგადოება.

მ. ჯავახიშვილის შემოქმედებამ ეპოქას გაუძლო. მის მიმართ ინტერესი არ მოდუნებულა სუვერენობისათვის მებრძოლ და ახალ, დამოუკიდებელ საქართველოში. ცენზურისა და პოლიტიკურ-პოლიტიკანური ზეწოლის გარეშე მდგარმა ჩვენი დროის ლიტერატორებმა დ. თევზაძემ, ტ. კვანჭილაშვილმა, თ. მაღლაფერიძემ, ბ. არველაძემ, რ. ჩხეიძემ, ს. სიგუამ, რ. კვერენჩხილაძემ და სხვებმა თავიანთი ძალისხმევა წაახმარეს მ. ჯავახიშვილის ეპოქისა და დიდი მწერლის შემოქმედების გაღრმავებულ შემეცნებას. მათ ნარკვევებში[1] იძებნება დამატებითი შტრიხები, მდიდარი მასალა 1921-1924 წლების ქართველი მწერლების ბედის, მათი პატრიოტული სულისკვეთებისა და მ. ჯავახიშვილის პოლიტიკური პორტრეტის შესაქმნელად. დ. თევზაძემ, ს. სიგუამ, რ. კვერენჩხილაძემ კარგად წარმოგვიჩინეს მ. ჯავახიშვილის ცხოვრების მოცემული პერიოდის თავისებურებები, ქართველი ინტელიგენციის და, კერძოდ, მწერლების პატრიოტული გარჯა. ბ. არველაძე, რ. ჩხეიძე და რ. კვერენჩხილაძე წარმატებით შეეცადნენ აეხსნათ მ. ჯავახიშვილის ცხოვრებისეულ პერიპეტიებთან დაკავშირებული ზოგი გაუგებრობა. ბ. არველაძემ, საქართველოს სახელმწიფო უშიშროების არქივში მოპოვებული დოკუმენტების საფუძველზე, გაგვაცნო მ. ჯავახიშვილის ცხოვრების უკანასკნელი ეპიზოდები, ჩეკისტების მიერ მისი არაადამიანური ტანჯვა-წამება. ამასთან დაკავშირებით, საყურადღებოა უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის ერთ-ერთ სამეცნიერო კონფერენციაზე უხუცესი ისტორიკოსის პროფესორ გივი ჟორდანიას მონათხრობი. მისი გადმოცემით, 1937 წელს საზოგადოებაში ხმა გავრცელდა, რომ მ. ჯავახიშვილმა ველარ გაუძლო აუტანელ ტანჯვა-წამებას და ამიტომ, მისგან თავის დაღწევის მიზნით, მორიგ წამებაზე გაყვანის დროს თავი კიბეზე დანარცხებით მოიკლა. ასეთი ხმების გავრცელების შესახებ პროფ. გ. ჟორდანიას მონაყოლი იქვე დაადასტურა პროფესორმა მარიამ ლო-

---

1 დ. თევზაძე, საუკუნის თვალით. ლიტერატურული წერილები, თბ., 1994; თ. მაღლაფერიძე, ძალადობა, შიში, სიცრუე, ჟურნ. „განთიადი", 1992, №1-4; ბ. არველაძე, შეულამაზებელი ამბავი, გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 1996, 23-30 აგვისტო; მისივე, წამება მიხეილ ჯავახიშვილისა, თბ. 2001; რ. ჩხეიძე, დაწყევლილი თაობა (1942 წლის შეთქმულება), თბ., 1992; ს. სიგუა, იმ ბრძოლათა ერთი მატიანე, ჟურნ. „კრიტიკა", 1990, №4, გვ. 94-111; რ. კვერენჩხილაძე, წამების გზა. დახვრეტა, გადასახლება, დევნა, წიგნი I, თბ., 1999.

რთქიფანიძემაც. ეს ამბავი მართალიც რომ არ იყოს, აქედან ის მაინც ჩანს, თუ რაოდენ მტკივნეულად განიცადა თანადროულმა საზოგადოებამ ეპოქის სისასტიკე და დიდი მწერლის დაღუპვა.

მ. ჯავახიშვილის 1921-1923 წლების ანტისაბჭოთა პოლიტიკური ცხოვრების ეპიზოდები ლიტერატორ-კრიტიკოსებს შორის შედარებით ფართოდ წარმოაჩინა დიდი მწერლის ღირსეულმა ბიოგრაფმა და ქალიშვილმა ქალბატონმა ქეთევან ჯავახიშვილმა. მას მამის ნათელი ხსოვნის წინაშე უდიდესი მოვალეობის გრძნობამ რამდენიმე წიგნი და მრავალი სტატია დააწერინა. მათ შორის, წინამდებარე წიგნის ინტერესებიდან გამომდინარე, განსაკუთრებით საყურადღებოდ გვესახება მონოგრაფიები „მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება" (თბ., 1991) და „მოგონებები მამაზე" (თბ., 2000). თითოეული მათგანი ეყრდნობა საოჯახო და სახელმწიფო არქივებში გამოვლენილ მრავალმხრივ საყურადღებო მასალას. მათში მ. ჯავახიშვილის სამწერლო შემოქმედების ფაქტებთან ერთად გვხვდება ისტორიის წყაროები მამის უაღრესად მძიმე და ტრაგიკული ცხოვრებისეული პერიპეტიების შესახებ. ამასთან, „მოგონებანი მამაზე" ჩვენთვის საყურადღებოა იმ მხრივაც, რომ მასში მეტი ყურადღება ეთმობა მწერლის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების გამოკვლევა-გაშუქებას. ავტორი მ. ჯავახიშვილის ნაწარმოებების განხილვისას მეტ ყურადღებას უთმობს მასთან დაკავშირებული მოვლენების ახსნას. იგი ამით მკითხველს შესაძლებლობას უქმნის, ღრმად გაიაზროს კონკრეტული სიტუაციები, მ. ჯავახიშვილის სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებები და მისი კონკრეტული გადაწყვეტილებების მოტივაცია. ეს მნიშვნელოვნად ამდიდრებს მ. ჯავახიშვილის პოლიტიკური ცხოვრების სურათს. მაგრამ ამასთანავე, ჩვენი აზრით, მომდევნო წიგნში შემდგომი განვითარება ვერ პოვა დიდი მწერლის 1921-1923 წლების პოლიტიკურმა საქმიანობამ, რომელიც საინტერესოდ აისახა წიგნში „მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება". მასში შეტანილია უაღრესად საყურადღებო, ქარაგმული ჩანაწერები პირადი მოგონებებიდან – „ლილიდან საღამომდე". არა და, ეს არის სწორედ ყველაზე მნიშვნელოვანი წყარო მწერლის 1921-1923 წლების პოლიტიკური მოღვაწეობისა, რომელიც მ. ჯავახიშვილის შესახებ ფილოლოგიური მეცნიერების სფეროში აქამდე გამოქვეყნებულა (გვ. 28-31). გაუგებრობას იწვევს წიგნში „მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება" შეტანილი მწერლის უბის წიგნაკის ერთი ჩანაწერი: „ჩემი მოქმედება

1921-1923 წლებში ჰგავდა იმ ადამიანის საქციელს, რომელმაც ცურაობა არ იცის, მაგრამ სხვის დასახმარებლად ისკუპა ხიდიდან და წყალში გადავარდა...“ (გვ. 27). აქ საჭიროა ითქვას, რომ ამ შემოკლებული და ბევრისათვის გაუგებარი უბის წიგნაკის ჩანაწერიდან, აგრეთვე იმ დოკუმენტებზე დაყრდნობით, რომლებიც ბოლო წლებში გახდა ხელმისაწვდომი, ძალიან ბევრ მოვლენას ეძებნება ახსნა. უტყუარი საბუთებითა და ამ ჩანაწერებით არ დასტურდება, რომ მ. ჯავახიშვილის 1921-1923 წლების პოლიტიკური მოქმედება იმ ადამიანის საქციელს ჰგავდა, „რომელმაც ცურაობა არ იცის“. როგორც წინამდებარე წიგნის სათანადო თავებსა და გვერდებზე ვნახავთ, მ. ჯავახიშვილი 1921-1923 წლების პოლიტიკური მოღვაწეობის დროს სწორად მოქმედებდა, ე.ი. კარგად „ცურავდა“. საფიქრებელია, რომ აღნიშნული წინადადება რაიმე კონკრეტულ ამბებთან იყო მისადაგებული და არა მოცემული პერიოდის მის საერთო პოლიტიკურ მოღვაწეობასთან. აღნიშნული სიტყვები შეიძლება იმასაც გულისხმობდეს, რომ საყოველთაოდ აღიარებული მწერალი მ. ჯავახიშვილი საკუთარ თავს, როგორც პოლიტიკოსს, გაცილებით უფრო დიდ მოთხოვნებს უყენებდა. დაბოლოს, აუცილებელია აღინიშნოს, რომ ქ. ჯავახიშვილის წიგნებს ახასიათებთ დიდი მწერლის ცხოვრებისეული პერიპეტიების ახსნის მიზნით მის პიროვნებასა და შემოქმედებასთან დაკავშირებული მთელი რიგი ისეთი გარემოებების წარმოჩენა, რომლებიც მიზნად ისახავენ კრიტიკოსთა მიერ მწერალი მამის მიმართ ზოგი უარყოფითი შეფასების შეურაცხყოფად გაგებას, რომლებსაც არ შეიძლებოდა არ გამოეწვიათ უამრავი ადამიანის უკმაყოფილება. არა და, მ. ჯავახიშვილს მტერი და მოშურნე ისედაც არ აკლდა, ამის შემდეგ კი მდგომარეობა კიდევ უფრო დაიძაბა.

ჩვენი აზრით, ლიტერატორ-კრიტიკოსების იმ ნაწარმოებებიდან, რომლებშიც შედარებით ფართოდ და ზოგადპრინციპული თვალსაზრისით სწორად აისახა მ. ჯავახიშვილის (და არა მარტო მისი, არამედ აგრეთვე ბევრი სხვა მის მდგომარეობაში მყოფი მწერლის) 1921-1924 წლების პოლიტიკური ცხოვრება და შემდგომი ცხოვრებისეული პერიპეტიები, უაღრესად საყურადღებოა რევაზ კვერენჩხილაძის გამოკვლევა — „წამების გზა...“ ავტორმა მოცემული წიგნის სპეციალურ თავში „ჩემი ცხოვრებაც გახევდა და მეც გავხევდი“, წინამორბედი ლიტერატორებისა და ისტორიკოსებისაგან განსხვავებით, მეტი ყურადღება დაუთმო მ. ჯავახიშვილის 1921-1923 წლების პოლიტი-

კური ცხოვრების ამოუცნობი, საჩოთიროდ და ავად გაგებული საკი-თხების გააზრებას. რ. კვერენჩხილაძემ შეძლო:

1. მ. ჯავახიშვილის, ს. დადიანის, გრ. რცხილაძის, კ. ანდრონი-კაშვილის, ი. ჯავახიშვილის ჩვენებების, აგრეთვე შ. ქარუმიძის, შ. მაღლაკელიძის და ი. სტალინის თვალსაზრისებისა და იმდროინდელი რეალობის ურთიერთდაკავშირებული, პრინციპულად სწორი ანალიზი; 2. გამოარკვია და გააშუქა რეალურ საერთაშორისო და საშინაო ვი-თარებაში მ. ჯავახიშვილის სწორი პოზიცია ქ. ჩოლოყაშვილის პა-რტიზანული გამოსვლებისა და, საერთოდ, ანტისაბჭოთა ქართული აჯანყებისადმი; 3. სწორად ახსნა ისტორიკოსთაგან საეჭვოდ და სა-ჩოთიროდ გაგებული მ. ჯავახიშვილის მოქმედების მოტივაცია, ე.წ. „ბანდიტური" გამოსვლების ნეიტრალიზაციის და „დეკლარანტული" განცხადების ხელმოწერასთან დაკავშირებით. რ. კვერენჩხილაძე წერს: „სავარაუდოა, აჯანყების მოსალოდნელი სავალალო შედეგების გა-თვალისწინებამ აიძულა მ. ჯავახიშვილი ევალდებულა ქ. ჩოლოყა-შვილთან მოლაპარაკების გზით დაეშალა მისი რაზმი... ეს ჯდებოდა აჯანყებამდე ხელისუფლებასთან შეტაკების აღკვეთით თავის გამო-მჟღავნების ტაქტიკურ გეგმაში..." (გვ.158-159) და „... აი ამიტომ აიღო მან ასეთი ვალდებულება...(გვ. 160). 4. რ. კვერენჩხილაძემ სწორად შენიშნა ანტისაბჭოთა არალეგალური მოძრაობის რეალი-სტურ-რადიკალური მიმართულების მწერლებისადმი საბჭოთა სახე-ლმწიფო სამწერლო დაწესებულების (მწერალთა კავშირის) პატრი-ოტი, რეალისტურ-კომპრომისული (ლიბერალური) წარმომადგე-ნლობის თანადგომის მაგალითები და ისინი თავის წიგნში პირველმა ფართოდ წარმოაჩინა. მკვლევრისა და ავტორის ამ მიგნებებს ზო-გადთეორიული ღირებულებაც აქვს, რადგან იმავე მოვლენასთან გვა-ქვს საქმე უნივერსიტეტის ე.წ. „მემარჯვენე პროფესურის", ანუ ხე-ლისუფლების მიმართ კომპრომისულად მებრძოლთა და უნივერსი-ტეტელი არალეგალი რადიკალებისადმი გამოსარჩლების სახით. ეს კი იმას მეტყველებს, რომ აღნიშნული ორი მიმდინარეობის წარმო-მადგენელთა იდეურ-პოლიტიკური თანხვედრა და თანადგომა ეჭვგა-რეშეა, მაშინ როცა ანტისაბჭოთა კომპრომისული და ექსტრემისტულ-ავანტიურისტული წარმომადგენლობის ურთიერთობაში, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ადგილი აქვს მკაფიო გამიჯვნას. ამასთანავე, რ. კვერენჩხილაძემ, ჩვენი აზრით, ბოლომდე ვერ ახსნა მ. ჯავახიშვი-ლის 1921-1923 წლების პოლიტიკური ცხოვრების ყველა შესაძლო

და საჭირო ნიუანსი. მაგრამ ეს არის ისტორიკოსების კომპეტენცია და, ამდენად, მათ შესახებაც საუბარი გვექნება წინამდებარე წიგნის სათანადო გვერდებზე. აქ უნდა აღინიშნოს, რომ ავტორის მიერ მ. ჯავახიშვილის 1921-1923 წლების ცხოვრებისეული პერიპეტიების შემეცნება და გაშუქება ძირითადად, უდავოდ, სწორია. აქ გასაკვირი ის კი არ არის, თუ რატომ არ გაარკვია ავტორმა მ. ჯავახიშვილის პოლიტიკური ცხოვრების ზოგიერთი ნიუანსი, არამედ ის, თუ რატომ ვერ მიაგნეს მ. ჯავახიშვილის პოლიტიკური ცხოვრებისა და ღვაწლის გაუკუღმართებულად გამგებმა თანამედროვე ისტორიკოსებმა იმას, რაც რ. კვერენჩხილაძემ მათთან შედარებით გვიან წამოსწია და რაც ჭეშმარიტად იყო ხელჩასაჭიდი, წარმოსაჩენი და ღირებული მ. ჯავახიშვილის ამ პერიოდის პოლიტიკურ ცხოვრებაში. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ ლიტერატორებმა თავიანთი უდავოდ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მ. ჯავახიშვილის ეპოქის და მისი, როგორც პოლიტიკოსის, სწორი გაგების რთულ საქმეში.

მაგრამ მ. ჯავახიშვილის 1921-1923 წლების პოლიტიკური ცხოვრების შედარებით ნათელი სურათის შექმნისათვის, ისევე როგორც კ. მისაბიშვილის პოლიტიკური პორტრეტის ასახვისათვის განსაკუთრებული ღირებულება მაინც ისტორიკოსების პუბლიკაციებს და შესაბამისი პერიოდის ისტორიის წყაროებს აქვთ. ამიტომ ისტორიკოსთა შრომები ჩვენი კვლევის უმთავრეს საყრდენს წარმოადგენს. მაგრამ მ. ჯავახიშვილის ანტისაბჭოთა არალეგალური ბრძოლის ეპიზოდების ამსახველი თანამედროვე ისტორიკოსების ნაშრომების ფაქტოლოგია და კონცეფცია ძირითადად იმ ემიგრანტულ-პატრიოტულ პუბლიკაციებს ეყრდნობა, რომლებიც სინამდვილის მიზნობრივ „გალამაზება"-გამრუდებას ისახავენ მიზნად. ამიტომ, წინამდებარე წიგნის მიზანდასახულობებთან დაკავშირებით, ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას ემიგრანტი ავტორები იპყრობენ.

ემიგრანტულ პუბლიკაციებს შორის, პირველ ყოვლისა, ღირებულია ავტორთა ნაწარმოებები, რომლებშიც გამოკვლეული და გაშუქებულია 1921-1924 წლების და შემდგომი პერიოდის ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობის ისტორია. ეს არის უპირატესად 1921-1924 წლების ანტისაბჭოთა ბრძოლის აქტიურ მონაწილეთა და მათთან დაკავშირებულ პირთა მოგონებები და ნარკვევები, რომლებმაც მათი ემიგრანტული ცხოვრების წლებში საქართველოში არალეგალურად შემოაღწია, ხოლო შემდგომ, ეროვნული მოძრაობის ინტერესებით,

ბას, მოვლენების გაუგებრობას, პიროვნებათა და პარტიათა შორის ერთობის მაგივრად შულლსა და შეხლა-შემოხლას" (გვ. 6).

სამწუხაროდ, ავტორთა სოლიდარობა და პრინციპულ საკითხებზე აზრის კოლეგიალური გაცვლით სიმართლისაკენ ერთობლივი მისწრაფებით ჩვენი წარსულის „თეთრი ლაქების" გაშუქება დამოუკიდებელ საქართველოშიც ძნელად ხერხდება. წინამორბედი ავტორები კი ამ მხრივ ბევრად საყურადღებონი არიან. ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ მოგონებების ავტორები მემორიალური ისტორიის შექმნისას ეყრდნობიან არა მარტო საკუთრივ ნანახის მათეულ აღქმას, არამედ აგრეთვე სხვა თანამოაზრე-თანამებრძოლების მონათხრობს, რომლის დროსაც, ცალკეულ შემთხვევებში, თავს ვერ აღწევენ ისეთი უზუსტო ფაქტების გადმოცემას, რომლებიც ისტორიის უტყუარი წყაროებით არ დასტურდება. ისინი ზოგჯერ გადაჭარბებით ენდობიან საკუთარ მეხსიერებას. აღნიშნული მდგომარეობა ჩვენს თანამედროვე ავტორებშიც არცთუ იშვიათად იწვევდა არა მარტო ფაქტოლოგიურ შეცდომებს, არამედ აგრეთვე საკითხების კონცეპტუალური გაგების უმართებულობას. მაშასადამე, ემიგრანტული მემუარული პუბლიკაციები აუცილებლად საჭიროებენ კრიტიკულ დამოკიდებულებას და მართებულად დადგენილ უტყუარ ცოდნასთან შეჯერებას. ეს უთუოდ ძნელი, მაგრამ აუცილებელი საქმეა.

ემიგრანტული ლიტერატურიდან განსაკუთრებული ღირებულება აქვს დოკუმენტური ბაზის მქონე ნარკვევებს. მაგრამ აქაც შეინიშნება მათი ავტორების მიერ ფაქტებისა და დასკვნების, საერთო ინტერესებიდან გამომდინარე, მათი გამაუბედურებელი ბოლშევიზმის ისტორიის სამარცხვინო ბოძზე გაკვრის განსაკუთრებული მისწრაფებით გამოწვეული ტენდენციურობა. მაშასადამე, ემიგრანტი ავტორების ნაწერებში ვხვდებით ერთგვარ ტენდენციურობას, რაც უთუოდ გასათვალისწინებელია. წინააღმდეგ შემთხვევაში შეცდომები გარდაუვალია.

ემიგრანტული მწერლობის ცალკეული ხარვეზების შესახებ საუბარი წინამდებარე წიგნის სათანადო გვერდებზე და კონკრეტული ისტორიის ანალიზის დროს გვექნება. მაგრამ, ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ ემიგრანტული პუბლიცისტიკა, მემუარული მწერლობა და სპეციალური გამოკვლევები უაღრესად მდიდარ საინფორმაციო მასალას შეიცავენ 1921-1924 წლების ქართული ანტისაბჭოთა ერო-

ვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიის შესასწავლად. ამიტომ არის, რომ 80-90-იანი წლების ჩვენი ავტორების ნაშრომების ძირითად საყრდენ ფაქტოლოგიურ თუ კონცეპტუალურ საფუძველს ქმნის სწორედ ეს ზემოთ აღნიშნული მემკვიდრეობა.

1921-1923 წლების ანტისაბჭოთა ბრძოლის ისტორიის საკითხები თავისებურად, კლასობრივი ბრძოლის, საბჭოთა კომუნისტური იდეოლოგიის და პრინციპების პოზიციებიდან, აისახა საბჭოთა ხელმძღვანელ პირთა და მათი იდეოლოგიის მსახურთა ნააზრევის სახით.[1] მათში ეს ისტორია გაშუქებულია როგორც მშრომელთა, მუშურ-გლეხური სახელმწიფოს მოწინააღმდეგე, მტრული, კონტრრევოლუციური ძალების, უპირატესად ბურჟუაზიული და ნაციონალისტური წარმომადგენლების (ანტისაბჭოთა პარტიების, კულაკების, ვაჭრების, თავადაზნაურობის და სხვ. „რეაქციული" ძალების) რესტავრატორული მისწრაფებებიდან გამომდინარე გამოხდომა, რომელსაც მხარს უმაგრებდა საზღვარგარეთის იმპერიალისტური წრეები. ამ ნაწერებში, როგორც წესი, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ყურადღება არ ექცევა ანტისაბჭოთა მოძრაობის შინაგანი მიზეზების ახსნას.

1921-1924 წლების ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობის ისტორიის ობიექტური გაშუქების ცდა ჩვენს რესპუბლიკაში შესაძლებელი გახდა ე.წ. საბჭოთა „პერესტროიკის" და სოციალიზმის დამუხრუჭების მექანიზმის ძიებასთან დაკავშირებით. ამ დროს შესაძლებელი შეიქმნა წარსულის „თეთრი ლაქების" წარმოჩენა და, სოციალიზმის

---

1 ი. სტალინი, სოფლად მუშაობის მორიგი ამოცანების შესახებ, თხზ., ტ. 6; ს. ორჯონიკიძე, მენშევიკების ავანტურა საქართველოში, თბ., 1924; მისივე, XIV პარტყრილობის შედეგების შესახებ, გაზ. „კომუნისტი", 1926, 16 იანვარი; მ. კახიანი, მენშევიკების ავანტურა საქართველოში, თბ., 1924; მისივე, მენშევიკები საბუშაოზე, თბ., 1924; მისივე, მენშევიკების გამოსვლის შედეგები და გაკვეთილები, თბ., 1927; ლ. ღოღობერიძე, ქართული ემიგრაცია და ანტისაბჭოთა პარტიების მუშაობა, თბ., 1927; კ. სულაქველიძე, რა მოხდა (ვინ და როგორ მოაწყო აგვისტოს აჯანყება), თბ., 1927; ა. კიკვაძე, ნ. მახარაძე, საქართველოს ისტორია, ნაწილი მეორე (1861-1941 წწ.) აკად. ნ/წ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1950; ი. კაჭარავა, კლასობრივი ბრძოლის გამწვავება და ანტისაბჭოთა ფრონტის ლიკვიდაცია, იხ. წიგნში: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 7, თბ., 1976, გვ. 182-209; საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები, თბ., 1971.

ხარვეზების გამოვლენა-დაძლევის ინტერესებით, რეალური სოციალიზმის სათავეებში გამოვლენილი მანკიერებების მხილება. ჩვენს ოფიციალურ პრესაში უკვე 80-90 წლების ზღვარზე ქვეყნდება წერილები, რომლებშიც პირველად წარმოჩნდა საბჭოთა პოლიტიკური რეპრესიების ამსახველი ფაქტები, მათი წარმოშობის მიზეზ-შედეგობრიობა და 1924 წლის ანტისაბჭოთა აჯანყების ისტორიის საკითხების ახლებური ობიექტური ახსნა.

საბჭოთა პერიოდის საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების, პოლიტიკური რეპრესიების და მათ შორის 1921-1924 წლების ეროვნული მოძრაობის საკითხებზე საუბარი საბჭოთა პრესის ფურცლებზე, ჯერ კიდევ კომუნისტური პარტიის განუყოფელი მმართველობის პირობებში, 1989 წლიდან იწყება. ამ წლის დასაწყისში გაზეთმა „სახალხო განათლებამ" ქართულ და რუსულ ენებზე წამოიწყო ჩვენი პუბლიკაციის სერიის ბეჭდვა საერთო სათაურით: „დიდი ბოროტების სათავეები და შედეგები". 29 მარტისა და 5 აპრილის სტატიებში ამ დროისათვის ჩვენთვის ცნობილი ალტერნატიული და არაორდინალური წყაროების გამოყენებით, ოფიციალური, საბჭოთა ისტორიოგრაფიის აზრის საწინააღმდეგო კონცეფციაზე დაყრდნობით, პირველად გაშუქდა ანტისაბჭოთა მოძრაობის და 1924 წლის აჯანყების ზოგადი ისტორია. აქ ნათქვამი იყო, რომ დემოკრატიული საქართველოს რესპუბლიკის საბჭოთა რუსეთის მიერ დაპყრობის და მისი ეროვნული სუვერენიტეტის შეზღუდვის საფუძველზე, სათავე დაედო ქართველი ხალხის ბრძოლას და 1924 წლის აჯანყებას. ავტორმა ეს აზრი შემდგომ საგაზეთო პუბლიკაციებში „სისხლიანი სტრიქონებით" განავითარა. ისინი საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების არქივში მოპოვებულ 1924 წლის აჯანყების მონაწილეთა დახვრეტის სიებში ჩამოთვლილ, სამშობლოს განთავისუფლებისათვის სახელმწიფოებრივ-ჩეკისტური რეჟიმის მიერ მოსპობილ მამულიშვილთა დემოგრაფიული ცნობების წარმოჩენას და მოვლენების განზოგადებულ გააზრებას მიეძღვნა.[1] ამას გარდა, ჯერ კიდევ ეროვნული ხელისუფლების გამარჯვებამდე, ეროვნული მოძრაობის აღმავლობისა და რესპუბლიკის ხელისუფლების ლოიალური დამოკიდებულე-

---

1 იხ.: „ახალგაზრდა ივერიელი", 1990, სექტემბერი. გაზეთის დანართი, 193 დახვრეტილის სია და გაზ. „სიმართლე" - შემდეგში წოდებული „ეროვნულ მილიციად", 1991, 9 იანვარი; 2 ივლისი.

ბის ვითარებაში, შემდეგ კი საქართველოში ეროვნული ხელისუფლების გამარჯვების პირველ წლებში პრესაში გამოქვეყნდა ირ. გოცირიძის, აკ. სურგულაძის, ავთ. მენთეშაშვილის, ალ. მუჯირის, ნ. კირთაძის, ნ. კვეზერელი-კოპაძის, ი. მეგრელიძის, გ. ჩხაიძის, გ. ჟვანიას, ს. კვაჭაძის და სხვათა საგაზეთო თუ საჟურნალო წერილები.[1] მათში ანტისაბჭოთა ეროვნული ბრძოლის, კერძოდ, 1924 წლის აჯანყების ისტორიის საკითხები ეროვნული ინტერესების პოზიციიდან

---

1 გ. ციციშვილი, დიდი ბოროტების სათავეები და შედეგები, გაზ. „სახალხო განათლება" (იგივე გაზ. „ერი"), 1989, 15 თებერვალი, 29 მარტი, 5 აპრილი; მისივე, სისხლიანი სტრიქონები, გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი", 1990, სექტემბერი; გაზ. „სიმართლე", 1990, №1, 2, 3; გაზ. „ეროვნული მილიცია", 1991, №1; ირ. გოცირიძე, 1924 წლის სისხლიანი ზაფხული... ანუ რა ვუყოთ ფაქტებს, გაზ. „სახალხო განათლება", 1989, 7 ივნისი; აკ. სურგულაძე, 1924 წლის აჯანყება, გაზ. „სახალხო განათლება", 1989, 5 ივლისი; ავთ. მენთეშაშვილი, სამი წერილი ოციანი წლების საქართველოს ისტორიიდან, გაზ. „კომუნისტი", 1989, 17 აგვისტო; ე. გიორგაძე, საქართველოს სახელოვანი სახალხო გვარდია, „სახალხო განათლება", 1990, 6 დეკემბერი; მისივე, გვარდიის წინამძღოლი ვალიკო ჯუღელი, თბ. 1993; ალ. მუჯირი, ოცდაათხი წლის აგვისტოს ცხელი დღეები, გაზ. „კომუნისტი", 1990; მისივე, 117 წლის შემდეგ ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა, ჟურნ. „მნათობი", 1991, №6, 7; დ. გოგოჭური, ი. ლიქოკელი, ხევსურეთის აჯანყება და ქაქუცა ჩოლოყაშვილი, ჟურნ. „პოლიტიკა", 1991, №1; ი. მეგრელიძე, 1924 წლის აგვისტოს აჯანყებიდან, გაზ. „ახალგაზრდა ივერიელი",1991, 31 აგვისტო; ნ. კირთაძე, ერთი რგოლი ისტორიის ჯაჭვში, გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 1989, სექტემბერი; მისივე, საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა შეთანხმება, გაზ. „განათლება", 1991; მისივე, ისტორიული პოლიტიკური პროცესი, გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 1991, 18-25 იანვარი; ნ. კვეზერელი-კოპაძე, არ არის საიდუმლო, რაიც არ გაცხადდეს, გაზ. „თაობა", 1991, 21 თებერვალი; გ. ჩხაიძე, აჯანყება, რომელიც თავიდანვე განწირული იყო, გაზ. „ქომაგი", 1991, №36; ავთ. სონღულაშვილი, 1924 წლის აგვისტო საქართველოში (იხ. კრებულში: „დიდგორი", ისტორიული სამეცნიერო პოპულარული კრებული. თბ., 1991, გვ. 77-88); მ. მაცაბერიძე, 1924 წლის აჯანყება და ქართული პოლიტიკური აზრი, ჟურნ. „პოლიტიკა", 1991, №8; მისივე, აჯანყებულთა ტაქტიკა 1924 წელს დასავლეთ საქართველოში, ჟურნ. „მხედარი", 1991, №2; ვ. რცხილაძე, შ. მაღლაკელიძის „მოგონებანი", ჟურნ. „განთიადი", 1991, №1-2; შ. ხიდაშელი, უსათაურო მოგონებანი, ჟურნ. „განთიადი", 1991, №3; გრ. ჟვანია, ეროვნული ღირსებისათვის ბრძოლის მნიშვნელოვანი ნიშანსვეტი, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 1994, 30 აგვისტო; ს. კვაჭაძე, 70 წლის წინათ, 1924 წელს, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 1994, 30 აგვისტო.

შედარებით ფართოდ, ამასთან, ავტორების ზოგჯერ ინდივიდუალური ხედვით აისახა.

1921-1924 წლების საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების ახსნას განსაკუთრებით დიდი ყურადღება დაეთმო ავტორების ვ. ბენიძის, რ. გრძელიძის, გ. ცხოვრებაძის, ნ. კირთაძის სპეციალურ ბროშურებსა[1] და წიგნებში.[2] მათში თავმოყრილი და გამოყენებული იქნა პრობლემის გარშემო არსებული თითქმის მთელი ის მასალა, რომელიც წინამორბედმა ავტორებმა ასახეს. ამასთანავე, აღნიშნულმა ავტორებმა ფართოდ გამოიყენეს საბჭოთა პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებული ინფორმაცია და სხვადასხვა, მათთვის ხელმისაწვდომი, სახელმწიფო არქივების დოკუმენტები. ავ. მენთეშაშვილმა, მ. ცხოვრებაძემ და ნ. კირთაძემ ყურადღება დაუთმეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და სოციალ-დემოკრატიული პარტიის საარქივო ე.წ. ჰარვარდის ფონდის უნიკალური ისტორიის წყაროების გამოვლენასა და სამეცნიერო ბრუნვაში შემოტანას. 1921-1924 წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიის წყაროების გამოვლენისა და გამოქვეყნების საქმეში განსაკუთრებით დიდი და სასარგებლო შრომა გასწია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იმჟამინდელმა საქართველოს პოლიტიკური პარტიების ისტორიის კათედრის ასპირანტმა ნ. კირთაძემ. მან 1990-1991 წლებში საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების (ე.წ. „სუკის") არქივში მოიძია 1921-1924 წლების ანტისაბჭოთა ბრძოლის ამსახველი უნიკალური დოკუმენტების დიდი რაოდენობა. ისინი ჯერ საკუთრივ მომზადებულ სპეციალურ ნარკვევს[3] დაურთო როგორც დოკუმენტური მასალა,[4] ხოლო შემდეგ მთელი რიგი სხვა ახალი საბუთების დამატებით ცალკე დოკუმენტების კრებულის სახით გამოაქვეყნა.[5] ამ დოკუმენტებზე დაყრდნობით, ნ. კი-

---

1 ვ. ბენიძე, 1924 წლის აჯანყება საქართველოში, თბ., 1991; რ. გრძელიძე, 1924 წლის სახალხო აჯანყება საქართველოში, თბ., 1992.

2 გ. ცხოვრებაძე, ქართული პოლიტიკური ემიგრაცია და საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი 1921-1925 წლებში, 1996; ნ. კირთაძე, 1924 წლის აჯანყება, ქუთაისი, 1996.

3 ნ. კირთაძე, 1924 წლის აჯანყება, ქუთაისი, 1996, გვ. 3-193.

4 იქვე, გვ. 197-458.

5 მისივე, კაენ სად არის ძმა შენი? თბ., 1998.

რთაძემ მოამზადა და წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. მან ამასთანავე მომდევნო მკვლევრებს შეუქმნა 1921-1924 წლების ეროვნული მოძრაობის ისტორიის კვლევის შემდგომი გაღრმავების დიდი შესაძლებლობა. მის უაღრესად საყურადღებო შრომებს გვერდს ვერ აუვლის ქართული ანტისაბჭოთა ეროვნული ბრძოლის ისტორიით დაინტერესებული მკვლევარი, მით უმეტეს ის, ვისაც აინტერესებს ეროვნული მოძრაობის 1921-1924 წლების ისტორიის შემდგომი გაღრმავებული შესწავლა და გაშუქება. ამასთან აღსანიშნავია ისიც, რომ ნ. კირთაძის ერთ მონოგრაფიულ გამოკვლევასა და სადოქტორო დისერტაციაში სრულად ვერ იქნებოდა წარმოჩენილი მის მიერ გამოქვეყნებული უაღრესად მრავალმხრივი და მდიდარი ინფორმაციის შემცველი დოკუმენტების ანალიზი. ამდენად, ამ თვალსაზრისით, ისტორიკოსებს შემდგომი გაღრმავებული კვლევის შესაძლებლობა შეექმნათ.

90-იან წლებში გამოქვეყნდა საარქივო მასალაზე დაფუძნებული მრავალი სხვა უაღრესად საყურადღებო განმაზოგადებელი წიგნი და სპეციალური ნარკვევი, რომლებმაც მნიშვნელოვნად გაამდიდრეს ანტისაბჭოთა ეროვნული ბრძოლის ისტორია. მათ შორის, ჩვენი აზრით, საყურადღებოა აკაკი და პაატა სურგულაძეების, ფარნაოზ ლომაშვილის, მიხეილ გაფრინდაშვილის, ლ. თოიძის, შ. ვადაჭკორიას, რ. გრძელიძის, ალ. დაუშვილის, ვ. გურულისა და მ. ვაჩნაძის წიგნები. პრობლემის გაღრმავებული შემეცნებისათვის განსაკუთრებით ღირებულია სპეციალური გამოკვლევები, რომელთა ავტორები არიან ო. ჯანელიძე, ნ. ხუციშვილი, ავთ. სონღულაშვილი, ავთ. მენთეშაშვილი, გელა საითიძე, გ. ციციშვილი[1].

---

[1] აკ. სურგულაძე, პ. სურგულაძე, საქართველოს ისტორია, საკითხავი წიგნი, თბ., 1991; ფ. ლომაშვილი, საქართველოს ისტორია, XI კლასის სახელმძღვანელო, თბ., 1991; ი. ანთელავა, მ. გაფრინდაშვილი, მ. ვაჩნაძე, გ. მელიქიშვილი, რ. მეტრეველი, საქართველოს ისტორია, უძველესი დროიდან დღემდე, ილია ანთელავას რედაქციით, თბ., 1996; ლ. თოიძე, ინტერვენციაც, ოკუპაციაც, ძალდატანებითი გასაბჭოებაც, ფაქტობრივი ანექსიაც, თბ., 1991; მისივე, საქართველოს პოლიტიკური ისტორია (1921-1924 წლები), თბ., 1999; რ. გრძელიძე, საქართველოს პოლიტიკური პარტიების ისტორია (1910-1924), თბ., 1998; ალ. დაუშვილი, თბილისი 1937 (მასობრივი რეპრესიები თბილისის სამრეწველო შრომით კოლექტივებში), თბ., 1997; ვ. გურული, მ. ვაჩნაძე, საქართველოს ისტორია (XIX-XX სს.) აბიტურიენტებისათვის, თბ., 1999; მათივე, საქართველოს ისტორია, სასკოლო

ზემოთ დასახელებულ ავტორთა ნაშრომები ჩვენს ყურადღებას იპყრობენ არა მარტო იმ მხრივ, რომ მათში მეტ-ნაკლებად ღრმად არის შესწავლილი ანტისაბჭოთა მოძრაობის ისტორიის ის პერიოდი (1921-1923), როდესაც ანტისაბჭოთა პოლიტიკურ მოღვაწეობას ეწეოდნენ კ. მისაბიშვილი და მ. ჯავახიშვილი, არამედ იმ თვალსაზრისითაც, რომ მათში ასახულია ავტორთა კონცეპტუალური აზრი, რომელიც აუცილებლად გასათვალისწინებელია აღნიშნული პიროვნებების მნიშვნელოვანი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მოტივაციისა და მათი პოლიტიკური პორტრეტის ასახსნელად. ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იპყრობს აგრეთვე სპეციალურად სამშობლოსათვის ბრძოლაში დაღუპული მამულიშვილების ხსოვნის თარიღებისადმი მიძღვნილ გაზეთში „აგვისტო - 1924" (1998, 1999 – დამფუძნებელი და რედაქტორი რ. გრიგოლავა) გამოქვეყნებული

სახელმძღვანელო, თბ., 2000; შ. ვადაჭკორია, ეროვნული სახელმწიფოებრიობის საკითხი ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში (1921-1923 წწ.), თბ., 1998; ო. ჯანელიძე, დახმარება რომ გვქონოდა, გავიმარჯვებდით (1924 წლის აჯანყება და ქართული პოლიტიკური ემიგრაცია), ჟურნ. „მნათობი", 1997, №11-12, გვ. 191-199; მისივე, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, სად. დის. ავტორეფერატი, თბ., 1999; ნ. ხუციშვილი, მძიმე ტრაგიკული დღეები, 1924 წლის აგვისტოს აჯანყება, საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივის დოკუმენტების მიხედვით, ჟურნ. „საისტორიო მოამბე", 1996; ავთ. სონღულაშვილი, 1924 წლის აგვისტო საქართველოში, იხ.: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის იე. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის კრებული „დიდგორი", თბ., 1991, გვ. 77-88;გ. საითიძე, სწამდა საქართველოს აღორძინება (გენერალი კონსტანტინე აფხაზი), თბ., 1997; დორა სახოკია, „ფარული ცხოვრების ერთი ფურცელი", პუბლიკაცია მოამზადა და გამოაქვეყნა შ. აფრიდონიძემ, იხ. გაზ. „თბილისი", 1997, 20 მაისი; ავთ. მენთეშაშვილი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დიპლომატიური ღონისძიებანი ქვეყნის დამოუკიდებლობის აღსადგენად, იხ.: ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევი, ნ. II, რ. მეტრეველის რედაქტორობით, თბ., 1998; გ. ციციშვილი, უცნობი ივანე ჯავახიშვილი, პოლიტიკური ცხოვრება, წერილი მერვე, გაზ. „სამშობლო ფორტე", 1996, №20; მისივე, ჩეკისტური ბრალდებები შალვა ნუცუბიძის მიმართ და მათი დოკუმენტურ-ანალიტიკური კომენტარები, თბ., 1998; მისივე, ეროვნული მოძრაობა და 1924 წლის აჯანყება, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 1999, 27, 28, 31 აგვისტო; მისივე, ნ. ჟორდანიას წერილი ს. დ. პარტიის ცეკას, გაზ. „ახალი საქართველო", 1999, აგვისტო, აგვისტო-სექტემბერი.

წერილები, რომელთა ავტორები უმთავრესად არიან 1921-1924 წლებში დაღუპულთა შთამომავლები: პ. ბელთაძე, ც. ცინცაძე-ფირცხალავა და სხვ. მაგრამ ამასთანავე აუცილებელია ითქვას, რომ ისტორიოგრაფიამ ვერ შეძლო 1921-1923 წლების ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობის რეალური ისტორიის შესაბამისი კონცეფციის შემუშავება და სათანადო ფუნდამენტური მონოგრაფიის შექმნა.

II. უმნიშვნელოვანესი წყაროები 1921-1924 წლების ანტისაბჭოთა მოძრაობის საკითხებთან დაკავშირებით ხელისუფლებამ ჯერ კიდევ 1925 წელს იმ მიზნით გამოაქვეყნა, რომ გაემართლებინა 1921-1924 წლებში ანტისაბჭოთა „კონტრრევოლიციური" მებრძოლი ძალების და 1924 წლის აჯანყების მონაწილეების მიმართ განხორციელებული რეპრესიები. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი არის ქართულ (126 გვ.) და რუსულ (120 გვ.) ენებზე 60 ათასი ეგზემპლარის საერთო ტირაჟით გამოქვეყნებული **„საქმე საქართველოს ანტისაბჭოთა პარტიების პარიტეტული კომოტეტის შესახებ (საბრალმდებლო დასკვნა). იუსტიციის სახალხო კომისარიატის გამოცემა."** ამ დოკუმენტურ ნარკვევს ხელს აწერს „აღმოსავლეთ საქართველოს საოლქო სასამართლოს უფროსი გამომძიებელი კუპრაშვილი" (გვ. 126). მკვლევარმა ნ. კირთაძემ სუკის არქივში პირველმა გამოავლინა ამ ნარკვევის საფუძველი (არქივი №8) და სამეცნიერო ბრუნვაში შემოიტანა მისი ფრაგმენტები (იხ. ნ. კირთაძე, ისტორიული პოლიტიკური პროცესი, გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 1991, 18, 25 იანვარი და სხვ.). მკვლევარმა მ. ხომერიკმა, ამ ჩეკისტურ დოკუმენტებზე დაყრდნობით, მოამზადა საგაზეთო პუბლიკაცია „Рукописи не горят" (იხ. გაზ. „Свободная Грузия", 1992, 21 მარტი). ამის შემდეგ აღნიშნული დოკუმენტის ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილი რუსულიდან თარგმნა და გამოაქვეყნა მკვლევარმა ვ. გურულმა. ამასთანავე, მან მიაკვლია ამ დოკუმენტური ნარკვევის საფუძველს. როგორც ირკვევა, იგი ეყრდნობა პროკურატურაში „პარიტეტული კომიტეტის საქმეზე" წარდგენილ შვიდტომეულს და 128 გვერდისაგან შედგება. დასკვნითი დადგენილების შემდგენლებად დასახელებულნი არიან ჩეკას მეორე ქვეგანყოფილების უფროსი პეტრე ზუბოვი და კონტრდაზვერვის განყოფილების რწმუნებული ანდრეი შტეპი. დადგენილებაზე თანხმობას ხელს აწერს საგანგებო კომისიის საიდუმლო განყოფილების უფროსი – ვალიკი. იგი საბოლოოდ დაუმტკიცებია საქჩეკას თავმჯდომარის მოადგილესა და იმავე საიდუმლო ოპე-

რატიული ნაწილის უფროსს ლ. ბერიას. ხელს აწერს აგრეთვე საქჩეკას თავმჯდომარე ეპ. კვანტალიანი.[1] მაშასადამე, ირკვევა, რომ ეს მდიდარი ინფორმაციის შემცველი პუბლიკაცია ჩეკისტების კოლექტიური მუშაობის საფუძველზე შესრულებული კრებულია. მას საფუძვლად უდევს ანტისაბჭოთა მოძრაობის წინააღმდეგ ჩეკას ორგანოების დაუნდობელი ბრძოლის მთელი ადრინდელი ისტორია. მაგრამ დოკუმენტური ნარკვევი გამოქვეყნების დროს ფორმალურად მიკუთვნებული აქვს საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატს – მიზანდასახულობა მარტივია: ამით ჩეკისტურ ძალმომრეობას სახელმწიფოებრივი სამართლის ფორმა მიეცა. რამდენადაც ჩეკისტების მიერ შემუშავებული „დასკვნითი დადგენილება" და მის საფუძველზე შედგენილი იუსტიციის სახალხო კომისარიატის „საბრალმდებლო დასკვნა" ფაქტობრივად არის ერთ, საერთო დოკუმენტურ ბაზაზე, ძირითადად ანტისაბჭოთა პოლიტპატიმრების ჩვენებების საფუძველზე შექმნილი იდენტური დოკუმენტი და ამავე დროს სტამბურად გამოქვეყნებული ანტისაბჭოთა მოძრაობის ისტორიის უმნიშვნელოვანესი დოკუმენტების ნარკვევი, ამდენად მიზანშეწონილად გვესახება უკანასკნელი მათგანის თუნდაც სქემატური დახასიათება.

„საბრალმდებლო დასკვნა" თანამიმდევრულად და პოლიტიკური პატიმრების ჩვენებების საფუძველზე აშუქებს ასეთ საკითხებს:

1. ანტისაბჭოთა ფრონტის ორგანიზაციის ისტორია საქართველოში (გვ. 3-6);
2. ბლოკი საქართველოს ანტისაბჭოთა პარტიებისა საზღვარგარეთ და მთელი კავკასიის ნაციონალისტებისა (გვ. 6-11);
3. როგორ წარმოიშვა შეიარაღებული გამოსვლის იდეა (გვ. 12-14);
4. „სამხედრო ცენტრი" (გვ. 14-19);
5. ხომერიკი. პარიტეტულ კომიტეტთან „სამხედრო კომისიის" შექმნა (გვ. 19-25);
6. პარიტეტული კომიტეტის სამხედრო აპარატის სტრუქტურა (გვ. 25-26);
7. აგვისტოს გამოსვლების წინ (გვ. 26-30);
8. ინტერვენცია (გვ. 30-38);

---

[1] იხ.: ვ. გურული, პარიტეტული კომიტეტის საქმე, გაზ. „საქართველო", 1992, 28 აგვისტო, 3 სექტემბერი, 4-10 სექტემბერი, 11-17 სექტემბერი.

9. პარიტეტული კომიტეტის კავშირი ჩრდ. კავკასიასთან და მუსავატელებთან (გვ. 38-47);
10. პოლიტიკური ბანდიტიზმის ორგანიზაცია, ტერორი და სისხლის სამართლის საქმეები (გვ. 47-50);
11. ბრძანება №1. აგვისტოს 20 (გვ. 51-56). ეს არის ქ. ჩოლოყაშვილის პარტიზანულ რაზმთან დაკავშირებული ჩეკისტების მიერ მოპოვებული ინფორმაცია.
12. პარტიზანების ხელმძღვანელი (გვ. 60-78). აქ მოტანილია საქართველოს მასშტაბით წარმოებული ბრძოლა და მისი ხელმძღვანელობის ისტორია;
13. პარიტეტული კომიტეტის შპიონაჟი და კონტრ-დამზვერავი მოქმედება (გვ. 78-126). აქ პოლიტიკური პატიმრების ჩვენებების საფუძველზე წარმოჩენილია მთელი ანტისაბჭოთა ბრძოლა, „პარიტეტული კომიტეტის" საქმის გამო სამართალში მყოფი 47 ხელმძღვანელის ბრალდებები და მათი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მიხედვით დაჯგუფება.

მაშასადამე, ეს არის 1921-1924 წლების ანტისაბჭოთა ბრძოლის აქტიური მონაწილეების და მათთან მჭიდროდ დაკავშირებულ პირთა ჩვენებების საფუძველზე შესრულებული ჩეკისტური ნარკვევი, რომელშიც თავისებურად და მიზნობრივად არის გაშუქებული მთელი ამ პერიოდის ანტისაბჭოთა მოძრაობისა და მის წინააღმდეგ ხელისუფლების ბრძოლის ისტორია. ამ მიზნობრივი ნარკვევის ერთადერთ დამახასიათებელ უკმარისობას წარმოადგენს ის, რომ მასში შეტანილია მხოლოდ მოკლე ანოტაციები და მას არ ერთვის პოლიტიკური პატიმრების სრული ჩვენებები. ისინი მკვლევარს საშუალებას მისცემდა გაეკონტროლებინა კრებულში მოცემული ფაქტოლოგია და კონცეფცია. ამ ხარვეზს მნიშვნელოვნად ავსებს პრობლემის გარშემო არსებული, წინამდებარე წიგნის ლიტერატურის მიმოხილვაში წარმოჩენილი პუბლიკაციები, განსაკუთრებით კი სხვადასხვა, მათ შორის სუკის არქივში მოპოვებული დოკუმენტური მასალები. ამ უკანასკნელის ერთი ნაწილი, როგორც ზემოთ ითქვა, გამოავლინა და გამოაქვეყნა ნ. კირთაძემ, ხოლო მეორე ნაწილის გამოვლენა ჩვენ მოგვიხდა. სუკის არქივში მოპოვებული მასალები შევაჯერეთ ჩეკას „საბრალმდებლო დასკვნასთან", ზოგი მათგანი წინამდებარე წიგნის სათანადო გვერდებზე აისახა. ჩვენი აზრით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დოკუმენტების ერთი ჯგუფი დავურთეთ წინამდებარე წი-

გნს, ხოლო მისი მეორე, ასევე უაღრესად საყურადღებო ნაწილი, გამოყენებული გვაქვს 1923-1924 წლების ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობის ისტორიის გამოკვლევა-გაშუქების დროს, ანუ მომდევნო წიგნში.

საყურადღებოა, რომ აღნიშნული „საბრალმდებლო დასკვნა" და მასთან დაკავშირებული დოკუმენტები ყოველთვის იწვევდა მკითხველთა და დაინტერესებულ პირთა განსაკუთრებულ ყურადღებას. ამას მოწმობს 1925 წელს გერმანიაში სამეცნიერო მივლინების დროს ანტისაბჭოთა ქართველი ემიგრანტების ერთ-ერთ ლიდერთან, მიხეილ ყაუხჩიშვილთან ნამყოფი უნივერსიტეტის პროფესორის შ. ნუცუბიძის მონათხრობი. „მ. ყაუხჩიშვილმა მთხოვა, – იხსენებს შ. ნუცუბიძე, – თუნდაც დიდი გასამრჯელოს ფასად შემეძინა პარიტეტული კომიტეტის წევრთა სასამართლო პროცესის სტენოგრაფიული ანგარიში, რომელიც გერმანიის დაინტერესებულ პირთათვის ესაჭიროებოდა" (სუკის არქივი, პრ – 31221, ტ. 3, ფ. 302-303). „საბრალმდებლო დასკვნა", როგორც ჩანს, მის მიმართ განსაკუთრებული ინტერესის გამო, ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად უკვე დიდი ხნის წინ გადაიქცა. ამასთანავე, აშკარად ჩანს, რომ ეს წიგნი ზოგჯერ ქართველი ემიგრანტი ავტორების პუბლიკაციებშიც პოულობს ასახვას. იგი უყურადღებოდ არ დატოვეს აგრეთვე სხვა ავტორებმა, რომლებიც ეხებიან მასში ასახული პერიოდის საქართველოს პოლიტიკურ ისტორიას. ეს წიგნი ჩვენში დიდი ხნის მანძილზე კ. მარქსის სახელობის რესპუბლიკური ბიბლიოთეკის სპეცფონდში იყო დაპატიმრებული. იგი, როგორც ჩანს, 30-იანი წლებში „მავნე" ლიტერატურის ამოღების დროს დატყვევდა. იგი ამის შემდეგ თითქოს არც აღარავის დასჭირვებია და აღარც ისტორიკოსებს გახსენებიათ. მაგრამ როცა დემოკრატიზაციის პერიოდში წიგნი საერთო სარგებლობის ფონდში გადაიტანეს და დაინტერესებული მკვლევრებისათვის ხელმისაწვდომი გახდა, გაუგებარია, რომ მისი მითითება მკვლევარ-სპეციალისტთა პუბლიკაციებში არ გვხვდება. თუმცა არც ის არის გამორიცხული, რომ მასზე ხელი ზოგს კერძო, პირადი ბიბლიოთეკების საშუალებითაც მიუწვდებოდა. ამრიგად, ეს დოკუმენტური პუბლიკაცია 90-იან წლებში ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობის საკითხებით დაინტერესებული მკვლევრებისათვის უმნიშვნელოვანესი სამაგიდო წიგნი გახდა. მაგრამ, ჩვენი აზრით, იგი საჭირო და აუცილებელი კრიტიკული პოზიციებიდან ჯერჯერობით არავის გამო-

უყენებია. არა და, „საბრალმდებლო დასკვნაში" ეჭვგარეშე ჩანს არა მარტო მთელი რიგი მოვლენების წყაროებზე დაფუძნებული სწორი გააზრება, არამედ ისტორიის ზოგი პროცესის და ფაქტის მიზნობრივ-ჩეკისტური ფალსიფიცირებაც. ამ წიგნის სათანადო წყაროებით გაკონტროლება ცხადყოფს აღნიშნულ ნარკვევში მოცემული ზოგი პრინციპული დებულების უმართებულობას და გვიჩვენებს, რომ მათი ფალსიფიცირება ემსახურებოდა ჩეკას მიერ 1923 წლის დასაწყისიდან მკვეთრად გაძლიერებულ, ანტისაბჭოთა „სარეველას" აღმოფხვრის და „საქართველოს" გადახვნის მიზნით წარმოებული რეპრესიების, აგრეთვე „სამხედრო ცენტრთან" და „დამკომთან" დაკავშირებული სამხედრო სპეციალისტების და ანტისაბჭოთა არალეგალური ეროვნული მოძრაობის ლიდერების ბრალეულობათა გაუკულმართებაგაზვიადებით ამ თვალსაჩინო მამულიშვილების დახვრეტის გამართლებას.

„საბრალმდებლო დასკვნაში" არასწორედ არის ასახული:

1. საქართველოს სუვერენიტეტის შენარჩუნებისა და მისი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის მებრძოლი მთელი არალეგალური მოძრაობა. იგი გაგებულია როგორც მხოლოდ ერთი საერთო ტაქტიკის მქონე, ექსტრემისტულ-ავანტიურისტული მიმდინარეობა, რომელიც თითქოს ექვემდებარებოდა მენშევიკების ჰეგემონიას (გვ. 6. ემყარება ს. დევდარიანის ჩვენებას, რომელიც ასახავს 1923 წლის მდგომარეობას) და რომ თითქოს ანტისაბჭოთა შეიარაღებული აჯანყების იდეა, რომელიც „საზღვარგარეთ დაიბადა (გვ. 11), ადგილობრივმა მენშევიკებმა სახელმძღვანელოდ გაიხადეს ჯერ კიდევ 1921 წლიდან (გვ. 13), ხოლო „პარიტეტული კომიტეტის" შექმნის შესახებ ხუთი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელთა (მენშევიკების, ეროვნულ-დემოკრატების, სხიველების, სოციალ-ფედერალისტების და ესერების) გარიგება იმთავითვე გულისხმობდა „შეიარაღებული ბრძოლის ორგანიზაციას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ".

2. „დამოუკიდებლობის კომიტეტის", „სამხედრო ცენტრისა" და ანტისაბჭოთა პოლიტიკური პარტიების ხელმძღვანელობის მიზანდასახულობებში უგულებელყოფილია ბრძოლის მიმდინარეობების და მათი ტაქტიკური განსხვავებულობის არსებობა. აღნიშნულ ჩეკისტურ ნარკვევში ვკითხულობთ: „თანდათანობით შეიარაღებული გამოსვლის იდეა იღებს განსაზღვრულ, უკვე ჩამოყალიბებულ ფორმას ე.წ. „სამხედრო ცენტრის" სახით (გვ.14), რომელმაც რეალური ნიადაგი თა-

ვისი მოქმედებებისათვის... მოიპოვა მხოლოდ მაშინ... როდესაც თვით გარემოება საქართველოში მოითხოვდა აჯანყებულთა მოძრაობისათვის ერთ ხელმძღვანელს... ეს გარემოება იყო 1922 წლის სექტემბერში" (გვ. 15).

3. „საბრალმდებლო დასკვნის" შემქმნელები უგულებელყოფენ უამრავ ჩვენებას, რომლებიც აშკარად ასაბუთებენ, რომ „დამკომი" და „სამხედრო ცენტრი" 1922 წელს ეწინააღმდეგებოდა და „ავანტიურად" მიიჩნევდა ქ. ჩოლოყაშვილის უდროო შეიარაღებულ აჯანყებას, მით უმეტეს მის საყოველთაო, საერთოქართულ, ანტისაბჭოთა აჯანყებად გადაქცევას. ჩეკისტები მიზნობრივად ასკვნიან: „პარიტეტულმა კომიტეტმა განკარგულება მისცა ჩოლოყაშვილს მოესპო მოქმედება ხევსურეთში არა იმისათვის, რომ პარიტეტულ კომიტეტს არ სურდა აჯანყება, არამედ მხოლოდ იმისათვის, რომ ჩოლოყაშვილის ავანტიურა უკვე დაღუპვის გზაზედ იყო დამდგარი" (გვ. 16). „საბრალმდებლო დასკვნის" მიხედვით, 1922 წლის მაისიდან აგვისტომდე პერიოდი „სამხედრო ცენტრის" საქმიანობაში ხასიათდება „ჩოლოყაშვილის მოძრაობის მომზადებით, რაც გამოიხატება იმაში, რომ ეროვნულ-დემოკრატების ცეკას წევრმა დავით ვაჩნაძემ გაუგზავნა ჩოლოყაშვილს: 1) სადირექტივო წერილი და 2) „ბრძანება №1".

4. „საბრალმდებლო დასკვნის" ფალსიფიკატორები ვითომ აბათილებენ იასონ ჯავახიშვილის ჩვენებას, არაფერს ამბობენ მის მსგავს უამრავ ჩვენებებზე და ასკვნიან: „ნაციონალ-დემოკრატების ცეკა, კერძოდ ჯავახიშვილი იასონი, თავის ჩვენებებში ვაჩნაძის მოქმედებას თვითნებობას უწოდებს, რადგანაც ეწინააღმდეგებოდა მთელი ცეკას აზრს, რომ ეს სიმართლეს არ შეეფერება, ამას ამტკიცებს ვარდენ წულუკიძის ჩვენება, რომელმაც აჩვენა, რომ „ბრძანება №1-ის" შემუშავებაში მონაწილეობა მიიღო თვითონ იასონ ჯავახიშვილმაცო". ჩეკას ნარკვევში წერია: „ამას გარდა, როსტომ მუსხელიშვილის სიტყვებიდან... ჩანს, რომ დავით ვაჩნაძე აფრთხილებდა მას, როგორც სამხედრო ცენტრის წევრს და აჯანყებულთა შტაბის უფროსს, იმის შესახებ, რომ ის, ვაჩნაძე, უგზავნის ჩოლოყაშვილს ბრძანებას გამოსვლის შესახებ. უფრო მეტიც, ვაჩნაძემ წინადადება მისცა მუსხელიშვილს, შეედგინა გამოსვლისათვის საოპერაციო გეგმა, რაც საფუძვლად დაედო მედიდურ „ბრძანება №1-ს", რომელსაც მოწერილი აქვს ფსევდონიმი „სამფერი".

ამ ყალბი ბრალეულობის არსი და მიზანდასახულობის განვითა-

რება აისახა დასკვნაში: „საერთოდ მუსხელიშვილის ჩვენებებს მეტად არსებითი მნიშვნელობა აქვთ, რადგანაც ესენი ამტკიცებენ ხევსურეთის ამბებსა და საბჭოთა ხელისუფლების მოწინააღმდეგე ქართული პარტიების სამხედრო მუშაობას შორის უშუალო კავშირს" (გვ. 17). ამის სიმართლედ გასაღების მიზნით, „საბრალმდებლო დასკვნაში" ტენდენციურად არის მოტანილი ამონაგლეჯები რ. მუსხელიშვილის ცალკეული ჩვენებებიდან და მეტი დამაჯერებლობისათვის ისევ გამეორებულია: „ამგვარად ჩოლოყაშვილის გამოსვლა ხევსურეთში მოხდა პარიტეტული კომიტეტის უწყებით და თანხმობით, ისევე როგორც ეს გამოსვლა გადაწყვეტილი იყო სამხედრო ცენტრის უწყებით და თანხმობით" (გვ. 19).

5. ქართული ეროვნული მოძრაობისათვის, კერძოდ „დამკომისათვის", „სამხედრო ცენტრისათვის" და საერთოდ ანტისაბჭოთა პარტიების ლიდერებისათვის 1922 წელს ქ. ჩოლოყაშვილის პარტიზანული ბრძოლისა და აჯანყების წაბიძგების, აგრეთვე მისი ხელმძღვანელობის დაბრალება უაღრესად პრინციპულ მნიშვნელობას იძენს. ამით იჩქმალება „დამკომის", „სამხედრო ცენტრის" და ანტისაბჭოთა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლობის გონიერება, მათ მიერ საქართველოს სუვერენულ უფლებათა უსისხლოდ შენარჩუნების შესაძლებლობის დაშვება, ამისათვის მზადება და შესაძლებელი, გამოუვალი აუცილებლობის შემთხვევაში აჯანყების მომენტის სწორი შერჩევა. ჩეკისტურ ნარკვევში ქართული ეროვნული მოძრაობა დამსგავსებულია შეურაცხყოფილ, უგონოდ მთვრალ ადამიანს, რომელსაც გონიერება არ ჰყოფნის უზომოდ ძლიერი მოწინააღმდეგის შესაძლებლობათა შესაფასებლად და გადაუწყვეტია რევანშის დაუყოვნებლივი აღება. ანტისაბჭოთა ბრძოლაში მართლაც იყო მსგავსი მაგალითები. მაგრამ 1921-1923 წლების ქართული ეროვნული მოძრაობის ძირითადი ნაწილი ავლენდა საერთაშორისო და საშინაო სიტუაციების სიღრმისეულ ცოდნას, სწორედ აფასებდა რეალურ მდგომარეობას და საკუთარი ძალების შესაძლებლობებს. გონიერი მამულიშვილი ლიდერები ფიქრობდნენ არა მარტო შეტევაზე, არამედ, აგრეთვე, მოსალოდნელ შედეგებზე და ქართველთა შესაძლო უსარგებლოდ დასაღვრელი სისხლის ეროვნულ ღირებულებაზე. არა და, ქ. ჩოლოყაშვილის გამოსვლებისა და აჯანყებისათვის „დამკომსა" და „სამხედრო ცენტრს" მხარი არ აუბია. ეროვნული მოძრაობის წარმომადგენელთა ამ სწორ ტაქტიკურ დამოკიდებულებაში რელი-

ეფურად აისახა, რომ განმათავისუფლებელი მოძრაობის პირველ ეტაპზე, ანუ „სამხედრო ცენტრის“ დაპატიმრებამდე (1923 წ. მარტი) ექსტრემისტულ-ავანტიურისტულ მიმდინარეობას დომინირებული მდგომარეობა არ ეკავა. მაშასადამე, ქ. ჩოლოყაშვილისა და ავჯანყებისადმი დამოკიდებულების განსაზღვრის დროს, ანუ 1922 წელს, „დამკომის“, „სამხედრო ცენტრის“ და პოლიტიკური პარტიების გონიერი ხელმძღვანელები სწორად აზროვნებდნენ, ისინი მხარს არ უჭერდნენ ამ არახელსაყრელ საერთაშორისო და ქვეყნის საშინაო ვითარებაში უპერსპექტივო, ლოკალური ავჯანყების საყოველთაო სახალხო ავჯანყებად გადაზრდას. ასეთი აქცია ბოლშევიკური რუსეთის და ჩეკას ინტერესებში უფრო შედიოდა, რადგან შესაძლებელი იყო ანტისაბჭოთა ძალების მთელი მასის მოსპობისათვის სასურველი საბაბის მოძებნა. საყოველთაო ავჯანყებისათვის მომენტის სწორად შერჩევას ეროვნული მასშტაბის უსაფრთხოების მნიშვნელობა ჰქონდა და ამიტომ მისდამი დამოკიდებულება გარკვეულად განსაზღვრავდა აგრეთვე ქართული ეროვნული მოძრაობის ღირსებას. ეს პრობლემა იმ მხრივაცაა საყურადღებო, რომ იგი უშუალოდ უკავშირდება „დამკომის“, „სამხედრო ცენტრის“ და მთელი რიგი პოლიტიკური მებრძოლების, მათ შორის მიხეილ ჯავახიშვილის, როგორც პოლიტიკოსის, ღირსების შეფასებას. როგორც აღვნიშნეთ, კ. მისაბიშვილი და მ. ჯავახიშვილი იმ პოლიტიკოსებს უჭერდნენ მხარს, რომლებიც არ აყვნენ ცდუნებას და მხარი დაუჭირეს ერის ინტერესებისათვის იმ მეთოდებით ბრძოლას, რომელიც, იმდროინდელი რეალობიდან გამომდინარე, მათთვის ყველაზე რაციონალური ჩანდა.

6. „საბრალმდებლო დასკვნის“ ჩეკისტურ შინაარსში ასევე ფალსიფიცირებულია „დამკომის“, „სამხედრო ცენტრის“ და პოლიტიკური პარტიების ლიდერების დამოკიდებულება ნ. ხომერიკის, „სამხედრო კომისიის“ და „გაერთიანებული სამხედრო ცენტრის“ მიმართ. ასე მაგალითად: „საბრალმდებლო დასკვნაში“ ვკითხულობთ: „პარიტეტული კომიტეტის მიერ ავჯანყების მოწყობის ისტორიაში შემდეგი მნიშვნელოვანი მომენტია – საზღვარგარეთიდან (ე.ი. ჩეკისტური ვერსიით, მთავარი სააჯანყებო ცენტრიდან – გ.ც.) საქართველოს ყოფილი მთავრობის და მენშევიკების პარტიის ცეკას წევრის, ნოე ხომერიკის ჩამოსვლა. ხომერიკი ჩამოვიდა 1922 წლის ნოემბერში.

ამ მომენტიდან როგორც პარიტეტული კომიტეტის, ისე სამხედრო ცენტრის (და არა „გაერთიანებული სამხედრო ცენტრის“ – გ.ც.)

მოქმედებამ, ხომერიკის უშუალო გავლენის და ხელმძღვანელობის გამო, სხვა ფორმები მიიღო“ (გვ. 19). ეს არის აბსურდი, მაგრამ ბოლომდე მოვუსმინოთ ჩეკისტურ ნააზრევს: „უწინარეს ყოვლისა მენშევიკებმა შეიტანეს წინადადება პარიტეტულ კომიტეტთან სპეციალური სამხედრო კომისიის შექმნის შესახებ, რომელიც პოლიტიკურ ხელმძღვანელობას გაუწევდა სამხედრო ცენტრს. ეს კომისია შექმნეს ხომერიკის (მენშევიკებიდან) და მიხეილ ჯავახიშვილის (ეროვნულ-დემოკრატებიდან) შემადგენლობით, ამ კომისიაზე გადავიდა აჯანყების მოსაწყობ მუშაობისათვის ფაქტიური ხელმძღვანელობა. ამ მომენტიდან სამხედრო ცენტრის როლმა ნამდვილად დამხმარე და სათათბირო ხასიათი მიიღო“ (გვ. 20). მენშევიკების ცკ-ის პრეზიდიუმის წევრი დავით ონიაშვილი განმარტავს, რომ „რაც ხომერიკი საზღვარგარეთიდან ჩამოვიდა, მუშაობა საგრძნობლად გამოცოცხლდა. ცეკის (! – გ.ც.) პირველსავე სხდომაზე ხომერიკმა გააკეთა მოხსენება, რომელშიც დაახასიათა როგორც საერთაშორისო მდგომარეობა, ისე მდგომარეობა საბჭოთა რესპუბლიკებისა და საქართველოსი.“ სინამდვილეში მან სრულყოფილად არც ერთი არ იცოდა და გადაბირებული ახალგაზრდა ჩეკისტის არჩილ კახიანის მეშვეობით შეეცადა ბევრი ისეთი რამის გაგებას, რომელიც მანამდე უნდა სცოდნოდა. ნ. ხომერიკმა მენშევიკების ცკ-ის სხდომაზე გააშუქა (გვ 23): „საქართველოს საკითხი დასავლეთ ევროპის დღის წესრიგში დგას, რომ საქართველო ირიცხება ერთა ლიგაში, რომ ევროპის საზოგადო აზრი ჩვენს სასარგებლოდ არის განწყობილი და საჭიროა აქ, საქართველოში, გავაფართოოთ ორგანიზაცია, **მოვამზადოთ** (! – გ.ც.) **ის, რათა საჭირო დროს** (! – გ.ც.) ჩვენ შეგვეძლოს გამოვიდეთ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და ვაღიაროთ ქართველი ერის არსებობა.“ მაშასადამე, ნ. ხომერიკი საჭიროდ თვლის მენშევიკების ორგანიზაციულად მომზადებას „საჭირო დროისათვის“. მაგრამ აქვე ჩანს, რომ მას საჭიროდ მიაჩნია მომზადება იმისათვის, რომ „ვაღიაროთ ქართველი ერის (ანუ ანტისაბჭოთა საბრძოლო თავგანწირვის უნარის – გ.ც.) არსებობა“. ნ. ხომერიკი მენშევიკების ცკ-ს აიმედებს, რომ „ჩვენ გამოსვლაში დაგვეხმარება ევროპა“. დ. ონიაშვილმა უჩვენა, რომ „ამგვარად საკითხი შეიარაღებული აჯანყების შესახებ **ჩვენ პარტიაში** (! – გ.ც.) **პირველად წამოიჭრა** (! – გ.ც.) **საზღვარგარეთული ბიუროს დახმარებით, საზღვარგარეთიდან ნოე ხომერიკის ჩამოსვლის შემდეგ**“ (ხაზგასმა ჩვენია). ჯერ ერთი, აქ თავს იჩენს ჩეკი-

სტური აზროვნების ორი შეუსაბამობა. ადრე ნათქვამი იყო, რომ მენშევიკები 1921 წლიდან იღვწიან აჯანყებისათვის, თანაც აქ ჩანს ნ. ხომერიკის მიერ თავისი პარტიის ლიდერების დამუშავება და არა პარიტეტული ან სხვა კომიტეტისა და საერთოდ ეროვნული მოძრაობის ლიდერებისა. მეორე, მართალია, აქვე მოტანილია ამონარიდი იასონ ჯავახიშვილის ჩვენებიდან: „ხომერიკმა ჩამოსვლისას პარიტეტული კომიტეტის ერთ-ერთ უახლოეს სხდომაზე გააკეთა მოხსენება, რომელშიც აღნიშნა ყოფილი მთავრობის და საზღვარგარეთული ბიუროს მოქმედება, რის წყალობითაც საქართველოს საკითხი პოპულარული გახდა. დასასრულს ხომერიკმა სთქვა, რომ, თუ საქართველო შესძლებს მოაწყოს აჯანყება და გამაგრდება ორ თვეს, მაშინ იმედი გვაქვს, რომ დასავლეთის სახელმწიფოები დიპლომატიურად ჩაერევიან და ფულითაც დაგვეხმარებიანო", მაგრამ არა ჩანს, როდის შეძლო ნ. ხომერიკმა საკითხის „პარიტეტულ კომიტეტზე" გატანა და მით უმეტეს არ ირკვევა, რომ ხომერიკის ნათქვამი დაიჯერეს და მოიწონეს სხვა პარტიებმა, ანუ მათმა ლიდერებმა. თანაც ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ყველა აღფრთოვანდა და ეროვნულ-დემოკრატებმაც ამიტომ მიაშველეს მ. ჯავახიშვილი, რათა „დაეწყო შეიარაღებული აჯანყებისათვის გადაწყვეტილი მზადება ანტანტის ინტერვენციის გამოსაწვევად" (გვ. 21). ამ შემთხვევაში ეროვნულ-დემოკრატებს ცკ-ის „სამხედრო კომისიაში" უნდა შეეყვანათ დავით ვაჩნაძე, კოტე აფხაზი ან სხვა ისეთი პიროვნება, რომელიც იმთავითვე ხასიათდებოდა სამხედრო საქმის ცოდნით, ამასთან მხარს უჭერდა ქ. ჩოლოყაშვილის გამოსვლებს. მ. ჯავახიშვილი კი უფრო წინდახედული და ექსტრემისტების ანტიპოდების წარმომადგენელი იყო. მაშასადამე, ნ. ხომერიკისათვის მ. ჯავახიშვილის გვერდში ამოყენება ახალი კურსისადმი სოლიდარობად კი არ უნდა გავიგოთ, არამედ უფრო გონიერ დამოკიდებულებად და ნ. ხომერიკის სამხედრო კომისიაში ერთგვარი ზომიერი დამუხრუჭების მექანიზმის შექმნის საშუალებად. ცნობილია, რომ 1922 წლის დეკემბერში გამართულ ეროვნულ-დემოკრატების ცკ-ის სხდომაზე იხილებოდა ქ. ჩოლოყაშვილის მოძრაობისადმი მხარდაჭერის საკითხი. აქ წინააღმდეგი გამოვიდნენ მ. ჯავახიშვილი, ი. ჯავახიშვილი, გ. წინამძღვრიშვილი, ხოლო მხარდამჭერთა შორის აღმოჩნდა კ. აფხაზი (იხ. ნ. კირთაძე, 1924 წლის აჯანყება საქართველოში, გვ. 266). სწორედ ზომიერმა რადი-

კალებმა შეუწყვილეს ექსტრემისტ ნ. ხომერიკს ზომიერი რადიკალი მ. ჯავახიშვილი. რატომ? – დასაბალანსებლად.

აქვე აღსანიშნავია, რომ კ. აფხაზის ეს ჩვენება მისთვის საბედისწერო გამოდგა. აქედან ჩეკისტმა ფალსიფიკატორებმა ის დასკვნა გამოიტანეს, რომ თითქოს კ. აფხაზი ყოველთვის უჭერდა მხარს ავჯანყებას. მის შესახებ „ამონაწერი ამიერკავკასიის და საქართველოს საგანგებო კომისიათა კოლეგიების 1923 წლის 19 მაისის გაფართოებული სხდომის №19 ოქმისა" ამბობს: ეროვნულ-დემოკრატთა ცენტრალურ კომიტეტში ავჯანყების საკითხის განხილვისას, როგორც თვითონ აღიარა, ხმა მისცა **დაუყონებლივ შეიარაღებულ ავჯანყებას** (? –გ.ც.) – დაიხვრიტოს. განაჩენი მოყვანილ იქნეს სისრულეში 24 საათში" (ნ. კირთაძის დასახელებული წიგნი, გვ. 279).

აი, ასე და ამრიგად ქმნიდა ჩეკა ჩვენი ეროვნული მოძრაობის თავისებურ ისტორიას. მაშასადამე, ჩეკისტური დოკუმენტები საჭიროებენ უაღრესად ფრთხილ, კრიტიკულ დამოკიდებულებას, მათში მოცემული ფაქტების და კონცეფციის სხვა წყაროებით გაკონტროლებას და ამ უნიკალური საარქივო მასალების უცილოდ სწორ ფაქტებთან შეჯერებით სიმართლის გამორკვევას. სამწუხარო ის არის, რომ ამ ისტორიას თავისებურად წერდნენ არა მარტო ჩეკისტები, არამედ, აგრეთვე, თავად ეროვნული მოძრაობის აქტიური მონაწილე ავტორები. ჩვენი დროის ისტორიკოსი კი ზოგჯერ ორივეს ჭეშმარიტებად მიიჩნევს და თავის ნაშრომში სათანადო ამონაწერებს იხმობს ხან ერთი და ხან მეორე ნაწარმოებიდან, ე.ი. უკრიტიკოდ იყენებს მათ. ეს კი იწვევს ნამდვილი ისტორიის დამახინჯებულ გაგებას.

ამის მაგალითი იმდენად ხშირია, რომ ყველა მათგანის მოყვანა ძალიან შორს წაგვიყვანდა. აქ საჭიროა დამატებით აღინიშნოს, რომ მოვლენების თანამედროვე ავტორები და ჩვენი დროის ისტორიკოსები არ არიან მართალი, როცა იმეორებენ, რომ თითქოს:

1. „ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სტუდენტთა კომიტეტის წევრმა კალე მისაბიშვილმა გასცა მთელი შემადგენლობა სამხედრო ცენტრისა, დუშეთის ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლობა და თანაც გამოააშკარავა პოლკოვნიკ მუსხელიშვილის როლი. მარტში თითქმის ყველა, ვინც მონაწილეობდა ამ ავჯანყებაში, დატუსაღებულ იქნა... და დახვრიტეს" (ს. ზალდასტანიშვილი, გვ. 16).

2. „სამხედრო ცენტრი ჩამოყალიბდა 1922 წლის მარტში შე-

მდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე გენერალი აფხაზი" (ს. ზალდასტანიშვილი, გვ. 12).

3. 1921 წელს „თბილისში პარიტეტული კომიტეტი ჩამოყალიბდა კოტე აფხაზის მეთაურობით" (ალ. სულხანიშვილი, გვ. 17).

4. „გ. წინამძღვრიშვილი დამკომის თავმჯდომარე გახლდათ" (ალ. სულხანიშვილი, გვ. 129) და სხვ.

ზემოთ მითითებული და მთელი რიგი სხვა შეცდომები, როგორც აღვნიშნეთ, ხშირად მეორდება თანამედროვე პუბლიკაციებში. ამით იქმნება გაუგებრობები, რომელთაც სირთულეები შემოაქვთ ჩვენთვის საყურადღებო საკითხების ახსნაში და ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობის ისტორიის სწორად გაგებაში. ასე მაგალითად:

1. მკვლევრები ფ. ლომაშვილი, რ. გრძელიძე, მ. გაფრინდაშვილი, გ. შარაძე, გ. ცხოვრებაძე, გ. საითიძე, გ. ვაჩნაძე, ვ. გურული, რ. კვერენჩხილაძე და სხვ. „სამხედრო ცენტრის" ხელმძღვანელად (იმავე თავმჯდომარედ თუ უფროსად) წარმოაჩენენ კოტე აფხაზს, მაშინ როცა სინამდვილეში ამ მოვალეობას ასრულებდა ალექსანდრე ანდრონიკაშვილი. ზოგი ავტორი წერს, რომ თითქოს 1922 წელს ქ. ჩოლოყაშვილს მხარი დაუჭირა „სამხედრო ცენტრის" ხელმძღვანელმა კ. აფხაზმა. სინამდვილეში იგი „სამხედრო ცენტრის" შემადგენლობაში შეიყვანეს ხევსურეთის აჯანყების შემდეგ. მაგრამ იგი მანამდეც განსაკუთრებულ როლს ასრულებდა სამხედროებთან და ქ. ჩოლოყაშვილთან ურთიერთობაში.

2. მკვლევრები გ. ცხოვრებაძე, ნ. კირთაძე, მ. ხომერიკი, გ. საითიძე და სხვ. იმეორებენ ს. ზალდასტანიშვილის აზრს „სამხედრო ცენტრის" კ. მისაბიშვილის მიერ გაცემის შესახებ.

აქედან პირველ კითხვას, ანუ ვინ იყო „სამხედრო ცენტრის" თავმჯდომარე, ნათლად პასუხობს ჩეკისტური ნარკვევი „საბრალმდებლო დასკვნა" აქ არაორაზროვნად არის ნათქვამი, რომ ალ. ანდრონიკაშვილია „სამხედრო ცენტრის" თავმჯდომარე (იხ.: ვ. გურული, პარიტეტული კომიტეტის საქმე, გაზ. „საქართველო", 1992 წლის 4-10 სექტემბერი, გვ. 7). იგივეს იმეორებს პარიტეტული კომიტეტის საქმის გამო „საბრალმდებლო დასკვნა" (გვ. 16). ჩვენ მათი საფუძველიც დავადგინეთ. ეს არის ვ. წულუკიძის (24.IV.1923 – სუკის არქივი, №28082, ფ. 68691, 102), ალ. ანდრონიკაშვილის (7.III.1923 – №28139, ფ. 70 და №24367, ფ. 23), რ. მუსხელიშვილის (25.IV.1923 – №24058, ფ. 160) და ი. ნარიკელაძის (6.III.1923 –

№28139, ფ. 18) ჩვენებები. მათში ეჭვის შეტანა არ ხერხდება და მტკიცდება, რომ ამ შემთხვევაში ს. ზალდასტანიშვილი, ისე როგორც არცთუ იშვიათად სხვა, ეყრდნობა არასწორ ინფორმაციას. სათანადო წყაროები მოწმობენ, რომ ს. ზალდასტანიშვილი და ალ. სულხანიშვილი „სამხედრო ცენტრის" თავმჯდომარის თუ უფროსის დასახელების დროს უშვებენ შეცდომას. ეს შეცდომა სათანადო წყაროების ზედმიწევნით მცოდნე ნ. კირთაძეს შეუმჩნეველი არ დარჩა. იგი, როგორც სათანადო წყაროების მცოდნე, თავისი წიგნის 127-ე გვერდზე სწორად აღნიშნავს: „სამხედრო ცენტრის" „ თავმჯდომარე ალექსანდრე ანდრონიკაშვილი იყო." მაგრამ იგი აქ საჭიროდ არ მიიჩნევს ს. ზალდასტანიშვილის, ალ. სულხანიშვილის და მათზე დაყრდნობილი მკვლევრების აზრის უმართებულობის წარმოჩენას. არა და, ეს სერიოზული საკითხია და სათანადო რეაგირებას აუცილებლად მოითხოვდა. ჯერ ერთი, ამ შემთხვევაში მომდევნო ავტორთა შეცდომებისგან დაზღვეული ვიქნებოდით. მეორე, აღარ შეიქმნებოდა იმის შთაბეჭდილება, რომ თითქოს ჩოლოყაშვილის გამოსვლებს მრავალი მხარდამჭერი ჰყავდა „დამკომში" და „სამხედრო ცენტრში" და სხვ.

ჩვენ შევეცადეთ გამოგვერკვია, რითი უნდა აიხსნას ს. ზალდასტანიშვილის და ალ. სულხანიშვილის შეცდომა. ჩვენი აზრით, აღნიშნული შეცდომის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მთელმა რიგმა გარემოებებმა: 1. აღნიშნული ემიგრანტი ავტორები ეროვნულ-დემოკრატები არიან და საკუთარ პუბლიკაციებში ცდილობენ, მიისწრაფვიან, სამშობლოს განთავისუფლებისათვის თავდადებულთა ბრძოლის ეპოპეაში ეროვნულ-დემოკრატების პრიორიტეტი წამოსწიონ; კ. აფხაზმა კი სამხედრო პატრიოტების ანტისაბჭოთა ბრძოლის ორგანიზებაში, როგორც წინამდებარე წიგნის სათანადო თავების გაცნობით დავრწმუნდებით, მართლაც განსაკუთრებული როლი შეასრულა. 2. მათ ეს საკითხი ისე იციან, როგორც გაიგეს, ანუ არასწორად. ს. ზალდასტანიშვილი საზღვარგარეთიდან მაშინ ჩამოდის, როცა ქ. ჩოლოყაშვილის დუშეთ-ხევსურეთის აჯანყების ამბები უკვე კარგა ხნის წარსულია. ს. ზალდასტანიშვილი წერს: „1921 წლის ენკენისთვეში მე გამაგზავნეს სტამბულიდან საქართველოში... კახეთ-ხევსურეთის აჯანყების შემდეგ... თითქმის იმავე დროს, როცა მე თბილისში ჩავედი ნ. ხომერიკიც საზღვარგარეთიდან იქ ჩამოვიდა..." (გვ. 15). როგორც ცნობილია, ნ. ხომერიკი საქა-

რთველოში 1922 წლის ნოემბრის შუა რიცხვებში ჩამოვიდა („საბრალმდებლო დასკვნა", გვ. 19). ამ დროს ს. ზალდასტანიშვილისთვის ნაკლებად აქტუალური იყო „სამხედრო ცენტრის" თავმჯდომარის ვინაობა. ალ. სულხანიშვილი ხევსურეთის აჯანყებამდე და მის შემდეგ ქაქუცას ის თანამებრძოლი და ტყეში გასული რაზმელია, რომელსაც არც უნდა სცოდნოდა „სამხედრო ცენტრის" თავმჯდომარის ვინაობა. ამასთანავე, იგი სექტემბრიდან დეკემბრამდე მოვლენების შესახებ ინფორმაციას მოწყვეტილი იყო. 3. მაგრამ მთავარი მაინც „სამხედრო ცენტრის" წევრთა და მათი თავმჯდომარის ვინაობის უკიდურესი გასაიდუმლოება იყო. ნ. ქარცივაძემ 1924 წლის 4 აპრილს უჩვენა, რომ წესის თანახმად „პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრთა უმეტესობას არ უნდა სცოდნოდა, თუ ვინ იყო არჩეული კომიტეტის წევრად" (ნ. კირთაძის დასახელებული წიგნი, გვ. 90). ასე უნდა ყოფილიყო „სამხედრო ცენტრის" კონსპირაციის წესიც. ხოლო აღნიშნული ორი პიროვნება არც ცკ-ის წევრები ყოფილან. ამიტომ, როგორც ჩანს, მათთვის „სამხედრო ცენტრის" თავმჯდომარედ მიჩნეული იყო ის, ვისაც მათ უსახელებდნენ ამბოხებითი ტაქტიკისადმი მეტი ნდობის მისანიჭებლად, ანუ კოტე აფხაზს. იგი მეამბოხე ეროვნულ-დემოკრატებში განსაკუთრებული ავტორიტეტით სარგებლობდა. ნამდვილი თავმჯდომარე კი ყოველთვის უდროო აჯანყების წინააღმდეგი იყო.

„სამხედრო ცენტრის" თავმჯდომარის ვინაობის დადგენაში გაურკვევლობის გამოწვევა შეეძლო კიდევ ერთ უაღრესად საგულისხმო წყაროს. ბ. ლომინაძემ 1924 წლის მაისში, საქართველოს კომპარტიის II ყრილობაზე მთელ რიგ სხვა საყურადღებო ამბებთან ერთად ასეთი ფრაზაც წარმოსთქვა: „В мае же ЧК удалось переловить почти всех работников военного центра (во главе с князем Абхази и др.) и паритетного комитета. 15 активных работников и руководителей военного центра расстреляны" (იხ. საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 2, ს. 2, ფურც 51). ამ ფრაზას კარგად იცნობს საქართველოს უახლესი ისტორიის მკვლევართა უმრავლესობა. არ არის გამორიცხული, რომ მათ კ. აფხაზის საგანგებოდ წამოწევა ისე გაიგეს, თითქოს იგი „სამხედრო ცენტრის" წევრებს შორის უპირველესი ყოფილიყოს. სინამდვილეში აქ, ჯერ ერთი, ნათქვამია: „во главе с князем Абхази и др." (угих — გ.ც.). ე.ი. „სამხედრო ცენტრის" მეთაურებზე ანუ შემადგენლობაზეა საუბარი და არა კერძოდ ხელმძღვანელზე, ანუ

თავმჯდომარეზე; მეორე – აფხაზის საგანგებოდ წამოწევა ბ. ლომინაძეს იმისათვის დასჭირდა, რომ იგი ამ დროისათვის კომუნისტების მიერ საფრთხობელად გამოცხადებული დიდი ილია ჭავჭავაძის დისშვილია; მესამე – ვფიქრობთ, ამით ბ. ლომინაძემ მიზნობრივად მიჩქმალა „სამხედრო ცენტრის" ნამდვილი მეთაური ალექსანდრე ანდრონიკაშვილი, რადგან იგი, ივ. ნარიკელაძის ინფორმაციის მიხედვით, „ს. ორჯონიკიძის ნათესავია" (იხ. ნ. კირთაძის დასახელებული წიგნი, გვ. 259). ამ დროს შეუძლებელი გახდა მეამბოხედ გამოცხადებულთა (მათ შორის ვაჟა-ფშაველას პირმშოს ლევან რაზიკაშვილის) შეწყალება; ამიტომ, საფიქრებელია, რომ ხელისუფლება შეეცადა „სამხედრო ცენტრის" ნამდვილი ხელმძღვანელის სახალხოდ გამომჟღავნებას. არ არის გამორიცხული, რომ ჩეკას მუშაკებს გავრცელებინათ ხმები იმის შესახებ, რომ თითქოს „სამხედრო ცენტრის" ხელმძღვანელი, მეთაური თუ თავმჯდომარე იყო „რეაქციონერი" ილია ჭავჭავაძის დისშვილი თავადი კოტე აფხაზი, რომელიც მართლაც გამოირჩეოდა ხალხში განსაკუთრებით დიდი ავტორიტეტით და ქ. ჩოლოყაშვილთან თავისი სიახლოვით. დარწმუნებული ვართ, რომ წინამდებარე წიგნისადმი დართული სათანადო დოკუმენტური ამონარიდებით მკითხველი ჩვენი ნააზრევის სისწორეში საგნობრივად დარწმუნდება. მაგრამ აქ საჭიროა ყურადღება მიექცეს კიდევ ერთ გარემოებას. ნ. ქარცივაძის 1923 წლის 4 აპრილის ჩვენებაში ნათქვამია: „... რაც შეეხება „სამხედრო ცენტრის" საკითხს...კომიტეტის დაარსების მომენტიდან (1922წ. გაზაფხული - გ.ც.) პიროვნებებიც კი იყო დასახელებული, მაგრამ ისინი არავის შეუკრებია და ორგანიზაციულად არავის გაუფორმებია... კურიოზი გამოვიდა: ერთი მხრივ, ზოგიერთს საფუძველი ჰქონდა ჩათვალა თავი „სამხედრო ცენტრის" წევრად..." (იხ. ნ. კირთაძის დასახელებული წიგნი, გვ. 214-215). მაშასადამე, შეიძლება ამ თავდაპირველმა გაუგებრობამაც იმუშავა.

რაც შეეხება კ. მისაბიშვილის „გამცემლობას", მისი უსაფუძვლობის დამტკიცება მხოლოდ კეთილი მისწრაფება როდია. ეს არის პრობლემა, რომელიც უკავშირდება, ერთი მხრივ, ეროვნული მოძრაობის ლიბერალურ-კომპრომისული, მეორე მხრივ, ექსტრემისტული მიმდინარეობების საბრძოლო ტაქტიკების, ხოლო მესამე მხრივ, მათთან და კერძოდ კ. მისაბიშვილთან მიხეილ ჯავახიშვილის ურთიერთობის გაგებას. ამიტომ იგი სიღრმისეულად, ანალიტიკურად მოითხოვს მთელი რიგი ფაქტებისა და საკითხების ახსნას. ამი-

ტომ მის შესახებ სათანადო მსჯელობასა და არგუმენტაციას წიგნში დიდი ადგილი ეთმობა. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებული ღირებულება გააჩნია ანტისაბჭოთა არალეგალური პარტიული ორგანიზაციების წარმომადგენელთა, ანუ პოლიტიკურ პატიმართა ჩვენებებს. ასეთი დოკუმენტების ერთი, მნიშვნელოვანი ნაწილი გამოქვეყნებულია ნ. კირთაძის ზემოთ აღნიშნულ წიგნსა და დოკუმენტების კრებულში. ეს არის „პარიტეტული კომიტეტის" და „სამხედრო ცენტრის" წევრების, აგრეთვე სხვა ცნობილ პოლიტიკურ მებრძოლთა ჩვენებები. ისინი საშუალებას გვაძლევენ გავაკონტროლოთ ის ჩეკისტური ნარკვევები, მოხსენებები, ანგარიშები და სხვ., რომელსაც ისინი დაედო საფუძვლად. მაშასადამე, ეს ჩვენებები გვეხმარებიან გავარკვიოთ, ჩეკისტურ ნაწარმოებებში რა არის საფუძვლიანი, მართალი და რა არის მიზნობრივად გაზვიადებული. ნ. კირთაძის შრომებში შეტანილია აგრეთვე მთელი რიგი სხვა ხასიათის დოკუმენტები, რომელთაც დიდი სამსახური გაგვიწიეს წინამდებარე წიგნში აღძრული, ჩვენთვის საყურადღებო საკითხების სწორად გარკვევისას. აქვე საჭიროა მივუთითოთ, რომ აღნიშნული მასალებიდან მნიშვნელოვანი ნაწილი ჩვენს მიერ მობილიზებულ იქნა სუკის არქივში ჩვენი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის დროს, მაგრამ რამდენადაც ისინი ნ. კირთაძის მიერ უკვე იქნა გამოქვეყნებული, ამდენად წინამდებარე წიგნში ამ დოკუმენტების გამოყენება და ციტირება ხდება პირველგამომქვეყნებლის პრიორიტეტის გათვალისწინებით, პატივისცემით და ნ. კირთაძის წიგნში დართული დოკუმენტების მითითებით. ამასთანავე, აუცილებელია აღინიშნოს, რომ ისინი ნ. კირთაძის მიერ საკუთარ ნაშრომში გამოყენებულია ავტორისეული, ჩვენი აზრით, სადავო, კვლევის ამოცანების და კონცეფციის გამართლების მიზნით. ამდენად, ეს დოკუმენტები საკითხების ავტორისეულ ახსნას ემსახურება და, სწორი ახსნის თვალსაზრისით, ზოგჯერ, ჩვენი აზრით, არა მარტო არ არის ბოლომდე დამუშავებული, არამედ ხშირად გაგებული და გამოყენებულია აშკარად არასწორი აზრით. აქ გვხვდება აშკარად უმართებულო მოსაზრებებიც, რომელთა გვერდის ავლა გაუმართლებელია მთავარი პრობლემის ახსნა-გაშუქების თვალსაზრისით. ასე მაგალითად, ნ. კირთაძე წიგნის კვლევით ნაწილში წერს:

1. „რაკი ერს უცხოური უღლისაგან... განთავისუფლება გარდაუვალ და გაუნელებელ ფიქრად და ზრუნვად გაეხადა — ამ ფიქრის და ზრუნვის მთავარ, შესაფერ შესატყვისად გარდაუვალი მოტივი

ომი და სისხლის დაქცევა, მაშასადამე, შეიარაღებული აჯანყება უნდა ყოფილიყო" (ნ. კირთაძე, დასახელებული წიგნი, გვ. 124). არა და, უცხოური უღლისაგან განთავისუფლება ყოველთვის სისხლის ღვრითა და ომით არ ხდება. ამის მაგალითია 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგაც ყველა ერს როდი დასჭირდა ომი და სისხლის ღვრა. საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში, ხელსაყრელ საერთაშორისო და რუსეთის შინაგანი პოლიტიკური კრიზისის შემთხვევაში, ქართული ეროვნული მოძრაობის გარკვეული წარმომადგენლობა ვარაუდობდა წითელი ჯარის გაყვანას და ხელისუფლების სათავეში ანტისაბჭოთა ძალების მოსვლას ომის გარეშე. ამრიგად, ომი და სისხლის ღვრა ერის განთავისუფლებისათვის პანაცეა არ არის.

2. „აგვისტოში (1922 წ. – გ.ც.) კი ერთპარტიული (ეროვნულ-დემოკრატიული) „სამხედრო ცენტრი" მაშინვე ხუთპარტიული დამკომის ერთ-ერთ კომისიად ჩამოყალიბდა და ჩოლოყაშვილიც, თავისი რაზმით, ამ „კომისიის" უმაღლეს უფლებამოსილებაში მოექცა" (იქვე, გვ. 127). „სამხედრო ცენტრი" არჩეული იყო პარიტეტული პრინციპით და იგი ერთპარტიული აგვისტოშიც არ გამხდარა. სხდომას არ ესწრებოდა, მაგრამ წევრად ითვლებოდა გენერალი სოსო გედევანიშვილი, რომელიც იყო სოციალისტ-ფედერალისტი (იხ. სუკის არქივი, №28139, გვ. 70; №24367, ფ. 23 და სხვ.). „დამკომის" უმაღლეს უფლებამოსილებაში ქ. ჩოლოყაშვილი მოექცა 1923 წლის იანვარში (იხ.: ნ. კირთაძე, დასახელებული წიგნი, გვ. 140, 153. დამოწმებულია ს. ზალდასტანიშვილის მონათხრობი, იხ. მისი წიგნი, გვ. 15-16). მანამდე კი იგი მოქმედებდა „დამკომისა" და „სამხედრო ცენტრის" მითითების გარეშე, უპირატესად შექმნილი ვითარების საკუთარი ხედვის და აგრეთვე ექსტრემისტი ეროვნულ-დემოკრატი ლიდერების კარნახით.

3. „მაგრამ „ცენტრი", მაინც თავისას ცენტრობდა, აჯანყების დაწყებას მხარს უჭერდა ჯგუფი, რომელსაც სათავეში კოტე აფხაზი და დავით (დათა) ვაჩნაძე უდგნენ, მეორე ჯგუფს, უფრო „პაციფისტურს", (? – გ.ც.) ვარდენ წულუკიძე და მისი წრე წარმოადგენდა" (ნ. კირთაძე, დასახელებული წიგნი, გვ. 128). კ. აფხაზი ყოველთვის არ უჭერდა მხარს არამცთუ აჯანყების დაწყებას, არამედ ქ. ჩოლოყაშვილის მოქმედებასაც კი. მაგ., 1922 წლის სექტემბრის ბოლოს თუ ოქტომბრის „დამკომის" და „სამხედრო ცენტრის" გაერთიანებულ

სხდომაზე მან მხარი დაუჭირა აზრს, რომელიც მოითხოვდა ქ. ჩოლოყაშვილის მუხრანის ბატარეაზე შეტევის შემთხვევაში მის ცეცხლით მოგერიებას (იხ. ნ. კირთაძის დასახელებული წიგნი, გვ. 261, 262. კ. აფხაზის 5.III.1923 ჩვენება და ჩრდილელის ჩვენება, სუკის არქივი, №28139, ფ. 29). ვარდენ წულუკიძე უფრო „პაციფისტური" ჯგუფის წევრი კი არ იყო, არამედ უდროო პარტიზანული გამოსვლების წინააღმდეგი იყო (სუკის არქივი, № 28139, ფ. 18 და სხვ.).

4. „არა და, ავჯანყება უკვე დაწყებული იყო – 1922 წლის აგვისტოში... ხოლო თბილისის „ჩეკას" უკვე ხელთ ჰქონდა „ბრძანება №1", რომელიც სამხედრო ცენტრიდან ეგზავნებოდა სწორედ ქაქუცა ჩოლოყაშვილს ავჯანყების დაწყებისათვის და, კიდევ, ამ ბრძანებასთან ერთად პირადი წერილი „სამფერის" ხელმოწერით" (ნ. კირთაძე, დასახელებული წიგნი, გვ. 128). არა და, ეს დოკუმენტები აღმოაჩნდა 1922 წლის ბოლოს (იხ.: „საბრ. დასკვნა", გვ. 50) მოკლულ შალვა ფავლენიშვილს (იხ.: ნ. კირთაძე, დასახელებული წიგნი, გვ. 129). თანაც იგი ავჯანყებას 27 სექტემბრიდან 17 ოქტომბრამდე ვარაუდობდა, ალავერდობის დროს. სათანადო წყაროებიდან არა ჩანს, რომ ქ. ჩოლოყაშვილისათვის გაგზავნილი აღნიშნული დოკუმენტები ჩეკას ჩაუვარდა ხელთ ჯერ კიდევ ხევსურეთის ავჯანყებამდე.

5. „დასტურდება, რომ ვაჩნაძეს ეს წერილი შეთანხმებული ჰქონდა კოტე აფხაზთან და როსტომ მუსხელიშვილთან (მიუთითებს არქივს №8, გვ. 24 – მცდარია – გ.ც.). მაინც ვაჩნაძის „თვითნებობა" (? –გ.ც.) მაშინ ასეთი „სასჯელით" (? – გ.ც.) აღინიშნა. თუმცა ერთი წელიც არ გაივლის და „სამფერ დათას" პარტია ცენტრალურ კომიტეტში აღადგენს და პრეზიდიუმის წევრადაც გაიყვანს" (ნ. კირთაძე, დასახელებული წიგნი, გვ. 130). ე.ი. ისე გამოდის, თითქოს „სამფერის" მოქმედება შეთანხმებული ყოფილა „სამხედრო ცენტრთან", და როსტომიც შესაბამისად მოქმედებდა. ასეთი ჩვენება კი არ იძებნება და არც ვინმეს გამოუქვეყნებია. რ. მუსხელიშვილი შეთანხმებას არ ადასტურებს (იხ. სუკის არქივი, №24058, ფ. 50) და სხვ.

6. „1923 წლის თებერვალში, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სტუდენტთა კომიტეტის წევრის კ. მისაბიშვილის **ჯაშუშობის** (!? – გ.ც.) წყალობით, ჩეკამ შეიპყრო **ავჯანყების დამწყებთა** (რომელი ავჯანყების დამწყებთა? – გ.ც.) მთავარი ბირთვი" (ნ. კირთაძე, დასახელებული წიგნი, გვ. 132). „გამცემლობა" და „ჯაშუშობა" ზოგჯერ

მართლაც თანაბარი შინაარსის ტერმინებია. მაგრამ ამ შემთხვევაში აქ აქცენტი უადგილოა, რადგან კ. მისაბიშვილის ჩეკას ჯაშუშობა კი არა, არამედ, როგორც ვნახავთ, იძულებითი ხასიათის „გამცემლობაც“ კი არ დასტურდება. ამდენად, ს. ზალდასტანიშვილის მცდარი აზრის ციტირების გზით კ. მისაბიშვილის „გამცემლობის“ გაზვიადება „ჯაშუშობად“ კონცეპტუალური ხასიათის შეცდომაა. ამის შესახებაც საუბარი ქვემოთ საგანგებოდ გვექნება.

7. „...ხომერიკის ინიციატივით, აქტიურად ამუშავდა ახლად ორგანიზებული „სამხედრო კომისია“. ამ ახალი სტრუქტურის მთავარ **მაგისტრატებად** (? – გ.ც.) გამოცხადდნენ თვითონ ნოე ხომერიკი (მენშევიკური პარტიისაგან) და მიხეილ ჯავახიშვილი (ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისაგან). ამ ორი კაცის ხელში გადავიდა ფაქტობრივად მთელი შემდგომი სამზადისი ახალი აჯანყებისა“ (იქვე, გვ. 135). არავითარი „მაგისტრატი“ მ. ჯავახიშვილი არ ყოფილა, და არც ის ჩანს, რომ ედპ-ის ცკ-მა მას ასეთი რწმუნება მისცა. ცნობილი წყაროებიდან არა ჩანს, რომ მ. ჯავახიშვილი მხარს უჭერდა ნ. ხომერიკის ექსტრემისტულ-ავანტიურისტულ გეგმებს. დასტურდება საწინააღმდეგო: მ. ჯავახიშვილი ყოველთვის წინააღმდეგი იყო უდროო გამოსვლებისა. ამის შესახებაც ქვემოთ გვექნება სათანადო მტკიცება.

8. „სამხედრო კომისიაში ხომერიკმა, თავისთან ერთად, **მიხეილ ჯავახიშვილი შეიყვანა** (? –გ.ც.), უკანასკნელი მალე ჩეკამ დააპატიმრა და მის ადგილზე **გ. წინამძღვრიშვილი** დაისვა (? – გ.ც.) ხომერიკმა. მერე სოფლებთან ურთიერთობისათვის „სოფლის კომისია“ შექმნა და მისი უფროსობა კალინიკე (კალე) **ქავთარაძეს მიანდო“** (იქვე, გვ. 136). აქედან ისე გამოდის, რომ თითქოს ნ. ხომერიკი წყვეტდა საკადრო საკითხებს და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცკ-ს აღარაფერი ეკითხებოდა. არა და, ასე არ იყო. მაგალითად: კ. აფხაზმა 1923 წლის იანვარში, ედპ-ის ცკ-ის ერთ-ერთ სხდომაზე უჩვენა, რომ: „ი. ჯავახოვმა გვაცნობა, ინტერპარტიულმა ბიურომ გაერთიანებული სამხედრო ცენტრი გამოყო და მის შემადგენლობაში ეროვნულ-დემოკრატთა პარტიიდან ერთი წარმომადგენელი უნდა შევიდესო“ (იქვე, გვ. 266) და არა ერთი წარმომადგენელი – კ. აფხაზი შეიყვანეთო. ეს იმას ნიშნავს, რომ ცენტრალურ ორგანოებში წარგზავნის გარკვეული წესი არსებობდა და არა ნ. ხომერიკის სურვილით „შეყვანის“, „დასმის“ ან „მინდობისა“. ამის შესახებ კიდევ უფრო ზუსტ ცნობას გვაწვდის კ. აფხაზის ჩვენების არქივისეული ვარიანტი. აქ ნათქვა-

მია: „საკითხი გაერთიანებული სამხედრო ცენტრის შესახებ იხილებოდა ეროვნულ-დემოკრატების კრებაზე დეკემბერში თუ იანვარში. მოხსენება გააკეთა იას. ჯავახიშვილმა, რომელმაც შეგვატყობინა, რომ იქმნება გაერთიანებული სამხედრო ცენტრი. ამ გაერთიანებულ სამხედრო ცენტრში დამასახელა, მე უარი არ მითქვამს. კრების მერე უნდა შეეტყობინებინა იასონს იმისათვის „ვინც ქმნიდა" (სუკის არქივი, №24367, ფ. 41). ე.ი. საკითხი ედპ-ის ცკ-ის სხდომაზე წყდებოდა. „მაგისტრატის" არჩევა დოკუმენტში არ შეგვხვედრია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ნ. ხომერიკი წყვეტდა, ვინ „შეეყვანა" „სამხედრო კომისიაში" და ვინ „დაესვა".

ამ ზოგი არსებითი ხასიათის შეცდომებისა და უზუსტობების აღნიშვნა იმიტომ გახდა საჭირო, რომ ისინი მკითხველში ბადებენ ისეთ შთაბეჭდილებას, რომ თითქოს ნ. ხომერიკის პარტიზანული გამოსვლების და აჯანყების ტაქტიკის მხარდამჭერები სწორად იქცეოდნენ, ნ. ხომერიკის საქმიანობა ყოველმხრივ გამართლებული იყო, მაგრამ აჯანყების დროული ორგანიზება კ. მისაბიშვილმა და მისმა მხარდამჭერებმა ჩაშალეს ჩეკასთან ჯაშუშობით და ქ. ჩოლოყაშვილის გამოსვლებზე უარის თქმით...

9. ზემოთ აღნიშნული მცდარი აზრები ნ. კირთაძის მიერ თავის ნამდვილად შრომატევად წიგნში შეტანილი დოკუმენტების ინტერპრეტაციაშიც მეღავნდება. აქ წიგნის უთუოდ ნიჭიერი ავტორი მიზნობრივად და უმართებულოდ არ ასახელებს უამრავი ჩვენებიდან მხოლოდ ერთ, „ერთ-ერთი პოლიტიკური პატიმრის 1923 წლის 16 მარტის ჩვენებას" (იხ. გვ. 241-244). არა და, ადვილი მისახვედრია, რომ ეს არის მ. ჯავახიშვილის ჩვენება. მაგრამ მისი შინაარსიდან კარგად ჩანს, რომ აქ გასასაიდუმლოებელი არაფერია, რადგან იგი კონცეპტუალურად ლოგიკური და სწორია, ხოლო შინაარსობრივად ნ. კირთაძის მიერვე ზოგი სხვა ავტორის მითითებით გამოქვეყნებულ ჩვენებებზე ბევრად ნაკლებად საჩოთიროდ გამოიყურება. ამასთანავე, თუ ამ ჩვენებას „დამკომის", „სამხედრო ცენტრის" და ანტისაბჭოთა პარტიების გონიერი ლიდერების ჩვენებებთან და ჩეკას პოლიტიკურ პატიმართა პერსპექტივასთან ურთიერთკავშირში გავიაზრებთ, დავრწმუნდებით, რომ მ. ჯავახიშვილის 16 მარტის და სხვა ჩვენებები არის ჩეკისტური დაკითხვების ჩვეულებრივი შედეგი. 16 მარტის და ზოგი სხვა ჩვენება კი აშკარად ადასტურებს ექსტრემალურ სიტუაციაში ავტორის მიერ გამოვლენილ განსაკუთრებით დიდ

ერუდიციას, ჰუმანურობას თანამოაზრე-თანამებრძოლთა მიმართ და ერთგულებას „დამკომის“, „სამხედრო ცენტრის“, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცკ-ის წევრი უმრავლესობის და, საერთოდ, არაექსტრემისტული ეროვნული ბრძოლის ადრინდელი ტაქტიკის მიმართ. მაშასადამე, აქ ავტორის დასამალიც არაფერია. 16 მარტის ჩვენების ავტორის, მ. ჯავახიშვილის დამალვა და იმის შენიშვნის სახით მითითება, რომ „პოლიტიკური პატიმრის გვარსა და სახელს შეგნებულად არ ვაქვეყნებთ“ (იხ. გვ. 244), იმაზე მიუთითებს, რომ თითქოს მისით რაღაც საჩოთირო, დანაშაულებრივი ამბავი მჟღავნდება. ნ. კირთაძის კონცეფციიდან ასეც გამოდის, მაგრამ სწორი ანალიზის შემთხვევაში პირიქითაა. ამაში მკითხველი წინამდებარე წიგნის სათანადო ადგილას, ჩვენი აზრით, ბოლომდე დაგვეთანხმება.

10. ჩვენი აზრით, შემთხვევითი არ არის ნ. კირთაძის მიერ გამოქვეყნებულ ე.წ. „აგენტურის მონაცემებით“ (იხ. გვ. 329-346) მკითხველის გაუგებრობების ხელოვნური გამოწვევა. მან საკუთრივ მოპოვებული ჩეკას „სრულიად საიდუმლო“ „მასალები „დამოუკიდებლობის კომიტეტის“, „სამხედრო ცენტრისა“ და კონტრდაზვერვის შესახებ 1922/23 წლისა“ (იხ. გვ. 329) რუსულიდან თარგმნა და ასეთი სათაური წაუმძღვარა: „მოხსენება „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“ საქმეზე“ (იხ. გვ. 330). ამასთანავე, საერთო სათაურის ქვეშ აიტანა „აგენტურის მონაცემები“, დოკუმენტის სატიტულო ქსეროასლს ზემოთ და ქვემოთ კი დაურთო ამ შემთხვევაში გაუმართლებელი კომენტარები. მან ამით ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ დოკუმენტის საერთო სახელწოდება არის ვითომ „მოხსენება „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“ საქმეზე აგენტურის მონაცემები“ (იხ. გვ. 329). ამით მან მკითხველს მთელი დოკუმენტი „აგენტურის მონაცემებად“ მოაჩვენა, ხოლო მისი სხვა ქვესაკითხების დასაწყისი ტექსტთან დაკავშირებულად და შედარებით უფრო გადიდებული შრიფტით წარმოაჩინა და ამით მას სათაურის სახე მიანიჭა. მაგრამ ასევე გამოყოფა სჭირდებოდა „აგენტურულ მონაცემებს“. ამ შემთხვევაში მკითხველისათვის გასაგები გახდებოდა, რომ დოკუმენტში მოტანილი ყველა პიროვნების ჩვენების ამონარიდი არის არა აგენტურული მონაცემები – ინფორმაცია ან დასმენა, არამედ ჩვენება. ერთ-ერთ სამეცნიერო ხასიათის სხდომაზე ნ. კირთაძეს ამ შეცდომის და მასთან დაკავშირებული მომდევნო ავტორის მ. ხომერიკის ხელოვნური და მიზნობრივი გაუგებრობების შესახებ მივუთითეთ. მან კი

გვიპასუხა: „დედანში ასეა, მომდევნო ავტორის შეცდომები მისი საქმეაო“. ეს თუ დედანში მართლა ასეა, მაშინ სატიტულო ქსეროასლზე მითითებული ავტორისეული კომენტარების მიმართ პრეტენზიები იხსნება. მაგრამ იმის აუცილებლობა რჩება, რომ ავტორს, შენიშვნის სახით, ის მაინც მიეთითებინა, რომ ამ დოკუმენტში „აგენტურული მონაცემები“, ფაქტობრივად, არის მხოლოდ მისი შესავალი ნაწილი.

11. და ბოლოს: ნ. კირთაძის მიერ წიგნში მოტანილი მ. ჯავახიშვილის ერთ-ერთ ჩვენებას შეცდომით მითითებული აქვს თარიღი: 02.02.23 (იხ. გვ. 249). წიგნში არსად არ არის ნახსენები, რომ მ. ჯავახიშვილი ამ დროს პატიმრობაში არ იმყოფებოდა და რომ საქმე გვაქვს შეცდომასთან. ამიტომ ზოგიერთ მკითხველს შეიძლება შეექმნას შთაბეჭდილება, რომ თითქოს მ. ჯავახიშვილი „ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის კოლეგიას“ ჯერ კიდევ დაპატიმრებამდე, 1923 წლის 2 თებერვალს აწვდის ჩეკასთვის საყურადღებო ინფორმაციას. ზოგმა მკითხველმა შეიძლება ისეც გაიგოს, თითქოს „სამხედრო ცენტრის“ გამო დაპატიმრებულთაგან მ. ჯავახიშვილი პირველი იყო და, მაშასადამე, ჯერ კიდევ სხვების (მათ შორის ივ. ნარიკელაძის) დაპატიმრებამდე იძლეოდა ჩვენებებს, რომლებსაც აუცილებლად ექნებოდათ სხვათა დაპატიმრების და შემდეგ ამ დაპატიმრებულთა გამოტეხვის თუ ბრალეულობათა დამძიმების დატვირთვა. ასეთი რამ კი ჩვენებების მთელი მასის ანალიზის საფუძველზე არ დასტურდება.

ნ. კირთაძის ზოგჯერ გაუცნობიერებულ შეცდომებს და ზოგჯერ კი აშკარად არასწორ ფორმულირებებს იძულებული ვართ სათანადო ყურადღება დავუთმოთ, რადგან მათ უაღრესად პრინციპული მნიშვნელობა ენიჭებათ კ. მისაბიშვილის, მ. ჯავახიშვილის პოლიტიკური პორტრეტების და, საერთოდ, 1921-1923 წლების, აგრეთვე შემდგომი პერიოდის ეროვნული მოძრაობის ისტორიის სწორი გაგებისათვის. ამ შეცდომა-გაუგებრობების სიმართლედ მიღების შემთხვევაში, გამოდის, თითქოს:

1. კ. მისაბიშვილი მართლა ჩეკას ჯაშუში და „სამხედრო ცენტრის“ დამღუპველი იყო;

2.. კ. მისაბიშვილთან პოლიტიკური მოღვაწეობით დაკავშირებული და მისი (აგრეთვე საკუთარი) გარდუვალი გაუბედურებით შეშფოთებული თანამოაზრე – მ. ჯავახიშვილი მასთან და, მაშასადამე, ჩეკასთან ალიანსში იყო;

3. მ. ჯავახიშვილის გულისხმიერება მოყვასის (კ. მისაბიშვილის

და სხვათა) მიმართ სინამდვილეში ნაკარნახევი იყო მათი საერთო ჩეკისტური, აგენტურული თუ ინფორმატორული სამსახურის ინტერესებით და, მაშასადამე, ამიტომ გამოეყო იგი ნ. ხომერიკის ტაქტიკის მიმდევრებს;

4. მ. ჯავახიშვილმა პატიმრობის დროს „ზაკჩეკას" თავმჯდომარეს შესთავაზა ქ. ჩოლოყაშვილის, როგორც ერის განთავისუფლებისათვის მებრძოლის, ნეიტრალიზება;

5. მ. ჯავახიშვილმა თანამოაზრე-თანამებრძოლებს ბრალეულობები დაუმძიმა, პოლიტიკანურად იმოქმედა და თანამოაზრე-თანამებრძოლებს, აგრეთვე, საერთოდ, სამშობლოს უღალატა.

შემთხვევითი არ არის, რომ ნ. კირთაძის შეცდომები მსგავსი დასკვნებისათვის გამოიყენა სხვა არანაკლებ ნიჭიერმა ისტორიკოსმა მ. ხომერიკმა. მან იმავე, 1996 წელს გამოქვეყნებულ წიგნში „პასუხად მიხეილ ჯავახიშვილის ბიოგრაფებს" დიდი ადგილი დაუთმო ნ. კირთაძის მიერ მოპოვებული და გამოქვეყნებული დოკუმენტებით მ. ჯავახიშვილის 1921-1923 წლების პოლიტიკური მოღვაწეობის გამრუდებას. იგი ამ ამოცანის შესრულების დროს ეყრდნობა არა მარტო ნ. კირთაძის მიერ კომენტარებს გარეშე გამოქვეყნებულ ჩეკისტურ, ანუ ჩეკაში მიზნობრივად გამოძალულ ჩვენებებს, არამედ აგრეთვე ნ. კირთაძის წიგნში ჩამოყალიბებულ მცდარ კონცეფციას. ნ. კირთაძეს, მ. ხომერიკის მიერ მისი წიგნის არასწორად გამოყენების გამო, პროტესტი არსად გამოუთქვამს. ამდენად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ისინი კ. მისაბიშვილის, მ. ჯავახიშვილის და 1921-1923 წლების ეროვნული მოძრაობის გაგებაში თანამოაზრეები არიან.

ამ საკითხების წამოწევას, ზემოთ აღნიშნულ და სხვა მრავალ ავტორთა შეცდომების მხილებას თვითმიზანი არ უდევს საფუძვლად. ჩვენთვის მთავარია გავარკვიოთ 1921-1923 წლების ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობის არსი, მისი საერთო მიზანდასახულობა, ეროვნული მოძრაობის ამ ეტაპის ძირითადი ტენდენციები და ავსახოთ სამშობლოს უსაზღვროდ მოყვარე, მაგრამ გაუკულმართებულად გაგებული, დიდი მამულიშვილების პოლიტიკური პორტრეტები. ამის აუცილებლობას გვკარნახობს ის, რომ ჯერ ერთი გაუკულმართებულად გაგებული ხდება და იბღალება თვალსაჩინო პატრიოტების მამულიშვილური ღვაწლი; მეორე – ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობის ისტორიის შესწავლა ჯერ კიდევ იმყოფება საწყის პერიოდში. ამდენად, მისი საფუძვლების სწორი გაშუქება არის შემდგომ მკვლე-

ვართა სწორად ორიენტირების მიზნით გაწეული ღვაწლი. ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობის საწყისი ეტაპის ძირითადი თავისებურებების და შინაარსის ახსნა გასაღები იქნება, საერთოდ, მთელი ანტისაბჭოთა ქართული ეროვნული მოძრაობის გაგებისათვის.

ჩვენი მიზნის შესრულება შეუძლებელია აღნიშნულ ავტორთა მიერ დაშვებული შეცდომების მხილების გარეშე. ამიტომ აღმოვჩნდით პრობლემის ისტორიოგრაფიულ და წყაროთმცოდნეობით გაგებაში არსებული ხარვეზების კონკრეტული მაგალითებით გამოკვლევა-გაშუქების უაღრესად შრომატევადი და უკანასკნელ ხანებში ისტორიის კვლევისა და გაშუქების „მოდიდან გასული" აუცილებლობის წინაშე. ამის გამო, წიგნის მომდევნო თავებში, ერთი მხრივ, ვაანალიზებთ პრობლემის შესწავლაში არსებულ შეცდომებს, ხოლო, მეორე მხრივ, კვლავაც ვიყენებთ და ვეყრდნობით დასახელებული ისტორიკოსების და კრიტიკოსების, მათ შორის ნ. კირთაძის, მ. ხომერიკის და სხვა მრავალთა მიერ მოპოვებულ ღირებულებებს.

შესასწავლი პრობლემის გამოკვლევა-გაშუქებისათვის მნიშვნელობა აქვს დოკუმენტებს, რომლებიც 1989 წლის 26 მაისს გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში" სათანადო შესავლით გამოაქვეყნა გურამ მამულიამ. ეს არის საერთო სათაურით - „წამებულთა გაცოცხლებული ხმა" - გამოქვეყნებული დოკუმენტები. მასში მოცემულია: პასუხები 1924 წლის აჯანყების, ანუ „პარიტეტული კომიტეტის" საქმის გამო დაპატიმრებულებისადმი საფრანგეთის მუშათა პროფკავშირული დელეგაციის წარმომადგენელთა მიერ დასმულ კითხვებზე (30. IX. 1926); მიხეილ იშხნელის 1924 წლის 4 სექტემბრის ჩვენება; მისივე სიტყვა („ჩვენება" - გ.მ.) წარმოთქმული სასამართლოს წინაშე (21. VII. 1925); ამონაწერები დოკუმენტებიდან (№1, №2) და პოლიტიკური პატიმრების (მ. იშხნელის და გ. წინამძღვრიშვილის) ჩვენებებიდან; სიმონ ბაგრატიონ-მუხრანსკის მეუღლის ქალბატონ ნინოს პირადი წერილი „ქაქუცას და ვანიჩკას"; აგრეთვე 7 პუნქტისაგან შემდგარი მიხეილ ჯავახიშვილის ჩანაწერი (სადაც გამოტოვებულია პუნქტი II და VII შინაარსი), რომლის V პუნქტი 1924 წლის 22 მარტით თარიღდება.

ეს დოკუმენტები, ცალკეულთა გარდა, სხვადასხვა არქივებშიც არის დაცული და ნ. კირთაძის წიგნშიც აისახა. მაგრამ აქედან მეორე ნაწილი მრავალმხრივ საყურადღებოა იმ მხრივ, რომ ავსებს და ზოგჯერ აზუსტებს პრობლემის შესახებ დაგროვილ ცოდნას. მა-

გრამ განსაკუთრებით თვალში საცემია ის, რომ აქ მოცემულია მ. ჯავახიშვილის კუთვნილი პუნქტები, რომელთაგან ორი თითქოს საგანგებოდ საჩოთირო შინაარსის გამო არ გამოუქვეყნებიათ. ეს მ. ხომერიკმა ასეც გაიაზრა. „ისტორიკოსმა გურამ მამულიამ, რომელმაც ეს დოკუმენტი გამოაქვეყნა, – წერს მ. ხომერიკი, – ორი მეტად საგულისხმო პუნქტი... გამოტოვა და მრავალწერტილით აღნიშნა, რათა ჩრდილი არ მიეყენებინა მ. ჯავახიშვილისათვის, თუმცა გამოქვეყნებული პუნქტებიდანაც ჩანს, რომ დიდი მწერალი არ ინდობდა თავის თანამებრძოლებს და მათ შესახებ დაწვრილებით ცნობებს აწვდიდა ჩეკას" (გვ. 13). მართალია, აქ მსგავსი არაფერი არა ჩანს, მაგრამ მკითხველი დაინტრიგდა, რადგან მ. ხომერიკი აგრძელებს: „მის ჩვენებას სრული სახით დედანში გავეცანი (რომელ ჩვენებას? ალბათ, II და VII პუნქტებს? – გ.ც.), მაგრამ არ ვიცი, რამდენად სარწმუნოა იგი. უნდა ითქვას, რომ აღნიშნული დოკუმენტი (რომელი დოკუმენტი? პუნქტები თუ ორი გასაიდუმლოებული პუნქტი? – გ.ც.) სრულ შესაბამისობაშია მ. ჯავახიშვილის სხვა ჩვენებებთან..." (გვ. 13). ამ ადგილის პირველი წაკითხვის დროს მეც განცვიფრებული დავრჩი და გ. მამულიას მიერ გამოტოვებული პუნქტების ძებნა დავიწყე, მაგრამ უშედეგოდ. სხვა პუნქტები ნ. კირთაძეს გამოქვეყნებული აქვს. იგი გაშლილი სახით შესულია მ. ჯავახიშვილის 1923 წლის მარტის და შემდგომ ჩვენებებში. ასე მაგალითად: პუნქტი 1 შინაარსობრივად გადმოცემულია ნ. კირთაძის მიერ გამოქვეყნებულ მ. ჯავახიშვილის 1923 წ. 13 აპრილის ჩვენებაში: „კ. მისაბიშვილზე ვაჩვენებ" (იხ. გვ. 251); პუნქტი 3 და 4 შუქდება მ. ჯავახიშვილის 1923 წ. 15 მარტის ჩვენებაში (იქვე, გვ. 273); პუნქტი 5 ეს არის ამონარიდი მ. ჯავახიშვილის 1923 წლის 22 მარტის ჩვენებიდან (იქვე, გვ. 249-250) და არა 1924 წლის ნაწერი, როგორც ეს გ. მამულიას პუბლიკაციაშია მითითებული (გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 1989, 26 მაისი, გვ. 9); პუნქტი 6 არის „ზაკჩეკას" გამომძიებელ პანკრატოვის მიერ დასმულ კითხვებზე გაცემული ერთ-ერთი პასუხი (იხ. მ. ჯავახიშვილის 1923 წლის 12 მაისის ჩვენება ნ. კირთაძის წიგნში, გვ. 221). მაშასადამე, მ. ჯავახიშვილის ვითომ 1924 წლის ნაწერი, ფაქტობრივად, ეს არის ამონაწერები ან წინასწარი მოკლე ჩანახატი, ან თანამებრძოლებთან შესათანხმებლად ჩამოწერილი თეზისები, რომელიც შეიძლებოდა აღმოჩენილიყო 1958 წელს მეტეხის ციხის ნგრევისას. მ. ხომერიკმა

კი ამის გარკვევისათვის არ იზრუნა და დაასკვნა: „1958 წელს, მეტეხის ციხეს რომ ანგრევდნენ, ერთ-ერთი საკნის იატაკის ქვეშ, ჩამარხული დოკუმენტები გამოჩნდა, მათ შორის მ. ჯავახიშვილის ჩვენებაც: ... გამოქვეყნებული პუნქტებიდანაც ჩანს, რომ დიდი მწერალი არ ინდობდა თავის თანამებრძოლებს და მათ შესახებ დაწვრილებით ცნობებს აწვდიდა ჩეკას" (გვ. 13). ე.ი. მ. ხომერიკს ისე გამოჰყავს, თითქოს ზემოთ აღნიშნული პუნქტები ყოფილიყოს მ. ჯავახიშვილის მიერ ჩეკასათვის თანამებრძოლების არდანდობის მიზნით 1924 წელს მოწოდებული დაწვრილებითი ცნობები. თითქოს მ. ჯავახიშვილი იყო დამსმენი იმ „პარიტეტული კომიტეტისა", რომელიც 1924 წლის აჯანყებას ხელმძღვანელობდა... პარიტეტული კომიტეტის წევრები დახვრიტეს, მ. ჯავახიშვილი კი... „გაამართლეს" (გვ. 40). ასეთი ინტერპრეტაცია მართლაც რომ სენსაციურად და შემზარავად გამოიყურება. ზოგმა მკითხველმა იგი დაიჯერა, ზოგი კრიტიკულად მოეკიდა. მკვლევარი რ. კვერენჩხილაძე, როგორც ლიტერატურის მიმოხილვის დროს აღვნიშნეთ, საკუთარი შესაძლებლობის ფარგლებში, მათი ახსნის მიზნით, მეცნიერულად გაისარჯა. ჩვენ კი შევეცადეთ, ჩვენი შესაძლებლობიდან გამომდინარე, გაგვერკვია საქმის რეალური მდგომარეობა.

მ. ხომერიკის ამ განცხადებების გაკონტროლებამ გვაფიქრებინა, რომ საეჭვო უნდა ყოფილიყო II და VII პუნქტების მ. ხომერიკისეული კვალიფიკაცია. მოგვიანებით მათი გაკონტროლებაც მოხერხდა. მკვლევარმა რ. კვერენჩხილაძემ 1999 წელს თავის წიგნში (გვ. 156) შვიდივე პუნქტი გამოაქვეყნა. II პუნქტში ნათქვამია: „ორიენტაცია როგორც ჩვენს ისტორიულ მტერ ოსმალეთზე, ისე დასავლეთზე, ხალხის დაღუპვას ნიშნავს. ჩვენი ორიენტაცია კვლავ რუსეთისკენ უნდა იყვეს"; VII პუნქტი ვიღაცას ამცნობს ან მისთვის გასაცნობად აფიქსირებს: „მე ვიკისრებ ჩოლოყაშვილის ბანდების დაშლას მასთან **მოლაპარაკებით** (! – გ.ც.), ოღონდ ეს ცნობა საიდუმლოდ უნდა გვქონდეს შენახული, რომ მოწინააღმდეგეებმა არ დამასწრონ მასთან მოლაპარაკება. მე დავიხმარებ ოფიც. გ. ხიმშიაშვილს" (გვ. 157). ირკვევა, რომ ეს ორი პუნქტიც გაშლილი სახით მოცემულია ნ. კირთაძის მიერ გამოქვეყნებულ მ. ჯავახიშვილის 1923 წლის, ანუ ფსევდო 2 თებერვლის, აგრეთვე 16 მარტის ჩვენებებში (იხ. ნ. კირთაძის დასახელებული წიგნი, გვ. 248-249, 241-244). მაშასადამე, ირკვევა, რომ მ. ჯავახიშვილის ჩანაწერების შვიდივე პუნქტი სრული სახით მო-

ცემულია მის 1923 წლის გაშლილ ჩვენებებში. ე.ი. ეჭვგარეშეა, რომ ეს არის ავტორის ნააზრევის თეზისური ჩანახატი, რომელიც გათვალისწინებულია მისი აზრის დაფიქსირებისა და მისი ჩვენებების სახით ჩამოყალიბების მიზნით. ამასთანავე, არც ის არის გამორიცხული, რომ იგი სხვა პატიმრებთან შესათანხმებლად ყოფილიყო დაწერილი. მაგრამ აქ მთავარი მაინც ის არის, რომ, როგორც ვნახავთ, მასში არაფერია საეჭვოდ გასაზვიადებელი, ვითომ „მეტად საგულისხმო...", „ჩრდილის მიმყენებელი", „არ დამნდობი" და განსაკუთრებული, ისეთი, რომელიც „პარიტეტული კომიტეტისათვის" იყოს დამღუპველი და მ. ხომერიკისეული საზარელი დასკვნების საფუძვლის შემქმნელი. წიგნის დაწერის დროს გავეცანით, გავითვალისწინეთ და გამოვიყენეთ საქართველოს პრეზიდენტის (ყოფილი იმელის, კომპარტიის ისტორიის ინსტიტუტის) არქივში დაცული დოკუმენტების კრებული („მენშევიკური ავანტიურა": ფონდი 14, აღ. 2. საქმე 40). მასში შეტანილი უამრავი დოკუმენტი (846 ფ.) ძველთაგანვე კარგად არის ცნობილი მკვლევარი სპეციალისტებისათვის, ხოლო მათი პუბლიკაციების მეშვეობით – დაინტერესებული მკითხველისათვის. საბჭოთა რეჟიმის პირობებში მკვლევრები ამ დოკუმენტებში ნახულობდნენ მხოლოდ ანტისაბჭოთა ავანტიურას, 90-იანი წლებიდან კი პოულობენ უპირატესად მხოლოდ ჰეროიკას. არა და, ამ საარქივო მასალებში გვხვდება უაღრესად საყურადღებო დამატებითი მასალა, რომელიც საშუალებას გვაძლევს გავარკვიოთ ჰეროიკაცა და ისტორიის მწარე სიმართლეც, მაგრამ მან, გასაგები მიზეზებით, სათანადო პუბლიკაციებში ადრე ვერ პოვა ასახვა. ძირითადად აქ ასახული არის „პარიტეტული კომიტეტისა" და „სამხედრო კომისიის" ახალი შემადგენლობის წევრთა უსაზღვრო სიყვარული საკუთარი ერის მიმართ, მათი გადაჭარბებული დაიმედება დასავლეთის დახმარებით, მაგრამ ამასთანავე ჩანს მათ მიერ მოვლენების შეუცნობლობა, გულუბრყვილობა, არაკომპეტენტურობა და ბრძოლის ავანტიურისტულ ტაქტიკაზე ორიენტირება. ამ დამატებით საფუძველზე ცხადი ხდება, რომ ამ ექსტრემისტულ-ავანტიურისტულმა ხელმძღვანელობამ ხელისუფლებას გაუადვილა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის თავგანწირულ პატრიოტულ ძალთა გამოვლინება-განადგურება. ამავე არქივში დაცული მრავალი სხვა ისეთი მასალაც გამოვავლინეთ, რომელთა გამოყენება-გათვალისწინების გარეშე შეუძლებლად გვესა-

ხება 1921-1924 წლების ეროვნული მოძრაობის ისტორიის მეცნიერული გაგება.

ახლა რაც შეეხება ისტორიის ე.წ. ჩეკისტურ წყაროებს, რომლებიც პირადად ჩვენს მიერ იქნა მოპოვებული და წინამდებარე წიგნის საკითხების გამოკვლევის დროს გამოყენებული. ეს არის: 1) უაღრესად მრავალრიცხოვან და მრავალმხრივი ხასიათის დოკუმენტებში შესული წყაროები, რომელთაც აქვთ ცნობილ წყაროებთან შედარებით არა მარტო დამატებითი ინფორმაციული, არამედ აგრეთვე ალტერნატიული შესაძლებლობები; 2) აგრეთვე შევისწავლეთ სრულიად განსხვავებული სახის ჩეკისტური დოკუმენტები, რომლებიც წარმოდგენილია ისტორიის უნიკალური წყაროებით. მათი აბსოლუტური უმრავლესობა არა მარტო პირველად შემოგვაქვს სამეცნიერო-კვლევით გამოყენებაში, არამედ ორიგინალურია სამეცნიერო-კვლევითი შემეცნების და ინფორმაციული ღირებულების თვალსაზრისით.

ჩვენს მიერ გამოვლენილი და გამოყენებული დამატებითი ინფორმაციისა და ხშირ შემთხვევაში ალტერნატიული წყაროების შემცველი ყველა საარქივო მასალის დახასიათება მხოლოდ სპეციალურ, პრობლემის წყაროთმცოდნეობისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაში თუ მოხერხდებოდა. ამიტომ წიგნის წინამდებარე თავში საჭიროდ მივიჩნიეთ მათი ერთი, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ნაწილის დასახელება. ჩეკისტური დოკუმენტებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „პარიტეტული კომიტეტის", „სამხედრო ცენტრის", „სამხედრო კომისიის", „გაერთიანებული სამხედრო ცენტრის", ანტისაბჭოთა არალეგალური პოლიტიკური პარტიების ხელმძღვანელი ორგანოების, მათი თვალსაჩინო წარმომადგენლების და მათთან დაკავშირებული ეროვნული პატრიოტების საქმიანობის ამსახველი პოლიტიკურ პატიმართა ჩვენებები, სამძებრო საქმეები და მათზე დართული ცალკე ამონაწერები: ლევან ლუკას ძე რაზიკაშვილის (ანუ ვაჟა-ფშაველას პირმშოს) №22905, გოგიტა ფაღავას №22435, ვასო ნოდიას №22441, სიმონ ბაგრატიონ-მუხრანსკის №24060 (25 აპრილის და 7 მაისის), ივანე ნარიკელაძის №24058 (28 თებერვლის, 1-3, 7, 10, 13 მარტის), კოტე აფხაზის №24367 (31 მარტის), იოსებ გედევანიშვილის №28082, ფ. 100 (3 აპრილის), გოგი ხიმშიაშვილის №28139, ფ. 30 (16 მარტის), ვარდენ წულუკიძის №28082 (4, 19, 30 მარტის; 15, 24 აპრილის), როსტომ მუსხელიშვილის №24058 (2, 7,

9, 11, 21, 24 მარტის; 5, 18, 25 აპრილის), ივანე ქუთათელაძის №28336 (28 მარტის, 29 აპრილის, 9 მაისის), ალექსანდრე მაჭავარიანის №2805 (31 მარტის, 3 მაისის), ნიკოლოზ ზანდუკელის №28068, სიმონ ჭიაბრიშვილის №28068, ვასო კასრაძის №23349, ვასო კობიაშვილის №23465, სიმონ ყიფიანის №23682, ნოე ხომერიკის №24168, ბენია ჩხიკვიშვილის №9289, გია კიტას ძე აბაშიძის №24224, სიმონ ხოფერიას №23362, ახალგაზრდა ჩეკისტის არჩილ კახიანის №24168 (ფ. 53-65), ვასო ჩიტაიშვილის №23969 და სხვ. მათში შეტანილია უაღრესად საყურადღებო, ბევრის მთქმელი ჩვენებები, რომლებიც რატომღაც ვერ აისახა ჩამოთვლილი სპეციალისტების პუბლიკაციებში, და ამიტომ ხშირ შემთხვევაში არც არის გათვალისწინებული მათი შრომების კვლევით ნაწილში ჩამოყალიბებულ დასკვნებსა და კონცეფციაში.

დოკუმენტების აღნიშნულ ჯგუფს მიეკუთვნება აგრეთვე ჩეკას საფილტრაციო და პროფილაქტიკური მასალები: №20075, №23509, №24222, №24271 და სხვ.; დაპატიმრებულთა შესახებ არსებული დოკუმენტები: №23427, №23475, №28082, №23402, №24139, №23192, №14648, №14649, №14651, №16548, №23412. მათ შორისაა პოლიტიკურ პატიმართა დახვრეტის შემცველი ცნობები: №23412, №14651, №14548, №24346 და სხვ. ამ კატეგორიის დოკუმენტებს ამდიდრებს ე.წ. „ბანდიტური", ანუ ანტისაბჭოთა პარტიზანული მოძრაობის წარმომადგენელ პოლიტიკურ პატიმართა საქმეები: №23459, №23426, ამოღებული არალეგალური ლიტერატურა №23410, №23450.

განსხვავებული ტიპის ჩეკისტური დოკუმენტების სახით გვევლინება უნიკალური და ორიგინალური ხასიათის მასალები, რომლებიც შეიცავენ განსაკუთრებული ინფორმაციული ღირებულების წყაროებს: სახელმწიფო უშიშროების ორგანოების მუშაობის მეთოდებისა და ფორმების №2825, №23969, №23701; საკადრო პოლიტიკის №5975, ფ. 351; აგენტ-ინფორმატორთა გამოყენების №24171, ფ. 19-23; პოლიტიკური პატიმრებისაგან ინფორმაციის გამოძალვის №24224, ფ. 8; მათი გადაბირება-გამოყენების №22936, ფ. 56-57; პოლიტიკურ პატიმართა ძებნის მეთოდების №23465, ფ. 88-106; ანტისაბჭოთა მოძრაობის წარმომადგენელთა და მათი ოჯახის წევრებზე ფსიქოლოგიური თუ სოციალურ-ეკონომიკური ზემოქმედე-

ბის №23467, ფ. 19; ანტისაბჭოთა ორგანიზაციების შემადგენლობის გახსნის და მათგან უმნიშვნელოვანესი ინფორმაციის გამოძალვის ხერხების და მზადებაში მყოფი ავჯანყების წინასწარ დადგენის ცნობების (აჭარა №23969; ქუთაისი №24141) შესახებ.

ამათგან განსაკუთრებული ინფორმაციული ღირებულებით გამოირჩევა ე.წ. „მემორანდუმები", ანუ ზოგიერთი, განსაკუთრებული ჩეკისტური ინტერესის მქონე, პოლიტიკური პატიმრების საქმეებს თანდართული, აგენტურულ-ინფორმაციული ცნობები და ე.წ. „ფორმულიარები". ამ ტიპის დოკუმენტები საშუალებას გვაძლევს გამოვარკვიოთ და დავადგინოთ, საიდან იღებს სათავეს კონკრეტული პოლიტიკური პიროვნების და მასთან არალეგალური ანტისაბჭოთა საქმიანობით დაკავშირებული ადამიანების დაპატიმრების თუ ბრალეულობათა მამხილებელი ინფორმაციები. ისინი ზოგჯერ შესაძლებლობას გვაძლევენ გამოვარკვიოთ არა მარტო პიროვნებების, არამედ მთელი ორგანიზაციის, ცენტრების ჩავარდნის მიზეზი და საბაბი. ასეთი მემორანდუმები გამოვავლინეთ „სამხედრო ცენტრის" თავმჯდომარის ალექსანდრე ანდრონიკაშვილის, აღნიშნული „ცენტრის", აგრეთვე „გაერთიანებული სამხედრო ცენტრის" ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წევრის ვარდენ წულუკიძის, მათთან დაკავშირებული ალექსანდრე მაჭავარიანის და სიმონ ბაგრატიონ-მუხრანსკის სამძებრო საქმეებში.

ვარდენ წულუკიძის საქმეში აღმოჩნდა თბილისის რევკომის თავმჯდომარის „ღოლობერიძის სრულიად საიდუმლო", ჩვენი აზრით, სადირექტივო ვრცელი წერილი საჩეკას „საიდუმლო აგენტურული განყოფილების უფროსისადმი" (ე.ი. ლავრენტი ბერიასადმი), რომელიც თარიღდება 1921 წლის 26 აგვისტოთი („№21. ქ. ტფილისი"). ამ დოკუმენტში (საქმე №98082, ფ. 91-94) ყურადღება ძირითადად გამახვილებულია საქართველოს და თბილისის საზოგადოებაში, განსაკუთრებით კი უმაღლესი ჩინის სამხედრო პირებში არსებულ ანტისაბჭოთა პოლიტიკურ-იდეოლოგიურ განწყობილებაზე და საბჭოთა ხელისუფლების სამსახურში მყოფი ამ კონტინგენტის უმნიშვნელოვანეს პიროვნებათა (გენერლების: ალ. ანდრონიკაშვილის, ვ. წულუკიძის, ციციანოვის, ოფიცრების: გედევანოვის, ძაგანიას და სხვათა) მიმართ ჩეკისტური ზემოქმედების აუცილებლობის შესახებ. ვ. წულუკიძის საქმეში გამოვლენილი ამ დოკუმენტის ავტორის მიმართვა ლ. ბერიასადმი არ უნდა იყოს შემთხვევითი, რადგან იმდროინდელი

საქჩეკას ნაციონალ-უკლონისტური ხელმძღვანელები (კ. ცინცაძე, კ. ოკუჯავა) ნაკლებ საიმედო პიროვნებებად განიხილებიან. არ უნდა იყოს შემთხვევითი აგრეთვე ამ ორი პიროვნების (ბერიას და ღოღობერიძის) შემდგომი, გარკვეული პერიოდის, განსაკუთრებული სიახლოვე. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ის არის, რომ სწორედ აქედან იწყება ჩეკისტური თვალთვალი ამ ქართველი სამხედრო სპეციალისტების მიმართ და მათზე აგენტურული ცნობების თავმოყრა, რომლის დასასრულმა თავი 1923 წლის თებერვალ-მარტის „სამხედრო ცენტრის" დაპატიმრების სახით, შემდეგ კი მისი წევრების და მათთან დაახლოებული ოფიცრობის დახვრეტის დროს იჩინა.

ალ. ანდრონიკაშვილის საქმეში აღმოჩნდა კიდევ ორი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი. პირველი ეს არის „სამხედრო ცენტრის" გამო დაპატიმრებული სამი უმთავრესი პიროვნების ალ. ანდრონიკაშვილის, ი. ნარიკელაძის და რ. მუსხელიშვილის დაკითხვის საფუძველზე ჩამოყალიბებული 1923 წლის 27 აპრილის დასკვნა (საქმე №28139, ფ. 70) და „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტთან" არსებული „გაერთიანებული სამხედრო ცენტრის" 1923 წლის 15 მაისის „დასკვნითი დადგენილება" (საქმე №28139, ფ. 3-111). ამათთან კავშირში საყურადღებო წერილი (შალვა ფავლენიშვილის 1922 წლის 8 სექტემბრით დათარიღებული და ქაქუცა ჩოლოყაშვილისადმი გაგზავნილი) აღმოჩნდა ალ. მაჭავარიანის საქმეში (№28065, ფ. 44). რ. მუსხელიშვილის საქმეში გამოვლინდა „სოტრუდნიკ"-ის ხელმოწერითა და 1922 წლის 27 იანვრით დათარიღებული აგენტურის რწმუნებულის „რაპორტი", რომლის სახელწოდებაა „ქართული წითელი არმია" (№24058, ფ. 21-21/2). მასში მოცემულია გაშლილი დახასიათება იმ ანტისაბჭოური იდეურ-პოლიტიკური მდგომარეობისა, რომელიც თითქოს ამ უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში მყოფ სამხედრო შენაერთს მისმა ქართულმა მეთაურობამ შეუქმნა. ეს დოკუმენტი იმ აზრით მთავრდება, რომლის მიხედვით ქართული მხედრობის უმთავრეს საფიქრალს წარმოადგენს ჯარის გახრწნა და რუსული არმიის გაყვანით დაიმედება.

ზემოთ აღნიშნული დოკუმენტებიდან მხოლოდ ერთ, „სამხედრო ცენტრის" სამი თვალსაჩინო წარმომადგენლის (27. IV. 1923) დაკითხვის ოქმშია დაფიქსირებული სიმართლესთან ახლო მდგარი აზრი: „Восстание мыслилось как единовременное на всем Кавказе при условии внутренних осложнений в России или в случае войны России с другой

державой." მაგრამ „დასკვნითი დადგენილებით" ბრალეულობები გაზვიადებულ იქნა დასახვრეტად საჭირო კვალიფიკაციის დონეზე: „საბჭოთა ხელისუფლების დამხობის მიზნით ავჯანყების ხელმძღვანელობა 1922 წლის აგვისტო-სექტემბერში. ამავე მიზნით ახალი ავჯანყების ორგანიზების ხელმძღვანელობა 1923 წ. იანვარ-თებერვალში." მაგრამ ეს ფორმულირება-კვალიფიცირება ზემოთ აღნიშნული, აგრეთვე ჩვენს მიერ მოპოვებული სხვა და ნ. კირთაძის მიერ გამოქვეყნებული რიგი დოკუმენტების ალტერნატიული წყაროებით არ დასტურდება. მაშასადამე, „სამხედრო ცენტრის" დახვრეტას ჩეკამ, პარტიულ-პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი დაკვეთის თანახმად, ყალბი საფუძველი შეუთითხნა. ეს ყალბი საფუძველი ნ. კირთაძემ სწორად მიიჩნია, მიუხედავად იმისა, რომ ალტერნატიული წყაროები თვით მის მიერვე გამოქვეყნებულ დოკუმენტებშიც იძებნება.

სუკის არქივში ჩვენს მიერ გამოვლინდა რიგი სხვა დოკუმენტი, რომლებიც აშკარად ადასტურებენ, რომ „სამხედრო ცენტრის" დაპატიმრებასთან არ შეიძლებოდა კავშირი ჰქონოდა კ. მისაბიშვილს და მით უმეტეს მ. ჯავახიშვილს. ჩვენს მიერ მოძიებულ იქნა კ. მისაბიშვილის სამძებრო საქმე (№22763), რომლიდანაც ჩანს, რომ „სამხედრო ცენტრის" დაპატიმრებისა და მოსპობის მიზნით ჩატარებული ჩეკისტურ-დივერსიული და აგენტურული მოსამზადებელი სამუშაოების დროს (24.V.1922-30.I.1923) კ. მისაბიშვილი პატიმრობაში იმყოფებოდა. „ცენტრის" დაპატიმრების საფუძველი კი გარეთ, სამხედრო-პატრიოტულ წრეებში ჩეკისტურ-აგენტურული მუშაობით იქმნებოდა.

სათანადო წყაროები მოწმობენ, რომ კ. მისაბიშვილი მოკლეს გამცემლობის ეჭვების საფუძველზე. ეს ეჭვები ძირითადად აღმოცენდა, ერთი მხრივ, კ. მისაბიშვილის მიერ ბრძოლის ექსტრემისტულ ტაქტიკაზე უარის თქმის და არალეგალურ-ავანტიურისტული ტაქტიკის ნაცვლად პარტიის ლეგალიზაციის მოთხოვნის, ხოლო მეორე მხრივ — ალ. ანდრონიკაშვილის, ვ. წულუკიძის და კ. აფხაზის დაპატიმრებათა გამო, აგრეთვე ექსტრემისტ ახალგაზრდობაში აღმოცენებული უსაფუძვლო ეჭვების და ექსტრემისტულ-ავანტიურისტული ტაქტიკისადმი რევიზიონისტულ-ლიკვიდატორულად განწყობილი კ. მისაბიშვილის თავიდან მოშორების მიზნით. „სამხედრო ცენტრის" წევრები კი სწორედ ისინი არიან, რომლებიც ჩეკას აგენტურას გა-

ნსაკუთრებული მეთვალყურეობის ქვეშ ჰყავდა და თანაც სწორედ კ. მისაბიშვილის პატიმრობის დროს. ამავე დროს (5. XII. 1922წ.) მომზადდა რეკომენდაცია ვ. წულუკიძის საქმის საქჩეკადან „ზაკჩეკაში“ გადაცემის შესახებ (№28082, ფ. 10).

ჩვენს მიერ გამოვლენილი და სხვა დამატებითი წყაროების საშუალებით ირკვევა, რომ კ. მისაბიშვილისა და მ. ჯავახიშვილის აზრთა თანხვედრა პარტიის ლეგალიზაციისა და ხელისუფლებასთან კომპრომისული თანამშრომლობის მიზანშეწონილობის შესახებ, 1923 წლის თებერვლისათვის შექმნილი უკიდურესად „საგანგაშო დროის“ გამო, გამართლებული იყო. მაშასადამე, სადღეისოდ ჩვენს ხელთ არსებული ისტორიის წყაროებით მტკიცდება, რომ აზრი კ. მისაბიშვილის გამცემლობა-ჯაშუშობის, მასთან მ. ჯავახიშვილის ალიანსის, აგრეთვე მ. ჯავახიშვილის თანამოაზრე-თანამებრძოლების და სამშობლოს მოღალატეობის შესახებ არის აბსურდი. ამას დამატებით და განსაკუთრებით რელიეფურად გვიჩვენებს „პარიტეტულ კომიტეტთან“ და „სამხედრო ცენტრთან“ უაღრესად დაახლოებული ჩეკას აგენტების, მათ შორის „კლიჩკა“ „გეორგაძეს“ მატარებელი აგენტის ინფორმაციული მონაცემები (საქმე №240060 და სხვ). ჩვენს მიერ გამოვლენილი სათანადო დოკუმენტები დაბეჯითებით მეტყველებენ, რომ მ. ჯავახიშვილი იყო სოციალ-ფედერალისტთა პარტიის უფროსი თაობის თანამებრძოლი (არქივი №41, ფ. 34-32), ეროვნულ დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელთაგანი (იხ. ს. ყიფიანის საქმე №23682, ფ. 16/2) და ანტისაბჭოთა ბრძოლის ღირსეული წარმომადგენელი.

აგენტურული მონაცემები და ეროვნული მოძრაობის თვალსაჩინო პიროვნებების საქმიანობაზე დაკვირვებით აღმოცენებული აგენტების განცხადებები ადასტურებენ, რომ ჩეკამ 1922 წლიდან თანდათან მიაღწია იმას, რომ მთელი არალეგალურ-ექსტრემისტული და ავანტიურისტული ტენდენციის ხელმძღვანელობის ჩანაფიქრი მოაქცია საკუთარი კონტროლის ქვეშ. ჩეკამ იცოდა აგრეთვე „პარიტეტული კომიტეტის“ ადგილსამყოფელი. მან ვადამდე დაადგინა ანტისაბჭოთა საყოველთაო ეროვნული ავჯანყების ყველა მოსალოდნელი მომენტი. 1924 წლის აგვისტო-სექტემბრის ავჯანყება და თანმხლები უბედურება გამოწვეული იყო ექსტრემისტულ-ავანტიურისტული ოპოზიციის მოსპობით დაინტერესებული ჩეკას მიერ მიზნობრივი

წაყრუება-პროვოცირებით. ამ უბედურებაში თავისი როლი შეასრულა სამშობლოსათვის თავდადებულმა ექსტრემისტი და ავანტიურისტი მამულიშვილების სიფიცხემ, დაუკვირვებლობამ, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის აუცილებელი ობიექტური პირობების უგულებელყოფამ, ანტისაბჭოთა საერთაშორისო ძალთა მიმართ გადაჭარბებულმა დაიმედებამ და, რაც მთავარია, მოწინააღმდეგე ძალის შესაძლებლობათა გაუთვალისწინებლობამ.

სუკის არქივში ჩვენს მიერ გამოვლენილია, ხოლო წინამდებარე წიგნში გათვალისწინებული და გამოყენებულია 1924 წლის აგვისტო-სექტემბრის აჯანყების გამო დაღუპული და ჩეკას ორგანოების მიერ დახვრეტილი პატრიოტების დემოგრაფიული მონაცემების შემცველი დოკუმენტები. ეს არის 1924 და შემდგომი წლების მონაცემები, 1921-1924 და შემდგომ წლებში დახვრეტილთა სიები, აგრეთვე სახელმწიფო არქივში დაცული ანტისაბჭოთა მოძრაობის მონაწილეთა და მათი თანამოაზრე-თანამებრძოლების ოჯახების დარბევის მასალები (ფონდი 284, აღ. 3, საქმე 294). ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობის და კერძოდ მიხეილ ჯავახიშვილის პოლიტიკური ცხოვრების ამსახველი უაღრესად საყურადღებო ინფორმაციის შემცველი დოკუმენტები გამოვავლინეთ: „საქართველოს პრეზიდენტის" (ყოფ. მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტიის ისტორიის ინსტიტუტის) არქივში. მათ შორის მნიშვნელოვნად და წარმოსაჩენად გვესახება საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების ამსახველი საქართველოს კომპარტიის პირველი (ფონდი 14, აღ. 1, ს. 182), მეორე (იქვე), მესამე (ფონდი 14, აღ. 2, ს. 2 და 4), და მეოთხე (ფონდი 14, აღ. 1, ნ. I, ს. 1360) ყრილობების მასალები; დოკუმენტები 1924 წლის აგვისტოს მოვლენებისა და საქართველოს კომპარტიის ცკ-ის მდივნის მ. კახიანის მოხსენება „საქართველოში ბოლოდროინდელი ამბების შესახებ" (ფონდი 14, აღ. 2, ს. 40); მასალები ნაციონალ-უკლონიზმის (ფონდი 14, აღ. 1, ს. 195) და საქართველოს უმნიშვნელოვანესი მოვლენების შესახებ.

ქართული ანტისაბჭოთა ინტელიგენციის პატრიოტული ბრძოლისა და გარჯის ამსახველი ინფორმაცია მოვიზიდეთ საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალური საისტორიო არქივის (ფ. 8, აღ. 1, აღ. 2) და საქართველოს ცენტრალური საისტორიო

არქივის უახლესი ისტორიის არქივის, საქართველოს სახკომსაბჭოს (ფონდი 300, აღ. 2) და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (ფონდი 471) არქივების ფონდებიდან. მთელი ეს მასალა, რომლის ერთი ნაწილი საგნობრივად იქნება წარმოჩენილი ამ, ხოლო მეორე ნაწილი მომდევნო წიგნში, გვარწმუნებს, რომ 1923 წლიდან საქართველოში შექმნილ პარტიულ, სახელმწიფოებრივ და ჩეკისტურ სიტუაციებში ექსტრემიზმი და ანტისაბჭოთა პოლიტიკური ავანტიურიზმი იყო უპირატესად ეროვნული უბედურების მომტანი, ხოლო ლეგალური ეროვნულ-პატრიოტული მოღვაწეობა-მოძრაობა ერთადერთი სწორი.

ჩვენი აზრით, უაღრესად მდიდარი, ერთობ მნიშვნელოვანი სპეციალური პუბლიკაციების და უაღრესად საყურადღებო დოკუმენტური ბაზის მემკვიდრეობის არსებობის დროსაც კი, ჩვენს მიერ გამოვლენილი, ზემოთ აღნიშნული დამატებითი წყაროების მეცნიერული დამუშავება-გამოყენების გარეშე შეუძლებელი იყო შექმნილიყო ქართული ანტისაბჭოთა მოძრაობის 1921-1924 წლების ისტორიის ნათელი სურათი, გარკვეულიყო მოცემული პერიოდის ეროვნული მოძრაობის ძირითადი მიმართულებები, მათი უმთავრესი ასპექტები და ტენდენციები. აღნიშნული პუბლიკაციების და დოკუმენტური მასალის შემცველი წყაროების მთელი მასის გათვალისწინების გარეშე გარდაუვალი იყო მთელი რიგი ცდომილებები, რომლებსაც შეიცავენ ჩვენი წინამორბედი ავტორების პუბლიკაციები და მათში მოცემული არასწორი თუ მიზნობრივად ჩამოყალიბებული და გაუკუღმართებული კონცეფციები. ჩვენს მიერ მოპოვებული წყაროების გათვალისწინება-გამოყენების გარეშე, მით უმეტეს შეუძლებელი იყო შექმნილიყო კ. მისაბიშვილის, მ. ჯავახიშვილის და მათი თანამოაზრე მამულიშვილების მოცემული პერიოდის ცხოვრებისეულ პერიპეტიებზე აგებული ნათელი პოლიტიკური პორტრეტები.

ჩვენს მიერ სუკის არქივში მოპოვებული დოკუმენტებისა და ისტორიის წყაროების გაკონტროლება-შევსების თვალსაზრისით უაღრესად დიდი სამსახური გაგვიწია დ. გელაშვილის მიერ „დილის გაზეთში" გამოქვეყნებულმა თავისი ბაბუის, 20-იანი წლების საქჩეკას სამძებრო-დივერსიული სამსახურის ერთ-ერთი აქტიური ხელმძღვანელის, ოფიცრის და შემდეგ უშიშროების გენერლის ლ. ბერიას უახლოესი მეგობრის მანუჩარ (კაკო) შელიას მოგონებებმა (1999 წ.

ივლისი-სექტემბერი). ეს არის სახელმწიფო უშიშროების ყოფილი გენერლის ჩანაწერებზე, მეხსიერებაზე, გამოცდილებასა და ცოდნაზე დამყარებული უმნიშვნელოვანესი ინფორმაციის შემცველი, მემუარული ხასიათის დოკუმენტური ნარკვევი, რომლის მართებულობა ძირითადად კონტროლდება ჩვენს ხელთ არსებული წყაროებით. ამ მოგონებებს ღირსებას მატებს ყოფილი ჩეკისტი გენერლის მსოფლმხედველობრივი მეტამორფოზა, კერძოდ ის, რომ „მოგონებების" წერის დროს მისი ავტორი გახლდათ ერისა და ღმერთის წინაშე წარსულში ჩადენილი დანაშაულებებისგან განწმენდილი მონასტრის ბერი მამა ალექსი, რომელიც ხელმძღვანელობდა ეროვნულ-პატრიოტული მოტივებით.

ამასთანავე თავს ვალდებულად ვთვლით განვაცხადოთ, რომ „პარიტეტული კომიტეტის" კონტრდაზვერვის პოლკოვნიკის, ჯერ კიდევ 1923 წლის თებერვალში დაპატიმრებული ივანე ნარიკელაძის შესახებ ვერ მოვიძიეთ პატიმრობის შემდგომი ბედის ამსსნელი ცნობები. იგი მამა ალექსის მიერ მოიხსენიება სამშობლოსათვის დაღუპული გმირი მამულიშვილების გვერდით. მაგრამ სუკის არქივში არ იძებნება ცნობები, რომლებიც დაგვიდასტურებდნენ მანუჩარ შელიას ნათქვამს ივ. ნარიკელაძის დახვრეტის შესახებ.

მიზანი, რომელიც წინამდებარე წიგნში დავისახეთ, არის, სპეციალისტების პუბლიკაციების გამოყენებითა და ჩვენს ხელთ არსებული, ძირითადად ჩვენს მიერ მოპოვებული, ისტორიის წყაროებით გავარკვიოთ 1921-1924 წლების ქართული ეროვნული მოძრაობის და მისი თვალსაჩინო წარმომადგენლების კ. მისაბიშვილის, მ. ჯავახიშვილის და სხვათა პოლიტიკური მოღვაწეობის გაგებაში არსებული გაუგებრობა-გაუკუღმართებები. ამისთვის წინამდებარე წიგნში გამოვიკვლიეთ და გავაშუქეთ მოცემული ისტორიოგრაფიული პრობლემის უმთავრესი საკითხები:

1. ჩვენი კვლევის მიზანდასახულობის მოტივაცია, რა მემკვიდრეობას ვეყრდნობით და რა მემკვიდრეობაზე ვამბობთ უარს;

2. საიდან ღებულობს სათავეს ქართული ანტისაბჭოთა მოძრაობის ფუძემდებლების თვალსაჩინო წარმომადგენელთა, კ. მისაბიშვილის და მ. ჯავახიშვილის ეროვნულ-პატრიოტული ღვაწლისა და მამულიშვილური ბრძოლის საჩოთირო თუ გაუკუღმართებული გაგების შესაძლებლობა;

3. სინამდვილეში ვინ იყო კ. მისაბიშვილი, რა კავშირი ჰქონდა

ანტისაბჭოთა ქართულ ეროვნულ მოძრაობასა და მის თვალსაჩინო წარმომადგენლობასთან, მათ შორის მისეილ ჯავახიშვილთან;

4. რა როლს ასრულებდნენ ანტისაბჭოთა ბრძოლის სწორი მიმართულებით ორგანიზებაში მ. ჯავახიშვილი და კ. მისაბიშვილი;

5. რაში მდგომარეობდა ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობის საწყისი ეტაპის თავისებურება, რა ძირითადი ტენდენციები და მიმართულებები ახასიათებდა მას, აგრეთვე რომელი ტენდენცია და მიმართულება შეესაბამებოდა ანტისაბჭოთა ბრძოლის მოცემული მომენტის ობიექტურ შესაძლებლობათა სწორად გამოყენებას;

6. რაში მდგომარეობდა ანტისაბჭოთა არალეგალური ბრძოლის ძირითად მიმართულებათა ხელმძღვანელთა საერთო სტრატეგიული და მისდამი დაქვემდებარებული ტაქტიკური მიზნები, სად იყო თანხვედრა და რაში იყო მათ შორის არსებული შეუთავსებლობა;

7. როგორი იყო ანტისაბჭოთა ბრძოლის ზომიერი, რადიკალური მიმდინარეობის დამოკიდებულება ექსტრემისტული, ამბოხებითი ხასიათის მებრძოლების მიმართ და რომელი შეესაბამებოდა მომენტის მოთხოვნილებას;

8. როგორ მომზადდა „სამხედრო ცენტრის" და მისი მიმდევარი თანამოაზრე-თანამებრძოლების ჩავარდნა და მოსპობა;

9. რა განსაკუთრებულმა პირობებმა განაპირობეს ექსტრემისტული ბრძოლის ტაქტიკაზე კ. მისაბიშვილის, მ. ჯავახიშვილის და სხვების მიერ უარის თქმის აუცილებლობა და იყო თუ არა ეს გამართლებული;

10. როგორია მოცემული ისტორიის გაუკულმართებული გაგების გაკვეთილები;

11. რა მიმართულებით განვითარდა ქართული ანტისაბჭოთა არალეგალური მოძრაობა რეალისტი რადიკალების ძირითადი ხელმძღვანელი წარმომადგენლობის ჩეკას მიერ განადგურება-მოსპობისა და ნეიტრალიზაციის შემდეგ.

წინამდებარე წიგნში ზემოთ აღნიშნული საკითხების გაშუქება შესაძლებლობას გვაძლევს მომდევნო წიგნში ღრმად წარმოვაჩინოთ:

1. 1923-1924 წლებში ეროვნული მოძრაობის ექსტრემისტი ხელმძღვანელობის თავდადებული, მამულიშვილური საბრძოლო საქმიანობა და მისი შეზღუდული ავანტიურისტული ბუნება;

2. რა სამუშაოები შეასრულა ხელისუფლებამ და მისმა უშიშროების ორგანოებმა იმისათვის, რომ დროულად აღეკვეთა არსებული რეჟიმით უკმაყოფილო მასების შეურიგებელი ნაწილის წინააღმდეგობის ძალა.
3. რა შედეგები მოიტანა ექსტრემისტი ხელმძღვანელობის მიერ ორგანიზებულმა 1924 წლის აჯანყებამ და როგორ შეფასდა იგი თანადროული ანტისაბჭოთა მებრძოლი თვალსაჩინო მამულიშვილების მიერ.
4. რა იყო 1921-1924 წლების ქართულ ანტისაბჭოთა მოძრაობაში სწორი და რა იყო მცდარი.
5. რას გვასწავლის მოცემული ისტორიის გაკვეთილები?!

თავი II

„რადგან თავია სიცრუე ყოვლისა უბადობისა...“

იმისათვის, რომ ღრმად და უკეთ გავიაზროთ 1921-1923 წლების ეროვნული მოძრაობის ისტორიის არსი, თავისებურება, კ. მისაბიშვილის და მ. ჯავახიშვილის პოლიტიკური ღვაწლი, აუცილებელია გავერკვეთ, როგორ იკაფავს გზას მცდარი აზრი შორეული წარსულიდან თანამედროვეობამდე და როგორ ხდება ისტორიის შეცდომა პრაგმატული გამოყენების ფასის მქონე ღირებულებად. ამის გარეშე შეუძლებელია ანტისაბჭოთა ბრძოლის 1922 და 1923 წლის დასაწყისის ისტორიის სწორი ახსნა, ვინაიდან, ისტორიკოსთა დღევანდელი თვალსაზრისით, ძირითადად კ. მისაბიშვილის „გამცემლობით“ და „ჯაშუშობით“ იხსნება „სამხედრო ცენტრის“ ჩავარდნა და მოცემული ეტაპის ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობის წარუმატებლობა. ჩვენ კი გვაინტერესებს მოცემული პერიოდის მეცნიერული ახსნა. ამისათვის საჭიროა, უპირველეს ყოვლისა, გავეცნოთ კ. მისაბიშვილის მოღალატეობის, ანუ „გამცემლობისა“ და „ჯაშუშობის“ ვერსიის მცდარობას. ამისათვის აუცილებელი ხდება კ. მისაბიშვილის გამამტყუნებელი და გამამართლებელი ყველა ცნობილი წყაროს ანალიზი და მათ ნიუანსებში საფუძვლიანი გარკვევა. ამასთანავე, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ანტისაბჭოთა მებრძოლთა და ავტორთა ერთი ნაწილი ცდილობს კ. მისაბიშვილის მოღალატეობით ახსნას რეალობა, იმართლოს თავი და გაამართლოს საკუთარი თანამოაზრეთანამებრძოლები, ხოლო მეორე მხარე (ძიება, სახელმწიფო ბრალმდებელი და სასამართლო) იღვწის დაადგინოს კ. მისაბიშვილის მკვლელობის მოტივაცია და განსაზღვროს ბრალდების საბჭოთა სამართლებრივი კვალიფიკაცია. ჩვენი მიზანია, გავარკვიოთ კ. მისაბიშვილის მკვლელობის შესახებ არსებული წყაროების გამოყენების მართებულობა.

კ. მისაბიშვილის „სამხედრო ცენტრის“ და მასთან დაკავშირებული, ჩეკას მიერ დახვრეტილი გმირი ქართველი მამულიშვილების გამცემად გამოცხადებას ისტორიოგრაფიაში სათავე დაუდო 1921-1924

წლების ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის თვალსაჩინო წარმომადგენლის, პოლკოვნიკ სოლომონ ზალდასტანიშვილის „მოგონებებმა“ („საქართველოს 1924 წლის აჯანყება“), რომელიც ავტორმა ემიგრაციაში 1938 წელს გამოაქვეყნა. წიგნის სათანადო (16, 17) გვერდებზე ვკითხულობთ: „ხელისუფლება დიდხანს ეძებდა კახეთ-ხევსურეთის აჯანყების ხელმძღვანელებს. 1923 წლის თებერვალში ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სტუდენტთა კომიტეტის წევრმა კ. მისაბიშვილმა გასცა მთელი შემადგენლობა სამხედრო ცენტრისა, დუშეთის ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლობა და თანაც გამოააშკარავა პოლკოვნიკ მუსხელიშვილის როლი. მარტში თითქმის ყველა, ვინც მონაწილეობას იღებდა ამ აჯანყებაში, დატუსაღებული იქნა...“ ანტისაბჭოთა „სამხედრო ცენტრის“ საქმის გამო „1923 წლის 19 მაისში ჩეკას დადგენილებით დახვრეტილი იქმნენ: 1. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე, გენ. კ. აფხაზი, 2. გენერალური შტაბის წევრი გენ. ა. ანდრონიკაშვილი, 3. გენ. ვარდენ წულუკიძე, 4. პოლკ. რ. მუსხელიშვილი, 5. პოლკ. გ. ხიმშიაშვილი, 6. პოლკ. გულისაშვილი, 7. პოლკ. ალ. მაჭავარიანი, 8. პოლკ. დიმ. ჩრდილელი, 9. როტმ. სიმ. მუხრან-ბატონიშვილი, 10. როტმ. ფ. ყარელაშვილი, 11. ლეიტ. ლ. კლიმიაშვილი, 12. სამხედრო მოხელე მ. ზანდუკელი, 13. იასონ კერესელიძე, 14. ს. ჭიაბრიშვილი, 15. ივ. ქუთათელაძე.

ეს დანაკლისი ქართველმა ხალხმა ღრმად განიცადა. ყველა დასტიროდა დაღუპულებს: დიდი, პატარა, ქალი და კაცი.“ ციტატის დასასრულში ასახული ეს წუხილი ადვილად გასაგებია. დახვრეტილები იყვნენ საბრძოლო გამოცდილებით დაბრძენებული მხედართმთავრები, რომლებიც XI საბჭოთა წითელი არმიის დაპყრობისაგან გმირულად იცავდნენ საქართველოსა და მისი დედაქალაქის საზღვრებს. მათ ხელი წააშველეს დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის ემიგრაციის და პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი აშლილობის დროს თურქეთის აგრესიისაგან ბათუმის დახსნას. ქართველი პატრიოტები ძირითადად სამხედრო დიდებით მოსილ ამ ეროვნულ გმირებზე ამყარებდნენ იმედს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლაში.

საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთა კ. მისაბიშვილის მიერ გაცემის ს. ზალდასტანიშვილისეული უსაფუძვლო ვერსია იმდენად დამაჯერებელი გამოდგა, რომ იგი კრიტიკული და-

მოკიდებულების და სათანადო საფუძვლების ძებნის გარეშე გაიმეორა თითქმის ყველამ, ვინც კი 1921-1924 წლების ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საკითხებისადმი მიძღვნილი ნაშრომი გამოაქვეყნა. მათ შორის არიან ბროშურების, წიგნების, საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციების ავტორები, მათი რედაქტორები, რეცენზენტები, ხელმძღვანელები და სამეცნიერო ცენტრების თანამშრომლებიც და სპონსორებიც, რომელთა დასახელება ძალიან შორს წაგვიყვანდა. საკმარისია ითქვას, რომ მათგან საწინააღმდეგო აზრი დღემდე, ჩვენს გარდა, არავის გამოუთქვამს. ამრიგად, როგორც ვნახავთ, კ. მისაბიშვილი ისტორიოგრაფიაში „სამხედრო ცენტრის" წევრთა ვითომ „ღალატის" გამო „განტევების ვაცად" დამკვიდრდა. განსაკუთრებით სამწუხარო ის არის, რომ ს. ზალდასტანიშვილის მოცემულ აზრში ეჭვი ვერ შეიტანეს იმ მკვლევარმა ისტორიკოსებმაც, რომლებსაც შესაძლებლობა მიეცათ გასცნობოდნენ საიდუმლო, ადრე სპეცფონდებში დაცულ „საბრალმდებლო დასკვნას" და სუკის არქივის იმ წყაროებს, რომლებიც ალტერნატიულ აზრებსაც შეიცავენ. ისინი კი აშკარად ცხადყოფენ, რომ „მოგონებების" ავტორი რიგ შემთხვევებში, კერძოდ კ. მისაბიშვილის გამცემლობასთან დაკავშირებით, არაზუსტ ან საწინააღმდეგო ინტერპრეტაციას იძლევა, და რომ მსგავსი გაუგებრობები დამახასიათებელია არა მარტო ს. ზალდასტანიშვილისათვის, რომლის „მოგონებებში" სხვა შეცდომებიც შეინიშნება, არამედ საერთოდ მემუარული პუბლიკაციებისათვის. ამ გაუგებრობებს ყურადღება არ მიაქციეს, ან ვერ გაიცნობიერეს, რომ მოგონებების ყველა ემიგრანტი ავტორი არ იზიარებდა ს. ზალდასტანიშვილის ვერსიას კ. მისაბიშვილის გამცემლობის თაობაზე და საკუთარ პუბლიკაციებში თავს არიდებდა მის გამოცხადებას გამცემად. ისტორიკოსებმა ვერც ის შენიშნეს, რომ უფრო ადრეულ პუბლიკაციაში საწინააღმდეგო აზრიც გვხვდება, და რომ ამის გამო საჭირო იყო სათანადო დამატებითი წყაროებით ს. ზალდასტანიშვილის ვერსიის პროფესიულად გაკონტროლება.

არა და, საქართველოს უახლესი ისტორიის იმ მკვლევრებს, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ჩვენი ქვეყნის 1921-1925 წლების სამოქალაქო ან 1921-1924 წლების ეროვნული მოძრაობის ისტორიით, მით უმეტეს, რომელთაც შესაძლებლობა მიეცათ ემუშავათ ამ პერიოდის ადრე გასაიდუმლოებულ პუბლიკაციებსა და საარქივო მასალებზე, უნდა სცოდნოდათ, რომ ჯერ კიდევ 1925 წლიდან არსე-

ბობდა დოკუმენტური პუბლიკაცია, რომელშიც გამორიცხულია კ. მისაბიშვილის გამცემლობა. როგორც ზემოთ ნაწილობრივ უკვე ითქვა, ასეთი აზრი გამოთქმულია 1925 წელს საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატის მიერ, დიდი ტირაჟით (60 ათასი ცალის რაოდენობით), ქართულ და რუსულ ენებზე გამოცემულ სქელტანიან (ქართულად 126 გვერდიან) საბრალმდებლო ნარკვევში. ეს არის „საქმე საქართველოს ანტისაბჭოთა პარტიების პარიტეტული კომიტეტის შესახებ (საბრალმდებლო დასკვნა)", რომელიც რესპუბლიკურ, ეროვნულ ბიბლიოთეკაში ინახება. ამ წიგნს დაინტერესებული მკვლევრები და, საერთოდ, მკითხველი სისტემატიურად იყენებს. მაგრამ, როგორც ჩანს, შეუმჩნეველი რჩება, რომ მასში ნათქვამია: „1923 წლის აპრილის 1, ყაზბეგის ქუჩაზე, თავის ბინის მახლობლად რევოლვერიდან ნასროლი რამდენიმე ტყვიით მოკლული იქნა კალე მისაბიშვილი, რომელსაც **პროვოკატორობას სწამებდნენ**" (გვ. 125. ხაზგასმა ჩვენია). ამავე წიგნში სხვა ადგილას ვკითხულობთ: **იასონ ჯავახიშვილი** „სცნობს იმას, რომ **იღებდა მონაწილეობას მისაბიშვილის წინააღმდეგ მიმართულ ტერორისტულ აქტში**" (იხ. გვ. 86. ხაზგასმა ჩვენია). მაშასადამე, ი. ჯავახიშვილი კ. მისაბიშვილის „გამცემლობის" საქმის კურსში ბოლომდე გარკვეულია. აქვე ვკითხულობთ სხვა არანაკლებ ანგარიშგასაწევ ჩვენებებს: „ამ მკვლელობის შესახებ ბრალდებული **იშხნელი აჩვენებს**: „ვარდენ წულუკიძის და კოტე აფხაზის **დაპატიმრებამ დაგვარწმუნა**, რომ მისაბიშვილი პროვოკატორი იყო. ყველა: იასონ ჯავახიშვილი, წინამძღვრიშვილი, მე, პატარიძე, ნიკოლოზ კეცხოველი – იმ აზრისა ვიყავით, რომ ის უნდა **„სცენიდან მოგვეშორებინა"** (! – გ.ც.), როგორც ჩვენ გამოვთქვამდით ხოლმე... მალე მე გაზეთებიდან შევიტყვე, რომ მისაბიშვილი მოკლული იყო. მე შევხვდი წინამძღვრიშვილს და ვკითხე – ვინ მოკლა. მან მიპასუხა – ჩვენთვის სულ ერთი არ არის, ვინც მოკლა – ჩუმათ უნდა ვიყოთ..." მისაბიშვილის მოკვლა შეატყობინეს საზღვარგარეთულ ბიუროს: „იმავე იშხნელის დამოწმებით, საზღვარგარეთული ბიურო ერთ თავის მორიგ წერილში წინადადებას იძლეოდა პარტიის გამყიდველებს მოექეცით ისე, როგორც პარიტეტი მოექცა მისაბიშვილს" (იხ. გვ. 66). მ. იშხნელის, მისი თანამოაზრეების და საზღვარგარეთული ბიუროს აზრი იმ ადამიანების აზრია, რომლებსაც სწამთ, რომ 1924 წლის აჯანყება აუცილებელი იყო. ქართველი ხალხი ვერ დამშვიდდებოდა, სანამ დაგროვილი ოთხი წლის ბოლმას

არ ამოანთხევდა. მათი აზრით, „მართალია, დიდი მსხვერპლი გავიღეთ, მაგრამ... ზოგი ჭირი მარგებელია..." (მ. იშხნელი). ასეთი შეხედულებების ექსტრემისტი პოლიტიკოსებისათვის ერთი კაცი, თუნდაც პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, რა დანაკლისი გახდებოდა, მით უმეტეს მაშინ, როცა იგი „გამარჯვებისათვის" სისხლის ღვრის გაგრძელების ნაცვლად პარტიის ლეგალიზაციას მოითხოვდა და ამ დროისათვის სწორი, მაგრამ ექსტრემისტების მიერ მტრულად და მოღალატურად აღქმულ აზრს ეროვნული ბრძოლის ლიდერებშიც („პარიტეტულ კომიტეტში", ედპ-ის ცეკაში, და ა.შ.) პროპაგანდას უწევდა. ამიტომ იყო, რომ მ. იშხნელს და მისი აზრის ხალხს კ. მისაბიშვილი „პროვოკატორად" და „მოღალატედ" ესახებოდა, თანაც ისეთად, რომელიც მოკვლას იმსახურებდა, რომ თავისი ლიკვიდატორული იდეებით ექსტრემიზმისათვის ზიანი არ მოეტანა. ამასთან დაკავშირებით კიდევ უფრო საყურადღებოა ამონარიდი მ. იშხნელის მიერ წინასწარი დაკითხვის დროს რესპუბლიკის უფროსი გამომძიებლისადმი „ექსტრემიზმისა და ტერორის" შესახებ მიცემული ჩვენებიდან. მ. იშხნელი წერს: „პირველად ეს (ტერორის – გ.ც.) საკითხი ჩვენს (ედპ ცკ-ის – გ.ც.) წინაშე აღმოცენდა 1923 წლის დასაწყისში (? – გ.ც.), შემდეგ გარემოებაში. მისაბიშვილი განთავისუფლების შემდეგ ჩართული იქნა არალეგალურ მუშაობაში. პარიტეტული კომიტეტის სამხედრო კომიტეტის სამხედრო კომისიის წევრმა მიხეილ ჯავახიშვილმა იგი თავიდანვე დაიახლოვა სამხედრო კომისიაში მუშაობისათვის. ამავე დროს (? – გ.ც.) ჩვენამდე მოვიდა ხმები, რომ მისაბიშვილი პროვოკატორია, რის გამო მიხეილ ჯავახიშვილმა პირადად გადმომცა, კარგი იქნება ვიშოვოთ ფული და საზღვარგარეთ გავუშვათ. 24 თებერვალს (? – გ.ც.) დააპატიმრეს მ. ჯავახიშვილი. ამ ფაქტმა იმწამსვე შეგვაშფოთა, ვიფიქრეთ ხომ არ გასცა იგი მისაბიშვილმა. ერთხელ ეს უკანასკნელი მოდის ჩემთან და მეკითხება აზრს: „ვისი კანდიდატურა შეიძლება მ. ჯავახიშვილის მაგივრად". გამომრჩა: როცა მ. ჯავახიშვილმა პირველად გაიგო, რომ მისაბიშვილი პროვოკატორია (? – გ.ც.), ჩვენთან წინასწარი მოლაპარაკების შემდეგ ჩამოაშორა სამხედრო კომისიის მუშაობას, სთქვა, რომ თითქოს მთელი ამ ორგანიზაციის დათხოვნა ხდება, რადგანაც თითქოს ჩეკადან არის ცნობები, რომ მათ ყავთ ედპ-ს სოლიდური წევრი, რომელიც ჩეკას აწვდის ცნობებს. და აი, მალე, იმის შემდეგ, რაც მ. ჯავახიშვილი ამას აცხადებს – იგი დაპატიმრებული იქნა.

ვაგრძელებ – მე მისაბიშვილს ვუპასუხე, ხომ არ არის ჩვენს შორის პროვოკატორი. ამაზე მისაბიშვილმა მიპასუხა: „სისულელეა, იგი ალბათ სპეკულიაციაზე დააპატიმრეს". ერთხელ, როცა იასონთან მივედი, მასთან შევნიშნე მისაბიშვილი, რომელმაც განგვიცხადა, რომ დადის ხმები, თითქოს იგი, მისაბიშვილი, პროვოკატორია და გამოსთქვა აზრი, რომ ამ ხმებს ჩეკა ავრცელებს პარტიის დეზორგანიზაციისათვის.

იმ დროს მისაბიშვილი არალეგალურად ცხოვრობდა, და როგორც დარწმუნებული ვიყავით (? – გ.ც.), შენიღბვის მიზნით. მისაბიშვილის წასვლის მერე ი. ჯავახიშვილმა შემდეგი ისტორია მომიყვა: ამ ამბის არცთუ დიდი ხნის წინ მისაბიშვილმა განმიცხადა, რომ დასავლეთ საქართველოდან ჩამოვიდა ვინმე მხეიძე (დათიკო – გ.ც.) – პარტიული მუშაკი, რომელსაც სურს მისი, ჯავახიშვილის ნახვა, და მაიძულებდა ახლავე დამენიშნა პაემანის ადგილი და დრო. იმისათვის, რომ მისაბიშვილი შეემოწმებინა ი. ჯავახიშვილმა ადგილი და დრო კი დაუნიშნა, მაგრამ ამასთანავე პაემანზე განგებ დააგვიანა, ხოლო როცა მივიდა პაემანის ადგილას, დაინახა ორი საეჭვო პიროვნება, რომელთაც ქურთუკის ქვეშ იარაღი მოუჩანდათ (წინდაუხედავი „ჩეკისტები" ყოფილან? – გ.ც.).

მენშევიკების შეტყობინებებმა იმის შესახებ, რომ ედპ ცეკის წევრის მიერ მოხდა ჩეკასათვის პარტიის მუშაობის შესახებ ორი წერილობითი შეტყობინების გადაცემა, კოტე აფხაზის, ვარდენ წულუკიძის და სხვათა დაპატიმრებებმა ჩვენ დაგვარწმუნა, რომ მისაბიშვილი პროვოკატორია. თავისუფლებაში დარჩენილ ცეკის წევრებს უნებლიედ გაგვიჩნდა კითხვა, რა ვუყოთ მისაბიშვილს. ყველა, იასონ ჯავახიშვილიც, წინამძღვრიშვილიც, მეც, პატარიძეც და ნიკ. კეცხოველიც იმ აზრის ვიყავით, რომ საჭიროა იგი მოკვდეს, „სცენიდან მოშორდეს", როგორც ჩვენ გამოვთქვამდით.

ჩვენ ეს აზრი განსაკუთრებით მას შემდეგ გაგვიმყარდა, როცა აფხაზის და სხვ. დაპატიმრების შემდეგ მისაბიშვილმა მოგვიყვა მე, ი. ჯავახიშვილს და გიორგი წინამძღვრიშვილს შემდეგი: „ხმები სულ ძლიერდება და ძლიერდება ჩემი პროვოკატორობის შესახებ, ამ მოსაზრებას მე ვხსნი. ჩეკადან ჩემი განთავისუფლების შემდეგ მე კვლავ იქ გამომიძახეს, მაჩვენეს ჩემი ჩვენება, მითხრეს, აქედან ჩანსო, რომ მე თითქმის ვაღიარებ საბჭოთა პლატფორმას. მე ვუთხარი, რომ ნაწილობრივ კი, რადგანაც ტერიტორიული ავტონომია მაინც ხომ

მოგვეცით. ამაზე მიპასუხა, რაკი ასეა, თქვენს გარშემო შექმენით წრე, დაიწყეთ ჟურნალის გამოცემა, სუბსიდიას ჩვენგან მიიღებთ. მე ვუპასუხე – ვიფიქრებ. როცა მეორედ გამომიძახეს, განმიცხადეს, ჟურნალი საჭირო არ არის, შეუდგეთ საქმეს, თქვენ პარტიის მუშაობის შესახებ უნდა მოგვცეთ ცნობები. მე შემეშინდა და დავთანხმდი. ახლა მე ჩეკაში წასვლა აღარ ძალმიძს. მოდი მივიმალოთ: მომეცით ფული, რომ სადმე გავამგზავრო ცოლი, მომეცით რევოლვერი და როგორი დავალებაც გინდათ – ექსპროპრიაცია, ტერორი, მე ყველაფერს შეგასრულებ". ამაზე ვუპასუხეთ: ფულს მოგცემთ, დაიწყე მიმალვა, მაგრამ რევოლვერი არაა საჭირო, რადგან ჩვენ ტერორის და ექსპროპრიაციის წინააღმდეგი ვართ (? – გ.ც.). მალე გაზეთიდან ვგებულობ მის მოკვლას. შევხვდი წინამძღვრიშვილს. ვკითხე ვინ მოკლა? მიპასუხა: სულ ერთი არ არის, საჭიროა ჩუმად ვიყოთ. შენც სუ, მეც სუ. მერე კოღუაშვილის პუბლიკაციიდან გავიგე, რომ მან მოკლა" (საქ. პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 2, ს. 40, ფ. 184-188). ახლა საჭიროა მოვიხმოთ ამონარიდი მ. იშხნელის მიერ სასამართლოს წინაშე (21.VII.1925) წარმოთქმული განცხადებიდან. „ჩვენი პარტია საზოგადოდ უარყოფს ტერორს, – არადამაჯერებლად განაცხადა მ. იშხნელმა, – კალე მისაბიშვილის პროვოკატორობის გამჟღავნების შემდეგ კი იყო ჩვენს ცენტრალურ კომიტეტში ტერორის შესახებ ლაპარაკი (ე.ი. ისე გამოჰყავს, თითქოს უფრო ადრე მარკოზ მხიტაროვის გამო არ იყო?! – გ.ც.), თუმცა წინასწარ ვფიქრობდით, როგორმე მოგვეშორებინა პარტიულ საქმეებისათვის მისაბიშვილი, თქვენ ალბათ გახსოვთ ჩემი შეკითხვა მოწმე ჯავახიშვილ-ადამაშვილისადმი: გვქონდა თუ არა მსჯელობა მე და მიხეილ ადამაშვილს მის ბინაზე, მისი დაპატიმრების წინა დღეებში, 1924 წლის (1923 – გ.ც.) თებერვალში, კალე მისაბიშვილის საზღვარგარეთ გამგზავრების (ანუ თავიდან მოშორების – გ.ც.) შესახებ, და ამ საშუალებით მისი პარტიულ საქმეებიდან ჩამოშორება, თუკი საჭირო თანხას ვიშოვიდით. თქვენ მოისმინეთ მიხეილ ჯავახიშვილის პასუხი, რომ გვქონდა. აქედან ნათელია, თუ რაოდენ გვეძნელებოდა ტერორი თვით მოღალატეების (? – გ.ც.) წინააღმდეგ" (გ. მამულიას დასახელებული პუბლიკაცია, გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 1989, 26 მაისი). აქ საჭიროა აღინიშნოს, რომ მ. იშხნელი სასამართლოზე მოწმედ მოწვეული მ. ჯავახიშვილის ნათქვამს, როგორც სიმართლეს, თავისი ვერსიის დასასაბუთებლად იყენებს. ასევე გამოადგა მ. ჯავა-

ხიშვილი იასონ ჯავახიშვილს, როცა იგი ბრალდების საწინააღმდეგოდ შეეცადა დაესაბუთებინა, რომ ქ. ჩოლოყაშვილი ედპ-ის კარნახით არ ამბოხებულა. „აქა სთქვეს ვითომც ჩოლოყაშვილი ჩვენი პარტიის კარნახით გამოსულიყოს, — განაცხადა ი. ჯავახიშვილმა და დასძინა, — ამ მტკიცებას აფუძნებენ სვიმონ ყიფიანის წერილობით ჩვენებებზე. მაგრამ მოწმე მიხეილ ჯავახიშვილმა კატეგორიულად უარყო, რომ თითქოს ჩოლოყაშვილზე პარტიას ასეთი გავლენა მოეხდინოს" (იხ. ნ. კირთაძის დასახელებული წიგნი, გვ. 427).

ამის შემდეგ, აქვე აუცილებელია აღინიშნოს, რომ, პირველი ამონარიდის მიხედვით, მ. იშხნელმა კალე გაამტყუნა და, სამაგიეროდ, ედპ-ის ცკ-ის წევრები მორალურად გაამართლა, მეორე ამონარიდი მოწმობს, რომ იგი ცდილობს თავი დააღწიოს მის მიმართ წაყენებულ პროკურორის ბრალდებას. ისე გამოჰყავს, თითქოს კალეს მკვლელობა მართლაც ტერორის პირველი შემთხვევა იყო. ამასთანავე, სხვა წყაროებით მ. იშხნელის ნააზრევი არ მართლდება. ტერორისტებმა ერთი თვის წინ მოკლეს მ. ხითარიშვილი(იხ. ნ. კირთაძის დასახელებული წიგნი, გვ. 312). ა) მ. ჯავახიშვილს კ. მისაბიშვილი მოღალატედ არ მიაჩნდა. ამას მოწმობს მისი აზრი, რომელიც იასონ ჯავახიშვილთან საუბარში დაუფარავად გამოთქვა; ბ) კ. მისაბიშვილი მოღალატე-ჩეკას აგენტი რომ ყოფილიყო, მ. იშხნელს მის საზღვარგარეთ გაყვანა-მზრუნველობაზე მ. ჯავახიშვილთან საუბარი არ ექნებოდა. აქ ლაპარაკი უნდა ყოფილიყო კ. მისაბიშვილის მხრივ პარტიის ლეგალიზაციისა და „სმენავეხური" იდეების გავრცელების გამო გაყვანაზე; გ) მაგრამ როცა დაპატიმრებები დაიწყო და მ. ჯავახიშვილიც დააპატიმრეს, ექსტრემისტმა ტერორისტებმა კალე პროვოკატორად და მოღალატედ მიიჩნიეს და უფრო იაფი გამოსავალი მოძებნეს; დ) დაბოლოს, მ. იშხნელის და მ. ჯავახიშვილის საუბარი შედგა არა 1924, არამედ 1923 წელს. ამას პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება, რადგან „ლაფსუს კალამი" თუ „ლაფსუს ჰონორე" გ. მამულიას ამ პუბლიკაციაში იმ ადგილასაც გვხვდება, სადაც მოტანილია მ. ჯავახიშვილის ჩანაწერი საკუთარი ლიტერატურული მოღვაწეობის შესახებ (პუნქტი V). ამ ლაფსუსზე კი მ. ხომერიკმა მძიმე მსჯელობა ააგო (იხ. მისი წიგნი, გვ. 13).

იასონ ჯავახიშვილის ჩვენების თანახმად: „სამხედრო ცენტრის" ჩაშლის შემდეგ **ხმა დადიოდა, რომ** ეს უკანასკნელი გასცა კალე მისაბიშვილმა. **ფაქტები არ** იყო. მე მასთან დროებით კავშირი შევწყვიტე.

შემდეგ გაზეთებიდან შევიტყვე მისი მოკვლა. **რამდენიმე ხნის შემდეგ წინამძღვრიშვილმა მითხრა, რომ ახალგაზრდათა ორგანიზაცია მოითხოვს მისაბიშვილის მოკვლას, როგორც პროვოკატორისას, და რომ იძულებული იყო მიეცა თავისი თანხმობა.** შემდეგ თვითონ **კოღუაშვილმა მითხრა, რომ მისაბიშვილის მოკვლა მას დაავალა წინამძღვრიშვილმა...**" როგორც ირკვევა, კ. მისაბიშვილი მოკლეს პროვოკატორობის ეჭვის საფუძველზე, ფიცხი ახალგაზრდების მოთხოვნით და გ. წინამძღვრიშვილის თანხმობით.

ეროვნულ-დემოკრატების პარტიის ცკ-ის წევრმა სვიმონ ხოფერიამ აჩვენა, რომ „კოღუაშვილმა თვითონ უამბო მას **გოგიტა ფაღავას და გიორგი წინამძღვრიშვილის დავალებით მისაბიშვილის მოკვლის შესახებ,** იმისათვის, რომ **ვითომც** (! – გ.ც.) **მისაბიშვილმა გასცა ცეკის თავმჯდომარე კოტე აფხაზი და სხვები,** და რომ მისი მოკვლის **საფუძვლად შეიქმნა** იმის შესახებ **ციხიდან მიღებული ცნობა**" (იხ.: „საბრალმდებლო დასკვნა", გვ. 66). როგორც ვხედავთ, ს. ხოფერიაც ეჭვს გამოსთქვამს კ. მისაბიშვილის გამცემლობის გამო და ამასთანავე ადასტურებს, რომ იგი, მ. კოღუაშვილის თქმით, გ. წინამძღვრიშვილის სანქციით მოკლეს.

კ. მისაბიშვილის მკვლელობასთან დაკავშირებით ამ ჩეკისტურ დოკუმენტში ახსნილია (? – გ.ც.) „პირობები" და „ნამდვილი მიზეზი": „როდესაც მისაბიშვილი დაპატიმრებული იყო გამასწორებელ სახლში, მან 1923 წლის დამდეგს **განუცხადა საგანგებო კომისიის თავმჯდომარეს, რომ მისი შეხედულება საბჭოთა ხელისუფლებასთან** ინტელიგენციის დამოკიდებულების საკითხში **ძირიანად შეიცვალა** და **რომ საჭიროა ინტელიგენციაში მუშაობის დაწყება შეხედულებათა ხელახლად შესაფასებლად „სმენავეხელობის" მაგვარი გაზეთის გამოცემით.** თუმცა მისაბიშვილის სიტყვებიდან ჩანდა, რომ ის საკუთარი არ იყო დარწმუნებული თავის ძალასა და ავტორიტეტში, მაგრამ ის პატიმრობიდან გაანთავისუფლეს. ჯერ კიდევ „სამხედრო ცენტრის" დაპატიმრებამდე მისაბიშვილს ამის შესახებ ლაპარაკი ქონდა ცეკის წევრთან მიხეილ ჯავახიშვილთან, რომლის შინაარსიც ამ უკანასკნელს მოჰყავს მისაბიშვილის მკვლელობის შემდეგ მიცემულ ჩვენებაში." ჩვენ გვაქვს საფუძველი ზემოთ მოტანილი ჩეკისტური ვერსია, თითქოს კ. მისაბიშვილმა იქით შესთავაზა საგანგებო კომისიის თავმჯდომარეს „სმენავეხური" საქმიანობა, არ დავიჯეროთ და საეჭვოდ გავხადოთ. მაგრამ ამის შესახებ ქვემოთ. ახლა კი მ. ჯავახი-

შვილის იმ ვერსიას მივდიოთ, რომელიც მოცემულია „საბრალმდებლო დასკვნაში“: „მისაბიშვილის შესახებ გაჩვენებთ (წერს ჩეკას პატიმარი მ. ჯავახიშვილი, რომელსაც, როგორც ჩანს, სათანადო განმარტებები მოსთხოვეს – გ.ც.): განთავისუფლების შემდეგ შევხვდი ორჯერ... მან მე შემდეგი მიამბო: საქართველოს **საგანგებო კომისიის გამომძიებელმა გეგეჭკორმა ის მიიწვია ტროცკის ქუჩაზე. მიიღო ვილაც მოროზმა,** რომელიც ელაპარაკა მისაბიშვილს ქართველ ინტელიგენციაში რუსულ „სმენავეხელობის“ მაგვარ მიმდინარეობის შესახებ, ამასთანავე **გაიგო** (! – გ.ც.) რა, რომ მისაბიშვილი ასეთ მიმდინარეობას იზიარებს, **წინადადება მისცა მას ეკისრა ინიციატორობა აღნიშნული მიმდინარეობის გაზეთის გამოსაცემად.** ამის შესახებ მისაბიშვილმა მკითხა ჩემი აზრი. რადგანაც ჩემ თანამოაზრეთ ვიცანი (! – გ.ც.), მე მას დადებითი რჩევა მივეცი და უთხარი, რომ მეც დავანებე (! – გ.ც.) თავი პარტიაში ყოველგვარ მუშაობას და ვუერთდები მას. მაგრამ საჭიროა ცოტა ხანს მოცდა. თანამშრომელთა ჯგუფში ჩვენ დავასახელეთ რამდენიმე პირი, სხვათა შორის ქიქოძე, **გოთუა** და სხვები. ვგონებ მეორე დღეს ჩემთან მოვიდა იასონ ჯავახიშვილი და **მიამბო გეგეჭკორთან და მოროზთან მისაბიშვილის ლაპარაკის შესახებ** (ე.ი. კალეს თავისი აზრი არც იასონისთვის დაუმალია, ამასთანავე, ისიც მოსალოდნელია, რომ ჩეკა ცდილობს ექსტრემისტებში ტერორის პროვოცირებას – გ.ც.). ამასთანავე აღელვებული იყო და გამოსთქვა მოსაზრება, რომ მისაბიშვილმა გაგვცა ჩვენ, მე მირჩია გადავსულიყავ არალეგალურ მდგომარეობაზე... მისაბიშვილის გამცემლობაზე მე ეჭვი გამოვთქვი და ვამბობდი, რომ **ახალი მიმართულების გაზეთის გამოცემის განზრახვა არ არის გამცემლობა...**“ (იქვე, გვ. 67). მ. ჯავახიშვილის ეს ჩვენება შედარებით სრული ტექსტის და არსებითი ხასიათის განსხვავების გარეშე თავის წიგნში გამოაქვეყნა ნ. კირთაძემ (იხ. გვ. 250-251). როგორც ჩანს, ჩეკისტური ვარიანტი მ. ჯავახიშვილის ჩვენებას ამოკლებს და გარკვეულ იმპროვიზაციასაც აძლევს. მაგრამ აქ გვხვდება ერთი პრინციპული ხასიათის მქონე ახალი წინადადება – მ. ჯავახიშვილის ნათქვამი: იასონ ჯავახიშვილმა „მიამბო გეგეჭკორთან და მოროზთან მისაბიშვილის ლაპარაკის შესახებ.“ როგორ არის დედანში, რატომ გამოტოვა ეს წინადადება ნ. კირთაძემ, ან რატომ დაუმატა იგი ჩეკამ?! ჩვენი აზრით, ისედაც ცხადია, რომ კ. მისაბიშვილს იასონ ჯავახიშვილისათვის, როგორც დამკომის წევრისათვის

და ედპ-ის ცკ-ის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი პირისათვის, ასევე მ. ჯავახიშვილისათვის, როგორც „პარიტეტულ კომიტეტთან" არსებული „სამხედრო კომისიის" წევრისა და პირადი ხელმძღვანელისათვის, უნდა ეამბნა აღნიშნული ამბავი ჩეკისტებთან შეხვედრისა და მოროზის მიერ შეთავაზებული წინადადების შესახებ. სხვა მხრივ გაუგებარია ი. ჯავახიშვილის ნათქვამი „მისაბიშვილმა გაგვცა ჩვენ..." ნ. კირთაძის ვარიანტში ნათქვამია, „მისაბიშვილმა გაგვცაო..." როგორც ადრე ვნახეთ და ქვემოთ დამატებით ვნახავთ, კ. მისაბიშვილი თავის აზრებს არ მალავდა პარიტეტული კომიტეტის და ედპ-ის ცკ-ის წევრების წინაშე. ჩეკისტურ „საბრალმდებლო დასკვნაში" ნათქვამია: „მიხეილიც და იასონ ჯავახიშვილიც ამტკიცებენ, რომ ციხიდან გამოსვლის შემდეგ არ გაუწყვეტია კავშირი არალეგალურ ორგანიზაციასთან, და **ერთდროულად გამოსთქვამდა შეხედულებას პარტიის ლეგალიზაციის აუცილებლობის და შესაძლებლობების შესახებ"** (გვ. 47). აქედან ცხადი ხდება, რომ ეჭვი კ. მისაბიშვილის მიმართ „პარიტეტულ კომიტეტში", ედპ-ის ცკ-ის წევრებსა და ახალგაზრდებში, აღმოცენებულა კ. მისაბიშვილის სხვაგვარი აზროვნების, ანუ ე.წ. „სმენავეხური" პოზიციის და პარტიის ლეგალიზაციის სასარგებლოდ მოსაზრებების გამოთქმის გამო. ამას ნაწილობრივ ადასტურებს მ. იშხნელის განცხადებაც. აქედან ჩანს, რომ იგი მ. ჯავახიშვილს დაპატიმრებამდე ორი დღით ადრე შეუთანხმდა კ. მისაბიშვილის საზღვარგარეთ გაყვანის შესახებ. ამ დროს ერთადერთი დაბრკოლება ყოფილა „საჭირო თანხა", ანუ გამგზავრების ხარჯები, ანუ ფული. ისმება კითხვა: როდის იყო, რომ ჩეკას ჯაშუშები საკუთარ მოღალატეობას იმათ უყვებოდნენ, ვისაც ღალატობდნენ, ან თუ შეიძლება იმის დაშვება, რომ ეროვნულ-დემოკრატი ლიდერები მ. იშხნელი და მ. ჯავახიშვილი მოღალატის და ჩეკას ჯაშუშის საზღვარგარეთ გაყვანაზე ზრუნავდნენ?! ან კიდევ, რატომ არ დაიმოწმა მ. იშხნელმა მ. ჯავახიშვილი თავის იმ ნათქვამში, რომელიც ჯერ კიდევ გამომძიებელს უჩვენა და რომელიც ჩვენ კითხვის ნიშნით აღვნიშნეთ? საქმე ისაა, რომ ჯერ კიდევ 1923 წლის თებერვალ-მარტის ზღვარზე შექმნილ უკიდურესად მძიმე სიტუაციაში კ. მისაბიშვილს ექსტრემისტებმა სხვაგვარი აზროვნებიდან მომდინარე აზრის გაბედულება და სითამამე დაუგმეს და მისი მოშორება (და არა მოსპობა) გადაწყვიტეს. ამის შემდეგ კი ისე ხდება, რომ კ. მისაბიშვილი საზღვარგარეთ ვეღარ გაიყვანეს. აქ უკვე საყურადღებოა მ. კოღუაშვილის ჩვენების ამონა-

წერი იმის შესახებ, რომ მას შემდეგ, რაც „სამხედრო ცენტრის“ საქმეების გამო დაიწყეს დაპატიმრება, პარიტეტული კომიტეტი გაფაციცებით დაეძებდა გამყიდველებს. ბოლოს ეჭვი შეიტანეს კალე მისაბიშვილზე, ნაციონალ-დემოკრატების ცეკის წევრზე. ეს ეჭვი დამტკიცდა მთელი რიგი დოკუმენტებით, რომლებსაც ციხიდან გზავნიდნენ დაპატიმრებულები (? — გ.ც.). პარიტეტულმა კომიტეტმა გადაწყვიტა უსათუოთ მოეკლათ მისაბიშვილი. გამომიძახეს მე და დამავალეს ამ აქციის შესრულება ნაციონალ-დემოკრატ ვანო ყარანგიზიშვილთან ერთად... მისაბიშვილი მოვკალი მე ყარანგიზიშვილის დახმარებით“ (იქვე, გვ. 70-71).

ახლა გასარკვევი რჩება, თუ ციხიდან მართლა მოდიოდა კ. მისაბიშვილის გამყიდველობის „დამამტკიცებელი მთელი რიგი დოკუმენტები“, მაშინ რატომღაა უსაბუთო „ეჭვები“?! ან რაში მდგომარეობდა ეს „საბუთები“? და რამდენად საფუძვლიანია ისინი? ამასთანავე გასარკვევია, რას გულისხმობდა „სმენავეხელობა“ და „პარტიის ლეგალიზაცია“?

არ არის გამორიცხული, რომ „დოკუმენტები, რომლებსაც ციხიდან გზავნიდნენ“ და რომელთა არსებობას უარყოფს ი. ჯავახიშვილი, დაპატიმრებულებს კი არ ეკუთვნოდათ, არამედ ჩეკისტებს. არც ის არის გამოსარიცხი, რომ „სმენავეხელობის“ პოზიციაზე გადასვლა და პარტიის ლეგალიზაციის საკითხის დაყენება, მით უმეტეს „პარიტეტული კომიტეტის“ და ედპ-ის ცკ-ის ლიდერების წინაშე, არ გულისხმობდა გამცემლობას და ღალატს.

ჩვენს მიერ ზემოთ გამოთქმული ეჭვების საფუძველს გვიქმნის მთელი რიგი მოსაზრებები:

1. ჩეკისტური „საბრალმდებლო დასკვნა“ ამბობს, რომ კ. მისაბიშვილს პროვოკატორობას სწამებდნენ;

2. „პარიტეტული კომიტეტის“ თავმჯდომარის მოადგილემ და ედპ-ის ცკ-ის ფაქტობრივმა თავმჯდომარემ, ი. ჯავახიშვილმა სცნო, რომ „ილებდა მონაწილეობას მისაბიშვილის წინააღმდეგ მიმართულ ტერორისტულ აქტში“;

3. იშხნელი და კოღუაშვილი ადასტურებენ, რომ ანტისაბჭოთა ბრძოლის ხელმძღვანელი მონაწილეების დაპატიმრებათა გამო აიღეს ეჭვი კ. მისაბიშვილზე;

4. ი. ჯავახიშვილი ადასტურებს, რომ კ. მისაბიშვილის გამცემლობის შესახებ მხოლოდ „ხმა დადიოდა“, „ფაქტები არ იყო“;

5. ციხიდან მიღებული „ცნობები“ და „მთელი რიგი დოკუმენტები“ რომ მართლა არსებულიყო, ამის შესახებ ტერორისტ-შემსრულებელ მ. კოღუაშვილზე მეტი ინფორმაცია ექნებოდა ი. ჯავახიშვილს;

6. კ. მისაბიშვილს თავისი აზრები და განცდები „პარიტეტული კომიტეტის“ წევრებისა და ედპ-ის ცკ-ის ლიდერებისათვის არ დაუმალია. მას გულახდილი საუბარი ჰქონდა ი. ჯავახიშვილთან და მ. ჯავახიშვილთან.

7. მ. ჯავახიშვილი თანაუგრძნობს კ. მისაბიშვილს, მიაჩნია, რომ შექმნილ სიტუაციაში „სმენავეხელობა“ და „პარტიის ლეგალიზაცია“ სწორი გამოსავალია. იგი ამის შესახებ გულახდილად უმხელს ი. ჯავახიშვილს.

ახლა გასარკვევია: ზემოთ ჩამოყალიბებული ჩვენი ეჭვების საფუძველი ხომ არ შეთითხნეს „საბრალმდებლო დასკვნის“ ჩეკისტმა ავტორებმა?!

კითხვებზე პასუხისათვის საკმარისი აღმოჩნდა ნ. კირთაძის წიგნში მოტანილი ჩვენებები. ისინი სავსებით ამართლებენ და ალიბს უქმნიან კ. მისაბიშვილს როგორც „გამცემსა“ და „ჯაშუშს“:

1. მ. კოღუაშვილმა კ. მისაბიშვილის მკვლელობასთან დაკავშირებით უჩვენა: „მოღალატე მხიტაროვზე ტერორისტული აქტის განხორციელების შემდეგ გავიდა ერთი თვე, რომ პარიტეტულ კომიტეტს ნერვიულობა დაეტყო იმ დაპატიმრებების გამო, რომლებიც ხდებოდა „სამხედრო ცენტრის“ აღმოჩენის გამო. დაიწყეს გამთქმელის ძებნა და ეჭვი კალე მისაბიშვილზე (ეროვნულ-დემოკრატების კომიტეტის წევრზე) იქნა მიტანილი. ის იმ ხანებში ახალი განთავისუფლებული იყო პატიმრობიდან. დაიბარეს მისაბიშვილი როგორც დემოკრ. ცენტრ. კომიტეტში, ისე პარიტეტულ კომიტეტში, რომელიც დაიბნა და ბოლოს განაცხადა: მას უნდოდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლეგალური არსებობისათვის მიეღწია და ეხლა კი ეცდება რამდენიმე დაპატიმრებული მაინც გადაარჩინოს. გამამტყუნებელი საბუთები თანდათან გროვდებოდა მისაბიშვილზე. განსაკუთრებით ეჭვი აღარ შედიოდა მის ღალატში მას შემდეგ, რაც ციხიდან მოიწერეს და მრავალი საბუთები წამოაყენეს (? – გ.ც.). პარიტეტულმა კომიტეტმა გადასწყვიტა, რათაც არ უნდა დაჯდეს სიკვდილით დაისაჯოს მისაბიშვილი. ეს **გადაწყვეტილება გამოიტანეს სოც. დემოკრატებმა, ეროვნულ-დემოკრატებმა და სოც. ფედე-**

რალისტებმა. მისაბიშვილი გრძნობდა შექმნილ მდგომარეობას და შიშით გარეთ აღარ გამოდიოდა ისე ხშირად, როგორც წინათ. ქალაქში უკვე დიდი და პატარა ყველა მისაბიშვილის ღალატზე ლაპარაკობდა" (ნ. კირთაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 112-113). როგორც ვხედავთ, „საბრალმდებლო დასკვნისა" და ნ. კირთაძის წიგნში შეტანილ მ. კოღუაშვილის ჩვენებას შორის პრიციპული განსხვავება არ აღინიშნება. მ. კოღუაშვილი, როგორც ტერორისტი, ქალაქსა და საზოგადოებაში გამოსვლას ერიდებოდა. იგი უჩვენებს იმას, რასაც ეუბნებოდნენ და რაც დაარიგეს მათ, ვინც კ. მისაბიშვილის მოკვლა დაავალა. როგორც ჩანს, კ. მისაბიშვილის „ღალატზე ლაპარაკი" ჩეკადან მოდიოდა და ამას ლიდერები თუ ახალგაზრდები იჯერებდნენ კ. მისაბიშვილის სხვაგვარად აზროვნებისა და მისი პოზიციით უკმაყოფილო, უკიდურესად ექსტრემისტულად განწყობილი ახალგაზრდობის ზეწოლის და ამ პერიოდის ექსტრემალური სიტუაციის გამო.

2. ნ. კირთაძის წიგნში შეტანილია ი. ჯავახიშვილის 1924 წლის 18 სექტემბრის საყურადღებო ჩვენება. მასში უაღრესად მნიშვნელოვანი ამბავი წერია: „ჩვენ არ გვქონდა მისაბიშვილის პროვოკატორობის მამხილებელი ფაქტები, არც მკვლელობამდე და არც მკვლელობის შემდეგ, გარდა იმისა, რომ მან შეიცვალა პოზიცია. მისი მკვლელობა შეიძლება გამართლდეს მხოლოდ იმით, რომ იყო საკმაოდ საგანგაშო დრო" (იქვე, გვ. 377). ამას წერს კაცი, რომელმაც კ. მისაბიშვილის გაუმართლებელი ტერორის გამო პასუხისმგებლობა იმიტომ იტვირთა, რომ სიმართლეში ბოლომდე გაერკვა. მართლაც, კ. მისაბიშვილი მენშევიკებმა გაწირეს და არა მარტო ეროვნულ-დემოკრატებმა, როგორც ამას თავიდან მ. იშხნელი უსაფუძვლოდ ასაბუთებდა. ეროვნულ-დემოკრატებმა, კერძოდ გ. წინამძღვრიშვილმა კი დასტური მისცა იმის გამო, რომ ექსტრემისტული მისწრაფებისა და ეჭვებით შეპყრობილებს ხასიათი გაუსწორა იმის გამო, რომ „საკმაოდ საგანგაშო დრო იყო".

დიახ, უაღრესად „საგანგაშო დრო" იყო. მაგრამ ეს „საგანგაშო დრო"ამართლებდა არა კ. მისაბიშვილის მკვლელობას, არამედ მის მიერ პოზიციის შეცვლას. მაგრამ ამის შესახებ ქვემოთ საგანგებოდ მაშინ გვექნება საუბარი, როცა საგნობრივად დავახასიათებთ ამ „საგანგაშო დროს", და ცხადად გავერკვევით, რომ პარტიის ლეგალიზაცია ეროვნულ ძალთა გადარჩენის ერთადერთი ყველაზე სწორი

გამოსავალი გახდა, და ასეთი ნაბიჯი მოღალატეობას არ ნიშნავდა. ახლა კი კ. მისაბიშვილის უცოდველობის შესახებ კიდევ ერთ უტყუარ ცნობას უნდა მოვუხმოთ. ეს არის ამონარიდი ყოფილი ჩეკისტის, მამა ალექსი შელიას მოგონებებიდან. მაგრამ ვინ არის ყოფილი ჩეკისტი მამა ალექსი?! აქ საჭიროდ გვესახება დამატებითი განმარტება.

1999 წლის ზაფხულსა და შემოდგომის დასაწყისში „დილის გაზეთში" (№151-154, 180, 181, 183, 185, 201, 203-208...) გამოქვეყნდა ცნობილი ჩეკისტის, ბერიას მარჯვენა ხელისა და მეგობრის, 1954 წელს სამსახურიდან გადამდგარი უშიშროების გენერლის და ამის შემდეგ მამა ალექსის სახელით მოსკოვის მირქმის სახელობის მონასტერში ბერად შემდგარი მანუჩარ გიორგის ძე შელიას მოგონებები მისი წარსული ჩეკისტური საქმიანობის შესახებ. ღმერთისა და ერის წინაშე განწმენდის მიზნით, ბერად აღკვეცილმა ჩეკას ყოფილმა ოფიცერმა, ბერიას საიდუმლო ჩეკისტური საქმიანობის თანამონაწილემ და თვითმხილველმა, უბის წიგნაკის ჩანაწერებსა და სათანადო დოკუმენტებზე დაყრდნობით, შექმნა საქართველოს უახლესი ისტორიის უაღრესად საყურადღებო, სათანადო წყაროებით, უმთავრესად უტყუარად დადასტურებული, მემუარულ-დოკუმენტური ნარკვევი. იგი თავიდან ბოლომდე გამსჭვალულია საყვარელი სამშობლოს ჩეკისტურად ნამართავი ბედისწერის სრული სიმართლითა და მონანიების სულისკვეთებით გაშუქების მისწრაფებით. ეს საწადელი ყოფილ ჩეკისტს „კაკო" შელიას ნაწილობრივ აღუსრულა მისმა შვილიშვილმა დავით გელაშვილმა, რომელმაც ისტორიკოსებს ჭეშმარიტი განძი შეგვძინა. როგორც „მოგონებების" გამოქვეყნებული ნაწილიდან ჩანს, კიდევ ბევრ სხვა საჭირო დამატებით ინფორმაციას მოგვაწვდის მოგონებათა დარჩენილი ნაწილის გამოქვეყნება. მაგრამ უკვე გამოქვეყნებული უსაზღვროდ ძვირფასი შენაძენია ჩვენს მიერ შემოთავაზებული საკითხების დამატებითი ახსნა-გააზრებისა და გაშუქების ღირებულების თვალსაზრისით. კ. შელიამ საკუთარ მოგონებებში, რომლებიც პირადი უბის წიგნაკის ჩანაწერებსა და დოკუმენტებს (ალბათ „საბრალმდებლო დასკვნას") ემყარება, წარმოაჩინა აგრეთვე აგენტურულ-ინფორმატორული მუშაობა და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სინანული გამოსთქვა იმის გამო, რომ „მოყვასის სიძულვილს, გაუტანლობას და ამპარტავნებას" მოჰყვა თანამებრძოლების მიერ უდანაშაულო კალე მისაბიშვილის მკვლელობა (იხ. „დილის გაზეთი", 1999, 6.VIII). ამ ნათქვამის მეტი დამაჯერებლობის

მიზნით, პუბლიკაციიდან გთავაზობთ სათანადო ამონაწერს: „ამის დასამტკიცებლად დავასახელებ 1923 წლის 1 აპრილის მკვლელობას, როდესაც ყაზბეგის ქუჩაზე, საკუთარ სახლთან, რევოლვერის რამდენიმე გასროლით მოკლეს ეროვნულ-დემოკრატთა არალეგალური ცენტრალური კომიტეტის (! – გ.ც.) წევრი კალე მისაბიშვილი. მოგვიანებით (! – გ.ც.) გამოძიებამ გამოააშკარავა მკვლელობაში ეჭვმიტანილნი (! – გ.ც.), რომლებიც ტერორისტული ჯგუფის წევრები იყვნენ.

ჩვენს მიერ მოყვანილი ეპიზოდი არის პატარა წვეთი იმ ბობოქარი ზღვისა, რასაც მოყვასის სიძულვილი, გაუტანლობა და ამპარტავნება ჰქვია. აი სწორედ ამან მისცა „წითელ ეშმაკუნებს" პოლიტიკური უპირატესობის საშუალება, ბერიას ფენომენალური დივერსანტული ნიჭის გამოვლინების გარეშეც კონტრრევოლუციური ძალების დამარცხება გარდაუვალი იყო" („დილის გაზეთი", 1999, №151. 7.VII.). კომენტარები საჭირო ალბათ აღარ არის. მაგრამ აქვე აუცილებელია, კონკრეტული მითითებებზე დაყრდნობით, აღინიშნოს, რომ კაკო შელია სინამდვილის ცოდნის საოცარ სიზუსტეს ავლენს. მას არ ახასიათებს ნამდვილი მოღალატეების გამართლება. მ. შელია ნამდვილი მოღალატეების გვარების დასახელებასაც არ ერიდება. გარდა ამისა, ამ დროს კ. მისაბიშვილი მართლაც ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცკ-ის წევრი იყო და არა ედპ-ის „სტუდენტთა კომიტეტის წევრი", როგორც მას ს. ზალდასტანიშვილი ასახელებს (გვ. 16). ამასთანავე კ. შელიამ, ბევრი მკვლევარ-ისტორიკოსისაგან განსხვავებით, ზუსტად იცის, რომ ტერორისტი მკვლელი მ. კოღუაშვილი მარტო არ იყო და მოქმედებდა უზნეო პარტიულ-პოლიტიკური პრინციპებიდან გამომდინარე. განსაკუთრებით საყურადღებოა ის, რომ ჩეკამ კ. მისაბიშვილის უსაფუძვლო და უსაბუთო მკვლელობის მოტივაცია მართლაც გვიან, მ. კოღუაშვილის, იასონ ჯავახიშვილის და სხვათა ჩვენებების საფუძველზე გაარკვია, მაშინ როცა მოყვასის მიმართ „ეჭვით" შეპყრობილებმა, ჯერ კიდევ 1923 წლის მარტში, გამიზნულად დაუშვეს მისი „გამცემლობა". ხოლო მ. იშხნელმა თავის ჩვენებაში კ. მისაბიშვილის გამცემლობის შესახებ ხმის გავრცელება, სრულიად უსაფუძვლოდ, მისი ციხიდან განთავისუფლების დროისთვის, ე.ი. 1923 წლის იანვარში გადაიტანა.

მაშასადამე, კ. მისაბიშვილის მკვლელობასთან დაკავშირებული ისტორიის წყაროები გვარწმუნებენ, რომ ეს შემზარავი აქტი განა-

ხორციელეს შეგნებულად. ქვემოთ ვნახავთ, რომ იგი შეასრულეს საეჯანყებო ექსტრემისტულ-ავანტიურისტული ბრძოლის ტენდენციის წამბიძგებელმა ხელმძღვანელებმა, რომლებსაც აღაშფოთებდათ თანამებრძოლთა რიგებიდან არალეგალური ზომიერი რადიკალიზმის მიმდევართა შესაძლო გამიჯვნა, მათი ლეგალურ მუშაობაზე გადასვლა, რაც ექსტრემისტების მიერ ღალატად ცხადდებოდა იმის მიუხედავად, რომ სხვა გზა არ იყო. კ. მისაბიშვილის, მ. ჯავახიშვილის და მათი თანამოაზრეების ჩამოშორება მართლაც საშიროებას უქმნიდა ანტისაბჭოთა ბრძოლის იმ ექსტრემისტულ-ავანტიურისტული ტენდენციის შემდგომ წაბიძგებას, რომელსაც ძირითადად ანტისაბჭოთა ბრძოლის საზღვარგარეთული ცენტრი ასაზრდოვებდა და მართავდა. ამ უკანასკნელი დებულების სიღრმისეული შემეცნების შესაძლებლობა ქვემოთ, ცალკე თავში, გვექნება. ახლა კი **საჭიროა დავასკვნათ:** ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცკ-ის წევრი კალე მისაბიშვილი „სამხედრო ცენტრის გამცემი" (ს. ზალდასტანიშვილი და მრავალი სხვა) არ ყოფილა და არც „ კ. მისაბიშვილის ჯაშუშობის წყალობით, ჩეკამ შეიპყრო აჯანყების **დამწყებთა** (! – აბსურდია – გ.ც.) მთავარი ბირთვი" (ნ. კირთაძე). ამას ადასტურებს როგორც 1925 წლიდან ცნობილი „საქმე საქართველოს ანტისაბჭოთა პარტიების პარიტეტული კომიტეტის შესახებ (საბრალმდებლო დასკვნა, იუსტიციის სახალხო კომისარიატის გამოცემა)", ისე ნ. კირთაძის მიერ სუკის არქივში მოპოვებული და მის წიგნში გამოქვეყნებული ჩვენებები, მაგრამ ამასთანავე კიდევ უფრო მეტი დამაჯერებლობით. ამ საკითხთან დაკავშირებით არსებობს კიდევ ერთი უაღრესად საყურადღებო წყარო, რომელიც ცხადყოფს, რომ იმდროინდელი ჩეკა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ახალი, „ნაციონალ უკლონისტების" შემდგომი ხელმძღვანელობის სანქციით, ანტისაბჭოთა არალეგალური პარტიების და მიმდინარეობების წარმომადგენელთა მიმართ მყარად დაადგა პროვოკაციებისა და ტერორის გატარებას. 1922 წელს გადამდგარი „უკლონისტური" ცკ-ის შემდგომი საქართველოს კომპარტიის „გენერალური მდივანი" ბ. ლომინაძე 1924 წელს რკპ ცკ-ის კომისიის მიმართ წარდგენილ მოხსენებაში „ქართული საკითხის გამო" წერს, რომ ანტისაბჭოთა მებრძოლთა მიმართ „ტერორის საშუალებათა გამოყენებას უკლონისტები წმინდად უარყოფდნენ... ჩვენ არ შევჩერდით მკვეთრი რეპრესიების, მასობრივი დაპატიმრებების, გადასახლების, დახვრეტის წი-

ნაშეც კი... ყველა ზომას ვღებულობდით იმისათვის, რომ შიგნიდან აგვეფეთქებინა, გაგვეხრწნა ჩვენდამი მტრული პარტიები... მე ვფიქრობ, რომ ამ გზაზე ჩვენ მივაღწიეთ იმის მაქსიმუმს, რისი გათვალისწინებაც კი შეიძლებოდა." ეს იყო პარტიული ხელმძღვანელობა ე.წ. „ნაჯახის ანაბეჭდით" (კამენევი). ასეთი ხელმძღვანელობის სტილის დამკვიდრებაში ბ. ლომინაძე დამსახურების ცხრა მეათედს ს. ორჯონიკიძეს მიაწერს (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 1, ს. 195, ფ. 40-41). მან არ იცის, ან იგი არაფერს ამბობს იმის შესახებ, რომ საქართველოში ანტისაბჭოთა არალეგალური მოძრაობის მებრძოლთა მოსპობისათვის საჭეკას იმდროინდელ ფაქტობრივ თავმჯდომარეს, ბერიას, სტალინთან ჰქონდა პირდაპირი ფარული კავშირი და საქვეყნოდ გაცხადებული არაერთმნიშვნელოვანი დირექტივა – „საქართველოში მომრავლდა სარეველა, საქართველო უნდა გადაიხნას".

ამის მიუხედავად, კ. მისაბიშვილის გამცემლობის და ჯაშუშობის შესახებ მითი მომდევნო ისტორიკოსისათვის მაინც სიმართლედ მისაღები და გამოსაყენებელი გახდა. ამათგან მანანა ხომერიკმა კ. მისაბიშვილის „გამცემლობა" და „ჯაშუშობა" თავის წიგნში („პასუხად მიხეილ ჯავახიშვილის ბიოგრაფებს (ყბიდუმლო არქივებიდან)", თბ., 1996) ახლა უკვე მიზნობრივად მიხეილ ჯავახიშვილს დაუკავშირა. მ. ხომერიკი წერს:

1. „წიგნი გამოსაცემად მზად მქონდა, როდესაც გამოქვეყნდა ისტორიკოსის ნესტან კირთაძის მონოგრაფია „1924 წლის აჯანყება საქართველოში". კეთილსინდისიერ მეცნიერულ გამოკვლევას ერთვის დოკუმენტები, რომელთა შორის არის მ. ჯავახიშვილის მიერ 1923 წელს ჩეკასათვის მიცემული რამდენიმე ჩვენება" (გვ. 2). „მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრებისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობის შესახებ ისევ ცალმხრივად იწერება, ყალბდება ისტორია. სამართლიანობა კი რეალური სურათის აღდგენას მოითხოვს. სწორედ ამ მიზნით (? – გ.ც.) თავი მოვუყარე იმ მნიშვნელოვან ფაქტებს, რომელთა დიდი ნაწილი უცნობია ფართო საზოგადოებრიობისათვის" (გვ. 6).

2. მისი აზრით, „ცალკე შესწავლას მოითხოვს მ. ჯავახიშვილის ურთიერთობა კალე მისაბიშვილთან. ამ პიროვნებას აბრალებდნენ (! სწორეა – გ.ც.) პარიტეტული კომიტეტის სამხედრო ცენტრის გაცემას, რის გამოც პარიტეტულმა კომიტეტმა იგი მოაკვლევინა... მისაბიშვილის გადმობირება ჩეკამ მისი პატიმრობის დროს, 1923 წლის

დასაწყისში მოახერხა და ციხიდან გაანთავისუფლა სპეციალური დავალებით“ (ტყუილია – გ.ც.). ავტორს მოაქვს ნ. კირთაძის წიგნში კომენტარის გარეშე შეტანილი მ. ჯავახიშვილის 1923 წლის 13 აპრილის ჩვენება და დასძენს: „გაკვირვებას იწვევს მ. ჯავახიშვილის ასეთი მისწრაფება „სმენავეხელობისაკენ“. მას ხომ კარგად მოეხსენებოდა აღნიშნული მიმდინარეობის არსი. „სმენავეხელობის“ საქართველოში დანერგვა ჩეკას „ოცნება“ იყო...“ (გვ. 12). ამას ახლავს ავტორისეული პასაჟი სათანადო დამატებითი ცნობილი ციტატების მოხმობით, რომლითაც ავტორი ცდილობს მკითხველი დაარწმუნოს მ. ჯავახიშვილის იმ ვითომ საეჭვო „მისწრაფებაში“, რომელიც მის „გაკვირვებას იწვევს“.

3. მ. ხომერიკი წიგნის მე-14 გვერდზე წერს: „ჩვენ არ ვიცით კ. მისაბიშვილმა მარტომ დაასმინა სამხედრო ცენტრის წევრები, თუ მას ამ საქმეში ვინმე „თანამოზიარე“ (?! – გ.ც.) ეხმარებოდა. კ. მისაბიშვილის ახალგაზრდობას და გამოუცდელობას (? – გ.ც.) უნდა მივაწეროთ ის ფაქტი, რომ ის ვერ ფარავდა თავის მოქმედებებს (? – გ.ც.). მისაბიშვილის აგენტობა (? – გ.ც.) ცნობილი ყოფილა პარიტეტული კომიტეტის წევრებისათვის. მათი გადაწყვეტილებით მ. ჯავახიშვილი იძულებული იყო ჩამოეშორებინა პარიტეტული კომიტეტის სამხედრო კომისიაში მუშაობას კ. მისაბიშვილი, რომელიც თავად ჰყავდა კომისიაში მიწვეული“ (ავტორს მითითებული აქვს სათანადო წყარო: საქ. პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 2, ს.№40, ფ. 187). ავტორს აქვე აქვს გამეორებული მ. იშხნელის მიერ გაუშიფრავად მოტანილი სიტყვები მ.ჯავახიშვილის ვითომ „სპეკულაციის“ შესახებ, რომელიც ისეა აჟღერებული, თითქოს ჩეკასთან მ. ჯავახიშვილის ალიანსს გულისხმობდეს. არა და, ცნობილია, რომ მ. ჯავახიშვილს ხელისუფლებამ ხელოვნური პრობლემები შეუქმნა „ვნეშტორგში“, სადაც იგი ეკონომისტად მუშაობდა. მ. ჯავახიშვილის უბის წიგნაკის ქარაგმული ჩანაწერიდან ცხადად ჩანს, რომ იგი „ვნეშტორგში“ კონფლიქტურ სიტუაციაში აღმოჩნდა ცნობილ ჩეკისტ გ. ათარბეგოვთან. დღიურში ეკითხულობთ: „კამპანია ჩემს წინააღმდეგ ვნეშტორგში. ათარბეგოვი და მე“ (იხ. ქ. ჯავახიშვილი, მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება, 1991, გვ. 31). აკ.სფსრ მუშგლეხინის კომისრის მოადგილე-ჩეკისტთან კონფლიქტი სავსებით საკმარისი იყო მ. ჯავახიშვილის მიმართ არაჯანსაღი აზრის გასავრცელებლადაც და მის დასაპატიმრებლადაც. ამასთანავე, როგორც ქ. ჯავახიშვილის მიერ

დედის მოგონებაზე დაყრდნობილი ცნობიდან ჩანს, „მამა დააპატიმრეს მარტში“ (იხ. იქვე, გვ. 32) და არა 24 თებერვალს, როგორც მ. იშხნელის ჩვენებაშია ჩაწერილი. ჩეკამ იმაშიც კი საეჭვო დაინახა, რომ მ. ჯავახიშვილმა იმ დროისათვის უმუშევარი და მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში მყოფი კ. აფხაზის „ჩემოში“ მოწყობა მოიწადინა (იხ. ნ. კირთაძის დასახელებული წიგნი, გვ. 272). დიახ, საერთოდ სამეურნეო სამსახურიდან ერეკებოდნენ ხელისუფლებისათვის საეჭვო ადამიანებს, საარსებო სახსარს აცლიდნენ მათ, სპეკულიანტობას და ანტისაბჭოურ ქმედებებს აბრალებდნენ და მათ ნაცვლად „სანდო პიროვნებებს“ აყენებდნენ. ეს მდგომარეობა არეკლა ალბათ კ. მისაბიშვილმა, რომელმაც უკმაყოფილება გამოხატა მ. ჯავახიშვილის მიმართ იმის გამო, რომ ეს უკანასკნელი იძულებული გახდა ნაწილობრივ მაინც ანგარიში გაეწია ექსტრემისტებისათვის, რომლებიც მტრულად მიუდგნენ კალეს და იგი იმ სამხედრო კომისიას ჩამოაშორა, რომელსაც თავადაც განუდგა.

მას შემდეგ რაც კ. მისაბიშვილის მკვლელობის შესახებ იასონ ჯავახიშვილის აზრი წარმოვაჩინეთ და ყოფილი ჩეკისტის „კაკოს“, შემდგომ ღმერთისა და ერის წინაშე ცოდვების მონანიების მიზნით ბერად შემდგარი მამა ალექსი შელიას უტყუარ ცნობას მოვუხმეთ, მ. ხომერიკის ზემოთ მოტანილი მსჯელობის აბსურდულობა ცხადია, მაგრამ აქ საყურადღებოა ის, რომ მ. ხომერიკს მ. ჯავახიშვილზე ეჭვის ჩასახვა-გაძლიერებისათვის გამოუყენებია ნ. კირთაძის წიგნის კვლევით ნაწილში უსაფუძვლოდ გამოცხადებული კ. მისაბიშვილის „მოღალატეობა“ და „ჯაშუშობა“. ეს არის მ. ხომერიკის ერთ-ერთი პირველი პრაგმატული ნაბიჯი მ. ჯავახიშვილის პოლიტიკური ღვაწლის „გასაშუქებლად“. იგი მჭიდრო კავშირშია მ. ხომერიკის მიერ ამ მიმართულებით გადადგმულ მეორე ნაბიჯთან. მაგრამ „მეორე ნაბიჯის“ შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი. აქ კი აღსანიშნავია მ. ხომერიკის უსაფუძვლო მინიშნება, რომ ვითომ „ახალგაზრდა – გამოუცდელი“ კ. მისაბიშვილი ასაკში მყოფ დიდ მწერალს და, მაშასადამე, საკმაო გამოცდილების მქონე მ. ჯავახიშვილს „სამხედრო კომისიაშიც მიუწვევია.“ მაშასადამე, მ. ხომერიკისეული ლოგიკით, „მოღალატე“ კ. მისაბიშვილი სამწუხარო და სავალალო „თანამოაზრე“ ყოფილა მ. ჯავახიშვილისა. აქედან გამომდინარე, მკითხველს აწვდის აზრს: ახალგაზრდა, გამოუცდელ ჩეკას „დამსმენს“, კ. მისაბიშვილს ასაკში მყოფი, საკმაოდ ბრძენი თანამოაზრე მ. ჯავახიშვილი არ არის

გამორიცხული, რომ ჩეკას აგენტ-ინფორმატორობაში ეხმარებოდა და ამიტომ „სამხედრო კომისიაშიც“ შეიყვანა. ე.ი. გამოდის, რომ აბსურდზე ის „ჰიპოთეზა“ შენდება, რომელიც ავტორის მიერ წიგნის სხვა გვერდებზე დამატებითი წყაროების მოხმობით კიდევაც „მტკიცდება“. მეტი თვალსაჩინოებისათვის აღნიშნულ საკითხზე მსჯელობა ქვემოთ ცალკე გვექნება. აქ კი საჭიროა ისიც ხაზგასმით აღინიშნოს, რომ:

1. მართალია ნ. კირთაძემ სათავე დაუდო კ. მისაბიშვილის „ჯაშუშად“, მაშასადამე, ჩეკას აგენტად, ხოლო მისი უფროსი მეგობრის – მ. ჯავახიშვილის საეჭვო და საჩოთირო პიროვნებად გაგებას, მაგრამ მის მიერვე გამოვლენილ-გამოქვეყნებული, ინფორმაციულად ბოლომდე შეუცნობელი დოკუმენტებით მანვე შექმნა ამ ორი პიროვნების სწორად, ანუ სამშობლოსათვის თავდადებულ, გონიერ პოლიტიკოსებად გაგების ნაწილობრივი შესაძლებლობა. ნ. კირთაძის ამ და სხვა თუნდაც ქვეცნობიერი „დამსახურების“ აღუნიშნაობა სწორი არ იქნებოდა.

2. მართალია, მ. ხომერიკმა შემდგომი „განვითარება“ მოუძებნა კ. მისაბიშვილისა და მ. ჯავახიშვილის პოლიტიკური ღვაწლის გაუკუღმართებულ გაგებას, მაგრამ მას ამისათვის მრავალი წანამძღვარი, ანუ ამოუხსნელი მცდარი არგუმენტი გააჩნდა, ამასთანავე, მან ამით, აგრეთვე, ხელი შეუწყო ჩვენს მიერ ამ ორი პიროვნების პოლიტიკური პორტრეტების შემდგომ სწორ გაშუქებას. ამასთანავე, მ. ხომერიკმა გამოარკვია, რომ მისთვის ცნობილი, მოარული ხმებით, მ. ჯავახიშვილი მიჩნეული ყოფილა პიროვნებად, რომელზეც ამბობდნენ: „დასავლეთ საქართველოს ხალხი არ უყვარდაო...“, „აკაკის ქართულ ნაციონალიზმს უკიჟინებსო“ და დაამტკიცა, რომ ასეთი ყალბი აზრის საფუძველი გამხდარა მიხეილ ახპატელოვის 1911 წლის პუბლიკაციების ისეთივე ხელმოწერა, როგორიც ჰქონდა მიხეილ ადამაშვილს – „მ. ა.“ (იხ. მ. ხომერიკის დასახელებული წიგნი, გვ. 32, 33). ეს არის მ. ხომერიკის ობიექტურობის კონკრეტული და არა ერთი კეთილი გამოვლინება.

6. კირთაძის და მ. ხომერიკის, როგორც ისტორიკოსების, ნააზრევის შესახებ ქვემოთ დამატებით გვექნება აუცილებელი მსჯელობა, ახლა კი იმის შემდეგ, რაც გაუკუღმართებულად გაგებული წყაროების მეშვეობით ნაწილობრივ მაინც დავამტკიცეთ, რომ კ. მისაბიშვილი არ ყოფილა „გამცემი“, „ჯაშუში“, „ჩეკას აგენტ-ინფორმა-

ტორი" და ერის მოღალატე, საჭიროა გავარკვიოთ, სინამდვილეში ვინ იყო კ. მისაბიშვილი და რას წარმოადგენდა იგი. ამ გზით კიდევ უფრო დამაჯერებელი გახდება მოცემულ თავში ჩამოყალიბებული ჩვენი მსჯელობა და წინამდებარე წიგნის ავტორის მეცნიერული მიზანდასახულობა.

ვინ იყო კალე მისაბიშვილი?

ასეთი კითხვა ადრე კეთილი აზრით ჯერ არ დასმულა. როგორც ჩანს, „მოღალატედ" მიჩნეულის ბიოგრაფიის შესწავლა სათანადო ინტერესით არ სტიმულირდებოდა. ამიტომ ამ კითხვით სავალალოდ არც სუკის არქივში შესული სპეციალისტები დაინტერესებულან. მაგრამ სუკის არქივში ჩვენი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის დროს კ. მისაბიშვილისადმი ინტერესის გამო საჭიროდ მივიჩნიეთ ჩაგვეხედა მის სამძებრო საქმეში. ამ ინტერესის მოტივაცია, ვფიქრობთ, რომ მკითხველისათვის გასაგებია: ჯერ ერთი, მოვლენის მთავარი მოქმედი პირის შესწავლის გარეშე პროცესის კვლევა მცდარი დასკვნების გამოტანის დიდ შესაძლებლობას იძლევა, მეორე – რაკი ჩვენ ვიცნობდით კალეს შესახებ ალტერნატიულ წყაროებს, მიზნად დავისახეთ მის შესახებ ყველა ხელმისაწვდომი ცნობის გაკონტროლება. ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებო იყო, ვინ გაიხადეს ეროვნულ-დემოკრატთა თვალსაჩინო ლიდერებმა, კერძოდ მ. ჯავახიშვილმა თანამოაზრე-თანამებრძოლად. ახლა ეს ინტერესი კიდევ უფრო ფართოვდება, რადგან ცნობილია, რომ კ. მისაბიშვილი ეროვნულ დემოკრატების ცკ-ში, მისი მთავარი კომიტეტის შემადგენლობაში, დაფიქსირებულია ჯერ კიდევ 1921 წლის დასაწყისში ისეთი ცნობილი მამულიშვილების გვერდით, როგორებიც იყვნენ სპ. კედია, გრ. ვეშაპელი, გ. გვაზავა, ალ. ასათიანი, შ. ქარუმიძე, კ. აფხაზი, რ. ინგილო, შ. ამირეჯიბი, დ. ვაჩნაძე, კ. გაბაშვილი და სხვები (გაზ. „მიწა", 1921, 30 ივნისი, №5. ცნობა მოგვაწოდა მკვლევარმა გ. საითიძემ, რისთვისაც მადლობას ვუხდით). საყურადღებოა, რომ კ. მისაბიშვილი 1921 წლის იანვარში შემდგარ მთავრობის პოლიტიკით უკმაყოფილო არასოციალისტური პარტიების გაერთიანებულ კონფერენციაზე აირჩიეს პარტიის მთავარი კომიტეტის წევრად. ამ კომიტეტის წევრებად აირჩიეს აგრეთვე ისეთი ცნობილი პიროვნებები, როგორებიც იყვნენ: სპ. კედია, გრ. ვეშაპელი, გ. გვაზავა, ალ. ასათიანი, შ. ქარუმიძე, პართ. გოთუა, კ. აფხაზი, რაფ. ინგილო (ივანიცკი), შ. ამირეჯიბი, რ. გაბაშვილი, დ. ვაჩნაძე, ალ. ახმეტელი, ს. დანელია,

გ. წინამძღვრიშვილი, მიხ. ჯავახიშვილი, იას. ჯავახიშვილი, მიხ. იშხნელი, ნ. თავდგირიძე, ელ. პატარიძე და სხვანი (გ. საითიძე, სწამდა სამშობლოს აღორძინება (გენერალი კოტე აფხაზი, თბ., 1997, გვ. 87). ამ დროს კი კალე არის სულ 26 წლის. ამასთანავე, ცნობილია, რომ კ. მისაბიშვილი ეროვნულ დემოკრატების პარტიის ხელმძღვანელ ორგანოში მიიწვია ისეთმა ფხიზელმა და არაექსტრემისტმა პოლიტიკოსმა, როგორიც იყო სპირიდონ კედია (იხ.: ქ. ჯავახიშვილი, მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება, გვ. 29). მეორე სერიოზული არგუმენტია ის, რომ პატიმრობიდან განთავისუფლებული კ. მისაბიშვილი დიდი მწერლის მ. ჯავახიშვილის უახლოესი თანამოაზრე-თანამებრძოლი მართლაც გახდა და სხვა.

აღმოჩნდა, რომ კალე მისაბიშვილის, როგორც პატრიოტისა და ანტისაბჭოთა ახალგაზრდული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის, შესახებ არქივებში საკმაოდ დამაჯერებელი და შთამბეჭდავი ცნობები ინახება. ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის მათი გაცნობა, წამებული და ჩეკისტურად გაუკუღმართებულად გაგებული ამ პიროვნების სრული შემეცნების მიზნით, უაღრესად აქტუალურ და აუცილებელ ამოცანად ისახება. კ. მისაბიშვილის პოლიტიკური პორტრეტის მართებულ წარმოჩენას მნიშვნელობა აქვს აგრეთვე მისი თანამოაზრე-თანამებრძოლების და, კერძოდ, მ. ჯავახიშვილის 1921-1923 წლების პოლიტიკური მოღვაწეობის არსის, ანუ პოლიტიკური პორტრეტისა და ცხოვრებისეული პერიპეტიების გასააზრებლად. დამატებითი არგუმენტია ის, რომ კ. მისაბიშვილის თანამოაზრე-თანამებრძოლის, დიდი ქართველი მწერლისა და თვალსაჩინო პოლიტიკოსის, მ. ჯავახიშვილის არალეგალურ მოღვაწეობას მიეცეს სწორი ახსნა. მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ კ. მისაბიშვილის, მ. ჯავახიშვილის და სხვა მათ გვერდში მდგარი მამულიშვილების სწორი და ნათელი პოლიტიკური პორტრეტის შექმნის გარეშე შეუძლებელია 1921-1923 და შემდგომი ქართული ეროვნული მოძრაობის არსის გაგება.

კ. მისაბიშვილის, როგორც პოლიტიკური პიროვნების, შესწავლის მიზნით გავეცანით საქართველოს სახელმწიფო უშიშროების არქივში დაცულ მის საქმეს – №22763. კ. მისაბიშვილის ანკეტის უაღრესად ძუნწი ინფორმაცია გვამცნობს: „მისაბიშვილი კალისტრატე (კალე) ბესარიონის ძე, ქუთაისის გუბერნიის სენაკის მაზრის სოფელ თეკლათიდან, 27 წლის, საშუალო განათლებით. ყავს მამა ბესარი-

ონი 72 წლის, მიწათმოქმედი, ცხოვრობს თეკლათში. დედა ელისაბედი 55 წლის, დიასახლისი. კ. მისაბიშვილი 1915 წლიდან თანაუგრძნობს რადიკალ დემოკრატებს. სამართალში არნამყოფი. უნივერსიტეტის მედიკოსი სტუდენტი. იგი 1922 წლის 24 მაისს ორდერის გარეშე პუშკინის ქუჩაზე დააპატიმრეს. დაკითხა საფილტრაციო კომისიამ. დაპატიმრებამდე საცხოვრებელი ადგილი ყაზბეგის ქ. №14" ანკეტა ხელმოწერილია 1922 წლის 14 ივნისს (ფურც. 15). ეტყობა, პატიმართა სიმრავლის გამო, აქამდე ვერ მოიცალეს მისი ანკეტის შესადგენად.

1922 წლის 23 ივნისს კ. მისაბიშვილს და სხვა 15 პიროვნებას შეუდგინეს „დასკვნითი დადგენილება", რომელშიც ნათქვამია: „საქჩეკას საიდუმლო განყოფილების რწმუნებულმა ამხ. გეგეჭკორმა განიხილა საფილტრაციო კომისიის დადგენილება, საიდანაც ჩანს ნიშნები დანაშაულისა დემონსტრაციაში მონაწილეობის შესახებ..." მას წარედგინა ბრალდება „ანტისაბჭოთა გამოსვლებში მონაწილეობის" მუხლით. კ. მისაბიშვილს, ელისე პატარიძეს და ვარდენ საბახტარაშვილს მიუსაჯეს სამი თვით პატიმრობა თბილისის №2 გამასწორებელ სახლში, ანუ მეტეხის ციხეში. ეს გადაწყვეტილება 20 ივლისს დაამტკიცა საქჩეკას პრეზიდიუმმა.

ამის შემდგომ ყურადღებას იქცევს კალეს პატიმრობის ვადის გასვლის შესახებ, გამასწორებელი სახლის უფროსის შეტყობინების გამო, საქჩეკას საიდუმლო განყოფილების უფროსის, სოლოვიანის და საიდუმლო ოპერატიული სამმართველოს უფროსის, პეტროსიანის ხელმოწერით დამტკიცებული 24 ოქტომბრის „დადგენილება". მასში ნათქვამია: „Принимая во внимание его активность (как непереваривающего Сов. строя и Раб. крестьян. власти), постановил: срок наказания продлить в порядке изоляции, о чем сообщить Нач. исправдома." ასეთი ხასიათის დადგენილებები ჩეკას იმდროინდელ პრაქტიკაში იშვიათი არ იყო. მაგრამ მას ყოველთვის როდი იყენებდნენ. ჩვეულებრივად, პროფილაქტიკური დაპატიმრების დროს პატიმრებს ჩაუტარებდნენ ხოლმე მისი აზრების საკონტროლო, პროფილაქტიკურ-მსოფლმხედველობრივ გამოკითხვას: როგორ უყურებს საბჭოთა ხელისუფლებას, წითელ ჯარს, ფედერაციას და სხვა. ვინც არ ჩაიჭრებოდა, მას სამი თვის შემდეგ უშვებდნენ, თუ მასზე რაიმე განსაკუთრებული აგენტურული ცნობა ან „სოობშენიე" არ ჰქონდათ. ზოგი საკუთარი ღირსების საქმედ თვლიდა გულახდილი და ღვარძლიანი პასუხი გაეცა. ჩანს, რომ კ. მი-

საბიშვილი სწორედ ასე მოქცეულა. ზოგი „ქვეშიდან" გამოდიოდა. კ. მისაბიშვილის საქმეში ასეთი მასალები არ დევს. მაგრამ ჩანს, რომ მის მიმართ ჩეკას რაღაც პრეტენზიები აქვს. აქამდე სხვა ბევრი, ადრე დაპატიმრებული, გაანთავისუფლეს, კ. მისაბიშვილი კი არა. დოკუმენტში აღნიშნული არ არის მისი არც კონკრეტული დანაშაულობანი და არც პატიმრობის გასახანგრძლივებელი ვადა. სამაგიეროდ, ამ მხრივ ნაწილობრივი სინათლე შემოაქვს საქჩეკას პრეზიდიუმის 1 ნოემბრის დადგენილებას: „продлить срок наказания в порядке изоляции **без определения срока**" (ხაზგასმა ჩვენია – გ.ც.). ეს არის ჩეკას ამ დროინდელ პრაქტიკაში დამკვიდრებული წესი, რომლის მიხედვით მნიშვნელოვნად საშიშად შეცნობილ პიროვნებას პატიმრობას უგრძელებდნენ მანამ, ვიდრე მასზე მოიძიებდნენ სათანადო სრულ დასაბუთებას, ან სანამ არ მიაღწევდნენ პატიმრის გატეხვას. არა და, კ. მისაბიშვილი უაღრესად მნიშვნელოვანი ფიგურა გახლდათ. მის შესახებ, ჯერ ერთი, ბოლშევიზმის მიერ საქართველოს ოკუპაციამდელ პრესაში ლეგალურად იბეჭდებოდა. მეორე, დამსმენთა მეშვეობით, ესეც იცოდნენ და ბევრი სხვაც. როგორც ჩანს, ამის შესახებ „საქჩეკას" ხელმძღვანელობამ იმ დამსმენთა ან აგენტთა ცნობებით შეიტყო, რომლებიც უნივერსიტეტში მრავლად მუშაობდნენ. მაგრამ კონკრეტული მამხილებელი დოკუმენტაცია ჩეკას ჯერ არ გააჩნდა და, როგორც ჩანს, თავად კ. მისაბიშვილიც არ გატყდა.

კ. მისაბიშვილის შესახებ მისი მკვლელობის შემდგომი პერიოდის პუბლიკაციებიდან, აგრეთვე სხვა პოლიტიკური პატიმრების, უპირატესად ეროვნულ-დემოკრატების ცკ-ის წევრების და „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის", ანუ „პარიტეტული კომიტეტის" წევრის იასონ ჯავახიშვილის ერთ-ერთი ჩვენებიდან ვგებულობთ, რომ იგი სათავეში ედგა ეროვნულ-დემოკრატთა ახალგაზრდულ ორგანიზაციას, რომლის ცენტრი თბილისის უნივერსიტეტში იმყოფებოდა. იასონ ჯავახიშვილის 1924 წლის 18 სექტემბრის ჩვენებაში ვკითხულობთ: „ახალგაზრდობის ცკ-ი იყო ორგანიზებული დაახლოებით 1921 წლის ბოლოს, თანაც ის ჩამოყალიბდა თავისთავად (? – გ.ც.) და ცეკი, რომელიც ფაქტის წინაშე დადგა, იძულებული იყო დაემტკიცებინა მისი შემადგენლობა, რომელშიც შედიოდნენ: კალე მისაბიშვილი, ელისე პატარიძე, ლეო დუმბაძე, ნიკო კეცხოველი, ვახტანგ ზაალიშვილი" (ნ. კირთაძე, დასახელებული წიგნი, გვ. 368). არსებობს ცნობა, რომლის თანახმად ცნობილი ანტისაბჭოთა მე-

ბრძოლი, შემდეგში „პარიტეტული კომიტეტის“ უცვლელი წევრი, მდივანი, თავმჯდომარის მოადგილე და ეროვნულ-დემოკრატთა პარტიის ფაქტობრივი თავმჯდომარე, იასონ ჯავახიშვილი და კ. მისაბიშვილი ეროვნულ-დემოკრატთა ცკ-ში ერთდროულად მოდიან. კალე მიიწვია მისმა იმდროინდელმა თავმჯდომარემ სპირიდონ კედიამ (ქ. ჯავახიშვილი, მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება, გვ. 29). იასონ ჯავახიშვილის ერთ-ერთი ჩვენებიდან ირკვევა, რომ ეროვნულ-დემოკრატების 1921 წლის სექტემბერ-ოქტომბრის ცკ-ის გაერთიანებულ კონფერენციაზე სპ. კედიას და ალექსანდრე ასათიანის ინიციატივით და შეხედულებით არჩეულ იქნა არალეგალური ცკ, რომლის შემადგენლობაში თავდაპირველად შედიოდნენ სპ. კედია (თავმჯდომარე), ალ. ასათიანი (პრეზ. წევრი), შალვა ქარუმიძე, დათა ვაჩნაძე, მიხ. ჯავახიშვილი და იასონ ჯავახიშვილი. ზოგჯერ სტუდენტთა წარმომადგენლად იწვევდნენ ხოლმე კალე მისაბიშვილს (ნ. კირთაძე, დასახელებული წიგნი, გვ. 288). ის იყო ქართული ეროვნული მოძრაობის და ინტელიგენციის სიამაყე. ეროვნულ დემოკრატთა „პირველი პროკლამაცია გამოშვებული იქნა პარტიის მიერ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების წლისთავისათვის... ეს საქმე აიღო თავის თავზე კალე მისაბიშვილმა“ (იქვე, გვ. 371). მ. ჯავახიშვილის 1923 წლის 7 მარტის ჩვენებიდან ცხადი ხდება, რომ „პარიტეტული კომიტეტის“ პირობების განხილვაში ეროვნულ დემოკრატთა ცკ-ის თავმჯდომარე სპ. კედიას და მის ავტორიტეტულ წევრებთან, ასათიანთან, მ. ჯავახიშვილსა და მ. წინამძღვრიშვილთან ერთად მონაწილეობდა 26 წლის კ. მისაბიშვილი (სუკის არქივი, №24367, ფ. 20). იასონ ჯავახიშვილის ჩვენებიდან ჩანს, რომ „1922 წლის თებერვალში კედია, ასათიანი და ვაჩნაძე დააპატიმრეს.“ „მე (იასონი – გ.ც.), მიხ. ჯავახიშვილი და მისაბიშვილი (! – გ.ც.) ანუ ისინი, ვინც გარეთ დავრჩით, – უჩვენებს იასონი, – ახალი ცენტრალური კომიტეტის შედგენას შევუდექით. იგი ახალი წევრების – გიორგი წინამძღვრიშვილის და შალვა ამირეჯიბის შეგზავნის გზით ჩამოვაყალიბეთ“ (იხ. ნ. კირთაძის დასახელებული წიგნი, გვ. 228). ამასთან დაკავშირებით შ. ამირეჯიბი წერს, რომ მაშინ, როცა ოცდათხუთმეტკაციანი ეროვნულ-დემოკრატთა მთავარი კომიტეტის ნაცვლად შეიქმნა ხუთკაციანი ცენტრალური კომიტეტი „მომძებნა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის „ცენტრის“ წარმომადგენელმა (ვინ? – გ.ც.) და გამომიცხადა, რომ ამ „ცენტრის“ წევრად ხარ დანიშნულიო... ამ „ცე-

ნტრის" ახალი შემადგენლობა ახლა იყო: მ. ადამაშვილი, ი. ჯავახიშვილი, გ. წინამძღვრიშვილი, მეოთხე დანამდვილებით აღარ მახსოვს და მეხუთე მე" (იხ. შალვა ამირეჯიბი, წ. II, გვ. 152). როგორც ჩანს, მას არ უნდა ახსენოს კ. მისაბიშვილი. „1922 წლის მანძილზე ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობა იზრდებოდა, თანდათანობით მასში შევიდნენ კოტე აფხაზი, მიხ. იმხნელი, დიმიტრი ჯავახიშვილი, ნიკო კეცხოველი (მისაბიშვილის დაპატიმრების შემდეგ), ალ. ახმეტელი, ს. დანელია" (ნ. კირთაძე, დასახელებული წიგნი, გვ. 228). ანტისაბჭოთა არალეგალური ბრძოლისა და ამბოხებითი რაზმების თვალსაჩინო ორგანიზატორის, ეროვნულ დემოკრატიული პარტიის ცკ-ის წევრის, შემდეგ კი მისი თავმჯდომარის და, აგრეთვე, „სამხედრო ცენტრის" წევრის კ. აფხაზის ჩვენებებში ვკითხულობთ: „ეროვნულ დემოკრატიული პარტიის შემადგენლობაში დაახლოებით 1922 წლის ივნისში შევედი". „კრებამ, რომელიც 1922 წლის ოქტომბრის შუა რიცხვებში გაიმართა დიმ. ჯავახოვის ბინაში... მე კომიტეტის თავმჯდომარედ დამამტკიცეს..." (იხ. ნ. კირთაძის დასახელებული წიგნი, გვ. 265 და 275). მაგრამ კ. აფხაზი, როგორც შ. ამირეჯიბი წერს, „ამ დროს (ივნისში – გ.ც.) ეროვნულ დემოკრატების ცენტრსაც ხელმძღვანელობდა, სამხედრო ცენტრთანაც მჭიდრო კავშირი ჰქონდა" (იხ. შალვა ამირეჯიბი, წ. II, გვ. 153). ეს იმას უნდა ნიშნავდეს, რომ კ. აფხაზი ეროვნულ დემოკრატიულ პარტიაში ახლა მხოლოდ ფორმალურად შედის, თუმცა იგი იმთავითვე იყო ეროვნულ დემოკრატი სამხედროების აღიარებული ლიდერი. მაშასადამე, 27 წლის კალე მისაბიშვილი ქართული ეროვნული მოძრაობის სხვა თვალსაჩინო წარმომადგენლებთან ერთად არალეგალური ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცკ-ის ერთ-ერთ ძველ ხელმძღვანელად და მისი განახლება-განმტკიცების აქტიურ მონაწილედაც გვევლინება. ეს უსათუოდ ბევრის მთქმელია. ეროვნულ-დემოკრატთა პარტიის ლიდერების აღნიშნული გარემოცვის ეროვნული ღირსების ზოგადი გააზრებიდანაც კი საკმარისად ჩანს, რომ კ. მისაბიშვილი ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უაღრესად სახელოვანი კოჰორტის წარმომადგენელი და თანამებრძოლია. მისი დამსახურება განსაკუთრებით ფართოდ წარმოაჩინა ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატებისა და ეროვნული უნივერსიტეტის სტუდენტთა კომიტეტის წევრობის დროს საქართველოს დამოუკიდებლობის ოთხი წლისთავის მასობრივ აღნიშვნასთან დაკავშირებულმა დემონსტრაციებმა,

კერძოდ, მასში უნივერსიტეტის სტუდენტთა მონაწილეობის მასშტაბურობამ. იგი კ. მისაბიშვილის, როგორც ახალგაზრდობის აღიარებული ლიდერის და ეროვნულ-დემოკრატთა ცკ-ის წევრის, აქტიური მონაწილეობით და ხელმძღვანელობით მოეწყო.

როგორც ცნობილია, 1921 წელს ჯერ კიდევ შედარებით სუსტად ფეხმოკიდებულმა საოკუპაციო რეჟიმმა ეროვნულ ძალთა მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის სამი წლისთავის აღნიშვნას წაუყრუა. 1921 წლის 26 მაისი ბოლშევიკების მიერ ოკუპირებულ საქართველოში ეროვნული დამოუკიდებლობის სულისკვეთების ფართო დემონსტრირებად გადაიქცა. ამ მოძრაობაში აქტიურად მონაწილეობდნენ სტუდენტებიც, რომელთაც მართავდა კომიტეტი, რომლის წევრი იყო კ. მისაბიშვილი. 1921 წლის სექტემბერში, როცა სასწავლო პროცესი განახლდა, „სტუდენტებმა გადაწყვიტეს საქართველოს მთელი მოსწავლე ახალგაზრდების დარაზმვა და ბოლშევიკების წინააღმდეგ ერთიანი ფრონტით გამოსვლა. გაიმართა სტუდენტთა წარმომადგენლების კრება. ახალგაზრდებს განზრახული ჰქონდათ დიდი დემონსტრაციის გამართვა, მაგრამ აშინებდათ ერთი გარემოება: ვაითუ ბოლშევიკებს საპასუხოდ უნივერსიტეტი დაეხურათ, ან სულაც გაენადგურებინათ. გადაწყდა, გაეგზავნათ დელეგაცია ივ. ჯავახიშვილთან. ამ ამბების მონაწილე გ. ნაკაშიძე იგონებს: ბატონი ივანე გულთბილად მოგვესალმა და სასტუმრო ოთახში მიგვიპატიჟა. ამხანაგების დავალებით გავაცანი პროფესორს ჩვენი დადგენილება და მასთან მისვლის მიზანი. მან ყურადღებით მოისმინა ყოველივე და გვითხრა შემდეგი: სტუდენტობა ყველგან და ყოველთვის იყო თავისი ქვეყნის მებრძოლთა რიგებში. ამიტომ როგორ შემიძლია მე, ქართველს და თქვენს მასწავლებელს, ხელი შეგიშალოთ თქვენი მამულიშვილური მოვალეობის შესრულებაში, თქვენი შეურაცხყოფილი ეროვნული და აკადემიური ღირსების თავისუფლების დაცვაში! იმოქმედეთ ისე, როგორც თქვენი შეგნება და სამშობლოს სიყვარული გიკარნახებთ და ნუ დაერიდებით თვით უნივერსიტეტის შენობის გამოყენებას“ (მოხმობილია ო. ჯანელიძის ბროშურიდან „ივანე ჯავახიშვილი“, თბ., 1996, გვ. 28-29). ეს იმას მოწმობს, რომ ივ. ჯავახიშვილი მის მიერვე დასახული ანტისაბჭოთა ბრძოლის პროგრამის ცხოვრებაში გატარებისათვის პრაქტიკულად იღვწოდა და ამ დროს არალეგალურ მოძრაობასთან ალიანსშიც შედიოდა.

სტუდენტობა აქტიურად გამოეხმაურა თბილისის მუშათა 1921

წლის 24 ოქტომბრისა და 1 ნოემბრის გამოსვლებს (იხ. ნ. კირთაძე, 1924 წლის აჯანყება საქართველოში, გვ. 54-55). განსაკუთრებული წინააღმდეგობა აღინიშნა მას შემდეგ, რაც ხელისუფლება შეეცადა სტუდენტთა დაუმორჩილებლობის დაძლევას და დეკემბერში მათი თავშეყრის ადგილას (სასადილოში) განხორციელდა დაპატიმრება. ამას მოჰყვა სტუდენტთა გამგეობის ინიციატივით მოწყობილი საპროტესტო კრების ორგანიზება. ხელისუფლების წარმომადგენლებმა მოინდომეს იმ 7 სტუდენტის დაპატიმრება, რომლებსაც „ვერ მოუთმენიათ პროლეტარიატის ბატონობა". კრებას თავმჯდომარეობდა „ბატონი ნაკაშიძე", რომელიც მხარს უჭერდა მენშევიკებს და მემარჯვენე ფედერალისტებს. კრებამ მიიღო რეზოლუცია დაპატიმრებულ სტუდენტთა განთავისუფლების შესახებ. ამ ამბავთან დაკავშირებით გაზეთ კომუნისტში (21.XII. 1921) ვკითხულობთ: „ამ კრებამ ერთხელ კიდევ დაგვიმტკიცა, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტის კედლები ფარავენ ისეთ ბნელ ძალებს, რომელთაც სურთ დაამხონ დღევანდელი წესწყობილება..." გაზეთის შემდგომ (24.XII. 1921) ნომერში გამოთქმული იყო შეშფოთება სტუდენტობის დაუმორჩილებლობის გამო. აქ ნათქვამი იყო: „სტუდენტობამ გამოავლინა კონტრრევოლუციური შოვინისტური რეაქცია". 12 დეკემბერს მათ გამოუცხადეს პროტესტი მ. დუდუჩავას, ამით დემონსტრაცია მოაწყვეს არსებული წესწყობილების წინააღმდეგ, გამოხატეს გულისწყრომა კომუნისტური პარტიის და საბჭოთა ხელისუფლებისადმი. „ისინი არ ცნობენ არსებულ ხელისუფლებას", მის მიერ შექმნილ წესებს. „ვითომ მათთვის არაფერი შეცვლილიყოს, თითქოს მიუვალი რჩება მათი ავტონომია. თითქოს არ შეიძლება შეჭრა მათ კონტრრევოლუციურ ოჯახში...ქმნიან სახელმწიფოს საბჭოთა სახელმწიფოში". ეს ფაქტობრივად ამტკიცებს, რომ ივ. ჯავახიშვილის ანტისაბჭოთა მოქმედების პროგრამა პრაქტიკულად ხორციელდებოდა. მაგრამ 1922 წლის 26 მაისი საოკუპაციო და ეროვნულ ძალთა დათვალიერების ახალი კიდევ უფრო გრანდიოზული გამოვლინება უნდა გამხდარიყო. ამისათვის საგანგებოდ ემზადებოდა ყველა ანტისაბჭოთა პოლიტიკური პარტია და ქართველი პატრიოტული საზოგადოება. მაგრამ ეს თარიღი ამჯერად ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის ერთგვარ შეჯიბრად გადაიქცა.

„23 მაისისათვის რეპრესიები გაძლიერდა მთელ საქართველოში. 23 მაისს გამოიცა „ბრძანება №5 სრულიად საქართველოს აღმასრუ-

ლებელი კომიტეტის პრეზიდიუმიდან...იუწყებოდნენ, რომ" საქართველოს ნამდვილი დამოუკიდებლობის დღე არის 25 თებერვალი და არა 26 მაისი. ამიერიდან გაუქმებულია 26 მაისის უქმე და მის ნაცვლად ძალაში შედის 25 თებერვლის დღე... აღმასკომის თავმჯდომარე ფ. მახარაძე, მდივანი, თ. კალანდაძე." ეს იყო მოსკოვის ცენტრის დირექტივა. ეროვნული მოძრაობის ლიდერებმა, ხელისუფლების გაფრთხილების მიუხედავად, მოსამზადებელი მუშაობა არ შეაჩერეს. განსაკუთრებით აქტიურობდნენ უნივერსიტეტის სტუდენტები, რომელთაც სათავეში კ. მისაბიშვილი ედგა. უნივერსიტეტის პარტუჯრედის 1924 წლის 22 თებერვლის სხდომაზე კომუნისტური გაბედულობით და გულწრფელობით იქნა გაცხადებული: „ამხანაგებო, თქვენ იცით რა მდგომარეობა იყო 1921 და 1922 წლის დამდეგში (უნივერსიტეტში – გ.ც.). კონტრრევოლუციონერების წინააღმდეგ როგორი ბრძოლა იყო საჭირო, უჯრედი იძულებული იყო უკან დაეხია." როგორც აქვე აღინიშნა, 1921-1922 წლებში „უნივერსიტეტში ხელმძღვანელ პარტიულ მუშაკთა მოხსენების გაკეთება არ შეიძლებოდა" (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფონდი 947, აღ.5, ს.1, ფ. 52/2, 188). ეროვნულ უნივერსიტეტში ასეთი პოლიტიკური კლიმატი იმით იყო გამოწვეული, რომ უნივერსიტეტში თავს იყრიდა თითქმის ყველა ანტისაბჭოთა პარტიის წარმომადგენლობა როგორც სტუდენტობის, ისე პროფესორ-მასწავლებელთა სახით. უნივერსიტეტის ღირსებას იცავდა რექტორი, დიდი პატრიოტი და გამოჩენილი ეროვნული მოღვაწე, დიდი ივანე ჯავახიშვილი, რომელიც სათავეში ედგა პროფესორ-მასწავლებელთა შორის კომუნისტური იდეოლოგიის შეუღწევლობისა და ეროვნული მრწამსის შენარჩუნებისათვის ბრძოლას (იხ.: გ. ციციშვილი, გაუჩინარებული ისტორიის ფურცლები, ჟურნ. „ცისკარი", 1994, №1). ივ. ჯავახიშვილის მსოფლმხედველობისა და პრაქტიკული საქმიანობის თანხვედრა ეროვნულ მოძრაობის ხელმძღვანელი ცენტრის საქმიანობასთან მრავალი მაგალითით მჟღავნდება, იმის მიუხედავად, რომ დიდი მოძღვარი ამ დროს მოძრაობის ლეგალურ-კომპრომისული მიმდინარეობის მედროშეს განასახიერებდა. უნივერსიტეტის პატრიოტი სტუდენტობაც, თავიანთი რექტორის და პროფესორ-მასწავლებლების იდეური გავლენით, ეროვნულ-პატრიოტული და პარტიულ-პოლიტიკური ბრძოლის ბასტიონს წარმოადგენდა. უნივერსიტეტის ანტისაბჭოთა სტუდენტობა მის

რექტორს ივ. ჯავახიშვილს „საქართველოს უგვირგვინო მეფეს“ უწოდებდა და მის მიმართ განსაკუთრებულ პატივისცემას ამჟღავნებდა. აი, ასეთი ახალგაზრდობის ერთ-ერთ ლიდერს წარმოადგენდა კ. მისაბიშვილი, რომელიც უნივერსიტეტის პოლიტიკურ ცხოვრებას და კონკრეტულად მის ამ მიმდინარე კამპანიას ხელმძღვანელობდა.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღსანიშნავი დიდი კამპანიის მზადებას მოჰყვა მისი ხელმძღვანელობის წინასწარი და პროფილაქტიკური დაპატიმრებები. 1922 წლის 24 მაისს დააპატიმრეს კ. მისაბიშვილი, ელისე პატარიძე და მრავალი სხვა. დაპატიმრებები ტარდებოდა მთელ საქართველოში. ამის მიუხედავად, 1922 წლის 25 მაისს თბილისში 11 საათზე მუშაობა ყველგან შეჩერდა. არც ერთი ქართველი სამსახურში არ დარჩენილა.

„ვერეს რაიონს დილიდანვე დაეტყო გამოცოცხლება. სახელმწიფო უნივერსიტეტზე ეროვნული და შავი დროშები ფრიალებდნენ. ახალგაზრდობამ თავი მოიყარა ვერეს დაღმართის მოედანზე, როცა ზარების რეკვა ატყდა, მანიფესტაცია გაემართა ნიკოლოზის ეკლესიისაკენ ეროვნული დროშით და სიმღერებით. გაისმოდა „გაუმარჯოს საქართველოს, ძირს მოღალატენი – ოკუპანტები“ და სხვ.

ოლღას (დღეს მ. კოსტავას – გ.ც.) ქუჩაზე ნამდვილი ხელჩართული ბრძოლა გაიმართა. მშვიდობიან ხალხს დაერია ჯარი და „ჩეკისტები“. მანიფესტაცია გარეკეს. აქ 200-ზე მეტი დააპატიმრეს. დაშავებულია 27-მდე ქალი და ვაჟი...“ (სუკის არქივი, №23475, ფ. 97-98). ამის მერეც, მაისში მთელ რესპუბლიკაში ჩატარდა დაპატიმრებები. თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტობამ გამოავლინა საოკუპაციო ხელისუფლებისადმი დაუმორჩილებლობის თვალსაჩინო მაგალითი. ამაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მისი პატრიოტული ახალგაზრდობის ლიდერებმა კ. მისაბიშვილმა, ე. პატარიძემ და სხვებმა. სწორედ ეს გახდა კ. მისაბიშვილის განუსაზღვრელი ვადით დაპატიმრების მთავარი მიზეზი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1921 წლის მაგალითზე, სტუდენტთა პატრიოტული ინიციატივა შეთანხმებული იყო უნივერსიტეტის პროფესურასთან და მის რექტორ ივანე ჯავახიშვილთან. ჩვენი აზრით, ეს გამონაკლისი არ იყო. ე. პატარიძის დაკრძალვის გამო შ. კალანდაძის მიერ წარმოთქმული სიტყვიდან ვგებულობთ, რომ გამოსვლებთან დაკავშირებით უნივერსიტეტის რექტორ ივ. ჯავახიშვილისათვის მიუმართავთ. მას კი

უთქვამს: „მოიქეცით ისე, როგორც სინდისმა გიკარნახოთ“ (იხ.: გ. ციციშვილი, უცნობი ივანე ჯავახიშვილი. პოლიტიკური ცხოვრება. წერილი მეშვიდე. გაზ. „სამშობლო – ფორტე“, 1996, №19. სექტემბერი). ეს ეპიზოდი იმდენად მნიშვნელოვნად გვესახება, რომ საჭიროდ ვთვლით, სათანადო სრული ამონარიდი მოვიყვანოთ გ. შარაძის წიგნიდან „ფრანგული დღიური“ (გვ. 92). „საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ახალმა ხელისუფლებამ უნივერსიტეტის სტუდენტობის მიერ არჩეული გამგეობა გადააყენა და იმის ნაცვლად ეგრეთწოდებული „რევოლუციური სამეული“ დანიშნა. შ. კალანდაძის სიტყვებით, „ეს სტუდენტებისათვის აშკარა ომის გამოცხადება იყო და სტუდენტობამ ეს გამოწვევა მიიღო. გადაწყვიტეს ერთ ფრონტად დარაზმვა-გაერთიანება და უნივერსიტეტის შენობაში რეჟიმის საწინააღმდეგო გამოსვლების მოსახდენად დელეგაცია გაგზავნეს ივანე ჯავახიშვილთან.

ივანე ჯავახიშვილმა დიდი მადლობა გამოუცხადა სტუდენტობის დელეგაციას, რომ სტუდენტობამ მას ასეთი ნდობა გამოუცხადა და თან დასძინა: იმოქმედეთ ისე, როგორც თქვენი შეგნება და სინდისი გიკარნახებთ და ნუ დაერიდებით თვით უნივერსიტეტის შენობის გამოყენებასო.“ შ. კალანდაძემ აღნიშნა, რომ აწ განსვენებული „ელისე პატარიძე ამ დელეგაციის ერთ-ერთი აქტიური წევრი გახლდათ“ (შ. კალანდაძე, სიტყვა წარმოთქმული ელისე პატარიძის დასაფლავებაზე, „ივერია“, 1975, №17, გვ. 6). ჩვენ მივიჩნიეთ, რომ ეს ამბავი 1922 წლის გრანდიოზული გამოსვლების წინაც მოხდა, რადგან მიგვაჩნია, რომ უნივერსიტეტზე სახელმწიფო ეროვნული და შავი დროშების გამოფენა ახალგაზრდობისათვის სათაყვანებელ რექტორთან შეთანხმების გარეშე ვერ მოხდებოდა. ამის გარდა, როგორც გაზეთ „კომუნისტის“ 1921 წლის დეკემბრის (21, 24) პუბლიკაციებიდან ჩანს, უნივერსიტეტში სტუდენტთა გამგეობა ჯერ კიდევ ფუნქციონირებს, საპროტესტო კრებასაც ნაკაშიძე თავმჯდომარეობს. არც ის არის გამორიცხული, რომ მოტანილ წყაროებში სხვადასხვა შემთხვევა ირეკლებოდეს. მაგრამ ეს უფრო ადრეც რომ მომხდარიყო, კ. მისაბიშვილი აქ ერთ-ერთი მთავარი ფიგურა უნდა ყოფილიყო, რადგან ე. პატარიძე პარტიული სუბორდინაციის წესით მისდამი დაქვემდებარებაში იყო. კ. მისაბიშვილს შ. კალანდაძე არ იხსენიებს. ეს იმითაც აიხსნება, რომ იგი გაუკუღმართებულად იყო გაგებული და ამდენად მისი არხსენება ამ მხრივაც გასაგებია. მაგრამ

1924 წელს თავად ე. პატარიძე იმ აზრამდე მივიდა, რომ ჩამოშორებოდა ანტისაბჭოთა ექსტრემისტულ-ავანტიურისტულ ხელმძღვანელობას...

ჩეკას არქივში დაცულია კალისტრატე მისაბიშვილის ცოლის, ქალბატონ ნინოს და დედის, ქალბატონ ელისაბედის საქჩეკას თავმჯდომარის სახელზე წარდგენილი 1922 წლის დეკემბრით დათარიღებული ერთობლივი განცხადება. მასში ნათქვამია: „ექვსი თვის წინ (? – გ.ც.) დააპატიმრეს არაკეთილის მსურველის დაბეზღებით, გამოუტანიათ არაკეთილსაიმედობა, რაც არ დამტკიცებულა (!? – გ.ც.), მაგრამ ეხლაც ზის. კალისტრატე თბილისის უნივერსიტეტის მეხუთე კურსის სტუდენტი მედიკოსია და შესაძლებლობა ესპობა დაამთავროს თავისი განათლება. ჩვენ და მოხუცი მამა... ძლიერ გაჭირვებას განვიცდით. დედა ელისაბედი მძიმე ავადმყოფია, რაც მტკიცდება სამედიცინო ცნობით. მამაც სოფელშია და ავადმყოფობს. მშობლები ავადმყოფობენ, გთხოვთ ერთი თვით მაინც გაანთავისუფლოთ ორი კომუნისტის თავდებით...“ იმჟამად ასეთი წესი არსებობდა: ხელისუფლების და, მაშასადამე, ჩეკას სურვილის შემთხვევაში თავდებობას აზრი ჰქონდა და ანგარიში ეწეოდა. ამით უნდა აიხსნას, რომ ჩეკას მასალებში ქართველ მეცნიერ-პედაგოგთა, მათ შორის ივ. ჯავახიშვილის და ქართველი მწერლების მსგავსი შუამდგომლობები საკმაოდ ბლომად გვხვდება. როგორც ჩანს, ვიღაცამ კალეს ოჯახიც ასეთივე შუამდგომლობის ინიციატივის გამოჩენით დააკვალიანა. არ არის გამორიცხული, რომ ცოლისა და დედის განცხადების ტექსტი პატიმარზე ფსიქოლოგიური ზემოქმედების მიზნითაც იქნა გამოყენებული. ჩეკას გამოცდილი მუშაკებისათვის უცხო როდი იყო ამგვარი ფანდები. სხვა შემთხვევაში კალეს ოჯახის წევრებს საიდან უნდა სცოდნოდათ, რომ პატიმარის დამბეზღებლის წაბიძგებული „არაკეთილსაიმედობა“ „არ დამტკიცებულა“?! ჩვეულებრივად, როგორც წესი, პროფილაქტიკური აზრით დაპატიმრებულებს ჩეკაში წერილობით გასაუბრებას უწყობდნენ. კ. მისაბიშვილის სამძებრო საქმეში ასეთი ტექსტი რატომღაც არ აღმოჩნდა. მაგრამ სხვათა ტიპური მაგალითები გვიჩვენებენ, რომ კ. მისაბიშვილი ასეთ გამოკითხვა-გამოკვლევას ვერ ასცდებოდა. თანხმობისა თუ ჩეკასთან შეკვრის შემთხვევაში კალეს მეტეხის ციხეში რვა თვეს არ გააჩერებდნენ და არც მოროზთან ტროცკის ქუჩაზე პაემანითა თუ მოლაპარაკებებით საქვეყნოდ არ გაამჟღავნებდნენ. ამაში ღრმად გვარწმუნებს ნამდვილი აგენტე-

ბის მუშაობის შესახებ სუკის არქივში ჩვენთვის ხელმისაწვდომი მასალები. ჩეკას აგენტ-ინფორმატორებს რომ პარტიის ხელმძღვანელობისგან, მით უმეტეს „პარიტეტული კომიტეტის" წევრთა აზრის საწინააღმდეგო იდეები აშკარად გაეცხადებინოს, ასეთი მაგალითი არ შეგეხვედრია. ამიტომ ვფიქრობთ, რომ რაკი ჩეკამ კ. მისაბიშვილს, როგორც ყველასათვის ცნობილ ეროვნულ-დემოკრატ ლიდერს, მძიმე სამხილი ვერ შეუთითხნა, მოუწყო პროვოკაცია.

ამის შემდეგ კ. მისაბიშვილის სამძებრო საქმეში ჩნდება 1923 წლის 18 იანვრის დადგენილება. აქედან ჩანს, რომ ჩეკისტ გეგეჭკორს ხელახლად განუხილავს კ. მისაბიშვილის ბრალეულობანი. იგი წერს: „... 27 წლის, 1915 წლიდან (ე.ი. უკვე 20 წლისა – გ.ც.) ეროვნულ-დემოკრატი, უმაღლესი განათლებით (? – გ.ც.), ოჯახის პატრონი, მისი კონტრრევოლუციაში მონაწილეობა გამოიხატება გასული წლის 26 მაისს (? – გ.ც.) დემონსტრაციის ორგანიზებაში მონაწილეობით, რომლის გამო (საქჩეკას – გ.ც.) პრეზიდიუმის 20 ივნისის (1922 წ. – გ.ც.) დადგენილებით მიესაჯა სამი თვის ციხის პატიმრობა. მხედველობაში ვიღებ, რომ ბრალდებულმა საკმაოდ შეიგრძნო ბრალდება მუშურ-გლეხური ხელისუფლების წინაშე, ვთვლი რვა თვის (! – გ.ც.) ციხის პატიმრობა ჩაითვალოს სრულიად საკმარისად და პატიმრობიდან განთავისუფლდეს..." გეგეჭკორის დასკვნას „შეწყალების" შესახებ ამტკიცებენ საქჩეკას საიდუმლო განყოფილების უფროსი ბერია და საქჩეკას თავმჯდომარე ე. კვანტალიანი. განთავისუფლების შესრულებას ხელი მოეწერა 20 იანვარს. სათანადო რეზოლუციების თარიღებიდან ჩანს, რომ კ. მისაბიშვილი გაუნთავისუფლებიათ იანვრის ბოლოს (იხ.: სუკის არქივი, №24763ფ. 15, 18; ტ. 1.). 1922 წლის 26 მაისს საპროტესტო მოძრაობის არამცთუ მონაწილეობის გამო აპატიმრებდნენ, არამედ ამ დღეს სამსახურში გამოუცხადებლობისათვისაც. ჩეკას პატიმართა შორის უნივერსიტეტის პრორექტორი, პროფესორი კორნელი კეკელიძეც აღმოჩნდა (იხ. სუკის არქივი, №2170, ფ. 41, 41/2, 95, 125). ამ დროს ალბათ ის გაითვალისწინეს, რომ მისი ვაჟი აქტიურად თანაედგა ანტისაბჭოთა ბრძოლას. ჩეკისტური წესის თანახმად, შეწყალებულებს ხელს აწერინებდნენ იმის შესახებ, რომ ანტისაბჭოთა ბრძოლას და ანტიკომუნისტურ პარტიაში მუშაობას არ გაეკარებოდა. ერთ-ერთი ასეთი პიროვნების გ. ჩიტაიას წერილში ვკითხულობთ: „За нарушение настоящей подписки я подлежу суровой ответственности по законам

военного времени" (სუკის არქივი, №22763, ფურც. 73). ასეთი ხელწერილები სუკის არქივში სხვაც შეგვხვედრია. მაშასადამე, კ. მისაბიშვილსაც მსგავსი ხელწერილით უნდა დაედასტურებინა, რომ იგი მომავალში ანტისაბჭოთა საქმიანობაზე უარს ამბობდა. როგორც ცნობილია, კ. მისაბიშვილმა ციხიდან განთავისუფლების შემდეგ პირობა არ შეასრულა, არ ჩამოშორდა ანტისაბჭოთა არალეგალურ ბრძოლას. ეს უნდა გამხდარიყო მიზეზი მისი გაუბედურებისა და მასში ჩეკას ხელი უნდა ერიოს.

კ. მისაბიშვილის პატიმრობიდან განთავისუფლების შემდგომი საქმიანობის ზემოთ უკვე გადმოცემულ ფრაგმენტებთან ერთად საყურადღებოა ის ცნობები, საიდანაც ჩანს, რომ რაკი ეროვნულ-დემოკრატების ცკ-ის სხდომები 1922 წლის დეკემბრიდან, ფაქტობრივად, „აღარ გამართულა" (მ. ჯავახიშვილის ჩვენება, ნ. კირთაძის დასახელებული წიგნი, გვ. 273), იგი მ. ჯავახიშვილმა 1923 წლის დასაწყისიდან იმ ახალ არალეგალურ ორგანოში შეიყვანა, რომელიც „სამხედრო კომისიის" სახელით იწოდებოდა (იხ. მ. ხომერიკი, პასუხად მიხეილ ჯავახიშვილის ბიოგრაფებს (საიდუმლო მასალებიდან), თბ., 1996, გვ. 14; საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 2, ს. 40, ფ. 187). ეს იმას მოწმობს, რომ მ. ჯავახიშვილს ეს ახალგაზრდა, ჩეკისტურ ტანჯვაში გამოვლილი კაცი უფრო აწყობდა, ვიდრე სხვა ფიცხი მოზრდილი, რომელსაც თვალი სულ იარაღზე ეჭირა. აქედან ისიც ჩანს, რომ კალეს მიმართ ჭორების დაყრამდეც უნდა ყოფილიყო მათ შორის გულახდილი საუბარი ექსტრემიზმის მოუთმენლობაზე.

მაგრამ „სამხედრო ცენტრის" დაპატიმრებამდე „სამხედრო კომისიას", ფაქტობრივად, რაიმე განსაკუთრებული არაფერი გაუკეთებია იმის გარდა, რომ ტრადიციული პოლიტიკური მდგომარეობა ექსტრემისტულ-ავანტიურისტული განწყობილებით დამუხტა. ამით კი ძველი, არალეგალური, რადიკალური მეთოდებით მებრძოლი ლიდერების ერთი ნაწილი დააფრთხო და ჩამოიშორა, მეორე ნაწილი კი ჩეკას პატიმართა რიცხვში ჩარიცხა. გრიგოლ რცხილაძემ, რომელიც ქარცივაძის დაპატიმრებამდე პარიტეტულ კომიტეტში სოციალ-ფედერალისტთა წარმომადგენელი გახლდათ, 1924 წლის 25 ნოემბერს უჩვენა, რომ მის დროს სამხედრო კომისიები, ფაქტობრივად, არ შექმნილა (ნ. კირთაძის დასახელებული წიგნი, გვ. 286, 291).

არ დასტურდება ცალკეულ პუბლიკაციებში გამოთქმული აზრი,

რომლის მიხედვით თითქოს 1922 წლის ნოემბერში ნ. ჟორდანიას ყოფილი მთავრობის და მენშევიკური პარტიის ერთ-ერთი აქტიური წევრის, ნოე ხომერიკის „საზღვარგარეთის ბიუროს" რწმუნებით, ჩამოსვლისთანავე საბრძოლველად განეწყო პარტიულ პოლიტიკური ცხოვრება, აქტიურად ამუშავდა ახლად რეორგანიზებული „სამხედრო კომისია". ამ ახალი სტრუქტურის მთავარ მაგისტრატებად გამოცხადნენ – თვითონ ნოე ხომერიკი (მენშევიკური პარტიისაგან) და მიხეილ ჯავახიშვილი (ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისაგან) და თითქოს ამ ორი კაცის ხელში გადავიდა, ფაქტობრივად, მთელი შემდგომი სამზადისი ახალი აჯანყებისა და ასე გრძელდებოდა 1923 წლის მარტამდე, ვიდრე მთელ სამხედრო ცენტრს უკლებლივ დააპატიმრებენ და დახვრეტენ (ნ. კირთაძის დასახელებული წიგნი, გვ. 134-135). აქედან ისე გამოდის, თითქოს ნ. ხომერიკის ჩამოსვლამ და მისმა სააჯანყებო საქმიანობამ უკვე 1923 წლის დასაწყისში განსაკუთრებული შედეგი მოიტანა. ეს მდგომარეობა სათანადო წყაროებით არ დასტურდება და აქ ნათლად შეიმჩნევა ნ. ხომერიკის, როლის დროში წინ გადაადგილება. მთელი ის ახლებური დიდი მუშაობა, რომელიც სათანადო პუბლიკაციებშია აღწერილი და ნ. ხომერიკთან არის დაკავშირებული, ეხება „სამხედრო ცენტრის" და მასთან დაკავშირებულ პირთა დახვრეტის შემდგომ პერიოდს. ამ ახალ ეტაპზე მართლაც განსაკუთრებით იჩინა თავი ანტისაბჭოთა პატრიოტულ წარმომადგენლობაში შურისძიების გრძნობის გაღვიძებამ და აჯანყების პრაქტიკულად ორგანიზებისათვის მუშაობამ. მაგრამ ეს უკვე „სამხედრო ცენტრის" დახვრეტების (1923 წ. 19-21 მაისი – გ.ც.) შემდგომი ხანაა. ამ დროს საპყრობილეში ბევრი გაურკვეველ ვითარებაში იმყოფებოდა. ამგვარმა მდგომარეობამ მართლაც ხელი შეუწყო და პოხიერი ნიადაგი მოუმზადა ექსტრემისტული მიმდინარეობის გაძლიერებას. მაგრამ 1923 წლის იანვარ-თებერვალში, ე.ი. „ცენტრის" დაპატიმრებამდე ასეთი მდგომარეობა არ შეიმჩნევა. იმდროინდელ ეროვნულ მოძრაობაში დაპატიმრებათა გამო აღინიშნება თვითგამორკვევის გააქტიურება. ე.ი. ხდება ანტისაბჭოთა ბრძოლის ტაქტიკის გადასინჯვა. „საბრალმდებლო დასკვნა" ნ. ხომერიკისა და „სამხედრო კომისიის" შესახებ ასეთ ცნობებს იძლევა: „...ხომერიკი ჩამოვიდა 1922 წლის ნოემბერში. ამ მომენტიდან როგორც პარიტეტული კომიტეტის, ისე სამხედრო ცენტრის მოქმედებამ, ხომერიკის უშუალო გავლენის და ხელმძღვანელობის გამო სხვა ფო-

რმები მიიღო". „სამხედრო კომისია" შექმნეს ხომერიკის (მენშევიკებიდან) და მიხეილ ჯავახიშვილისაგან (ეროვნულ-დემოკრატებიდან) შედგენილობით. ამ კომისიაზე გადავიდა აჯანყების მოსაწყობ მუშაობისათვის ფაქტიური ხელმძღვანელობა... ასეთი მდგომარეობა გაგრძელდა 1923 წლის მარტამდე, როდესაც სამხედრო კომიტეტი მთელი შემადგენლობით დააპატიმრეს და შემდეგ დახვრიტეს. ამ გარემოებამ ბუნებრივად შეაჩერა შეიარაღებული გამოსვლისათვის მზადება" (გვ. 19-20). მაგრამ ეს ჩეკისტური დასკვნა აშკარად გაყალბებულია. იგი ეყრდნობა პარიტეტული კომიტეტის სარედაქციო კომიტეტის წევრის, იმავე მენშევიკების ცკ-ის წევრის დავით ონიაშვილის და აგრეთვე მენშევიკების ცკ-ის ყოფილი თავმჯდომარის სეით დევდარიანის იმ ჩვენებებს, რომლებიც გვიანდელია და შედარებით გვიანდელ ამბებს ასახავს, მაგრამ ისინი ჩეკისტებს საგანგებოდ შეურჩევიათ სამხედროების დახვრეტის მიზეზთა საკუთარი ვერსიის გასამართლებლად. ამ ჩვენებებით აღნიშნული პირები ცდილობენ აიცილონ ნ. ხომერიკის გამო პასუხისმგებლობა და ამიტომ მის შესახებ წერენ ქრონოლოგიური სიზუსტის გარეშე, ზოგადად. ჩვენთვის კი სიზუსტეს არსებითი მნიშვნელობა აქვს, რადგან ისე გამოდის, თითქოს მ. ჯავახიშვილი და კ. მისაბიშვილი ჩამოშორდნენ ხომერიკის მიმდინარეობას. ასეთი რამ არ ყოფილა. მათ ხომერიკის ხაზისათვის მხარი არასდროს დაუჭერიათ და მხოლოდ „დამკომის" ტაქტიკით იბრძოდნენ. ჩვენს მიერ ზემოთ განხილული მ. ჯავახიშვილის და ზოგი სხვა ჩვენებებით მტკიცდება, რომ „საბრალმდებო დასკვნაში" და ნ. კირთაძის წიგნის კვლევით ნაწილში (გვ. 134-135) მოცემული ეს იდენტური აზრები მოვლენების დროში წინ წაწევით შუქდება. სინამდვილეში კი იგი „სამხედრო ცენტრის" დახვრეტის შემდგომ მოვლენებს ეხება. „სამხედრო ცენტრის" დაპატიმრებამდე „პარიტეტულ კომიტეტში" და „სამხედრო კომისიაში" აჯანყების დაუყოვნებლივ, პრაქტიკულად ორგანიზების საკითხი არ დამდგარა. მართალია, 1923 წლის იანვრიდან მართლაც შეინიშნება ეროვნულ მოძრაობაში ახალი კურსის გატარებისათვის მეცადინეობა და გაძლიერდა ტერორისტული საქმიანობა ეროვნული მოძრაობის იმ წარმომადგენელთა მიმართ, რომლებზედაც „საბუთი" გააჩნდათ ან უსაფუძვლო ეჭვი მიჰქონდათ, მაგრამ ამ ახალ, უაღრესად დაძაბულ სიტუაციაში, ხელისუფლებასთან ბრძოლის ტაქტიკის შეცვლა და „დამკომის" მიერ საჯაჯანყებო ბრძოლაზე გადასვლა არ მომხდარა. სინა-

მდვილეში ტერორი და აჯანყებისათვის პრაქტიკული მეცადინეობა-მისწრაფება იმდროინდელი ხელისუფლების ცალკეულ ექსტრემისტ წარმომადგენლებს ახასიათებდათ. ეროვნული მოძრაობის ხელმძღვანელობაში ტერორის შესახებ საყურადღებო ცნობას გვაწვდის ყოფილი ჩეკისტი, ბერიას მარჯვენა ხელი, ეროვნული მოძრაობის საწინააღმდეგო დივერსიულ ჩეკისტურ ბრძოლაში ჩაბმული, შემდეგ პოლიტიკური მეტამორფოზაგანცდილი და ბერად აღკვეცილი მამა ალექსის, ანუ ამჟამინდელი „კაკო" შელიას მოგონებების ერთი მეტად საყურადღებო ფრაგმენტი. იგი ეროვნული მოძრაობის შიგნით აღმოცენებულ ურთიერთდაუნდობლობის გამწვავებას და უდანაშაულო კ. მისაბიშვილის მკვლელობას შეეხება. „ტერორისტული ჯგუფის შექმნას ხელი შეუწყო ეროვნულ დემოკრატიულმა პარტიამ, რომელიც მიზნად ისახავდა არა მარტო ბრძოლას ბოლშევიკურ აგრესიასთან, არამედ ფიზიკური ხასიათის გასწორებას კომიტეტში შემავალ სხვა პოლიტიკურ პარტიებთანაც, – წერს კ. შელია და დასძენს, – ამის დასასაბუთებლად დავასახელებ 1923 წლის 1 აპრილის მკვლელობას, როდესაც ყაზბეგის ქუჩაზე, საკუთარ სახლთან, რევოლვერის რამდენიმე გასროლით მოკლეს ეროვნულ დემოკრატთა არალეგალური ცენტრალური კომიტეტის წევრი კალე მისაბიშვილი." როგორც ზემოთ ითქვა, ამ აქტს კ. შელიამ „მოყვასის სიძულვილი, გაუტანლობა და ამპარტავნება" უწოდა.

დიახ, ახალი, უაღრესად რთული ჩეკისტური რეჟიმის პირობებში ანტისაბჭოთა ბრძოლის ამბოხებითი ტაქტიკის უარყოფამ და გამოუვალ მდგომარეობაში ხელისუფლებასთან კომპრომისული, ლეგალური ბრძოლის საკითხის დაყენებამ და ამის გამო ექსტრემისტების მხრივ მოყვასის სიძულვილმა იმსხვერპლა კ. მისაბიშვილი. ამასთანავე, ამ ტაქტიკისადმი უნდობლობამ მცდარად თუ განგებ ყალბად გასაგები გახადა მ. ჯავახიშვილი. არა და, სწორედ პარტიზანულმა გამოსვლებმა, ტერორმა და ეროვნული ბრძოლის ახალ საჯანყებო მუშაობაზე გადასვლის მისწრაფებებმა დააჩქარა ჩეკას მიერ „სამხედრო ცენტრის" და მასთან დაკავშირებული მამულიშვილების მოსპობა. ამან გამოიწვია აგრეთვე სიტუაციების გორდის კვანძივით ჩახლართვა და მასზე დაფუძნებული უამრავი ამოუხსნელი თუ ცუდად გაგებული აზრის აღმოცენება. ამის გასაგებად საჭიროა ადრე არსებული და ახლად, „ნ. ხომერიკის ტაქტიკის" მომძლავრებით შექმნილი სიტუაციის არსის ახსნა.

ადრე, ანუ ნ. ხომერიკის ავანტიურისტული ხელმძღვანელობის ტენდენციის მომძლავრებამდე, „დამკომისა" და „სამხედრო ცენტრის" მოღვაწეობა ემყარებოდა სამშობლოს განთავისუფლებისათვის ხანგრძლივი მოსამზადებელი მუშაობის წარმოებას, ეროვნულ ძალთა შემდგომ კონსოლიდაციას და საქართველოს დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო გამოსვლის მომენტის უაღრესად ზუსტად შერჩევის აუცილებლობათა მოთხოვნებს. ამის შესახებ უამრავი საყურადღებო და დამადასტურებელი წყარო მოიპოვება. ეს აისახა არა მარტო ეროვნულ მებრძოლთა: იასონ ჯავახიშვილის, ალ. ანდრონიკაშვილის, გრ. რცხილაძის, ს. დადიანის, რ. მუსხელიშვილის, ვ. წულუკიძის, კ. ანდრონიკაშვილის, მ. ჯავახიშვილის და უამრავ სხვათა ჩვენებებში, არამედ თვით ჩეკას გამომძიებელთა ცალკეულ დასკვნებშიც. აქედან ჩანს, რომ ეროვნული მოძრაობის ხელმძღვანელობაში ნ. ხომერიკის მოსვლამდე, ანუ 1923 წლის იანვრამდე, დომინირებდა მოსამზადებელი, მშვიდობიანი მეთოდებით მუშაობისა და პარტიზანული გამოსვლებისაგან თავშეკავების მისწრაფება. იგი სავსებით შეესაბამებოდა იმპერიული საბჭოთა რუსეთის აღმავალ საშინაო პოლიტიკურ და საერთაშორისო ვითარებაში საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ხალხის გამოყვანის უპერსპექტივობას. ამ ვითარებაში აჯანყების შემთხვევაში გარდაუვალი იყო გაუმართლებელი მსხვერპლი, რომელიც გარდაუვლად გამოიწვევდა ეროვნულ ძალთა დეგრადაციას და დეგრესიას. საბჭოთა რუსეთის მიერ ოკუპირებულ საქართველოში მამა-შვილის ლუარსაბ და სვიმონ მეფეების დაუმორჩილებლობის ტაქტიკით, საუკუნოვანი სისხლისმღვრელი ბრძოლის ანალოგია არ გამოგვადგება. მიუხედავად ამისა, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ამ ტრადიციის მიმდევრებმაც მძლავრად იჩინეს თავი და თანაც უკვე საქართველოს ოკუპაციის დროიდან. ამის მაჩვენებელი იყო სვანეთისა და ხევსურეთის აჯანყებები, აგრეთვე ქაქუცა ჩოლოყაშვილის და სხვათა მეთაურობით წამოწყებული პარტიზანული ბრძოლები და ანტისაბჭოთა საბრძოლო აქციები, რომელსაც მხარს უჭერდნენ ახალგაზრდა ეროვნული პატრიოტები უპირატესად სამხედრო და სტუდენტური წარმომადგენლობიდან. ამან განსაკუთრებით ფართო ხასიათი შეიძინა ნ. ხომერიკის დიქტატორული მეთოდებით ხელმძღვანელობის მომძლავრების დროიდან. უკვე 1922 წლის ბოლოს და 1923 წლის დასაწყისში, ისე როგორც სხვა პარტიებში, ეროვნულ დემოკრატებშიც გაძლიერდა ექსტრემისტულ

ავანტიურისტული და ტერორისტული მისწრაფება. „საქჩეკას“ აგენტურული მონაცემებით, „1922 წლის დეკემბერში შემოსვლა იწყო პატაკებმა იმაზე, რომ ეროვნულმა დემოკრატებმა ფაშისტური ტიპის ორგანიზაცია შექმნეს სამხედრო სტაჟის მქონე თავადაზნაურთაგან. ეს ორგანიზაცია შექმნეს ყველა სოციალისტური მიმდინარეობის და კერძოდ კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ საბრძოლველად სამხედრო კოლეგიის (გენერალი ვაშაკიძე და დავით ვაჩნაძე) ხელმძღვანელობით. ორგანიზაცია იქმნებოდა იმ მიზნით, რომ საბჭოების დამხობის მერე ძალაუფლება გადაეცათ ეროვნულ დემოკრატთა მემარჯვენე ფრთისათვის. სწორედ მაშინ დასახეს მებრძოლთა რაზმების მოწყობის პროექტიც. გამოსვლის საკითხს საზღვარგარეთიდან დირექტივების მიღებას უკავშირებდნენ (ნ. კირთაძის დასახელებული წიგნი, გვ. 332). ეს ტენდენცია ძველი ტაქტიკის მიმდევრებისათვის შეუმჩნეველი არ დარჩა და საწინააღმდეგო რეაქციაც გამოიწვია. ამას მოწმობს მ. ჯავახიშვილის უბის წიგნაკის ჩანაწერები: *„თხოულობენ ბრძოლის გაგრძელებას, ბაასი აფხაზთან. გავყრით. მერე? გვიშველიან – ვინ? როგორ? სჯობს სიც–(ოცხლე – გ.ც.)სა ნაძ(რახ – გ.ც.)სა სიკ–(ვდილი – გ.ც.) სახ–(ელოვა – გ.ც.)ნი.“ სწორწონობას ჰკარგავს. მერე თხოულობს, რომ სამს (ტრიუმვირატს – გ.ც.) ცენტრს („დამკომს“ – გ.ც.) დიქტატურის ნება მიეცეს. „ავჯანყების დღის დადგენისაც?“ „დიახ“. ვებრძვი.*

ხომერიკი ჩამოდის. შეხვედრა ვ. მ–თან. სამეული. ავჯანყებისაკენ მიჰყავს (ნ. ქარცივაძე, ი. ჯავახიშვილი და იოსებ გობეჩია – გ.ც.). განზე ვიწევთ. ვფრთხილობთ.

მეორე სამეული (ანუ „სამხედრო კომისია“ – გ.ც.): მე (ანუ მ. ჯავახიშვილი), გ. ფალავა... (მრავალწერტილი, ანუ ნოე ხომერიკი – გ.ც.)...

კამპანია ჩემს წინააღმდეგ „ვნეშტორგში“ ათარბეგოვი და მე“ (ქ. ჯავახიშვილი, მ. ჯავახიშვილის ცხოვრება, გვ. 31).

ეს დაშიფრული ჩანაწერი იმას ნიშნავს, რომ მ. ჯავახიშვილი იმთავითვე ზომიერი არალეგალების, ანუ რადიკალების მხარეზე დგას, და სწორედ ამიტომ ამოიყენა გვერდში ჩეკას პატიმრობაში გამოვლილი კ. მისაბიშვილი. წინაალმდეგ შემთხვევაში „გვერდში მოისვამდა“ დ. ვაჩნაძეს, კ. აფხაზს და სხვებს, რომლებსაც ექსტრემისტული განწყობილება ჰქონდათ.

ეს გამოსვლები ქმნიდა უპერსპექტივო და საერთო ეროვნული

ანტისაბჭოთა აჯანყების პროვოცირების საშიშროებას. ამიტომ 1922 და 1923 წლის დასაწყისში, ანუ დაპატიმრებამდე, „დამოუკიდებლობის კომიტეტი“ და საშიშროებათა კარგად მცოდნე „სამხედრო ცენტრი“ ეწეოდა ეროვნულ ძალთა კონსოლიდაციას, მაგრამ უდროო პარტიზანული გამოსვლების თავიდან აცილების ღონისძიებათა ორგანიზებას. ამ საქმეში შეინიშნება ეროვნულ მოძრაობასთან კომუნისტი პატრიოტების, ანუ „ნაციონალ უკლონისტების“, წარმომადგენლობის სოლიდარობაც, მაგრამ მათ წინააღმდეგ მოქმედებდა „საქჩეკას“ და „ზაკჩეკას“ ხელმძღვანელობა, რომელიც ყოველმხრივ ცდილობდა მოუმზადებელი და უდროო ანტისაბჭოთა აჯანყების პროვოცირებას. ამ ტენდენციას მძლავრად ასაზრდოებდა ბერია, რომელიც ერთგულად ემსახურებოდა დაუმორჩილებელ საქართველოზე გულგამწყრალი სტალინის დევიზს „საქართველოში იმძლავრა სარევოლამ, საქართველო უნდა გადაიხნას!“ მაშასადამე,1921-1923 წლების ქართული ეროვნული მოძრაობა 1923 წლის დასაწყისში მრავალმხრივი ურთიერთდაპირისპირებული (რადიკალური, ექსტრემისტული, ჩეკისტური) ტენდენციების გადაკვეთისა და მოწინააღმდეგე ძალთა სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირების ფოკუსში აღმოჩნდა. ამან ეროვნულ მოძრაობაში უკიდურესად მძიმე შინაგანი მდგომარეობა შექმნა. ამ მძიმე სიტუაციაში მიმდინარეობდა ეროვნული მოძრაობის ზომიერი, ანუ გადამწყვეტი პოლიტიკური ბრძოლის ხანგრძლივი მოსამზადებელი ვადის საჭიროების პროპაგანდა და ექსტრემისტული გატაცების მიმდევართა დამორჩილება. ექსტრემისტები კი მოითხოვდნენ აჯანყების თარიღის განსაზღვრას და მოსამზადებელი სამუშაოების დაჩქარებას. მათ წაახალისეს ექსპროპრიაცია და ტერორი, ებრძოდნენ ექსტრემისტული მეთოდების მოწინააღმდეგეებსაც. ამ დროის დასაწყისში კ. მისაბიშვილი ჯერ კიდევ პატიმროებაშია. ზომიერი არალეგალური ბრძოლის ტაქტიკისათვის იბრძვიან მ. ჯავახიშვილი, ი. ჯავახიშვილი, გ. წინამძღვრიშვილი და სხვანი. მოწინააღმდეგეები არიან კ. აფხაზი, დ. ვაჩნაძე და სხვები. სწორედ ეს ვითარებაა აღწერილი ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილ კ. აფხაზის უთარიღო ჩვენებაში. აქვე ვკითხულობთ: „დავით ვაჩნაძეს უკანასკნელად ათიოდე დღის წინათ ვხედავდი. ქუჩაში შევხვდით ერთმანეთს. სხვათა შორის მითხრა, ეროვნულ დემოკრატთა ცენტრალურ კომიტეტს შევთავაზე ლიგა, რომელმაც პარიტეტული კომიტეტი უნდა შეცვალოს და, ცხადია, ყველა სხვა ორგანიზაციები, როგორც ჩანს,

უნდა გაუქმდნენ" (ნ. კირთაძე, დასახელებული წიგნი, გვ. 266; სუკის არქივი, №24367, ფ. 42/2). აი, ეს არის დიქტატურისაკენ მისწრაფების დაფიქსირება. ამ იდეამ 1923 წლის ზაფხულიდან ნ. ხომერიკის დროს „სამხედრო კომისიაში" პოვა ასახვა.

მაშასადამე, ამ ახალი, სახიფათო წამოწყების საწინააღმდეგოდ იბრძოდა მიხეილ ჯავახიშვილი ჯერ კიდევ კ. მისაბიშვილის პატიმრობიდან განთავისუფლებამდე და აგრეთვე მის შემდეგ. როგორც ჩანს, ამ ტაქტიკას ადრე მხარს უჭერდა ეროვნულ-დემოკრატების ცკ-ის უმრავლესობა. ამიტომ აღმოჩნდა მ. ჯავახიშვილი ნ. ხომერიკის „სამხედრო კომისიაში". იმის თქმა, რომ ნ. ხომერიკმა თავად შეიყვანა „სამხედრო კომისიაში" მ. ჯავახიშვილი, სწორი არ არის. ამ შემთხვევაში ისე გამოდის, თითქოს მ. ჯავახიშვილი ნ. ხომერიკის ტაქტიკის აქტიური მხარდამჭერი ყოფილიყოს. პირიქით, მ. ჯავახიშვილი და იმდროინდელი ეროვნულ-დემოკრატების ცკ ნ. ხომერიკის ტაქტიკის ალტერნატიულ, ოპოზიციურ განწყობილებას გამოხატავდა და ამიტომაც მიავლინეს „სამხედრო კომისიაში" ძველი ტაქტიკის მომხრეთაგან ყველაზე მდგრადი პიროვნება. წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა გაეგზავნათ კ. აფხაზი და სხვა მისი აზრის ის პიროვნება, რომლის შესახებაც კ. აფხაზი უჩვენებს – „არ მახსოვსო". ისიც შემთხვევითი არ არის, რომ როცა ეროვნულ-დემოკრატების ცკ-ის 1923 წლის იანვრის ერთ-ერთ სხდომაზე იასონ ჯავახიშვილმა განაცხადა: ინტერპარტიულმა ბიურომ („სამხედრო კომისიამ" – გ.ც.) გამოყო „გაერთიანებული სამხედრო ცენტრი, რომელშიც ეროვნულ-დემოკრატებიდან 1 წარმომადგენელი უნდა წავიდესო", ეს იმას ნიშნავდა, რომ ასეთ საკითხებს პიროვნებები არ წყვეტდნენ, არამედ ცკ წყვეტდა. ისიც არ არის შემთხვევითი, რომ ნ. ხომერიკის „სამხედრო კომისიას" დაქვემდებარებულ ამ საბრძოლო უჯრედში ეროვნულ-დემოკრატებიდან ექსტრემისტი კ. აფხაზი აღმოჩნდა. მაგრამ, როგორც კ. აფხაზი უჩვენებს, ამ სტრუქტურაში მას არ უმუშავია (იხ. იქვე). მაშასადამე, ეროვნულ-დემოკრატების ცკ-მა ნ. ხომერიკს და „სამხედრო კომისიას" გვერდში ამოუყენა დინჯი, წინდახედული პოლიტიკოსი მ. ჯავახიშვილი და ამით მას ჩაუდო ექსტრემისტულ-ავანტიურისტული ტენდენციის დამუხრუჭების მექანიზმი. ამაზე მეტყველებს ისიც, რომ მ. ჯავახიშვილმა გვერდში ამოიყენა არა ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატების რომელიმე ექსტრემისტულ-ავანტიურისტული პათოსის მქონე ლიდერი, არამედ პატიმრობაგა-

ნცდილი კ. მისაბიშვილი, რომელმაც უკვე კარგად იცოდა ექსტრემიზმის მოსალოდნელი შედეგი.

მაშასადამე, მ. ჯავახიშვილის და კ. მისაბიშვილის შემდგომი პოზიციაა ექსტრემისტულ-ავანტიურისტულ მიმდინარეობასთან ალიანსზე უარის თქმა. ხოლო მას შემდეგ, როცა ჩეკისტური დაპატიმრებები კიდევ უფრო გახშირდა და შემდგომი არალეგალური მუშაობის შესაძლებლობა, ფაქტობრივად, შეუძლებელი გახდა, მ. ჯავახიშვილმა და კ. მისაბიშვილმა არალეგალური ბრძოლის გზიდან (ნ. ხომერიკის და „დამკომის") არჩიეს ხელისუფლებასთან კომპრომისული დამოკიდებულების გზაზე, ანუ „წაწოლის პოლიტიკაზე" გადასვლა. კ. მისაბიშვილმა თანამოაზრე-თანამებრძოლების, „პარიტეტული კომიტეტის" და ეროვნულ დემოკრატების ცკ-ის წევრების წინაშე გულახდილად და დაუფარავად გამოთქვა პარტიის ლეგალიზაციის მიზანშეწონილობის სასარგებლო აზრი. ამ დროს მათთვის უკვე გასაგები იყო, რომ მათ და, საერთოდ, ექსტრემისტებს, ჩეკა კვალში მისდევდა და ამიტომ არალეგალურად მუშაობის შესაძლებლობა უკვე ეჭვისქვეშ იდგა. ჩეკისტ გეგეჭკორის მიერ მოწყობილი ტროცკის ქუჩაზე კ. მისაბიშვილის „ვინმე მოროზთან", ანუ საქჩეკას საიდუმლო ოპერატიული სამსახურის უფროსთან მოულოდნელი შეხვედრა და მისგან „სმენავეხური" მიმდინარეობის შექმნის მოთხოვნა იმას ნიშნავდა, რომ მას ჩეკისტური მარყუჟი გამოსდეს. საკუთარი აგენტების მიმართ ჩეკა ასეთ მეთოდებს კი არ მიმართავდა, არამედ იგი აგენტ-ინფორმატორებს სათუთად უფრთხილდებოდა და ამ გზით იყენებდა.

აღნიშნულ რთულ სიტუაციაში ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ჩეკამ თებერვლის ბოლოს და მარტში განახორციელა დიდი მასშტაბის ოპერაციები, რომელიც ვინმე ერთი და ორი პიროვნების გამცემლობის საფუძველზე კი არ მოხდა, არამედ ხანგრძლივი დივერსიულ-ჩეკისტური მუშაობით მოხერხდა. ამის შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარი. მაშინ უფრო დამატებითი და კონკრეტული მაგალითებით დავრწმუნდებით, რომ კ. მისაბიშვილის სახით „განტევების ვაცის" ძებნა და ვითომ აღმოჩენა იმთავითვე სრულიად უსაფუძვლო იყო. ახლა კი უნდა აღინიშნოს, რომ „სამხედრო ცენტრის" წევრების და მათი თანამოაზრე-თანამებრძოლების დაპატიმრების საშიშროება ჯერ კიდევ კ. მისაბიშვილის პატიმრობის დროს, ე.ი. მის განთავისუფლებამდე შეიქმნა. „დამკომის" თავმჯდომარემ ნ. ქარცივაძემ უჩვენა: „ფაქტობრივად თავმჯდომარე ვიყავი ამა წლის 10 თუ 12

თებერვლამდე. ამ დროიდან ვიმალებოდი და არავითარ მუშაობას არ ვეწეოდი" (ნ. კირთაძე, დასახელებული წიგნი, გვ. 205). ი. ჯავახიშვილმა უჩვენა: „იმის გამო, რომ დაპატიმრება გრძელდებოდა, მე დროებით გავწყვიტე ყველასთან კავშირი და მოულოდნელად შევიტყვე (? – გ.ც.) გაზეთებიდან მისაბიშვილის მკვლელობის ამბავი" (ნ. კირთაძე, დასახელებული წიგნი, გვ. 377). როგორც ჩანს, ჩეკისტური ქარიშხლის მოლოდინმა და რეალურად მომძლავრებამ ბრძოლის ძველი ტაქტიკის მიმდევარ ლიდერთა ერთი ნაწილი იძულებული გახადა მიმალულიყო, მეორე ნაწილი, ექსტრემისტი ახალგაზრდობა ეძებს უბედურების მიზეზს და კ. მისაბიშვილის სახით „პოულობს" კიდეც. ე.ი. დაპატიმრების მიზეზებს პიროვნებაში ეძებენ და არა საკუთარი ტაქტიკის სილრმისეულ პროცესებში. მერე და, რატომ პოულობენ ისინი ანტისაბჭოთა ბრძოლის წარმომადგენელთა დაპატიმრების სათავეს კ. მისაბიშვილში? როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, მ. ხომერიკის აზრით, კ. მისაბიშვილი „ახალგაზრდობის და გამოუცდელობის გამო ვერ ფარავდა თავის მოქმედებებს" (იხ. მ. ხომერიკი, დასახელებული წიგნი, გვ. 14). ეს არის სინამდვილის არასწორი ახსნა. სინამდვილეში კ. მისაბიშვილს თავისი მოქმედების დაფარვა რომ არ შესძლებოდა, ჩეკას „გამასწორებელ სახლში" რვა თვის მანძილზე არ იჯდებოდა. მას მოქმედების დაფარვის დიდი „აკადემია" ჰქონდა გავლილი და, ამდენად, პარტიის ლეგალიზაციის და „წაწოლის პოლიტიკაზე" გადასვლის საკითხებს განა ვერ ფარავდა, უფრო სწორედ არ ფარავდა. ეს იყო „დამკომის" და ეროვნულ-დემოკრატების წინაშე მისი და თანამოაზრეთა პრინციპული პოზიციის გამოვლინება. მაგრამ პარტიულ-პოლიტიკური სუბორდინაციის რკინის კანონი მისგან მორჩილებას და მანევრირების (და არა ღალატის) აუცილებლობას მოითხოვდა. მაშასადამე, ეს იყო მისი ახალი, თუ გნებავთ, „სმენავეხური", „ლიკვიდატორული", „დეკლარანტული", მაგრამ არა „გამცემლური" და „ჯაშუშური", იდეის პოპულარიზაციის ინტერესებიდან გამომდინარე, მოქმედება. საწინააღმდეგო მტკიცება აბსურდულია. მაშინ მართლაც ისე გამოდის, რომ თითქოს მ. ჯავახიშვილმაც, როცა განუცხადა ი. ჯავახიშვილს „ახალი მიმართულების მქონე გაზეთის გამოცემის განზრახვა სადაური გამცემლობაა, იქნებ მეც დავეხმარო და ასეთ გაზეთში ვითანამშრომლო" და „შენ და შენს მეგობრებს ჩემი იმედი მეტი აღარ უნდა გექნეთ მეთქი", იმით უნდა აიხსნას, რომ ეს მასაც ახალგაზრდობის და გამოუცდე-

ლობის გამო მოსვლია. ერთხელ და საბოლოოდ უნდა გავიგოთ, რომ ეს იყო ამ ადამიანის იმ ძველი მიზნების ახალი ტაქტიკით, თვალსაზრისით, ბრძოლის ახალი გზით გაგრძელება, რომელსაც აქამდე და ამ დროს ეროვნული მოძრაობის ლიბერალურ-კომპრომისული ხაზის მიმდევრები (ივ. ჯავახიშვილი, შ. ნუცუბიძე, კ. გამსახურდია, პ. ინგოროყვა და მრავალი სხვ.) ადგნენ. ახალ დროში, ახალ სიტუაციაში, ანუ ახალი რეალობის პირობებში „სმენავეხელობა" და პარტიის ლეგალიზაცია ჩათვალეს გამოსავლად, ანუ ლიბერალებთან შერწყმის შესაძლებლობად მ. ჯავახიშვილმა, კ. მისაბიშვილმა და ბევრმა სხვამ. როგორც ქვემოთ ნახავთ, ასე მოქმედებდა ყველა ის პოლიტიკოსი, რომელიც არ იზიარებდა ანტისაბჭოთა ბრძოლის ექსტრემისტულ ტაქტიკას და კვლავაც ასე მოქმედებს მ. ჯავახიშვილი, მაშინ როცა რეალობამ მას „დეკლარანტულ" პოზიციაზე დადგომა აიძულა.

მაშასადამე, უნდა გავიგოთ, რომ კ. მისაბიშვილი „გამცემი", „მოღალატე" და „ჯაშუში" კი არ იყო, არამედ ანტისაბჭოთა ეროვნული ბრძოლის ის ერთ-ერთი თვალსაჩინო ლიდერი, რომელიც ექსტრემისტულ-ავანტიურისტული გზის, ანუ პოლიტიკური ხაზის უარყოფის და „ლიბერალურ-კომპრომისულ" მებრძოლთა ბანაკში გადასვლის იდეას იცავდა. იგი მოკლეს ამ იდეის მოწინააღმდეგე ექსტრემისტულ-ავანტიურისტული გეზის მიმდევარმა, უსაფუძვლო ეჭვებით დამუხტულმა ახალგაზრდებმა, რომლებიც ანგარიშს არ უწევდნენ იმას, რომ საბჭოთა რუსეთის საერთაშორისო და საშინაო სტაბილურობის განმტკიცების დროს ქართველი ხალხის თუნდაც მასობრივი აჯანყებით არ შეიძლებოდა მათი სამშობლოს ბოლშევიკური ფედერაციის სისტემიდან გამოგლეჯვა. ისინი ამას ვერ ხედავდნენ თავიანთი ხედვის სამრეკლოდან და ამიტომ მტრად რაცხავდნენ მათ, ვინც, ობიექტური რეალობის გათვალისწინებით, ცდილობდა ჩეკისტების მიერ შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან გამოსვლას. უფროსი თაობის ზოგმა წარმომადგენელმა კი კ. მისაბიშვილი არ დაიცვა თანამოაზრე-თანამებრძოლი „ახალგაზრდების ორგანიზაციის მოთხოვნისა და იმის გამო, რომ „იყო საკმაოდ საგანგაშო დრო" (ი. ჯავახიშვილი – იხ. ნ. კირთაძის დასახელებული წიგნი, გვ. 337). ეს იყო დიდი უბედურება, მაგრამ კიდევ უფრო დიდი ტრაგედიაა კ. მისაბიშვილის „გამცემლობის", „მოღალატეობის", „ჯაშუშობის" და „ჩეკას დამსმენ, ინფორმატორ-აგენტობის" უსაბუთო მითის დაჩემება, და, მით უმეტეს, კ. მისაბიშვილის მ. ჯავახიშვილთან თანამშრო-

მლობის და მათი იდეური სიახლოვის მოტივით დიდი მწერლის თანამოაზრე-თანამებრძოლთა მოღალატედ გამოცხადება. დღეს უკვე არსებობს ამ „საგანგაშო დროის“ სიღრმისეული შემეცნების შესაძლებლობა. ამისათვის კი საჭიროა ჯერ გავიგოთ ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობის საწყისი ეტაპის თავისებურება, შემდეგ დამატებით გამოვიკვლიოთ დრო, რომელმაც შექმნა კ. მისაბიშვილის და მ. ჯავახიშვილის მცდარად გაგების პირობა, მაშინ, როცა თითეული მათგანი ეროვნულ იდეალებს თავდადებით ემსახურებოდა და ანტისაბჭოთა ეროვნულ მოძრაობაში თავისი, ღირებული წვლილი შეჰქონდა.

კარი II. 1921-1923 წლების ეროვნული მოძრაობა და მიხეილ ჯავახიშვილი

თავი IV

ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობის საწყისი ეტაპის თავისებურება

1921-1923 წლების ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობა, როგორც ნაწილობრივ უკვე ვნახეთ, მრავალ პუბლიკაციაში წარმოჩნდა. მაგრამ ჯერ კიდევ გაურკვეველი დარჩა მისი საერთო სურათიცა და ძირითადი ტენდენციებიც. ამიტომ გაუგებარი დარჩა მიხეილ ჯავახიშვილის, კალისტრატე მისაბიშვილის და ამ პერიოდის პოლიტიკური მებრძოლების ეროვნულ-პატრიოტული ღვაწლი. კალე მისაბიშვილის, მ. ჯავახიშვილის და მთელი რიგი სხვა პიროვნებების პოლიტიკური ცხოვრების გაუგებრობის თუ მცდარად წარმოჩენის უმთავრესი მიზეზია ქართული ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობის ძირითადი ტენდენციების გაუგებრობა. ეროვნულ მოძრაობაში გულისხმობენ მხოლოდ ექსტრემისტული მიმდინარეობის (სვანეთის, ქ. ჩოლოყაშვილის, მიხ. ლაშქარაშვილის, 1924 წლის და სხვ.) ბრძოლას. ზოგს ისე ესმის, თითქოს თუნდაც უდროო, ანტისაბჭოთა ამბოხება ან პარტიზანული ბრძოლა არის ეროვნული მოძრაობის სწორი და ყველაზე მისაღები გამოვლინება. ნაკლები ღირებულების მოვლენად ესახებათ არალეგალური ანტისაბჭოთა არაექსტრემისტული, რეალისტურ-ორგანიზაციული, ანუ რადიკალური მიმდინარეობის ხელმძღვანელთა ხანგრძლივი მოსამზადებელი მუშაობა. ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობის ისტორიის პუბლიკაციების ავტორები საერთოდ უგულებელყოფენ ლეგალურ-კომპრომისული ტაქტიკით მებრძოლი

მიმდინარეობის წარმომადგენელთა ეროვნულ მოძრაობას. ამიტომ ზოგჯერ არაექსტრემისტული ლეგალური მიმდინარეობების (უპარტიო და ყოფილი პარტიული ინტელიგენცია და სხვ.) ბრძოლას არა მარტო უგულებელყოფენ, არამედ მათ შეცდომით ექსტრემისტული ბრძოლის მაყურებლებად თვლიან. ამიტომ არის, რომ რადიკალების („დამკომის", „სამხედრო ცენტრისა" და რადიკალური პარტიების) და მათ წარმომადგენელთა (კ. მისაბიშვილის, მ. ჯავახიშვილის და სხვ.) მიერ, გარკვეულ მომენტში, ექსტრემისტული ბრძოლის ტაქტიკაზე უარის თქმაში და ლეგალურ მუშაობაზე გადასვლის სურვილში საჩოთიროს ხედავენ, ხოლო როცა რადიკალები ექსტრემისტების ბანაკში გადადიან, ეს მეტამორფოზა დადებით მოვლენად ესახებათ მისი მიზანშეუწონლობის დროსაც. არა და, კ. მისაბიშვილის, მ. ჯავახიშვილის და სხვათა მიერ ექსტრემალურ სიტუაციაში ექსტრემისტული კურსის მიმდევრებისაგან გამიჯვნა-გამოყოფა, სმენავეხურ საქმიანობაზე დათანხმება და პარტიის ლეგალიზაციისათვის მხარის დაჭერა ერთადერთ სწორ გადაწყვეტილებას წარმოადგენდა. მაგრამ ამის გასაგებად უნდა გავარკვიოთ ეროვნულ მოძრაობაში არსებული ყველა ძირითადი მიმართულების მნიშვნელობა, განსაკუთრებით კი არაექსტრემისტული მიმდინარეობების ნამდვილი ბუნება და მათი ეროვნული ღირებულება. ასეთი მიზანდასახულობის პუბლიკაციები კი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ჩვენს პუბლიკაციებს, რომლებიც უნივერსიტეტის და მისი პროფესურის პოლიტიკური ღვაწლის მაგალითზე აშუქებს პრობლემას, აგრეთვე დ. თევზაძის და რ. კვერენჩხილაძის ზემოთ დასახელებულ წიგნებს, რომელშიც ქართველი პატრიოტი მწერლების პოლიტიკური ცხოვრება შუქდება, შეიძლება ითქვას, რომ იშვიათად მოიპოვება.

როგორც ცნობილია, საბჭოთა საოკუპაციო წითელი ჯარის წინააღმდეგ თავდადებულ ბრძოლაში დემოკრატიული საქართველოს ჯარები დამარცხდნენ. ამის მიზეზი მრავალია. უმთავრესი კი ის არის, რომ საქართველოს დამოუკიდებელი, დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფოებრიობა საერთაშორისო ანტისაბჭოთა „თანამეგობრობამ" გასწირა. სხვა მიზეზთა შორის აღსანიშნავია ისიც, რომ: „ჩვენი რუსეთთან ომის დროს საქართველოს სულ 20 ათასამდე მეომარი აღმოაჩნდა. აქედან თითქმის 2/3-ს გვარდიელები წარმოადგენდნენ" (იხ. მ. ქავთარაძე, „იანიჩრები" (ემიგრანტის მოგონებები), გვ. 184), რომლებსაც დაბალი საბრძოლო თვისებები გააჩნდათ, მაგრამ უმთა-

ვრესი მაინც ის არის, რომ პატარა და მცირერიცხოვან საქართველოს დიდი საბჭოთა რუსეთის ანექსიის შეჩერება დამოუკიდებლად არ შეეძლო. ამასთანავე, დამარცხების მიზეზთა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო საქართველოს ძირითადი პოლიტიკური პარტიების ურთიერთმოუთმენლობა და მმართველ (მენშევიკურ) პარტიასთან დაპირისპირება. ამასთან დაკავშირებით უამრავი წყარო იძებნება, მაგრამ ორიოდე მაგალითი ალბათ განსაკუთრებით მკაფიოდ გამოხატავს იმდროინდელი საზოგადოების გარკვეული ნაწილის განწყობილებას. შალვა ამირეჯიბის მიხედვით, „დემოკრატიული საქართველოს ადმინისტრაცია წარმოადგენდა მოვლენას, რომელსაც სხვა სახელი არ ეწოდება, თუ არა საქართველოს ერთი კუთხის მიერ მეორე კუთხის დაპყრობა. მოდიოდნენ მთელი გვარები, რომლებსაც მთავრობაში სახლიკაცი ჰყავდათ და მინისტრობას ნარდით იღებდნენ. „დიდ გვარიან" ფეოდალურ საქართველოს ნაცვლად „მრავალ გვარიანი" რესპუბლიკა ჩამოყალიბდა" (შ. ამირეჯიბი, დასახელებული წიგნი, გვ. 215). დიახ, ასეც იყო ხოლმე და ესეც საქართველოს მომავლის განსაზღვრაში თავის როლს ასრულებდა. არა ერთი პიროვნება აღიარებდა, რომ სამშობლოს პერსპექტივის გამრუდებაში მთავარი როლი შეასრულეს ისევ ქართველებმა. გიორგი კერესელიძე, სამშობლოს ბედით გულმოკლული შ. ამირეჯიბს წერდა (11.II.1931): „ჩვენმა თაობამ, ჩემო შალვა, დაღუპა საქართველო" – „ჟორდანიებმა და სტალინებმა მოსპესო" (იქვე, გვ. 235). იგი ზოგჯერ იმდენად გააფთრებულ ხასიათს იძენდა, რომ მენშევიკების დიქტატურას საბჭოთა ხელისუფლების არსებობას არჩევდნენ (მაგ. „მემარცხენე ფედერალისტები", „მემარცხენე ესერები", მომავალი „სხიველი" მენშევიკები და სხვ.). ქართული ინტელიგენციის მნიშვნელოვანმა ნაწილმა სწორედ მენშევიკი ლიდერების სიძულვილის გამო არ დაუჭირა მხარი ბოლშევიკური ძალების წინააღმდეგ ბრძოლას, ზოგი კი ერთგვარად ბოლშევიკების მხარეზეც დადგა. სათანადო ისტორიის წყაროები მოწმობენ, რომ „საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობები: აფხაზები, სომხები, აჭარლები, სამხრეთ ოსები და სხვანი საბჭოთა ხელისუფლებას შეხვდნენ როგორც გადამრჩენს მენშევიკური უღლისა და ჩაგვრისაგან" (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 1, ს. 195, ფურც. 67). მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, ჩვენი აზრით, უაღრესად საყურადღებო დამატებით ინფორმაციას გვაწვდის ცნობილი ანტისაბჭოთა მებრძოლი, ემიგრანტი

ს. გოგიბერიძე. მას, 1921 წლის მაისის ბოლოს პატიმრობიდან გათავისუფლებულსა და საკუთარ სოფელში დაბრუნებულს, საგანგებოდ შეუსწავლია საოკუპაციო ჯარების წინაღმდეგ მებრძოლი თანასოფლელების აზრი რუსეთის საოკუპაციო ჯარებთან დამარცხების შესახებ. ზოგმა ომი „უმიზნოდ დაუსახა". „რაც არ უნდა გვექნა, რუსებს მაინც ვერ მოვერეოდითო". „ზოგი ფიქრობდა, რომ ეს დაპყრობა არ გადაიქცეოდა საერთო დაპყრობად, ზოგი კი ფიქრობდა, რომ საბჭოთა ხელისუფლება მალე დაეცემოდა რუსეთის მასშტაბით და საქართველო კვლავ მოიპოვებდა თავის დამოუკიდებლობას." „ზოგი ზერელედ უყურებდა, ესენი აქ იმას ვერ იზამენ, რაც რუსეთში ქნესო, რაღაცნაირად ჰქონდათ დიდი იმედი საზღვარგარეთ წასული მთავრობისა". თავად ს. გოგიბერიძეს მიაჩნდა, „რომ მოვმზადებულიყავით, დამოუკიდებლობა არ დაიკარგებოდა." იგი წერს: „ვინც იცოდა რა მოხდა, ელოდა მდგომარეობის გამორკვევას", იმასაც აღნიშნავს, რომ საბჭოთა ხელისუფლების პირველ ხანებში ხელისუფლება ლოიალურ პოლიტიკას ახორციელებდა (იხ. ს. გოგიბერიძე, ბრძოლა სამშობლოსათვის, პარიზი, 1938, თბ. 1991, გვ. 9-10, 12-14).

საგულისხმოა ისიც, რომ ქართული საზოგადოების ერთ ნაწილში უკმაყოფილებას იწვევდა დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლებაში ერთი კუთხის სოციალ-დემოკრატების დომინირებული მდგომარეობა. ამით გაღიზიანებული შ. ამირეჯიბი წერს: „რუსები გავრეკეთ, გურიამ დაგვიპყრო" (იხ. მისი დასახელებული წიგნი II, გვ. 207). მისი აზრით, მენშევიკური „საქართველოს ადმინისტრაცია წარმოადგენდა მოვლენას, რომელსაც სხვა სახელი არ ეწოდება, თუ არა საქართველოს ერთი კუთხის მიერ მეორე კუთხის დაპყრობა" (იხ. იქვე, გვ. 315). ეს სავალალო აზრი და განწყობილება საქართველოში იმდენად ფართოდ იყო ფეხმოკიდებული, რომ, როგორც ცნობილია, სტალინი საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პერიოდის სადირექტივო მითითებებში ორჯონიკიძისაგან მოითხოვდა მხედველობაში მიეღო და გაეთვალისწინებინა ახალ, საოკუპაციო ხელისუფლებაში ყველა კუთხის წარმომადგენლობის შეყვანის აუცილებლობა. უკანასკნელი ხანის გამოკვლევებში ასეთი ფაქტები საჩოთირიოდ არის მიჩნეული და გულმოდგინედ იჩქმალება. არა და, საბჭოთა ხელისუფლების მხარდამჭერთა შორის მხოლოდ კომუნისტები არ ყოფილან. რესპუბლიკის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ეროვნულ სუვერენიტეტს დიდად აფასებდა. მაგრამ ამასთანავე მისი მნიშვნე-

ლოვანი ნაწილი უკმაყოფილებას გამოხატავდა უნიათო ხელისუფლების აუტანელი პოლიტიკის გამო. მეორე ნაწილის მიერ საბჭოთა ხელისუფლება საშიშროებად არ იყო მიჩნეული, რადგან საქართველოს უაღრესად რთულ გეოპოლიტიკურ მდგომარეობასა და თურქეთის მხრივ მუდმივი საფრთხის პირობებში ნაკლებ ბოროტებად და მოკავშირედ მიაჩნდათ საბჭოთა რუსეთი. ასეთები ცდილობდნენ ახალ რეალობაში საბჭოთა რუსეთის ჩვენი ეროვნულ ინტერესების შესაბამისად გამოყენებას. „იცოდეთ ყველამ: თუ ჩვენ ვერ შევინახავთ ჩვენს ქვეყანას, – წერდა თ. ღლონტი, –როგორიც იგი გადმოუცია ჩვენს წინაპართ, თუ ჩვენ დავკარგავთ არტაანს, ბათუმს, თუ ჩვენ მივაგდებთ ბორჩალოს და ალავერდს, თუ ჩვენ ოსური ორიენტაციით დავამხობთ ბორჯომს, თუ ჩვენ ჩამოვგლეჯთ აფხაზეთს და ტყვარჩელს, ესე იგი, თუ ჩვენ დავასამარებთ ისტორიულ და ეკონომიკურ საქართველოს – ჩვენი შთამომავლობიდან დავიმსახურებთ წყევას, კრულვას, შეჩვენებას, მაგრამ ნუ თუ ესოდენ ულირსნი ჩვენი თავები კიდევ უნდა ავიყვანოთ უმეცრების იმ წერტილზე, რომ ურცხვნელად ვიქადაგოთ – საქართველო სანკიულოტი სახელმწიფოაო?

გავჩერდეთ მაინც და აშენებულს ნუ დავანგრევთ!" (ამონარიდი დ. თევზაძის დასახელებული წიგნიდან, გვ. 237-238). ზოგი კი რუსის ჯარის შემოსვლას უკავშირებდა უკიდურესად მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამოსვლის შესაძლებლობას. უარყოფითად მოქმედებდა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელთა შეურიგებელი ურთიერთდაპირისპირება და ერთმანეთს შორის ბრძოლა. საბჭოთა ხელისუფლების მიმართ ერთგვარ ლოიალობას ამჟღავნებდა ნ. ჟორდანიაც. ქართველ ხალხს, მცირე გამონაკლისის გარდა (სტუდენტობა და სხვ.), წითელი ჯარების წინააღმდეგ ბრძოლებში მონაწილეობა არ მიუღია, რადგან მენშევიკურმა ხელისუფლებამ უგულებელყო და ვერ უზრუნველყო ეროვნული წინააღმდეგობის ორგანიზება. უარყოფითად იმუშავა პოლიტიკურ პარტიებად ქართული ინტელიგენციის დაქუცმაცება-დაპირისპირებამ. კ. გამსახურდია წერდა: „ჩვენ ამ სამი წლის (დემოკრატიული რესპუბლიკის – გ.ც.) დიდ ეკზამენში ჩავიჭერით... ქართველმა ინტელიგენციამ ვერ მოახერხა ქართველი ხალხის ეროვნული ძალების სრული და მწყობრი მობილიზაცია ეროვნული სახელმწიფოს ასაშენებლად" (სიტყვები ქართველი ერისადმი, გაზ. „სოციალ-ფედერალისტი", 1921, №70, 25 მაისი). იშვიათი გამონაკლისის სახით მოგვევლინა თბილისის ერო-

ვნული უნივერსიტეტის პატრიოტი პროფესურა და სტუდენტობა. საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობისათვის ბრძოლის დღეებში ივანე ჯავახიშვილმა და მისმა თანამოაზრეებმა აქტიურად გაილაშქრეს. ასობით სტუდენტი გამოეხმაურა ივ. ჯავახიშვილის მოწოდებას დაეცვათ სამშობლო. ზოგი მათგანი ბრძოლის ველზე დაიღუპა (ალ. ბარამიძე, თავის თავზე და ზოგ რამე სხვაზეც, გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 1991, 12 ივლისი; ნ. ღვინეფაძე, შარავანდედი, გაზ. „კომუნისტი", 1990, 18 თებერვალი; მ. მაცაბერიძე, უნივერსიტეტი 1921 წლის თებერვალში, გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი", 1991, 23 თებერვალი). თავად პროფესურაც არ შედრკა. ივანე ჯავახიშვილის და აკაკი შანიძის ხელმოწერით, უნივერსიტეტის სასწავლო ნაწილის სახელით დამფუძნებელ კრებას გაეგზავნა მიმართვა, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ „მზად არიან მთელი თავისი ცოდნა, გამოცდილება და სიცოცხლე შესწირონ საფრთხეში მყოფ ძვირფასი სამშობლოს თავისუფლების დაცვის საქმეს". წერილში გამოთქმული იყო თხოვნა, „მათი გონებრივი და ფიზიკური ძალა გამოიყენონ ისე, როგორც მათ საუმჯობესოდ მიაჩნიათ სამშობლოს დაცვის მიზნებისათვის", ესენი ამ დროს აშკარა მებრძოლები არიან.

საქართველოში საოკუპაციო, საბჭოთა რეჟიმის დამყარების შემდეგ ქართველ ხალხსა და მისი ინტელიგენციის ლიბერალურ-კომპრომისულ წარმომადგენლობას ეროვნული ინტერესებისათვის არ უღალატია. დ. თევზაძე იმდროინდელი ინტელიგენციის განწყობილების ანალიზის საფუძველზე სწორ დასკვნას იძლევა: „ქართული მწერლობა თანამშრომლობის გზას დაადგა, მაგრამ ეს არ იყო შერიგება 1921 წლის 25 თებერვლისადმი, ეს იყო ტაქტიკური სვლა" (გვ. 234). ამის დამამტკიცებელი მრავალი ფაქტი გააჩნიათ მკვლევრებს. ეს საკითხი ჩვენც წარმოვაჩინეთ შ. ნუცუბიძის და სხვათა მაგალითზე (იხ.: „ჩეკისტური ბრალდებები შალვა ნუცუბიძის მიმართ და მათი დოკუმენტურ ანალიტიკური კომენტარები", თავი III, „ბოლშევიკურ ხელისუფლებასთან შეხვედრა და პოლიტიკური „თანამშრომლობა", გვ. 41-50). შ. ნუცუბიძის ხატოვანი გამოთქმით, ეს იყო ბრძოლა ეროვნული ინტერესებისათვის ე.წ. „თავდაცვის ხმალით". მათი პროფესიული და საზოგადოებრივი საქმიანობა მჭიდროდ უკავშირდება ანტისაბჭოთა ბრძოლის თავისებურ, „წაწოლის პოლიტიკიდან" გამომდინარე ტაქტიკას და ქმნიდა ეროვნული მოძრაობის შემადგენელ ყველაზე მრავალრიცხოვან მიმდინარეობას. ხელისუ-

ფლების ორგანოების ოფიციალურ ანგარიშებში დაფიქსირებულია 1921 წელს ქართველი ინტელიგენციის საერთო განწყობილება. საქართველოს ჩეკას ერთი წლის მუშაობის ანგარიშში ნათქვამია: ანტისაბჭოთა პარტიების წევრები და ინტელიგენცია ფაქტის წინაშე როცა დადგა, ჯერ მიყუჩდა, შურისძიების შიშით შექმნეს ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს საბჭოთა ხელისუფლებას შეხვდნენ ლოიალურად. ზოგი მათგანი საბჭოთა მუშაკიც გახდა ლეგალურ დაწესებულებებსა და განსაკუთრებით კოოპერაციებში. მათ საბჭოთა ხელისუფლების ამნისტიამ შეუქმნა იატაკქვეშეთიდან გამოსვლის შესაძლებლობა და „ჩვენი დაწესებულებების მეშვეობით ეწევიან თავიანთ არალეგალურ მუშაობას, ფართოდ გაშალეს ანტისაბჭოთა აგიტაცია და პროპაგანდა“ (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 1, ს. 195, ფურც. 67/2).

საკ. კპ(ბ) ცკ-ის საორგანიზაციო ბიუროს 1928 წლის 27 აგვისტოს სხდომაზე, სადაც იხილებოდა საკითხი „საქათველოს კომპარტიის მუშაობის შესახებ, საქართველოს კომპარტიის ცკ-ის მდივანი აცხადებდა: „იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოში იყო უზარმაზარი კადრი თავადაზნაურული ინტელიგენციისა, ჩვენს წინაშე დადგა ამ ინტელიგენციის ბრძოლით მოპოვების ამოცანა. **ადრე ინტელიგენციაში დიფერენციაცია არ იყო** (! – გ.ც.), **თითქმის მთელი ინტელიგენცია** (! – გ.ც.) ჩვენს წინააღმდეგ იყო, ჩვენ გვთვლიდა მტრულ საოკუპაციო ძალად და ცდილობდა განვედევნეთ, იმედს ამყარებდა დასავლეთ-ევროპულ იმპერიალისტებზე. ეს იყო საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდგომ პირველ წლებში“ (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 4, ს. 64, ფურც. 3). მაგრამ ამ ინტელიგენციის დიდი უმრავლესობა საბჭოთა ხელისუფლებას ებრძოდა ე.წ. „წაწოლის პოლიტიკით“, ანუ ლეგალური, პროფესიულ-სამსახურეობრივი და საზოგადოებრივი მუშაობით. ეს იყო ეროვნული მოძრაობის ერთი მნიშვნელოვანი მიმდინარეობა, რომელიც ხელისუფლებასთან კომპრომისული თანამშრომლობის საფარქვეშ იბრძოდა, დიდ ეროვნულ საქმეს აკეთებდა და თავისი ეროვნულ-პატრიოტული საქმიანობით მხარში ედგა ანტისაბჭოთა არალეგალურ მოძრაობას, რომელიც ქართული ეროვნული მოძრაობის რადიკალური და ექსტრემისტული მიმდინარეობებისაგან შედგებოდა.

„წაწოლის პოლიტიკით“ მებრძოლთა კომპრომისულ-ლიბერალური მიმდინარეობის ტაქტიკის შესახებ ნათელ წარმოდგენას გვი-

ქმნის შალვა ნუცუბიძისა და ალექსანდრე ბოკერიას განმარტებები და საქართველოს სახელმწიფოებრივი დაწესებულებების, აგრეთვე საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაკთა ეროვნულ-პატრიოტული მოღვაწეობა. შ. ნუცუბიძემ ლიბერალური მიმდინარეობის ეროვნულ-პატრიოტული „წაწოლის პოლიტიკა" გამოხატა სიტყვებით: ქარიშხალი ძლიერი წინააღმდეგობის ასწლოვან მუხას ამოძირკვავს, დრეკად ლერწამს კი გადაუვლისო. „როგორც ლერწამი ქარიშხალს წაუწვეთ, გადაივლის და წამოვდგებითო." მსგავსი აზრი ალ. ბოკერიამ ასე გამოხატა: „მე ვიზიარებდი ე.წ. „წაწოლის პოლიტიკას" და არასოდეს ღლონტის (თედოს, რომელიც კომუნისტი გახდა – გ.ც.) მიმდევარი არა ვყოფილვარ... ჩვენი პოლიტიკა კონკრეტულად შემდგომ შინაარსს შეიცავდა: ლოიალური დამოკიდებულება ხელისუფლებასთან და ეროვნულ-კულტურული მშენებლობისათვის ხელის შეწყობა. ელასტიური პოლიტიკით პარტიული ფიზიონომიის შენარჩუნება და მისი ფიზიკური განადგურებისაგან გადარჩენა. ღლონტი კი სხვა გზას ადგა. ცდილობდა მმართველი პარტიის ჩარჩოებში მოქცევას და გათქვეფას" (ნ. კირთაძის დასახელებული წიგნი, გვ. 384-385).

ე.წ. „წაწოლის პოლიტიკით" მებრძოლთა ეროვნულ მოძრაობას კარგად ასახავს ქართველი ეროვნულ-პატრიოტული მწერლობისა და უნივერსიტეტის მეცნიერ-პედაგოგთა საქმიანობა, საერთოდ კულტურული საზოგადოების ანტისაბჭოთა მოძრაობა. თეატრებში იდგმებოდა სუმბათაშვილ-იუჟინის „ღალატი". პატრიოტი პოეტები ქმნიდნენ და საჯაროდ კითხულობდნენ საპროტესტო ლექსებს. ამ მხრივ აღსანიშნავია იოსებ გრიშაშვილის, კოლაუ ნადირაძის, კოტე მაყაშვილის ლექსები. იოსებ გრიშაშვილის საღამომ მიიღო მკაფიო საპროტესტო ხასიათი. რაჟდენ გვეტაძე კითხულობს ლექსს, მიძღვნილს XI არმიის წინააღმდეგ კოჯორ-ტაბახმელის ბრძოლებში დაღუპული უნივერსიტეტის პირველი კურსის სტუდენტი ქალიშვილის მარო მაყაშვილისადმი. იმართებოდა საპროტესტო აქციები (იხ.: ნ. ღვინეფაძე, უცნობი ფურცლები, გაზ. „კომუნისტი", 1990, 22 აპრილი; მისივე, შარავანდედი, იქვე, 1990, 18 თებერვალი). ქართველ მწერალთა კავშირის საბჭომ მოაწყო დიდი ეროვნული მოღვაწეების (ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, დიმიტრი ყიფიანის, ზაქარია ჭიჭინაძის, ჭოლა ლომთათიძის, ნიკო დადიანის და სხვათა) საღამოები. იმართებოდა ლიტერატურული ხუთშაბათები, რომელსაც მრავლად ესწრებოდნენ ახალგაზრდები. მწერალთა კავშირი იღვწოდა უკიდუ-

რესად მძიმე საარსებო პირობებში მყოფი მოღვაწეების და მათი ოჯა-ხების დახმარებისათვის (იხ.: „მოხსენება სრულიად საქ. მწერალთა კავშირის საბჭოს მოქმედების შესახებ. 10.X.1921-დან 1.IV.1923-მდე." – საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალური სა-ხელმწიფო არქივი, ფონდი 8, აღ. 1, ს. 6, ფურც. 5). მაშასადამე, ქართული მწერლობა იღვწოდა ქართულ საზოგადოებაში ეროვნული ცნობიერების სიმყარისა და საოკუპაციო რეჟიმის „ინტერნაციონა-ლური" იდეოლოგიის გაბათილებისათვის. ამ თვალსაზრისით საყუ-რადღებოა საქართველოს მწერალთა კავშირის პირველი ყრილობა (9.X.21). იგი გახსნა კ. მაყაშვილმა, გმირი ქალიშვილის მაროს მა-მამ. ყრილობის თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს გრ. რცხილაძე. ყრილობის თავმჯდომარე და კამათში მონაწილეები ტრადიციისა-მებრ ერთმანეთს ბატონობით მიმართავდნენ და ეროვნული ინტერე-სების შესაბამის ამოცანებს აყენებდნენ (იხ.: სლხცს. არქივი, ფ. 8, აღ. 1, ს. 7, ფ. 1-3). გრ. რცხილაძემ ყრილობის მონაწილეთ მოუწოდა წარსულ კულტურულ ღირებულებათა თანამედროვე პირობების შე-საბამისად გამოყენება: „ქართველ ერს მრავალჯერ დადგომია შავბე-დითი დრო, – აღნიშნა ორატორმა, – მაგრამ თუ იგი მაინც ფეხზე დგას, ამის მიზეზი არის ის გარემოება, რომ ქართული კულტურის დენა არ ყოფილა შეწყვეტილი... უნდა მოხდეს განახლება ამ ძველი კულტურის. მით უფრო საჭიროა ეს დღეს, როცა არის შიში ამ დენის შეჩერებისა. იმ იმედით, რომ თანამედროვე ქართული მწერლობა შეძლებს თავისი დანიშნულების შესრულებას, თამამად ვუსწორებთ ჩვენ თვალს მომავალს" (იქვე, ფ. 8, ს. 7, ფ. 1). ეს იყო საპროგრამო სიტყვა, რომელიც ტაშით აღინიშნა. ქართველი მწერლობის პატრი-ოტული წარმომადგენლობა გამოხატავდა ეროვნული ინტერესები-სათვის ბრძოლისადმი მზადყოფნას. ამ განწყობილებას თან ახლდა არა მარტო იდეურ-პოლიტიკური განწყობილების ასახვა, არამედ მისი პრაქტიკული გამოხატვა. ქართველი მწერლების ეროვნულ-პატრი-ოტული ბრძოლის უამრავი მაგალითი შემოინახა საბჭოთა ხელისუ-ფლების პირველი წლების პრესამ და განსაკუთრებით კი არქივის მასალებმა. ისინი ნათლად გვიჩვენებენ, რომ ქართველი მწერლები და საერთოდ კულტურის მოღვაწე პატრიოტები კ. მაყაშვილი, ი. გრი-შაშვილი, გ. ტაბიძე, კ. გამსახურდია, ვ. კოტეტიშვილი, ს. მჭედლი-შვილი, დ. ქარცივაძე, მ. კინწურაშვილი, დ. ჩხეიძე, ს. თავართქი-ლაძე, ს. ჭანტურიშვილი და სხვ. საქართველოს ოკუპაცია-ფაქტო-

ბრივი ანექსიის პირველ წლებში თავიანთი შემოქმედებით აქტიურად თანაუდგნენ საერთო ეროვნულ მოძრაობას და ლეგალურად მებრძოლ ქართული კულტურის სხვა თვალსაჩინო წარმომადგენლებთან ერთად ქმნიდნენ ოფიციალური იდეოლოგიისადმი დაუმორჩილებელთა მძლავრ ნაკადს, რომელიც ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობის საერთო მიმდინარეობად გვევლინებოდა. სრულიად კანონზომიერი იყო, რომ ხელისუფლება და მისი სახელმწიფო უშიშროება სასტიკად ებრძოდა ამ მიმდინარეობის მწერლებსა და, საერთოდ, ეროვნული კულტურის თვალსაჩინო წარმომადგენლებს. ამის მაგალითია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ, საგანგებო პოლიტიკური სიტუაციის დროს, „სამხედრო ცენტრის" და მასთან დაკავშირებული პატრიოტების დახვრეტის მზადების დროს, 1923 წლის 15 მაისს მიღებული დადგენილება. იგი მოითხოვდა დახურულიყო პოეზიის დღისადმი მიძღვნილი ერთდროული გაზეთი „პოეზიის დღე" და გაზეთი „ლომისი". „ლომისის" რედაქტორები იყვნენ კ. გამსახურდია და ი. გრიშაშვილი. იგი სარედაქციო კომისიის და ავტორთა სახით აერთიანებდა ისეთ პატრიოტ შემოქმედებს, როგორებიც იყვნენ: ი. გრიშაშვილი, კ. გამსახურდია, კ. მაყაშვილი, ტ. ტაბიძე, ლ. ქიაჩელი, შ. დადიანი, ი. ეკალაძე, დუტუ მეგრელი, მ. კინწურაშვილი, შ. არაგვისპირელი, მ. თოიძე და მრავალი სხვა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ამ გამოცემებს ბურჟუაზიულ გამოცემებად მოიხსენიებდა და მოითხოვდა, მათში დაბეჭდილი ანტისაბჭოთა სტატიების ავტორები „გამოიძახოს ჩეკამ და დაკითხოს". დადგენილება განათლების სახალხო კომისარიატს წინადადებას აძლევდა „გამსახურდია მოიხსნას უნივერსიტეტიდან" (იხ. საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 1, ს. 493, ფ. 35/2). ამიტომ საოკუპაციო რეჟიმი და ჩეკა სასტიკად ებრძოდა დაუმორჩილებელთა ეროვნულ-პატრიოტულ გამოვლინებებს. ქართული კულტურისა და მეობის გაბედულ მოსარჩლეებს მუდმივად სდევნიდა, აპატიმრებდა და ზოგჯერ სპობდა კიდეც. ამ დროს მწერალთა კავშირისა და საქართველოს სხვა დაწესებულებათა პატრიოტული ძალები მაინც თავგამოდებით იღვწოდნენ დაპატიმრებულთა გამოსარჩლება-განთავისუფლებისათვის. 1923 წლის 27 ოქტომბრის სხდომაზე დატუსაღებულ მწერალთა გასანთავისუფლებლად კავშირის ყრილობამ კომისია აირჩია (იქვე, ფ. 8, აღ. 1, ს. 50, ფ. 15). პატრიოტი მწერლები თავგამოდებით იღვწოდნენ ახალი რეჟიმის წინააღმდეგ

მებრძოლი კოლეგების გამოსახსნელად და ერის სულისკვეთების გასამტკიცებლად. მათი ეს ეროვნულ-პატრიოტული ღვაწლი ხელისუფლების მიერ შეუმჩნეველი და რეპრესიების გარეშე როდი რჩებოდა.

საბჭოთა საოკუპაციო რეჟიმის დამყარების შემდეგ ლოიალური პოლიტიკით იბრძოდა ეროვნული უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლობა, რომელსაც სათავეში რექტორი, დიდი ივანე ჯავახიშვილი ედგა. „საქართველოს გასაბჭოების პირველსავე დღეებში შედგა პროფესორთა საბჭოს სხდომა... ეს იყო უაღრესად მრავალრიცხოვანი კრება, „მთელი პარლამენტი"... ატარებდა განუყოფლად პოლიტიკურ ხასიათს კრების საგანი იყო საქართველოში შექმნილი მდგომარეობა, მომხსენებელი უნივერსიტეტის რექტორი ი. ჯავახიშვილი. მომხდარი ფაქტი მან შეაფასა როგორც ქართველი ხალხის ისტორიის უდიდესი ტრაგედია და განაცხადა, რომ უნივერსიტეტმა უნდა გააგრძელოს **ბრძოლა** (! – გ.ც.) ქართული კულტურის აღორძინების კერის შენარჩუნებისათვის, რაც ფაქტობრივად ნიშნავდა იმას, რომ უნივერსიტეტს არ უნდა შეხებოდა არაფერი, რაც მის კედლებს მიღმა ხდებოდა. რაკი – ამბობდა იგი – საქართველომ დაკარგა დამოუკიდებლობა და დამყარდა ბოლშევიკური ხელისუფლება, უნდა ვიბრძოლოთ უნივერსიტეტის დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის და არ დავუშვათ იქ ბოლშევიკური ზეწოლა.

ივანე ჯავახიშვილის აზრით, დასახული მიზნის მიღწევისათვის აუცილებელი იყო პროფესორ მასწავლებელთა შორის შინაგანი სიმტკიცე და ერთიანობა... ყოველგვარი დაბრკოლება უნდა შექმნოდა უნივერსიტეტში... ბოლშევიკური ელემენტების შეღწევას". ბრძოლის ერთ-ერთ საშუალებად მიიჩნიეს სტუდენტებზე გავლენის შენარჩუნება. ივანე ჯავახიშვილს მიაჩნდა, რომ „თუ სტუდენტობა დაინახავს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში პროფესორების ერთსულოვნებას, თავადაც არ დაუშვებს რაიმე ბოლშევიკური სტუდენტური ორგანიზაციების აღმოცენებას". იგი მიიჩნევდა, რომ უნივერსიტეტს უნდა ემოქმედა ეროვნული ინტერესების შესაბამისად, პროგრამულად და ერთობლივად, „ვიდრე შეიქმნება ხელსაყრელი საშინაო და საგარეო პირობები თვით საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის" (იხ. სუკის არქივი, №31221, ტ. 3, ფურც. 292-294). ეს წყარო იმდენად გაუცნობიერებელ სიმართლეს წარმოადგენს, რომ გაუცნობიერებელ მკითხველს შეიძლება უცნაურად მოეჩვენოს. ამდენად, საჭიროდ მი-

ვიჩნიეთ მისი დამადასტურებელი, მოწინააღმდეგე მხარის ოფიციალური ნააზრევი მოვიხმოთ: სრულიად საქართველოს საბჭოების მეორე ყრილობაზე (29.III.1927) შ. ელიავა მოხსენებაში მთავრობის მოღვაწეობის შესახებ ამბობს: „გასულ წელს უნივერსიტეტის რეფორმა ჩავატარეთ" (მხედველობაში აქვს ის, რომ რექტორობიდან გადააყენეს ივ. ჯავახიშვილი და სხვ. – გ.ც.). „ისინი უნივერსიტეტს თვლიდნენ დამოუკიდებელი ეროვნული პოლიტიკის გამტარებელ დაწესებულებად". „ისინი"-ში ნაგულისხმევი ჰყავს „მემარჯვენე პროფესურა" ივ. ჯავახიშვილის მეთაურობით. მათ შ. ელიავა ახასიათებს „შეურიგებელი სახის" ქართველ ინტელიგენციად და რწმენას გამოთქვამს, ამ სახის ინტელიგენცია „არც შეგვირიგდება ისე ჩავა საფლავშიო" (იხ. სცს არქივი, ფ. 284, აღ. 2, ს. 9ა, ფურც. 194). პოლიტიკური ხასიათი ჰქონდა ივ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით წარმოებულ სამეცნიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობასაც და პროფესურის საარსებო უფლებებისათვის ბრძოლასაც. იგი ხელისუფლებისაგან მოითხოვდა ხელფასის გადიდებას არა 50 ან 100, არამედ 200 პროცენტით და ისეთივე შეღავათებს, როგორიც სამხედროებს და მათთან გათანაბრებულ მუშაკებს ჰქონდათ (საქ. უახლესი ისტორიის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 300, აღ. 2, ფურც. 21).

ივანე ჯავახიშვილის მიერ დასახული პროგრამის განხორციელება უნივერსიტეტის და ერის ცხოვრებაში ხდებოდა პატრიოტ პროფესორ-მასწავლებლებზე დაყრდნობით, რომლებიც ადრე ძირითადად ანტისაბჭოთა პარტიებს ეკუთვნოდნენ, მტრულად შეხვდნენ სამშობლოს დაპყრობას და საქართველოში პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებას. მათ შორის იყვნენ რადიკალები, ზომიერები და მემარცხენეები, მაგრამ, საქართველოს და უნივერსიტეტის ეროვნული ინტერესების თვალსაზრისით, ქმნიდნენ ერთიან ფრონტს, რომელიც უპარტიოებთან ერთად დარაზმული იყო უნივერსიტეტის რექტორის – ივანე ჯავახიშვილის გარშემო (სუკის არქივი, №31221, ტ. 3, ფ. 296-297). ფაქტობრივად, ეს იყო პოლიტიკური დასი, რომელიც მოქმედებდა მშვიდობიანი ხერხებით. ივანე ჯავახიშვილის ამ დასს მხარს უჭერდა უნივერსიტეტის პატრიოტულად განწყობილი ახალგაზრდობა, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ჩაბმული იყო ახალგაზრდულ ანტისაბჭოთა ორგანიზაციებში და აქტიურ მონაწილეობას იღებდა ანტისაბჭოთა აქციებში. 1921-1922 წლებში ხელი-

სუფლება უნივერსიტეტს აფასებდა როგორც „კონტრრევოლუციურ კერას“, კომუნისტები აღიარებდნენ, რომ „1921-1922 წლებში უნივერსიტეტში ხელმძღვანელი პარტიული მუშაკების მოხსენებების გაკეთება არ შეიძლებოდა“ (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 947, აღ. 5, ს. 1, ფურც. 52/2, 54, 188). როგორც უკვე ავღნიშნეთ, ამის მიზეზი ის იყო, რომ ცხოვრებაში ტარდებოდა ხელისუფლებისადმი დაუმორჩილებლობისა და უნივერსიტეტში საბჭოთა ხელისუფლების შეუღწევლობისათვის მშვიდობიანი ბრძოლის ივანე ჯავახიშვილისეული პროგრამით გათვალისწინებული ტაქტიკა. 1922 წელს თბილისის უნივერსიტეტის 500 პატრიოტი სტუდენტის ხელმოწერით „სტუდენტთა კავშირმა“ მიმართა ევროპის და ამერიკის ახალგაზრდობას: „უკანასკნელ კაცამდე ვიბრძოლებთ ეროვნული თავისუფლებისათვის იმ იმედით და რწმენით, რომ ქართველი ერი კვლავ დააღწევს თავს რუსეთის მონობას და კვლავ მოგვეცემა საშუალება განვაგრძოთ ოკუპანტების ტერორისაგან ჩახშობილი სამეცნიერო მუშაობა“ (იხ.: გ. ცხოვრებაძე, დასახელებული წიგნი, გვ. 120). უნივერსიტეტის სტუდენტობის დიდი ნაწილი აქტიურად მონაწილეობდა 1922 წლის მაისში საქართველოს განთავისუფლების დღის ოთხი წლისთავის აღსანიშნავ აქციებში, ერთი ნაწილი კი აგრეთვე მონაწილეობდა 1924 წლის აჯანყებაში. ჩვენთვის ცნობილი 1924 წლის აჯანყების გამო დახვრეტილ 858 პიროვნებას შორის დაფიქსირებულია 20 სტუდენტი (იხ.: გ. ციციშვილი, სისხლიანი სტრიქონები, გაზ. „სიმართლე“, შემდეგ „ეროვნული მილიცია“, 1991, №1-3, №1, 4).

ანტისაბჭოთა არალეგალური პარტიების ლიკვიდაციის შემდეგ უნივერსიტეტი გახდა ერის ინტერესებისათვის მშვიდობიანი, უსისხლო მეთოდებით, ძირითადად პროფესიული და საზოგადოებრივი საქმიანობით მებრძოლთა ასპარეზი. 1937 წელს, აკად. ალ ბარამიძის ვარაუდით, ბოლშევიკი რექტორის კ. ორაგველიძის მიერ შედგენილი ცნობებით, უნივერსიტეტში მოღვაწე 140 ლექტორის სიაში 75 კაცია ანტიბოლშევიკური პარტიის ყოფილი წევრი (იხ.: საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფონდი 14, აღ. 1, ს. 7817, ფ. 2-52). უნივერსიტეტის გადაყენებული რექტორის, 1926 წლიდან „რიგითი“ პროფესორის, ივანე ჯავახიშვილის იდეური მეთაურობით უნივერსიტეტი იბრძოდა ეროვნული მეცნიერების განვითარების, უმაღლესი კვალიფიკაციის ეროვნული კადრების მომზადებისა და მათში პატრიოტული თვითშეგნების გენერაციისათვის (გ. ციციშვილი,

უცნობი ივანე ჯავახიშვილი, 1996, №19, 20; 1997 №8-10; მისივე, სულისკვეთება – ეროვნული, მოქმედება – მამულიშვილური, გაზ. „კრიმინალური ქრონიკა“, 1996, №11; მისივე, ივანე ჯავახიშვილი – იდეურად და პოლიტიკურად დაუმორჩილებელი, გაზ. „შანსი“, 1996, №6).

ეროვნული ინტერესებისათვის ბრძოლაში აქტიურად მონაწილეობდნენ პატრიოტული ინტელიგენციის წარმომადგენლები, მეცნიერ-პედაგოგები, მწერლები, იურისტები და სხვ. ისინი გვერდში ედგნენ არალეგალური ფრონტის წარმომადგენლებს და არალეგალური მოძრაობის გამო ჩეკას მიერ დაპატიმრებულების გამოხსნისათვისაც იღვწოდნენ. არქივებში ამის მრავალი მაგალითი გვხვდება. ყველა ამ მაგალითის მოხმობა გასაგები მიზეზების გამო არ ხერხდება. მაგრამ ზღვა მასალიდან ზოგი მაგალითი, ვფიქრობთ, არ გადატვირთავს მკითხველის ყურადღებას. ივ. ჯავახიშვილი 1924 წლის 16 დეკემბერს განსახკომის წინაშე შუამდგომლობს, გაანთავისუფლონ საგანგებო კომისიის ტუსაღობიდან ასისტენტი (შემდეგში აკადემიკოსი) პეტრე ქავთარაძე (სუიცსა, ფ. 300, აღ. 1, ს. 113, ფ. 24) და სხვა. შ. ნუცუბიძე რექტორის მაგიერ იგივეს ითხოვს ასისტენტ ლევან ლეონიძის გამო (იქვე. ფ. 10) და სხვ. 1923 წელს საქართველოს მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობა (ე.ი. კოტე მაყაშვილი და სხვ.) საქჩეკას სთხოვენ დავით ჩხეიძის (თურდოსპირელის), მიხეილ კინწურაშვილის (იასამანის), აკაკი ფაღავას (ლხცსა, ფონდი 8, აღ. 2, ს. 56, ფ. 1), სილიბისტრო თავართქილაძის (რემონეის), სისო ჭანტურიშვილის, დავით ქარცივაძის (მეჩონგურეს) (იქვე, ფურც. 2-3) და სხვ. განთავისუფლებას.

განსაკუთრებით საყურადღებოდ გვესახება უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის შუამდგომლობაზე დაფუძნებული საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის 1924 წლის 25 აპრილის შუამდგომლობა ამიერკავკასიის ჩეკას მიმართ. იგი ასეთი შინაარსისაა: „დაახლოებით თვენახევრის წინ დააპატიმრეს თსუ დოცენტი სერგი დანელია (ედპ-ის ცკ-ის წევრი – გ.ც.) და ასისტენტები იმავე უნივერსიტეტისა გ. რცხილაძე (მემარჯვენე ფედერალისტების მთავარი კომიტეტის და აგრეთვე „დამკომის“ წევრი – გ.ც.) და დიმიტრი ჯავახიშვილი (ედპ-ის ცკ-ის წევრი – გ.ც.). იმის გამო, რომ დანელიას, რცხილაძის და ჯავახიშვილის დაპატიმრებით სახ. უნივერსიტეტის მუშაობას დიდი ზიანი (? – გ.ც.) ადგება, საქართველოს სსრ განსა-

ხკომი გთხოვთ შეგვატყობინოთ რა ბრალდება წარედგინათ მათ, აგრეთვე შეიძლება თუ არა დასახელებული ამხანაგების თავდებობით განთავისუფლება“ (სუკის არქივი, №24367, ფ. 30). აქ მთავარი მართლა ის კი არ არის, რომ ამ პიროვნებათა შემცველი უნივერსიტეტს არ მოეძებნებოდა. მნიშვნელოვანი ის არის, რომ ცდილობდნენ არალეგალი ოპოზიციონერების მხარდაჭერას. აქედან ჩანს ლეგალების მეურვეობა არალეგალებზე და მათი ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთების თანხვედრა.

ლეგალური ბრძოლის მიმდევართა მამულიშვილური თავგამოდების მაგალითები უკვე 1922 წლის დეკემბრიდან, ანუ იმ დროიდან გვხვდება, როცა ჩეკამ განსაკუთრებით გააძლიერა პატრიოტთა დაპატიმრებები. 1922 წლის 12 დეკემბერს მწერალთა კავშირის „მანდატი ესე ეძლევა საბჭოს პრეზიდიუმის წევრს კონსტანტინე გამსახურდიას მას შინა, რომ სრულიად საქართველოს მწერალთა საბჭოს მიერ იგი რწმუნებულია მოლაპარაკება გამართოს საქართველოს საგანგებო კომისიასთან საბჭოს წევრის იოსებ გრიშაშვილის თავდებობით განთავისუფლების შესახებ“ (იხ.: საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფ. 8, აღ. 2, ს. 56, ფ. 2). 20 დეკემბერს „სრ. საქ. მწ. კავშირის საბჭო... სთხოვს საქ. სსრ საგანგებო კომისიას: ცნობილი ქართველი პოეტის ვაჟა-ფშაველას შვილი ლევან რაზიკაშვილი ოთხი თვეა რაც ზის ქ. ტფილისის №2 გამასწორებელ სახლში. ვაჟა-ფშაველას დარჩა ოჯახი შემდგარი ხუთი სულისაგან, აგრეთვე თვით ლევან რაზიკაშვილის ოჯახიც შედგება სამი სულისაგან და მთელ ოჯახზე მზრუნველობა აწევს მას. სრ. საქ. მწერალთა საბჭო იმედოვნებს, რომ საქ. საგანგებო კომისიის კოლეგია მიიღებს მხედველობაში ყოველივე ზემოთ აღნიშნულს, პატივს სცემს საქართველოს სიამაყეს პოეტ ვაჟა ფშაველას ხსოვნას და დააჩქარებს რა ლევან რაზიკაშვილის საქმის გარჩევას, გაანთავისუფლებს მას საპატიმროდან“ (იხ. იქვე, ფონდი 8, აღ. 2, ს. 56, ფ. 3-4). ლ. რაზიკაშვილის ჩეკას საქმეში ჩართულ ამ მიმართვას ხელს აწერენ თავმჯდომარე კ. მაყაშვილი და მდივანი მ. ბოჭორიშვილი (იხ. სუკის არქივი, №22905, ფ. 33). პატრიოტი იურისტები შეეცადნენ კ. აფხაზის გადარჩენასაც. მაგრამ, როგორც ცნობილია, ეს არ მოხერხდა. ხელისუფლებამ და ჩეკამ გასწირეს ქ. ჩოლოყაშვილის ჩარგლის გზით გამპარებელი ვაჟას პირმშოც და საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტთან არსებული „სამხედრო ცენტრის“ წევრი, ილია

ჭავჭავაძის დისშვილიც. არ მოხერხდა ბევრ სხვათა სიცოცხლის ხსნა. მაგრამ მათ ქომაგთა გარჯას უკვალოდ არ ჩაუვლია. ცალკეული პუბლიკაციებიდან ნათლად ჩანს, რომ ერის ინტერესებისათვის ლეგალურად მებრძოლთა თავგამოდებამ და არალეგალურად მებრძოლი მამულიშვილების მიმართ სოლიდარობამ არაერთი მათგანის (მ. ჯავახიშვილის და სხვათა) სიცოცხლე შეგვინარჩუნა. მათი პატრიოტული გარჯის მაგალითები იმის ნათელი დადასტურებაც გახლავთ, რომ არსებობდა იდეური და პოლიტიკური თანხვედრა რადიკალური და კომპრომისული მეთოდებით მებრძოლ მამულიშვილებს შორის. ამასთანავე, ხელისუფლება ატარებდა მრავალ მშვიდობიან ანტიეროვნულ აქციას. ამის თვალსაჩინო მაგალითია ისიც, რომ საქართველოს სსრ ცაკის პრეზიდიუმმა ლენინის გარდაცვალებასთან დაკავშირებით მიიღო გადაწყვეტილება ლენინის ძეგლის აგებისა და სახელმწიფო ოპერისათვის ლენინის სახელის წოდების შესახებ (საქ. უახლესი ისტორიის არქივი, ფ. 300, აღ. 1, ფურც. 106). მაგრამ ეს ცხოვრებაში არ გატარდა იმის გამოც, რომ ქართველი ინტელიგენციის ცნობიერებისათვის მიუღებელი იყო. ქართველი პატრიოტები იღვწოდნენ ეროვნული საქმის საკეთებლად: რუსეთში გატანილი ეროვნული სიძველეების დაბრუნების, დარბეული ეკლესიების ფასეულობათა დაცვის, ქართული ენის სიწმინდის შენარჩუნების, ძველი ხელნაწერების დაცვის, მოსახლეობის ეროვნულ-პატრიოტული აღზრდის მიზნით და სხვ. ივ. ჯავახიშვილის ხელმოწერილი წარდგინებით საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ 1924 წლის 8 თებერვალს თხოვნით მიმართა სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობას იმის შესახებ, რომ ერთობლივად მიემართათ საქართველოს განათლების სახალხო კომისრის შუამდგომლობით მთავრობისათვის „აკაკი წერეთლის საფლავზე ძეგლის დადგმისა და საფლავის დაცვის შესახებ ბუნების გამანადგურებელი სტიქიონისაგან." მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობამ თავის მხრივ მხარი აუბა საისტორიო საეთნოგრაფიო საზოგადოებას და ამავე მიზნით სამუშაოდ გამოჰყო პრეზიდიუმის წევრები იოსებ გრიშაშვილი და ს. აბაშელი (საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფ. 8, აღ. 1, ს. 56, ფ. 1-3). დიახ, „საგანგაშო დრო იყო" და ამ დროს ლეგალური ბრძოლაც გმირობა იყო. ამას მოწმობს ამ დასის წარმომადგენელთა მრავალმხრივი ეროვნულ-პატრიოტული მოღვაწეობა. იგი იმდენად მნიშვნელოვანია,

რომ მოითხოვს დამოუკიდებელ, ცალკე მონოგრაფიულ პუბლიკაციას. ერის ინტერესებისათვის ლეგალური ბრძოლის ისტორია კარგად არის გაშუქებული ქართველი ლიტერატორების დ. თევზაძის, ბ. ალველაძის, რ. ჩხეიძის, ს. სიგუას, განსაკუთრებით რ. კვერენჩხილაძის და სხვა მრავალთა შრომებში. ეროვნული უნივერსიტეტის მაგალითზე პატრიოტული ბრძოლის წარმოჩენას ასახავს ს. ჯორბენაძის, ვ. გურგენიძის, ვ. გურულის, ჩვენი და რიგი სხვა ავტორების პუბლიკაციები.[1] მაშასადამე, პარტიის ლეგალიზაციის საკითხის დაყენება არ ნიშნავდა საჩოთირო მოქმედებას და მით უმეტეს მოღალატეობას. იგი ერის სამსახურისათვის სხვა ფორმებით მოღვაწეობას და ბრძოლასაც გულისხმობდა. ამის შესახებ საყურადღებოა დამფუძნებელი კრების ყოფილი წევრის, ანტისაბჭოთა მემარჯვენე სოციალისტ-ფედერალისტების მთავარი კომიტეტის წევრის სამსონ დადიანის ჩვენების ამონარიდი: „ნათელია, რომ პასიურადაც კი თუ წინააღმდეგობას უწევ რევოლუციურ ხელისუფლებას, ეს იმას ნიშნავს, რომ კონტრრევოლუციურ ბანაკში ხარ“ (ნ. კირთაძის დასახელებული წიგნი, გვ. 307). ეს ჭეშმარიტება კარგად ასახა მრავალმა დოკუმენტმა და ისტორიის წყარომ. 1927 წლის 2 დეკემბრის უნივერსიტეტის კომუჯრედის სხდომაზე მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „პედაგოგიური პერსონალის უპარტიო შემადგენლობა, ზოგიერთთა გამოკლებით, ქმნის ანტისაბჭოთა და ანტიმარქსისტულ განწყობილებას, მსგავსივე მდგომარეობაა უპარტიო სტუდენტთა საკმაო რაოდენობას შორის... თუ გადავხედავთ უნივერსიტეტში მომუშავეთა პოლიტიკურ შემადგენლობას, დავინახავთ, რომ დიდი პროცენტია თავმოყრილი ყოფილი თავადებისა და არისტოკრატული ოჯახებიდან გამოსულ ელემენტებისაგან.“ ივანე ჯავახიშვილის და მისი ეროვნულ-პატრიოტული დასის დახასიათება მოგვცა მ. კახიანმა, როცა ქართული

---

1 იხ.: ს. ჯორბენაძე, ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა, თბ., 1984; მისივე, თბილისის უნივერსიტეტის მოკლე ისტორია, თბ., 1988; ვ. გურგენიძე, ივანე ჯავახიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა, თბ., 1996; В. Гурули, Профессор Джавахишвили буквально боготворится, газ. „Свободная Грузия“, 1998, 7 февраля; მისივე, Трудные годы Тбилисского университета, „Свободная Грузия“, 1998, 17 февраля; გ. ციციშვილი, გაუჩინარებული ისტორიის ფურცლები, ჟურნ. „ცისკარი“, 1994, №1; 1995, №1-2 და 3-4; მისივე, ჩეკისტური ბრალდებები შალვა ნუცუბიძის მიმართ და მათი დოკუმენტურ-ანალიტიკური კომენტარები, თბ., 1998 და სხვ.

ანტისაბჭოთა ინტელიგენციის და, კერძოდ, ივანე ჯავახიშვილის დასის დახასიათება ჩამოუყალიბა საკავშირო ცკ-ის საორგანიზაციო ბიუროს. აქ მან ივანე ჯავახიშვილი გაიაზრა კომპარტიის მოწინააღმდეგე ქართული ინტელიგენციის ჯგუფში, „რომელიც დაავადებულია შოვინიზმით და ხანდახან გამოდის ჩვენ წინააღმდეგ." მან მ. ჯავახიშვილის პიროვნება გაუტოლა რსფსრ და უკრაინელ ცნობილ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ პროფესორებს – კონდრატიეველებს და გრუშევსკელებს (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფონდი 14, აღ. 4, ს. 64, ფ. 4). სათანადო წყაროებში უამრავ მაგალითს ვხვდებით, როცა ხელისუფლების წარმომადგენლები ლეგალურ-კომპრომისული, ლიბერალური პოლიტიკის მიმდევრებს, უპარტიოებს: ივანე ჯავახიშვილს, შალვა ნუცუბიძეს, პავლე ინგოროყვას, კონსტანტინე გამსახურდიას, შემდეგ მიხეილ ჯავახიშვილს, ალექსანდრე ახმეტელს და შემოქმედებითი ინტელიგენციის მრავალ სხვა წარმომადგენელს, მათი ეროვნულ-პატრიოტული საქმიანობისა და პუბლიკაციების გამო, უწოდებენ ნაციონალისტებს და კონტრრევოლუციონერებს. მკვლევარმა ვახტანგ გურულმა გამოავლინა და გამოაქვეყნა არაერთი უაღრესად საყურადღებო წყარო, რომელიც თვალსაჩინოდ მოწმობს, რომ ლიბერალურ-კომპრომისული მოძრაობის წარმომადგენლებს ებრძოდნენ ისევე სასტიკად, როგორც ექსტრემისტებს. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ერთი მათგანი, რომელიც ცხადყოფს, რომ 1928 წელს საქჩეკას თავმჯდომარე ლ. ბერია ამცნობს საქ. ცკ-ის თავმჯდომარეს ღოღობერიძეს, რომ სტუდენტობის 8 ათასიდან „კარგა ნახევარი სტუდენტებისა ჩვენი არ არის" და მისდევს იდეოლოგიურ შოვინისტურ პარტიებს. ერთ-ერთ გამოსვლაზე ოვაციას უწყობს არა საბჭოთა ცაკის თავმჯდომარე ფ. მახარაძეს, არამედ ნაციონალისტ პროფესორ ივ. ჯავახიშვილს (გაზ. „Свободная Грузия", 1998, 7 ნოემბერი). მაშასადამე, უპარტიო ლეგალური „წაწოლის პოლიტიკით" მებრძოლი მამულიშვილები, ისე როგორც ილია ჭავჭავაძე და მისი მიმდევრები, ეროვნული ბრძოლის და მოძრაობის ლეგალურ მიმდინარეობას ქმნიდნენ და მათი ეს ბრძოლა ეროვნული სარგებლიანობის თვალსაზრისით გაცილებით უფრო მეტის მომტანი იყო, ვიდრე მთელი არალეგალური მოძრაობისა ერთად აღებული. ამიტომ გასაგები უნდა იყოს, რომ ეროვნული მოძრაობის ეს ხაზი საბჭოთა საქართველოში იყო ილია ჭავჭავაძის კომპრომისული ხაზის პირდაპირი გაგრძელება. ამას ანტისაბჭოთა ემიგრა-

ნტული მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენლებიც აღნიშნავენ. მიხაკო წერეთელი წერდა: „ჩვენი უფროსი და ჩვენი „ბატონი" იყო ივანე. მისი ღვაწლი საქართველოსათვის მარტო წმინდა მეცნიერული არ ყოფილა". ამიტომ მას ცნობილი ანტისაბჭოთა მებრძოლი „საქართველოს წმინდა მამებთან" (გრ. ხანძთელი და სხვ.) აიგივებდა. გრიგოლ რობაქიძე წერს: „ივანე ჯავახიშვილმა პირნათლად გაამართლა კურთხევა დიდი ილიასაგან იდუმალი გზით მიღებული" (გ. შარაძე, უცხოეთის ცის ქვეშ, წ. I, თბ., 1991, გვ. 318, 336, 338, 192). ივ. ჯავახიშვილის ეროვნულ-პატრიოტული მოღვაწეობის პოლიტიკური მნიშვნელობის შესახებ საყურადღებოა, აგრეთვე, ცნობილი ემიგრანტი პუბლიცისტისა და გამომცემლის მ. ქავთარაძის ნააზრევი. იგი დიდი მამულიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ სპეციალურ პუბლიკაციაში („ივანე ჯავახიშვილი 1876-1976") აშუქებს მის მეცნიერულ ღვაწლს და დასძენს: „მაგრამ ივანე ჯავახიშვილი ასე დიდი არ იქნებოდა, რომ ყველაფერზე უწინარეს დიდი პატრიოტი არ ყოფილიყო." მ. ქავთარაძე წერს: ივ. ჯავახიშვილმა „საქართველოს უძღვნა თავი" იმ თვალსაზრისით, რომ „საბჭოთა ხელმწიფებას ძალას ართმევდა". ავტორის აზრით, „ქართველებისათვის ივანე ჯავახიშვილი იყო მოძღვართ მოძღვარი და ვინაიდან ძალით გამეფებულ ხელისუფლებას ქართველი არ ცნობდა, მოძღვართ მოძღვარი მიაჩნდა მას ქვეყნის პირველ კაცად და ქვეყნის სინდისის და გონების განსახიერებად" (ჟურნ. „თავისუფლების ტრიბუნა", 1976, №14-15, გვ. 3-4). ვფიქრობთ, მ. ქავთარაძის აღნიშნული აზრი გამოხატავს არა მარტო ივ. ჯავახიშვილის, არამედ, აგრეთვე, საერთოდ ხელისუფლების მიმართ მებრძოლი მთელი ლიბერალურ-კომპრომისული მიმდინარეობის ეროვნული ღვაწლის პოლიტიკურ ღირებულებას.

ივ. ჯავახიშვილის ეროვნული ღვაწლის ზემოთ მოყვანილი აზრი კიდევ უფრო ნათლად წარმოაჩინა შ. ამირეჯიბმა. იგი წერს: საბჭოთა საქართველოში „ეროვნულმა იდეამ თავი შემოინახა იმიტომ, რომ საქართველო, მთელი ქართველი ერი, სულიერ კონტაქტში იმყოფებოდა ივანე ჯავახიშვილთან" (იხ. შ. ამირეჯიბი, წიგნი II, გვ. 80). დიახ, ივ. ჯავახიშვილს საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობის და მშვიდობიანი ბრძოლის ტაქტიკისათვის არ გადაუხვევია. უფრო მეტიც, როდესაც ივანე ჯავახიშვილმა იგრძნო ქართველი ერის ახალი დიდი განსაცდელის, 1937 წლის საბჭოთა სახელმწიფოებრივი ტერორის მოახლოება, საკუთარი და მიმდევრების პოზიცია დიდი შოთა

რუსთაველის იმ სწავლებას დაუქვემდებარა, რომელიც კვარიევით ანთებულ ფიცხ პოლიტიკოსებს დიდაქტიკურად არიგებს: „სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს...". მან სთხოვა შალვა ნუცუბიძეს საქართველოს გასაბჭოების 15 წლისთავისადმი მიძღვნილ საუნივერსიტეტო და რესპუბლიკურ შეკრებებზე სიტყვით გამოსვლისას განეცხადებინა, რომ საბოლოოდ დადგა საბჭოურ პოზიციაზე. „მე არ შემიძლია ვამტკიცო, იყო თუ არა ეს გულწრფელი, – იგონებს შალვა ნუცუბიძე, – მაგრამ მე ეს განცხადება ორივე შემთხვევაში გავაკეთე" (გ. ციციშვილი, ჩეკისტური ბრალდებები შალვა ნუცუბიძის მიმართ და მათი დოკუმენტურ-ანალიტიკური კომენტარები, გვ. 101). ივ. ჯავახიშვილის ეს მოქმედება იყო სწორი, და ერთგვარად იყო აგრეთვე მიხეილ ჯავახიშვილის ადრინდელი ქმედების სახეცვლილი გამეორება. ეროვნული მოძრაობის ლიბერალურ-კომპრომისული მიმდინარეობის წარმომადგენლობა, არალეგალური ბრძოლისგან გამიჯვნის მიუხედავად, ხელისუფლების მხრივ მისი ეროვნულ-პატრიოტული გარჯის გამო, მუდმივ დევნა-შევიწროებას განიცდიდა. მაგრამ მისთვის განსაკუთრებით მძიმე 1937-1938 წლების დიდი ტერორი და შემდგომი წლების სახელმწიფოებრივ-ჩეკისტური ზემოქმედება აღმოჩნდა. 1937 წელს ჩეკისტური ძალადობითა და რეპრესიების გზით გამოძალული ჩვენებების საფუძველზე პ. იაშვილი იძულებული გახადეს თავი მოეკლა, დახვრიტეს მ. ჯავახიშვილი, ტ. ტაბიძე, ალ. ახმეტელი და მრავალი სხვა. 1938 წელს დააპატიმრეს და სასჯელის უმაღლესი ზომის ბრალდება შეუთითხნეს გრ. წერეთელს, შ. ნუცუბიძეს, ვ. ბერიძეს, ს. ყაუხჩიშვილს. გრ. წერეთელი პატიმრობაში გარდაიცვალა. საქართველოს ჩეკას ორგანოებმა პოლიტიკური კონიუნქტურის შესაბამისად ამავე წელს ვითომ გამოავლინეს, სინამდვილეში კი შეთითხნეს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ივ. ჯავახიშვილის მეთაურობით არსებული 121-კაციანი ანტისაბჭოთა კონტრრევოლუციურ-დივერსიულ-ფაშისტური ორგანიზაცია, რომელშიც თითქოს მთელი ქართული ინტელიგენციის ელიტა ერთიანდებოდა. მათ საკავშირო ჩეკას ხელმძღვანელობას დაპატიმრების სანქციის მოთხოვნით სათანადო დასაბუთება წარუდგინეს. მაგრამ თუ ეს არ განხორციელდა, მხოლოდ იმიტომ, რომ სსრ კავშირის ახალმა საერთაშორისო პოლიტიკურმა ორიენტაციამ ფაშისტურ გერმანიასთან დაახლოების აუცილებლობა მოითხოვა და, ამდენად, გერმანიასთან კავშირის თუ ფაშიზმის მოტივით რეპრესიების გაგრძელების სარფი-

ანობა გამორიცხა ახალი საგარეო-პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე კონიუნქტურამ (იხ. გ. ციციშვილი, დასახელებული მონოგრაფია). ამის შემდეგაც გრძელდებოდა ქართული ინტელიგენციის მიმართ სახელმწიფოებრივი ძალმომრეობა.

საქართველოს სახელმწიფო უშიშროების არქივში არსებული ნ. ჟორდანიას ერთ-ერთი ემისრის ჩვენებიდან ირკვევა, რომ „საბჭოთა მთავრობის", როგორც ჩანს, შინსახკომის მაშინდელი უფროსის ლ. ბერიას ინიციატივით, საქართველოში ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე შეიქმნა „ქართველი ხალხის ყველა კულტურულ ძალთა კომიტეტი", რომელიც მოიხსენიება აგრეთვე „პროფესორთა კომიტეტის" სახელწოდებით. მასში ხელისუფლება ფორმალურად არ მონაწილეობდა და ქართული ინტელიგენციის თვითმოქმედი გაერთიანების იმიჯს უქმნიდა. ამ ორგანიზაციას ევალებოდა ომის შემთხვევაში ხელისუფლებასთან სოლიდარული დავალებები: ფაშიზმის წინააღმდეგ პროპაგანდა, დეზერტირობასა და ოპოზიციასთან ბრძოლა. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე სახელმწიფოს მიერ საქართველოს ოკუპაცია მოხდებოდა, „კომიტეტს" თავის ხელში უნდა აეღო ხელისუფლება და უზრუნველეყო სასურველი სახელმწიფოებრივი მმართველობა. ჩვენებაში ნათქვამია: „ამ კომიტეტს თავიდან მეთაურობდა პროფესორი ჯავახიშვილი, შემდეგ სხვები, ოფიციალურად ხელისუფლება ამ კომიტეტში არ მონაწილეობს".

არქივში დაცულ ჩვენებაში მითითებულია, რომ 1940 წელს თბილისში ნ. ჟორდანიას პირადი დავალებით მყოფ ემისარ „ბერიკას" (შალვა ბერიშვილს) პირადად უსაუბრია ამ კომიტეტის ორ წევრთან. მას დაუდგენია, რომ ერთი მათგანი ხელისუფლების მხარეზე მდგარა, მეორე კი ამ „კომიტეტის" ეროვნული ინტერესების შესაბამისად გამოყენების მოსურნე ყოფილა და შ. ბერიშვილისთვის უთქვამს: „მთავრობამ შემოგვთავაზა, მაშასადამე, ასეა საჭირო, ჩვენ ჩვენსას ვიზამთ, თქვენ თქვენი გააკეთეთო" (სუკის არქივი, №28668, ფ. 30-32). ადვილი მისახვედრია, რომ მეორე მსოფლიო ომის წინ იგეგმებოდა მომავალ ომში თურქეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის თეორიული შესაძლებლობის შემთხვევისათვის საბჭოთა ხელისუფლებისთვის სასურველი ღონისძიებები და მისი უზრუნველყოფისათვის პრაქტიკული ნაბიჯებიც იდგმებოდა.

შ. ბერიშვილს უთქვამს, რომ ამ „კომიტეტს „კულტურულ ძალთა" ფართო კრებაც მოუწვევია, რომელზეც წაუკითხიათ ნ. ჟო-

რდანიას 1940 წლის 4 აპრილის დეკლარაცია, რომელიც რამდენიმე ენაზე გამოქვეყნდა ბევრი დემოკრატიული ქვეყნის გაზეთში და, რომელშიც ნათქვამია, რომ ქართველი მენშევიკები განთავისუფლებას არ მოელიან ისეთი ქვეყნისაგან, რომელიც სხვა ქვეყნებს ართმევს თავისუფლებას (ნაგულისხმევია ფაშისტური გერმანია) და რომ ისინი ყოველმხრივ დგანან დემოკრატიული ქვეყნების მხარეზე. ამ კრებაზე წაკითხულა აგრეთვე საქართველოში 1940 წელს საზღვარგარეთიდან შემოგზავნილი ემისარის სიმონ (სიმონიკა) გოგიბერიძის უბის წიგნაკის ჩანაწერი, რომელიც მას გურიაში ყოფნის დროს დედასთან დარჩენია. მასში ნათქვამია, რომ არ არსებობს არალეგალური საქართველო" (იქვე, ფ. 31). აქედან ჩანს, რომ ხელისუფლება ქართველ ინტელიგენციას აიძულებს იმუშაოს მის სასარგებლოდ. მაგრამ ისიც ჩანს, რომ ქართველი მამულიშვილები ცდილობენ ეროვნული ინტერესების სასარგებლოდ გამოიყენონ ხელისუფლების მზაკვრობა. ამ მიმართულებით ცოტა შესაძლებლობას როდი ქმნიდა ხელისუფლებასთან კომპრომისული თანამშრომლობა. მაგრამ ჩეკისტებიც ცდილობდნენ მსგავსი ამბებიდან თავის სასარგებლოს გამოტანას. ამ ორ ანტაგონისტურ ძალას შორის კომპრომისი, ჩვენი აზრით, უკავშირდებოდა მოცემულ პერიოდში მსოფლიოს და კერძოდ საქართველოს პერსპექტივების ბოლომდე გაურკვევლობას. ქართველი პატრიოტული ინტელიგენცია კომპრომისზე მიდიოდა მომავალ ომში ერის გენოფონდის და მატერიალური ფასეულობების მაქსიმალურად დაცვის ინტერესებით. თუ მომავალ ომში საბჭოთა კავშირი დამარცხდებოდა, ქართველი ეროვნულ-პატრიოტული ინტელიგენციის წარმომადგენელთაგან შედგენილი მთავრობა მინიმალური დანაკარგებით შეძლებდა სამშობლოს დამოუკიდებლობის მოპოვებასა და სუვერენული რესპუბლიკის ახალ საერთაშორისო რეჟიმთან დაკავშირებას. „პროფესორთა კომიტეტის" ორგანიზატორები, როგორც ჩანს, ვარაუდობდნენ ანტისაბჭოთა კოალიციის შემოტევას სამხრეთ კავკასიიდან. არ გამორიცხავდნენ მტრის მიერ საქართველოს ოკუპაციას (ბელორუსიის, უკრაინის და ბალტიისპირეთის რესპუბლიკების მსგავსად) და აქ გერმანიის იმპერიალიზმისათვის მისაღები უკიდურესად ანტისაბჭოთა, პროგერმანული, ემიგრანტული „თეთრი გიორგის" საზოგადოების წარმომადგენელთა ხელისუფლების დასმას. მეორე მსოფლიო ომის წინ და ომის პირველ წლებში მართლაც არსებობდა ვარაუდები და სათანადო მუშაობაც წარმოებდა, რომ გერმა-

ნიის ძალებით განთავისუფლებულ საქართველოში პრეზიდენტად დაესვათ „თეთრი გიორგის“ თვალსაჩინო ლიდერი მიხეილ კედია. მაგრამ საბჭოთა ძალების რევანშის შემთხვევაში სამხრეთ კავკასიის და კერძოდ მ. კედიას ბურჟუაზიული ხელისუფლების საქარველოს განთავისუფლება უაღრესად გაძნელდებოდა, დიდ სისხლისღვრას და მატერიალურ ფასეულობათა მაქსიმალურ განადგურებას გამოიწვევდა. გასათვალისწინებელია, რომ მარტო „თეთრი გიორგის“ საზოგადოებისა და მიხ. კედიას მეცადინეობით ომის წლებში გერმანულ ფორმას ატარებდა 40 000-მდე ქართველი(იხ. მ. ქავთარაძე, „იანიჩრები“, გვ. 129). ამ დროს „თურქეთს საბჭოთა საზღვარზე კონცენტრირებული ჰყავდა 1,5 მილიონიანი არმია“ (იხ. სუკის არქივი, №28668, ფ. 72). ჩვენი აზრით, ასეთი ეროვნული საშიშროების პერსპექტივა უბიძგებდა ქართველ ინტელიგენციას და მის იმდროინდელ ბელადს ივ. ჯავახიშვილს ხელისუფლებასთან ზემოთ აღნიშნული კომპრომისული ალიანსისაკენ. მსგავსი და ბოლომდე ამოუცნობი ამბავის შესახებ საყურადღებო წერილი გამოაქვეყნა პროფესორმა ვ. გურულმა. მისი პუბლიკაციიდან ჩანს, რომ 1953 წელს, როცა ნიკიტა ხრუშჩოვის ხელისუფლება ბრალდებებს უზვიადებდა ვითომ „იმპერიალიზმის ჯაშუშსა“ და „ქართული ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ელემენტების მფარველ“ ლ. ბერიას, მიზნობრივად დაიკითხა შინსახკომის გენერალი ირ. ნიბლაძე, რომელმაც „სტალინის მფარველობით“ ბერიას მიერ შეწყალებული ქართველი მამულიშვილების შ. ნუცუბიძის, ვ. ბერიძის, ს. ყაუხჩიშვილის, ნ. კეცხოველის, კ. გამსახურდიას, გ. წერეთლის და სხვათა ანტისაბჭოთა საქმიანობა წარმოაჩინა (В. Гурули, Сохранение буржуазно-националистических элементов в Грузии, газ. „Свободная Грузия“, 1996, 5 октября). ირ. ნიბლაძე დაბეჯითებით ასაბუთებს, რომ ჩეკამ 1947 წელს გამოავლინა ბერიას მფარველობაში მყოფი საქართველოს ბურჟუაზიული მთავრობა, რომელსაც განათლების მინისტრად გათვალისწინებული ჰყავდა გიორგი წერეთელი (იხ. იქვე). ეს ჩვენ სანდო წყაროდ მიგვაჩნია, რადგან სხვა წყაროებით დასტურდება, რომ 1922 წელს, როცა მამამისი ვასილი სათავეში ედგა ქუთაისის მაზრის ედპ-ის არალეგალური ანტისაბჭოთა ორგანიზაციის ბრძოლას, „გოგია“ ხელმძღვანელობდა ამავე მაზრის ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატების ბრძოლას (იხ. სუკის არქივი, №4684, ფ. 5). აქედან ნათლად ჩანს, რომ ქართული ლიბერალურ-კომპრომისული მიმდინარეობის ინტელიგენციას მუდმივი საფრთხის

პირობებში უხდებოდა ეროვნულ-პატრიოტული მოღვაწეობა. მაშასადამე, ლეგალური ეროვნული მოძრაობა სრულიადაც არ ნიშნავდა განცხრომით ყოფნას. ამ მიმდინარეობის წარმომადგენლობას ერის სასარგებლო მოღვაწეობა ყოველგვარი მოსალოდნელობა-მოულოდნელობისათვის მუდმივ მზადყოფნაში უხდებოდა, რაც იწვევდა მის სისტემატურ სიფხიზლესა და დაძაბულობას. მაშასადამე, ე.წ. „წაწოლის პოლიტიკით" მებრძოლი, ვითარების რეალისტურად მჭვრეტი ქართველი ლეგალურად მოღვაწე ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლობა გვევლინებოდა ილიას მეთაურობით წარმართული ეროვნული მოძრაობის ხაზის გამგრძელებლად, ანუ მისი პოლიტიკური მემკვიდრეობის ღირსეულ დამცველად. ჩვენს ამ მიგნებას უაღრესად პრინციპულ და მეცნიერული ღირებულების მქონე ფაქტად მივიჩნევთ, რომლის აღიარების გარეშე შეუძლებლად გვესახება ანტისაბჭოთა ქართული ეროვნული მოძრაობის ისტორიის გაგება. ეს აზრი მკაფიოდ გასდევს ყველა ჩვენს 90-იანი წლების გამოკვლევას, რომელიც მივუძღვენით საბჭოთა პერიოდის საქართველოს 20-30-იანი წლების პოლიტიკური ისტორიის, განსაკუთრებით კი ივ. ჯავახიშვილსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკური ცხოვრების გამოკვლევა-გაშუქებას. ამიტომ, ამ აზრთან დაკავშირებით, საყურადღებოდ მივიჩნევთ კომპეტენტურ მკითხველთა დამოკიდებულებას.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროიდან ერთ-ერთ ყველაზე მასობრივ არალეგალურ ანტისაბჭოთა ბრძოლას აწარმოებდა რადიკალური მიმდინარეობა. მასში ერთიანდებოდნენ ის პოლიტიკური პარტიები და პოლიტიკოსები, რომლებიც საბჭოთა პოლიტიკური და სოციალური სისტემის პირობებში ცდილობდნენ მასობრივ მოძრაობაზე დაყრდნობით მოეპოვებინათ ლეგალური ფუნქციონირების შესაძლებლობა, სახელმწიფოებრივ მმართველობაში მონაწილეობა და საქართველოს სუვერენული უფლებების შენარჩუნება, ხოლო თუ საქართველოდან რუსეთის ჯარი გავიდოდა, ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური სპექტრის შესაბამისი ხელისუფლების შექმნის უზრუნველყოფა.

მათ შორის იყო მენშევიკური პარტია, რომელმაც მიაღწია იმას, რომ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცკ-მა 1921 წლის 3 აპრილს დააკმაყოფილა მისი მოთხოვნა ლეგალური მუშაობის შესაძლებლობის მიცემის შესახებ. ამის სანაცვლოდ მენშევიკებმა დაგმეს

საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ საბოტაჟი. მაგრამ მათ წამოაყენეს მოთხოვნა დასავლეთ ევროპის სოციალისტური და კომუნისტური პარტიების წარმომადგენელთა ერთობლივი კომისიის შექმნის შესახებ, რომელსაც საქართველოში ხელისუფლების კანონიერი უმაღლესი ორგანოს არჩევნები უნდა ჩაეტარებინა. მენშევიკები მოითხოვდნენ აგრეთვე საქართველოდან რუსეთის ჯარების გაყვანას. ამ მიმდინარეობის წარმომადგენლის, შემდეგში ექსტრემისტული და ტერორისტული ბრძოლის ერთ-ერთი თვალსაჩინო ორგანიზატორის გოგიტა ფაღავას საქმეში ჩაკერებული წერილიდან ჩანს, რომ იგი ქუთაისიდან საზღვარგარეთ ატყობინებდა (1921წ. აპრილი): „ჩვენი პოლიტიკა ასეთია – ყოველგვარ საბოტაჟს ვუარყოფთ და უნდა ვიმუშაოთ ყველა დაწესებულებაში, გარდა აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებისა. გვსურს ლეგალურ ნიადაგზე სრულიად ლოიალური პოზიცია ვაწარმოოთ. მაგრამ ჩვენს კომუნისტებს ამის უფრო ეშინიათ. თბილისში პარტიული კრება ყოფილა, რომელსაც დაუდგენია, მოითხოვოს მუშათა და გლეხთა საბჭოების არჩევნების მოწყობა საერთაშორისო კონტროლის ქვეშ, თუ გინდა ამ კონტროლის გამსახიერებელი იყვნენ მარტო ევროპელი კომუნისტები. ეს ჩვენი დეკლარაცია გადაეცა მეორე და მესამე ინტერნაციონალს. ევროპაში მუშათა და სოციალისტურ წრეებში ჩვენი საკითხის შესახებ დიდი მითქმა-მოთქმა არის ყოველ შემთხვევაში. საჭიროა ამხანაგებმა შიშის სტადიიდან გადავიდნენ და საქმეს მოკიდონ ხელი“ (სუკის არქივი, №22435, ფურც.4).

აპრილში ორგანიზაციულად გაფორმდა მენშევიკური პარტიის შიგნით აღმოცენებული ოპოზიციური მიმდინარეობა, ე.წ. „სხიველების“ პარტია, რომელმაც კომპარტიასთან ობიექტური რეალობის შესაბამის ტაქტიკურ ხაზს დაუჭირა მხარი.

საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობის სურვილი გამოთქვეს მემარცხენე ესერებმა. შემდეგ კი მათ გაზეთ „შრომის“ გამოცემა განაახლეს და წამოიწყეს ეროვნული ინტერესებისთვის საკუთარი გაგებიდან გამომდინარე ბრძოლა. იგი შეეხებოდა ქართული ენის უფლებების დაცვას. ისინი პრინციპულად დაუპირისპირდნენ ახალი ეკონომიკური პოლიტიკის შემოღებას და ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნას.

საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებისთანავე სოციალ-ფედერალისტების პარტია რამდენიმე ნაწილად დაიყო. ერთი, მენშევიკების

მიმართ მტრულად განწყობილი ნაწილი, „მემარცხენე ფედერალისტების“ პარტია საბჭოთა ხელისუფლებასთან აქტიური ალიანსის გზას დაადგა. მართალია, ამ მიმდინარეობას სათავეში შალვა ნუცუბიძე ედგა, ხოლო მოადგილე თედო ღლონტი იყო, მაგრამ თ. ღლონტის ფრაქციამ კომუნისტურ პარტიასთან შერწყმის ტაქტიკა განახორციელა და ბოლოს საქმე იმით დაამთავრა, რომ შეერწყა კომუნისტურ პარტიას. შ. ნუცუბიძემ ჯერ კიდევ პარტიის დაშლამდე აირჩია პოლიტიკურ საქმიანობაზე უარის თქმა და მთელი თავისი საქმიანობა დაუკავშირა ივანე ჯავახიშვილის დასის მუშაობას. „მემარცხენე ფედერალისტები“, ხელისუფლებასთან ალიანსის მიუხედავად, თავგამოდებით იღვწოდნენ ეროვნული ინტერესებისათვის. მათ შორის გამოირჩეოდნენ შ. ნუცუბიძე, კ. გამსახურდია, ვ. კოტეტიშვილი და სხვა. შ. ნუცუბიძის აზრით, ეს ჯგუფი აკეთებდა დიდ ეროვნულ საქმეს. „მე დღესაც დარწმუნებული ვარ, – წერს შ. ნუცუბიძე, – რომ ამ ჯგუფის პოლიტიკა სწორია და მას მომავალი აქვს და ერთი წუთითაც არ მიმაჩნია ჩემის მხრივ პასუხისმგებლობა მოვიხსნა ყველა იმ ნაბიჯისათვის, რომელიც ჩემის მონაწილეობით იქნა გადადგმული“ (გაზ. „სოციალ-ფედერალისტი“, 1921, №87, 16 ივნისი).

სოციალ-ფედერალისტების მემარჯვენე ფრთა, ფაქტობრივად, ორად გაიყო. უფროსი თაობა შეეცადა ლეგალიზაციას, მაგრამ შემდეგ არალეგალურ მოძრაობას მიემხრო საბჭოთა ხელისუფლების უნდობლობის გამო (გრ. რცხილაძე, ალ. ბოკერია, ს. დადიანი და სხვ.). მისმა ახალგაზრდულმა ნაწილმა, საბჭოთა ხელისუფლების იმპერიული პოლიტიკის გამოვლინების კვალობაზე, მხარი დაუჭირა ანტისაბჭოთა ექსტრემისტულ მიმდინარეობას (იხ. ალ. ბოკერიას ჩვენება, ნ. კირთაძის დასახელებული წიგნი, გვ. 384-385).

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დამფუძნებელი კრების ფრაქციამ 1921 წლის მარტის შუა რიცხვებში ბათუმში გამართულ სხდომაზე გადაწყვიტა საქართველოში დარჩენა და ერის ხვედრის განაწილება. კომპარტიის ანტიეროვნული პოლიტიკის კვალობაზე, მათი ერთი ნაწილი რადიკალურ არალეგალური მოძრაობის მნიშვნელოვან ძალად ჩამოყალიბდა, მეორე ნაწილმა, უპირატესად სამხედროებმა და სტუდენტებმა ექსტრემისტულ მიმდინარეობას დაუჭირეს მხარი. მათგან იქმნებოდა პარტიზანული და მეამბოხური რაზმები. მათ (ალ. თორაძე, ალ. ასათიანი და სხვ.) უხელმძღვანელეს სვანეთის ცნობილ ანტისაბჭოთა აჯანყებას.

ეროვნულ-დემოკრატებმა და უპარტიო ოფიცრობამ იმთავითვე აქტიური მონაწილეობა მიიღეს ეროვნული ანტისაბჭოთა სამხედრო ძალების ჩამოყალიბებაში. მათ ამ მიზანს დაუქვემდებარეს ქართული წითელი ჯარის ორგანიზება, რომელსაც ადგილობრივი საბჭოთა ხელისუფლება ქართველი კომუნისტებისადმი ლენინის დირექტივების საფუძველზე ახორციელებდა. ამ მიმართულებით ეროვნულ დემოკრატების და სამხედროების მუშაობას შედეგად მოჰყვა ქართველი მხედრების თანამშრომლობა საბჭოთა ხელისუფლებასთან. საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობის შესახებ ფორმალური ხელშეკრულების დადების შემდეგ (15.III.1921. სამტრედიაში), ქართული მხედრობა საბჭოთა ხელისუფლებას დაუქვემდებარდა. ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა ცნობილი სოციალ-დემოკრატის ვალიკო ჩუბინიძის მოგონებაში დაფიქსირებული ფაქტი. იგი წერს: 1921 წლის მარტში ბათუმისკენ დახევის დროს „... ბრძანება მივიღეთ ქალაქ ლანჩხუთში მიდით და წითელი არმიის რწმუნებულს გენერალ მაზნიაშვილს იარაღი ჩააბარეთო. ჩვენი ეშელონი ბრძანების თანახმად ჩავიდა ლანჩხუთს და განიარაღდა" (იხ. აღნიშნული მოგონება, გვ. 96). აღნიშნულმა კომპრომისმა ხელი შეუწყო საბჭოთა წითელ ჯარში ქართველი მხედრების ერთი, თვალსაჩინო ნაწილის სამსახურს, მათ პატრიოტულ, არალეგალურ მუშაობას, პარტიზანული რაზმების ორგანიზებას, მოგვიანებით კი საქართველოს დამოუკიდებლობის პარიტეტულ კომიტეტთან თვალსაჩინო ქართველი სამხედრო სპეციალისტებისაგან შემდგარი „სამხედრო ცენტრის" შექმნას, ფართო ანტისაბჭოთა წარმომადგენლობად მის ჩამოყალიბებას და პატრიოტული ბრძოლის ორგანიზებას. ეს პროცესი ისტორიოგრაფიულად იმდენად სუსტად არის გარკვეული, რომ ქართული ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობის ისტორიის შემსწავლელ სპეციალურ პუბლიკაციებში მასთან დაკავშირებით მრავალი გაურკვევლობა გვხვდება. ეს გაურკვევლობები ძირითადად ასეთი კითხვების სახით ყალიბდება: I. როგორ მოხდა ქართველი მხედრობის ორგანიზება? II. ვინ იყო „სამხედრო ცენტრის" თავმჯდომარე? III. როგორია „სამხედრო ცენტრის" დამოკიდებულება პარტიზანული მოძრაობისა და საერთო ეროვნულ აჯანყებად მისი განვითარებისადმი? IV. რა როლი შეასრულა ქართველმა მხედრობამ ანტისაბჭოთა ეროვნულ მოძრაობაში?

აღნიშნულ კითხვებზე სრულყოფილი პასუხი მხოლოდ სპეციალური გამოკვლევის საფუძველზე შეიძლება.მაგრამ წინამდებარე წიგნის მიზანდასახულობიდან გამომდინარე საჭიროდ მივიჩნიეთ ჩვენთვის ხელმისაწვდომი წყაროებით გარკვეული ინფორმაციის წარმოჩენა.

არსებობს სათანადო წყაროები, მათ შორის, როგორც მოგონებების, ისე საარქივო მასალების სახით, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ, გავარკვიოთ ამ პრობლემის მაგისტრალური ხაზი: აქ საუბარი გვექნება იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობდა ანტისაბჭოთა პარტიზანული რაზმების შექმნა და ანტისაბჭოთა პარტიების სამხედრო-ორგანიზაციული საქმიანობა, რომელსაც გარკვეულ ეტაპზე სათავეში ეროვნული მოძრაობის საერთო ცენტრი „დამკომი" ჩაუდგა.

ანტისაბჭოთა სამხედრო ფორმირებების შესახებ საყურადღებო ცნობებს გვაწვდის ცნობილი ანტისაბჭოთა მებრძოლი, პუბლიცისტი და პერიოდული გამოცემების ორგანიზატორი ემიგრანტი მიხეილ ქავთარაძე. იგი ამ ცნობებს ეროვნულ დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამაარსებლის, მისი თავმჯდომარისა და აღიარებული ლიდერის სპირიდონ კედიას მოგონებებისა და მასთან პირადი საუბრების დროს შექმნილი შთაბეჭდილებების საფუძველზე გვაწვდის. მიხეილ ქავთარაძეს პუბლიკაციიდან ირკვევა, რომ იმ დროს, როცა საბჭოთა რუსეთის ჯარების მიერ დევნილი საქართველოს მთავრობა საზღვარგარეთ გასახიზნად ემზადებოდა და მისი ორატორები კი თანამებრძოლთ აიმედებდნენ: „ამხანაგებო, გული არ გაიტეხოთ, მეორე ინტერნაციონალი და ევროპის პროლეტარიატი ჩვენი დემოკრატიის შეურაცხყოფას ბოლშევიკებს არ შეარჩენსო", ხოლო ნ. რამიშვილი ქუთაისში პარლამენტის უკანასკნელ სხდომაზე „ირწმუნებოდა, ორ-სამ თვეში ისევ ტფილისში ვიქნებითო", ეროვნულ დემოკრატიული პარტიის ლიდერმა სპირიდონ კედიამ სწორად განსაზღვრა ამ ყალბი განცხადებების პერსპექტივა. მან მყარად გადაწყვიტა სამშობლოში დარჩენა და ქართველი ხალხის დაუმორჩილებლობის ორგანიზება. იგი ამ მიზნით განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს საიდუმლო სამხედრო ორგანიზაციების შექმნას.

მ. ქავთარაძე წერს: „ბათუმში ჩაისახა საიდუმლო ორგანიზაცია სამხედრო ცენტრისა. სპირიდინ კედიასთან ერთად მონაწილეობდნენ ილარიონ ლორთქიფანიძე (ბანკის დირექტორი) და დავით მიქელაძე. მიმოსვლის აღუდგენლობის გამო ს. კედია ტფილისში მხოლოდ მა-

რტის გასულს ჩავიდა (1921წ. – გ.ც.). **პირველი ვინც მის სანახავად მოვიდა, კოტე აფხაზი იყო. შემდეგ კი მას დაუკავშირდნენ ყველა მიმდინარეობის წარმომადგენლები (I –გ.ც.)...** თებერვალში განცდილმა მარცხმა ქართველი ხალხის ეროვნული შეგნების სასწრაფო გამოჯანსაღება გამოიწვია. ყველა ქართველ ინტელიგენტს თავი დამნაშავედ მიაჩნდა. სპონტანურად დაიბადა რევანშის წყურვილი – სირცხვილის მოსარეცხად...

ბათუმში მხედრებთან ერთად მიღებულმა სამხედრო გეგმამ ხორცშესხმა დაიწყო. მაშინ შეჩერდა საქმეში მონაწილეთა ყურადღება ქაქუცა ჩოლოყაშვილზე..." მ. ქავთარაძე გვარწმუნებს, რომ „ამ საქმის სათავე ჯერ კიდევ ბათუმში ს. კედიას და მხედრებს შორის მომხდარი მოლაპარაკებიდან მოდის. ამ მოლაპარაკების დროს გადაწყდა, რომ ქართველი მხედრები არ უნდა მორიდებოდნენ ქართულ წითელ ჯარში სამსახურს, არამედ, პირიქით, უნდა ცდილიყვნენ მოჩვენებითი ლოიალობით მაღალი საკომანდო პოსტები ჩაეგდოთ ხელში, რომ საჭირო დროს ქართული სამხედრო ძალები მათ ხელში ყოფილიყო. ავჯანყება ნავარაუდევი იყო კავკასიური მასშტაბით და აზერბაიჯანელებთან შეთანხმებით. ამ გზით და მიმართულებით დაიწყო კიდეც ამ საქმის პირველი მსვლელობა."

მ. ქავთარაძის აზრით, „ქაქუცას მოქმედებას ორგვარი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ვიდრე საერთო ავჯანყების სამზადისი დამთავრდებოდა, ეს რაზმი მცირერიცხოვანი უნდა დარჩენილიყო. მის არსებობას უნდა გაემაგრებინა ხალხში იმედი და ამავე დროს მოძალადე ხელისუფლებასაც უნდა შეკვეცოდა კადნიერება, რომ თავი დაუსჯელად არ ეცნო.

რომ არჩევანი ქაქუცაზე შეჩერდა, ამას თავისი ლოგიკური საფუძველი ჰქონდა. ასეთი რაზმის ბუდე სწორედ კახეთი უნდა ყოფილიყო." „ლოგიკურ საფუძვლად" იგულისხმებოდა კახეთის გეოპოლიტიკური მდგომარეობა: სიახლოვე თბილისთან, პატრიოტულად განწყობილი თუშ-ფშავ-ხევსურებთან და ჩრდილოეთ კავკასიის დაუმორჩილებელ ხალხებთან, რომლებიც ბუნებრივ მოკავშირედ იგულისხმებოდნენ. კახელებს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მდიდარი ტრადიცია ჰქონდათ. ჰყავდათ საუკეთესო პატრიოტული კადრები და თვალსაჩინო მხედართმთავრები და ა.შ. მაშასადამე, რაზმის უფროსიც კახელი უნდა ყოფილიყო. ამ მიზნით ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი ყველაზე მისაღები კანდიდატურა აღმოჩნდა.

როგორც ჩანს, მისი კანდიდატურის შერჩევისას გარკვეული როლი შეასრულა გენეალოგიამ, აგრეთვე ქაქუცას ყოველმხრივ შემკულმა პიროვნულმა თვისებებმა და წარსულმა მხედრულმა დამსახურებამ. კახელი ჩოლოყაშვილები რომ ხევსურეთიდან იყვნენ და მათი წინაპრები საქართველოსათვის ბრძოლაში თავგამოდებით გამოირჩეოდნენ, ამასაც ყურადღება ექცეოდა.

მ. ქავთარაძე ს. ჩიჯავაძის მოგონებების საფუძველზე მოგვითხრობს, რომ 1921 წლის ზაფხულში კახეთის სოფელ კისისხევში დასვენების დროს სპირიდონს რამდენიმე საგულისხმო შეხვედრა ჰქონია ქაქუცასთან და შემდგომში პარტიზანული ბრძოლების ზოგ სხვა მონაწილესთან. როცა აქ პირველად მოაკითხა ქაქუცამ, „სპირიდონს არ გაკვირვებია, თითქოს ელოდა. მცირე საუბრისა და გასეირნების შემდეგ წავიდნენ სოფელ კონდოლში." „სპირიდონმა გამაფრთხილა, – იგონებს ს. ჩიჯავაძე, – რომ იმ ღამით იქ დარჩებოდა. თურმე იქ სხვა პირებთანაც ჰქონდა შეხვედრა. ორი კვირის შემდეგ ქაქუცა მეორედ მოვიდა სპირიდონთან და წასვლისას... ამოსძახა: ორ-სამ დღეში გეახლებიო." მეუღლე გაოცებულა, სპირიდონისთვის უკითხავს, რა ჰქონდა საერთო ამ დარდიმანდ ყმაწვილთან. თავის მხრივ სპირიდონს ქაქუცა „ძალიან სანდო, გამოსადეგ და კარგ ქართველად" დაუხასიათებია. იგი ორი-სამი დღის შემდეგ მართლაც მოსულა, ამჯერად შალვა ფავლენიშვილთან ერთად, რომელიც შემდგომ ქაქუცას თანაშემწედ და მისი პარტიზანული ბრძოლების აქტიურ მონაწილედ იქცა.

მ. ქავთარაძის ცნობებით, იმ ზამთარს გახშირდა სპირიდონთან სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების ლიდერების კონტაქტები. მათ შორის იყვნენ: ფედერალისტები – ლასხიშვილი და რცხილაძე, სოციალ-დემოკრატები – ს. ჯიბლაძე და ნიკოლოზ ქარცივაძე, ესერი – ლეო ნათაძე, ეროვნულ-დემოკრატი – იასონ ჯავახიშვილი და სხვები. სპირიდონი არალეგალურ მდგომარეობაში გადასვლას აპირებდა ვანო ჩიჯავაძის სახლში, მაგრამ სწორედ ამ დროს დააპატიმრეს. მას პატიმრობის დროსაც არ შეუწყვეტია კავშირი თანამოაზრე-თანამებრძოლებთან. კონსპირაციული მეკავშირის როლს ასრულებდა მეუღლე, რომელსაც მიმოწერის გაცვლა უხდებოდა.

„თავიდანვე სპირიდონი იმ აზრისა იყო, – წერს მ. ქავთარაძე, – რომ მტერმა მთლიანად არ უნდა დაიმორჩილოს ქვეყანა – პატრონად არ ეჩვენოსო. ამიტომ ქვეყნის სადარაჯოზე შეიარაღებული ძალა

უნდა ვიყოლიოთ, თუ კავკასიის მასშტაბით მოხერხდა მტრის წინააღმდეგ გამოსვლა იმ მომენტისათვის ჩვენც მზად ვიქნებითო." მ. ქავთარაძის პუბლიკაციიდან ჩანს, რომ სპირიდონის თანამებრძოლთა შორის სხვაგვარად მოაზროვნეებიც ყოფილან: „უფრო აჩქარებული და გამბედავნი." „მაგალითად, კოტე აფხაზი იმ აზრისა იყო, რომ ტერორს ჩვენც ტერორით უნდა ვუპასუხოთო. ორჯონიკიძის თავიდან მოცილება მაინც უნდა შევძლოთო." სპირიდონის სანახავად ნამყოფი დათიკო მიქელაძის „ბუტბუტიდან" ჩანდა, რომ სამხედრო პარტიზანული რაზმის მთავარი ორგანიზატორი ქაქუცას მოქმედების სიდინჯეს მოითხოვდა: „ქაქუცამ უნდა დაიზამთროს და თუ ჩვენი მეზობლებიც გამოვლენ, მხოლოდ მაშინ ერთად ვიმოქმედებთ, სხვანაირად მარტო ჩვენი ბრძოლა შეუძლებელიაო." დ. მიქელაძე გაგებით ეკიდებოდა ქაქუცას თავნებობას (იხ. მ. ქავთარაძე, სპირიდონ კედია. ბიოგრაფიული ცნობები და ნაკვეთები მოღვაწისა და კაცის პორტრეტისათვის. ჟურნ. „ივერია", პარიზი, 1979, №2, გვ. 1, 7-9).

ზემოთ გამჟღავნებული სპირიდონის აზრი და ქაქუცა ჩოლოყაშვილის მხრივ მეტი თავშეკავების მოთხოვნა, გამოწვეული იყო იმით, რომ მას შემდეგ, რაც ქაქუცამ რაზმების ორგანიზების მიმართულებით გარკვეული სამუშაოები ჩაატარა, მისით მრავალი პიროვნება დაინტერესდა. მათ შორის ზოგმა მეტი ინიციატივა გამოიჩინა და ხელი წაახმარა ქაქუცას ანტისამთავრობო მოქმედებათა დაჩქარებას. ამ მხრივ, როგორც ჩანს, განსაკუთრებული როლი შეასრულეს ივანე გიორგის ძე ციციშვილის მიერ დაარსებულმა მწარმოებელ კოოპერატორთა კავშირმა, თავად მისმა დამფუძნებელმა და მასთან დაკავშირებულმა ეროვნულ-დემოკრატებმა: დ. ვაჩნაძემ, მ. წინამძღვრიშვილმა და სხვ. მწარმოკავშირის ფინანსური მხარდაჭერითა და სამხედრო-ორგანიზაციული ღონისძიებებით შემზადდა 1921 წლის სვანეთის და შემდეგ 1922 წლის ხევსურეთის აჯანყებები (ამ საკითხზე იხ. დ. ვაჩნაძე, დაპყრობილ საქართველოში, ჟურნ. „კრიტიკა", 1992, №1, გვ. 96-98).1921 წლის ზაფხულში ხელისუფლების მიერ სასოფლო-სამეურნეო გადასახადების შემოღებამ გლეხების უკმაყოფილება გააძლიერა. ეროვნული ხელისუფლების დროს გლეხობა ამ გადასახადისაგან თავისუფალი იყო. ამიტომ ახლა ხელისუფლებით უკმაყოფილო ხალხში ხმები დაირხა: „ქაქუცა ხალხს აგროვებსო." შესაბამისად, ჩეკას აგენტებით მოიფინა მთელი თბილისი და კახეთი. მოვლენების ასეთმა განვითარებამ წინდახედულთა, მათ შორის, ს. კედიას,

უკმაყოფილება და შეშფოთება გამოიწვია. დ. ვაჩნაძე წერს: „ამ ზამთარში, ვგონებ, ყველას „ვირის აბანოში" ამოგვაყოფინებენ თავსა – მითხრა მწერალმა მიხეილ ადამაშვილ-ჯავახიშვილმა კახეთში ჩემი გამგზავრების წინა დღეს" (იხ. იქვე, გვ. 98).

დ. ვაჩნაძის მოგონებებს ქვემოთ, სათანადო საკითხების გარკვევასთან დაკავშირებით, არაერთგზის დავუბრუნდებით. ამჯერად საინტერესოა, ვინ აჩქარებდა ქ. ჩოლოყაშვილის ანტისაბჭოთა მოქმედებებს. ეს გახლდათ კოტე აფხაზი, რომელიც შემკული იყო მრავალი რეგალიით.

ემიგრანტი სევერიან ჭირაქაძე დ. ვაჩნაძის გარდაცვალების (1962.23.I) გამო გამოქვეყნებულ წერილში აღნიშნავს: „საერთო ავჯანყების მიზნით დაარსებულ **სამხედრო ორგანიზაციას** (? – გ.ც.) სათავეში ედგა კოტე აფხაზი. მისი დავალებით ის (დ. ვაჩნაძე – გ.ც.) საქართველოს ყველა კუთხეში ქმნიდა სამხედრო ორგანიზაციების ქსელს... ქართველი ერის **საბედისწეროთ შეთქმულების ეს წინასწარი სამზადისი** (! – გ.ც.), გამცემლობის და ღალატის ჩადენით, აღმოჩენილ იქნა, მისი უმრავლესობა დაპატიმრებულ და სიკვდილით წამებულ იქნა" (იხ. ჟურნ. „ივერია", 1963, №10, გვ. 44). საყურადღებოა ის, რომ ს. ჭირაქაძე ქართველი მხედრების ჩავარდნას საერთოდ გავრცელებული, არაზუსტი სქემის მიხედვით ხსნის. მაგრამ აქ განსაკუთრებით მნიშვნელოვნად გვესახება ის, რომ: იგი ადასტურებს ქართველი მხედრობის ანტისაბჭოთა ბრძოლის ორგანიზებაში კ. აფხაზის განსაკუთრებულ როლს; ს. ჭირაქაძე კ. აფხაზს აკავშირებს სამხედრო შეთქმულებასთან და მის პრაქტიკულ ორგანიზატორად აცხადებს ასევე უაღრესად ავტორიტეტულ მამულიშვილს დ. ვაჩნაძეს. მაშასადამე. ს. ჭირაქაძე კ. აფხაზს ასახელებს საქართველოს ანტისაბჭოთა სამხედრო ორგანიზაციების მეთაურად.

კ. აფხაზის როლის გარკვევაში გვეხმარება აგრეთვე ალ. სულხანიშვილიც. იგი თავის მოგონებებში მოგვითხრობს, რომ 1921 წელს, დასავლეთ საქართველოში უკანდახევის დროს შეხვედრია დავით ჭავჭავაძეს და ქაქუცა ჩოლოყაშვილს. ალ. სულხანიშვილმა ქაქუცას უამბო, რომ მისთვის წითელ ოსებს ძმა მოუკლავთ და, რომ გადაწყვეტილი აქვს მათთან ანგარიშის გასწორება, ამ მიზნით კი რამდენიმე კაცის აყოლიება. პასუხად ქაქუცას უთქვამს: „მეც მალე ჩამოვალ თბილისში, შევხვდები გენერალ აფხაზს და ყველაფერს გავარკვევთო" (ალ. სულხანიშვილი, მოგონებები შეფიცულთა რაზმზე,

სან-ფრანცისკო, 1981, გვ. 11). აქედან ჩანს, რომ კ. აფხაზი ქაქუცას მომავალ ანტისაბჭოთა საქმიანობაშიც განსაკუთრებულ როლს ასრულებს.

კ. აფხაზის შესახებ განსაკუთრებით საინტერესოა დ. ვაჩნაძის ვრცელ მოგონებებში მოცემული ინფორმაციული მომენტები. იგი მოგვითხრობს ქართული წითელი დივიზიის შტაბის უფროსის პოლკოვნიკ როსტომ მუსხელიშვილის „გეგმის" შესახებ, რომელიც თითქოს ითვალისწინებდა საბჭოთა საოკუპაციო ხელისუფლებისაგან საქართველოს, ამიერკავკასიის და მთელი კავკასიის გამოგლეჯას. ამ საეჭვოდ ჰიპერტროფირებული „გეგმის" თაობაზე საუბარი ცალკე საკითხია, აქ კი საჭიროა აღინიშნოს, რომ, დ. ვაჩნაძის მონათხრობის მიხედვით, ეს გეგმა რ. მუსხელიშვილმა შეუთანხმა გენერლებს კ. აფხაზს და ალ. ანდრონიკაშვილს, რომლებსაც იგი მოუწონებიათ. კ. აფხაზმა ურჩია გეგმა დაუყოვნებლივ ეცნობებინა ჩოლოყაშვილისათვის (დ. ვაჩნაძე, სამშობლოს სამსახურში, ჟურნ. „ივერია", 1993, გვ. 209). აქ, ჩვენი აზრით, ყურადღებას იმსახურებს მხოლოდ ის, რომ სამხედრო შეთქმულების მომზადებაში კ. აფხაზი ასრულებს მთავარ მაკონტროლებელ და მაკოორდინებელ ფუნქციას. ერთი რამ ამთავითვე ცხადია, გენერალი კ. აფხაზი სამხედროების ერთ ნაწილში განსაკუთრებული ავტორიტეტით სარგებლობს. მის ამ განსაკუთრებულ მიმზიდველობას კი, ჩვენი აზრით, ქმნის არა მხოლოდ მისი ავტორიტეტი, არამედ ისიც, რომ იგი მხარს უჭერს აქტიურ მოქმედებას, ანუ ექსტრემისტულ განწყობილებას. კ. აფხაზის, როგორც ექსტრემისტული მიმდინარეობის ხელმძღვანელის შესახებ ზემოთ ნაწილობრივ უკვე ვისაუბრეთ. ამის თაობაზე დამატებით ინფორმაციას ვპოულობთ სხვა წყაროებშიც. მ. ჯავახიშვილის 1923 წლის 12 მაისის დაკითხვის ოქმში დასმულია ძიების მოთხოვნა: „დაასახელეთ ეროვნულ დემოკრატთა ცენტრალური კომიტეტის ბოლო შემადგენლობის იმ წევრთა გვარები, რომლებიც რადიკალიზმთან (ანუ ზომიერ მიმდინარეობასთან – გ.ც.) ახლოს დგანან. პასუხი: „მე, იასონ ჯავახოვი, ნიკო კეცხოველი, სერგი დანელია, დიმ. ჯავახოვი. დარჩა კოტე აფხაზი და წინამძღვარი, რომლებიც პოლიტიკურად ერთობ სუსტად არიან მომზადებული" (ნ. კირთაძე, 1924 წლის აჯანყება საქართველოში, გვ. 221). კ. აფხაზი, დ. ვაჩნაძე, გ. წინამძღვრიშვილი რომ ეროვნულ დემოკრატიული პარტიის მემარჯვენე-ექსტრემისტულ ფრთას ქმნიან, ეს სხვა უამრავი წყაროებითაც დასტურდება.

მსგავსი „ფიცხი“ პიროვნებები ყველა სხვა პარტიებში არიან. მაგრამ აქ საყურადღებო ის არის, რომ დასახელებული პირები განსაკუთრებით მჭიდროდ არიან დაკავშირებული ქაქუცა ჩოლოყაშვილთან და სხვა პარტიზანულ რაზმებთან. მაშასადამე, როგორც ირკვევა, ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობის საწყის ეტაპზე აღინიშნა ორი ძირითადი მიმდინარეობა: პირველი, შედარებით მკაფიო, ექსტრემისტული განწყობილებისა, რომელსაც მხარს უჭერს გენერალი კ. აფხაზი, აგრეთვე ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის გარკვეული ნაწილი და მეორე, ზომიერი, რომელსაც წარმოადგენს ამ სამხედრო რაზმების ერთ-ერთი ორგანიზატორი ს. კედია. აქედან გამომდინარე, შესაძლო ხდება გავიგოთ, თუ რატომ აღმოჩნდა მიუღებელი თავდაპირველი „სამხედრო ცენტრისათვის“ კ. აფხაზის კანდიდატურა.

მას შემდეგ, რაც გამოვლინდა ხელისუფლების მიერ საქართველოს სუვერენიტეტის შეკვეცა და რუსული შაბლონისადმი მორჩილების პოლიტიკა, ეროვნულ-დემოკრატების და სამხედროების ერთი ნაწილი დაადგა რადიკალური, არალეგალური ბრძოლის ტაქტიკის გზას, ხოლო მეორე ნაწილმა გააძლიერა ექსტრემისტული ტაქტიკით მოქმედება. სვანეთის აჯანყების შემდეგ სწორედ მეორე ნაწილს ეყრდნობოდნენ კახეთსა და ფშავ-ხევსურეთში მოქმედი ქ. ჩოლოყაშვილის საბრძოლო რაზმები. ექსტრემისტი ეროვნულ დემოკრატების და სამხედროების ჯგუფს, როგორც აღვნიშნეთ, სათავეში ედგა კ. აფხაზი. 1922 წლის ზაფხულის დასაწყისის მდგომარეობის მიხედვით, ექსტრემისტების ამ ჯგუფის მეთაური კ. აფხაზი, ეროვნულ დემოკრატების ცკ-ის წევრის შ. ამირეჯიბის თანახმად, „ჩვენ ცენტრსაც ხელმძღვანელობდა და სამხედრო ცენტრთანაც მჭიდრო კავშირი ქონდა“ (იხ. შ. ამირეჯიბი, წიგნი II, გვ. 153). „ჩვენ ცენტრში“ შ. ამირეჯიბი გულისხმობს ეროვნულ-დემოკრატებისა და სამხედროების მონარქისტულად განწყობილ წარმომადგენლობას. იგი წერს: „ნაციონალურ წრეებში (! – გ.ც.), განსაკუთრებით სამხედრო წრეებში და, ნაწილობრივ, თუ სავსებით არა, ეროვნულ დემოკრატიულ წრეებში (იდეურად – გ.ც.), ფეხს იკიდებდა არა დემოკრატიული რესპუბლიკის რესტავრაცია, არამედ ტრადიციული საქართველოს სამეფოს აღდგენა. ამ აზრისა იყო ქ. ჩოლოყაშვილიც. რათა ეს აზრი გლეხობისთვისაც მისაღები გაეხადა, მან შეიმუშავა მოკლე ფორმულა: მეფე და ერი! ეს იყო კ. აფხაზის და დანარჩენ მხედართა აზრიც. ეს არ ეწერა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პროგრამაში და დროშა-

ზედ, მაგრამ მას აღიარებდა ბევრი ეროვნულ-დემოკრატი" (იხ. იქვე, გვ. 162). შ. ამირეჯიბს მოჰყავს თვალსაჩინო მონარქისტი ეროვნულ დემოკრატების ჩამონათვალიც: „ჯავახიშვილი (იასონი – გ.ც.), იშხნელი, წინამძღვრიშვილი, პატარიძე და მე". „ჩვენ ოთხნი, პატარიძის გარდა, ყველანი ვიყავით ტფილისის ძველი სათავადაზნაურო სკოლის შეგირდები, ქართული სამეფოს ტრადიციაში აღზრდილნი. პატარიძე ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლის შეგირდი იყო..." (იხ. იქვე). ამ ჩამონათვალში აუცილებლად უნდა ყოფილიყო დავით ვაჩნაძე, რომელიც კ. აფხაზისა და ქ. ჩოლოყაშვილის უახლოესი თანამოაზრე-თანამებრძოლი იყო. მაგრამ იგი რომ ნახსენებთა შორის არ არის, მხოლოდ იმიტომ, რომ ჩამონათვალი ეხება 1924 წლის აჯანყების წინა ხანის კონკრეტულ პერიოდს: ამ დროს დ. ვაჩნაძე უკვე კონსტანტინოპოლში იყო გასული. ამ მიმდინარეობის წარმომადგენელთა საქმიანობას კარგად გამოხატავს ეროვნულ-დემოკრატის, დავით ვაჩნაძის („სამფერის" – გ.ც.) 1922 წლის 26 ივლისის (20 აგვისტოს – გ.ც.) წერილი ქ. ჩოლოყაშვილისადმი (ვითომ „ცენტრის" ბრძანება №1 – გ.ც.). მასში ნათქვამია: „საზღვარგარეთს დავუკავშირდით. უკანასკნელი ცნობების მიხედვით ინგლისს, საფრანგეთს, ამერიკას და იტალიას განზრახული აქვთ ძალით ჩაერიონ რუსეთის საქმეებში – ემზადებიან კონსტანტინოპოლი – ანგორას მეშვეობით. ამ გეგმის შესრულებას შემოდგომაზე შეუდგებიან, ასე რომ, ჩვენი აჯანყება შეიძლება მათ გეგმებს დაემთხვას..." (ნ. კირთაძე, დასახელებული წიგნი, გვ. 128). ეს არის მიზნობრივი ბლეფი. ეს გ. მამულიამ ჯერ კიდევ 1989 წელს მეტეხის ციხის იატაკის ქვეშ (? – გ.ც.) „აღმოჩენილი" რამდენიმე დოკუმენტის ანალიზის საფუძველზე შეამჩნია (იხ.: წამებულთა გაცოცხლებული ხმა, გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 1989, 26 მაისი, გვ. 9). მაგრამ ეს არის აგრეთვე არა მარტო ექსტრემიზმის, არამედ მისი ავანტიურიზმად წაქეზების საშიში ცდის სანიმუშო მაგალითი. მაშასადამე, საქართველოში მონარქიის აღდგენას მიზნად ისახავდა სამხედრო პირთა და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის გარკვეული წარმომადგენლობა. აქედან გამომდინარეობდა მათი ტაქტიკური შეურიგებლობა მენშევიკებთან და თანაპარტიელების გარკვეულ ნაწილთან.

შ. ამირეჯიბის არქივში აღმოჩნდა 1942 წლის 25 მაისით დათარიღებული დოკუმენტი „პოლიტიკური გამჭრიახობისა და თადარიგისათვის", საიდანაც ჩანს, რომ ემიგრანტების ერთი, პროგერმანუ-

ლად განწყობილი ბერლინის ჯგუფი მიზნად ისახავდა საქართველოს სამეფოს აღდგენას და მეგობრობას გერმანიასთან. სრულიად საქართველოს სამეფო ტახტისათვის მემკვიდრის ასარჩევად დასახელდა ორი კანდიდატი, დედის ხაზით ერეკლე II-ისა და დარეჯან დედოფლის ჩამომავლები: I. თავადი **ირაკლი მუხრან-ბატონიშვილი**, როგორც ბაგრატიონი და II. შერჩევით, დამსახურებით და მოდგმით თავადი **სვიმონ ციციშვილი**, მეცნიერი სამთო-გეოლოგი. დოკუმენტში ნაჩვენებია კანდიდატების გენეალოგიური ხაზი. მას, აგრეთვე, აქვს წარწერა, ანუ თავადი სვიმონის „მოწოდება": „ამჟამად მთავარი მიზანია ქართველი ერის გადარჩენა განადგურებისაგან. ამისთვის საჭიროა ყველა ქართული ძალების გაერთიანება, შეკუმშვა და ერთ პიროვნებაში გამოსახვა. მოგიწოდებთ ჩემს მეგობრებს, მომხრეებს და მოწინააღმდეგეებს ყოველი კუთხის ქართველს – მხარი დაუჭირეთ და მორჩილება გამოუცხადეთ თდ. ირაკლი ბაგრატიონს ბატონიშვილს, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ქართველი ერის და მისი წარმომადგენლობის წინაშე. მოგიწოდებთ დაცული იყოს სრული მორჩილება, ერთგულება და თავდადება – „საქართველო უწინარეს ყოვლისა". აქვე აღმოჩნდა ორი სხვა ხელნაწერი სია სათანადო მინაწერით, საიდანაც ჩანს, რომ ემიგრაციაში ფუძნდებოდა ტრადიციონალისტთა კავშირი (იხ. იქვე, გვ. 252-254). მაშასადამე, ოკუპირებულ საქართველოში, შემდეგ კი ემიგრაციაში გრძელდებოდა საქართველოს სამეფოს აღდგენის ტრადიცია. მის მომხრეთა, უპირატესად სამხედროებისა და ეროვნულ-დემოკრატების აზრით, მხოლოდ სამეფოს აღდგენას შეეძლო საქართველოს რუსეთისაგან ჩამოშორება და სრულიად ქართველთა ინტერესების დაცვა სოციალურ-პოლიტიკური ბრძოლის და ყალბი იდეოლოგიური დოქტრინის გამორიცხვით.

მაშასადამე, როგორც ვნახეთ, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ ხანებში პოლიტიკურმა პარტიებმა მხარი აუბეს ახალი რეჟიმის დაპირებებს პოლიტიკური ამნისტიის, არაერთპარტიული რევოლუციური მთავრობის შექმნის და მასში ინტერპარტიული თანამშრომლობის, ქართული ენის სახელმწიფოებრივი ფუნქციის დაცვის, საქართველოს სრული ეროვნული სუვერენიტეტის შენარჩუნების, ეროვნული არმიის მშენებლობის, რუსეთის წითელი არმიის საქართველოდან გაყვანის და თავისუფალი არჩევნების დაშვების შესახებ. როგორც ჩანს, იმუშავა საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ ლენინის, სტალინის, ფ. მახარაძის და სხვათა დაპირებებმა. ბუდუ

მდივანი (ნაძალადევის მუშათა შეკრებაზე) და კოლია ოკუჯავა (უნივერსიტეტის სტუდენტთა წინაშე), პარტიის ბელადების დაპირებებით დაიმედებულები, აცხადებდნენ, რომ უახლოეს ხანში მოხდებოდა რუსეთის საოკუპაციო წითელი ჯარის საქართველოდან გაყვანა (სუკის არქივი, №23410 ფ. 56; №22761, ფურც. 17).

როგორც ცნობილია, ხელისუფლება დათანხმდა ქართული ენა კონსტიტუციურად დაკანონებულიყო სახელმწიფო ენად, პირველ ხანებში თითქოს გატარდა კიდეც გარკვეული ღონისძიებები სახელმწიფო დაწესებულებების გაეროვნულების მიზნით. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა განათლების სახკომთან არსებული ე.წ. „სახელმწიფო საბჭოს" საქმიანობა, რომლის ფაქტობრივი თავმჯდომარე ივ. ჯავახიშვილი იყო. იგი აერთიანებდა ეროვნულ მოღვაწეებს და იღვწოდა ქართული ენის სახელმწიფოებრივი ფუნქციის წარმატებით რეალიზაციისათვის[1].

მაგრამ მალე გამოვლინდა, რომ საბჭოთა ხელისუფლება და ე.წ. პროლეტარიატის დიქტატურა ვერ ეგუებოდა სოციალიზმის ფორმებისა და შინაარსისადმი შემოქმედებით, ადგილობრივ თავისებურებათა გათვალისწინებით მიდგომას. ადრინდელი დაპირებები ყალბი გამოდგა და პატრიოტულ ძალთა მოთმინებაც გამოირიცხა. ეროვნული ინტერესების ხელყოფა განსაკუთრებით მტკივნეულად გამოავლინა, მოგვიანებით, ამიერკავკასიის ფედერაციის და სსრ კავშირის შექმნამ, აგრეთვე უმაღლესი ხელისუფლების ორგანოებში ოპოზიციური პარტიების მონაწილეობის გამორიცხვამ და საქართველოს სუვერენულ უფლებათა სამმაგმა შეკვეცამ. იგი გამოავლინა ერთპარტიულმა დიქტატურამ, ვითომ სუვერენულად აღიარებული საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის დაქვემდებარებამ ჯერ ამიერკავკასიის ფედერაციის, შემდეგ კი სსრ კავშირის სახელმწიფოებრივი სტრუქტურებისადმი. ყოველივე ამის, შედეგად, უკიდურესად შეიზღუდა საქართველოს სსრ სახელმწიფოებრივი სუვერენობა. ამ საფუძველზე საქართველოს კონსტიტუციურად ჩამოერთვა ისედაც ფორმალური, სახელმწიფოებრივი თვითგამორკვევის და სსრ კავშირი-

---

[1] იხ.: ფ. დანელია, ქართული კულტურის გამოჩენილი მოღვაწე დავით კანდელაკი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქიო სამმართველოს ბიულეტენი, 1989, №55-56, გვ. 167-177.

დან დამოუკიდებლად გამოყოფის კომუნისტების მიერ დეკლარირებული უფლება და ა.შ.

ობიექტურმა რეალობამ უკვე საქართველოს ოკუპაციის პირველი წლის დამთავრებამდე ცხადი გახადა, რომ კომპარტია და საბჭოთა რუსეთი საქართველოშიც თავისი სახელმწიფოებრივი შაბლონის ტიპის ხელისუფლებას აშენებდა. ამის კვალობაზე ხდებოდა ქართული ეროვნული მოძრაობის არალეგალური მიმდინარეობის ფორმირება. ანტისაბჭოთა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლობა თანდათანობით დაჯგუფდა ორ მკაფიოდ გამოხატულ რადიკალურ და ექსტრემისტულ მიმდინარეობად. თითქმის ყველა პოლიტიკურ პარტიაში აღმოჩნდნენ როგორც რადიკალიზმის, ისე ექსტრემიზმის ტაქტიკის მიმდევრები. მართალია, ეროვნული მოძრაობის საერთო სტრატეგიული მიზანი ერთიანი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა და მისი სუვერენიტეტის შენარჩუნება იყო, მაგრამ ამ მიზნის მიღწევის გზებში ეროვნული მოძრაობის თითოეული მიმდინარეობა განსხვავებული მეთოდების უპირატესობას ხედავდა. ეროვნულ-დემოკრატი ექსტრემისტების მაგალითზე კარგად ჩანს, რომ ისინი მხარს უჭერდნენ შეიარაღებული აჯანყების უახლოეს პერიოდში ორგანიზებას და მიზნად ისახავდნენ ბოლომდე გაუაზრებელი გეგმით საქართველოდან ბოლშევიკების განდევნას. ცნობილი ეროვნულ-დემოკრატი ექსტრემისტის, დავით ვაჩნაძის მოგონებაში ვკითხულობთ: „წარმოკავშირი" (მწარმოებელ კოოპერატორთა კავშირი), დაარსებული ხვედურეთის მცხოვრებ ივანე გიორგის ძე ციციშვილის მიერ, მალე გადაიქცა ფართო დასაყრდენ ბურჟად ბოლშევიკების წინააღმდეგ... ჩემს ბინაზე გამუდმებული ფარული კრებების თუ შეხვედრების დროს მიღებული გადაწყვეტილებების სისრულეში მოყვანა თავდებოდა ვანო ციციშვილის ოთახში, მოსკოვის ქუჩაზე, „წარმოკავშირისაგან" უხვ დახმარების მიცემით. 1921 წლის სვანეთის და 1922 წლის ხევსურეთის აჯანყებათა ფინანსური შემზადება „წარმოკავშირს" და მის წევრებს ეკუთვნოდა." მათ შეუმუშავებიათ გეგმა ქუთაისზე სვანების შეტევისა და იმ დროს, როცა ხელისუფლება იქ ძალებს გადაისროდა, ქაქუცა ჩოლოყაშვილის მიერ თბილისის აღებისა. როგორც ჩანს, ამ გეგმის შედგენაში მონაწილეობას კოტე აფხაზიც იღებდა. „ამ გეგმის განსახორციელებლად ქაქუცას ერთი მილიონი მანეთი მიუღია „წარმოკავშირისაგან". ეს გეგმა საბჭოთა სამსახურში მდგარი პატრიოტი პოლკოვნიკი გიორგი თუხა-

რელისთვისაც გაუცვნიათ. მაგრამ იგი პოლკოვნიკს საეჭვოდ ჩაუთვლია (იხ.: დ. ვაჩნაძე, დაპყრობილ საქართველოში, ჟურნ. „კრიტიკა", 1992, №1, გვ. 96-97). ამის მიუხედავად, საქართველოს განთავისუფლების აღნიშნული გეგმა, როგორც ქვემოთ ვნახავთ, გარკვეული ცვლილებებით, მაინც გატარდა. რამაც, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთა პატრიოტულ შემართებასა და საერთაშორისო რეზონანსთან ერთად, მკაფიოდ გამოავლინა ხელმძღვანელობის ავანტურიზმი და წარუმატებლობა. მაგრამ გადამწყვეტი ხასიათის სამხედრო თანადგომის ორგანიზება, როგორც მოსალოდნელი იყო, ვერ მოხერხდა. მებრძოლმა მოსახლეობამ კი მნიშვნელოვანი რეპრესიები განიცადა. მაშასადამე, „მწარმოებლების" ალიანსმა წინდაუხედავ პოლიტიკოსებთან სასურველი შედეგი არ მოიტანა. თავის მხრივ, საბჭოთა ხელისუფლება ანტისაბჭოთა ბრძოლის გამოვლინებებს, მათ შორის ლეგალურ მიმდინარეობასაც, კონტრრევოლუციად სახავდა და დაუნდობლად იბრძოდა მის გასანადგურებლად. ხელისუფლების ძირითადი არგუმენტი გახდა ძალმომრეობა. ასეთ ვითარებაში, ცხადია, დაქსაქსული პარტიულ-პოლიტიკური ბრძოლა ასუსტებდა ანტისაბჭოთა ეროვნულ მოძრაობას. ამიტომ ხელსაყრელი საშინაო და საერთაშორისო სიტუაციის შექმნის შემთხვევაშიც კი, შინაგანი დაქსაქსულობა-დაპირისპირებისა და თურქეთის მხრივ მოსალოდნელი ანექსიის შესაძლებლობის გამო, რუსეთს ჯარიც რომ გაეყვანა, საეჭვო ხდებოდა არა მარტო საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა, არამედ არსებულ სუვერენულ უფლებათა შენარჩუნება და მისი გაფართოების შესაძლებლობა. არც ის იყო თეორიულად გამორიცხული, რომ ხელსაყრელ პირობებში ყველაზე მრავალრიცხოვან, მენშევიკების პარტიას, რომელსაც ოპოზიციური პარტიის ლიდერები საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვას მიაწერდნენ, რეალური პირობების შექმნის, რუსის ჯარის გაყვანის ან აჯანყების შემთხვევაში, მოეხდინა ძველი, მომაბეზრებელი რეჟიმის რესტავრაცია და მენშევიკების ახალი დიქტატურის დამყარებისათვის მიეღწია. ყოველივე ეს ანტისაბჭოთა პოლიტიკური პარტიების ლიდერებს აიძულებდა ემუშავათ ერთიანი, ანტისაბჭოთა ფრონტის შესაქმნელად და მომავალ, ილუზიურ, დამოუკიდებელ საქართველოში სასურველი რეჟიმის დამყარების გარანტიების შესამუშავებლად. შინაგანი წინააღმდეგობებისა და პრინციპული უთანხმოებების მიუხედავად, ანტი-

საბჭოთა პოლიტიკური პარტიების ლიდერებს შორის მიმდინარეობდა ხანგრძლივი მოლაპარაკება-მორიგება.

აქ ყურადღებას იპყრობს ანტისაბჭოთა პარტიებს შიგნით (რადიკალური და ექსტრემისტული) და ურთიერთშორის (სოციალისტური და არასოციალისტური) წინააღმდეგობის არსებობა. იგი ისტორიოგრაფიაში სათანადო ყურადღების საგნად არ გამხდარა. არა და, სწორედ ეს იყო ანტისაბჭოთა პოლიტიკური პარტიების შიგნით და ერთმანეთს შორის სხვადასხვა დროს აღმოცენებული პოლიტიკური პრობლემების თუ გაუგებრობების ფესვი.

საბჭოთა რუსეთის ძალებით საქართველოს ოკუპაციის პირველ ხანებში ანტისაბჭოთა პოლიტიკური პარტიების შესახებ საყურადღებო ინფორმაციას გვაწვდის საქართველოს ჩეკას 1922 წლის 24 თებერვლის ანგარიში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი. აქ აღნიშნულია: საქართველოში „2,5 მილიონ მოსახლეობაზე ყველა ანტისაბჭოთა პარტია ეხლა ითვლის მხოლოდ 2000 კაცს (? – გ.ც.)... არსებობს ლეგალური პარტიები: სოციალ-ფედერალისტების, სოციალისტ-რევოლუციონერების, ქართველი ესერების და „სხივისტების". ესენი ეძებენ მთავრობასთან კონტაქტს; „ანარქისტები და მემარჯვენე ესერები იმდენად მცირე და სუსტი არიან, რომ მათთვის ანგარიშის გაწევის არავითარი აუცილებლობა არ არის; მტრის ხროვაში არიან მხოლოდ მენშევიკები, მემარჯვენე სოციალისტ-ფედერალისტები და ეროვნულ დემოკრატები." „ჰეგემონია აქვთ მენშევიკებს. სამივე ემორჩილება კონსტანტინეპოლში მყოფ „ხსნის კომიტეტს". „მისგან ღებულობენ დირექტივებს". „უშვებენ ერთგვარ ანტაგონიზმს ერთმანეთის მიმართ. სამუშაოდ მენშევიკებმა აირჩიეს ქალაქის მოსახლეობა, მემარჯვენე ფედერალისტებმა გლეხები, ეროვნულ დემოკრატებმა ოფიცრობა. მენშევიკები თამაშობენ ეროვნულ სიმზე, სოციალიზმი გადააგდეს და ნაციონალიზმს ჩაეჭიდნენ... მენშევიკების ტაქტიკა ნაანგარიშევია დასავლეთ ევროპის საზოგადოებრივ აზრზე, ანტანტის დახმარებაზე, რეფერენდუმის ჩატარებაზე და ა.შ. მენშევიკებში შეინიშნება სამი მიმდინარეობა: აშკარად შეურიგებელი, შემრიგებლური და მერყევი. მესამე ყოველდღიურად ძლიერდება. მათში ბევრი პასუხისმგებელი მუშაკია. დავით საღირაშვილის ჯგუფი თავისი წერილებით შესაძლებლად თვლის III ინტერნაციონალის ცნობას." ჩეკისტური ანგარიშით მენშევიკების ერთი ნაწილი აღიარებს ეკონომიკის აღდგენის საჭიროებას, შიმშილსა და

სამეურნეო ნგრევასთან ბრძოლას. მეორე ნაწილი პირველი რიგის ამოცანად ისახავს საბჭოთა ხელსუფლებასთან პოლიტიკურ ბრძოლას. ესენი იმედს ამყარებენ ანტანტაზე, საჭიროდ თვლიან „რუსეთის ხალხთა კავშირის" შექმნას. დირექტივებს იღებენ ჟორდანია-რამიშვილისაგან, მეცადინეობენ საქართველოდან წითელი არმიის გაყვანისათვის. მიაღწიეს მაკდონალდის მიმართვას საქართველოს რევკომისადმი რეფერენდუმის დანიშვნის და წითელი ჯარის გაყვანის მოთხოვნით. ჩეკას ანგარიშში ჩამოყალიბებულია ასეთი დასკვნები: „ნიადაგი ჩვენი საწინააღმდეგო აგიტაციისათვის აქვთ ქვეყნის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამო. სერიოზული საფრთხე მისგან ჯერ არ ჩანს... საბჭოთა ხელისუფლება მყარია საქართველოში იმდენად, რომ არავითარი საშიშროება მომავალს არ ემუქრება, თუ საქმე არ გართულდა საერთაშორისო ბურჟუაზიის გარედან ჩარევით..." (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ.14, აღ. 1, ს. 195, ფურც. 70-74).

მაშასადამე, ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობის საწყისი ეტაპის თავისებურებაა ანტისაბჭოთა ბრძოლის სამი ძირითადი მიმდინარეობის ჩამოყალიბება. ერთი და ყველაზე მრავალრიცხოვანი ეს არის ლეგალურად მოღვაწე ეროვნულ-პატრიოტული, ანუ ე.წ. „ნაციონალისტური" ინტელიგენციის ლიბერალურ-კომპრომისული მიმდინარეობა, რომელიც პროფესიული მეთოდებით ემსახურება ერის ინტერესებს. იგი ქედჩაუხრელად იბრძვის არსებული ხელისუფლების პირობებში ერის შემდგომი აღორძინების, ეროვნული თვითშეგნების შენარჩუნება-განმტკიცებისათვის, მაგრამ ამავე დროს იმედოვნებს საქართველოს ეროვნული სუვერენიტეტის შენარჩუნებისა და სამშობლოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის რეალური საერთაშორისო და საშინაო პირობების შექმნის შესაძლებლობას. იგი ამ იმედით იღვწის და თავის საქმიანობას მჭიდროდ უკავშირებს საერთო ეროვნულ ინტერესებს. მის ამ მოღვაწეობას მკაფიოდ გამოხატული ეროვნული სულისკვეთების გამო ანტისაბჭოთა საბრძოლო მიმართულების ხასიათი აქვს. მეორე ანტისაბჭოთა მიმდინარეობა არალეგალურ ანტისაბჭოთა ბრძოლის მიმდინარეობად ჩამოყალიბდა. აქედან ერთი, შედარებით მცირერიცხოვანია შეურიგებელი, ანუ ექსტრემისტული. იგი ცდილობს ობიექტური პირობების გათვალისწინების გარეშე გამოიწვიოს ანტისაბჭოთა აჯანყება, მიაღწიოს რუსის ჯარის განდევნას და საქართველოს დამოუკიდებლობის დაუყოვნებლივ აღდგენას. მესამეა ზომიერი რადიკალების მიმდინარეობა, რომელიც ელო-

დება საქართველოს განთავისუფლების ხელსაყრელ ობიექტურ საერთაშორისო და საშინაო ვითარების აღმოცენებას, რომლის დროსაც შესაძლებელი გახდება ნაკლები მსხვერპლით ან საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა, ან ამ შესაძლებლობის შექმნამდე საბჭოთა ხელისუფლების პირობებში მაქსიმალური ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის მოპოვება. ამ მიმდინარეობის ხელმძღვანელები გადამწყვეტი მომენტისათვის ეწევიან ხანგრძლივსა და ფართო ორგანიზაციულ, თეორიულ და პრაქტიკულ მუშაობას. ისინი თავიანთი მიზნების მიღწევისათვის საჭიროდ მიიჩნევენ ანტისაბჭოთა ეროვნული ძალების კონსოლიდაციას და საქართველოს განთავისუფლების ხელსაყრელი მომენტისათვის ერის ფართო მასების მომზადებას. ამ მიზნით არალეგალი რადიკალები იღვწიან ოპოზიციური პარტიების ერთიანი ფრონტის შექმნისათვის, ამისთვის კი ცდილობენ ანტისაბჭოთა ეროვნულ ძალთა ერთიანი ცენტრის და მასთან სამხედრო-ტექნიკური ხელმძღვანელი ბირთვის შესაქმნელად.

ზემოთ აღნიშნულმა თითოეულმა მიმდინარეობამ საბჭოთა ხელისუფლების, ანუ საოკუპაციო რეჟიმის პირველ წელს გარკვეული სამუშაო ჩაატარა. მათ საერთო მონაპოვართაგან უმნიშვნელოვანეს მიღწევას წარმოადგენდა 1922 წლის გაზაფხულზე ეროვნულ-პატრიოტულ ძალთა ერთიანი პარტიათაშორისი, პარიტეტულ პრინციპებზე ორგანიზებული ცენტრის „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის", ანუ იგივე „პარიტეტული კომიტეტის" და მასთან თვალსაჩინო სამხედრო პატრიოტი სპეციალისტებისაგან შედგენილი პარტიათაშორისი ჯგუფის, ანუ „სამხედრო ცენტრის" შექმნა და ანტისაბჭოთა ძალების კონსოლიდაციის პრაქტიკული, ორგანიზაციული სამუშაოების გაშლა.

თავი V

არალეგალური პარტიების ლიდერების გარიგება და შეუთავსებლობა

ავტორთა პუბლიკაციებში პოლიტიკური პარტიების შეთანხმება ზოგჯერ გაგებულია როგორც „ქორწინება იტალიურად", მუდმივი და განუყრელი შეერთების გაგებით. ყურადღებას არ უთმობენ მასეგისა და ანტისაბჭოთა პარტიების პოლიტიკურ და ფსიქოლოგიურ განწყობილებას, აგრეთვე საერთო რეალურ ვითარებას. სინამდვილეში ეს იყო გარიგება, ანუ მორიგება რეალური ვითარების გათვალისწინებით და გარკვეულ პრინციპულ საფუძველზე. ამდენად, როდესაც ვმსჯელობთ პარტიათა შეთანხმებაზე, უმთავრესი ყურადღება უნდა დავუთმოთ მის პოლიტიკურ და ზნეობრივ მნიშვნელობას. ბევრი ავტორი ვერ გებულობს, რომ ზოგჯერ, გარკვეულ რეალობათა გამო, პოლიტიკურად და ზნეობრივად უფრო გამართლებულია პრინციპული წინააღმდეგობის გამოვლენა, შეთანხმება-გარიგების პრინციპების დარღვევა, პოლიტიკური პარტიის თუ მისი წარმომადგენლის მიერ ინტერპარტიულ თანამშრომლობაზე უარის თქმა და მისგან გამიჯვნა-გამოყოფაც კი.

ამ რეალობაში გვარწმუნებს იმ პოლიტიკური ატმოსფეროს და პარტიათაშორისი ურთიერთობის საფუძვლიანი შემეცნება, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი პარიტეტული „დამოუკიდებლობის კომიტეტისა" და მასთან შექმნილი „სამხედრო ცენტრის" ჩამოყალიბების წინ. საქჩეკას იმდროინდელი თავმჯდომარის კ. ცინცაძის ხატოვანი გამოთქმით, ბოლშევიკებისადმი მებრძოლთა დამოკიდებულებაში „შეინიშნება მხოლოდ ვარდისფერი ოცნებები მომავალზე", ხოლო ნ. ჟორდანიას სწორი შეფასებით: „უცხო ძალის გაყვანა შეიძლება მხოლოდ უცხო ძალით" (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 1, ს. 195, ფ. 70/2).

ნ. კირთაძის წიგნში შეტანილი ი. ჯავახიშვილის 1924 წლის უთარიღო ჩვენებიდან ცხადი ხდება, რომ **„ჯერ კიდევ მაშინ, როცა სპ. კედია და სხვები გარეთ იყვნენ**, საქართველოს პოლიტიკურ პარტიებს – მენშევიკებს, ეროვნულ დემოკრატებს, სოციალ ფედერა-

ლისტებს, სხივისტებსა და ესერებს შორის **დაიწყო მოლაპარაკება ისეთი ორგანოს შესაქმნელად, რომელიც კოორდინაციას გაუწევდა ცალკეული პარტიების მოქმედებას,** რადგან ყველა ეს პარტია ერთ **მიზანს – საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას** – ისახავდა. **1922 წლის 11 თებერვალს მომხდარი დაპატიმრების გამო ეს მოლაპარაკება შეწყდა,** მაგრამ სულ **მალე კვლავ განახლდა... დაპატიმრებული სპ. კედიას ნაცვლად მოლაპარაკების გასაგრძელებლად მე გამომყვეს,** მენშევიკებისაგან მოლაპარაკებას აწარმოებდა ნიკ. ქარცივაძე, სოციალ ფედერალისტებისაგან ვიღაც მასწავლებელი (გრიგოლ რცხილაძე – გ.ც.) იყო... სხივისტებისაგან – ხოჭოლავა, ესერებისაგან – იოსებ გობეჩია. **მოლაპარაკება გაჭიანურდა** იმიტომ, რომ ჩვენ, **ეროვნულ დემოკრატები, და მენშევიკები სრულიად განსხვავებულ პოზიციაზე ვიდექით. მენშევიკები,** თუ საბჭოთა ხელისუფლება დამარცხდებოდა, **მოითხოვდნენ როგორც მთავრობის, ისე დამფუძნებელი კრების სრულ რესტავრაციას, ჩვენ** კი დაჩემებული გვქონდა, ძველ დამფუძნებელ კრებას ნუ მოვიწვევთ და **მთავრობა სოციალისტებსა და არასოციალისტებს შორის პარიტეტულ საწყისებზე შევქმნათ-თქო.** არასოციალისტებში უპარტიოებიც შედიოდნენ (ალბათ სამხედროები – გ.ც.)... შევთანხმდით შემდეგზე:

1. საერთო ძალებით ვიბრძოლოთ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის.

2. თუ საქართველოს დამოუკიდებლობა აღსდგება, ვიწვევთ დამფუძნებელ კრებას, რომელსაც თავისი საქმიანობის ანგარიშს ჩააბარებენ როგორც საზღვარგარეთ მყოფი მთავრობა, ისე ისიც, რომელსაც გარდამავალი დროისათვის შექმნიან.

3. დამფუძნებელი კრების სხდომა კოალიციის პრინციპზე შექმნის ახალ მთავრობას, ამასთან **არცერთ პარტიას** არა აქვს უფლება ჰქონდეს **ადგილები ერთ მესამედზე მეტი.**

4. ავირჩევთ პარიტეტულ კომისიას, რათა განიხილოს საქმიანობა წინა მთავრობისა, რომელმაც ქვეყანა კრახამდე მიიყვანა.

5. ამ ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტიდან პარიტეტულ საწყისებზე **ვირჩევთ** კომიტეტს, რომელსაც ეწოდება „**საქართველოს** დამოუკიდებლობის **კომიტეტი**"...

ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს ხუთი პარტიის ზემოთ მოხსენებულმა წარმომადგენლებმა" (იხ. ნ. კირთაძის დასახელებული წიგნი, გვ. 327-329. ხაზგასმა ჩვენია – გ.ც.). მაშასადამე, ეროვნულ-დემო-

კრატებში არსებულმა მონარქისტულმა მისწრაფებებმა და ექსტრემისტულმა განწყობილებამ „დამკომის“ შექმნის დროს გამოვლინება ვერ პოვა და არც ავჯანყების დაუყოვნებლივი ორგანიზების საკითხზე გარიგებას ჰქონია ადგილი. ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა მ. ჯავახიშვილის 1923 წლის 7 მარტის ჩვენების ამონარიდი: „ზ) ბოლშევიკების საქართველოდან წასვლის შემთხვევაში (იმ დროს ამას სავსებით შესაძლებლად მიიჩნევდნენ) ხელისუფლება ყოფილი მთავრობის დაბრუნებამდე გადადის პარიტეტული კომიტეტის ხელში, რომელიც იმ ანგარიშით ფორმდება, რომ არც ერთ პარტიას 1/3-ზე მეტი არ ჰყავდეს და მასში რომ ყველა პარტიები მონაწილეობდნენ. დაუყოვნებლივ მოიწვევენ ყოფილ დამფუძნებელ კრებას და არაუგვიანეს 6 თვისა ახალი არჩევნები ინიშნება.

ამ პირობების განხილვაში მონაწილეობდნენ კედია და ასათიანი (ციხიდან), მე, ვაჩნაძე, აფხაზი, იასონ ჯავახოვი, წინამძღვარი, მისაბიშვილი. საკითხი გადაწყდა ხანგრძლივი მერყეობის და დებატების შემდეგ“ (ნ. კირთაძის დასახელებული წიგნი, გვ. 271; სუკის არქივი, №24367, ფ. 20 – კ. აფხაზის საქმე). მაშასადამე, პარიტეტული კომიტეტი იმ ანგარიშითაც იქმნებოდა, რომ საქართველოდან ბოლშევიკების ჯარის გაყვანა რეალურ შესაძლებლობად ესახებოდათ.

როგორც ცნობილია, ანტისაბჭოთა არალეგალური პარტიების გარიგებასთან ერთად მოხდა მათთან დაკავშირებული ბრძენი სამხედრო სპეციალისტების გაერთიანება და შეთანხმება. ამ საფუძველზე „დამკომთან“ შეიქმნა მასზე დაქვემდებარებული „სამხედრო ცენტრი“. აღნიშნული შეთანხმების, მისი მიზნის და ძირითადი პრინციპების შესახებ მოთხრობილია გამოქვეყნებულ დოკუმენტურ კრებულებში (მათ შორის ჩეკას მიერ შედგენილ „დასკვნით დადგენილებაში“ და იუსტიციის სახალხო კომისარიატის „საბრალმდებლო დასკვნაში“). აქ საძებნელიც თითქმის არაფერია. მათი მიზანია საქართველოს სრული დამოუკიდებლობის აღდგენა, მაგრამ არა ავანტიურის გზით, არამედ ხანგრძლივი მოსამზადებელი მუშაობით და სათანადო საშინაო და საერთაშორისო პირობების შექმნის შემთხვევაში.

რაც შეეხება „დამკომის“, ანუ „პარიტეტული კომიტეტის“ შეთანხმებათა პირობებს: ნ. კირთაძის მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტებში და სხვა, მკითხველისათვის უცნობ, მაგრამ ჩვენთვის ხელმისაწვდომ წყაროებში მოცემულია აგრეთვე ამ შეთანხმების განსხვავებული მიზანდასახულობაც (საქართველოს სუვერენიტეტის შენარჩუ-

ნება-განვითარება სოციალიზმის პირობებში) და მისი ძირითადი პრინციპებიც. ეს პრინციპები კი, ზოგ კონკრეტულ ვითარებაში უფრო მნიშვნელოვანია და მასზე დამოკიდებულია პარტიების ლიდერთა შეთანხმების მიზნების არაორდინალური გაგების აუცილებლობა.

აქ აღსანიშნავია, რომ მ. ჯავახიშვილის 1923 წლის 29 მარტის ჩვენების მიხედვით: **„პარიტეტულ კომიტეტში** დაარსების დღიდანვე... **ორი დაჯგუფება არსებობდა:** ერთ მხარეს იყვნენ ეროვნულ-დემოკრატები, „სხივისტები" და სოციალ-რევოლუციონერები (რომლებიც იმთავითვე პარიტეტული კომიტეტის შექმნის წინააღმდეგ იყვნენ განწყობილი, მაგრამ შევიდნენ პარიტეტში იმ მიზნით, რომ უპირატესობა არ მიეცათ მენშევიკებისათვის), მეორეზე – მენშევიკები და მემარჯვენე ფედერალისტები"...

„ი. ჯავახოვის ინფორმაციით პარიტეტულმა კომიტეტმა განიხილა და გადაწყვიტა შემდეგი (ხუთი – გ.ც.) საკითხები:

ბანდიტიზმთან და, კერძოდ, ჩოლოკაევის ბანდასთან დამოკიდებულების შესახებ. ერთხმად გადაწყვიტეს, რომ ეს მოვლენა მავნედ მიაჩნიათ და მას მხარს არ უჭერენ... დუშეთის აჯანყების ლიკვიდაციის შემდეგ ეროვნულ დემოკრატთა ცენტრალურ კომიტეტში ლაპარაკი იყო ჩოლოკაევი ან სპარსეთში გავგზავნოთ ან დაღესტანშიო და სხვ." როგორც ვხედავთ, საქართველოს არალეგალური პარტიების შეთანხმება-გარიგება თუ მორიგება გულისხმობდა მათ შორის არსებულ უაღრესად პრინციპული ტაქტიკური საკითხების დარეგულირების აუცილებლობას. წინააღმდეგ შემთხვევაში გარდაუვალი იყო მათი გაერთიანების დაშლა.

ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა ამონარიდი მ. ჯავახიშვილის ჩვენებიდან: **„ი. ჯავახოვს** ეროვნულ დემოკრატთა **ცენტრალურმა კომიტეტმა რამდენჯერმე დაავალა დაეყენებინა პარიტეტულ კომიტეტში საკითხი – ადასტურებს თუ არა საზღვარგარეთ მყოფი ყოფილი მთავრობა შეთანხმებას პარიტეტული კომიტეტის შესახებ,** რადგან საზღვარგარეთ არსებობდა რომელიღაც სხვა შეთანხმება, მენშევიკებისათვის უფრო ხელსაყრელი. **ამ შეკითხვაზე პასუხი** პარიტეტული კომიტეტისაგან **ვერა და ვერ მივიღეთ. ამიტომ ცენტრალური კომიტეტის ზოგიერთი წევრი და კერძოდ მე** ეროვნულ დემოკრატთა ცენტრალურ კომიტეტში **ვაყენებდით პარიტეტული კომიტეტიდან გამოსვლის საკითხს,** მაგრამ, როგორც ველოდით პასუხს – პარიტეტული კომიტეტი განაგრძობდა არსებობას და სხვ." (ნ. კი-

რთაძის დასახელებული წიგნი, გვ. 246-247. ხაზგასმა ჩვენია – გ.ც.). აქედან ჩანს, რომ ეროვნულ-დემოკრატებს პარტიათა გარიგების პრინციპი უფრო მნიშვნელოვნად მიაჩნდათ, ვიდრე შეთანხმების მიზანი – მენშევიკებთან ერთიანობა დამოუკიდებლობის აღდგენისათვის.

ეროვნულ-დემოკრატების ერთი ნაწილი, ისე როგორც ზოგი სხვა „მემარცხენე" პარტიის წარმომადგენელი, საკუთარი თვალსაწიერიდან გამომდინარე, აუცილებლობის შემთხვევაში არ გამორიცხავდა ეროვნული ინტერესების ხარჯზე, უცხო ქვეყნებთან და უკიდურეს მემარჯვენეებთან გარიგების ნაცვლად, გარკვეული დათმობების შემთხვევაში ეთანამშრომლა საბჭოთა ხელისუფლებასთან. ამის შესახებ ნათელ წარმოდგენას გვიქმნის მ. ჯავახიშვილის „ჩვენება" (? – გ.ც.). „ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის კოლეგიას": **„1921 წლის ზაფხულში** (სინამდვილეში 1922 წლის ნოემბერში – გ.ც.) **პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ამავე პარტიის კონსტანტინეპოლის კომიტეტიდან მიიღო ცნობა, რომ მათთან** ბალკანეთში **ჩასულა მემარჯვენე ორი გამოჩენილი** მოღვაწე... (რომლებისთვისაც თურქებს – გ.ც.) **შეუთავაზებიათ კავშირი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ,** ამასთან პირობა მიუციათ, **ვცნობთ საქართველოს დამოუკიდებლობას, თუ** რუსეთსა და საქართველოს შორის **სამხედრო კავშირი** (არ –გ.ც.) **იქნებაო.** ეროვნულ დემოკრატთა პარტიის **კომიტეტმა მოისმინა** წინადადება... უთხრა, თბილისში ცენტრალურ კომიტეტს შეეკითხებითო. **ამასთან თბილისს აცნობა თავისი შეხედულება,** დაწვრილებით დასაბუთებული იმ აზრით, **რომ ფიქრადაც არ მოსვლია მემარჯვენე ნაციონალისტებთან თანამშრომლობა,** და **რომ თუ გარედან დახმარების იმედი გადაგვეწურება, უფრო მისაღებად და სწორად მიგვაჩნია, ვცნოთ საბჭოთა ხელისუფლება, ოღონდ საქართველოსათვის მაქსიმუმი უფლებების მოპოვებითო.**

თბილისში პარტიის ცენტრალურმა **კომიტეტმა** განიხილა ეს საკითხი, **სავსებით მოიწონა კონსტანტინოპოლის კომიტეტის შეხედულება** და სთხოვა მას მემარჯვენეთათვის გადაეცა პასუხი ზემოთ აღნიშნული აზრით" (ნ. კირთაძის დასახელებული წიგნი, გვ. 248-249, ხაზგასმა ჩვენია – გ.ც.). მ. ჯავახიშვილის ჩვენებაში რატომღაც საკითხის არსი ბოლომდე არ არის გახსნილი. ჩვენი აზრით, ეს უნდა იყოს ნ. კირთაძის წიგნში წყაროს შინაარსის არასწორი პუბლიკაციის მიზეზით. მაგრამ ამავე საკითხზე ვრცელ განმარტებას იძლევა ს. ზალდასტანიშვილი. მისი მოგონებებიდან ჩანს, რომ საუბარია შ.

ქარუმიძის თურქებთან მოლაპარაკების, კერძოდ ს. ზალდასტანიშვილის მიერ 1922 წლის ნოემბერში ჩამოტანილი ინფორმაციის შესახებ: თურქები თანახმა არიან დაეხმარონ საქართველოს რუსეთის წინააღმდეგ იმ შემთხვევაში, თუ: 1. ბათუმი თავისუფალ ქალაქად გამოცხადდება; 2. ახალციხე-ახალქალაქის მაზრები გადაეცემა თურქეთს; 3. ბათუმ-ბაქოს ლიანდაგი ექსტერიტორიულად გამოცხადდება და სხვ. (იხ. ს. ზალდასტანიშვილის დასახელებული წიგნი, გვ. 14-15). ედპ-ის ცკ, მათ შორის მისი თავმჯდომარე კ. აფხაზი, ამ აზრს არა მარტო არ დათანხმდა, არამედ, როგორც მ. ჯავახიშვილის ჩვენებებიდან ჩანს, ცკ-ს ის აზრიც გამოუთქვამს, რომ ამ შემთხვევაში ისევ საბჭოთა ხელისუფლება გვირჩევნია, თუ იგი დათმობებზე წავაო.

ეს მოხდა „კახეთ-ხევსურეთის" აჯანყების გავლენით და მის შედეგ. მაშასადამე, ნ. კირთაძის პუბლიკაციაში არასწორად არის მითითებული თარიღიც და გამოტოვებულია სიტყვა „არ", რომელიც საწინააღმდეგოდ სცვლის თურქების მიერ წამოყენებულ პირობასაც. „მოლაპარაკების დროს სჩანდა, – წერს ს. ზალდასტანიშვილი, – რომ ოსმალები თანახმანი იქნებოდნენ ჯარით და იარაღით დახმარებოდნენ აჯანყებულებს რუსეთის წინააღმდეგ იმ შემთხვევაში, თუ ქართველები დათანხმდებოდნენ პირობებზე..." (იხ. გვ. 14). „ამ დავალებით 1922 წლის ენკენისთვეში მე გამაგზავნეს სტამბოლიდან საქართველოში" – წერს ს. ზალდასტანიშვილი და დასძენს: „პარტიის თავმჯდომარესთან, გენ. კ. აფხაზთან, შეხვედრა მქონდა „მწყემსის" საზოგადოებაში..." „თითქმის იმავე დროს, როცა მე თბილისში ჩამოვედი, ნ. ხომერიკიც საზღვარგარეთიდან იქ ჩამოვიდა..." (იხ. გვ. 15). ნ. ხომერიკი, როგორც ცნობილია, ჩამოვიდა 1922 წლის ნოემბერში.

მაშასადამე, ეროვნულ დემოკრატების ცენტრალური კომიტეტის წევრთა თუნდაც ერთი ნაწილის „მიზანი" შეიძლება გავიგოთ არა მარტო როგორც „დამოუკიდებლობის აღდგენა", არამედ, აგრეთვე, როგორც საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირობებში საქართველოს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის მაქსიმალურად უზრუნველყოფა. ეს უაღრესად მნიშვნელოვანი პრინციპიცაა და იგი გარკვეულ პირობებში უფრო მისაღები ხდებოდა, ვიდრე უკიდურესად კაბალური და უიმედო რესტავრაცია.

აქ აუცილებლად გვესახება წარსულის მაგალითების დამოწმება. ისტორიის წყაროები დამაჯერებლად გვიჩვენებენ, რომ საბჭოთა რუ-

სეთთან ურთიერთობის საკითხში ქართული ინტელიგენციის და პოლიტიკური პარტიების ლიდერების უმრავლესობისათვის უმთავრესი იყო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შენარჩუნება. ეს ადრე გაცნობიერებული ჰქონდა ნოე ჟორდანიას, მისი ხელისუფლების ფართო წარმომადგენლობას და, მეორე მხრივ, თვით რუსეთის კომპარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მეთაურებს. ჯერ კიდევ 1920 წლის 7 მაისს, რუსეთ-საქართველოს სამშვიდობო ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით, სტალინის მიერ 6 მაისს რკპ(ბ) პოლიტბიუროს დავალებით გამოგზავნილი დეპეშის საპასუხოდ გაგზავნილ ორჯონიკიძისა და კიროვის დაშიფრულ დეპეშაში ნათქვამი იყო: „ჩვენი აზრით საქართველოსთან დასადები ზავის პირობებში აუცილებლად უნდა იყოს მოთხოვნა: საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადება საქართველოში. ჩვენი ცნობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მენშევიკები მზად არიან ამისათვის, ოღონდ ძალიან ივაჭრებენ" (იხ. გრ. ყვანია, როგორ მზადდებოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაცია, თბ., 1992, გვ. 42). მართლაც, სამშვიდობო ხელშეკრულების დადების შემდეგ, 10 მაისს ნ. ჟორდანიამ მოსკოვში ასეთი შინაარსის შეტყობინება გაუგზავნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელს გრ. ურატაძეს: „...გადაეცით „სოვნარკომს" (რომლის თავმჯდომარეა ვ. ლენინი – გ.ც.), რომ ზავის ამბავს ხალხი ღრმა კმაყოფილებით და აღტაცების გრძნობით შეხვდა. იმედი მაქვს, რომ ამიერიდან რუსეთსა და საქართველოს შორის მოისპობა ყოველივე გაუგებრობა და ორივე მოძმე ხალხი მშვიდობიანად და თანხმობით იმუშავებს ცხოვრების სოციალისტურ საფუძველზე გარდასაქმნელად..."(ა. სურგულაძე, ავთ. მენთეშაშვილი. რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება, გაზ. „კომუნისტი", 1989 წლის 8 ივნისი). როგორც ჩანს, პრობლემას ქმნიდა უპირატესად დამოუკიდებელ საქართველოში სახელმწიფოებრივი მმართველობის, და არა საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური მოწყობის, საკითხი.

1920 წლის დეკემბრის ბოლოს, როცა საბჭოთა რუსეთსა და სუვერენულ საქართველოს ხელისუფლებათა შორის კონფლიქტი კვლავ ომამდე გამწვავდა, ნ. ჟორდანია საიდუმლოდ შეხვდა მოსკოვის სამხედრო წარმომადგენელს ტოლსტოვს (თუ ტოლსტოის – გ.ც.) და გენერალ ლებედინსკის. საბჭოთა რუსეთის სამხედრო ატაშემ ნ. ჟორდანიას პირდაპირ განუცხადა: „განზრახვაა თქვენს წინააღმდეგ გა-

მოილაშქრონ...“ ამასთან დაკავშირებით ნ. ჟორდანიამ უპასუხა: „საზოგადოთ გვითხრან, რა სურთ ჩვენგან, რა მიზეზით ემზადებიან ჩვენს წინააღმდეგ, ეგების მოვეწყობით, შევთანხმდებით უეჭველად ყველა საკითხებზე, გარდა ერთისა – ერის დამოუკიდებლობის და სუვერენობის შეკვეცისა“ (იქვე, გვ. 120). ნ. ჟორდანიას ეს პასუხი კონკრეტული ვითარების საერთო შეფასებიდან გამომდინარეობდა. „საერთო რწმენა იყო, – წერს იგი, – რომ რუსეთს ვერ გავუძლებდით“ (იქვე, გვ. 119). მაგრამ, ცხადია, საქართველოს სუვერენიტეტის შენარჩუნება ამ შემთხვევაშიც უმთავრესი საზრუნავია. როგორც ჩანს, საქართველოს საკითხის გადაწყვეტას საბჭოთა რუსეთიც ტაქტიკური კომპრომისის მიღწევით ცდილობდა. ლენინი ჯერ კიდევ 1918 წლის 24 მაისს სწერდა რკპ(ბ) საგანგებო წარმომადგენელს კავკასიაში ს. შაუმიანს: „ბაქოს მდგომარეობა ძნელია საერთაშორისო თვალსაზრისით. ამიტომ გირჩევთ სცადოთ ბლოკი ჟორდანიასთან. თუ შეუძლებელია, საჭიროა ლავირება და გადაწყვეტილების **გაჭიანურება**, სანამ არ განმტკიცდებით სამხედრო თვალსაზრისით. საღი გათვალისწინება და დიპლომატია გაჭიანურებისათვის – გახსოვდეთ ეს“ (ვ.ი. ლენინი, თხზ. ტ. 44, გვ. 57). მაშასადამე, სოციალისტ ქართველებთან ბოლშევიკების თანხმობის მიღწევის შესაძლებლობას ლენინი თავიდანვე უშვებდა. დიპლომატიური კომპრომისის მიღწევის საუკეთესო ინფორმაციულ მაგალითს შეიცავს ლენინის 1921 წლის 2 მარტის ცნობილი წერილი ორჯონიკიძისადმი. მასში ნათქვამია:

„პირველი: საჭიროა დაუყოვნებლივ შევაიარაღოთ მუშები და უღარიბესი გლეხები და ამნაირად შევქმნათ საქართველოს მტკიცე (მუშურ-გლეხური – გ.ც.) არმია.

მეორე: აუცილებელია ქართველი ინტელიგენციისა და წვრილი ვაჭრების მიმართ დათმობათა განსაკუთრებული პოლიტიკა...

მესამე: უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ გამოინახოს მისაღები კომპრომისი ბლოკისათვის ჟორდანიასთან ან მის მსგავს ქართველ მენშევიკებთან, რომლებიც ჯერ კიდევ აჯანყებამდე (ლორეში, 11.II.1921წ. – გ.ც.) აბსოლუტურად მტრულად არ იყვნენ განწყობილნი გარკვეული პირობებით საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარების აზრისადმი...“ (ვ.ი. ლენინი, თხზ., ტ. 32, გვ. 189-190). ლენინის ამ მითითებას თანამიმდევრულად იცავდნენ საქართველოს ოკუპაციისა და შემდგომი უახლესი პერიოდის დროს. 1921 წლის 17 მარტს გენერალ კვინიტაძესთან მოლაპარაკების დროს

XI არმიის პოლიტიკური კომისარი სვამს შეკითხვას: „მართალია, მთავრობა მიდისო?" და უცხადებს: „მერე და რატომ? ჟორდანიას და გეგეჭკორს შეუძლიათ დარჩნენ, ჩვენ მოვრიგდებით. რაც შეეხება რამიშვილს, თავის საგანგებო რაზმიანად (ანუ გვარდიასთან ერთად – გ.ც.) გაეცალოს აქაურობას; დანარჩენებს შეუძლიათ დარჩნენ" (გ. კვინიტაძის მოგონებები, ციტირებულია ლ. თოიძის წიგნიდან „ინტერვენციაც, ოკუპაციაც, ძალდატანებითი გასაბჭოებაც, ფაქტობრივი ანექსიაც", თბ. 1991, გვ. 131). როგორც ცნობილია, ნ. ჟორდანიას მთავრობასთან მსგავსი კომპრომისის მიღწევას შეეცადა ბათუმის ციხიდან ამ დროისათვის განთავისუფლებული ს. ქავთარაძეც (იხ. ჟურნ. „მნათობი", 1966, №4, გვ. 18, ქავთარაძის მოგონებები). ეს ის დროა, როცა საბჭოთა მხარემ თავისი პირველი კომპრომისული ნაბიჯებით ქართული საზოგადოების გარკვეულ ნაწილში შექმნა ნდობის ერთგვარი განწყობილება. მხედველობაში გვაქვს ის, რომ საქართველოს რევკომმა გამოაცხადა ანტისაბჭოთა პოლიტიკური პარტიების ამნისტია, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასთან და დამფუძნებელი კრების წევრებთან კომპრომისის მიღწევის მიზნით ბათუმში მიავლინა ქართულ ინტელიგენციის ავტორიტეტულ წარმომადგენელთა დელეგაცია, ხოლო 16 მარტს სამტრედიაში საქართველოს ყოფილ და საოკუპაციო ხელისუფლებას შორის მიღწეულ იქნა შეთანხმება ეროვნული ჯარის დაქვემდებარების და მისი ძალებით რუსეთის მოკავშირე თურქების ბათუმიდან განდევნის შესახებ, რაც წარმატებით განხორციელდა გენერალ მაზნიაშვილის სარდლობით (ამასთან დაკავშირებით იხ. რ. გაბაშვილი, რაც მახსოვს, პარიზი, 1959, გვ. 325-326. ავტორი აღნიშნავს, რომ ბათუმში თურქები ნ. ჟორდანიამ მოიწვია გულუბრყვილოდ, რუსებთან შეტაკების მიზნით). საყურადღებოა ისიც, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 1921 წლის 12 მარტს დაადგინა: თუ მენშევიკური და სხვა პოლიტიკური პარტიები ოფიციალურად აღიარებდნენ საბჭოთა ხელისუფლებას, მათი წარმომადგენლები შეეყვანათ რევკომის, ანუ იმდროინდელი საქართველოს უმაღლესი ხელისუფლების ორგანოს შემადგენლობაში (იხ. საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 1, ს. 2, ფურც.4).

წინამდებარე წიგნის სხვა გვერდებზე საუბარი გვაქვს საქართველოს სუვერენიტეტის შენარჩუნების შესაძლებლობის სხვა საიმედო წანამძღვრებზე და არსებულ ხელისუფლებასთან ანტისაბჭოთა ერო-

ვნული ძალების ცალკეულ მიმდინარეობათა კომპრომისული ურთიერთობის სხვა არგუმენტებზე. ეს ყველაფერი იმას მოწმობს, რომ საქართველოს ოკუპაციის პირველ ხანებში საბჭოთა ხელისუფლებასა და მნიშვნელოვან ეროვნულ ძალთა შორის კომპრომისი რეალურად შესაძლებელი იყო. ამიტომ მ. ჯავახიშვილის ზემოთ მოტანილი აზრი და ეროვნულ-დემოკრატების ტაქტიკა უნდა გავიგოთ, როგორც რეალობის ანარეკლი და არა ინდივიდუალური მიდგომა. მსგავსი პოზიცია, როგორც ვნახავთ, საბჭოთა ხელისუფლებასთან სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაპირისპირებულმა არაერთმა თვალსაჩინო პიროვნებამ, მათ შორის ქაქუცა ჩოლოყაშვილმაც გამოავლინა. მაგრამ თუ კომპრომისის ამ ტაქტიკამ შემდგომში საქართველოს სრული სუვერენიტეტის შენარჩუნების შესაძლებლობა ვერ შექმნა, ეს არის არა მისი იმთავითვე მიუღებლობის შედეგი და ახლა პატრიოტი მამულიშვილების საჩოთიროდ გაგების მაგალითი, არამედ საერთაშორისო და ქვეყნის საშინაო მოვლენების ეროვნულ ძალთა რეალისტი წარმომადგენლების გონიერი მოსაზრებების საწინააღმდეგოდ განვითარების ობიექტური შედეგი. ზოგი წერს, რომ თითქოს საბჭოთა საქართველო საბჭოთა რუსეთის კოლონიას წარმოადგენდა. ეს არის შეცდომა. სინამდვილეში საბჭოთა საქართველომ მთელი თავისი არსებობის პირობებში შეძლო სახელმწიფოებრივი სუვერენობის მნიშვნელოვანი ატრიბუტიკის შენარჩუნება და მნიშვნელოვანი ეროვნული აღორძინება. ეს იყო არა მხოლოდ საბჭოთა რუსეთსა და კომპარტიასთან ანტაგონისტური შეურიგებლობის შედეგი, არამედ უპირატესად მასთან ეროვნულ ძალთა კომპრომისული დამოკიდებულების ნაყოფი. ეს პრობლემა ისტორიოგრაფიულად ჯერ კიდევ შეუსწავლელი დარჩა. გასაგებ მიზეზთა გამო, ისტორიკოსებმა უმთავრესად ყურადღება დაუთმეს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლისა და მისი დამოუკიდებლობის წლებში საბჭოთა ხელისუფლების ანტიეროვნული პოლიტიკის შესწავლა-გაშუქებას. მაგრამ საბჭოთა პერიოდის რეალური ისტორიის შემდგომი გაღრმავებული შესწავლა უთუოდ დაადასტურებს, რომ სწორედ კომპრომისულად, ანუ რეალისტურად მოაზროვნე, თვალსაჩინო პატრიოტმა ძალებმა შექმნეს სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ეროვნული ენერგიის შენარჩუნების შესაძლებლობა, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მათგანი შემდგომში მიემხრო ექსტრემისტულ და, ფაქტობრივად, ანტისაბჭოთა ბრძოლის ავანტიურისტული ტაქტიკის განხორციელების

გზას. რეალური ისტორიის მაგალითებით ისიც მტკიცდება, რომ ცალკეული პიროვნებებისა და ჯგუფების ექსტრემისტულმა თავგანწირვამ, რომელიც არ გამორიცხავდა ავანტიურას, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთების ამაღლებისა და ხალხის ღირსების დაცვის თვალსაზრისით. მაგრამ მისი ზეგავლენის ძალა მაინც უფრო სუსტი იყო, ვიდრე მასობრივი კომპრომისული ეროვნულ-პატრიოტული ენერგიის გამოვლინებისა.

ახლა კი საჭიროდ გვესახება წარმოვაჩინოთ ექსტრემისტულ-ავანტიურისტული მიმდინარეობის წარმომადგენელთა პოზიცია ეროვნულ-პოლიტიკური მოძრაობის ზომიერ მიმდინარეობასთან მიმართებაში. ცნობილი ექსტრემისტის, ავანტიურისტული ტაქტიკის აქტიური მხარდამჭერის შ. ამირეჯიბისათვის აჯანყება არის პროტესტის „საჯარო ეროვნული აქტი, რომელშიც ფასობს, არა მარტო მისი ტაქტიკური გამარჯვება, არამედ უფრო მეტად მისი პოლიტიკური შინაარსი" (იხ. შალვა ამირეჯიბი, წ. II, გვ138), „თუ აჯანყება ვერ გამოდგა როგორც ტაქტიკა, ის გამოდგა როგორც ეროვნული იდეა" (იქვე, გვ. 143). მისი აზრით, მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ „ბოლშევიზმი თანდათან მაგრდებოდა საქართველოში, თუკი ვისმე მოქმედება სურდა, მას უნდა დაესწრო ბოლშევიკებისათვის, ვიდრე იგი საბოლოოდ განმტკიცდებოდა" (იხ. იქვე, გვ. 152). ასეთ ცალმხრივ შეზღუდულ გაგებას, როგორც ჩანს, მხარს უჭერდა ეროვნულ-დემოკრატების გარკვეული, ექსტრემისტული ნაწილი და მათ შორის სამხედრო პირთა აღიარებული ლიდერი კ. აფხაზი, რომელიც, ს. ჭირაქაძის განმარტებით, სათავეში ედგა სამხედრო ორგანიზაციას.

შ. ამირეჯიბი წერს: „მაისში, ანუ ორი თვის შემდეგ, რაც მე ამ (ედპ-ის – გ.ც.) ცენტრის წევრი გავხდი, ჩვენთან მოვიდა სამხედრო ცენტრის წევრი გ. ხიმშიაშვილი და განგვიცხადა შემდეგი: მე დამიბარა ჩეკამ (? – გ.ც.) და მთხოვა ქ. ჩოლოყაშვილი შევარიგო ხელისუფლებასთან. მე უკვე მომცეს ავტომობილი მასთან წასასვლელად. ჩემთვის ეს ერთადერთი საშუალებაა, რომ მეც ქაქუცასთან დავრჩე (? – გ.ც.), მაგრამ საჭიროა, ვიდრე მე მასთან წავიდოდე, თქვენი კაცი ქაქუცასთან წავიდეს და ყოველივე ეს წინასწარ აცნობოს. ამ დროს ქაქუცა თუმცა უკვე გასული იყო, მაგრამ ჯერ მოქმედებისათვის ხელი არ მიეყო. ჩვენ (? – გ.ც.) ეს საკითხი განვიხილეთ, გავიგეთ ისიც, რომ სამხედრო ცენტრი საჭიროდ სთვლიდა, რომ ქაქუცას მოქმედე-

ბისათვის მიეყო ხელი (? – გ.ც.) და რათა ყოველივე ეს მისთვის გვეცნობა, მე წავედი ქაქუცასთან" (იხ. შ. ამირეჯიბის დასახელებული წიგნი, გვ. 153). აი, აქ არის მთავარი „სამხედრო ცენტრის" და ეროვნულ-დემოკრატების სამხედრო „ცენტრის" შეუთანხმებლობის სათავე, ანუ ავანტიურის დასაწყისი.

სხვა წყაროებში აღნიშნულია, რომ გ. ხიმშიაშვილი, ქ. ჩოლოყაშვილისა და მისი თანამებრძოლების ყოფილი მეთაური და ქაქუცას პირადი მეგობარი, იგზავნებოდა ქართული წითელი არმიის სარდლის პ. აღნიაშვილის (რ. მუსხელიშვილი) თუ ხელისუფლების (მ. ჯავახიშვილი) დავალებით. იგი ამ დროს იყო მენშევიკების პარტიის „სამხედრო კომისიის" თავმჯდომარე, აგრეთვე „სამხედრო ცენტრის" წევრი მენშევიკების პარტიიდან, რომელთა ცკ და „სამხედრო ცენტრის" წევრები წინააღმდეგი იყვნენ ლოკალური შეიარაღებული გამოსვლებისა და მით უმეტეს აჯანყების უდროოდ ორგანიზების. ამდენად საეჭვოა, რომ გ. ხიმშიაშვილს ქ. ჩოლოყაშვილთან დარჩენის გადაწყვეტილების შესახებ ჰქონოდა საუბარი. ამასთან დაუჯერებელია, რომ ეროვნულ-დემოკრატების ხუთკაციან ცკ-ს (მ. ჯავახიშვილი, კ. მისაბიშვილი, „დამკომის" წევრი ი. ჯავახიშვილი და სხვ.) და მით უმეტეს „სამხედრო ცენტრს", რომელშიც გენ. ვ. წულუკიძე სასტიკი წინააღმდეგი იყო ხელისუფლების საწინააღმდეგო ლოკალური, პარტიზანული გამოსვლების, საჭიროდ ეცნო, ისეთი „მოქმედებისათვის მიეყოთ ხელი", რომელსაც მოჰყვა უაღრესად დრამატული მოვლენები. ეჭვი არ არის, რომ შ. ამირეჯიბი სცოდავს. ან იქნებ სხვამ შესცოდა?

შ. ამირეჯიბი წერს: „26 მაისს მე უკვე ქაქუცასთან ვიყავი, ყარაყაჯში, ქიზიყის ბოლოში და ვუცდიდით ხიმშიაშვილს. იქ მე სამი დღე დავრჩი. მაგრამ ხიმშიაშვილი არ მოვიდა. ქაქუცას დაბარებული გადავეცი და ტფილისში დავბრუნდი. მხოლოდ იქ გავიგე ხიმშიაშვილის მოუსვლელობის ამბავი. ის დაეჭირა ჩეკას. მას შემდეგ ის დაპატიმრებული იყო და დახვრიტეს 1923 წელს, როცა სამხედრო ცენტრი დაიხვრიტა.

ჩემი ქაქუცასთან ყოფნის ორი კვირის შემდეგ, მოხდა ქაქუცას პირველი შეტაკება ბოლშევიკებთან, რასაც მოჰყვა ცამეტი კაცის დახვრეტა. ჩეკას ჩემი ქაქუცასთან ყოფნაც გაეგო..." (იხ. იქვე). მაშასადამე, გ. ხიმშიაშვილისა და ედპ-ის ცკ-ის წევრთა შეხვედრა-საუბარი მოხდა მაისის ბოლოს, საქართველოს დამოუკიდებლობის ოთხი წლი-

სთავისათვის ანტისაბჭოთა პატრიოტული ძალების გაცხოველებული მზადების წინ, ხელისუფლებისათვის უკიდურესად დაძაბულ პოლიტიკურ ვითარებაში. როგორც ჩანს, ჩეკამ ინფორმატორთა მეშვეობით შეიტყო გ. ხიმშიაშვილის „ნამდვილი" ჩანაფიქრისა და შ. ამირეჯიბის მიერ შესრულებული ამოცანის შესახებ. ამას დაერთო 26 მაისთან დაკავშირებული ხელისუფლების საწინააღმდეგო მასობრივი გამოსვლები და შეტაკებები. ამ ფონზე მოხდა ქ. ჩოლოყაშვილის რაზმის შებრძოლება ხელისუფლების ძალებთან და ამ უკანასკნელთა მხრიდან პირველი მნიშვნელოვანი მსხვერპლი. მაგრამ გაუგებარი რჩება, სინამდვილეში ვინ იყო ქ. ჩოლოყაშვილის მიერ განხორციელებული ბრძოლისა და დახვრეტების ნამდვილი წამბიძგებელი. ამ სისხლის ღვრაში ედპ-ის ცკ-ის, „სამხედრო ცენტრის" და მენშევიკების განსაკუთრებული როლის შ. ამირეჯიბისეული ახსნა ჩვენთვის დამაჯერებელი არ არის. მიგვაჩნია, რომ აქ თავი იჩინა ექსტრემისტი ეროვნულ-დემოკრატების ინიციატივამ. ჩვენთვის ცნობილია, რომ პარტიზანული რაზმები მზადდებოდა საერთო-ეროვნული აჯანყების ხელსაყრელი მომენტისათვის. მაგრამ, როგორც ალ. სულხანიშვილი მოგვითხრობს, ქაქუცას 1922 წლის თებერვალში, როცა ის სიღნაღის მაზრაში ტრიალებდა, ერთ სოფელში შეხლა-შემოხლა მოუწყვია ხელისუფლებასთან და ამის გამო ამოჰყო თავი სატუსაღოში. ამ დროს სიღნაღის რევკომს მიუღია საიდუმლო დეპეშა ქაქუცას დაპატიმრების და თბილისში გადაგზავნის მოთხოვნით. მის ყოფილ თანამებრძოლს კაპიტან დათა გომელაურს ეს ამბები უცნობებია ქაქუცას მეგობრებისათვის. მეგობრები ციხეს დაესხნენ, ქაქუცა გაანთავისუფლეს და ტყეში გავიდნენ (ალ. სულხანიშვილი, მოგონებები შეფიცულთა რაზმზე, გვ. 21). ალექსანდრე ბადურაშვილი წერს: „1922 წელს მაისში მამამ მიმიყვანა ქაქუცასთან მუკუზნის ტყეში, ამავე ღამეს წავედით ქიზიყისკენ. ქიზიყის გზაზე ასამდე კაცი მილიცია გვიახლოვდებოდა, მოხდა ბრძოლა. აქედან მიდიან თელავის მიმართულებით" (ალ. ბადურაშვილი, ჩემი თავგადასავალი, ჟურნ. „ივერია", 1982, №82, მ. ქავთარაძის დავალებით შესრულებული წერილი, გვ. 2, 3, 4). ამ ამბებს უფრო ვრცლად აღწერს ალ. სულხანიშვილი. იგი აღნიშნავს, რომ ქიზიყში მისვლის დროისთვის ქაქუცას 20-კაციანი შეიარაღებული რაზმი თავისი საქმიანობით უაღრესად პოპულარული გახდა კახეთში. ყარაღაჯის ტყეში დაბანაკებული რაზმის სადგომში მოდიოდნენ პარიტეტული კომიტეტიდან შალვა ამი-

რეჯიბი, აგრეთვე შალიკო ფავლენიშვილი. პირველი დარჩა ერთ კვირას, მეორე კი ორ დღეს. იგი მერე ქაქუცამ გააგზავნა დავალებითო (იხ. ალ. სულხანიშვილის დასახელებული პუბლიკაცია, გვ. 37). ამის შემდეგ მოხდა დიდი ბრძოლა უზუნდარას ხეობაში, სადაც ქაქუცას 20-კაციანმა რაზმმა სასტიკად დაამარცხა ხელისუფლების 50 თუ 60 კაციანი რაზმი. ქაქუცას რაზმში დაიჭრა ერთი, მოწინააღმდეგის მხარეს კი 4 თუ 5, ბრძოლის დროს დაიხოცა 10-12, დახვრიტეს 6 თუ 7 (იხ. იქვე, გვ. 40). ისეა თუ ასეა, ერთი რამ ფაქტია, შ. ამირეჯიბის შეტყობინების მერეა ეს შეტაკება და ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმთან დაკავშირებული მომდევნო ამბებიც.

შ. ფავლენიშვილის მისია იმაში მდგომარეობდა, რომ ფართო მოქმედებისათვის მოემზადებინა არაგვის ხეობის მთიელები. მაშასადამე, ისე გამოდის, რომ თითქოს ქ. ჩოლოყაშვილის მოქმედებას ხელმძღვანელობდა საქართველოს ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობის ცენტრი. მსგავსი აზრია ჩამოყალიბებული მიხეილ ლაშქარაშვილის, დავით ვაჩნაძის და სხვათა პუბლიკაციებში. მათში ტყუილი და მართალი ისეა ჩაწნული, რომ ძნელია უტყუარი ამბების დადგენა. შედარებით სანდოდ გამოიყურება მოგონებათა ავტორების ის ინფორმაცია, საიდანაც ჩანს, რომ ქ. ჩოლოყაშვილის ამბოხებით ბრძოლას აქეზებდნენ ხელისუფლების მიმართ განსაკუთრებით მტრულად განწყობილი ეროვნულ-დემოკრატი სამხედროები, რომლებიც ჯერ კიდევ საქართველოს გასაბჭოებამდე იყვნენ ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულები თავიანთი სამსახურებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრებით. მ. ლაშქარაშვილი მოგვითხრობს, რომ როდესაც ქ. ჩოლოყაშვილი პირველად გამოჩნდა დედოფლისწყაროს რაიონში, დაახლოებით მაისის პირველ რიცხვებში, ამ დროს მე ვიყავი ქიზიყშიო. არბოშიკელების ბინაზე ვაფარებდი თავსო. მაისის პირველ რიცხვებში დავტოვე ქიზიყი და დავიძარი თბილისისაკენ. „დრო აღარ ითმენდა 1922 წლის გადაუდებელი აჯანყების მოწყობისათვის... მეც გულის ფანცქალით მოველოდი იმ დიად დღეს, როდესაც ქართველი ხალხი ულმობელ მტერს დაატეხდა თავის რისხვას, ძველებური ბრძოლის სიმხნევით მოიწმენდდა იმ სირცხვილის ლაქას, რომელიც 1921 წლის 25 თებერვალს სამარადისოდ დაუტოვა გადაგვარებულმა მენშევიკურმა ხელისუფლებამ.

თბილისიდან წავედი ქართლში და თიბათვის პირველი რიცხვებიდან შევუდექი აჯანყებისათვის კავშირების გაბმას... მე პირდაპირი

კავშირი არ მქონდა ცენტრალურ შტაბთან. მე ვიყავი დამოკიდებული შალვა ფავლენიშვილზე, რომელიც ამ დროს ითვლებოდა ქაქუცას თანაშემწედ კახეთში და მისგან ვღებულობდი გეგმებს მთავარი შტაბის დადგენილებების მიხედვით" (იხ. გაზ. „რესპუბლიკა", 1991, 5 თებერვალი). როგორც ირკვევა, პატრიოტთა გარკვეულ წრეებში ამბოხებითი სულისკვეთების გაცხოველება და რევანშისტული განწყობილების გააქტიურება იწყება უკვე მაისის დასაწყისში. ანტისაბჭოთა აჯანყების ორგანიზების იდეამ აიტაცა ეროვნულ-დემოკრატების ფიცხი ნაწილი, მათ შორის შ. ამირეჯიბი.

ეროვნულ-დემოკრატი სამხედროების ბინებში იმართებოდა კონსპირაციული თათბირები. აქტიურ მონაწილეებს შორის ნახსენები არიან: დ. ვაჩნაძე, შ. ფავლენიშვილი, მ. ლაშქარაშვილი, რ. მუსხელიშვილი, ივ. ნარიკელაძე, ალ. ანდრონიკაშვილი, ილიკო მახარაძე, გ. წინამძღვრიშვილი, მ. იშხნელი, ს. ბაგრატიონ-მუხრანელი და მრავალი სხვანი. ჩანს, მათი იდეური სულისჩამდგმელი კ. აფხაზი იყო. აქ იხილებოდა მომავალი აჯანყების ორგანიზაციული საკითხები, ისახებოდა გეგმები, ხორციელდებოდა კონკრეტული ამოცანები. მაგრამ ამ სამზადისში ჩაბმული იყო ანტისაბჭოთა ბრძოლის ერთი, სეპარატისტული, ექსტრემისტულ-ავანტიურისტული ნაწილი, რომელსაც მხარდამჭერები მოეპოვებოდა მეტ-ნაკლებად თითქმის ყველა პოლიტიკურ პარტიაში, მაგრამ არა მთლიანად ანტისაბჭოთა მოძრაობის ცენტრში და, საერთოდ, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურ კომიტეტში.

ამ პარტიათა ლიდერებს შორის აზრთა სხვადასხვაობა მრავალგზის წარმოჩნდა აგრეთვე პარიტეტული კომიტეტის მუშაობის პროცესში, რაც მათ შორის არსებული უთანხმოების სავსებით მოსალოდნელი და ლოგიკური შედეგი გახლდათ. ეს იყო არა მარტო ანტისაბჭოთა პარტიზანული რაზმების ბრძოლასთან დაკავშირებული საკითხი, არამედ აგრეთვე ანტისაბჭოთა აჯანყების მომენტისა და აჯანყების პრაქტიკული ორგანიზების ქვეყნის საერთაშორისო და საშინაო ვითარებასთან დაკავშირების პრობლემა. არსებობს მრავალი საყურადღებო წყარო, რომელიც ადასტურებს, რომ „პარიტეტული კომიტეტის" კურსისაგან ჩამოცილება, გარიგების პრინციპების დარღვევის გამო, ნორმალურ მდგომარეობას წარმოადგენდა. მაგრამ არსებულა უპასუხისმგებლო თვითნებობაც. ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა მემარჯვენე ფედერალისტების მთავარი კომიტეტის თა-

ვმჯდომარის და „პარიტეტული კომიტეტის“ წევრის გრ. რცხილაძის ჩვენება. იგი აღიარებს, რომ მენშევიკები გასაბჭოებამდე არსებული ხელისუფლების „რესტავრაციას ისახავდნენ მიზნად“, სხვებს „ახალ საწყისებზე კონსტრუირება“ მიაჩნდათ საჭიროდ. „ამასთან საბჭოთა ხელისუფლების უდღეურობა მოლაპარაკების ყველა მონაწილეს უდაო ეჩვენებოდა, ხოლო დამოუკიდებლობის აღდგენა ახლო მომავლის საქმედ.“ ამიტომ იყო, რომ ჯერჯერობით ზოგი პრინციპული წინააღმდეგობა იჩქმალებოდა და მხოლოდ მაშინ ამოხეთქავდა, როცა მიმდინარე მომენტის სიტუაციები ამის აუცილებლობას აყენებდა. „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“ შეიქმნა თანაბარი წარმომადგენლობის პრინციპით — ყოველ პარტიას თითო წარმომადგენელი ჰყავდა. **ყოველი საკითხი, რომელზეც ის იმსჯელებდა, უნდა გადაწყვეტილიყო ერთხმად, და არა ხმის უმრავლესობით“. „პარიტეტული კომიტეტის“ რეგლამენტით „უნდა მოხსნილიყო ყოველი საკითხი, თუ ერთი წევრი მაინც განაცხადებდა შესაბამის მოთხოვნას“.** ეს პარტიების გარიგების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრინციპი იყო. მისი დარღვევის შემთხვევაში პოლიტიკურადაც და ზნეობრივადაც გამართლებულად ითვლებოდა „პარიტეტულ კომიტეტთან“ დაპირისპირებაც და მისგან ჩამოშორებაც.

ზოგი მოითხოვდა ჟორდანიას ყოფილი მთავრობის საქმიანობის დაქვემდებარებას დამკომის კონტროლისადმი. გრ. რცხილაძე წერს: „ქართველ ემიგრანტთა ინფორმაციის თანახმად დამოუკიდებლობა შეიძლებოდა აღდგენილიყო ან მოსკოვის მთავრობაზე სოციალისტური პარტიების და მეორე ინტერნაციონალის მორალური ზემოქმედების შედეგად, ან შინაგანი უწესრიგობის გამო საბჭოთა ხელისუფლების დაშლის შედეგად, ანდა ომის შედეგად, რომელიც ემიგრაციის აზრით, შესაძლებელი იყო“და სხვ. მაგრამ „ეს დაპირებები არ გამართლდა, თანდათან (საბჭოთა ხელისუფლების პოზიციების განმტკიცების და ჩეკისტური იერიშების გაცხოველების კვალობაზე — გ.ც.) მეფდებოდა გულგატეხილობა, — უჩვენა გრ. რცხილაძემ და დასძინა, — პირადად მე ყოველთვის დიდი სკეპტიციზმით ვუყურებდი ევროპიდან დახმარებას და არ მწამდა რეალური შედეგები ევროპის სოციალიზმის მორალური ზეგავლენისა საქართველოს ამბებზე... არსებობის პირველი პერიოდი დამოუკიდებლობის კომიტეტმა ისე გაატარა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის პერსპექტივა არა ჰქონია“ (იხ. იქვე, გვ. 283-285). ამასთან დაკავშირებით

ყურადღებას იპყრობს აგრეთვე ცნობილი ფედერალისტის ალ. ბოკერიას აზრი. „ჩვენი ცეკა (? – გ.ც.) ავჯანყების საკითხს მუდამ სკეპტიკურად უყურებდა და უფროსი ამხანაგებიც... ხსენებულ ნაბიჯებს ავანტიურად (! – გ.ც.) სთვლიდნენ, რომელიც ეროვნული საქმის გაკეთების ნაცვლად ერს ფიზიკურად გაანადგურებდა... გაურბოდით ოცნების სამეფოში ფრენას და დედამიწასთან დაშორებას. ჩვენ ვგრძნობდით, რომ ყოველთვის ხელსაყრელი არ არის სრულ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა და ამ საქმისათვის უშედეგო მსხვერპლის გაღება“ (იქვე, გვ. 388). მაშასადამე, მემარჯვენე ფედერალისტის ალ. ბოკერიას აზრით, მოუმწიფებელ სიტუაციაში შეიარაღებული ავჯანყების საკითხის დაყენება ავანტიურაა. ასევე ესმით ეს საკითხი „დამკომისა“ და „სამხედრო ცენტრის“ წევრთა უმრავლესობას. მაგრამ ეს სწორი ახსნა ვერ გაიგო არა მარტო ზოგმა იმდროინდელმა ეროვნული მოძრაობის ლიდერმა, არამედ აგრეთვე ბევრმა ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობის მკვლევარმა და ამ ისტორიის მკითხველმა. ამიტომ აქ საჭიროდ მიმაჩნია ავანტიურის გაგების საკითხზე დამატებითი მსჯელობა. ნ. კირთაძის დასახელებული წიგნის დოკუმენტურ ნაწილში მოყვანილია „ამონაწერი (ფედერალისტების –გ.ც.) თბილისის კომიტეტის სხდომის ოქმიდან“ (12.VIII. 1924) – „მომენტი და ტაქტიკა“. აქ ვკითხულობთ: „საქართველოში ავჯანყების საკითხი პოპულარული გახდა... მართალია, ეგ საკითხი საქართველოში უკვე მეოთხეჯერ (1924 წ. აგვისტო; 1924 წ. მაისი; 1924 წ. თებერვალი; 1924 წ. ნოემბერი – გ.ც.) ისმის, მაგრამ არასოდეს ისეთი სერიოზული და კატეგორიული ხასიათი არა ჰქონია, როგორც დღეს. ჩვენი ფრაქცია პარიტეტში („დამკომში“ – გ.ც.) მუდამ კრიტიკულად უყურებდა ავჯანყების საკითხს და თამამად შეიძლება ითქვას, რომ მან ბევრჯერ გამოიყვანა ქართველი ხალხი ავანტურიზმის (! – გ.ც.) ცეცხლიდან (იხ. გვ. 361). ამჟამად ფედერალისტების პარტიის ხელმძღვანელები განსაკუთრებით აუცილებლად მიიჩნევენ „გონებას მეტი ადგილი დავუთმოთ“. ისინი აცხადებენ, რომ „უმომენტოდ ასეთი სერიოზული ნაბიჯის გადადგმა (როგორიც ავჯანყებაა – გ.ც.), ერის ყოფნა-არყოფნის პრობლემის გადასაჭრელად დასმა – ავანტურიზმია“ მათ მიაჩნდათ, რომ „დღეს საამისო მომენტი არ დგას, იქნებ ხვალ დადგეს, ან ზეგ, ან კიდევ სხვა დროს“ (იქვე, გვ. 363). ავჯანყების საკითხი, როგორც მოყვანილი დოკუმენტიდან ჩანს, 1922 და 1923 წლის დასაწყისში მთავარ ცენტრს არ დაუყენებია. იგი რომ

დამდგარიყო, ისეთივე ავანტიურა იქნებოდა, როგორც 1924 წლის აგვისტოს აჯანყების ორგანიზატორთა ქმედება. ასე რომ, სიტყვა-ტერმინმა „ავანტიურამ" არ უნდა დაგვაფრთხოს მხოლოდ იმის გამო, რომ იგი საბჭოთა ხელისუფლების წლებში სალანძღავ თუ დასაგმობ ქმედებათა აზრით იხმარებოდა. უნდა გავერკვეთ, რომ „სამხედრო ცენტრის" დაპატიმრებამდე საქართველოს ანტისაბჭოთა მოძრაობაში ავანტიურისტულ გამოვლინებებს ადგილი ჰქონდა, მაგრამ არა „დამკომისა" და „სამხედრო ცენტრის" მხრივ.

მემარჯვენე ფედერალისტების ლიდერების პოზიცია ზემოთ მოყვანილ შემთხვევაში ფაქტობრივად ესადაგება მემარცხენე პარტიების კომპრომისულ ტაქტიკას. მართალია, ეს არის „მემარცხენე" პარტიის ლიდერების თვალით დანახული სინამდვილე, მაგრამ სხვა პარტიებშიც რეალურად მოაზროვნე ნაწილს მემარცხენე პოზიცია ეკავა და ამიტომ ხშირად პრინციპულ დაპირისპირებას ჰქონდა ხოლმე ადგილი ერთსა და იმავე პარტიის მემარჯვენე-ავანტიურისტული და მემარცხენე-კომპრომისული განწყობის ლიდერებში, მათ შორის ეროვნულ-დემოკრატების ცკ-ის წევრებში. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცკ-ში მემარცხენე პოზიციას, როგორც არაერთი მაგალითით ვნახავთ, იცავდნენ მ. ჯავახიშვილი, ი. ჯავახიშვილი, მ. წინამძღვრიშვილი, კ. მისაბიშვილი, შემდეგ ალ. ახმეტელი, ს. დანელია, დ. ჯავახიშვილი და სხვა. მართალია, ი. ჯავახიშვილი და გ. წინამძღვრიშვილი 1923 წლის დასაწყისის ექსტრემალურ სიტუაციაში მემარჯვენე-ექსტრემისტული მიმდინარეობის ბანაკში გადადიან, მაგრამ, ჩვენი აზრით, ეს განაპირობა არა მათმა პოლიტიკურმა ფუნდამენტალიზმმა, არამედ კონკრეტულმა გარემოებებმა. ამას გვაფიქრებინებს ის, რომ ადრე ისინი ქ. ჩოლოყაშვილის ამბოხებით გამოსვლებს ემხრობიან და მისი გაშლის წინააღმდეგნიც იყვნენ, 1923 წლის დასაწყისიდან კი მხარს უჭერენ ნ. ხომერიკის ახალ ტაქტიკას და აჯანყების პრაქტიკულ ორგანიზებას. ეს იყო მათი პოლიტიკური მეტამორფოზა, ხატოვნად რომ ვთქვათ. მათი ეს მოქმედება იყო ღალატი „პარიტეტული კომიტეტის" პრინციპებისა. ასე რომ, „ღალატიც" არის და ღალატიც. ამიტომ პარტიათაშორისი თუ შიდაპარტიული უთანხმოებები და შეუთავსებლობები ზოგჯერ შეიძლება შეფასდეს ღალატად, მაგრამ ეს არ უნდა გავაზვიადოთ სამშობლოს მიმართ ღალატად, ან გამცემლობად თუ ჩეკას ჯაშუშობად. მაშასადამე, ღალატი მრავალმხრივი გაგებით იხმარება. მ. იმხნელი კ. მი-

საბიშვილის ღალატში გულისხმობს ტაქტიკისადმი ღალატს. ზოგმა მ. იშხნელის ნათქვამი, რომელიც მოხმობილია მკვლევარ გ. მამულიას პუბლიკაციაში, გაიგო როგორც მოღალატეობა საერთოდ ეროვნული მოძრაობისა და სამშობლოს მიმართ. ეს არის უხეში შეცდომა.

„დამკომის" თავმჯდომარემ კონსტანტინე ანდრონიკაშვილმა 1924 წლის აჯანყების დაპატიმრებულ ხელმძღვანელ-მონაწილეთა პროცესზე სიტყვის წარმოთქმის დროს აღნიშნა: „დამკომის მოქმედება განიყოფება ორ პერიოდად: პირველი – ნიკ. ქარცივაძის თავმჯდომარეობით 1922წ. აგვისტოდან მის დაპატიმრებამდე (1923წ. მარტი), მეორე – ჩემი თავმჯდომარეობით. 1923წ. მაისიდან აჯანყებამდე (1924წ. აგვისტო – გ.ც.). არსებითი განსხვავება ამ ორ პერიოდს შუა გამოიხატება შემდეგში: დამკომი ნიკ. ქარცივაძის თავმჯდომარეობის დროს ექვემდებარებოდა მასში შემავალ პარტიებს" და „ქ**არცივაძის თავმჯდომარეობით არასდროს აჯანყების საკითხი პრაქტიკულად არ დასმულა. თუ მაინც დაისვა** იმ დროს, როგორც ქარცივაძემ განაცხადა, მხოლოდ უფრო **თეორიულად**, ე.ი. (რათა) გამოერკვიათ, რა ძალას წარმოადგენდნენ პარტიები, თუ მოხდებოდა საქართველოში როდესმე აჯანყება. **როდესაც მე ჩავუდექი დამოუკიდებლობის კომიტეტს** სათავეში, **წინანდელ კომიტეტისაგან არავითარი მემკვიდრეობა არ მიმიღია.** არც ორგანიზაციული და არც სამხედრო... **დამკომმა ჩემი თავმჯდომარეობის დროს აიღო ხელისუფლებასთან აქტიური ბრძოლის ხაზი."**

იასონ ჯავახიშვილმა 1925 წლის 31 ივლისს უზენაეს სასამართლოში სიტყვის წარმოთქმის დროს დაუდასტურა მოწმედ გამოსულ მ. ჯავახიშვილს ის, რომ „სამხედრო ცენტრის" დაპატიმრებამდე **ქ. ჩოლოყაშვილის აჯანყებისათვის ეროვნულ დემოკრატიულ პარტიას განკარგულება არ გაუცია"** (იხ.: ნ. კირთაძის დასახელებული წიგნი, გვ. 406, 408, 428.). ეს რეალობა ადრე ნაწილობრივ დაარღვია ნ. ხომერიკმა. საზღვარგარეთული ცენტრის დავალებით ნ. ხომერიკმა, როგორც ჩანს, გარკვეული გავლენა თავისი პარტიის ლიდერებზე და მათ შორის დამკომის თავმჯდომარე ნ. ქარცივაძეზეც მოახდინა, მაგრამ გრ. რცხილაძე, მ. ჯავახიშვილი, კ. მისაბიშვილი და ზოგი სხვა, როგორც ჩანს, ვერ აიყოლია.

ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა ამონარიდი გრ. რცხილაძის ჩვენებიდან. მას შემდეგ, რაც რატომღაც „დამოუკიდებლობის კომიტეტის" თავმჯდომარე გოგიტა ფალავა ნიკოლოზ ქარცივაძემ

შეცვალა, ახალმა თავმჯდომარემ ავჯანყებისა თუ დამოუკიდებლობის მოსამზადებლად განაცხადა: „მენშევიკების პარტიამ დამაკისრა განსახილველად დავსვა საკითხი... რომ საჭიროა დავთქვათ რაიმე ვადა, დავუკავშიროთ იგი მოხერხებულ საერთაშორისო ვითარებას, ამ დროისათვის მოვამზადოთ მთელი ძალები... გავშალოთ საქმიანობა". ეჭვის გარეშეა, რომ აქ ჩანს მენშევიკების საზღვარგარეთული ცენტრის და მისი ემისრის, ნ. ხომერიკის გავლენა. ხდება იერიშის მიტანა იმ პრინციპებზე, რომელთა საფუძველზეც მოხდა პარტიების გარიგება. გრ. რცხილაძე აღნიშნავს: „ამ წინადადებაში მე კომიტეტის მიერ აქამდე გაწეული მუშაობის მთელი ბუნების არსებითი შეცვლა შევნიშნე. მივხვდი, რომ ეს წინადადება ნიშნავდა შეიარაღებული აჯანყების პროგრამის მიღებას... აჯანყება მე ყოველმხრივ მიზანშეუწონლად და ქართველი ხალხისათვის დამღუპველად მივიჩნიე და უაღრესად გადაჭრით გავილაშქრე შემოტანილი წინადადების წინააღმდეგ". ეს თავგამოდებული წინააღმდეგობის ამბავი გრ. რცხილაძემ საკუთარი პარტიის დანარჩენ ხელმძღვანელობასაც აცნობა და შეიარაღებული აჯანყების თავიდან არიდების მოტივით „დამკომიდან" გასვლის წინადადება მისცა. ამის მერე იგი ფაქტობრივად ჩამოშორდა კიდეც დამკომის საქმიანობას (ნ. კირთაძის დასახელებული წიგნი, გვ. 285-286). აქ ჩანს მოცემული პარტიის და მისი წარმომადგენლის პრინციპული პოზიცია, ერთგულება შეთანხმებაგარიგების პრინციპების მიმართ. ამდენად, იგი არის პოლიტიკურად და ზნეობრივად გამართლებული. იმდროინდელი მოვლენების ანარეკლი ჩანს მ. ჯავახიშვილის უბის წიგნაკის ქარაგმულ ჩანაწერში, კერძოდ სიტყვებში: „მერე თხოულობს, რომ სამხ. ცენტრს დიქტატორის უფლება მიეცეს. „აჯანყების დღის დანიშვნისაც?" დიახ, ვეგრძვი. ხომერიკი ჩამოდის. შეხვედრა ვ. მ.-თან (ვასო მგალობლიშვილთან – გ.ც.), სამეული, **აჯანყებისკენ მიჰყავს. განზე ვიწევთ. ვფრთხილობთ"** (! – გ.ც.). რატომ? იმიტომ, რომ საქართველოს იმდროინდელ სიტუაციაში ნ. ხომერიკის და ვ. მგალობლიშვილის მიზანი არ შეესაბამებოდა რეალურ შესაძლებლობებს და შეეძლო დიდი უბედურების მოტანა. მაგრამ ნ. ხომერიკის ჩამოსვლიდან ერთ გარკვეულ პერიოდში მის მეცადინეობას ჯერ კიდევ არ ჰქონდა ავანტიურიზმისა და ეროვნული საშიშროების ძალა. ამიტომ იყო, რომ მ. ჯავახიშვილი და მისი თანამოაზრე-თანამებრძოლები ჯერჯერობით მხოლოდ განზე იწევიან და ფრთხილობენ, ხოლო როცა უკვე მკაფიოდ

გამოვლინდა ნ. ხომერიკის მეცადინეობა და მისი მძიმე შედეგები, მემარჯვენე ფედერალისტებიც და ეროვნულ-დემოკრატების ერთი ნაწილიც, მათ შორის კ. მისაბიშვილი და მ. ჯავახიშვილიც, ინტერპარტიული გარიგების პრინციპებისადმი ერთგულებიდან გამომდინარე, პრინციპულად უპირისპირდებიან მას, აგრეთვე მის მიერ „გადაბირებული" ეროვნულ-დემოკრატების ტაქტიკას.

ის, რაც „პარიტეტულ კომიტეტში" საკითხების „ლიბერუმ ვეტოს" პრინციპით დაყენების გამო ნ. ქარცივაძემ ვერ გაიტანა, ნ. ხომერიკმა შემოვლის გზით მოაგვარა. მან „სამხედრო კომისია" შექმნა და მას დაუქვემდებარა აჯანყების საკითხის გადაწყვეტა. მაგრამ, როგორც ჩანს, მან ეს მხოლოდ „სამხედრო ცენტრის" წევრთა და მათთან დაკავშირებულთა დახვრეტის შემდეგ მოახერხა, მანამდე კი ხელმძღვანელი ცენტრის ტაქტიკის შეცვლა ვერ შეძლო. ეს იმიტომ მოხდა, რომ ფხიზლობდა არაექსტრემისტული მიმდინარეობის წარმომადგენლობა, განსაკუთრებით ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის მოადგილე მ. ჯავახიშვილი.

კ. მისაბიშვილის, მ. ჯავახიშვილის და მათი მიმდევრების ახალი პოზიციის გასააზრებლად უაღრესად საყურადღებოა აგრეთვე „დამკომის" და უმრავლესობის დამოკიდებულება სხვა მნიშვნელოვანი მოვლენების მიმართ. ასე მაგალითად: 1923 წლის დასაწყისში მძაფრად დაისვა უნივერსიტეტის სტუდენტთა წმენდის, თბილისის აღების ზეიმის, ანუ 25 თებერვლისადმი დამოკიდებულების საკითხი. ნ. ქარცივაძის ჩვენებიდან ჩანს, რომ ეს საკითხები იხილებოდა „დამკომის" უკანასკნელ, 15 თებერვლის სხდომაზე. ნ. ქარცივაძე წერს: „... საკმაოდ მნიშვნელოვანი უთანხმოება გამოიწვია უნივერსიტეტის სტუდენტთა წმენდის საკითხმა". ხელისუფლება მიზნად ისახავდა არასაიმედო პირების განთესვას, ამ მიზნით უკიდურესად ჩეკისტური კითხვარი შემუშავდა და წმენდაშიც ჩეკას წარმომადგენლობას უნდა მიეღო მონაწილეობა (სუიცსა, ფონდი 300, №1, ს. 60, ფ. 66). ქარცივაძე აგრძელებს: „... ჩვენ ვამბობდით, რომ სტუდენტებმა ანკეტები არ უნდა შეავსონ. კომიტეტის სხდომაზე მე ამ თვალსაზრისს ვადექი, მაგრამ ჩემი თვალსაზრისი არ გავიდა. უმრავლესობამ არ მიიჩნია მიზანშეწონილად... ჩემი პარტიის თანხმობით უკან დავიხიე" (ნ. კირთაძის დასახელებული წიგნი, გვ. 214). „წმენდის" შემდეგ უნივერსიტეტიდან გარიცხეს 1500 „არასაიმედო" სტუდენტი (სუკის არქივი, №23410, ფ. 10-11). საკითხი, როგორც ჩანს, უნივერსიტე-

ტის პროფესურასაც ძლიერ აღელვებდა. საბჭოთა პერიოდის ერთ-ერთ პუბლიკაციაში ვკითხულობთ, რომ მემარჯვენე პროფესურა წუ-წუნებდა – „უნივერსიტეტი მუშებით გაივსებაო“. მაგრამ „დამკომის“ სწორ გადაწყვეტილებას არ დაუპირისპირდნენ. ჩანს, მათ გარკვეული როლი შეასრულეს. შენარჩუნებულ იქნა ეროვნული უნივერსიტეტი. წინააღმდეგ შემთხვევაში კი „წმენდა“ გაცილებით უფრო მასშტაბური იქნებოდა და „მემარჯვენე“ პროფესურაზეც გავრცელდებოდა. გვექნებოდა კომუნისტური უნივერსიტეტი ეროვნულის ნაცვლად.

25 თებერვლისადმი დამოკიდებულების საკითხი გულისხმობდა კითხვას: „უნდა მიიღონ თუ არა საბჭოთა დაწესებულებების ქართველმა მოსამსახურეებმა მონაწილეობა „დღესასწაულში“. „უმეტესობა იმ აზრისა იყო, – წერს ნ. ქარცივაძე, – რომ მათ არ უნდა მოუწოდოთ ბოიკოტისათვის, თორემ ამან შეიძლება მათი სამსახურიდან დათხოვნა გამოიწვიოს, რაც საბჭოთა დაწესებულებებში ქართულ ელემენტს შეასუსტებსო...“ (ნ. კირთაძე, დასახელებული წიგნი, გვ. 212, 213). ამ აზრს ადასტურებს კ. აფხაზის 1923 წლის 12 მაისის ჩვენებაც, რომლიდანაც ცხადი ხდება, რომ პარიტეტული კომიტეტიდან (ცენტრიდან) მიიღეს მითითება, რომ „გვემოქმედა მოსახლეობაზე 1922 წლის საშემოდგომო და 1923 წლის დღესასწაულების დროს ყოველგვარი გამოსვლის უარყოფის თვალსაზრისით“ (ნ. კირთაძის დასახელებული წიგნი, გვ. 276). მართლაც, საბჭოთა რუსეთში ბევრი იყო ისეთი სპეციალისტი და მუშაკი, რომლებიც სიამოვნებით კისრულობდნენ ქართველების შენაცვლებას. მაშასადამე, საგნობრივად ჩანს, რომ „დამკომში“ და, საერთოდ, ეროვნულ მოძრაობაში აჩქარებული, ფიცხი ხალხის გვერდით იყვნენ რეალობიდან გამომდინარე პიროვნებებიც. „ნ. ხომერიკის სამხედრო კომისიაში“ და ეროვნულ დემოკრატების ცკ-ში ასეთი პიროვნებები იყვნენ მ. ჯავახიშვილი, კ. მისაბიშვილი და ზოგი სხვა. „დამკომის“ უმრავლესობის ლოიალური თუ „ლიკვიდატორული“ პოლიტიკა გამორიცხავდა აჯანყებას, მაგრამ ამით ერი სარგებელს ნახულობდა. ასევე სასარგებლო იქნებოდა, თუ ასეთი ლოიალური თუ „ლიკვიდატორული“, ანუ შემწყნარებლური პოლიტიკა გატარდებოდა კ. მისაბიშვილის და მ. ჯავახიშვილის, აგრეთვე სხვათა – ტაქტიკურად სწორი აზრების მქონეთა მიმართ.

ნ. ხომერიკის მეცადინეობით კი დაისახა ანტისაბჭოთა ეროვნული

ბრძოლის ექსტრემისტულ-ავანტიურისტული მიმართულების გაძლიერების ტენდენცია, რასაც მოჰყვა ხელისუფლების მხრივ რეაქციის კიდევ უფრო გაძლიერება. „ნ. ხომერიკის ტაქტიკა“ და მოქმედება მრავალი უბედურების მომტანი გახდა. ახალ ვითარებაში არალეგალურ-რადიკალური ტაქტიკით მებრძოლთა წინაშე გარდაუვლად დადგა დილემა. ისინი ან უნდა შერწყმოდნენ ნ. ხომერიკის ბრძოლის ტაქტიკას, ან უნდა ჩამოშორებოდნენ მას. ამას ქვემოთ დოკუმენტურ საფუძველზე უკეთ გავეცნობით, მაგრამ მანამდე საჭიროა გავარკვიოთ ისტორიოგრაფიულად გამრუდებული კიდევ ერთი – „სამხედრო ცენტრისა“ და პარტიზანული მოძრაობის ურთიერთდამოკიდებულების პრობლემა. იგი დაგვანახებს, რომ მ. ჯავახიშვილის აზრი ქ. ჩოლოყაშვილის ამბოხებითი რაზმის მიმართ მომდინარეობდა გონიერი ტაქტიკიდან.

თავი VI

რადიკალების დამოკიდებულება ამბოხებითი რაზმებისა და ანტისაბჭოთა აჯანყების მიმართ

ისტორიკოსების მიერ მ. ჯავახიშვილის, კ. მისაბიშვილის და ზოგ სხვათა მოქმედების გაუგებრობის ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენს არალეგალური მოძრაობის ცენტრისტებისა და მათი მხარდამჭერების მოქმედების ტაქტიკის შეუცნობლობა, კერძოდ, გაუგებრობა მათი დამოკიდებულებისა მეამბოხე რაზმების, მათ შორის ქაქუცა ჩოლოყაშვილის, საერთოდ, პოლიტიკური პარტიების ექსტრემისტი წარმომადგენლების და, კერძოდ, სამშობლოს განთავისუფლებისათვის ავანტიურისტული მეთოდებით მებრძოლების მიმართ. 1921-1924 წლების ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობის და პოლიტიკური ბრძოლის მონაწილეთა (დ. ვაჩნაძის, ალ. სულხანიშვილის, მ. ლაშქარაშვილის, ს. ზალდასტანიშვილის და სხვ.) საყურადღებო მოგონებებში მოცემული პერიოდის ისტორია ისეა გაშუქებული, თითქოს ანტისაბჭოთა პოლიტიკური პარტიები და მათთან ორგანიზებული მებრძოლი რაზმები იმთავითვე სამშობლოს დაუყოვნებლივი განთავისუფლებისა და აჯანყებისათვის იყო შექმნილი. მოგონებების მიხედვით, ამავე მიზნით შეიქმნა „საქართველოს განთავისუფლების კომიტეტი" და „სამხედრო ცენტრი". მოგონებების ექსტრემისტ ავტორთა აზრით, 1922 წლის აჯანყება იყო სპონტანური და საჭირო იყო მას სათავეში ჩასდგომოდა შესაბამისი ცენტრი. მათ მიაჩნდათ, თითქოს უკვე 1922 წლის ზაფხულში მომზადდა ხელსაყრელი საშინაო და საერთაშორისო ვითარება ოკუპირებული საქართველოს აჯანყების გზით განთავისუფლებისათვის. ამგვარ მცდარ მოსაზრებებს დაეყრდნო (დ. ვაჩნაძე, მ. ლაშქარაშვილი, ალ. სულხანიშვილი) 1922 წლის აჯანყების წინ „რ. მუსხელიშვილის გეგმა", თუ „რ. მუსხელიშვილის ახალი, შეცვლილი გეგმა", რომლის მიხედვითაც ამიერკავკასიაში მდგარი მთელი რუსის ჯარი უნდა „შეეკუჭნათ" ხევსურეთის მიმდებარე ღრეებში, ამის შემდეგ ხევსურეთიდან და ზურგიდან განხორციელებული კომბინირებული იერიშებით მთლიანად მოესპოთ

იგი, აეღოთ „უძალო თბილისი“, გაენთავისუფლებინათ სრულიად საქართველო და საბჭოთა რუსეთისაგან გამოეგლიჯათ კავკასიის ხალხებიც კი (დ. ვაჩნაძე, მ. ლაშქარაშვილი). საბჭოთა რუსეთის სტაბილიზაციის რეალურ პირობებში ეს იყო ფანტასტიკური, ექსტრემისტულ-ავანტიურისტული „გეგმა“. მოგონებების მიხედვით, ეროვნულ ძალთა ერთი ნაწილი აქტიურად ჩაება „გეგმის“ განხორციელებისათვის ბრძოლაში. მაგრამ ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობის მეორე ნაწილი, უპირატესად მენშევიკები (სინამდვილეში რადიკალური, ცენტრისტული ანუ ზომიერი წარმომადგენლობა, რომელმაც სწორად შეაფასა რეალური ვითარება, მეამბოხე ძალთა შეზღუდული შესაძლებლობები, ავჯანყების გარდაუვალი წარუმატებლობა, მოსალოდნელი მსხვერპლი), წინ აღუდგა მეამბოხეებს, მათ შორის იყვნენ „დამკომის“, „სამხედრო ცენტრის“, ანტისაბჭოთა პარტიების წინდახედული წარმომადგენლები. მოგონებების ავტორები მათ თვლიან მოღალატეებად, რომლებმაც თითქოს გამორიცხეს სამშობლოს განთავისუფლების რეალური შანსი. ზოგადად ამ კონცეფციის შესაბამისად ჩამოყალიბდა მოგონებების ექსტრემისტი ავტორების, უპირატესად ავანტიურისტი ეროვნულ-დემოკრატი ლიდერების პუბლიკაციების ფაქტებიც და არგუმენტებიც.

გასული საუკუნის 90-იან წლებში, ეროვნული მოძრაობის ახალი მძლავრი აღმავლობის და საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, როცა საბოლოოდ გაკოტრდა ოფიციალურ-სახელმწიფოებრივ იდეოლოგიაზე დაფუძნებული საბჭოთა ქართული ისტორიოგრაფიის თვალსაზრისი, ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობის ახალგაზრდა ისტორიკოსებმა ჭეშმარიტებად იწამეს აღნიშნულ ავტორთა ტენდენციური ნააზრევი. ამას მოწმობს ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობის ისტორიის ზოგ მკვლევართა პუბლიკაციები. ამაში გვარწმუნებს უტყუარი ისტორია, მათ შორის „სამხედრო ცენტრის“ არსის, მიზანდასახულობის და კომპეტენციის საფუძვლიანი გარკვევა.

„სამხედრო ცენტრი“, როგორც ცნობილია, „დამკომთან“, მის დაქვემდებარებაში და პარიტეტული პრინციპის საფუძველზე შეიქმნა. ამდენად, იგი ჩამოყალიბდა როგორც ინტერპარტიული ცენტრი. მას პოლიტიკური გადაწყვეტილების, მათ შორის ანტისაბჭოთა ლოკალური და მით უმეტეს საერთო ეროვნული ავჯანყების წამოწყების უფლება არ გააჩნდა. ეს იყო „დამკომის კომპეტენცია.“ მით უმეტეს არ შედიოდა ავჯანყების საკითხის გადაწყვეტა ცალკეულ პარტიებთან

არსებულ სამხედრო ორგანიზაციების („კომისიების“) უფლებებში. ეს იყო პარტიების შეთანხმების თუ გარიგების რკინის კანონი.

„სამხედრო ცენტრის“ შესახებ მდიდარი, მაგრამ ხშირ შემთხვევაში ურთიერთგამომრიცხველი ინფორმაცია არსებობს. ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია მოვუხმოთ დოკუმენტების ამონარიდებს, რომლებიც, ჩვენი აზრით, მეტი სიზუსტით ასახავენ სიმართლეს. ალ. ანდრონიკაშვილის, ი. ნარიკელაძის და რ. მუსხელიშვილის ჩვენებათა საფუძველზე შექმნილ ჩეკას 1923 წლის 27 აპრილის დოკუმენტში ვკითხულობთ: „ინტერპარტიული სამხედრო ცენტრი... შეიქმნა ძალთა ორგანიზაციისა და აღრიცხვისათვის, რუსეთის ჯარების ნებით წასვლის ან საგარეო ძალთა ზეწოლის შემთხვევისათვის... საჭირო მომენტში სამხედრო ცენტრს უნდა ეხელმძღვანელა აჯანყებისათვის. აჯანყება ნააზრევი იყო მთლიანი კავკასიის მასშტაბით, რუსეთში შინაგანი გართულებების ან რუსეთის სხვა სახელმწიფოსთან ომის შემთხვევაში...“ (სუკის არქივი №28139, ფ. 70). „დამკომის“ კონტრდაზვერვის მეთაურის ივ. ნარიკელაძის 1923 წლის 7 მარტის ჩვენებაში ვკითხულობთ: „სამხედრო ცენტრის ხელში უნდა მოგროვილიყო მთელი ინფორმაცია საერთო გეგმის შესადგენად იმ შემთხვევისათვის, თუ საქართველოში დაიწყებოდა საყოველთავო გამოსვლა“ (იხ. ნ. კირთაძის დასახელებული წიგნი, გვ. 264). „საქ. დამოუკიდებლობის პარიტეტულ კომიტეტთან არსებული გაერთიანებული სამხედრო ცენტრის შესახებ დასკვნითი დადგენილებით“ (15.V.1923) მისი შემადგენლობა ასეა განსაზღვრული: „დამკომში“ გაერთიანებული პოლიტპარტიების წარმომადგენელთა მიერ არჩეულ იქნა... ვ. წულუკიძე (მენშევიკებიდან), რ. მუსხელიშვილი (ედპ), ალ. ანდრონიკაშვილი (ედპ), გ. ხიმშიაშვილი (მენშ.) და ი. გედევანიშვილი (მემარჯვენე ფედერალისტებიდან)... საკითხების განხილვის შემდეგ „სამხედრო ცენტრი“ მივიდა გადაწყვეტილებამდე: 1. აჯანყება შესაძლებელია როგორც ერთდროული მთელ კავკასიაში, რუსეთის შიდა გართულებების ან რუსეთთან რომელიმე უცხო სახელმწიფოს ომის შემთხვევაში. აჯანყება ცალკე საქართველოში განწირულია წარუმატებლობისათვის; 2. სამხედრო ცენტრის ამოცანაა ხალხის და სხვ. აღრიცხვა, გამოსვლის შემთხვევაში სამხედრო მოქმედების ხელმძღვანელობა; 3. სამხედრო ცენტრი წინააღმდეგია ცალკეული ბანდიტური გამოსვლებისა. 4. აჯანყების მომენტს საზღვრავს დამკომი სამხედრო ცენტრთან წინასწარი შეთანხმებით; 5. გამოითქვა სურვილები ადგი-

ლებთან და წითელი არმიის ნაწილებთან დაკავშირების მიზნით; 6. აზრი გამოითქვა სამხედრო ცენტრის წევრთა შრომის რეგულარული ანაზღაურების შესახებ, საარსებო მინიმუმის ფარგლებში; 7. მოვალეობათა განაწილება: ანდრონიკაშვილი – თავმჯდომარე, წულუკიძე – დამკომთან კავშირი, მუსხელიშვილი – შტაბის უფროსი..." აქვე აღნიშნულია, რომ, სამხედრო ცენტრის შექმნის მიუხედავად, პარტიებში გრძელდებოდა უნდობლობა და საკუთარი სამხედრო ძალების შენარჩუნება და სხვ. (სუკის არქივი, №28139, ფ. 103-105). მაშასადამე, ავჯანყების ორგანიზება მათ უახლოეს ამოცანებში არ შედის. „საბრალმდებლო დასკვნის" მიხედვით, „დამკომის" და „სამხედრო ცენტრის" საქმიანობა გაუკუღმართებულად და სრულიად საპირისპიროდ ისეა წარმოჩენილი, თითქოს ესენი აღვივებდნენ სულ ახლო მომავალში გადატრიალების შესაძლებლობის იმედს და სხვ. მის მიხედვით, ხევსურეთის ავჯანყების ორგანიზება მიეწერება „დამკომს" და „სამხედრო ცენტრს". ჩეკისტური ვერსია გამორიცხავს ავჯანყების სპონტანურ ხასიათს და მიიჩნევს, რომ მისი ნეიტრალიზება ხდება იმის გამო, რომ დამარცხება გარდაუვალი იყო. „საბრალმდებლო დასკვნა" ეროვნული მოძრაობის ცენტრსა და ხევსურეთის ავჯანყებას შორის აბამს კავშირს და დაასკვნის: „ამგვარად ჩოლოყაშვილის გამოსვლა ხევსურეთში მოხდა „პარიტეტული კომიტეტის" უწყებით და თანხმობით... ისევე, როგორც ეს გამოსვლა გადაწყვეტილი იყო სამხედრო ცენტრის უწყებითა და თანხმობით", „პარიტეტულმა კომიტეტმა" გამოსვლის მარცხის ზეგავლენით შესცვალა თავის მოქმედების მეთოდი" (გვ. 14,19). აი „სამხედრო ცენტრის" და სხვათა დახვრეტის საფუძველი, რომელსაც არ ადასტურებენ ამ საქმის გამო დაპატიმრებულთა ჩვენებები, მაგრამ მას ნ.კირთაძე სიმართლედ მიიჩნევს თავისი წიგნის კვლევით ნაწილში. იგი გადაჭარბებულად აფასებს პარტიზანულ-ლოკალური ავჯანყების მნიშვნელობას, რამდენადაც მისთვის გაუგებარი დარჩა ის, თუ როგორ და რისთვის იქმნებოდა ეს რაზმები. გაუგებარი დარჩა, რომ ეს რაზმები უმთავრესად მომავალი აქციების (რუსეთის ჯარის მიერ მიტოვებული საქართველოს თავდაცვის ან რუსეთის წინააღმდეგ რომელიმე ქვეყნის ომის, თუ რუსეთის შინაგანი აშლილობის) დროს გამოსაყენებლად იქმნებოდნენ. მაგრამ სინამდვილეში, მოვლენათა განვითარების გამო სპონტანურად ამ რაზმებმა სულ სხვა, ამბოხებითი ხასიათი შეიძინეს და მათი ეს თავგანწირული ამბოხებითი გამოსვლები 1922 წლის ერო-

ვნული მოძრაობის ხელმძღვანელი ცენტრის მიზანდასახულობასთან, სამშობლოსათვის მათი გმირული თავგანწირულობის მიუხედავად, მაინც პრინციპულ წინააღმდეგობაში აღმოჩნდა.

ნ. კირთაძე ნაკლებ ყურადღებას უთმობს იმ რეალობას, რომ ქ. ჩოლოყაშვილის და სხვა მისი თანამოაზრე-თანამებრძოლების მიერ პარტიზანული რაზმის შექმნისა და მისი პრაქტიკული მოქმედების საკითხი შეთანხმებული იყო სათანადო პოლიტიკურ ხელმძღვანელობასთან. მისი მოქმედება უნდა დაწყებულიყო არა მაშინ, როცა ქ. ჩოლოყაშვილი ჩათვლიდა საჭიროდ, ან როცა იძულებული გახდებოდა, არამედ მაშინ, როცა, მოვლენათა განვითარების საფუძველზე, საქართველოდან საბჭოთა რუსეთის ჯარის გაყვანა და ხელისუფლების ხელში ჩაგდება გარანტირებული იქნებოდა. მანამდე კი ქ. ჩოლოყაშვილს, ალ. სულხანიშვილს და სხვებს ევალებოდათ მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება, იარაღის მომზადება, საჭირო მომენტში ძალთა გამოყენების მიზნით სათანადო ხალხის შემოკრება და სხვ. მაგრამ ისე მოხდა, რომ ცენტრის მიერ ჩაფიქრებული ეს მექანიზმი გათვალისწინებულ დროზე ადრე, უაღრესად არასახარბიელო სიტუაციაში ამოქმედდა და ეროვნული მოძრაობის ხელმძღვანელობას სერიოზული პრობლემები შეუქმნა.

ეს ცნობები დაფიქსირებულია ი. ჯავახიშვილის 1924 წლის 18 სექტემბრის ჩვენებაში. აქედან ჩანს, რომ ქაქუცა ედპ-ის წევრია, ტყეში გასვლამდე ედპ-ის ცკ-ის წევრის დ. ვაჩნაძის ხელმძღვანელობით მოსამზადებელ მუშაობას ეწეოდა კახეთში. ხელისუფლების მხრივ დევნის გამო იძულებული იყო რამდენიმე თანამოაზრე-თანამებრძოლთან ერთად ტყეში გასულიყო, ხოლო ხელისუფლების წარმომადგენლებთან შემდგომი შეტაკების გამო პარტიზანული მოძრაობა წამოიწყო. „მას შემდეგ, – წერს ი. ჯავახიშვილი, - რაც ჩვენ გავიგეთ, რომ ჩოლოყაშვილმა დაიწყო აგრესიული ქმედება ადგილობრივი ხელისუფლების წინააღმდეგ, ჰქონდა მასთან შეიარაღებული შეტაკებები, მოახდინა კომუნისტთა მკვლელობები, ჩვენ (ე.ი. ცკ-მა) გადავწყვიტეთ გაგვეგზავნა მასთან შალვა ამირეჯიბი, რომელსაც დირექტიულად უნდა შეეთავაზებინა – არ მიეღო არავითარი ქმედება ხელისუფლების მიმართ და მისი მხრივ თავდასხმის შემთხვევაში შემოფარგლულიყო მხოლოდ თავდაცვითი ღონისძიებებით. ამირეჯიბმა შეასრულა თავისი მისია (როგორც ზემოთ ვნახეთ, ეს აზრი ეწინააღმდეგება შ. ამირეჯიბის მონათხრობს – გ.ც.)... მალე ჩვენ

შევიტყვეთ, რომ ჩოლოყაშვილმა მაინც განახორციელა რაღაც თავდასხმა, ამიტომ იძულებული შევიქმენით გაგვეგზავნა მასთან სიმონ ყიფიანი, მუდმივი დაკვირვებისათვის (კონტროლის მიზნით). როდესაც ჩოლოყაშვილი თავისი რაზმით გადავიდა დუშეთის მაზრაში, მას დაუწყეს გაძლიერებული დევნა და იგი იძულებული იყო წასულიყო ხევსურეთში. იცოდა რა, რომ უკან ჯარი მიჰყვება, მან ჯარის წინააღმდეგ მოაწყო გამოსვლა ხევსურეთში. ააჯანყა ხალხი. ცდილობდა აეჯანყებინა კახეთიც, მაგრამ აქ ჩაერია ცკ-ი და წინადადება მისცა ჩოლოყაშვილსა და ადგილობრივ ორგანიზაციას ხელი აეღოთ ამ ამბისაგან" (ნ. კირთაძის დასახელებული წიგნი, გვ. 373-374). ალ. სულხანიშვილი შეფიცულთა რაზმის შესახებ მოგონებებში გვიზუსტებს, რომ ჯერ კიდევ გამოსვლებამდე ქაქუცას შეხვედრები ჰქონია გენერალ კ. აფხაზთან, ქაქუცას საშასთან პარტიზანული მოძრაობის პერსპექტივებზეც უსაუბრია. მათი ათასეულის კახეთში გადაადგილების დროს, ყვარელში დასამალად 15 ყუთი ვაზნაც გადაუტვირთიათ. ქაქუცა დიდ წინასწარ მოსამზადებელ მუშაობას ეწეოდა. საშასთვის დაუვალებია, რომ 1922 წლის მარტისთვის მზად ჰყოლოდა ხალხი, ცხენები, იარაღი.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ალ. სულხანიშვილი აღწერს ქაქუცას ტყეში გაჭრის და პარტიზანული მოძრაობის წამოწყების მიზეზსაც. სიღნაღის მაზრის ერთ სოფელში ქაქუცას შეხლა-შემოხლა მოსვლია. დაუპატიმრებიათ (II. 1922 წ.). ამ დროს სიღნაღის ხელისუფლებას თბილისიდან ბრძანება მოსვლია: თუ სადმე ქაქუცა გამოჩნდეს, დააპატიმრეთ და გადმოაგზავნეთო. ჩეკისტი დათა გომელაური ქაქუცას თანამგრძნობი ყოფილა. ამიტომ მის თანამებრძოლებს შეატყობინა. სატუსაღოს დაეცნენ, ქაქუცა გაანთავისუფლეს და ტყეში გავიდნენ (იხ.: გვ. 11, 15, 17, 21-28.). ამის შემდეგ მისი გამოსვლები, როგორც ჩანს, მართეს მასთან მჭიდროდ დაკავშირებულმა ექსტრემისტმა ეროვნულ-დემოკრატებმა. მაშასადამე, ქაქუცას გამოსვლა „დამკომის" და „სამხედრო ცენტრის" მიერ გათვალისწინებული გეგმით არ მოხდა და ამის მერე, ხელისუფლების დევნის გამო, იგი დუშეთში გადავიდა, მერე ხევსურეთი ააჯანყა. დიახ, ქაქუცა ჩოლოყაშვილმა ააჯანყა. ამას ადასტურებს შ. ფავლენიშვილის მიერ აკუშიდან 8 სექტემბერს გაგზავნილი წერილი, საიდანაც ჩანს, რომ იგი ავჯანყების მიზნით ხევსურებსა და მოხევეებში ეწეოდა მუშაობას; აგრეთვე, მ. ლაშქარაშვილის ჩანაწერიც (იხ. გაზ. „რესპუბლიკა", 1991,

20 აგვისტო) და სხვ. მაგრამ შედიოდა ყოველივე ეს ცენტრის გეგმაში? რა თქმა უნდა არა! იგივეს ადასტურებენ სხვა წყაროებიც, მათ შორის გ. წინამძღვრიშვილის 1923 წლის 25 თებერვლის ჩვენება (იხ.: ნ. კირთაძე, კაენ, სად არის ძმა შენი? გვ. 256).

ამიტომ ანტისაბჭოთა ბრძოლის ცენტრმა სათანადო პრაქტიკული ღონისძიებები გაატარა ამ უაღრესად სახიფათო საყოველთაო გამოსვლის პოტენციის მქონე ამბოხებითი გამოსვლების ნეიტრალიზების და, საერთო-ეროვნულ მოძრაობისადმი დამორჩილების მიზნით.

ნ. კირთაძე წერს, თითქოს საქართველოს განთავისუფლების „მოტივი ომი და სისხლის დაქცევა, მაშასადამე, შეიარაღებული აჯანყება უნდა ყოფილიყო" (გვ. 128). არა და, იმავე გვერდზე მოაქვს 1922 წლის მარტის თათბირზე გ. ფალავას მონაწილეობით და ხელმძღვანელობით მიღებული „დასკვნითი მუხლები", რომლის მე-2 მუხლი ამბობს: „არ უნდა დავუშვათ ცალკე კუთხური სეპარატისტული შეიარაღებული გამოხდომები, რომელთაც კავშირი არ ექნებათ და არ გამომდინარეობენ აჯანყების საერთო გეგმიდან." როგორც ზემოთ გავეცანით, ამ პრინციპს გამოხატავენ იასონ და მიხეილ ჯავახიშვილები თავიანთ ჩვენებებში. იგივეს მეტყველებენ ს. ზალდასტანიშვილის მოგონებები და უამრავი საარქივო დოკუმენტი. ყველა მათგანის ციტირების აუცილებლობას გამორიცხავს კვალიფიციური მკითხველის დაკვირვებულობა. მაგრამ ვინაიდან შ. ამირეჯიბის, მ. ლაშქარაშვილის, დ. ვაჩნაძის, ალ. სულხანიშვილის და სხვათა მოგონებებში გამოთქმული მცდარი აზრების გავლენით ზოგს მართლა ჰგონია, რომ თითქოს ხევსურეთის აჯანყება ნამდვილად იყო შეთანხმებული „დამკომთან", „სამხედრო ცენტრთან", რ. მუსხელიშვილთან და სხვ. აგრეთვე, თითქოს არსებობდა წითელი ჯარის არაგვის ხეობაში შეტყუების და მისთვის ზურგში დარტყმის „რ. მუსხელიშვილის მიერ მომზადებული" ცენტრისეული გეგმა, რომ ვითომ ამისათვის ხევსურეთის ბრძოლებში „ქაქუცას რაზმი" 300 მებრძოლს ითვლიდა. 300-400 მებრძოლისაგან შემდგარი რაზმებიც არსებობდა, მაგრამ თითქოს თავი იჩინა ქართული ხასიათისათვის დამახასიათებელმა მოღალატეობამ, ამდენად, ეს სანიმუშო, გამარჯვების მოტანის შესაძლო გეგმა არ განხორციელდა (ალ. სულხანიშვილი, მოგონებები შეფიცულთა რაზმზე, გვ. 63-64, 67-69).

სინამდვილეში, „ქართული ხასიათიდან მომდინარე მოღალატეობა“ ამ შემთხვევაში არ დასტურდება. ამის დასამტკიცებლად საჭიროა გამაბათილებელი უტყუარი ცნობების მოტანა: ს. ზალდასტანიშვილი წერს: „1922 წლის ზაფხულში ხალხში უკმაყოფილება გაძლიერდა... ქაქუცა კახეთიდან მთიულეთში გადავიდა. ამავე დროს კახეთიდან ჩამოვიდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი გიორგი წინამძღვრიშვილი... მან განაცხადა – ქაქუცას ირგვლივ უკმაყოფილო ხალხი თავს იყრის და შესაძლოა ახლო მომავალში მოქმედებამაც იგრიალოსო. ეროვნულ დემოკრატიული პარტია პრინციპში წინააღმდეგი იყო ნაადრევად გამოსვლისა, მაგრამ თუ გამოსვლები მაინც დაიწყებოდა, პარტია მხარს დაუჭერდა. პარტიამ დაავალა იასონ ჯავახიშვილს ეს დადგენილება გადაეცა „დამკომისათვის“... ამასთან ერთად პარტია სთხოვდა „დამკომს“, რომ მოძრაობას სათავეში „სამხედრო ცენტრი“ ჩასდგომოდა. „დამკომმა“ არ გაიზიარა ნაადრევ გამოსვლებში მონაწილეობის მიღება და „სამხედრო ცენტრსაც“ არ მისცა უფლება ასეთი მოძრაობისათვის ეხელმძღვანელა. ამის გამო ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაში დადგა საკითხი სეპარატისტული გამოსვლებისა... წინააღმდეგი იყო იას. ჯავახიშვილი... საბოლოოდ პარტიამ იას. ჯავახიშვილის შეხედულება გაიზიარა და დაადგინა: მიღებული იქნეს ყველა ზომები, რომ ნაადრევი გამოსვლები არსად არ მოხდეს. ეს დადგენილება პარტიამ ყველა პროვინციებს აცნობა“ (ს. ზალდასტანიშვილი, საქართველოს 1924 წლის ამბოხება, მოგონებები, გვ. 12-13). ნ. კირთაძეს დასახელებულ წიგნში მოჰყავს არა ერთი მსგავსი, უაღრესად საყურადღებო წყარო. მაგალითად, მიხეილ ჯავახიშვილი თავის ერთ-ერთ ჩვენებაში წერს: „შემოდგომის დამდეგს (1922 წ.) შემდგომი ტაქტიკის საკითხი მწვავედ დაისვა. ჩოლოყაშვილი მოითხოვდა, ხელები გამიხსენითო. კომიტეტმა ეს საკითხი უჩემოდ განიხილა და აპირებდა (! – გ.ც.) დათანხმებულიყო ჩოლოყაშვილისათვის მოქმედების თავისუფლების მიცემას. მე მოვითხოვე საკითხის გადასინჯვა და გადავწყვიტეთ ჩოლოყაშვილისათვის გვეცნობებინა, რომ არაფერი წამოეწყო... ანაზდად დუშეთის ამბები დაიწყო. ეს ჩვენთვის (რადიკალებისთვის – გ.ც.) სრულიად მოულოდნელი იყო. მოგვიანებით შევიტყვეთ ვაჩნაძის მიერ თვითნებურად გაცემული ბრძანების ამბავი“ (იხ. ნ. კირთაძის დასახელებული წიგნი, გვ. 334). მ. ჯავახიშვილის, ნ. კირთაძის

მიერ ავტორის „გასაიდუმლოებით“ გამოქვეყნებული, 16 მარტის ჩვენებაში ვკითხულობთ: „დუშეთის სამწუხარო ამბების შემდეგ გადაჭრით მოვითხოვე გაგვერკვია, როგორ ვეკიდებით მათ და რა როლს ვასრულებთ, მაგრამ იასონ ჯავახოვმა პასუხი გამიჭიანურა ისტორიის და ამბების გარკვევამდე, მეუბნებოდა, თვითონაც არ ვიცი რაო. ცოტა ხნის მერე მითხრა, აქ პარტია და ცენტრალური კომიტეტი არაფერ შუაშია...“ (იხ. იქვე, გვ. 243). ს. ზალდასტანიშვილი წერს, რომ ეროვნულ დემოკრატიული პარტიის ცენტრში „დამკომის“ და „სამხედრო ცენტრის“ საწინააღმდეგოდ სეპარატისტულ გამოსვლებს მხარი დაუჭირეს კ. აფხაზმა, დ. ვაჩნაძემ, გ. წინამძღვრიშვილმა და მ. იმხნელმა. ისინი საჭიროდ მიიჩნევდნენ ხალხის სტიქიური გამოსვლების გაფართოებას. „წინააღმდეგი იყო იას. ჯავახიშვილი“ (იხ. დასახელებული პუბლიკაცია, გვ. 13). როგორც ჩანს, ს. ზალდასტანიშვილს მხედველობაში აქვს ის მომენტი, როცა მ. ჯავახიშვილი ცკ-ის სხდომას არ ესწრებოდა. „სექტემბერში ედპ ცკ-ის სხდომაზე“, როდესაც „დ. ვაჩნაძემ გააააკეთა მოხსენება“ ამბოხებული ქ. ჩოლოყაშვილის და ხევსურების მხარდაჭერის შესახებ, წინააღმდეგი გამოვიდნენ: მიხეილ ჯავახიშვილი, გ. წინამძღვრიშვილი, ი. ჯავახიშვილი. აჯანყებას მხარი დაუჭირეს მხოლოდ კ. აფხაზმა და დ. ვაჩნაძემ. მიღებული იქნა გადაწყვეტილება გამოსვლის ლიკვიდაციის თაობაზე (იხ. ნ. კირთაძე, კაენ, სად არის ძმა შენი? გვ. 244). მაშასადამე, აცნობეს დუშეთის და თიანეთის მაზრებსაც. ალ. სულხანიშვილის და ზოგ სხვათა მონათხრობი კი „გაფუჭებული ტელეფონით“ მიღებული ინფორმაცია იყო. ხევსურეთს, წითელი სარდლობის ბრძანების თანახმად, 2 ათასამდე კბილებამდე შეიარაღებულმა ჯარმა შეუტია (სუკის არქივი, №28065, ფ. 44). შ. ამირეჯიბი, ქ. ჩოლოყაშვილის მონათხრობზე დაყრდნობით, წერს: „ბრძოლამ რამდენიმე დღეს გასტანა“ (შ. ამირეჯიბი, წიგნი II, თბ. 1998, გვ. 133). მსხვერპლმა 300კაცამდე მიაღწია გმირ ხევსურთა მხრიდან (სუკის არქივი, №24058, ფ. 55). წითელი ჯარის მსხვერპლი კი რამდენიმე ასეულს აღწევდა (იქვე, ფ.66). მენშევიკები და ეროვნულ-დემოკრატი რადიკალები შეეცადნენ ხევსურეთზე მიტანილი იერიშების შესუსტებას, ქაქუცას გადარჩენას და საზღვარგარეთ გაყვანას, ამ მიზნით ზურგში დარტყმას, მაგრამ მხოლოდ 50 მებრძოლი დარაზმეს და ისიც იმდენად დაგვიანებით, რომ იძულებული გახდნენ, ისინიც უბრძოლველად დაეშალათ (სუკის არქივი, №24060, ფ. 72-73). ხევსურთა

ავკანყება მხოლოდ უბედურების მომტანი გამოდგა (ამ საკითხზე უფრო ვრცლად იხ.: გ. ციციშვილი, რისთვის დახვრიტეს ვაჟა-ფშაველას პირმშო ლევან რაზიკაშვილი, თბ., 2001, გვ. 53-73; დ. გოგოჭური, ი. ლიქოკელი, ხევსურეთის აკკანყება და ქაქუცა ჩოლოყაშვილი, ჟურნ. „პოლიტიკა", 1991, №1, და სხვ).

ამის მიუხედავად, ნ. კირთაძე აბსურდამდე მიდის და წერს ცენტრის გადაწყვეტილებასა და ქ. ჩოლოყაშვილზე, რომელიც თურმე „თავისი ბუნებით და მოწოდებით ასეთი „საოკახო თათბირების" კი არა, ნამდვილი საქმის, ანუ ქვეყნის დასახსნელად იარაღით ხელში ბრძოლის გმირად დაბადებულიყო." აქედან გამოდის, რომ ეროვნული მოძრაობის ცენტრის სხდომები უაზრო „საოკახო თათბირები" ყოფილა, ქაქუცა კი ბრძოლის გმირად იყო დაბადებული, და ამიტომ მისი მოქმედება სწორია. თუ ასეა, მაშინ ეროვნული მოძრაობის ცენტრი ყოფილა აბსურდი. თუ ასე არ არის, მაშინ ქ. ჩოლოყაშვილის მოძრაობა ყოფილა ისეთი ავანტიურა, რომელიც ამავე დროს არ გამორიცხავს მის რაზმელთა პიროვნულ პატრიოტიზმსა და გმირობას. ასეთი, ჩვენი აზრით, მოვლენის სწორი კვალიფიკაცია, ადრე ცუდად გაგვიგო ზოგმა არასპეციალისტმა მწიგნობარმა. არ არის გამორიცხული ჩვენი მსჯელობა კვლავ გამოყენებულ იქნეს სინამდვილის მორიგი დამახინჯების მოდუსად. ამიტომ მკითხველს ვთხოვთ, ყურადღება მიაქციოს იმას, რომ მსგავსი აზრი ირეკლება ანტისაბჭოთა ეროვნული ბრძოლის თვალსაჩინო წარმომადგენელთა ნაწერებსა და სათანადო დოკუმენტებში. დ. ვაჩნაძე თავის „მოგონებათა რვეულში" წერს, რომ იმ დროს, როცა ფავლენიშვილი საექსპედიციო რაზმის ზურგში მოქმედებისათვის ემზადებოდა, „თბილისიდან ჩამოვიდა სამი კაცი და მიმართა რაზმელებს შემდეგი სიტყვებით: „ჩვენ გამოგვაგზავნეს თბილისის პოლიტ. ორგანიზაციებმა, რომ შეგაჩეროთ საშინელი ავანტურისაგან" (იხ. დ. ვაჩნაძე, სამშობლოს სამსახურში, ჟურნ. „ივერია", თბ., 1993, გვ. 214). ისტორიოგრაფიას მსგავსი სხვა მაგალითი მოუპოვა ნ. კირთაძემ. მის წიგნში „კაენ, სად არის ძმა შენი?.." მოყვანილია ცნობილი ანტისაბჭოთა მებრძოლის „მიხეილ გრძელიევის" ჩვენება. აქედან ჩანს, რომ იგი ხევსურეთში გამგზავრებაზე დაუყაბულებიათ გ. ფაღავას და ი. ცინცაძეს. მათ გრძელიევი გამგზავრების წინ შეახვედრეს „დამკომის" თავმჯდომარეს ნ. ქარცივაძეს, რომლისგანაც სათანადო ინსტრუქციები უნდა მიეღო. „ქარცივაძეს შევხვდი, – წერს მ. გრძელიევი და დასძენს, –

სწორედ იმ დღეს ცენტრალურმა კომიტეტმა გამოუშვა **პროკლამაცია, რომელიც ავანტურიზმს გმობდა** (! – გ.ც.) და რომელიც ფაღავასგანაც მივიღე..." (იხ. გვ. 335). ამ ფაქტების შემდეგ მაინც ნუ ვიქნებით რომის პაპზე უფრო კათოლიკე, თავი დავანებოთ უაზრო შენიშვნებს და შევეცადოთ, რომ კარგად გავერკვიოთ ჩვენი ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობის ისტორიის თეთრ ლაქებსა და მტკივნეულ საკითხებში.

ნ. კირთაძე მიიჩნევს, რომ „აგვისტოში ერთპარტიული, ეროვნულ-დემოკრატიული, სამხედრო ცენტრი, მაშინვე ხუთპარტიული დამკომის ერთ-ერთ კომისიად ჩამოყალიბდა და ჩოლოყაშვილიც თავისი რაზმით ამ „კომისიის" უმაღლეს უფლებამოსილებაში მოექცა. მაგრამ ცენტრი მაინც თავისას ცენტრობდა" (გვ. 127), ხოლო „ქაქუცა ჩოლოყაშვილს „დამკომთანაც" და „სამხედრო ცენტრთანაც", თუ „კომისიასთან", ასე თუ ისე, კავშირი ჰქონდა, მაგრამ იგი უმთავრესად მაინც დამოუკიდებლად მოქმედებდა" (გვ. 128). თურმე ეს გაუგებრობა გამოწვეული ყოფილა იმით, რომ „ავჯანყების თაობაზე პარტიებსა... და დამკომში ერთიანი აზრი არ არსებობდა. ავჯანყების დაწყებას მხარს უჭერდა ჯგუფი, რომელსაც სათავეში კოტე აფხაზი და დავით (დათა) ვაჩნაძე ედგნენ, მეორე ჯგუფს უფრო „პაციფისტები", ვარდენ წულუკიძე და მისი წრე წარმოადგენდა. არა და, ავჯანყება უკვე დაწყებულიყო – 1922 წლის აგვისტოში" (გვ. 128). ნ. კირთაძე უდავოდ მართალია. ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაში დ. ვაჩნაძე და კ. აფხაზი ამ დროს, როგორც სათანადო წყაროებით დასტურდება, ექსტრემისტულ პოზიციაზე დგანან. მათი ეს პოზიცია პრინციპულად ეწინააღმდეგება არა მარტო „ვარდენ წულუკიძის, არამედ, საერთოდ, „დამკომის" და „სამხედრო ცენტრის" პოზიციას. მაგრამ ასეთი მოქმედება ხომ თვითნებობა და ანარქიაა?!

ნ. კირთაძე წერს, რომ ბრძანება №1, რომელიც 26 ივლისის თარიღით იყო შედგენილი და საქართველოს განთავისუფლებისათვის გამოსვლის ვადას 27 სექტემბრიდან 15 ოქტომბრამდე ვარაუდობდა, მის გამგზავნელ დ. ვაჩნაძეს შეთანხმებული ჰქონდა კ. აფხაზსა და რ. მუსხელიშვილთან (გვ. 130). სინამდვილეში, იასონ ჯავახიშვილმა ცხადყო, რომ „ბრძანება №1 და წერილი, რომელიც უპოვეს მოკლულ ფავლენიშვილს და შემდგომ ოფიციალურ გაზეთში გამოქვეყნდა, „დაწერილი იყო დათა ვაჩნაძის მიერ ერთპიროვნულად" (ნ.

კირთაძის დასახელებული წიგნი, გვ. 374). ამას ადასტურებს აგრეთვე ვ. წულუკიძის და რ. მუსხელიშვილის ჩვენებები. მ. ლაშქარაშვილის მოგონებების თანახმად, ბრძანება №1 დაადგინეს „ქვედა შტაბის", ანუ დამხმარე შტაბის წევრებმა – ილიკო მახარაძემ, მ. იშხნელმა, დ. ვაჩნაძემ რ. მუსხელიშვილთან ერთად" (იხ. გაზ. „რესპუბლიკა", 1991, 12 თებერვალი). მაშასადამე, ზემოთ აღნიშნულ საკითხზე არსებობს განსხვავებული აზრი. ამასთანავე, როგორც ჩანს, ამ წერილს დუშეთ-ხევსურეთის გამოსვლებისათვის მნიშვნელობა არ ჰქონდა. მაგრამ ის კი ნაღდად ირკვევა, რომ ექსტრემისტი-ავანტიურისტების ერთი ნაწილი, თუნდაც დ. ვაჩნაძის სახით, ანგარიშს არ უწევდა ანტისაბჭოთა ბრძოლის ერთიანი „ცენტრის" და აჯანყების უდროო განხორციელების აზრს. როგორც ჩანს, იყო სხვა დამატებითი მოტივები, რომლებიც ექსტრემისტებს ავანტიურისკენ უბიძგებდა. ასეთი მიზეზი იყო ხელისუფლების მხრიდან დევნა, საზღვარგარეთული ცენტრის მიმართ თავგამოდება, ხელისუფლების მიმართ შურისძიების მისწრაფება, ლოკალური აჯანყების სრულიად საქართველოზე გავრცელების და გამარჯვების რწმენა. გონიერება ასეთ ქმედებებს იმდროინდელ რეალობაში აუცილებლად გამორიცხავდა, მაგრამ ქაქუცას სხვა გზა არ რჩებოდა და იძულებული ხდებოდა ებრძოლა. ამის შემდეგ მაინც საქმე ისე წარიმართა, რომ, მეამბოხეთა გმირული შემართების მიუხედავად, აჯანყება დამარცხდა და მონაწილეთა სასტიკი რეპრესიები გატარდა. ამ ამბავს ნ. კირთაძის წიგნში უშუალოდ მოსდევს ნახევარი წლის მერმინდელი ამბავი: „1923 წლის თებერვალში, ეროვნულ დემოკრატიული პარტიის სტუდენტთა კომიტეტის წევრის, კ. მისაბიშვილის ჯაშუშობის წყალობით, ჩეკამ შეიპყრო აჯანყების დამწყებთა მთავარი ბირთვი" და 19 მაისს 15 კაცი დახვრიტა (გვ. 132).

თითქოს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ მაინც გაუგებარია, ვითომ ცენტრის დასტურით რატომ მოაწყვეს აჯანყება აგვისტოში, თუ ბრძანება მას ითვალისწინებდა სექტემბერ-ოქტომბრის ზღვარზე, და აგრეთვე, რაკი ქ. ჩოლოყაშვილის მომავალი აჯანყებისა და ბრძანება №1-ის შესახებ იცოდნენ „დამკომის"; „სამხედრო ცენტრის" და პოლიტპარტიების თვალსაჩინო წარმომადგენლებმა, განა ეს იმას ნიშნავს, რომ იგი მუსხელიშვილთან შეთანხმებული ყოფილა?! ამას იჩემებს ნ. კირთაძის მიერ ჩამოყალიბებული აჯანყების სტრატეგი-

ული გეგმაც და ქ. ჩოლოყაშვილისადმი მ. ლაშქარაშვილის რაზმის წახმარების შესახებ თხრობაც (იხ. გვ. 130). მაგრამ, ნ. კირთაძის, როგორც მკვლევრის ხარვეზები, გამოწვეულია სათანადო ისტორიის წყაროების წინაალმდეგობრივი ინფორმაციებით და შესაბამისი პროცესების ახსნის უკიდურესი სირთულეებით. ამის შესახებ ქვემოთ გვექნება საგნობრივი საუბარი.

ნ. კირთაძის წიგნში შეტანილი დოკუმენტებიდან ირკვევა „მოღალატე" კ. მისაბიშვილის და მისი თანამგრძნობი მ. ჯავახიშვილის თანამოაზრეობა, მ. ჯავახიშვილის გულისხმიერი დამოკიდებულება კ. მისაბიშვილის მიერ შეთავაზებული „სმენავეხური" მოძრაობის და პარტიის ლეგალიზაციის მიმართ. ამასთანავე, დამატებით ირკვევა მ. ჯავახიშვილის დამოკიდებულება ქ. ჩოლოყაშვილის მიმართ. მაგრამ როგორ ირკვევა? ნ. კირთაძის წიგნში მ. ჯავახიშვილის 16 მარტის ჩვენება, რომელიც „ჩოლოკაეველთა" გამოსვლების ლიკვიდაციას ეხება, ავტორის გვარის მითითების გარეშე ქვეყნდება, მაგრამ მკითხველისათვის მისი ვინაობა, არქივის იმავე ფონდის და მომდევნო ფურცლების მითითების გამო, ისედაც ცხადია. ეს იმას ნიშნავს, რომ ქ. ჩოლოყაშვილის მიერ წამოწყებული აჯანყების დამარცხებისა და აჯანყების დამწყებთა მთავარი ბირთვის მომსპობი „ჯაშუში" კ. მისაბიშვილი მ. ჯავახიშვილის „თანამოაზრეა." ისე გამოდის, როგორც ერთ ანეგდოტშია: გვარს არ დავასახელებ მაგრამ..." ნ. კირთაძის ეს შეცდომა, როგორც ადრეც აღვნიშნეთ,..არ არის შემთხვევითი ლაფსუსი. იგი მოგონებების და ავტორისეული კონცეფციების კონვერგენციის ლოგიკური ანარეკლია. ამ შეცდომებმა კი ხელი შეუწყვეს სხვისი, ჩვენი აზრით, მიზნობრივი „შეცდომების" განვითარებას.

ამის გამო მ. ხომერიკის წიგნში ვკითხულობთ „სენსაციურ" ამბავს იმის შესახებ, რომ „ნესტან კირთაძის წიგნში მხოლოდ ერთი ჩვენებაა გამოქვეყნებული პატიმრის გვარის მითითების გარეშე... იგი „ჩოლოკაეველობის" ლიკვიდაციას შეეხება და განსაკუთრებით მძიმე შთაბეჭდილებას სტოვებს (?! – გ.ც.). ალბათ, სწორედ ეს მომენტი გაითვალისწინა ქალბატონმა ნესტანმა, რომელიც შენიშვნაში წერს: „პოლიტიკური პატიმრის გვარსა და სახელს შეგნებულად არ ვაქვეყნებთ." ამასთან დაკავშირებით მ. ხომერიკი დასძენს „პატიმრის დასახელება არც ჩვენთვის არის ადვილი (რატომ? – გ.ც.), მაგრამ დო-

კუმენტი იმდენად მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის ისტორიისათვის (? – გ.ც.), რომ ქართველ ხალხს (?! – გ.ც.) სრული უფლება აქვს იცნობდეს მას. ამდენად, დიდი გულისტკივილით (? – გ.ც.) გთავაზობთ მიხეილ საბას ძე ჯავახიშვილის (! – გ.ც.) 1923 წლის 16 მარტის ჩვენებას..." (გვ. 20). მ. ხომერიკს კომენტარების გარეშე მოჰყავს მ. ჯავახიშვილის ამ ვითომ ჩვენი ქვეყნისათვის მართლა ეროვნული მნიშვნელობის და ვითომ მართლა „სენსაციური" დატვირთვის მქონე, ახლა უკვე ავტორის მითითებით ციტირებული 16 მარტის ჩვენების სრული ტექსტი. მას ეჩვენება, რომ თითქოს ეს ჩვენება მართლა არის „შემზარავი" (გვ. 20–24). არა და, ამ ჩვენებაში საჩოთიროც არაფერია, და თუ კარგად, ცოდნით გავშიფრავთ, დავრწმუნდებით, რომ ამჟღავნებს მ. ჯავახიშვილის, როგორც წინდახედული პოლიტიკოსის, გონიერებას. ამის საილუსტრაციოდ აუცილებელად გვესახება აღნიშნული ტექსტის უკლებლივ მოტანა და მისი კონკრეტული მაგალითებით გააზრება.

„ერთ-ერთი პოლიტიკური პატიმრის 1923 წლის 16 მარტის ჩვენება ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის კოლეგიის თავმჯდომარეს

მშვიდობიანი საშუალებებით „ჩოლოკაეველობის" ლიკვიდაციის თაობაზე ჩემი ბარათის განმარტებისა და შევსების მიზნით მოგახსენებთ შემდეგს:

შარშან, მგონი მაისში, „ჩოლოკაეველობის" მშვიდობიანად ლიკვიდაციის მიზნით საქართველოს რევკომმა და საქართველოს საგანგებო კომისიამ მოქალაქეთა ერთ ჯგუფს შესთავაზეს დაეწყოთ მოლაპარაკება ჩოლოკაევთან. ჩემთვის უცნობ სხვა პიროვნებათა შორის ასახელებდნენ ოფიცერ ხიმშიევს, ჩოლოკაევის ყოფილ თანამოსამსახურეს. გამიგონია აგრეთვე, რომ ეს ერთობ ჯანსაღი იდეა შემდეგ რატომღაც მიივიწყეს. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ეს ნაბიჯი ყოვლად სასიკეთო შედეგს გამოიღებდა და თავიდან ავიცილებდით დუშეთის სამწეხარო და ბევრ სხვა ამბებს, დაკავშირებულთ ჩოლოკაევის სახელთან და „ჩოლოკაეველობის" იდეასთან,

მაგრამ სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს. საბჭოთა ხელისუფლება ერთობ ბრძნულ ნაბიჯს გადადგამს, რომელზეც შარშან უნდოდა შედგომა.

„ჩოლოკაეველობის“ ლიკვიდაცია კონკრეტულად ასე წარმომიდგენია: მე ვკისრულობ გაბედულ და მძიმე ამოცანას შემოვიკრიბო ის ძალები და ის პიროვნებები, რომელთაც ჩოლოკაევზე გავლენა აქვთ და რომელნიც ან იმთავითვე უარყოფითად ეკიდებოდნენ „ჩოლოკაეველობას“ ან რომელთაც შემდგომ გაუტყდათ გული.

ასეთი ძალებია სამხედრო წრეები, უფრო სწორად, იმ სამხედროთა ჯგუფი, რომლებსაც ჩოლოკაევთან ნათესაობა და მეგობრობა აკავშირებთ, და ეროვნულ დემოკრატთა ის ჯგუფი, რომელსაც „ჩოლოკაეველობა“ მავნე და სახიფათო მოვლენად მიაჩნია. უეჭველია, ამ იდეას წინააღმდეგობას გაუწევენ საერთო მოსახლეობის სხვადასხვა ფენის ხალხი, და, კერძოდ, საქართველოში მოქმედ პარტიათა საომრად განწყობილი ნაწილები. მაგრამ პირველნი უოუოდ ჩვენს მხარეს იქნებიან. მე მგონია, თუ რა თქმა უნდა, შესაძლებლობას მომცემენ დავიწყო მოლაპარაკება ეროვნულ დემოკრატთა ცენტრალური კომიტეტის წევრებთან ცალ-ცალკე, სასურველ გადაწყვეტილებას წერილობითი ფორმით მივიღებ. გარდა ამისა, საჭიროა წინასწარ გვქონდეს გავლენიან ოფიცერთა კოლექტიური წერილი ჩოლოკაევის სახელზე სათანადო შინაარსისა. ეს საბუთები რომ გვექნება, ანუ ეროვნულ დემოკრატთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება, სამხედროთა კოლექტიური წერილი და უპარტიო გავლენიან პირთა კერძო წერილები (უკანასკნელი სავალდებულო არც არის), ჩვენ, 3-4 კაცი წავალთ კახეთში, ვიპოვით ჩოლოკაევის გზას და მტკიცედ მწამს, რომ დავარწმუნებთ მას დაყაროს იარაღი.

თავისთავად იგულისხმება, რომ ლიკვიდაცია მოხდება გარკვეული პირობებით, რომლებზეც მხოლოდ მას შემდეგ შეიძლება ლაპარაკი, რაც მიღწეული იქნება ორივე მხარის პრინციპული თანხმობა საქმის მშვიდობიანად დამთავრებაზე.

უკანასკნელ შემთხვევაში – იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლთა მხრივ თანხმობა იქნა – პირადად მოგახსენებთ ჩემგან შემოთავაზე-

ბული გეგმის ყველა წვრილმანს, ახლა კი თავს ნებას მივცემ თქვენი ყურადღება მიეაპყრო ორ ფრიად მნიშვნელოვან გარემოებას.

1) საჭიროა ვიჩქაროთ ამ საკითხის გადაწყვეტა, თორემ გაზაფხული მოდის – ის ჩვეულებრივი დრო, როცა ყველა მოუსვენარი ელემენტი ტყეს მისცემს თავს ან მთებს მიაშურებს. ზომები ახლავე უნდა მივიღოთ, რომ თავიდან ავიცილოთ გაზაფხულისათვის მოსალოდნელი „ჩოლოკაეველობის“ გაფართოება.

2) ჩემი შემოთავაზებული იდეა და გეგმა უაღრესად საიდუმლოდ უნდა დავიცვათ, რაოა მოწინააღმდეგის ბანაკს დრო და საშუალება არ მივცეთ მიიღოს კონტრზომები და ჩოლოკაევსა და სხვებზე უკუმიმართულებით მოახდინოს გავლენა.

ვთხოვ კოლეგიის თავმჯდომარეს, გამომიძახოს ამ საკითხზე, რათა პირადად მივცე განმარტება და შევიმუშაოთ გეგმის წვრილმანები, თუ, რა თქმა უნდა, ჩემი იდეა პრინციპულად მიღებული იქნება.

გაძლევთ დამატებით ჩვენებას და განვმარტავ

იასონ ჯავახოვმა, როცა უკანასკნელად და შემთხვევით შემხვდა ქუჩაში, გაკვრით მითხრა „პარიტეტულ კომიტეტში ავიღე 300 (თუ 400) ლირა. მინდა ჩოლოკაევს გავუგზავნოო“. შესაძლო შეცდომის თავიდან ასაცილებლად განვმარტავ: I. 1) ეს თანხა პარიტეტულ კომიტეტს შეეძლო გაეღო ჩოლოკაევისათვის. 2) იასონ ჯავახოვს ეს თანხა შეეძლო მიეღო სესხად, ოღონდ პარიტეტულ კომიტეტს აცნობა ვისთვის და რისთვის არის განკუთვნილი; 3) შეასრულა თუ არა ჯავახოვმა თავისი განაზრახი, არ ვიცი, რადგან ამის შემდეგ მას არ შეეხვედრივარ.

II. ეროვნულ დემოკრატთა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ჩოლოკაევის ურთიერთდამოკიდებულება, ჩემი შთაბეჭდილებით, ერთობ გაურკვეველი იყო. ერთი მხრივ, ნათლად შეიმჩნეოდა ამ მოვლენისადმი უარყოფითი დამოკიდებულება და ამ საკითხისათვის ბოლოს მოღების სურვილი. მეორე მხრივ კი ვგრძნობდი ცალკეულ პირთა და ჯგუფთა ფარულ მუშაობას საპირისპირო მიმართულებით. ჩოლოკაევთან ამირეჯიბისა და ყიფიანის გაგზავნა პოსტ-ფაქტუმ შეეიტყვე, ამასთან ამიხსნეს, ამათ იმ მიზნით ვგზავნით, რომ ჩოლოკაევი შეაკავონ საერთო

აქტიური მოქმედებისაგან და კერძოდ „ექსებისაგანო“. პარტიის ლიდერების კედიას და ასათიანის როლი და გავლენა საერთოდ „ჩოლოკაევლობის“ საქმეში თითქმის გადამწყვეტი იყო. ციხიდან ისინი თითქმის ყოველდღიურად უკავშირდებოდნენ და დირექტივებს აძლევდნენ იასონ ჯავახოვს. მაგონდება, რომ კახეთს გაგზავნილ ამერიჯიბს დაავალეს, დაიყოლიე ჩოლოკაევი თვითლიკვიდაციის სანაცვლოდ მთავრობას მოსთხოვოს (თუ მასთან ჩავიდოდნენ ხიმშიევი და სხვები) პოლიტპატიმართა განთავისუფლებაო. მე მგონია, ცალკეული პირები და ჯგუფი მხარს უჭერდნენ „ჩოლოკაევლობას“, როგორც იარაღს, შესაძლო მოდუსზე მთავრობასთან მოლაპარაკებაში. დუშეთის სამწუხარო ამბების შემდეგ გადაჭრით მოვითხოვე გაგვერკვია, როგორ ვეკიდებით მათ და რა როლს ვასრულებთ, მაგრამ იასონ ჯავახოვმა პასუხი გამიჭიანურა ისტორიის და ამბების გარკვევამდე, მეუბნებოდა, თვითონაც არა ვიცი რაო. ცოტა ხნის მერე მითხრა, აქ პარტია და ცენტრალური კომიტეტი არაფერ შუაშია, ეს ამბები ყველასაოვის მოულოდნელი იყო და ყველაფერში ბრალი მიუძღვის დ. ვაჩნაძეს, რომელიც ამის მერე ცენტრალური კომიტეტიდან გარიცხესო. შემდეგ დასძინა, ჩოლოკაევს ფიქრადაც არ მოსვლია თავში აქტიური გამოსვლები, მაგრამ იძულებული გახდა თავი დაეცვა, რადგან ჯარი მას კვალში ჩაუდგა და თავს დაესხაო. ეს იყო ჩვენი უკანასკნელი საუბარი ჩოლოკაევზე. მითხრეს, თითქოს სადღაც ვიღაცას მოლაპარაკება გაუმართავს ჩოლოკაევის ბანდის ლიკვიდაციის თაობაზე, ბანდისა, რომელიც მალე დაიშლებაო.

III. პირადად ჩემზე, ვიმეორებ: ერთობ დაკავებული ვიყავი და აქტიურად ვერ ვიმუშავებდი. ზოგჯერ მთელი კვირა გავიდოდა ისე, რომ ცენტრალური კომიტეტის არცერთი წევრი არ შემხვდებოდა და, ბუნებრივია, ამბავი არ ვიცოდი. ცენტრალური კომიტეტის წევრები გრძნობდნენ და მამჩნევდნენ, რომ მწადდა სულ ჩამოვშორებოდი პოლიტიკას, რომ ბოლო დროს აღარ ვფარავდი ფრიად სკეპტიკურ დამოკიდებულებას დასავლეთიდან მოსალოდნელი ამბებისადმი და რომ ჩემი შეხედულება საბჭოთა ხელისუფლებაზე, დამოკიდებულება მისადმი აშკარად შეიცვალა. ამიტომ მერიდებოდნენ.

რაც ვიცოდი, ყველაფერი ვთქვი“ (არქ. 23, ფურც. 58-59).

როგორც ვხედავთ, ეს დოკუმენტი სრულ ჰარმონიაშია „პარიტეტული კომიტეტის“, „სამხედრო ცენტრის“, ზომიერი ეროვნულ-დემოკრატების და სხვა არაექსტრემისტული ლიდერების შეხედულებებთან. ამ ჩვენს აზრს დამატებით ადასტურებს სუკის არქივის დოკუმენტების ციტატები, მათ შორის, ჯერ ერთი – ნ. კირთაძის მიერ გამოვლენილი და გამოქვეყნებული, ხოლო მეორე მხრივ ჩვენს მიერ გამოვლენილი და აქ მიზნობრივად მოხმობილი. ასე მაგალითად:

ნ. კირთაძის წიგნში შეტანილი დოკუმენტების მიხედვით:

1. ამონარიდი „დამოუკიდებლობის კომიტეტის“ თავმჯდომარის **ნიკოლოზ ქარცივაძის** 1923 წლის 17 მარტის ჩვენებიდან: „ხევსურეთის აჯანყებისა და იმასთან დაკავშირებით, რომ ყველა წრეში, მეტადრე **ახალგაზრდა ოფიცერთა ამაღლებული განწყობილება** სუფევდა, სექტემბრის დამდეგს ინტერპარტიული კომიტეტის დავალებით სამხედროების თათბირი მოვიწვიე... მე თათბირს მოვახსენე ინფორმაცია ხევსურეთის ამბებზე, მასების განწყობილებაზე... საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობაზე... საქართველოში ისეთი მდგომარეობა იქმნება, როცა შესაძლებელია საყოველთაო აფეთქება. ვამბობდი ამ აფეთქებამ შესაძლოა ქართველი ხალხი დაღუპოს და ეს ყველაფერი ისეთ საერთაშორისო ვითარებაში ხდება, რომ საზღვარგარეთ ჩვენზე ხმასაც არავინ ამოიღებს მეთქი... გადავწყვიტეთ ჩოლოკაევის მოძრაობა ავანტურად ჩაგვეთვალა.“ (ნ. კირთაძის დასახელებული წიგნი, გვ. 202).

2. ამონარიდი **კონსტანტინე აფხაზის** 1923 წლის 5 მარტის ჩვენებიდან: „კრება ქარცივაძემ გახსნა... ქარცივაძემ გვითხრა... ჩამოსულია არტილერისტი ოფიცერი საგანგებო დავალებით, რაზეც თვითონ მოახსენებს კრებასო. ამის მერე გამოიძახეს ეს ოფიცერი, რომელმაც კრებას მოახსენა, ბატარეამ ჩოლოკაევის სახელით ბრძანება მიიღო, რომ მზად იყოსო. ოფიცრობამ იმსჯელა და დაადგინა, მივევლინებინეთ ცენტრში მე ამ საკითხზე განკარგულების მისაღებადო. მომხსენებელი ითხოვდა დაუყოვნებლივ მიგვეცა პასუხი... გადაწყვეტილება დაახლოებით ასეთი იყო: კომიტეტი კატეგორიულად ბრძანებს, რომ გამოსვლები არავითარ შემთხვევაში არ წამოიწყონ“ (ნ. კირთაძე, დასახელებული წიგნი, გვ. 262-263).

3. ამონარიდი **ივანე ივანეს ძე ნარიკელაძის** 1923 წლის 7 მარტის ჩვენებიდან: „მეორე სხდომაც ჩემს ბინაში გავმართეთ 1922 წლის შემოდგომაზე, აგვისტოს აქეთ. სხდომას ესწრებოდნენ პარი-

ტეტული კომიტეტის თავმჯდომარე ქარცივაძე (მენშევიკი), ა. ჯავახიშვილი (უნდა იყოს იასონ ჯავახიშვილი – გ.ც.)... ვ. წულუკიძე, ა. ანდრონიკოვი და აფხაზი... ოთახში მაშინ შევედი, როცა „სამხედრო ცენტრისათვის“ მოხსენების გასაკეთებლად მოვიდა დივიზიონის თუ ბატარეის მეთაური ჩრდილელი. მოხსენებას ვესწრებოდი. მოხსენების შინაარსი დაახლოებით ასეთია: ჩოლოკაევმა მუხრანში (სადაც მაშინ ბატარეები იყო განლაგებული) გამოგზავნა თავისი კაცი, რათა ნებაყოფლობით შეერთებოდნენ მას, როცა ამას შეატყობინებდა (ვგონებ ალავერდობას – რელიგიური დღეობაა თელავის მახლობლად). თუ არტილერია ნებაყოფლობით არ შეუერთდებოდა, მაშინ ის ძალით აიძულებდა შეერთებას. დასასრულ, ჩრდილელმა ითხოვა ეცნობებინათ მისთვის შესასრულებლად „ცენტრის“ გადაწყვეტილება. ერთხმად გადაწყვიტეს, რომ ბატარეებმა ჩოლოკაევს უარი უნდა უთხრან ყოველგვარ მოლაპარაკებაზე. ხოლო თუ ჩოლოკაევი შეეცდება ძალით ხელთ იგდოს ბატარეები, შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიონ მას. ეს დადგენილება გავაცნოთ ჩოლოკაევის გამოგზავნილ ხალხს... შემდეგ, პირველი შეხვედრის დროს ვ. წულუკიძემ დაახლოებით გადმომცა, თუ რას ლაპარაკობდნენ სხდომაზე და რა გადაწყვეტილებები მიიღეს. მან მითხრა, რომ პოლიტიკურ დაჯგუფებათა წარმომადგენლებთან ერთად (ანუ „დამკომთან“ ერთად – გ.ც.) „სამხედრო ცენტრმა“ განიხილა საკითხი, გამოვიდეთ თუ არა იარაღით ხელში და თუ არ უნდა გამოვიდეთ, რით უნდა გამოიხატოს „სამხედრო ცენტრის“ მუშაობა. დაადგინეს ებრძოლათ ადგილებზე ბანდიტიზმის (პარტიზანშჩინის – გ.ც.) წინააღმდეგ და ა.შ.“ (ნ. კირთაძე, დასახელებული წიგნი, გვ. 263).

4. ამონარიდი **ალექსანდრე ანდრონიკაშვილის** 1923 წლის 7 მარტის ჩვენებიდან: „შემდეგ ლაპარაკი შეეხო მიმდინარე მომენტს – ჩოლოკაევის გამოსვლებს ხევსურეთში. მე ჩემი აზრი გამოვთქვი ამ გამოსვლაზე, ვთქვი, რომ იგი ყოვლად დაუშვებელია, რადგან რუსეთს მისი ჩახშობის ისეთი საშუალებები აქვს, რომ მის მხარდაჭერაზე ფიქრიც კი არ შეიძლება. იქნება მხოლოდ ამაო მსხვერპლი, მოსახლეობის ძალთა გაჩანაგება. სხვა რაიონების ფეხზე დაყენებაც ბოროტი მოქმედება იქნება. თუ შესაძლებელია დაუკავშირდეთ ჩოლოკაევს და შევაწყვეტინოთ გამოსვლა. წულუკიძემ და აფხაზმაც ასეთი აზრი გამოსთქვეს...“ (ნ. კირთაძის დასახელებული წიგნი, გვ. 268).

5. ამონარიდი **მ. ჯავახიშვილის** 1923 წლის 29 მარტის ჩვენებიდან: „... ეროვნულ დემოკრატთა პარტიის ცენტრალურ კომიტეტში აყენებდნენ ჩოლოკაევის ბანდის ლიკვიდაციის საკითხს, განზრახული ჰქონდათ სხვა პარტიებსა და გავლენიან პირებთან ერთად დაეყოლიებინათ ჩოლოკაევი გადასულიყო სპარსეთში ან თურქეთში, უკიდურეს შემთხვევაში – დაღესტანში. ვიღაცამ, არ მახსოვს ვინ (?! – გ.ც.), თქვა, ჩოლოკაევი მარტო არ წავა, აუცილებლად მოინდომებს ბევრი თავისი ამხანაგის წაყვანას, რასაც უზარმაზარი თანხა დასჭირდება და ამოდენა ფულის მიცემას ვინ შეძლებსო. ჩოლოკაევზე ლაპარაკი ამით დამთავრდა.

იასონ ჯავახოვის იმ სურვილზე, რომ ფული ჩოლოკაევისათვის გაეგზავნა, შემდეგს ვვარაუდობ: შესაძლოა, რომ იმათ, ვისაც კავშირი ჰქონდა ჩოლოკაევთან, გადაწყვიტეს მიეცათ მისთვის გამგზავრების შესაძლებლობა, რისთვისაც განკუთვნილი იყო ფული, რომელიც იასონ ჯავახოვს ჰქონდა. ეს მით უფრო შესაძლებელია, რომ იასონ ჯავახოვი პოლიტბანდიტიზმის წინააღმდეგი იყო და ეძებდა გზას და სახსარს ჩოლოკაევის სახიფათო წამოწყების ბოლოს მოსაღებად" (ნ. კირთაძის დასახელებული წიგნი, გვ. 248).

6. ამონარიდი **ი. ჯავახიშვილის 1924 წლის** 18 სექტემბრის ჩვენებიდან: „...**1923 წლის დეკემბერში** ვისარგებლეთ იმით, რომ ჩოლოყაშვილი იმყოფებოდა ტფილისთან ახლოს, გარე კახეთში. ჩვენ გამოვიძახეთ იგი ქალაქში. იგი ჩამოვიდა რაზმის ორ წევრთან ერთად. შეხვედრა მასთან მოხდა წინამძღვროვის ერთ-ერთ კონსპირატიულ ბინაზე... **ესწრებოდნენ ამირეჯიბი, წინამძღვრიშვილი, მე და სოლომონ ზალდასტანიშვილი.** ჩვენთან საუბარში ჩოლოყაშვილი მოითხოვდა გამოსვლის დაჩქარებას. მან განაცხადა, რომ აქვს წარმატების იმედი კახეთში, სადაც თითქოსდა ნიადაგი უკვე შეამზადა და გვარწმუნებდა, რომ მხარს დაგვიჭერდა ჩეჩნეთი. ჩვენ ვუპასუხეთ, რომ ვამზადებთ გამოსვლას (1924წ. – გ.ც.) თებერვლისათვის და **ვურჩიეთ მომზადებულიყო საზღვარგარეთ გასამგზავრებლად თუ გამოსვლას ვერ შევძლებდით"** (ნ. კირთაძის დასახელებული წიგნი, გვ. 374. ხაზგასმა ჩვენია – გ.ც.).

7. ამონარიდი **კონსტანტინე აფხაზის** 1923 წლის 12 მაისის ჩვენებიდან: „... ადგილობრივ გამოსვლებს მე ვხსნი, არა საერთოდ ცენტრიდან პარტიათა ზემოქმედებით, არამედ მასების განწყობილების ფსიქოლოგიური მდგომარეობით... მოძრაობას არ აჰყოლია ხე-

ლმძღვანელები. თავს დამნაშავედ ვცნობ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობის მიღებაში, მაგრამ ეს თანამდებობა მივიღე ერთად-ერთი მიზნით... რომ ზემოქმედება მომეხდინა და არ ყოფილიყო არავითარი გამოსვლა." კ. ადხაზი უჩვენებს, რომ პარტიულმა კომიტეტმა 1922 წლის ოქტომბერ-ნოემბერში გამოგვიგზავნა შეკითხვაზე პასუხი, რომელიც მოსახლეობაზე ზემოქმედებაზე უარს ამბობდა (ნ. კირთაძე, დასახელებული წიგნი, გვ. 276). დაუთარიღებელი ჩვენებიდან: „დაახლოებით დეკემბერში კომიტეტის კრებამ განიხილა გამოსვლებისათვის მასის მზადყოფნის და იმის საკითხი, საჭიროა თუ არა აქტიური გამოსვლები. ამ საკითხში კრება ორად გაიყო: ერთმა ნაწილმა უარყო გამოსვლის შესაძლებლობა, მეორემ დაიჩემა. პირველში, ე.ი. აქტიური გამოსვლის უარმყოფელთა ჯგუფში იყვნენ იასონ და მიხეილ ჯავახოვები, წინამძღვროვი, დანარჩენები არ მახსენდება. მეორე ჯგუფს ვეკუთვნი მე. ვინ მიჭერდა მხარს ახლა არ მახსენდება. ხმის უმრავლესობით გამოსვლა უარვყავით" (ნ. კირთაძის დასახელებული წიგნი, გვ. 265-266).

8. ამონარიდი ს. ბაგრატიონ-მუხრანსკის 1923 წლის 4 აპრილის ჩვენებიდან: „ავთანდილმა (გ. ფაღავა – გ.ც.) მკითხა ხომ არ შეგიძლია საზღვარგარეთ გაიყვანო ჩოლოკაევიო. თანხმობა ვუთხარი. ლაშქარაშვილს კავშირი ქონდა ფავლენიშვილის ბანდასთან." „ავთანდილმა" წინადადება მომცა შეარჩიე ხალხისაგან ჯგუფი, წადი იპოვე ქაქუცა ჩოლოკაევი და კონსტანტინოპოლს გაიყვანეო". „ვიპოვეთ ლაშქარაშვილი და გავიგეთ რა დღეში იყო ქ. ჩოლოკაევი, გადავწყვიტეთ, რომ მისი გაყვანა არაფრით არ შეგვიძლია და უკანვე დავბრუნდით თბილისს, სადაც გამოვცხადდით საქართველოს საგანგებო კომისიის თავმჯდომარის მოადგილესთან ამხ. ოკუჯავასთან და ამინისტია მივიღეთ" (იხ. იქვე, გვ. 252, 254).

9. ამონარიდი ს. ბაგრატიონ-მუხრანსკის 1923 წლის 10 აპრილის დამატებითი ჩვენებიდან: „დავსძენ, რომ როცა საზღვარგარეთ ჩოლოკაევის გაგზავნის ამოცანას მაძლევდა, გ. ფაღავამ მიმანიშნა ლაშქარაშვილთან დაკავშირების საშუალება – ჩახვალ სოფელში ხანდაკის მახლობლად... სადაც ლაშქარაშვილს შეხვდები და ის გასწავლის, როგორ გაიყვანო ჩოლოკაევიო" (ნ. კირთაძის დასახელებული წიგნი, გვ. 256).

ამ წყაროების მცოდნეს როგორ შეეძლო მ. ჯავახიშვილის 16

მარტის ჩვენების იმდენად საჩოთიროდ მიჩნევა, რომ იგი საგანგებოდ, მყვირალა შენიშვნით და ისიც ყასიდად გაესაიდუმლოებინა? ამ კითხვაზე პასუხი მკითხველისათვის მიგვინდვია.

ახლა მოვუხმოთ ჩვენს მიერ გამოვლენილ წყაროებს, რომლებიც დამატებით ადასტურებენ, რომ ქ. ჩოლოყაშვილის და მისი მეამბოხეთა რაზმის უდროო გამოსვლები ანტისაბჭოთა ეროვნული ბრძოლის მოცემულ ეტაპზე, ანუ „სამხედრო ცენტრის“ დაპატიმრებამდე არ შეესაბამებოდა საერთო სიტუაციას, აგრეთვე „პარიტეტული კომიტეტის“, „სამხედრო ცენტრის“, მენშევიკების არალეგალური ცკ-ის ინტერესებს, და რომ ქ. ჩოლოყაშვილის ამბოხებითი ხასიათის გამოსვლების თავიდან აცილების საკითხში აღინიშნებოდა, ერთი მხრივ, მათი, ხოლო, მეორე მხრივ, „ნაციონალ უკლონისტური“ ხელისუფლების ინტერესთა თანხვედრა. ამით საგნობრივად მტკიცდება, რომ მ. ჯავახიშვილის 16 მარტის ჩვენება უაღრესად გონიერი ნააზრევია და ამიტომ საჭირო იყო არა მისი ავტორის ყასიდი გასაიდუმლოება, არამედ შექება.

1. ამონარიდი **ვ. წულუკიძის** 1923 წლის 4 მარტის ჩვენებიდან: „აჯანყების საკითხი განხილული იქნა სამხედრო ცენტრში. ყველა ერთი აზრის იყო. აჯანყება მარტო საქართველოში განწირულია და უაზრო. აზრი ქონდა მთელ კავკასიაში ერთდროულ გამოსვლას, რუსეთში შინაგანი პირობების ან რუსეთთან ომის დროს. მომენტი უნდა განესაზღვრა პარიტეტულ კომიტეტს **სამხედრო ცენტრთან წინასწარი შეთანხმებით** (! – გ.ც.). ნაკლები იმედი გვქონდა ხელსაყრელი პირობების შექმნისა.

ცალკე ბანდიტური გამოსვლების წინააღმდეგი იყვნენ (! – გ.ც.). ამის შესახებ მე გადავეცი პარიტეტულ კომიტეტს, მიპასუხეს კომიტეტი ასეთ მოქმედებას არ იწონებსო. და მიღებულ იქნა ზომები მისი ლიკვიდაციისათვის“ (სუკის არქივი, №28082, ფ. 64).

2. ამონარიდი **ი. ნარიკელაძის** 1923 წლის 3 მარტის ჩვენებიდან: „პირველი სხდომა („სამხედრო ცენტრისა“ – გ.ც.) ჩემს სახლში მგონი თებერვლის (1922 წ. – გ.ც.) პირველ რიცხვებში ჩატარდა. ესწრებოდნენ ვ. წულუკიძე, ალ. ანდრონიკაშვილი, „ავთანდილი“ (გ. ფალავა), და მე და მუსხელოვი. სხდომის ბოლოს მოვიდა გოგი ხიმშიევი. სხდომა როგორც მახსოვს წულუკიძის ინიციატივით შედგა ბანდიტობის მიდრეკილების დაწყებასთან დაკავშირებით პოლიტიკური პარტიების პოზიციის გარკვევის მიზნით. არ ვიცი რა მიზეზით, სხვა პარტიების

წარმომადგენლები სხდომას არ ესწრებოდნენ. სხდომა დაიწყო ავთანდილის ინფორმაციით მიმდინარე მომენტის შესახებ... უნდა გაგვერკვია, რა პოზიცია უნდა დაიკავოს ცენტრმა ამჟამად. განხილვის მერე ყველა ერთ დასკვნამდე მივიდა – აუცილებელია მთელი ჩვენი ძალა და დარწმუნების გავლენა გამოგვეყენებინა, რათა შეჩერდეს ბანდიტიზმის მისწრაფება და სხვ." აქვე ნათქვამია მათდამი სამხედრო წინააღმდეგობის ორგანიზების საჭიროებაზე „იგივე აზრი მენშევიკების ცეკის სახით სთქვა „ავთანდილმა" (სუკის არქივი, №24058, ფ. 32).

3. ამონარიდი ი. **ნარიკელაძის** 1923 წლის 6 მარტის ჩვენებიდან: „ცენტრის პირველ სხდომაზე... ეს იყო არც თუ დიდი ხნით ადრე ჩელოკაევის გამოსვლამდე, იხილებოდა საკითხი ბანდების ორგანიზაციის შესახებ და მივედით უარყოფით დასკვნამდე. ესწრებოდნენ წულუკიძე, მუსხელოვი, ავთანდილი და შემდეგ მოვიდა გოგი ხიმშიევი" (იხ. სუკის არქივი, №28139).

გოგი ხიმშიაშვილი დააპატიმრეს 1922 წლის მაისში, მაშინ როცა „ემზადებოდა წასულიყო ჩოლოყაშვილის დასამშვიდებლად". მაშასადამე, ეს ამბავი გვამცნობს „სამხედრო ცენტრის" ჯერ კიდევ იმდროინდელ თვალსაზრისს, ვიდრე ქ. ჩოლოყაშვილის გამოსვლები მოხდებოდა (იხ. „საქმე საქართველოს ანტისაბჭოთა პარტიების პარიტეტული კომიტეტის შესახებ (საბრალმდებლო დასკვნა). იუსტიციის სახალხო კომისარიატის გამოცემა", ტფ. 1925, გვ. 17).

4. **ალექსანდრე სულხანიშვილის** მოგონებების მიხედვით, ჯერ კიდევ 1921 წელს მისი ათასეულის უფროსმა გოგი ხიმშიაშვილმა უარი უთხრა შვებულებისა და კახეთში გამგზავრების თხოვნის გამო. მას ა. სულხანიშვილისათვის ასე მიუმართავს: „მე ვიცი, რისთვისაც მიდიხარო." ამას გარდა, კახეთში დაბანაკებულ გენერალ ფრიდონ წულუკიძის ათასეულში სამსახურებრივი დავალებით ჩასულმა გ. ხიმშიაშვილმა იმჟამად იქ სამსახურში მყოფ ალექსანდრე სულხანიშვილს განუცხადა როგორც მეგობარს და სთხოვა ქაქუცასათვის გადაეცა: „გული მიგრძნობს, რომ რაღაცისათვის ემზადებით, გთხოვ ქაქუცასაც უთხრა, რომ ჯერ-ჯერობით არაფერი მოახდინოთ. ყველა თქვენ მდგომარეობაში ვართ, მაგრამ ჯერ-ჯერობით კი არაფრის დრო არ არის. ამისათვის განსაკუთრებული მომზადებაა საჭირო..." (ა. სულხანიშვილი, მოგონებები შეფიცულთა რაზმზე, თბ., 1981, გვ. 21). ე.ი. გ. ხიმშიაშვილმა ქაქუცას თანამოაზრეთა აზრი მიაწოდა.

5. ამონარიდი მუხრანის ბატარეის უფროსის **ჩრდილელის** 1923 წლის 10 მარტის ჩვენებიდან: „... მე მას ქუჩაში შევხვდი. ყოველთვის იგი მოდიოდა ჩემთან. 1922 წლის სექტემბერში მუხრანიდან თბილისში ჩამოსვლის დროს გოლოვინის პროსპექტზე ჩემთან მოვიდა ჯავახიშვილი (მიხეილი – გ.ც.) და მკითხა „რა არის ახალი... მე ჯავახიშვილს ვუთხარი ბატარეიაზე ჩოლოყაშვილის თავდასხმის შესაძლებლობის გამო მინდა აზრი ვკითხო ვარდენ წულუკიძეს ან ანდრონიკოვს (ალექსანდრეს – გ.ც.)... ჯავახიშვილმა პაემანის გამო ჩემს თხოვნასთან დაკავშირებით მთხოვა 7-8 საათზე მივსულიყავი ღუნიბის ქუჩაზე. ღუნიბის ქუჩაზე მე შევხვდი ნარიკელაძეს, რომელმაც მიმიყვანა თავის ბინაზე, სადაც ტარდებოდა სამხედრო ცენტრის სხდომა... მე შეტყობინება გავაკეთე... დამსწრეებმა მირჩიეს ბატარეიაზე თავდასხმის შემთხვევაში მოვიგერიო, უკიდურეს შემთხვევაში დახმარებისათვის მივმართო ხელისუფლებას..." (სუკის არქივი, №28139, ფ. 29).

6. ამონარიდი **როსტომ მუსხელიშვილის** 1923 წლის 21 მარტის ჩვენებიდან: „აგვისტოს 15-20 შორის დ. ვაჩნაძემ (ეროვნულ მოძრაობაში ექსტრემისტულ-ავანტიურისტული ხაზის მიმდევარმა – გ.ც.) მითხრა: „მდგომარეობა პოლიტიკურ ჰორიზონტზე ისეთია, რომ ჩვენი ინტელიგენცია მოძრაობას სათავეში უნდა ჩაუდგესო. სოფელი ქალაქისაგან ხელმძღვანელობას მოითხოვს, თუ ხელმძღვანელები ჩვენთან არ იქნებიან, მივაფურთხებთ მათ და ჩვენვე, ჩვენი ინიციატივით გამოვალთო... დროა ახალგაზრდა ძალებმა მოკიდონ საქმეს ხელი. ქაქუცა ჩოლოყაშვილი მზად არის და მოითხოვს გამოსვლას. ნაციონალისტებს გადაწყვეტილი გვაქვს გაუგზავნოთ ბრძანება თავი მოიყარონ ალავერდობისას, 27 სექტემბერს, სადაც შეუერთდება ხალხის ლეგალურ თავშეყრას და დაიწყებს მოქმედებას. მაგრამ როგორ დავიწყოთ მოქმედება, რა გეგმით, ამის შესახებ მითითებებს და აზრებს ველოდებით თქვენგან. ეს მოსაზრებები ჩვენ გვინდა გაუგზავნოთ ჩოლოყაშვილს. მე უპასუხე ეს სხვა არაფერია, თუ არა თაღლითობა (афиора – გ.ც.), იგი გამოიწვევს მხოლოდ ხალხის განადგურებას და თუ ჩვენგან რამეს ელოდება, ტყვილუბრალოდ" (სუკის არქივი, №24058, ფ. 50).

7. ამონარიდი **რ. მუსხელიშვილის** 1923 წლის 25 აპრილის ჩვენებიდან: „1922 წლის აგვისტოში დ. ვაჩნაძისაგან გავიგე, რომ იგი ჩოლოყაშვილს აძლევს განკარგულებას გამოვიდეს 27 სექტემბერს.

მე ამის შესახებ ვაცნობე იოსებ ციცაძეს, რომელსაც ვთხოვე გაეპროტესტებინა ცენტრალურ კომიტეტში. ვთხოვე ჩემი გვარი არ დაესახელებინა, რათა არ გამწვავებულიყო ნაციონალ დემოკრატებთან ჩემი ურთიერთობა. მან მთხოვა, ვიტყვიო. მე დავეთანხმე. ეს საკითხი პარიტეტულ კომიტეტში დაისვა: იყო ეროვნულ დემოკრატების ლანძღვა. რა გადაწყვიტეს არ ვიცი. მე დასაშვებად მიმაჩნდა, რომ დ. ვაჩნაძემ ისე მომაკერა ფსევდონიმი „მუხა", რომ არ გამაფრთხილა" (იქვე, ფურც. 160).

8. ამონარიდი **რ.მუსხელიშვილის** 1923 წლის 2 მაისის ჩვენებიდან: „ვაჩნაძის წერილზე არაფერი არ ვიცოდი. ჩემი თანხმობის გარეშე მომანიჭა ფსევდონიმი „მუხა". დაპატიმრებამდე რომ მცოდნოდა, ეს მისთვის ცუდად დამთავრდებოდა. მიმაჩნია, რომ მან გადაწყვიტა „სამხედრო ცენტრის" დაყენება ფაქტის წინაშე" (იქვე, ფურც. 162).

9. ამონარიდი **რ.მუსხელიშვილის** 1923 წლის 2 მაისის ჩვენებიდან: „დ. ვაჩნაძემ მითხრა, რომ გეგმის შემუშავებისათვის მან სხვას მიმართა. ამაზე მივმართე თხოვნით: გამაგებინოს. მე ვერ წარმოვიდგინე ვაჩნაძის გეგმის არსებობა, მაგრამ მიზნად დავისახე მემოქმედა და როცა ციცაძეს (იოსებს –გ.ც.) განვუცხადე, ამის შემდეგ უკვე გამოვრიცხავდი რაიმე გამოსვლებს" (იხ. იქვე).

10. ამონარიდი **რ. მუსხელიშვილის** 1923 წლის 21 მარტის ჩვენებიდან: „Пропустил, упомянут еще один короткий разговор с д-ом (доктором – გ.ც.) Цинцадзе. Порицая действия Вачнадзе и назвав их глупыми, д-р Цинцадзе сказал мне, что Вачнадзе дурак и не понимает, что никакие выступления без санкции Комитета Независимости делать нельзя и рассказал вкратце работу в этом направлении Комитета, который держит в своих руках учет и организацию местных сил. Он высказался против организации банды, против которой должны действовать войска Красной Армии, а если действовать понадобится, то мы уже все подготовленное передадим военным специалистам. Я просил меня не иметь в виду по соображениям, высказанным Д. Вачнадзе, на что мне Цинцадзе ответил, что об этом и думать сейчас нельзя, потому что мы далеко не сорганизованы, наших товарищей поарестовали и на это понадобятся быть может годы... " (იქვე, ფ. 53). აქედან კარგად ჩანს, თუ რამდენად მიუღებლად და გაუმართლებლად მიაჩნდათ პარტიზანული გამოსვლები და ლოკალური ამბოხებები რ. მუსხელიშვილსა და მენშევიკების სამხედრო კომისიის თავმჯდომარეს ი. ციცაძეს. მათი პოზიცია ნათელია და სწორი. ამის შემდეგ კიდევ იმის

მტკიცება, რომ თითქოს აჯანყებას მხარს უჭერდნენ „სამხედრო ცენტრი“ და მენშევიკები, არის აბსურდი, აგრეთვე ჩეკას მიერ მიზნობრივად შეთითხნილი დოკუმენტების შთაბეჭდილებათა ტყვეობაში მოქცევა.

ამასთანავე, საჭიროა აღინიშნოს, რომ დ. ვაჩნაძე სინამდვილეში იყო არა „დურაკი“, არამედ სამშობლოს განთავისუფლებისათვის მებრძოლი პატრიოტი, მაგრამ ქვეყნის, საერთაშორისო ვითარების უგულებელმყოფელი ფიცხი პოლიტიკოსი. მაშასადამე, დ. ვაჩნაძე იყო ექსტრემისტულ-ავანტიურისტული ტაქტიკით მოქმედების წამბიძგებელი.

11. ამონარიდი **რ. მუსხელიშვილის** 1923 წლის 30 მარტის ჩვენებიდან: „...1921 წლის ბოლოს თუ 22-ის დასაწყისში შევიკრიბეთ ნარიკელაძესთან... გ. ფაღავამ გვაცნობა, რომ შეთანხმება მიღწეულია და რომ ი. ცინცაძის დავალებით გვთხოვს შევუდგეთ საქმეს... ხიმშიევთან შეხვედრისას, მგონი რამდენიმე დღის მერე მან წამიყვანა იოსებ ცინცაძესთან... ხიმშიევისაგან გავიგე რამდენიმე დღის მერე, რომ აღნიშნული აგზავნის ჩელოკაევთან, რომ უკანასკნელი დაიყაბულოს საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე. იგი აზრს მეკითხებოდა და ჩვენ მივედით ერთ აზრამდე, რომ ჩოლოკაევი საჭიროა დავარწმუნოთ. იგი ემზადებოდა გასამგზავრებლად, მაგრამ ამ დროს (1922 წ. მაისში – გ.ც.) დაპატიმრებულ იქნა და მისი შეხედულებები დაპატიმრების გამო ჩემთვის გამოცანად დარჩა“ (სუკის არქივი, №24058, ფ. 63). როგორც ჩანს, ეს ამბები 1922 წლის გაზაფხულის სხდომაზე და მის შემდეგ ხდება.

ნ. კირთაძის და ჩვენს მიერ მოხმობილი წყაროების გააზრების შემდეგ, ცხადია, რომ არა გვაქვს უფლება ვამტკიცოთ აბსურდი: თითქოს 1922 წლის აჯანყება შეთანხმებული იყო „დამკომთან“, „სამხედრო ცენტრთან“ და სხვ. რატომ ვერ დაინახეს ეს ალტერნატიული ინფორმაცია წინამორბედმა მკვლევარებმა?! პასუხი ასეთია: იმიტომ, რომ 1. ისინი მოსაძიებელი იყო; 2. ისინი ქმნიან პრობლემის ახალ, მათთვის უცხო და გაუგებარ კონცეფციას; 3. წინამორბედი მკვლევრები კი არჩევენ ძველი, უკვე გაკვალული, მცდარი გზით სვლას.

რ. მუსხელიშვილი სხვა დროის ამბავზეც უაღრესად საყურადღებო ცნობას გვაწვდის: „ოპერაციების პირველი პერიოდის დამთავრების შემდეგ.... მე შემხვდა ექიმი არდიშვილი, რომელმაც მითხრა, რომ იოსებ ცინცაძე ძალიან ღელავს და ჩემი ნახვა სურს... მე მაინტერესე-

ბდა როგორ უყურებს პოლიტიკური ცენტრი ჩოლოყაშვილის ხევსურეთში ლაშქრობას... ცინცაძემ განმიცხადა, რომ პარტიტეტული კომიტეტი გმობს ვაჩნაძის მოქმედებას, რომელსაც თავის დროზე სათანადო ადგილას მიეთითება. შემომთავაზა დავინდო ხევსურები, მაგრამ ჩოლოყაშვილი დავსაჯო..." „ცინცაძემ მითხრა ჩოლოყაშვილი საჭიროა განადგურდეს, ხევსურეთი კი გადარჩეს" (სუკის არქივი, №24058, ფ. 65, 120).

„სამხედრო ცენტრის" დაპატიმრებული ყოფილი წევრების ჩვენებების ეს მრავალრიცხოვანი ამონარიდები ნათლად მოწმობენ, რომ ესენი უდროო, ნაადრევ პარტიზანულ და ამბოხებით გამოსვლებს ავანტიურად მიიჩნევდნენ, ამიტომ მას მხარს არ უჭერდნენ. მაშასადამე, აღნიშნული წყაროები თავიანთი ალტერნატიული ინფორმაციით იმ წყაროების ნუსხას ავსებენ, რომლებიც პრობლემის ახლებური ახსნის შესაძლებლობას გვაძლევენ. მაგრამ არსებობს აჯანყების ორგანიზატორი ექსტრემისტი ეროვნული დემოკრატების კონცეპტუალური ნააზრევი და კონცეფცია. იგი უფრო ადრე მიზნობრივად, მთელი არალეგალური ანტისაბჭოთა მოძრაობის მოსპობის სახელმწიფოებრივი დაკვეთის შესრულებისათვის ჩამოაყალიბეს ჩეკისტებმა, ხოლო 90-იანი წლების ავტორებმა იწამეს ისტორიის წყაროების მიმართ არაკვალიფიციური მორჩილების გამო. ჩვენი ეს უტყუარი მონაცემები უთუოდ სადავო გახდება იმათგან, ვინც, მცდარი კონცეპტუალური მოსაზრებებით თუ კონკრეტულ სიტუაციებში გაურკვევლობით, ისევ თავისას დაიჯინებს. მაგრამ მათგან განსხვავებით, ჩვენების მიმცემები საქმის ვითარებასა და შესაბამისი ტაქტიკის საკითხებში გაცილებით ღრმად ერკვეოდნენ. მათ იცოდნენ, რომ რუსის წითელი ჯარების რაოდენობა კავკასიაში თითქმის 300 ათასამდე აღწევდა. მათ შორის 145 ათასი ამიერკავკასიაში იდგა, ხოლო ამდენივე (145 ათასი) ჩრდილოეთ კავკასიაში (შტაბის უფროსის რ. მუსხელიშვილის ჩვენება, სუკის არქივი, №28058, ფ. 114). აგრეთვე იცოდნენ რეალური, როგორც საერთაშორისო, ისე საბჭოთა რუსეთის საშინაო ვითარება. ამიტომაც იყო, რომ ისინი უდროო აჯანყებას მხარს არ უჭერდნენ, ხოლო დაკითხვის პროცესში, აჯანყების ხელმძღვანელებად მიჩნეულები ჩეკას ძიებას სიმართლეს უჩვენებდნენ. მოგონებების ავტორები კი სიმართლეს თავიანთი პარტიულ-პოლიტიკური ინტერესების შესაბამისად „აფერადებდნენ" და ამ შეფერადებული ისტორიით თავიანთ ოპონენტებს ნიშანს უგებდნენ. მკვლე-

ვარი, რომელიც ამას გაიგებს, იმასაც მიხვდება, მართალი კონცეფცია რომელ წყაროებს უნდა ეყრდნობოდეს.

აქ გასათვალისწინებელია ექსტრემისტულ-ავანტიურისტული ტაქტიკის მიმდევართა მიერ საბჭოთა რუსეთის შეიარაღებული ძალების რაოდენობის არასწორი განსაზღვრა. ალ. სულხანიშვილის აზრით, 1922 წლის ხევსურეთის აჯანყების დროს რუსეთის ჯარის რაოდენობა 10 ათას ჯარისკაცს არ აღემატებოდა (გვ. 63, 70) და თითქოს მათი განდევნა განსაკუთრებულ სიძნელეს არ წარმოადგენდა. ამავე მიზნით დ. ვაჩნაძე და მ. ლაშქარაშვილი მიიჩნევდნენ, რომ ამიერკავკასიის ჯარების რაოდენობა 19 ათასი ჯარისკაცი იყო, ხოლო ისინი, ვისაც ხევსურეთზე მიჰქონდა იერიში, 6 ათასი. ზოგი ექსტრემისტი-ავანტიურისტი ქართული წითელი ჯარის გამოყენებას ვარაუდობდა. ესეც არაობიექტურია. როგორც ცნობილია, ქართულმა სამხედრო შენაერთებმა და მათმა ქართულმა მხედრობამ, საბჭოთა სარდლობის დავალებით, თავი გამოიჩინა როგორც სვანეთის აჯანყების, ისე დუშეთ-ხევსურეთის აჯანყების ჩახშობის დროს. არალეგალური გაზეთი წყევლა-კრულვით მოიხსენიებს ქართველ ცნობილ მეთაურს მოსიძეს, რომელიც სვანეთის აჯანყების ჩახშობის დროს დამსახურებისათვის ხელისუფლების მიერ „ვერცხლით" დაჯილდოვდა (სუკის არქივი, № 23410, ფურც. 6). ხევსურეთის აჯანყების ლიკვიდაციისათვის „შავ დაფაზე" (ანუ სამარცხვინო დაფაზე) მოხვდნენ ქართველი მხედრები, რადგან სია გაზეთში გამოქვეყნდა. მათ შორის, როგორც თვითონვე აღნიშნავს, მოხვდა ქართული საბჭოთა ჯარის შტაბის უფროსი და ხევსურეთის ოპერაციების ერთ-ერთი მეთაური როსტომ მუსხელიშვილი (სუკის არქივი, № 28058, ფურც. 55), ანუ მოგონებების ავტორთა თხრობით, ხევსურეთის აჯანყების მონაწილეების მიერ თავიანთ კაცად და საბრძოლო ოპერატიული გეგმის შემდგენელად მიჩნეული „მუხა". დუშეთ-ხევსურეთის ოპერაციებში მონაწილეობას იღებდნენ ქართული წითელი ნაწილები და მათ შორის ქართული სასწავლო ბატალიონი (სუკის არქივი, №28058, ფ. 55). საყურადღებოა კიდევ ერთი ცნობა. თელავის მაზრის შინსახკომის მმართველობა მოითხოვდა: „საჭიროა ქართული ჯარის ნაწილების გამოგზავნა მაზრის აღმასკომის განკარგულებაში, რომ ბოლო მოეღოს ბანდიტთა თარეშს თელავშიო"., ე.ი. ითხოვეს, რომ ისინი ქ. ჩოლოყაშვილის წინააღმდეგ საბრძოლველად მიავლინონ (ნ. ხუციშვილი, დასახელებული სტატია, გვ. 390). მაშასადამე, ეს „ჩვენები"

სულაც არ იყვნენ ანტისაბჭოთა ეროვნულ მებრძოლთა მომხრეები. მხოლოდ ამ ქართული შენაერთების საერთო რაოდენობა კი 1922 წლის დასაწყისში უტყუარი ცნობებით 3625 ჯარისკაცს აღწევდა (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 1, ს. 52, ფ. 1). რადიკალებმა ისიც იცოდნენ, რომ ხელისუფლებას აჯანყებულთა წინააღმდეგ საჭიროების შემთხვევაში შეეძლო გამოეყენებინა უახლესი სამხედრო ტექნიკა, მათ შორის არტილერია, ჯავშნოსანი მანქანები, ჯავშანმატარებელი, თვითმფრინავები. როგორც ცნობილია, ხევსურეთის აჯანყების დროს თვითმფრინავები გამოყენებულ იქნა (ალ. სულხანიშვილი, დასახელებული პუბლიკაცია, გვ. 71). ზოგი კვარივით ანთებული ფიცხი პატრიოტი არაფრად აგდებდა, რომ პატარა ხევსურეთს საერთო ჯამში კბილებამდე შეიარაღებული 2 ათასამდე ჯარისკაცისაგან შემდგარი რეგულარული ჯარი უტევდა. მართალია, მათ შორის იყვნენ ქართველი პატრიოტებიც, მაგრამ, ომის კანონის თავისებურებიდან გამომდინარე, გმირ ხევსურთა მსხვერპლმა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 300-მდე კაცი შეადგინა (სუკის არქივი, №24058, ფ. 55). ასეულობით სახლი გადაწვეს და ათასობით ადამიანი გააუბედურეს. ამის კომპენსაცია არ ხერხდებოდა დანარჩენი საქართველოს თანამოძმე თანამოაზრეთა გულისწადილითა და ქადილით. ცნობილი სოციალ-დემოკრატი, გურიაში ანტისაბჭოთა არალეგალური მოძრაობის ერთ-ერთი ორგანიზატორი სიმონიკა გოგიბერიძე წერს: „მთელი გურიის ხალხი უსაზღვრო მწუხარებით უყურებდა ამ ამბებს, მაგრამ, როგორც დანარჩენ საქართველოს, მასაც სწამდა, ასე განაპირა კუთხეებში ხალხის მიერ წამოსროლილ აჯანყებას მთავრობა ადვილად შემოფარგლავდა და დაამარცხებდა. სხვადასხვა მიზეზების გამო საერთო აჯანყების პირობები მთელს საქართველოში ჯერ მზად არ იყო (! – გ.ც.) და სოციალ დემოკრატიული პარტიის ცენტრი თბილისიდან მოუწოდებდა გურიის ხალხს არ მიეცათ საბაბი საბჭოთა მთავრობისათვის ხალხის გასაჟლეტად“ (იხ. ს. გოგიბერიძის დასახელებული პუბლიკაცია, გვ. 22-23). მიუხედავად ცენტრის დარიგებისა, გურიამ მაინც ვერ აიცილა უბედურება, მაგრამ ეს მოხდა სხვა სპეციფიკური მიზეზების და არა აჯანყების გამო.

ს. გოგიბერიძის ზემოთ მოყვანილი ინფორმაციის კვალობაზე კიდევ უფრო გასაგები ხდება, თუ რატომ მიავლინეს კ. გაბაშვილი აჯანყებულების დასახმარებლად დაგვიანებით დაძრული მ. ლაშქა-

რაშვილის რაზმის დასაშლელად. განსაკუთრებით საყურადღებოა დ. ვაჩნაძის მოგონებებში მოყვანილი ცნობა. იგი წერს: „ენკენისთვის ბოლო რიცხვებში", როცა „შ. ფავლენიშვილი ელოდებოდა მხოლოდ მუსხელიშვილის ბრძანებას ფრონტიდან, ამ დროს თბილისიდან ჩამოვიდა სამი კაცი და მიმართა რაზმელებს სიტყვებით: „ჩვენ გამოგვაგზავნეს თბილისის პოლიტორგანიზაციებმა, **რომ შეგაჩეროთ საშინელი ავანტურისაგან**" (! – გ.ც.). სად მიდიხართ? რისთვის? **საერთო გამოსვლის დღე ჯერ არ არის დანიშნული** (! – გ.ც.), ჩოლოყაშვილის მოქმედება კერძოა! მას ქართველი ხალხი არ გაჰყვება... ამიტომ იგი უსათუოდ დამარცხდება (არადა, ამ დროს უკვე დამარცხებულია – გ.ც.). დაბრუნდით შინ და ელოდეთ იმ დღეს, როდესაც თბილისიდან მოგივათ წინადადება ისეთ გამოსვლისათვის, რომელშიაც მთელი ხალხი მიიღებს მონაწილეობას. გირჩევთ ეხლავე დაიშალოთ, რომ ტყვილ უბრალოდ არ დაიღუპოთ და არ დაღუპოთ თქვენი ცოლშვილიც – ამ აგიტაციამ ნაყოფი გამოიღო" (დ. ვაჩნაძე, სამშობლოს სამსახურში, ჟურნ. „ევერია", 1993, გვ. 214). ხევსურეთიდან კახეთში გადასულ ქ. ჩოლოყაშვილის მცირე ჯგუფს გასანადგურებლად ხელისუფლებამ, ალ. სულხანიშვილის მონაცემებით, 500 კაციანი (იხ. გვ. 44), ხოლო რ. მუსხელიშვილის თქმით, 800 ჯარისკაცისაგან შემდგარი (იხ. სუკის არქივი, №23410, ფ. 9) რეგულარული ჯარი დაადევნა, აქტიურად აამოქმედა ჩეკისტები და მილიციელები. მართალია, ქაქუცას კახეთში და ფშავ-ხევსურეთში ბევრი მხარდამჭერი ჰყავდა, მაგრამ ეგზეკუციებისა და გზების შეკვრით მოსახლეობა უკიდურესად შეწუხდა. შემდგომ ისიც კი მოხდა, რომ 1923 წლის ზაფხულში, თბილისში გამოცხადდა „კახეთის სხვადასხვა სოფლების წარმომადგენელი" გაგნიძე, რომელმაც „დამკომს" ქაქუცას განადგურება აღუთქვა და მხარდაჭერა მოსთხოვა. რა თქმა უნდა, „დამკომმა" მისი წინადადება არ მიიღო (იხ. ნ. კირთაძის დასახელებული წიგნი, გვ. 398). მაგრამ ეს იმას მოწმობს, რომ ხანგრძლივი, გაუმართლებელი პარტიზანული გამოსვლები ზოგჯერ მოსახლეობაზე უარყოფითად მოქმედებდა და მის გარკვეულ ნაწილში უარყოფით ემოციებს იწვევდა. ამიტომ იყო, რომ თვით პატრიოტების ცენტრშიც, ჯერ კიდევ ავჯანყების დროს გაჩნდა აზრი ქაქუცას რაზმის საზღვარგარეთ გაყვანის ან ჩეჩნეთში გადაყვანის საჭიროების შესახებ (იხ. ნ. კირთაძის დასახელებული წიგნი, გვ. 246). ქაქუცას პარტიზანული რაზმის ლიკვიდაციას რადგან ვერ ახერხებდა, თავის

მხრივ, ხელისუფლებაც ცდილობდა პარტიზანებისათვის საზღვარგარეთ გასვლა შეეთავაზებინა. ამის შესახებ საყურადღებოდ მოგვითხრობს ქაქუცას გმირი თანამებრძოლი და უახლოესი მეგობარი ალ. სულხანიშვილი, რომელიც თავად შესწრებია ასეთ ამბავს. ერთხელ, როცა ხელისუფლების დაჟინებული მოთხოვნით რაზმში მოსალაპარაკებლად ქაქუცას უფროსი ძმა შაქრო და ბიძინა მაყაშვილი მივიდნენ, შაქრომ უთხრა: „აი ამ მთავრობამ (ე.ი. „ნაციონალ-უკლონისტების" ხელისუფლებამ – გ.ც.) გამომაგზავნა შენთან მოსალაპარაკებლად, პირველი, თხოულობენ პასუხს: რა მიზეზით გვეგრძვის, რას მოითხოვს, რა უნდაო? მეორეც, წინადადებას გაძლევენ, რომ შენი რაზმით საზღვარგარეთ გახვიდე. ფულს რამდენსაც მოითხოვს, მიიღებსო. თუკი არ გვენდობა, საზღვარზე გადასვლის დროს მთავრობისაგან მოგვთხოვოს მძევლად, ვინც უნდა, და როდესაც საზღვარზე გადავლენ, მძევალი უმტკივნეულოდ უნდა გაანთავისუფლონ, თორემ თუ მოკლეს, მთელ იმათ ნათესავებს დახვრეტავენო." შაქრომ რომ თავისი სათქმელი დაამთავრა, ქაქუცამ უპასუხა: „დამოუკიდებლობის დროს საქართველოს სოციალ-დემოკრატები უდგნენ სათავეში. ჩვენ ძალიან არ მოგვწონდა მათი საქციელი, მაგრამ საქართველო დამოუკიდებელი იყო, მთავრობაც ქართული იყო და ჩვენ გულმოდგინედ ვემსახურებოდით მას მიუხედავად იმისა, რომ ბევრ რამეში არ ვეთანხმებოდით. რად შემოუძღვნენ რუსის ჯარს და ვაი ვაგლახით მოპოებული დამოუკიდებლობა ხელმეორედ რატომ ჩააბარეს რუსებს? თუ ქართველ ერს მოსწონს ბოლშევიკური ხელისუფლება, ჩვენ წინააღმდეგი არ ვიქნებით და ისევ ისე ვემსახურებით მას, როგორც ეს იყო მენშევიკური მთავრობის დროს, ოღონდ კი რუსის ჯარი გაიყვანონ და საქართველო დამოუკიდებელი იყოს..." (ალ. სულხანიშვილი, მოგონებები შეფიცულთა რაზმზე, თბ., 1991, გვ. 79). აქედან ჩანს, რომ საქართველოს სუვერენიტეტის საკითხია ქ. ჩოლოყაშვილისა და მისი რაზმისათვის უმთავრესი პრობლემა და არა სოციალური ან მმართველობის საკითხი. ისინი თანახმა არიან ითანამშრომლონ საბჭოთა ხელისუფლებასთანაც კი, თუ საქართველოს სუვერენიტეტი აღდგება. როგორც ადრე ვნახეთ, გარკვეული მოდუსით საბჭოთა ხელისუფლებასთან კომპრომისის წინააღმდეგი არ იყვნენ 1921-1922 წლების ზღვარზე მენშევიკებიც და სხვა პოლიტიკური პარტიებიც. თვით ნ. ხომერიკმაც კი პატიმრობის დროს არაერთგზის შესთავაზა ჩეკას ხელმძღვანელობას კომპრომისული წი-

ნადადებები, რომლებიც ითვალისწინებდნენ გარკვეული პირობების დაცვით მენშევიზმის თანამშრომლობას საბჭოთა ხელისუფლებასა და მოსკოვთან.

ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილი უამრავი საარქივო დოკუმენტიდან ჩანს, რომ „დამკომი" და „სამხედრო ცენტრი" ყოველთვის ებრძოდნენ პარტიზანულ-ავანტიურისტულ გამოსვლებს, რომლებსაც ეროვნული მოძრაობის იმდროინდელი ხაზისათვის ზიანი მოჰქონდა და ერს დიდი საშიშროების წინაშე აყენებდა. აქ მათი აზრი ემთხვევა „ნაციონალ-უკლონისტური" ხელისუფლების წარმომადგენელთა აზრს. ასეთი მაგალითები, მკითხველიც შენიშნავდა, მრავლად გვხვდება, და ამიტომ მიგვაჩნია, რომ ისტორიკოსების მიერ შეუმჩნეველი ამგვარი თანხვედრები სერიოზულ ყურადღებას იმსახურებს.

საყურადღებოა კიდევ ერთი, ეროვნულ-დემოკრატების ცკ-ის თავმჯდომარის მოადგილის მ. იშხნელის მიერ პარიტეტული კომიტეტის სასამართლო პროცესზე სახელმწიფო ბრალმდებლის მიერ დასმული კითხვის პასუხად საქვეყნოდ გაცხადებული აზრი: „22 წლის აგვისტოს აჯანყება მიზანშეუწონლად მიმაჩნია, იგი არ იყო ორგანიზაციების მიერ ნაკარნახევი" (გ. მამულიას დასახელებული პუბლიკაცია, იხ. გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 1989, 26 მაისი, გვ.9). დიახ, ისინი ხმარობენ ჩეკისტურ ტერმინოლოგიას, სიტყვებს „ბანდა", „ავანტიურა" დიახ, ებრძვიან მათ. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ უგულებელყოფენ ქაქუცას და მისი ტაქტიკის მიმდევართა ეროვნულ გმირობას. ნათელია, რომ მათ შორის პრინციპული წინააღმდეგობაც არსებობდა, რადგან „სამხედრო ცენტრის" წევრები უკეთ ხედავდნენ პერსპექტივას. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებით საყურადღებოა სამხედრო ცენტრის თავმჯდომარის გენერალ ალექსანდრე ანდრონიკაშვილის, (იხ.: სუკის არქივი, №28139, ფ. 104; №28082, ფ. 68, 102), მისი თვალსაჩინო წევრების, პოლკოვნიკების ივანე ნარიკელაძის და როსტომ მუსხელიშვილის ჩვენებებზე დაფუძნებული ჩეკას გამომძიებლის ობიექტური „დასკვნა". მასში ნათქვამია:

„Подытоживая все, заявляем, что в (1) **нужный момент** Военный центр должен был руководить восстанием. **Восстание мыслилось как (2) единовременное на всем Кавказе, (3) при условии внутренних осложнений в России (4) или в случае войны России с другой державой"** (სუკის არქივი, №28139-62, ფ. 70. ხაზგასმა და ნუმერაცია ჩვენია – გ.ც.).

აი, ეს ტაქტიკა გონიერია და მ. ჯავახიშვილისთვისაც მისაღებია. მაგრამ მისი განხორციელების შესაძლებლობა არ შექმნილა.

მაშასადამე, ცხადი ხდება, რომ მ. ჯავახიშვილის წინადადება მოგილევსკის მიმართ საეჭვო უცნაურობად არ უნდა მოგვეჩვენოს. ქაქუცა ჩოლოყაშვილის უპერსპექტივო პარტიზანული გამოსვლებისადმი თუ ნ. ხომერიკის ექსტრემისტული მოქმედებებისადმი ეროვნული მოძრაობის ხელმძღვანელი ცენტრის – „დამკომის“, მასთან არსებული, ღრმად ინფორმირებული და სამხედრო-სტრატეგიული ცოდნით აღჭურვილი „სამხედრო ცენტრის“, აგრეთვე ხელისუფლების ინტერესის გამოვლინებამ მ. ჯავახიშვილს მოაძებნინა მოგილევსკის მიერ მიზნობრივად დასმულ კითხვებზე რაციონალური პასუხი – მოდუსი. მის მიერ 16 მარტის ჩვენებაში ჩამოყალიბებული აზრი ხელისუფლებას სთავაზობს: „შემოვიკრიბოთ ის ძალები და პიროვნებები, რომელთაც ჩოლოკაევზე გავლენა აქვთ და რომელნიც ან იმთავითვე უარყოფითად ეკიდებოდნენ „ჩოლოკაეველობას“ ან რომელთაც შემდეგ გაუტყდათ გული. ასეთი ძალებია სამხედრო წრეები... ჯგუფი, რომლებსაც ჩოლოკაევთან ნათესაობა და მეგობრობა აკავშირებთ, და ეროვნულ დემოკრატთა ის ჯგუფი, რომელსაც „ჩოლოკაეველობა“ მავნე და სახიფათო საქმედ მიაჩნია (მათი ძირითადი ნაწილი ზაკჩეკას პატიმრობაში იმყოფება, როგორც ქვემოთ ვნახავთ, აქვეა ნაციონალ-უკლონისტებისა და ხელისუფლებაში მყოფი პატრიოტების წარმომადგენლობა – გ.ც.). აქედან ჩვენ, 3-4 კაცი, წავალთ კახეთში... დავარწმუნებთ მას დაყაროს იარაღი.

თავისთავად იგულისხმება, რომ ლიკვიდაცია მოხდება გარკვეული პირობებით, რაზეც მხოლოდ მას შემდეგ შეიძლება ლაპარაკი, რაც მიღწეული იქნება ორივე მხარის (ქ. ჩოლოყაშვილის, ეროვნული მოძრაობის ლიდერების და ხელისუფლების – გ.ც.) პრინციპული თანხმობა საქმის მშვიდობიან დამთავრებაზე...“ (ნ. კირთაძის დასახელებული წიგნი, გვ. 41-242). სწორედ ეს „გარკვეული პირობაა“ მაჩვენებელი მ. ჯავახიშვილის განსაკუთრებული გონიერებისა და მისი ქმედების სისწორისა. კიდევ ერთხელ არის გასათვალისწინებელი, რომ მ. ჯავახიშვილის ეს იდეა ხელისუფლებასთან კომპრომისული ურთიერთობის აგებას ითვალისწინებდა არა ინდივიდუალური მოლაპარაკება-შეთანხმების, არამედ პარტიულ-პოლიტიკური პოზიციის გამომუშავების გზით. „თუ, რა თქმა უნდა, შესაძლებლობას მომცემენ

დავიწყო მოლაპარაკება ეროვნულ დემოკრატთა ცენტრალური კომიტეტის წევრებთან ცალ-ცალკე, – წერს მ. ჯავახიშვილი, – სასურველ გადაწყვეტილებას წერილობითი ფორმით მივიღებ. გარდა ამისა, საჭიროა წინასწარ გვქონდეს გავლენიან ოფიცერთა (კ. აფხაზის, ვ. წულუკიძის, რ. მუსხელიშვილის, გ. ხიმშიაშვილის და სხვ. – გ.ც.) კოლექტიური წერილი ჩოლოკაევის სახელზე სათანადო შინაარსისა. ეს საბუთები რომ გვექნება, ანუ ეროვნულ დემოკრატთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება, სამხედრო კოლექტიური წერილი და უპარტიო გავლენიან პირთა კერძო წერილები..." ამის შემდეგ მივდივართ 3-4 კაცი ჩოლოყაშვილთანო. ნ. კირთაძის მიერ ავტორის გვარის და სახელის მითითების გარეშე გამოქვეყნებულ ამავე ჩვენებაში ნათქვამია, რომ ჯერ კიდევ „ჩოლოკაევთან ამირეჯიბისა და ყიფიანის გაგზავნა პოსტ-ფაქტუმ შევიტყვე, ამათ ამ მიზნით ვგზავნით, რომ ჩოლოკაევი შეაკავონ საერთო აქტიური მოქმედებისაგან და კერძოდ „ექსცესებისაგანო." პარტიის ლიდერების კედიას და ასათიანის როლი და გავლენა საერთოდ „ჩოლოკაეველობის" საქმეში თითქმის გადამწყვეტი იყო: ციხიდან ისინი თითქმის „ყოველდღიურად უკავშირდებოდნენ და დირექტივას აძლევდნენ იასონ ჯავახოვს. მაგონდება, რომ კახეთს გაგზავნილ ამირეჯიბს დაავალეს, დაიყოლიე ჩოლოკაევი თვითლიკვიდაციის სანაცვლოდ მთავრობას მოსთხოვოს (თუ მასთან ჩავიდოდნენ ხიმშიევი და სხვები) პოლიტპატიმართა განთავისუფლებაო. მე მგონია, ცალკეული პირები და ჯგუფი მხარს უჭერდნენ „ჩოლოკაეველობას", როგორც იარაღს, შესაძლო მოდუსზე მთავრობასთან მოლაპარაკებაში" (გვ. 243). მაშასადამე, ახლაც ამ „შესაძლო მოდუსს" აზრი ჰქონდა მასზე ხელისუფლების დაყოლიების თეორიული შესაძლებლობის თვალსაზრისით და არ არის გამორიცხული, რომ მ. ჯავახიშვილის მიერ მოგილევსკისადმი შეთავაზებული გონიერი იდეა სხვასთან იყო შეთანხმებული და პირადი ინიციატივა არც ყოფილიყო. ამას გვაფიქრებინებს ის, რომ ზოგი პატიმარი ზოგჯერ ერთ საკანში იჯდა, იატაკქვეშ ჩამარხული თუ სხვა საშუალებებითაც უკავშირდებოდნენ ერთმანეთს და ფანჯრიდან გარეთ მყოფებთანაც ამყარებდნენ კონტაქტს. ცნობილია, რომ ზოგი ერთმანეთში გარკვეულ შეთანხმებას აწარმოებდა. ასე მაგალითად, ქეთევან ჯავახიშვილის წიგნში „მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება" წერია, რომ მამასთან დედა სა-

კნის მიმდებარე ბაღიდან საიდუმლო საუბარს ახერხებდა (იხ. გვ. 34). სხვა ცნობიდან ჩანს, რომ საკანში პოლიტიკური პატიმრები მარტონი როდი იყვნენ და, მაშასადამე, აზრის ურთიერთგაზიარების შესაძლებლობა ჰქონდათ (იქვე, გვ. 35). ნ. კირთაძის გამოქვეყნებულ კ. აფხაზის 1923 წლის 12 მაისის ჩვენება ცხადყოფს, რომ არ იყო გამორიცხული ერთ ბედ ქვეშ მყოფთა საერთო საკანში მოხვედრა და ურთიერთშეთანხმება. მაგალითად, კ. აფხაზმა, ამბების მოსმენის შემდეგ, უთხრა კერესელიძეს: „იასონ ჯავახიშვილს ჩვენებაში ნუ ახსენებო" (გვ. 277). გარდა ამისა, ციხის საავადმყოფოს მთავარი ექიმი ვ. ციციშვილი მათი თანამგრძნობი პიროვნება იყო. მას კი პოლიტიკური პატიმრების აზრის გაცვლის შესაძლებლობა ჰქონდა.

ზემოთ მოტანილი წყაროები და მათ საფუძველზე აგებული ლოგიკა საშუალებას გვაძლევს ისიც ვივარაუდოთ, რომ მ. ჯავახიშვილის მიერ მოგილევსკისადმი შეთავაზებული აზრი არა მარტო სათანადო წანამძღვრებზე დაფუძნებულ გონიერ მოქმედებას წარმოადგენდა, არამედ აგრეთვე იმასაც, რომ ეს აზრი, შესაძლებელი იყო, სხვებთანაც ჰქონდა შეთანხმებული. ასეთი „3-4 კაცში", ჩვენი აზრით, სწორედ პატიმრობაში მყოფი „დამკომის" თავმჯდომარე ნ. ქარცივაძე, ალ. ანდრონიკაშვილი და „სამხედრო ცენტრის" ის პატიმრები ივარაუდებოდა, რომელთა შორის იყვნენ ქ. ჩოლოყაშვილის უახლოესი მეგობრები (სიმონ ბაგრატიონ-მუხრანსკი, გოგი ხიმშიაშვილი, კოტე აფხაზი და სხვა). მაშასადამე, მ. ჯავახიშვილის გონიერი აზრით, ამ გზით „ნაციონალ-უკლონისტების" დროს უთუოდ შეიძლებოდა საქმის შემობრუნება და, საკუთარ თავთან ერთად, განწირული თანამოაზრე-თანამებრძოლების გადარჩენა. ახლაც იქნებ ცდა ბედის მონახევრეა, მაგრამ ნაციონალ-უკლონისტების გადაყენების შემდეგ, როცა პარტიის ახალმა ხელმძღვანელობამ ზევიდან კარნახით დაიწყო „ნავჯახის" პოლიტიკის გატარება და ჩეკისტური ტერორი, მ. ჯავახიშვილმა მოგილევსკი კომპრომისულ აზრზე ველარ დაიყოლია. როგორც ქვემოთ, სათანადო თავებში ვნახავთ, კრიტიკულ სიტუაციებში მსგავსი გამოსავლებისათვის იბრძოდნენ პარტიის ის ლიდერებიც (ნ. ხომერიკი, გ. წინამძღვრიშვილი და სხვ.), რომელთა მოქმედებას ისტორიკოსებში ეჭვები და ბრალდებები არ გამოუწვევია, მ. ჯავახიშვილი კი ჯვარზე აცვეს. მაგრამ განსაკუთრებით საწყენი ის არის, რომ ეს მკვლევრებს მოსდით არა მხოლოდ სათანადო წყარო-

ების ცოდნის უკმარისობით, ან სათანადო ყალბი წანამძღვრების გაა-ზრების სირთულეებით, არამედ წინასწარ აკვიატებული მცდარი კონ-ცეფციის და გაუმართლებელი მიზანდასახულობის გამო.

როგორც ცნობილია, მ. ჯავახიშვილის აზრი ხელისუფლებამ ყურ-რად არ ილო არა იმის გამო, რომ იგი მიუღებელი იყო, არამედ იმი-ტომ, რომ, როგორც ქვემოთ ვნახავთ, „სმენავეხელობა" საზღვარგა-რეთის ანტისაბჭოთა ეროვნულ მოძრაობაში დანერგა. აქ კი, ალბათ, საკუთარი ცენტრის კარნახით, საჭიროდ ჩასთვალა საქართველოს და-მოუკიდებლობისათვის მებრძოლებისაგან მისთვის ყველაზე სახიფათო, დროის სწორი შერჩევის ტაქტიკით მოქმედი ლიდერების, პატრი-ოტი გენერლების და უმაღლესი ოფიცრობის, ანუ ქართული ანტი-საბჭოთა ბრძოლის გონიერი ტვინის მოსპობა, ხოლო პატიმრობაში მყოფი პოლიტიკოსი ლიდერების შემორიგება. ხელისუფლებამ ეს ცხო-ვრებაში კიდეც გაატარა. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მ. ჯავახიშვი-ლის შეთავაზება საჩოთირო და ყასიდად გასასაიდუმლოებელი იყო.

ჩვენთვის გასაგებია, თუ რაოდენ მძიმეა არასწორი მეთოდოლო-გიური კონცეფციის არგუმენტების მათივე ავტორების წინააღმდეგ შებრუნება. მაგრამ ისტორიის მოცემული პრობლემის სწორი გაგე-ბის აუცილებლობა გვკარნახობს, რომ მოუხმოთ კიდევ ერთ განსა-კუთრებით მნიშვნელოვან და მრავლისმთქმელ ჩვენებას. ეს არის 1923 წლის მარტიდან რადიკალი დემოკრატების ბანაკიდან ექსტრემისტე-ბის ბანაკში გადასული და ნ. ხომერიკის ავანტიურისტული ტაქტი-კით მებრძოლი გ. წინამძღვრიშვილის 1924 წლის 25 თებერვლის ჩვენება. იგი გვიჩვენებს, რომ ექსტრემისტი ეროვნულ-დემოკრატები, როცა საფუძვლიანად გაერკვნენ რეალობაში, თვითონ მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ საჭირო იყო ხელისუფლებასთან მოდუსის მოძებნა და ქ. ჩოლოყაშვილის, რაზმის წევრებთან ერთად, საზღვარგარეთ გაყვანა. ამ აზრს მხარს უჭერს ქაქუცაც.

გ. წინამძღვრიშვილი წერს: ნ. ხომერიკის დაპატიმრება აშკარას ხდიდა, რომ ჩეკასთვის „ჩვენი მუშაობა უკვე საიდუმლოებას აღარ შეადგენდა". იგი აგრძელებს, რომ ვ. ხმალაძის წერილების გამოქვე-ყნებამ და ს. დევდარიანის წერილებმა აშკარა გახადა, რომ მენშევი-კების რიგები შერყეული იყო... ჩვენი მდგომარეობა სახიფათო და დაუსრულებელი იყო. ხალხი აღარ ვარგოდა. ამას დაერთო ევროპის ორ დიდ სახელმწიფოს (გერმანიის და ინგლისის — გ.ც.) მიერ სსრ

კავშირის ცნობა. საჭირო იყო ანგარიშის გაწევა, ხელისუფლების წინააღმდეგ „ფრონტის" მოხსნა. მაშინ როცა აჯანყების იმედი გადაგვეწურა და „განვაგრძობდით მუშაობას ყოველი შემთხვევისათვის" და ვერ გაგვერკვია „იყო თუ არა საჭირო კიდევ საომარ მდგომარეობაში ყოფნა" და როცა არ იყო გამორიცხული „ჩოლოყაშვილის საბედისწერო" გამოსვლები, „ჩოლოყაშვილსაც ვაცნობეთ რამდენად შესაძლებლად მიაჩნდა (საზღვარგარეთ – გ.ც.) გასვლა. გვაცნობა, რომ საჭიროდ მიაჩნია საქართველოს საზღვრებიდან გასვლა, თუ ახლო მომავალში არაფერი სერიოზული (ე.ი. აჯანყება და საქართველოს განთავისუფლება –გ.ც.) არაა მოსალოდნელი. მხოლოდ მოითხოვდა ფულს (ხარჯებისათვის –გ.ც.) და მორიგებას ერთ-ერთ მეზობელ სახელმწიფოსთან. რაზმელებისაგან ზოგის წაყვანას აპირებდა თან, ზოგი დარწმუნდებოდა (დარჩენაზე – გ.ც.), თუ იმედი იყო, რომ ბოლშევიკური ხელისუფლება ამის საშუალებას მისცემს. გასვლის საჭიროებას ასაბუთებდა კიდევ იმით, რომ მისი სახელის გამო შევიწროებულ ხალხს ამოასუნთქებდნენ და აღუდგენდნენ პოლიტიკურ ქონებას". მან უჩვენა: „ჩოლოყაშვილის გაყვანა ტექნიკურად მე დამეალა... ჩოლოყაშვილისგან უკანასკნელი ცნობა დეკემბრის (1923 წ. – გ.ც.) გასულს მქონდა. ველოდი კაცს, რომ უკანასკნელი გადაწყვეტილება შემეტყობინებინა. დაბრკოლება მაინც ფული იყო და განზრახვა იყო გაგვეგზავნა სტამბულში (კონსტანტინეპოლის ედპ-ის ცენტრში კაცი – გ.ც.) ფულის და პასპორტებისათვის" (იხ. ნ. კირთაძე, დასახელებული წიგნი, გვ. 325-328, მისივე, დოკუმენტების კრებული, გვ. 257-258). როგორც ვხედავთ, ექსტრემისტებს ხელისუფლებასთან მოლაპარაკების შესაძლებლობა უკვე გამორიცხული ჰქონდათ, ერთი მხრივ, ეროვნული მოძრაობისადმი ლოიალურად განწყობილი „ნაციონალ-უკლონისტური" ხელისუფლების გადადგომის და ახალი, ბ. ლომინაძის „ნაჯახის" ტაქტიკით ხელისუფლების მოქმედების, ხოლო მეორე მხრივ – მოვლენათა 1923 წლის მარტის შემდგომი განვითარების გამო. მაგრამ სხვა მხრივ ეს იყო რადიკალი არალეგალების და, კერძოდ, მ. ჯავახიშვილის ადრინდელ აზრამდე მისვლა. მაშასადამე, „ჩოლოკაეველობის" ლიკვიდაციის მ. ჯავახიშვილისეული აზრი გონიერი ყოფილა და არა საჩოთირო ან მოღალატური. ნ. კირთაძეს გ. წინამძღვრიშვილის აღნიშნული ჩვენების ხელნაწერის ქსეროასლი წიგნში იმდენად დაპატარავებული სახით

აქვს შეტანილი, რომ რიგითი მკითხველისათვის მასში გარკვევა შეუძლებელია. ცოტა უფრო გადიდებულად აქვს წარმოჩენილი დოკუმენტების კრებულში. მაგრამ მისი გაცნობიერება ჯერჯერობით ვერავინ შეძლო იმიტომ, რომ ეწინააღმდეგება ავტორის კონცეფციას და მიჩქმალული რჩებოდა. მაგრამ სანთელ-საკმეველმა თავისი გზა მაინც არ დაკარგა და გასაგები გახდა, რომ მ. ჯავახიშვილის 16 მარტის ჩვენებაში არც საჩოთირო რამ ყოფილა და მით უმეტეს არც მოღალატეობრივი. პირიქით, იმჟამად ეს ჩვენება წარმოგვიდგა როგორც გონიერი პოლიტიკოსის ერთადერთი სწორი მოქმედება.

როგორც ვნახეთ, არალეგალურ რეალისტურ-რადიკალური ანტისაბჭოთა მოძრაობას 1922 და 1923 წლის იანვარ-თებერვალში დომინირებული მდგომარეობა გააჩნდა. იგი იღვწოდა ანტისაბჭოთა ბრძოლის კოორდინირებისა და მობილიზებისათვის, გამორიცხავდა ხელისუფლების საწინააღმდეგო ექსტრემისტული აქციების მიზანშეწონილობას და ებრძოდა ანტისაბჭოთა ლოკალურ ამბოხებას, რომელიც საერთო ეროვნულ აჯანყებაში გადაზრდისას, ქვეყნის იმდროინდელ საერთაშორისო და საშინაო ვითარებაში, ქმნიდა ეროვნული უბედურების გარდაუვალ პერსპექტივას. კ. მისაბიშვილის, მ. ჯავახიშვილის და სხვ. მსგავსი შეხედულებები გამოხატავდნენ რეალისტი რადიკალების საერთო ტაქტიკიდან გამომდინარე აზრს, რომელიც ექსტრემისტულ-ავანტიურისტული წაბიძგების მომხრეთა მცდელობას პრინციპულად ეწინააღმდეგებოდა და ერს მოსალოდნელი უცილო უბედურებისაგან იცავდა. აი, ეს ვერ გაიგო ზოგმა ისტორიკოსმა, რომლებსაც ერის ინტერესებისათვის ბრძოლა მხოლოდ სისხლის ღვრა და ომის გაჩაღება ჰგონიათ, ხიფათის მორიდება კი ხან მოღალატეობად, ხან საჩოთირო ქმედებად ეჩვენებათ. არა და, ჩვენისთანა მცირერიცხოვანი ერისათვის ეროვნულ მოძრაობაში წინდახედულობას გამარჯვების მნიშვნელობა აქვს.

აქ უთუოდ აღსანიშნავია, რომ ჩვენს ისტორიოგრაფიაში და განსაკუთრებით პუბლიცისტიკაში მყარად დამკვიდრდა ყალბი აზრი, თითქოს 1922 წლის აჯანყების ორგანიზატორთა ქმედება ყოველმხრივ გამართლებულია. მათი მოწინააღმდეგე თვალსაჩინო ეროვნული მოღვაწეების მოქმედება კი საეჭვო და ღალატის ტოლფასია. ამ აზრს გვინერგავდნენ 1922 და 1924 წლის აჯანყების მონაწილე ავტორები, რომლებიც 1921-1924 წლის ანტისაბჭოთა ეროვნული მო-

ძრაობისა და ბრძოლის ისტორიას აშუქებენ თავიანთ მოგონებებში. სათანადო ისტორიის ალტერნატიული წყაროებით საბუთდება, რომ ანტისაბჭოთა ავჯანყების ექსტრემისტი ორგანიზატორები სამშობლოს განთავისუფლების მიზნით, ფაქტობრივად, ავანტიურაზე მიდიოდნენ და ერს თავიანთი წინდაუხედაობით უბედურებას უმზადებდნენ. აღნიშნულის საილუსტრაციოდ საჭიროდ გვესახება შესაბამისი დამატებითი მაგალითების მოტანა: მ. ლაშქარაშვილი „მოგონებებში" წერს: „აგვისტოს პირველ რიცხვებში ჩავედი თბილისში... ორ კვირას ვიყავით მე და შალვა (ფავლენიშვილი – გ.ც.) ფასანაურის №11-ში, ვანო ჩივაძის ბინაზე და კავშირთა წარმომადგენლები, რომლებიც მოითხოვდნენ ავჯანყების მალე დაწყებას... კობიაშვილი მოვიდა ამ ბინაზე ცნობის მისაღებად, თუ როდის დაიწყებოდა ბრძოლები. ფავლენიშვილმა მიუგო, ძალიან მალე დაიწყებაო" (იხ. გაზ. „რესპუბლიკა", 1991, 12 თებერვალი). დუშეთის ავჯანყების მონაწილე ს. ჭიაბრიშვილმა უჩვენა: „ფავლენიშვილი მეუბნებოდა, მოდიან საომრად ჩეჩნები, ქისტები, ლეკები და კაზაკები. იწყება ომი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, ჩვენც წავიდეთო" (სუკის არქივი, №28068, ფ. 21). დუშელი მენშევიკების ლიდერმა ნ. ზანდუკელმა უჩვენა: „ს. ჭიაბრიშვილი მარწმუნებდა, გაქვთ ცკ-ის განკარგულება გამოსვლაზე, დუშეთის გამოსვლა სანქცირებულია ცენტრიდანო" (იხ. იქვე, ფურც. 10). რა არის ეს, თუ არა ავანტიურა?! ამ „ფილოსოფიაზეა" აგებული არა მარტო მ. ლაშქარაშვილის, დ. ვაჩნაძის, ალ. სულხანიშვილის მოგონებები და ავჯანყების მონაწილეთა ჩვენებები, არამედ ჩეკისტური ძიების დასკვნები, რომლებიც მისადაგებულია აგრეთვე ავჯანყების რიგი მოწინააღმდეგეების ბრალეულობებისადმი.

ისტორიკოსებისათვის, რომლებიც ისტორიის პროცესებში ბოლომდე ვერ გარკვეულან, ანტისაბჭოთა ექსტრემისტულ ბრძოლაში ავანტიურიზმის არსებობაზე მითითება იმდენად მიუღებელი და მტკივნეულია, რომ ისინი არც კი ცდილობენ გაერკვნენ რეალურ ისტორიაში, ისე აცხადებენ, გ. ციციშვილის აზრი არ ახალია, იგი ს. ორჯონიკიძის ნააზრევის გამეორებაა. მათ ვერ გაიგეს, რომ ს. ორჯონიკიძე და საბჭოთა იდეოლოგია ავანტიურისტებად აცხადებს არა მარტო ავჯანყების ორგანიზატორებს, არამედ, საერთოდ, ანტისაბჭოთა არალეგალური მოძრაობის წარმომადგენლებს და ავჯანყებების ყველა მონაწილეს, მათ შორის სამშობლოს დაუყოვნებლივი განთავისუფლე-

ბის შესაძლებლობაში შეცდომით დარწმუნებულ მებრძოლებს. ეს არის მათ მიერ შექმნილი ყალბი ისტორიის ალტერნატიულ წყაროებზე დაფუძნებული საწინააღმდეგო აზრის მოგერიების მეთოდი. ისტორია გვასწავლის, რომ ზოგჯერ მოწინააღმდეგე აზრის შესახებ უარესიც თქმულა. ჩვენ შემთხვევაში საქმე ისაა, რომ მავანთა მიერ ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობის შიდა ტენდენციების გაუგებრობამ გამოიწვია ს. ორჯონიკიძესთან ჩვენი დაკავშირება.

თავი VII

ემისარი ნ. ხომერიკი და ეროვნული მოძრაობის ექსტრემისტულ-ავანტიურისტული ხელმძღვანელობის გაძლიერების უშედეგო ცდები

ემიგრანტი ავტორების მოგონებებში ნ. ხომერიკის ღვაწლს ანტი-საბჭოთა ბრძოლაში არსებითი ხასიათის მნიშვნელობა არ ენიჭება. უფრო მეტიც, შ. ამირეჯიბის აზრით, „ნ. ხომერიკი სტამბოლიდან დაუფარავი მისიით წამოვიდა, რომ რადაც უნდა დასჯდომოდა ქ. ჩოლოყაშვილის მიერ შექმნილი მოძრაობის ლიკვიდაცია მოეხდინა. მიზეზი იყო ქაქუცას დიდი სახელი ხალხში". მის მიერ, გაზეთ „თაიმსის" პუბლიკაციის დამოწმებით, „შამილის შემდეგ კავკასიაში არა ყოფილა კაცი უფრო პოპულარული, ვიდრე ჩოლოყაშვილი" (იხ. შ. ამირეჯიბის დასახელებული წიგნი, გვ. 154-155). ნ. ხომერიკის თანამედროვე ედპ-ის თავმჯდომარისაგან განსხვავებით, თანამედროვე ისტორიკოსთა პუბლიკაციებში ნ. ხომერიკის საქართველოში ჩამოსვლის (1922 წ. ნოემბერი) და ეროვნული მოძრაობის ხელმძღვანელობაში ჩართვის პირველი პერიოდი (1923 წ. მარტამდე) შეცდომით გაგებულია როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი, მაღალი ეტაპის დასაწყისი. ამასთანავე, ნ. ხომერიკი შეცდომით გააზრებულია როგორც ეროვნული მოძრაობის საუკეთესო ხელმძღვანელი, იმთავითვე დიქტატორი და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამომაცოცხლებელი. ასე მაგალითად, ნ. კირთაძის წიგნის კვლევით ნაწილში ვკითხულობთ: „1922 წლის ნოემბერში ემიგრაციიდან დაბრუნდა ნ. ხომერიკი – ჟორდანიას ყოფილი მთავრობისა და მენშევიკური პარტიის ერთ-ერთი აქტიური წევრი. ჩამოვიდა იგი ჩვენთვის უკვე ცნობილი „საზღვარგარეთული ბიუროს" რწმუნებით. ჩამოვიდა და თითქოს (? – გ.ც.) კიდევაც გამოაღვიძა და კვლავ საბრძოლველად განაწყო ინდიფერენტული (? – გ.ც.) განწყობილებით მოცული პარტიულ-პოლიტიკური ცხოვრება. ისევ ამოძრავდა პარიტეტული სტრუქტურა – დამკომი... აქტიურად

ამუშავდა (? – გ.ც.) ახლად რეორგანიზებული „სამხედრო კომისია". ამ ახალი სტრუქტურის მთავარ მაგისტრატებად გამოცხადდნენ – თვითონ ნოე ხომერიკი (მენშევიკური პარტიისაგან) და მიხეილ ჯავახიშვილი (ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისაგან). **ამ ორი კაცის ხელში გადავიდა ფაქტობრივად მთელი შემდგომი სამზადისი ახალი აჯანყებისა** (? – გ.ც.)... სამხედრო კომისიის გააქტიურების ფონზე, „სამხედრო ცენტრი" ფაქტობრივად უმოქმედო და ფორმალური შეიქნა. ასე იქნება 1923 წლის მარტამდე, როცა მთელ „სამხედრო ცენტრს" უკლებლივ დააპატიმრებენ და დახვრეტენ.

სამხედრო კომისიაში ხომერიკმა, თავისთან ერთად, მიხეილ ჯავახიშვილი შეიყვანა..." (გვ. 135-136). „ნოე ხომერიკი, – როგორც შემდგომ თვითონ საპატიმრო აღიარებაში განაცხადებს – საქართველოში დაბრუნდა, რათა ემუშავა „არსებული წყობილების წინააღმდეგ – წყობილებისა, რომელიც საქართველოში გარე ძალთა მეშვეობით დამყარდა"

ჩამოსვლისთანავე (? – გ.ც.) მან საგანგებოდ მოწვეული პარიტეტული კომიტეტის სხდომაზე წაიკითხა მოხსენება, რომელშიც ჯერ **აღნიშნა საზღვარგარეთ მყოფი მთავრობის საქმიანობა – რომ ამ მთავრობის თავგამოდებული ღვაწლის წყალობით „შეიქმნა საქართველოს საკითხი ასე პოპულარული" მთელს მსოფლიოში** და ბოლოს, „დაასაბუთა", რომ – „თუ შევძელით საქართველოს აჯანყება და ერთი ორი თვეც გავუძელით, მაშინ არის იმედი დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა მხრივ დიპლომატიური ჩარევისა და ფულით დახმარებისა". ევროპის საზოგადოებრივი აზრი ჩვენს სასარგებლოდ არის განწყობილი, – განაგრძობს ხომერიკი – ამიტომ მუშაობა უნდა გავშალოთ და ყველაფერი ისე მოვამზადოთ, რომ საჭირო და ხელსაყრელ მომენტში იარაღით ხელში შევძლოთ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსვლა, „და განვაცხადოთ, რომ არსებობს ქართველი ხალხი, და ჩვენს გამოსვლას მხარს უჭერს ევროპა" (გვ. 135-136).

ამ საარქივო-დოკუმენტური პასაჟის შემდეგ ნ. კირთაძე წერს: **„ამ სიტყვების წარმოთქმის მეორე დღიდანვე ხომერიკი თითქმის ერთპიროვნული წინამძღოლი შეიქმნა ქართულ პარტიულ წრეებში** ახალი სააჯანყებო განწყობილებისა და მზადების საქმიანობაში. იგი თითქმის დამოუკიდებლად, როგორც ამბობდნენ „დიქტატორულად", ფლობდა და იყენებდა ყველაფერს; ბეჭდავდა და აქვეყნებდა, რაც

უნდოდა; კავშირებს ამყარებდა მაზრებთან, სოფლებთან; დამკომიც თითქოს (? – გ.ც.) საკუთარ აპარატად გაიხადა...“ (გვ. 136). ამის შემდეგ ამავე წიგნში ვკითხულობთ: „სამხედრო კომისიაში“ ხომერიკმა, თავისთან ერთად, მიხეილ ჯავახიშვილი შეიყვანა (? – გ.ც.); უკანასკნელი მალე ჩეკამ დააპატიმრა და მის ადგილზე გ. წინამძღვრიშვილი დაისვა ხომერიკმა...“ (გვ. 136).

ნ. კირთაძისეული მთელი ეს პასაჟი, ნ. ხომერიკის იმთავითვე „დიქტატორად გახდომის“, მისი „ქართული პარტიული წრეების წინამძღოლად შექმნის“ და, მ. ჯავახიშვილის გვერდში ამოყენების მიზნით, „სამხედრო კომისიაში“ მისი შეყვანის შესახებ ეყრდნობა გაუგებრობებს. არა და, ამ ამბების სწორად გაგებას პრინციპული მნიშვნელობა აქვს ეროვნული მოძრაობის მოცემული (1922 წ. ნოემბერი – 1923 წ. მარტი) და შემდგომი (1923–1924 აგვისტო) პერიოდის გაგებისათვის. ამიტომ საჭიროა გაირკვეს სიმართლე.

სიმართლე კი ასეთია: ჯერ ერთი – ავტორს ეს ამბები ციტირებული აქვს დოკუმენტიდან „საქმე საქართველოს ანტისაბჭოური პარიტეტული კომიტეტისა (დასკვნითი დადგენილება)“, არქივი №8 (რუსულ ენაზე), რომელიც მას მიაჩნია „მკვლევართაგან საგსებით ხელმიუწვდომელ წყაროთაგანად“ (იხ. მისი დასახელებული წიგნი, გვ. 8). სინამდვილეში იგი მკვლევრებისათვის ხელმიუწვდომელსა და ახალს არაფერს შეიცავს. ეს დოკუმენტი გამოყენებული აქვს მ. ხომერიკს ჯერ კიდევ 1992 წლის მარტში (იხ. მისი „Рукописи не горят“. გაზ. „Свободная Грузия“, 1992, 21 მარტი). ამავე წლის აგვისტო-სექტემბერში ამ დოკუმენტის ძირითადი შინაარსი და, მაშასადამე, ნ. კირთაძის მიერ მოტანილი ციტატებიც გამოაქვეყნა ვ. გურულმა (იხ. მისი „პარიტეტული კომიტეტის საქმე“, გაზ. „სამშობლო“, №34, 35, 36. აგვისტო-სექტემბერი). და ბოლოს, რაც მთავარია, ამ დოკუმენტზე დამყარებული და, ფაქტობრივად, მისი შინაარსის იდენტური პუბლიკაცია, როგორც ადრეც აღვნიშნეთ, უკვე 1925 წელს რუსულ-ქართულ ენებზე 60 ათასიანი ტირაჟით გამოქვეყნდა. ჩვენი აზრით, ყურადღება უნდა მიექცეს ჯერ კიდევ 1991 წელს გამოქვეყნებულ აკაკი და პაატა სურგულაძეების „საქართველოს ისტორიის საკითხავ წიგნში“ ჩამოყალიბებულ აზრს, რომელიც ნ. ხომერიკის საქართველოში ჩამოსვლის მნიშვნელობას ალტერნატიულად აფასებს. წიგნში სწორად არის ნათქვამი, რომ საქართველოში ნ. ხომერიკის გამოჩე-

ნამ „პარტიათა გათიშულობა უფრო გაამწვავა...“ (გვ. 253). ამ განცხადებას საფუძველი მართლაც ეძებნება.

მაშასადამე, ნ. ხომერიკის ამ საქმიანობას მკითხველი და მით უმეტეს სპეციალისტები დიდი ხანია კარგად იცნობენ. ეს არის ცნობილი ამბავი, რომელიც გადმოცემულია დოკუმენტურ ნარკვევში: „საქმე საქართველოს ანტისაბჭოთა პარტიების პარიტეტული კომიტეტის შესახებ (საბრალმდებლო დასკვნა). იუსტიციის სახალხო კომისარიატის გამოცემა“ (გვ. 19-22).

მეორე – ნ. კირთაძის წიგნში ვხედავთ მხოლოდ ციტირებებს. მაგრამ აქ არ ჩანს, რამდენად მართალია, რომ თითქოს ნ. ხომერიკმა ჩამოსვლისთანავე შეძლო მთელი ეროვნული მოძრაობის, მათ შორის ზომიერი, რადიკალური მიმდინარეობისა და ედპ-ის ცკ-ის უმრავლესობის და, კერძოდ, მ. ჯავახიშვილის აყოლიება თუ **„ერთპარტიული წინამძღოლობა“**, ჩამოსვლისთანავე და ჯერ კიდევ „სამხედრო ცენტრის“ დაპატიმრებამდე ანტისაბჭოთა არალეგალური მოძრაობის **„დიქტატორად“** გახდომა. არა და, ამას პრინციპული მნიშვნელობა აქვს, რადგან ნ. კირთაძის ნააზრევის მიხედვით, ისე გამოდის, თითქოს მ. ჯავახიშვილი მართლა სოლიდარულია ნ. ხომერიკისა. მაგრამ სინამდვილეში ასე არ არის. ზემოთ უკვე ვნახეთ, რომ „პარიტეტული კომიტეტი“, მასთან არსებული „სამხედრო ცენტრი“, ედპ-ის ცკ, მ. ჯავახიშვილი და სხვ. აქტიური მოქმედების შესაძლებლობას პრინციპულად უკავშირებდნენ ქვეყნის საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობის შესაძლო მკვეთრ ცვლილებას, ანუ რუსეთთან საერთაშორისო კაპიტალისტური ქვეყნების ომს ან რუსეთის შინაგან კრიზისს და კავკასიის ანტისაბჭოთა ძალთა ერთიანობის მიღწევას. ასეთი მდგომარეობა კი არამცთუ არ შექმნილა, არამედ, პირიქით, აღინიშნებოდა საბჭოთა კავშირის საშინაო და საერთაშორისო სტაბილიზაცია. ამიტომ შეცდომაა, რომ თითქოს მენშევიკმა ემისარმა ნ. ხომერიკმა საზღვარგარეთიდან ჩამოტანილი საეჭვო ინფორმაციით მართლაც შეძლო „დამკომის“ და, კერძოდ, ეროვნულ დემოკრატიული პარტიის ცკ-ის პრეზიდიუმის წევრის მიხეილ ჯავახიშვილის ან მისი კოლეგების იმდაგვარი დამუშავება, რომ ისინი „თავის“ ჭკუაზე დააყენა. როგორც ზემოთ ვნახეთ, ეროვნულ-დემოკრატების ძირითადი ნაწილი უკიდურეს მემარჯვენე ექსტრემისტულ მოქმედებას ებრძოდა და პრინციპულად მიუღებელ წინადადებებს არჩევდა საბჭოთა ხელისუფლებასთან თანაარსებობის გზების გამოძებნას. აქ

საჭირო ხდება მოვიხმოთ ამონარიდი მ. ჯავახიშვილის ერთი (ვითომ 1923 წლის 2 თებერვლის) ჩვენებიდან, სადაც წერია, რომ ეროვნულ-დემოკრატების ადრინდელი (1922 წ.) საერთო აზრით, „თუ გარედან დახმარების იმედი გადაგვეწურება, უფრო მისაღებად და სწორად მიგვაჩნია ვცნოთ საბჭოთა ხელისუფლება, ოღონდ საქართველოსათვის მაქსიმუმი უფლებები მოვიპოვოთო" (ნ. კირთაძის დასახელებული წიგნი, გვ. 249). ამ და სხვა მსგავსი ამბების ცოდნის გამო იმთავითვე საეჭვო ხდებოდა, რომ ნ. ხომერიკმა მართლაც ჩამოსვლისთანავე და ჯერ კიდევ „სამხედრო ცენტრის" დაპატიმრებამდე მთელი ეროვნული მოძრაობის ხელმძღვანელობა აიყოლია. მესამე – როგორც ნაწილობრივ ზემოთ უკვე ვნახეთ და დამატებით ქვემოთაც ვნახავთ, სათანადო წყაროებით დასტურდება, რომ ნ. კირთაძე იმეორებს აღნიშნული მდგომარეობის შეფასების იმ ჩეკისტურ ვერსიას, რომელიც სხვა, ალტერნატიული წყაროებით ბათილდება და ცხადი ხდება, რომ აღნიშნული ყალბი ვერსია ჩეკას შემოაქვს არა როგორც სიმართლის კონსტანტირება, არამედ როგორც ფალსიფიცირებული აზრი „სამხედრო ცენტრის" და მასთან დაკავშირებულ პირთა სიცოცხლის მოსპობის გასამართლებლად. ამის წარმოჩენა კი აუცილებელი ხდება, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ბოლომდე გაუგებარი დარჩება, თუ როგორ აღმოჩნდა მ. ჯავახიშვილი ნ. ხომერიკის სამხედრო კომისიაში და ჯერ კიდევ დაპატიმრებამდე რატომ გაემიჯნა მ. ჯავახიშვილი ნ. ხომერიკის ექსტრემისტული ტაქტიკის მიმდევრობას, ანუ რატომ არ აჰყვა იასონ ჯავახიშვილის რჩევას, კ. მისაბიშვილის „გამცემლობის" გამო, გადასულიყო იატაკქვეშეთში; რატომ გაიზიარა მ. ჯავახიშვილმა კ. მისაბიშვილის აზრი „სმენავეხური" გაზეთის გამოცემის, ასეთივე მიმდინარეობისათვის მხარდაჭერის და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლეგალიზაციის მიზანშეწონილობის შესახებ.

აღნიშნულ მდგომარეობათა გარკვევის გარეშე, ზოგის აზრით, ისე გამოდის, რომ თითქოს „სამხედრო კომისიის" წევრმა მ. ჯავახიშვილმა თავიდან იწამა ნ. ხომერიკის (ანუ მენშევიკების საზღვარგარეთული ცენტრის) აზრი შეიარაღებული აჯანყების მომზადების აუცილებლობის შესახებ, შემდეგ კი „მოღალატე" კ. მისაბიშვილთან (ნ. კირთაძე), ანუ ჩეკას ჯაშუშ კ. მისაბიშვილთან, ე.ი. ჩეკასთან (მ. ხომერიკი) ალიანსის გამო ნ. ხომერიკს უგანა. აქ საჭირო ხდება მ. ხო-

მერიკის მიერ მ. ჯავახიშვილის იმდროინდელი მოქმედების ინტერპრეტაციის შეხსენება და დაფიქსირება: მ. ხომერიკი წერს: „მისაბიშვილის გადმობირება ჩეკამ მისი დაპატიმრების დროს 1923 წლის დასაწყისში მოახერხა და ციხიდან გაანთავისუფლა სპეციალური დავალებით" (გვ. 10-11); „ჩვენ არ ვიცით, კ. მისაბიშვილმა მარტომ დაასმინა „სამხედრო ცენტრის" წევრები, თუ მას ამ საქმეში ვინმე „თანამოაზრე" (ე.ი. მ. ჯავახიშვილი – გ.ც.) ეხმარებოდა" (გვ. 14); „მისაბიშვილი მოკლეს, მ. ჯავახიშვილთან მისი საიდუმლო კავშირი არ გამჟღავნებულა" (გვ. 15) და სხვ. მაშასადამე, აღნიშნული ფორმალური ლოგიკით გამოდის, რომ თითქოს ჩეკამ კ. მისაბიშვილი პატიმრობაშივე გადაიბირა იმ მიზნით, რომ „სამხედრო ცენტრის" ჯაშუშ-გამცემლობა დაავალა. მ. ჯავახიშვილმა კ. მისაბიშვილის ეს ჩეკისტური დავალება იცოდა და იგი „სამხედრო კომისიაში" ამიტომაც შეიყვანა. კალემ „სამხედრო ცენტრი" დაღუპა ჩეკას დავალებით. მ. ჯავახიშვილიც ამ საქმესთან იყო დაკავშირებული. მ. ჯავახიშვილი კ. მისაბიშვილთან სოლიდარობას რომ ამჟღავნებდა, ეს იყო ჩეკისტური მიზანდასახულობა.

დაუკვირვებელი მკითხველი იკითხავს: მართლაც, თუ ჩეკისტური მისია არ ამოძრავებდა, მაშ, რატომ შევიდა მ. ჯავახიშვილი „დიქტატორ" ნ. ხომერიკის და მენშევიკების საზღვარგარეთული ცენტრის იდეის მიხედვით შექმნილ საავჯანყებო „სამხედრო კომისიაში" და რატომ ულალატა მას კ. მისაბიშვილთან საუბრის მერე?! ამას მით უმეტეს იფიქრებენ ნ. კირთაძის, განსაკუთრებით კი მ. ხომერიკის წიგნთა წამკითხველები.

სინამდვილეში საქმე სულ სხვაგვარად იყო:

1. პატიმართა ჩვენებების მიხედვით არ დასტურდება ნ. ხომერიკის ჩამოსვლისთანავე „ერთპარტიული წინამძღოლობა" და „დიქტატორობა". „საბრალმდებლო დასკვნის" გამოქვეყნებული ვარიანტიდან კარგად ჩანს, რომ ნ. კირთაძის მიერ ნ. ხომერიკის შესახებ გადმოცემული ჩეკისტური აზრი ეყრდნობა მენშევიკების ცკ-ის თავმჯდომარის სეით დევდარიანის და გვიანდელი „პარიტეტული კომიტეტის" სარედაქციო კომიტეტის წევრისა და მენშევიკების ცკ-ის პრეზიდიუმის წევრის დავით ონიაშვილის ჩვენებებს. ისინი დააპატიმრეს მას შემდეგ, რაც ნ. ხომერიკი უკვე ჩეკას იზოლიატორში იმყოფებოდა და თანაც ისინი ნ. ხომერიკის „დიქტატორობას" აღწერენ „სამხედრო ცენტრის" დაპატიმრების და მოსპობიდან დიდი ხნის შე-

მდგომ ამბებთან დაკავშირებით, ე.ი. როცა მენშევიკების პარტიაში უკვე დღის წესრიგში პრინციპულად დადგა საკითხი შეიარაღებული აჯანყების შესახებ (დ. ონიაშვილი), როცა უკვე ნ. ხომერიკმა „ყველაფერი თავის ხელში ჩაიგდო" და როცა „მინიჭებული ჰქონდა სრული ავტონომია" (ს. დევდარიანი) (იხ. გვ. 21). როდის მოხდა ეს?

2. „საბრალმდებლო დასკვნა" იძლევა ცალსახა პასუხს: „პარიტეტულმა კომიტეტმა, **ჩაშლის შემდეგ** (! – გ.ც.) რომ ცოტაოდნავ სული მოითქვა, 1923 წლის **ივლისში** ხელახლად (? – გ.ც.) დაადგინა შეიარაღებული აჯანყების მომზადების დაწყება. **ამ მომენტიდან ნახევარი წლის განმავლობაში ხომერიკი არის პარიტეტული კომიტეტის სრული დიქტატურა** (! – გ.ც.). ამას გარდა იგი პარიტეტში სამხედრო მუშაობასთან ერთად მენშევიკების ცეკ-თან არსებულ საორგანიზაციო კომისიის თავმჯდომარე არის **და აერთიანებს პარტიის სამხედრო და საორგანიზაციო მუშაობას"** (! – გ.ც. იხ. გვ 22). მაშასადამე, ტყუილია აზრი იმის შესახებ, რომ ნ. ხომერიკი საქართველოში ჩამოსვლისთანავე, თუ „მეორე დღიდანვე" „თითქმის ერთპიროვნული წინამძღოლი შეიქმნა ქართულ პარტიულ წრეებში". ის, რომ ნ. ხომერიკი ჯერ კიდევ „სამხედრო ცენტრის" დაპატიმრებამდე მართლაც გამოვიდა თავისი ავანტიურისტული იდეით „პარიტეტული კომიტეტის ერთ-ერთ უახლოეს (! – გ.ც.) სხდომაზე" და მენშევიკების ცკ-ის სხდომაზე, სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ მან უკვე ამ დროს მოიპოვა „დიქტატორობა" და მ. ჯავახიშვილის და სხვათა თანადგომა. ამ დროს „დიქტატორული" მდგომარეობა ნ. ხომერიკს ჯერ არც მენშევიკურ ცკ-ში ჰქონდა მოპოვებული. ამას ნათლად მოწმობს ის საიდუმლო წერილები, რომლებიც თარიღდებიან 1923 წლის იანვრით და რომლებიც ნ. ხომერიკს ამოუღეს დაპატიმრების დროს. ერთ-ერთი მათგანია დაშიფრული წერილი, რომელიც შალიკომ (ვ. თევზაიამ) გააგზავნა „ძმაო ვალტერ", თუ „ძმაო ვალესთან" (ანუ ნოე ხომერიკთან) და რომელიც ხელში ბერიას ჩაუვარდა. მასში წერია: „მართალია, რომ პარტია რუსულ ორიენტაციაზე დგება და ცდილობს ლეგალიზაციას? პასუხი: ჩვენ არა ვართ ლეგალიზაციის წინააღმდეგი, ჩვენი აღიარების საფუძველზე (ს. დევდარიან-ვ. თევზაიას ხაზი – გ.ც.). ხელისუფლება ამ საფუძველზე ლეგალიზაციას არ დაუშვებს, რაც მტკიცდება გადასახლებებით. არ ვცვლით ორიენტაციას. მხარს უჭერთ ქართულ ორიენტაციას" (სუკის არქივი,

№2105, ფ. 40). აქედან ჩანს, რომ მენშევიკების იმდროინდელ ცკ-ს ჯერ კიდევ არ შეუმუშავებია აჯანყების გეზი და გარკვეული მოდუსით ხელისუფლებასთან თანამშრომლობაზეც თანახმაა. მაგრამ რაკი ხელისუფლება თავის მხრივ კომპრომისზე წამოსვლას არ აპირებს, ცკ აგრძელებს არალეგალურ მუშაობას. სხვა, იმდროინდელი მათი მიმოწერიდან, რომელსაც ასევე ბერია აკონტროლებს, ჩანს, რომ ნ. ხომერიკი კი არ მბრძანებლობს, არამედ ვ. თევზაიასთან თანამშრომლობს ორგანიზაციული საქმეების მოგვარებაში. მას ანდობს პერიფერიებიდან ჩამოსულებსა და ამხანაგ „კოჩისთან" შეხვედრას (იქვე, ფ.40). კ. მისაბიშვილის მოკვლამდე (1.IV.1923) ერთი თვით ადრე, ე.ი. სამხედრო ცენტრის დაპატიმრების წინ გაარკვიეს, რომ მარკოზ მხიტაროვს, რომელსაც მენშევიკების ცენტრალურ კომიტეტში დიდი ნდობით ეპყრობოდნენ, ბერიასთან მიჰქონდა ცნობები და მოჰკლეს (ნ. კირთაძის დასახელებული წიგნი, გვ. 311). მ. კოღუაშვილმა უჩვენა, რომ „ყველა ამ ამბებმა თავზარი დასცა ბიქტორ თევზაიას, ერთ თვალსაჩინო წევრს ცენტრალური კომიტეტისას და კიდეც გავარდა ცეკიდან" (იქვე, გვ. 311). მაშასადამე, აქამდე, ანუ „სამხედრო კომისიის" დაპატიმრებამდე, ნ. ხომერიკი არც მენშევიკებშია „ერთპიროვნული წინამძღოლი" და „დიქტატორი".

3. ნ. ხომერიკმა „სამხედრო ცენტრის" და, კერძოდ, მ. ჯავახიშვილის დაპატიმრებამდე მიიმხრო მხოლოდ მენშევიკების ცკ-ის ზოგიერთი წევრი, მათ შორის გოგიტა ფაღავა, და აღაფრთოვანა სხვა პარტიის მხოლოდ ზოგი ექსტრემისტული ტაქტიკის მიმდევარი, მათ შორის მემარჯვენე ფედერალისტური პარტიის ყოფილი წევრი მ. კოღუაშვილი.

პარიტეტული კომიტეტის წევრმა დ. ონიაშვილმა 1924 წლის 15 სექტემბრის ჩვენებაში აღნიშნა, რომ „საქართველოს საკითხი დასავლეთ ევროპის დღის წესრიგში დგას, საქართველო ირიცხება ერთა ლიგაში (? – გ.ც.), რომ ევროპის საერთო აზრი საქართველოს სასარგებლოდ არის განწყობილი." ამ სიყალბის შემდეგ დ. ონიაშვილი საკუთრივ დასძენს: „ამრიგად შეიარაღებული გამოსვლის საკითხი პირველად დადგა **ჩვენს პარტიაში** საზღვარგარეთის ბიუროს დავალებით ნ. ხომერიკის ჩამოსვლისას. **მაგრამ შეიარაღებული აჯანყების საკითხი კონკრეტულად მაშინ მაინც არ იდგა**" (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 2, ს. 40, ფ. 205, ხაზგასმა ჩვენია – გ.ც.).

ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა ნ. კირთაძის წიგნში შეტანილი ერთი დოკუმენტი – „სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის არქივიდან დადგენილება“, რომელშიც ნათქვამია, რომ მენშევიკების ცკ-ის წევრებიდანაც კი „ხომერიკის მარჯვენა ხელია გოგიტა ფაღავა, რომელიც აკურატულად ასრულებდა ხომერიკის ყველა დავალებას და არასოდეს ეწინააღმდეგებოდა“ (იხ. გვ. 393). მეორე წყაროა ციხიდან ახლად გამოშვებული ფედერალისტის, 1923 წლის იანვრის შუა რიცხვებში მენშევიკების მიერ გადაბირებული და ცნობილ ტერორისტად გამოზრდილი მ. კოღუაშვილის ჩვენების სათანადო ამონარიდი. „ვინახულე არალეგალური ცენტრალური კომიტეტის (მენშევიკების – გ.ც.) წევრები. მათ მითხრეს: „მოხდა საქართველოს დამოუკიდებლობის ნიადაგზე მდგომი პარტიების სრული შეთანხმება, დაარსდა დამოუკიდებლობის კომიტეტი (ალბათ „სამხედრო კომისია“ – გ.ც.) და შენც ამიტომ ჩვენთან უნდა იმუშაო, სრულს ჩვენს განკარგულებაში უნდა იყო... იმ აზრმა, რომ ჩვენი მუშაობა საქართველოს დამოუკიდებლობას მოუტანს, ნოე ხომერიკის საზღვარგარეთიდან ჩამოსვლის თხრობამ, აგრეთვე ყველა პარტიების ხელშეკრულების აქტის ჩვენებამ და დამოუკიდებლობის კომიტეტის დაარსებამ ჩემზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინეს და მაშინათვე დავთანხმდი. თან დავსძინე: „მე კალმის კაცი არა ვარ და ისე ჩემი სიცოცხლე რისთვისაც დაგჭირდეთ შეიწირეთ“. **ამ დროს სოციალ-ფედერალისტთა მთავარმა კომიტეტმა** (ანუ არალეგალურმა რადიკალებმა – გ.ც.) **მაცნობა, რომ მთავარი კომიტეტის უსანქციოთ არც ერთი ნაბიჯი არ გადამედგა, რომელსაც მე შემდეგში არ დავემორჩილე“** (! – გ.ც.). ეს გადაწყვეტილება მ. კოღუაშვილს და ბევრ სხვას 1924 წელს მწარედ სანანებელი გაუხდა (ნ. კირთაძე, დასახელებული წიგნი, გვ. 317-318). აქედან ჩანს, „ნ. ხომერიკის ხაზის“ მიმართ ყველა პარტია თანაბარ ერთსულოვან დამოკიდებულებას არ ამჟღავნებდა. ამის შესახებ ქვემოთ გვექნება დამატებითი საუბარი, ანუ მაშინ, როცა შევეხებით მენშევიკური პარტიის ე.წ. თვითლიკვიდაციას, რაშიც ნ. ხომერიკმა და ექსტრემისტების საქმიანობამ თავისი არცთუ უმნიშვნელო როლი შეასრულა. აქ კი აღსანიშნავია, რომ ახალმა გეზმა და საზღვარგარეთული მთავრობისადმი ნდობამ ნ. ხომერიკს თანდათანობით თანამოაზრე-თანამებრძოლები შესძინა. მაგრამ ეს ძირითადად მოხდა „სამხედრო ცენტრის“ დახვრეტის შემდეგ და თანაც ესენი იყვნენ არა მ. ჯავახიშვილის მსგავსი დინჯი და გონიერი, არა-

მედ ფიცხი და აჩქარებული პოლიტიკოსები. როგორც ჩეკას არქივის ინფორმაციიდან ჩანს, საზღვარგარეთიდან ჩამოსვლის შემდეგ ნ. ხომერიკმა თანდათანობით **ხელში აიყვანა სოციალ დემოკრატების** ცკ (! – გ.ც.). მის იმდროინდელ მეთაურს სეიდ დევდარიანს, პრინციპულ საკითხებში შეუთავსებლობის გამო, ნაკლებ ყურადღებას აქცევდა. ძირითადად ეყრდნობოდა გოგიტა ფაღავას და არა ვიქტორ თევზაიას, იოსებ ცინცაძეს, ს. დევდარიანს. გოგიტა ფაღავა ხელმძღვანელობდა მენშევიკების ცკ-ის ტერორისტულ საქმიანობას. თავიდანვე მან შეძლო მ. კოღუაშვილის მსგავსი ახალგაზრდების მიმხრობა, მაგრამ არა დინჯი პოლიტიკოსებისა. ნ. ხომერიკთან ერთად დაპატიმრებული ყოფილი მენშევიკი ხმალაძის ჩვენების მიხედვით, მან არა ერთი და ორი დავალება მიიღო ცკ-ისაგან და პირადად ხომერიკისაგან პასუხისმგებელ კომუნისტებზე ტერორისტული აქტების მოწყობის, ექსპროპრიაციის ჩატარების, სარკინიგზო ავარიების მოწყობის, ბანდების ორგანიზების და სხვ. შესახებ. ამავე ჩვენებიდან ირკვევა, რომ ნ. ხომერიკმა 1923 წლის 1 იანვარს მიიღო პარტიის საზღვარგარეთული ცკ-ის დაშიფრული განკარგულება იმავე წლის **შემოდგომაზე** (! – გ.ც.) შეიარაღებული გამოსვლების მოწყობის წინადადებით (სუკის არქივი, №2105, ფ. 68/2). როგორც ჩანს, საზღვარგარეთიდან მიღებულ ამ დირექტივას უკავშირდება ახალი „სამხედრო კომისიის" შექმნა და განახლებული „გაერთიანებული სამხედრო ცენტრის" ორგანიზება, ტერორისტული ბრძოლა ხელისუფლების წარმომადგენელთა და მოწინააღმდეგე აზრის წარმომადგენელთა მიმართ, აგრეთვე ფართო მოსამზადებელი სამუშაოები, რომლებიც ითვალისწინებდნენ პერიფერიებთან აქტიური კავშირის დამყარებას. მაგრამ ეს იყო მ. ჯავახიშვილის დაპატიმრების, კ. მისაბიშვილის მკვლელობის და სამხედროების დახვრეტის შემდეგ.

4. ვ. წულუკიძის 1923 წლის ჩვენებაში ნათქვამია: „1923 წლის იანვრამდე არავითარი ორგანიზაციული მუშაობა ცენტრს არ ჩაუტარებია. იანვრის შუა რიცხვებში პარიტეტულმა კომიტეტმა გადმოგვცა ჩაგვეტარებინა ხელმძღვანელ პირთა აღრიცხვა, ტყვიამფრქვევების, კავალერიის, მესანგრეების და სხვა იარაღის რაოდენობის აღრიცხვა" (სუკის არქივი, №28082, ფ. 67).

მოტანილი წყაროებიდან ჩანს, რომ ნ. ხომერიკმა, საზღვარგარეთული ცენტრის დირექტივების თანახმად, 1923 წლის იანვრის შუა რიცხვებიდან მუშაობის ახლებურად ორგანიზება წამოიწყო და

მიზნად დაისახა აჯანყების პრაქტიკული ორგანიზება, მაგრამ ეს იმას ჯერ კიდევ არ ნიშნავდა, რომ ამ მხრივ უკვე მარტამდე ქმედითი შედეგი მოიპოვა. ასეთი რამ არ ყოფილა. ამის მიზეზი იყო, ერთი მხრივ, მანამდე არნახული სახელმწიფოებრივ-ჩეკისტური დევნა, რომელიც სულ უფრო გაცხოველებულ ხასიათს იძენდა, ხოლო მეორე მხრივ ის, რომ ახალი აჯანყების პრაქტიკულ ორგანიზების ტაქტიკას 1923 წლის მარტამდე, ანუ „სამხედრო ცენტრის" დაპატიმრებამდე მხარს არ უჭერდა ძველი ტაქტიკის მიმდევრების დიდი უმრავლესობა, რაც ძირითადად იმით აიხსნება, რომ აჯანყების პრაქტიკული ორგანიზების სამუშაოებს სტიმულს არ უქმნიდა არც რეალურად არსებული ვითარება და არც ხილული პერსპექტივა. ამდენად, იგი გამოხატავდა საზღვარგარეთული მენშევიკური ცენტრის და მისი ემისრის ნ. ხომერიკის ავანტიურისტულ მეცადინეობას. ამის გამო იყო, რომ გენერალ ვარდენ წულუკიძეს და გენერალ კოტე აფხაზს ნ. ხომერიკის მიერ განახლებულ „გაერთიანებულ სამხედრო ცენტრში" ახალი ფუნქცია არ შეუსრულებიათ. კ. აფხაზის ჩვენებაში ვკითხულობთ: „ცენტრალური კომიტეტის ერთ სხდომაზე (1923წ. – გ.ც.) იანვარში (სხვა წყაროს მიხედვით 1922წ. დეკემბერში – აფხაზის უთარიღო ჩვენება – გ.ც.) ი. ჯავახოვმა გვაცნობა, ინტერპარტიულმა ბიურომ („დამკომმა" – გ.ც.) გაერთიანებული სამხედრო ცენტრი გამოყო და მის შემადგენლობაში ეროვნულ დემოკრატთა პარტიიდან ერთი წარმომადგენელი უნდა შევიდესო. მაგრამ აგრეთვე დასძენდა: „გაერთიანებული სამხედრო ცენტრის არც ერთჯერ დავსწრებივარ და მთლიანი მისი შემადგენლობა არ ვიცი. ვიცი, რომ მასში ვარდენ წულუკიძე შედიოდა" (სუკის არქივი, №24367, ფ. 42/2). ვ. წულუკიძემ კი უჩვენა, რომ პარიტეტული კომიტეტის დავალებაზე ხელმძღვანელ პირთა და იარაღის აღრიცხვის შესახებ „პასუხი არ მიუღიათ", რადგან „ცალკე საქართველოში გამოსვლის მომხრე არ იყვნენ პარიტეტში და ცენტრში. გამოსვლისათვის ხელსაყრელ მომენტს ნაკლებ ვიმედოვნებდით. ცენტრი ბანდიტური გამოსვლების სასტიკი წინააღმდეგი იყო. **პარიტეტულმა კომიტეტმა დაგვიდასტურა სოლიდარობა – ზომებს ვიღებდით ცალკე გამოსვლების წინააღმდეგ. სამხედრო ნაწილებთან კავშირის სურვილი იყო, მაგრამ არ გატარებულა** (! – გ.ც.), მოვერიდეთ წითელარმიელთა ხელმძღვანელი შემადგენლობის ფათერაკს. არ გვქონდა კავშირი არც მეთაურთან, არც ოფიცრებთან. კარგად ვიცნობ თუხარელს, მაგრამ

მასაც არ დავკავშირებივარ“ (სუკის არქივი, №28082, ფ. 67-68). აღნიშნულ მიზეზთა გამო, არც „სამხედრო კომისიის“ ე.წ. ეროვნულ დემოკრატ „მაგისტრატს“ – მ. ჯავახიშვილს – გამოუჩენია ინიციატივა. მას, ისევე როგორც მის მიერ „სამხედრო კომისიაში“ შეყვანილ კ. მისაბიშვილს და მრავალ სხვას, ავჯანყების პრაქტიკული ორგანიზების მიზანშეწონილობა შექმნილ სიტუაციაში გამორიცხული ჰქონდა იმიტომ, რომ ეს იყო რეალურ ვითარებაში ღრმად ჩაუხედავი, ფიცხი ხალხის ექსტრემისტულ-ავანტიურისტული მისწრაფება, რომელიც ამ ახალ სიტუაციაში იყო ადვილად მისახვედრი ავანტიურა. ასე რომ, „სამხედრო ცენტრის“ დაპატიმრებამდე ნ. ხომერიკის კომისიას არსებითად არაფერი გაუკეთებია, ავანტიურისტული ნაბიჯებით კი ზომიერ არალეგალურ რადიკალურ მიმდინარეობაში შეშფოთება და განხეთქილება შეიტანა, რადგან უცვლელი ობიექტური პირობების დროს ძალაზე ორიენტირებას ბევრმა მხარი არ დაუჭირა. ამას დამატებით მოწმობს ნ. კირთაძის მიერ გამოქვეყნებული არაერთი დოკუმენტი, რომლებიც ადასტურებენ, რომ ავჯანყების პრაქტიკული ორგანიზების საკითხი დადგა მხოლოდ და მხოლოდ „სამხედრო ცენტრის“ წევრთა და მათთან დაკავშირებულ სამხედრო პირთა დახვრეტის შემდგომ, რაზეც გავლენას ახდენდა აგრეთვე დახვრეტილთა გამო შურისძიების სურვილი. ამას ს. ზალდასტანიშვილის მოგონებანიც ადასტურებს. „სამხედრო ცენტრის“ მაგიერად „დამკომთან“ დაარსდა „სამხედრო კომისია“, – წერს იგი და მის შემადგენლობაში ასახელებს: კ. ანდრონიკაშვილს, ი. ჯავახიშვილს, გ. ფაღავას, ვ. ნოდიას, გ. წინამძღვრიშვილს და საკუთარ თავს (იხ. გვ. 18). ეს არის „სამხედრო კომისიის“ ის შემადგენლობა, რომელიც მ. ჯავახიშვილის დაპატიმრების შემდეგ შეიქმნა და, როგორც ვხედავთ, აქ ვითომ „დიქტატორი“ ნ. ხომერიკი არც კი მოიხსენიება.

5. მ. ჯავახიშვილი მ. კოღუაშვილის მსგავსი პოლიტიკოსი როდი იყო, რომ ნ. ხომერიკს მისი „აღმაფრთოვანებელი“, პროპაგანდისტული სიტყვების გამო ფანატიკურად მიჰყოლოდა. ასეთი ეროვნულ-დემოკრატების ცკ-ში იშვიათად თუ ვინმე იყო. არც ის არის სწორი, თითქოს ნ. ხომერიკმა „შეიყვანა“ „სამხედრო კომისიაში“ მ. ჯავახიშვილი (ნ. კირთაძე). „საბრალმდებო დასკვნაში“ ვკითხულობთ: „უწინარეს ყოვლისა მენშევიკებმა შეიტანეს წინადადება პარიტეტულ კომიტეტთან სპეციალური სამხედრო კომისიის შექმნის შესახებ, რომელიც პოლიტიკურ ხელმძღვანელობას გაუწევდა „სამხედრო ცენტრს“. ეს

კომისია შექმნეს (! – გ.ც.) ხომერიკის (მენშევიკებიდან) და მიხეილ ჯავახიშვილის (ეროვნულ-დემოკრატებიდან) შემადგენლობით" (გვ. 20). საიდან მოვიდა აზრი იმის შესახებ, რომ იმთავითვე ნ. ხომერიკის ჭკუაზე იყო „სამხედრო კომისიის" შემადგენლობა განსაზღვრული და რომ მის ჭკუაზე დადიოდა ეროვნულ დემოკრატების ცკ და კერძოდ მისი პრეზიდიუმის ყველაზე ჭკვიანი და დინჯი პოლიტიკოსი მ. ჯავახიშვილი?! წყაროები ნათლად ღაღადებენ, რომ ყველა არალეგალურ პარიტეტულ ცენტრში, მათ შორის „დამკომში", „სამხედრო ცენტრში", „გაერთიანებულ სამხედრო ცენტრში" წარმომადგენელთა გაგზავნის საკითხს ნ. ხომერიკი კი არ წყვეტდა, არამედ იგი ცალკეული არალეგალური პარტიების ხელმძღვანელ ცენტრში იხილებოდა. მათში შესვლაც და გამოსვლაც ამ თითოეული ცენტრის პრინციპულ ორგანიზაციულ საკითხს წარმოადგენდა და პიროვნებათა, ცალკეულ ავტორთა მიერ გაზვიადებულად დასახული, ნ. ხომერიკის მსგავსი „ავტორიტეტების" მიერ არ წყდებოდა. მაგალითად, ნ. ქარცივაძის 1924 წლის 4 აპრილის ჩვენებიდან ნათლად ჩანს, რომ „დამოუკიდებლობის კომიტეტში წარმომადგენლის დანიშვნის წესს ყოველი პარტია თვითონ გამოიმუშავებდა". ნ. ქარცივაძე წერს: „როგორც ვიცი, ეს წესი სხვადასხვა პარტიას სხვადასხვანაირი ქონდა: ზოგიერთი პარტია ამას ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე მოწყობილი ფარული კენჭისყრით აკეთებდა, ასე რომ ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარეს შეეძლო ცოდნოდა, თუ ვინ იყო არჩეული. სხვები პრეზიდიუმის მეშვეობით გაატარებდნენ დანიშვნას" (ნ. კირთაძის დასახელებული წიგნი, გვ. 90). მემარჯვენე ფედერალისტების მთავარი კომიტეტის თავმჯდომარემ გრ. რცხილაძემ უჩვენა, რომ როდესაც იგი „პარიტეტული კომიტეტის" თავმჯდომარის ნ. ქარცივაძის მიერ აჯანყების ვადის განსაზღვრას არ დაეთანხმა, პრინციპულად დაუპირისპირდა მას, შემდეგ მან ეს საკითხი თავისი პარტიის ხელმძღვანელი ცენტრის წინაშე დააყენა. უფრო მეტიც, იძულებული გახდა დამორჩილებოდა ფედერალისტების ცენტრის აზრს. „შექმნილი უთანხმოება ვაცნობე ჩემს პარტიულ ამხანაგებს, – წერს გრ. რცხილაძე – მათ მთლიანად გაიზიარეს ჩემი შეხედულება, მაგრამ უფრო მიზანშეწონილად ცნეს არ გადაექციათ ეს უთანხმოება ძირეულ კონფლიქტად, განეგრძოთ დამოუკიდებლობის კომიტეტში მონაწილეობა იმ ვარაუდით, რომ სინამდვილეში შეძლებისამებრ თავიდან აგვერიდებინა შეიარაღებული აჯანყება, გამოსვლა საბჭოთა

ხელისუფლების წინააღმდეგ" (ნ. კირთაძის დასახელებული წიგნი, გვ. 286). გრ. რცხილაძე წერს: „პირადად მე ყოველთვის სკეპტიციზმით ვუყურებდი ევროპიდან დახმარებას და არ მწამდა რეალური შედეგები ევროპის სოციალიზმის მორალური ზეგავლენისა საქართველოს ამბებზე" (იქვე, გვ. 285). იგი იმასაც წერს, რომ „არსებობის პირველი პერიოდი (ე.ი. 1923 წ. მარტის დაპატიმრებებამდე — გ.ც.) დამოუკიდებლობის კომიტეტმა ისე გაატარა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის საშუალების პერსპექტივა არა ჰქონია" (იქვე, გვ. 285). როგორ დავიჯეროთ, რომ ეს მდგომარეობა შეუნიშნავი დარჩათ ეროვნულ-დემოკრატებს და, კერძოდ, მ. ჯავახიშვილს. არა, ასეთი რამ არა ყოფილა. პირიქით, მ. ჯავახიშვილმა, კ. მისაბიშვილმა და მრავალმა სხვამ სწორად განჭვრიტეს ნ. ხომერიკის და მისი მხარდამჭერების სუბიექტივისტური ვარაუდები, აგრეთვე საზღვარგარეთული მენშევიკური ხელმძღვანელობის ექსტრემისტული მიზნების განხორციელების უდროობა. მათ დაინახეს, რომ საბჭოთა კავშირის იმდროინდელი საერთაშორისო და საშინაო ვითარებაში ქართველი ხალხის აჯანყებისათვის დარაზმვას აუცილებლად მოჰყვებოდა დიდი ეროვნული უბედურება. მათ ისიც გაიაზრეს, რომ საქართველოში ამ დროისათვის არსებული ჩეკისტური დევნით შექმნილ „საგანგებო" ვითარებაში საჭირო იყო პარტიის ლეგალიზაცია, ანუ „ჩაყოლა", რადგან უკვე რეალურად მოიხაზა ჩეკას მიერ მათი „ჩათრევის" კონტურები. არა და, ამ დროს არ ჩანდა აჯანყების წარმატებით განხორციელების არავითარი იმედი. ამიტომ სავსებით ლოგიკური და სწორი იყო ჩეკას მხრივ იძულებითი ზემოქმედების გამო „სმენავეხელობასა" და პარტიის ლეგალიზაციაზე ორიენტირება. მაშასადამე, მ. ჯავახიშვილი „სამხედრო კომისიაში" ედპ-ის ცკ-მა იმიტომ წარადგინა, რომ იგი, ისე როგორც „სამხედრო ცენტრის" ბრძენი სპეციალისტები, ყოველთვის წინააღმდეგი იყო აჯანყების პრაქტიკული ორგანიზებისა. ე.ი. ამით ედპ-ის ცკ-მა ნ. ხომერიკს იმთავითვე შეუქმნა ავანტიურისტული მოქმედების დამუხრუჭების მექანიზმი.

მ. ხომერიკს, მ. ჯავახიშვილის ბიოგრაფებისათვის ნიშნის მოგების მიზნით, თავის წიგნში მოაქვს ვრცელი ამონარიდი მ. ჯავახიშვილის ჩვენებიდან, რომლითაც ცდილობს ისე წარმოაჩინოს, რომ თითქოს მან ნ. ხომერიკი „დაასმინა." სინამდვილეში ეს ამონარიდი სულ სხვას მეტყველებს. „ხომერიკთან ხანგრძლივი საუბრიდან მე გა-

მოვარკვიე, – წერს მ. ჯავახიშვილი, – რომ მთელი მისი გაგება (შეიარაღებული მომზადებისა) ემყარებოდა ანტანტის მხრიდან აქტიურ დახმარებას. მინდოდა რა უფრო ზუსტად გამეგო, არის თუ არა გარკვეული დაპირებები აქტიური დახმარების აღმოჩენის შესახებ რომელიმე სახელმწიფოს მხრიდან, მე მონათხრობის შესაბამისი კითხვა დავუსვი ხომერიკს. ამაზე ხომერიკმა თქვა „დახმარება იქნება" და თავისი სიტყვის გასამაგრებლად დაუმატა, რომ ახლო მომავალში ელოდებიან უცხოეთიდან „მაუზერის" სისტემის ათასი რევოლვერის მიღებას". ამ ფაქტის გამო მ. ხომერიკი წერს: „მ. ჯავახიშვილმა „სამხედრო კომისიის" წევრი და ფაქტობრივი ხელმძღვანელი ნოე ხომერიკიც დაასმინა, რომელიც მაშინ დაპატიმრებული არ იყო" (გვ. 17). ჯერ ერთი, მ. ჯავახიშვილი აქ კონკრეტულად დასმულ კითხვაზე იძლევა ჩვენებას, რაც არ ნიშნავს „დასმენას", მან არ იცის, რა ინფორმაციას ფლობს ძიება. ამიტომ სხვა გზა არა აქვს, თუ არა სიმართლის თქმა. მეორე, მ. ხომერიკს ის არ აინტერესებს, რომ აქედან ისიც ჩანს, რომ მ. ჯავახიშვილს, როგორც „სამხედრო კომისიის წევრს" და როგორც ედპ-ის ცკ-ის პრეზიდიუმის წევრს, ევალებოდა ნ. ხომერიკის გეგმებს კრიტიკულად მოჰკიდებოდა. ჩვენ კი ვხედავთ, რომ ნ. ხომერიკმა ამჯერადაც იცრუა. ცნობილი წყაროებით, საზღვარგარეთიდან ასეთი დაპირება და მით უმეტეს არც ასეთი დახმარება არ დასტურდება მაშინაც კი, როცა ხომერიკი 1923 წლის შემოდგომაზე საქართველოს ასაჯანყებლად პრაქტიკულ ღონისძიებებს უკვე მართლა ატარებდა. ამის დასტურია მისი ერთი მეტად საგულისხმო წერილი საზღვარგარეთის საჯანყებო ცენტრის მიმართ, რომელშიც აშკარად არის გამოთქმული გულისწყრომა იარაღით რეალური დახმარების და საერთაშორისო მხარდაჭერის მოუგვარებლობის გამო (სუკის არქივი, №2105, ფ. 28).

6. 1923 წლის მარტის დაპატიმრებების განხორციელებამდე და არც შემდეგ არ შექმნილა სიტუაცია, რომელიც მკვეთრად გააუარესებდა საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკურ ან საშინაო მდგომარეობას. გამოირიცხა ნავარაუდევი ქვეყნის დესტაბილიზაცია. კავკასიის ხალხთა ანტისაბჭოთა ერთობლივი გამოსვლების ორგანიზებისათვის 1923 წლის მარტამდე არსებითი მნიშვნელობის მქონე არც არაფერი გაკეთებულა და ამ მხრივ არც რეალური პერსპექტივა ჩანდა. ამიტომ ნ. ხომერიკმა 1923 წლის მარტამდე, ვიდრე ზომიერი

რადიკალები ეროვნულ მოძრაობაში დომინირებულ მდგომარეობას ქმნიდნენ, არსებითად ვერაფერი გააკეთა, არც „დიქტატორი“ გამხდარა და არც პარტიულ-პოლიტიკური ცხოვრება არ გამოუცოცხლებია. მან ასაზრდოვა მხოლოდ ექსტრემისტების ავანტიურისტული მისწრაფებები.

ისმება კითხვა – გონიერ პოლიტიკოსებს იმდროინდელ საქართველოში შეეძლოთ ნ. ხომერიკის ბრძოლის ტაქტიკის მხარდაჭერა? პასუხი მხოლოდ ცალსახა შეიძლება იყოს – არა. როგორც ნ. ქარცივაძის ჩვენებიდან ჩანს, მისი აზრის საწინააღმდეგოდ, „პარიტეტულმა კომიტეტმა“ მხარი არ დაუჭირა არც სტუდენტთა წმენდის საწინააღმდეგო აზრს და არც 25 თებერვლის საპროტესტო გამოსვლების ორგანიზებას. ე.ი. მარტამდე „პარიტეტული კომიტეტი“ ნ. ხომერიკის ტაქტიკის წინააღმდეგია. მაგრამ ამ ახალი სიტუაციის პირობებში, როგორც ვნახავთ, აუცილებელი უნდა გამხდარიყო სულ ახალი ტაქტიკის გამომუშავება და ძალთა შესაბამისი გადაჯგუფება. ასეთი ტაქტიკის შემუშავების აუცილებლობა მართლაც შეიქმნა 1923 წლის იანვარსა და მარტს შორის. მაგრამ ეს ახალი იმან გამოიწვია, რომ შეიქმნა დილემა – ან აჯანყება და ამისათვის არალეგალური მზადება, ან პარტიის ლეგალიზაცია და „სმენავეხური“ საქმიანობა. შესაბამისად მოხდა ანტისაბჭოთა ძალთა საქმიანობის ახალი სიტუაციისამებრ განსაზღვრა. ამის შესახებ ცალკე თავში, მას შემდეგ გვექნება საუბარი, როცა საბოლოოდ გავარკვევთ კითხვას: „და მაინც, ვინ გასცა „სამხედრო ცენტრი“?!

აღნიშნულ კითხვაზე ნ. კირთაძე, როგორც ადრე გავეცანით, ცალსახა მცდარ პასუხს იძლევა. როგორც აღვნიშნეთ, ამას იმეორებს ყველა ავტორი, ვინც კი „სამხედრო ცენტრის“ დაპატიმრება-მოსპობის საკითხს შედარებით ფართოდ ეხება. მაგრამ მ. ხომერიკმა, როგორც ზემოთ ითქვა, ამ მხრივ ახალი უსაფუძვლო აზრი განავითარა და, ფაქტობრივად, „მოღალატე“ კ. მისაბიშვილს გვერდში მისი თანამოაზრე მ. ჯავახიშვილი გაბედულად ამოუყენა. მან ამისათვის არაერთი მინიშნება ჩამოაყალიბა. მათ შორის ერთ-ერთი ის არის, რომ თითქოს მ. ჯავახიშვილის **„ინფორმაცია შეტანილია ჩეკას აგენტურულ მონაცემებში, რომლის საფუძველზეც ჩეკა იმუშავებდა რეალურ გეგმას ჭეშმარიტ (?! – გ.ც.) მამულიშვილთა წინააღმდეგ საბრძოლველად“** (გვ. 26). ეს უკვე სენსაციური განცხადებაა. მაგრამ ისევე ყალბია, როგორც დანარჩენი სხვა. ამის საილუსტრაციოდ სა-

ჭირო ხდება ამ განცხადების უსაფუძვლობის დამტკიცება, რაც ისტორიკოსთაგან და საერთოდ მკვლევრთაგან ჯერ არავის უტვირთია. ამის მიზეზი ბევრია და მათი გამოკიდება ძალიან შორს მიმავალ ფუჭ საქმედ გვესახება, რადგან არა გვგონია, რომ ამ სამწუხარო გლობალური მიზეზის გაცხადებით საქმე გამოსწორდება.

ჩვენი აზრით, უკეთესია გაირკვეს, რას ეურდნობა მ. ხომერიკი, რამდენად სწორად ეურდნობა და სად და რატომ სცდება?!

მ. ხომერიკი, ზემოაღნიშნული სენსაციური განცხადების საფუძვლიანობის დამტკიცების მიზნით, ისევ ნ. კირთაძეს ეურდნობა. თურმე „სუკის არქივში გრიფით – სრულიად საიდუმლოდ, მუდმივი შენახვის წესით დაცული იყო ერთი საქმე: „**მოხსენება „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის" საქმეზე აგენტურის მონაცემები**". თავისი ქვეყნის წარსულით დაინტერესებულ მკითხველს შესაძლებლობა მიეცა, ქ-ნი ნესტან კირთაძის მონოგრაფიის მეშვეობით, გაეცნოს ამ უსაიდუმლოეს დოკუმენტს..." (გვ. 25). მაშასადამე, მ. ხომერიკს მხედველობაში აქვს ჩვენს მიერ ზემოთ უკვე ნაწილობრივ გაანალიზებული დოკუმენტი, რომელიც დამახინჯებულად არის გაგებული ნ. კირთაძის მიერ ჯერ ერთი, ქსეროქსზე გადაღებული დოკუმენტის სატიტულო სახელწოდების რუსულიდან ქართულად თარგმნის დროს, მეორე, დოკუმენტის რუსული სახელწოდების ზემოთ და ქვემოთ მის მიერვე გაკეთებული უადგილო კომენტარების და მესამე, ამ დოკუმენტის ქართული თარგმანის სათაურში ტექსტის იმ პირველი ნაწილის სათაურის ატანის გამო, რომელიც მართლაც არის აგენტურის მონაცემების დასათაურება. მაგრამ აქ მ. ჯავახიშვილი ან რომელიმე სხვა პიროვნება საერთოდ არ არის ნახსენები (იხ. გვ. 330-332). როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ასეთი ქმედებით ნ. კირთაძეს ისე გამოუვიდა, თითქოს მთელი დოკუმენტი, მათ შორის დოკუმენტის მეორე ქვესაკითხი, რომლის სახელწოდებაა „პარიტეტული კომიტეტი" და სადაც მოტანილია ციტატები არა მარტო მ. ჯავახიშვილის, არამედ სხვათა (ნ. ქარცივაძე, ვ. წულუკიძე, კ. აფხაზი, რ. მუსხელოვი, ზანდუკელი) ჩვენებებიდან, აგრეთვე არის „...აგენტურის მონაცემები". ამავე დროს ჩვენ მივუთითეთ, რომ ეს ხარვეზი ადვილად შესამჩნევია ყურადღებიანი მკითხველისათვის, მაგრამ შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს დაუკვირვებელი მკითხველი. მ. ხომერიკი სწორედ ამ დოკუმენტს ჩაეჭიდა და იგი ერთდროულად გვევლინება დაკვირვებული და დაუკვირვებელი მკითხველის როლში. მ.

ხომერიკი იმეორებს ქსეროქსზე გადაღებული დოკუმენტის სატიტულო სათაურს, მის ზევით და ქვემოთ ჩამოყალიბებულ ნ. კირთაძის კომენტარებს და დასძენს: „დიდად სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ „აგენტურის მონაცემებში" (? – გ.ც.) რამდენჯერმე არის მოყვანილი მიხეილ ჯავახიშვილის **ჩვენებიდან** (!? – გ.ც.) აღებული ინფორმაცია". ამის ვითომ საილუსტრაციოდ მ. ხომერიკს მაგალითისათვის მოჰყავს ციტატები დოკუმენტის არა პირველი ნაწილიდან (ანუ „აგენტურული მონაცემებიდან"), სადაც არც არის ნახსენები ვინმე ან მ. ჯავახიშვილის კონკრეტული ჩვენების ამონარიდი, არამედ იმ ნაწილიდან, რომლის ქვესათაურია „პარიტეტული კომიტეტი". მაშასადამე, ამ ხერხით, მ. ხომერიკი ზემოთ ამბობს, რომ **მ. ჯავახიშვილის ინფორმაცია შეტანილია ჩეკას „აგენტურულ მონაცემებში"**. ქვემოთ კი დასძენს, რომ აგენტურის მონაცემებში შეტანილია ინფორმაცია მ. ჯავახიშვილის **„ჩვენებებიდან"**. სამწუხაროდ, ეს არის მიზნობრივი, წინასწარ განზრახული მოქმედება მკითხველის შეცდომაში შეყვანის მიზნით. სინამდვილეში „აგენტურულ მონაცემებში შეტანილი მ. ჯავახიშვილის ინფორმაცია" ჯერ არავის არ აღმოუჩენია. ნ. კირთაძემ ნებსით თუ უნებლიედ მხოლოდ შეცდომა დაუშვა. მ. ხომერიკი კი ამ შეცდომას ჩაეჭიდა. მ. ხომერიკი კარგად ხედავს ნ. კირთაძის მიერ დაშვებულ შეცდომას, იყენებს მას მ. ჯავახიშვილის „ბრალის" გაძლიერების მიზნით, მაგრამ ამასთანავე თავს იზღვევს, რომ, სპეციალობით ისტორიკოსი, არ აღმოჩნდეს დილეტანტის მდგომარეობაში და ქვემოთ იმასაც ამბობს, რომ ეს არის მ. ჯავახიშვილის ჩვენებიდან, მაგრამ მაინც ვითომ „აგენტურულ მონაცემებში" შეტანილი ინფორმაცია, „რომლის საფუძველზე ჩეკა იმუშავებდა რეალურ გეგმას ჭეშმარიტ მამულიშვილთა წინააღმდეგ საბრძოლველად." ე.ი. ისე გამოჰყავს, თითქოს ეს „ჩვენებებიდან" ამოწერილი მაინც არის „აგენტურულ-ინფორმატორული" დასმენები, მაშინ როცა რიგითი მკითხველისათვისაც კი ცნობილია, რომ ერთია ჩეკაში იძულებით გამოძალული „ჩვენებები" და მეორეა „აგენტურულ-ინფორმატორული" დასმენები, რომელსაც იძლევიან, ანუ ჩეკას აწვდიან შტატის აგენტები ან გადაბირებული ინფორმატორები, რომელთა ავტორები მართლაც ვერ იქნებიან „ჭეშმარიტი მამულიშვილები."

თუ რისთვის სჭირდება მ. ხომერიკს ასეთი ფანდები, ამის შესახებ ვგებულობთ მისი წიგნის 27-ე გვერდზე, სადაც წერია: „...არანაირი მასშტაბის მწერალი და არავითარი პროფესიის ადამიანი არ უნდა

ჩაებას პოლიტიკაში, თუ მოწოდებით პოლიტიკოსი არ არის. წინააღმდეგ შემთხვევაში, მის „პოლიტიკანობას" ისეთივე სავალალო შედეგები მოჰყვება, როგორიც მ. ჯავახიშვილის შემთხვევაში მოჰყვა, **ხოლო მეგობრებისა და სამშობლოს ინტერესების ღალატს (?! – გ.ც.) არ შეიძლება „წვრილმანი რამ" ეწოდოს.** რამდენად მოიგებდა საქართველო მ. ჯავახიშვილის პოლიტიკანობისა და მისი ჩვენებების გარეშე." ეს არის მ. ხომერიკის ყალბი დასკვნა-ეპილოგი, რომელიც ემყარება, ერთი მხრივ, 1921-1923 წლების ეროვნული მოძრაობის კონცეფციის და პრობლემური საკითხების იმ გაუგებრობებს, რომელიც წარმოჩენილია ნ. კირთაძის ნაშრომში და, მეორე მხრივ, მ. ხომერიკისავე წიგნის გაუმართლებელ მიზანდასახულობებს. მაგრამ გასარკვევია კიდევ ერთი კონკრეტული საკითხიც. რაში მდგომარეობს ნ. კირთაძის კონკრეტული შეცდომა, ანუ მ. ხომერიკის უსაფუძვლო განცხადების კონკრეტული საფუძველი.

ამის საილუსტრაციოდ საჭიროა დამატებით განვმარტოთ, რომ ნ. კირთაძის წიგნის 329-ე გვერდზე მოტანილია განსახილველი სრულიად „საიდუმლო დოკუმენტის" სატიტულო გვერდის ქსეროასლი: **Материалы** о «комитете независимости, военном центре и контрразведки, 1922/23 года» (! – გ.ც.). მას მაღლა წამძღვარებული აქვს ნ. კირთაძის კომენტარი: „სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის არქივში, მრავალთა შორის, გრიფით – სრულიად საიდუმლოდ, მუდმივი შენახვის წესით დაცული იყო კიდევ ერთი საქმე: მოხსენება „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის" საქმეზე აგენტურის მონაცემები" (?! – როგორც ვხედავთ, ქართული ნათარგმნი არ ემთხვევა რუსულ სატიტულო სათაურს – გ.ც.). დედნისეული დოკუმენტის ქსეროასლის სატიტულო ფურცლის ქვემოთ ნ. კირთაძე განმარტავს: „ქართველი პატრიოტები ამზადებენ აჯანყებას. საქჩეკას და ზაკჩეკას აგენტურა კი ყოველდღიურად მასალას აგროვებს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მცდელობის გასაწირად" (გვ. 329). წიგნის შემდგომ გვერდზე გადმოცემულია ზემოთ აღნიშნული დოკუმენტის ქართული თარგმანი, რომელსაც წიგნის 330-346 გვერდები ეთმობა. მისი საერთო სახელწოდება კი, წინა გვერდზე ქსეროქსირებული რუსული სათაურისაგან განსხვავებით, ისევ შეცდომით, ფორმულირებულია ასე: „მოხსენება „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის" საქმეზე აგენტურის მონაცემები" (გვ. 230). დოკუმენტის სხვა შემადგენელი ნაწილები წარმოჩენილია ტექსტის წინამავალი სი-

ტყვების გამოყოფილი სათაურებით: „პარიტეტული კომიტეტი...", „კონტრდაზვერვის აპარატი...", „მენშევიკთა და ეროვნულ დემოკრატთა პარტიების სამხედრო მუშაობა...", „მენშევიკები...", „ეროვნული დემოკრატები..."

დოკუმენტის სატიტულო რუსული გვერდის ზემოთ და ქვემოთ დართული ნ. კირთაძისეული კომენტარები და დოკუმენტის ქართული თარგმანის საერთო სათაურის სახელწოდების განსხვავებული ფორმულირება კი, სამწუხაროდ, ქმნის იმის ერთგვარ მცდარ შთაბეჭდილებას, თითქოს დოკუმენტის კონკრეტული ციტატები მთელი მისი შინაარსი და მათ შორის მ. ჯავახიშვილის ციტატები, მართლაც მთლიანად აგენტურულ მონაცემებზე იყოს დაფუძნებული. სათაურის ასეთი გაგება პრინციპულად ეწინააღმდეგება დოკუმენტის პირველი და სხვა შემადგენელი ნაწილების შინაარსს. ეს შინაარსი ნათლად ადასტურებს, რომ საერთო სათაურში ატანილი „აგენტურული მონაცემები" არის დოკუმენტის პირველი, დასაწყისი ნაწილის ისეთივე დასათაურება, როგორიცაა მომდევნო სხვა, ანუ ტექსტიდან გამოყოფილი სათაურები.

არ არის გამორიცხული, რომ ეს ნაწილობრივ მაინც ნ. კირთაძის კი არა, არამედ დოკუმენტის გადამბეჭდავის შეცდომა იყოს. მაგრამ ამ შემთხვევაშიც წიგნის ავტორს მოეთხოვებოდა ამის შემჩნევა და სათანადო კომენტარი, თუნდაც მკითხველის სწორად ორიენტირების მიზნით. ამ შემთხვევაში მ. ხომერიკსაც მოეშლებოდა უსაფუძვლო „საფუძველი" და აღარც ჩვენ დაგვჭირდებოდა ამის გამო ვრცელი საუბარი. ეს ვრცელი საუბარი კი იმისთვის დაგვჭირდა, რომ ნ. კირთაძისეული კომენტარები და დოკუმენტის არასწორად თარგმნილი საერთო სათაური გახდა მომდევნო, ამ ვითომ „აგენტურის მონაცემებით" მოსარგებლე ავტორის მ. ხომერიკის წიგნში არასწორი და წინასწარ აკვიატებული შემზარავი ინტერპრეტაციის საფუძველი.

როგორც ვნახეთ, ნ. კირთაძემ, ნებსით თუ უნებლიედ, ისტორიოგრაფიაში დაამკვიდრა ემისარი ნ. ხომერიკის საქმიანობის შეფასების ჩეკისტური ვერსია. მის მიხედვით, ნ. ხომერიკი არის ანტისაბჭოთა ქართულ ეროვნულ მოძრაობაში არა საზღვარგარეთული მენშევიკური ცენტრის ინტერესებიდან გამომდინარე ექსტრემისტულ-ავანტიურისტული მისწრაფებების მასტიმულირებელი და ეროვნულ მოძრაობაში შფოთის შემომტანი პიროვნება, არამედ ვითომ მთელი ქართული ეროვნული მოძრაობის ბელადი, მოძრაობის ახალ, მა-

ღალ დონეზე ამყვანი. ნ. ხომერიკის საქმიანობის გაზვიადების ფონზე, რეალისტი რადიკალების, მათ შორის კ. მისაბიშვილის, მ. ჯავახიშვილის და სხვ. მათ თანამოაზრეთა გონიერი შეხედულებები წარმოჩენილია როგორც ეროვნული მოძრაობის ახალი, „მაღალი" ეტაპისათვის მიუღებელი, საჩოთირო, მოღალატური ქმედება. ამ მიმართულებით ხდება ისტორიის წყაროების სავალალო კონცენტრირება. მაგრამ ნ. ხომერიკის ხაზი სინამდვილეში, როგორც ვნახავთ, იყო ავანტიურისტული. იგი ქართული ეროვნული მოძრაობისათვის აღმოჩნდა დამღუპველი. აქ აღსანიშნავი მაინც ის არის, რომ მთელი ეს შეცდომები არის არა დეტალი, არამედ პრობლემის მცდარი კონცეფციის საფუძველზე გააზრების შედეგი.

აქ საჭიროდ გვეჩვენება ერთი ჩვენთვის იძულებითი და ზოგისთვის აუცილებელი განმარტება: „ავანტიურიზმი", „ავანტიურა" გვესმის მისი ნამდვილი გაგებით და ასევე ვხმარობთ მას. უამრავი ლექსიკონის მიხედვით, იგი ნიშნავს „უპერსპექტივო, რეალური ძალებისა და პირობების გაუთვალისწინებლად... წამოწყებულ საქმეს", რომელიც არ გამორიცხავს ინიციატორთა მამულიშვილურ მიზანდასახულობას და პირად თავგანწირვას, ანუ გმირობას, მაგრამ არსებული რეალობის ყოველმხრივად გაუთვალისწინებლობის გამო, უცილოდ მოჰყვებოდა ხოლმე ეროვნული უბედურება. ასეთი ბანალური განმარტება იმიტომ დაგვჭირდა, რომ ადრე ჩვენს მიერ ქართველი ანტისაბჭოთა მამულიშვილების მიმართ ტერმინის – „ნაციონალისტების" ხმარებამ არაერთი სწავლულის გაუმართლებელი უკმაყოფილება გამოიწვია. არა და, საჭიროა მოვლენების და პიროვნებების ზუსტი შეფასება. წინააღმდეგ შემთხვევაში იქმნება კიდევ უფრო მეტი და პრინციპული ხასიათის გაუგებრობა.

ამის შემდეგ აზრი აქვს, ვიმსჯელოთ იმის შესახებ, ვინ გასცა „სამხედრო ცენტრი"? ანუ როგორ მომზადდა „სამხედრო ცენტრის" დაპატიმრება? და კიდევ უფრო ნათლად დავამტკიცოთ, რომ ამ ამბავთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა არც კ. მისაბიშვილს და მით უმეტეს არც მ. ჯავახიშვილს. და რომ ავტორთა მიერ მათი ტაქტიკის გაუგებრობა ნაწილობრივ გამოწვეულია ერთი მხრივ – ავტორთა მიერ წინასწარი, ხანგრძლივი ჩეკისტურ-დივერსიული მუშაობის უცოდინარობით, ხოლო მეორე მხრივ – მკვლევართა მიერ იმ „საგანგაშო დროს" აუხსნელობით და გაუგებრობით, რომელიც შეიქმნა 1923 წლის იანვარ-თებერვალში. მაშასადამე, მომდევნო თავებში შე-

საძლებლობა მოგვეცემა გავარკვიოთ, რომ „საგანგაშო დრომ“ არა მარტო შექმნა დილემა: ან ექსტრემიზმი და ავანტიურიზმი, ან პარტიის ლეგალიზაცია და ხელისუფლებასთან კომპრომისული თანამშრომლობა, არამედ ისიც, რომ მ. ჯავახიშვილი და სხვები ამ „საგანგაშო დრომ“ გარდაუვლად დააყენა ერის საკეთილდღეოდ მოღვაწეობის ერთადერთ შესაძლებელ და ყველაზე სწორ – ეროვნული მოძრაობის ლეგალურ, ანუ ლიბერალურ, კომპრომისულ გზაზე, რომელიც პრინციპულად ეწინააღმდეგებოდა ნ. ხომერიკის მიერ რეკომენდებულ და ზოგი რადიკალის (ი. ჯავახიშვილი, გ. წინამძღვრიშვილი, მ. იშხნელი და სხვ.) მიერ მხარდაჭერილ ანტისაბჭოთა ბრძოლის ავანტიურისტულ ტაქტიკას.

...და მაინც, ვინ გასცა „სამხედრო ცენტრი“?

გულუბრყვილო ადამიანები, მათ შორის სპეციალისტები, რომლებიც მოვლენების არსში ღრმად ვერ გარკვეულან, ამ უბედურების მიზეზს პიროვნებაში ეძებენ და აკი კ. მისაბიშვილის და მ. ჯავახიშვილის სახით ვითომ „იპოვეს“ კიდეც. სინამდვილეში ეს უბედურება სათავეს შორიდან იღებს და მიზეზთა ერთობლიობაში მდგომარეობს. აქ მთავარი ის იყო, რომ საქართველო ბოლშევიკურმა რუსეთმა თავისი განვითარების გზიდან ამოაგდო და საბჭოთა შაბლონით მართა. ამას მოჰყვა ანტისაბჭოთა ეროვნული ბრძოლის გააქტიურება, შესაბამისად კი ბოლშევიკური იერიშების გაძლიერება ქართული ეროვნული ინტერესების დამცველთა წინააღმდეგ: სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის შეკვეცა, ტერიტორიების ჩამოცილება, სამღვდელოების დევნა და ეროვნული ცნობიერების საბჭოთა ინტერნაციონალურით შენაცვლების მცდელობა და სხვ. ამან გამოიწვია ქართველი ინტელიგენციის და ხალხის დაუმორჩილებლობა, ხოლო ხელისუფლების მხრივ – ძალმომრეობა და პროცესების ჩეკისტური მართვა. მანუჩარ შელიას მოგონებებიდან კარგად ჩანს, რომ დაუმორჩილებელი საქართველოს მოთვინიერების მიზნით, სტალინმა მოითხოვა „სარეველას აღმოფხვრა“ და „საქართველოს გადახვნა“. ამ ამოცანის შესრულებას ემსახურებოდა ბერიას ფენომენალური ჩეკისტური ნიჭი, რომელსაც მხარს უმაგრებდა საბჭოთა ნეოკოლონიური სახელმწიფოებრივი სისტემა და ე.წ. „პროლეტარიატის დიქტატურით“ გამართლებული სისასტიკე. ჩეკა მიზანმიმართულად და გეგმაზომიერად მართავდა სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი, გმირი მამულიშვილების ბედისწერას. თითქმის ყველა ემიგრანტი, ყოფილი ანტისაბჭოთა მებრძოლის პუბლიკაციებში მოტანილია ფაქტები, რომლებიც ადასტურებენ, რომ ჩეკას მიერ შეგზავნილი ჯაშუშები თუ გადაბირებულები ანტისაბჭოთა მებრძოლთა თითქმის ყველა სერიოზულ უჯრედში გვხვდებოდნენ. ალ. სულხანიშვილის და ს. ზალდასტანიშვილის ყველა მკითხველისადმი ხელმისაწვდომი

მოგონებებიდან ჩანს, რომ ასეთები ქ. ჩოლოყაშვილის თავგანწირული პატრიოტების გვერდითაც ყოფილან. მაგრამ ზოგჯერ ნამდვილი პატრიოტები თავიანთი გაუცნობიერებლობით, სიფიცხითა და აჩქარებულობით ხელს უწყობდნენ თავიანთ მიმართ ჩეკისტურ-დივერსიული ბრძოლის წარმატებას.

კ. შელიას მოგონებებისა და გამოქვეყნებული „აგენტურული მონაცემების" საფუძველზე, ნათლად ჩანს, რომ „სამხედრო ცენტრის" დაპატიმრება ხანგრძლივი მიზანმიმართული და გეგმაზომიერი სახელმწიფოებრივ-ჩეკისტური მუშაობის შედეგად მომზადდა. ამის საილუსტრაციოდ იძებნება რიგი დოკუმენტები და მათში შესული ისტორიის წყაროები, რომლებიც განსაკუთრებით რელიეფურად ასახავენ ამ მდგომარეობას. მათი არეალი საკმაოდ ფართოა და ამიტომ მას სპეციალური შესწავლა-გაშუქება სჭირდება. მათ შორის, ჩვენი აზრით, განსაკუთრებით საყურადღებოა ის წყაროები, რომლებიც ჩეკას შიდა ორგანიზაციულ, დივერსიულ საქმიანობას და აგენტ-ინფორმატორების მუშაობას ეხება. მათ შორის მნიშვნელოვანია ის წყაროები, რომლებიც აშუქებენ ჩეკისტური ძიების მეთოდებს, აგრეთვე პოლიტიკური პატიმრების სამძებრო საქმიანობას. ასეთებს შორის ზოგჯერ გვხვდება „საქმეებს" თანდართული ე.წ. „მემორანდუმები", ანუ აგენტ-ინფორმატორების მონაცემები. მათში მოცემულია მდიდარი წინასწარი ცნობები ანტისაბჭოურად განწყობილ და მათთან დაკავშირებულ პიროვნებებზე. ამ ცნობებს ჯერ კიდევ დაპატიმრებამდე მიჩენილი შტატიანი თუ უშტატო გასაიდუმლოებული ჩეკისტები აწვდიდნენ თავის, ანუ ჩეკას სპეციალურ განყოფილებას და ხშირად სწორედ ეს ინფორმაციები ხდებოდა პიროვნებისა და ორგანიზაციების ანტისაბჭოთა საქმიანობის გახსნის საშუალება. მაგრამ ეს მასალები ჩვენი წინამორბედი, მათ შორის სუკის არქივის მჩხრეკავი რიგი მკვლევრებისათვის სათანადო ინტერესის საგანი ვერ გახდა, მაშინ როცა მთელი ეს მასალა ამ ორგანოს სულში ჩახედვის შესაძლებლობას იძლევა. ზოგჯერ მათი მეშვეობით აგენტ-ინფორმატორების ვინაობაც ირკვევა. მათ გამოქვეყნებას ბუნებრივად და ლოგიკურად მოსდევს ამ ადამიანების შთამომავლებთან განწირული ადამიანების შთამომავლების დაპირისპირება. ეს უარყოფითად მოქმედებს ადამიანების ურთიერთობაზე და საზოგადოების ჯგუფების ურთიერთდამოკიდებულებაზე. ალბათ, ამიტომ არის, რომ სათანადო არქივში ამგვარ მასალებს დღესაც განსაკუთრებით ფხიზლად გვარი-

დებენ მკვლევრებს. მაგრამ ზოგი რამ ჩეკას შიდა საიდუმლოებათა ამოსაცნობად მაინც ხელმისაწვდომი ხდება. წინდახედული მკვლევრები, აუცილებლობის შემთხვევაში, მიმართავენ საჩოთირო პიროვნებების ქარაგმულ მითითებას, მაგრამ ზოგი არ იცავს ამ წესს, ზოგი მისთვის ამოუხსნელ და საეჭვოდ მიჩნეულ პიროვნებასაც ინფორმატორად აცხადებს, ზოგი კი მიზნობრივად, სხვებზე შურისძიების მიზნით, რთული სიტუაციების გამო საეჭვოდ მიჩნეული, სინამდვილეში კი ღირსეული ადამიანების გაყალბებულ გაგებას იძლევა. წინამდებარე წიგნის მკითხველთა მთავარი ინტერესის დასაკმაყოფილებლად ამთავითვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ კ. მისაბიშვილის და მ. ჯავახიშვილის შესახებ ამ სახის მასალებში (როგორც მოსალოდნელი იყო) საეჭვოც კი არაფერი შეგვიმჩნევია. წინააღმდეგ შემთხვევაში ამ უაღრესად შრომატევადი სამუშაოს შემცველი წიგნი ჩვენს მიერ არ დაიწერებოდა. დანარჩენი სიმართლე კი ასეთია:

საბჭოთა კომუნისტური სახელმწიფოს XI წითელი არმიის მიერ თბილისის აღებისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების ბედის გადაწყვეტის პირველ დღეს, 1921 წლის 25 თებერვლის დღის 2 საათსა და 28 წუთზე საოკუპაციო ხელისუფლებამ გააფორმა ოქმი №1. ამით ჯერ კიდევ არარსებული და ჩანასახში მყოფი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელით ყოფილი ქალაქის მმართველობის შენობაში, ე.წ. საქართველოს რევკომის თავმჯდომარის მ. ორახელაშვილის მეთაურობით და წევრების: შ. ელიავას, მ. ოკუჯავას, ლ. დუმბაძის, გ. ელისაბედაშვილის მონაწილეობით იურიდიულად გადაწყდა დაუყოვნებლივ შესდგომოდნენ საქართველოს საგანგებო კომისიის („ჩეკა") შექმნას და დროებით თავმჯდომარედ დანიშნულიყო გ. ელისაბედაშვილი (იხ. „ფარი – საიმედო, მახვილი – ბასრი. საქართველოს ჩეკისტები დიადი ოქტომბრის მონაპოვართა სადარაჯოზე", 1985, გვ. 50). არა და, საბჭოთა ჯარებმა იმ დღის 12 საათსა და 15 წუთზე დაიკავეს დედაქალაქი (იხ.: საქართველოს დროებითი რევკომის ბიულეტენი, 1921, 26 თებერვალი). თუნდაც აქედან უნდა გახდეს გასაგები, თუ რა მნიშვნელობა ენიჭებოდა ჩეკას საბჭოთა სახელმწიფოებრივ სისტემაში.

აღნიშნული ორგანო, საქართველოს რევკომის 26 თებერვლის №2 ბრძანების საფუძველზე, ფორმალურად კონტრრევოლუციასთან, სპეკულიაციასთან, საბოტაჟთან და თანამდებობის პირთა ბოროტმოქმედებასთან საბრძოლველად დაარსდა. ბრძანება ქ. ტფილისის და

საქართველოს მოქალაქეებს უცხადებდა, რომ „ყოველგვარი კონტრრევოლუციური მოქმედების, საბოტაჟის და სპეკულიაციის წინააღმდეგ წარმოებული იქნება დაუნდობელი ბრძოლა" ('3). ხოლო „ყოველგვარი დატუსაღება ან ბინების გაჩხრეკვა ქალაქში შეიძლება მოხდეს საგანგებო კომისიის ნებართვით განსაკუთრებული ორდერის თანახმად, რომელიც ხელმოწერილი უნდა იყოს საგანგებო კომისიის თავმჯდომარის მიერ" ('4). ბრძანებას ხელს აწერდნენ საქართველოს რევკომის თავმჯდომარე, მ. ორახელაშვილი და მდივანი, ლადო დუმბაძე („ფარი – საიმედო, მახვილი – ბასრი,.." გვ. 51).

საქართველოს ჩეკას სტრუქტურების მშენებლობის პროცესში „ჩეკაში" სხვა დანაყოფების გვერდით ორი სპეციალური განყოფილებაც შეიქმნა: „ერთი მემარცხენე პარტიებთან დაპირისპირების, ხოლო მეორე – მემარჯვენე პარტიებისა და სამღვდელოების წინააღმდეგობის დასათრგუნავად" (ო. ჯანელიძე, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია (1917-1923 წწ.), ავტორეფერატი ისტ. მეცნ. დოქტ. სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1999, გვ.41).

საქართველოს საგანგებო კომისიის, ანუ საქჩეკას დაუყოვნებლივი ორგანიზება და მისი საქართველოს რევკომის №1 ღონისძიებად დასახვა იმთავითვე იმას ნიშნავდა, რომ ახალი ხელისუფლების ამ სახელმწიფოებრივ სტრუქტურას რესპუბლიკის სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში განსაკუთრებული როლი უნდა შეესრულებინა. იგი ითვალისწინებდა საბჭოთა სახელმწიფოს ბელადის ლენინის მითითებებს: „ყოველგვარი რევოლუცია მხოლოდ მაშინ ღირს რამედ, თუ მას შეუძლია თავი დაიცვას. ოფიციალური აზრით, ამ ორგანოს მთავარი ამოცანა იყო სოციალიზმის მონაპოვართა დაცვა, მის წინააღმდეგ მოწყობილი იდეოლოგიური დივერსიებისა და პირდაპირი პროვოკაციების აღმოფხვრა, რევოლუციის და გამარჯვებული პროლეტარიატის დაცვა. იმდროინდელი მხარდამჭერების ოფიციალური აზრით, „ჩეკა" დაიბადა როგორც პროლეტარიატის დიქტატურის ორგანო, რომელიც მიმართული იქნა ძველი სამყაროს ე.წ. „მენშევიკური" დამანგრეველი ძალების წინააღმდეგ." ასეთი აზრი მოდის საბჭოთა ხელისუფლების, ერთადერთი შესაძლო იდეალური საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობილების დაცვის ყველა საშუალებებით გამართლების ინტერესებიდან. ბერიას ერთ-ერთი განცხადების თანახმად, ახლად ოკუპირებულ საქართველოში მხოლოდ ანტისაბჭოთა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელთა რაოდენობა

100 ათას კაცამდე იანგარიშებოდა (იხ. საქართველოს კომპარტიის V პლენუმის მასალები, 1936წ. 20 იანვარი). როგორც ადრე ითქვა, საქართველოს კომპარტიის ცკ-ის მდივნის მ. კახიანის მიერ საკავშირო კომპარტიის საორგანიზაციო ბიუროს 1928 წლის სხდომაზე გაკეთებული მოხსენების მიხედვით, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში თითქმის მთელი ქართველი ინტელიგენცია ბოლშევიკური ხელისუფლების მოწინააღმდეგე იყო. უკვე ეს მდგომარეობა, თუ ასეთი ხედვა, ამართლებდა ქართული ანტისაბჭოთა პოლიტიკური პარტიების და ქართველი ინტელიგენციის წინააღმდეგ საბჭოთა ძალისმიერი სტრუქტურების შექმნის მოტივაციას.

მაგრამ, სინამდვილეში, როგორც ამას კონკრეტული მაგალითებითაც დავინახავთ, პროლეტარიატის დიქტატურის მწვავე საზოგადოებრივი და პიროვნული დაპირისპირების პირობებში ჩეკას მოუწია სახელმწიფოებრივი მართვის უმთავრესი ფუნქციის შესრულება, რომელსაც იგი ცხოვრებაში ატარებდა დივერსიულ-პროვოკაციული მეთოდებითა და განსაკუთრებული სისასტიკით. ჩეკას ორგანოების დანიშნულებისა და საქმიანობის შესახებ საყურადღებო ცნობებს გვაწვდის ბერიას მარჯვენა ხელი ჩეკისტი „კაკო" შელია. იგი წერს: „სტალინმა ყველაზე ადრე გაიგო, რომ ჩეკაში კომუნისტური რეჟიმის სული და სხეულია" (იხ. „დილის გაზეთი", 1999, 8 ივლისი). ამიტომ იგი ჩეკას ორგანოების საქმიანობას ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა.

საბჭოთა საქართველოს ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში გაერთიანების შემდეგ შეიქმნა ამიერკავკასიის საგანგებო კომისია („ზაკჩეკა"). მაშასადამე, საქჩეკა დაუქვემდებარეს ზაკჩეკას. ეს იმითაც აიხსნებოდა, რომ საქჩეკაში მუშაობდნენ „ნაციონალ უკლონისტებიც", მათ შორის უფროსებადაც. ისინი საქართველოს პატრიოტთა მიმართ ამჟღავნებდნენ გარკვეულ ლოიალურ დამოკიდებულებას. ზაკჩეკას თავმჯდომარედ დაინიშნა საბჭოთა ჩეკისტური და სადამსჯელო ორგანოების მუშაობის დიდი გამოცდილების მქონე ს. მ. მოგილევსკი (იხ.: „ფარი – საიმედო, მახვილი – ბასრი", გვ. 74-76), რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ქართულ ანტისაბჭოთა კონტრრევოლუციასთან ბრძოლის ორგანიზებას.

მაშასადამე, საქართველოს ჩეკას და ამიერკავკასიის ჩეკას ახალი, საბჭოთა-კომუნისტური სისტემის დაცვასა და მის მართვაში მნიშვნე-

ლოვანი როლის შესრულება დაესახა. ამ ამოცანის უზრუნველყოფის ღონისძიებათა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა საბჭოთა რუსეთისა და სხვა საბჭოთა რესპუბლიკების ანტისაბჭოთა კონტრრევოლუციურ ძალებთან ბრძოლისა და რუსეთის სამოქალაქო ომის გამოცდილების მქონე, ყოფილი კომუნისტი იატაკქვეშა მუშაკებით, კატორღელებით და კომუნისტური პარტიის წინაშე ფანატიკური ერთგულებით გამსჭვალული კადრებით საქჩეკას და ზაკჩეკას ორგანოების ძირეული და ხელმძღვანელი კადრების დაკომპლექტებას. საქართველოს სსრ ფორმალური სუვერენიტეტის დაცვის და ეროვნულ თავისებურებათა გათვალისწინებით, ყურადღება ეთმობოდა საქჩეკას და ზაკჩეკას სტრუქტურებში ეროვნებით ქართველი ბოლშევიკების მიზიდვას. როგორც წესი, საქართველოს ჩეკას თავმჯდომარედ ყოველთვის ეროვნებით ქართველი კომუნისტი ინიშნებოდა. ესენი იყვნენ გ. ელისაბედაშვილი, კ. ცინცაძე, კ. ოკუჯავა, ე. კვანტალიანი, ლ. ბერია, გოგლიძე, რაფავა, რუხაძე და სხვ. ეს იყო საქართველოს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის ბუტაფორია. საქჩეკას და ზაკჩეკას საკადრო შემადგენლობაში თითო-ოროლა „ნაციონალ-უკლონისტური" მიმდინარეობის კომუნისტ პატრიოტ მოღვაწესაც მოუწია სამსახური. მაგალითად, 1921-1922 წლებში საქართველოს საგანგებო კომისიის თავმჯდომარედ მუშაობდნენ ნაციონალ-უკლონისტები – ჯერ კოტე ცინცაძე, ხოლო შემდეგ კოლია ოკუჯავა. მაგრამ აღნიშნულ ძალისმიერ სტრუქტურებში ძირითადი კონტინგენტი მაინც არაქართველი იყო. 1921 წელს საქართველოს ჩეკა (განსაკუთრებული დანიშნულების ნაწილების, ანუ „ჩონ"-ის გარდა) შედგებოდა 72 კაცისაგან. მათ შორის იყო: ქართველი – 23, რუსი – 21, სომეხი – 21, უკრაინელი – 3, ებრაელი – 2, სხვა – 2. მათ 1922-1925 წლებში მიემატა 70 კაცი, მათ შორის: ქართველი – 29, სომეხი – 21, რუსი – 17, ებრაელი – 3, ოსი – 3, სხვა – 6 (ა. ასლანიშვილი, და კრონოსი ჭამდა საკუთარ შვილებს, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 1995, 12-15 აგვისტო). ჩეკისტური მუშაობის პრაქტიკა და ანტისაბჭოთა ძალებთან ურთიერთობის ჩეკისტური გამოცდილება ცხადყოფდა, რომ საქართველოში პროლეტარიატის დიქტატურის ამოცანების განხორციელებისათვის ბრძოლაში განსაკუთრებით ერთგულ დასაყრდენს წარმოადგენდნენ კარიერისტული მისწრაფების ადამიანები, მათ შორის არაქართველები, ხშირ შემთხვევაში საქართველოში მცხოვრები არაქართველი ეროვნების წარმომადგე-

ნლები, რომელთაც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება, ჩეკისტური დოკუმენტების მიხედვით, განიცადეს როგორც „მენშევიკური ჩაგვრისაგან გადარჩენა“ (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ.1, ფ. 67). არაქართველები გამოირჩეოდნენ თავიანთი ეროვნული ინდიფერენტულობით და პროფესიული დაუნდობლობით, მაგალითად, მოგილევსკი, აშუკინი, მოროზი, პეტროსიანი, პოღოსოვი და სხვ. საქჩეკას მუშაკთა შორის ირიცხებოდნენ ყოფილი თეთრგვარდიელები, კრიმინალური, სისხლის სამართლის დანაშაულებრივი წარსულის მქონე პირები, აგრეთვე ყოფილი ანტიკომუნისტური პარტიების წარმომადგენლები (იხ. სუკის არქივი, №3975, ტ. 1, ფ. 351). მაგალითად, 20-იანი წლების გურიის პოლიტიკური ცხოვრების მცოდნე აქტიური ანტისაბჭოთა მებრძოლის, ს. გოგიბერიძის მონათხრობის მიხედვით, მხოლოდ ოზურგეთის სამაზრო ადმინისტრაციაში, ჩეკაში და სხვა დაწესებულებებში, საბჭოთა ხელისუფლების პირველ წელს ჩარიცხეს 80-მდე ყოფილი ყაჩაღი. მათ შორის იყვნენ ცნობილი ჩეკისტები: შორაპნის კომისარი მანწკავა, გურიის სადამსჯელო ექსპედიციის უფროსები ობოლაძე და ტალახაძე (იხ. ს. გოგიბერიძის დასახელებული პუბლიკაცია, გვ. 24-25, 27-29). ეს კონტინგენტი გამოირჩეოდა განსაკუთრებული საშემსრულებო თვისებებით. ჩეკას რიგით თანამდებობებზე იწვევდნენ ხშირ შემთხვევებში „უმდაბლესი“ განათლების მქონე ადამიანებს. აგენტებად, პროფესიონალ ჩეკისტებთან ერთად, იკრებდნენ ეროვნული მოძრაობის მოღალატე ადამიანებს სხვადასხვა პარტიებიდან. ანტისაბჭოთა ბრძოლის წარმომადგენლების წინააღმდეგ განსაკუთრებით ფართოდ გამოიყენებოდა ეროვნულად და პოლიტიკურად დეზორიენტირებული, უკიდურესად მძიმე სოციალურ მდგომარეობაში მყოფი ადამიანები, რომლებისთვისაც ხელისუფლების და ჩეკას ორგანოების ინტერესებისათვის სამსახურის უმთავრესი არგუმენტი იყო ფული. ასე მაგალითად, თიანეთის მილიციის უფროსი შინსახკომის მოადგილის ი. ტალახაძისადმი გაგზავნილ წარდგინებაში მოითხოვს ე.წ. ყაჩაღთა რაზმის წევრების ოჯახებს ჩამოერთვას ქონება, გაიყიდოს და ნაწილი მიეცეს ყაჩაღთა მომსპობი რაზმის წევრებს. დუშეთის მილიციის უფროსი ხელმძღვანელობისაგან მოითხოვს ფულს, „რითაც ადვილად შეიძლება“ ს. ოძისში 17-18 კაციანი ჯგუფის ლიკვიდაცია. სენაკის მაზრაში მოქმედი ცნობილი ანტისაბჭოთა მებრძოლის კაკო კალანდარიშვილის დაპატიმრებისათვის (5.II.1923) საიდუ-

მლო აგენტისათვის მიუციათ 30 მილიონი მანეთი, მისაცემი დარჩენიათ კიდევ 50 მილიონი. წარდგინებაში დაყენებულია საკითხი: „ასეთი საქმეებისათვის გთხოვთ მოგვცეთ 80 მილიონიო" (იხ. ნ. ხუციშვილის დასახელებული სტატია, ჟ. „საისტორიო მოამბე", 1996, გვ. 382-384.).

ალ. სულხანიშვილი მოგვითხრობს შემთხვევას, როცა მას ჩეჩნეთში სტუმრად ყოფნისას მასპინძლის ერთმა ნათესავმა მხედარმა ფეხებთან დაუგდო მის მოსაკლავად ჩეკას მიერ მიცემული ფულით სავსე ხურჯინი (გვ. 191). იყო პირუკუ შემთხვევებიც, მაგალითად, ნ. ხომერიკთან თავისი ახალგაზრდა ჩეკისტი დისშვილის არჩილ კახიანის დასაკავშირებლად ბათუმიდან სპეციალურად ჩამოსულ დეიდას უკიდურესად ღარიბი არჩილისათვის უთქვამს, ხელფასით ვინ ცხოვრობს, ყველა ჩალიჩობსო და სხვ. ახალგაზრდა გადაბირებული ჩეკისტის ჩვენებაში ვკითხულობთ: 150 ლირა ავიღე, მკურნალობისა და ოჯახის ღარიბული ინვენტარის შეძენას მოვახმარე. სულ მშიერი ვიყავი, დედა და პატარა დები მყავს სოფელში ჩემს იმედად. 16 წლის დას ბნედა აქვს და უსახსრობის გამო ვერ მკურნალობსო (სუკის არქივი, №2105, ფ. 60).

განსაკუთრებით ეფექტურად გამოიყენებოდა აგენტებისა და ინფორმატორების ქსელი. ჩეკაში, მათი მართვის მიზნით, სპეციალური განყოფილება არსებობდა. იგი აგენტებს საჭიროების მიხედვით მეთოდურ დარიგებებს აძლევდა. მაგალითად, გენერალ ვ. წულუკიძეზე გასვლისათვის რეკომენდებული რჩევა-დარიგება მოითხოვდა, გაუხმაურებლობის მიზნით, ერთი პიროვნების გამოყოფას, ვ. წულუკიძესთან ერთ ბინაში მცხოვრებ ექიმ მიქელაძის კლიენტად გახდომას. მასთან სოციალური უკმაყოფილების თემაზე საუბრით დაახლოებას, ხოლო მისი მეშვეობით გენერალზე გასვლას. ეს ამოცანა წარმატებით შესრულდა (სუკის არქივი, №28082, ფ. 88). დუშეთის ავჯანყების მონაწილე ვ. კობიაშვილის ძებნის მიზნით, ჩეკაში შემუშავდა ოპერაცია „კობილა". მას ეძებდნენ სპეციალური გრაფიკით, ქალაქის ხალხმრავალ პუნქტებში, რომლის დროსაც აგენტები აღჭურვილი იყვნენ ფოტოსურათით და გარეგნული ნიშნების აღწერილობით (სუკის არქივი №23465, ფ. 88.). აგენტები იწოდებიან მეტსახელით, ანუ ფსევდონიმებით, ან ნომრებით. მაგალითად გვხვდება: „ილოევი", №393, №1771, №66/ ბ3, „გეორგაძე", სხვაგან ვხვდებით აგენტებს: „გოგიტა", „ტარზანი" და სხვ. (სუკის არქივი, №24171, ფ.

19). პუბლიკაციებსა და საარქივო მასალებში გვხვდება უამრავი აღნიშვნა იმის შესახებ, რომ დაწესებულებები, ორგანიზაციები და სასწავლებლები გაავსეს ჩეკას აგენტ-ინფორმატორებით, მაგრამ ზემოთ მოხმობილი ნომერი აგენტისა – 1771, მაინც არის განსაკუთრებით ბევრის მეტყველი.

„კაკოს" ჩეკისტური ფსევდონიმის მანუჩარ შელია, იგივე მამა ალექსი მოგვითხრობს, რომ 1921 წლის იანვარში ბაქოში მყოფ საოკუპაციო „შტაბიდან ბუდუ მდივანმა თანამემამულეებს მოუწოდა შესულიყვნენ საქართველოს „გასათავისუფლებლად" მზადმყოფი წითელი არმიის რიგებში". ამას საქართველოს გარეთ მცხოვრები ათასობით ქართველიდან გამოეხმაურა ოციოდე კაცი. მათ შორის იყვნენ მანუჩარ (კაკო) შელია და ლავრენტი ბერია. ოკუპაციის შემდეგ ისინი პროფესიულ კარიერას საქჩეკაში ასრულებენ („დილის გაზეთი", 1999, 6 ივლისი). მათ შორის იყო აგრეთვე ბერიას „უახლოესი ბაქოელი მეგობარი დუტუ წულეისკირი" (იქვე). ესენი არიან საქჩეკას ასები. პირადად ბერია ხელმძღვანელობდა საქართველოს ჩეკას ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს, საიდუმლო ოპერატიულ განყოფილებას. იგი უკვე ამ დროს დიდ პროფესიულ-დივერსიულ საქმიანობას ეწეოდა, მაგრამ მისი ჩეკისტური მუშაობის დიაპაზონი საქჩეკას სათავეში მდგარი ცნობილი რევოლუციონერებისა და ეროვნული გრძნობების მატარებელი პიროვნებების სუბორდინაციის მკაცრი წესით იფარგლებოდა. მაგრამ მალე მისმა განსაკუთრებულმა ჩეკისტურმა უნარმა თავი მთელი ძალით იჩინა.

საქართველოს ჩეკისტური ორგანოების მუშაობაში განსაკუთრებულ როლს ასრულებდა საბჭოთა სახელმწიფოს და კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი ორგანოების, მათ შორის ი. სტალინის დირექტივები და უშუალო, საიდუმლო კავშირი საქჩეკას ორგანოების ფაქტობრივ ხელმძღვანელ ბერიასთან.

ი. სტალინისა და ბერიას ჩეკისტური კავშირის შესახებ საყურადღებო ცნობებს გვაწვდის მანუჩარ შელიას მოგონებები. იგი წერს: საოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგ სვანეთისა და ხევსურეთის აჯანყების შემდეგ ბოლშევიკთა მოსკოვის ცენტრმა დაშოშმინების ორგანიზებისათვის საქართველოში ი. სტალინი მოავლინა. მას საქართველო უკიდურესად უკმაყოფილო შეხვდა, რამაც ი. სტალინზე ძლიერ გამაღიზიანებლად იმოქმედა. პარტიული მისიის შესრულების შემდეგ ი. სტალინს თბილისელმა მეგობრებმა ქართული ტრადიციის თანა-

ხმად მოუწყვეს გაცილება. „თამადამ, რომელიც ყველაზე ნაკლებს სვამდა, დასკვნითი სადღეგრძელო ქართულ ენაზე წარმოსთქვა: საქართველოში სარეველამ იმძლავრა. საქართველო უნდა გადაიხნას!

– ასეთი იყო მისი ბოლო სიტყვები. ძველმა ქართველმა ბოლშევიკებმა... უსიტყვოდ გადაყლაპეს ღვინოც და სადღეგრძელოც.

მერიქიფემ თამადას უპასუხა: „სარეველასაც აღმოვფხვრით და საქართველოსაც გადავხნავთ" და სასმისი დასცალა. თამადას საპასუხო სადღეგრძელო მოეწონა.

თამადა სტალინი იყო, ხოლო მერიქიფე ახალგაზრდა ჩეკისტი – ლავრენტი ბერია, რომელიც მეორე დღესვე დაინიშნა ჩეკას უფროსის მოადგილედ. ეს მოხდა 1922 წლის მიწურულს" („დილის გაზეთი", 1999, 6 ივლისი). ეს მოვლენა დროში ემთხვევა ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის შექმნას, სსრ კავშირში საქართველოს გაერთიანებას ფედერაციული რესპუბლიკის მეშვეობით და ამით საქართველოს სუვერენიტეტის შემდგომი უხეში შეზღუდვით უკმაყოფილო საქართველოს კომპარტიის, ნაციონალ-უკლონისტური ცენტრალური კომიტეტის გადადგომას (1922წ. ნოემბერი). აქედან იწყება საქართველოს ჩეკას ხელმძღვანელობიდან ნაციონალ-უკლონისტური ხელმძღვანელის (კ. ცინცაძის, კ. ოკუჯავას და სხვ.) ჩამოცილება და ეროვნულ ძალებზე ჩეკისტური იერიშების მკვეთრი გაძლიერება, რაც უშუალოდ არის დაკავშირებული ლ. ბერიას პიროვნებასთან. კაკო შელია აღწერს, რომ ბერიამ ამიერკავკასიის და საქართველოს პარტიული, სამთავრობო და ჩეკისტი ხელმძღვანელებისათვის ფარული მცირე ჯგუფი შექმნა უახლოესი ოფიცრებისაგან, რომელიც ძირს უთხრიდა არა მარტო არალეგალურ ეროვნულ მოძრაობას, არამედ აგრეთვე ე.წ. „ლენინურ გვარდიას" – ბ. მდივანს, ფ. მახარაძეს, ს. ორჯონიკიძეს და სხვ. როგორც ცნობილია, ბერიამ მართლაც ბევრს გამოუთხარა ძირი, ვიდრე იგი საქართველოში იმყოფებოდა. მათ შორის ბევრნი იყვნენ ქ. ზუგდიდიდან. ეს ღირსეული პიროვნებები გასაღდნენ „მაფალუელ" ნაციონალისტ-კონტრრევოლუციონერებად. ამ დროს ზუგდიდში ზოგს უხარია, რომ იქ არსებობს ლ. ბერიას ქუჩა და ბერიას საზოგადოება. ჩვენი აზრით, ეს ბოლომდე გაუცნობიერებელის გამოვლინებაა.

კ. შელია წერს, რომ ბერიას „საიდუმლო ჯგუფი 1922-1938 წლებში აკონტროლებდა სიტუაციას საქართველოში" და თითქმის ყველა არსებითი მოვლენის შესახებ ცნობებს სტალინს უშუალოდ ან ფ. ძე-

რჟინსკის მეშვეობით აწვდიდა. ამ მიზნით, ჩეკამ, ძერჟინსკიმ ბერიასთან სპეციალური ფარული მოკავშირეც გამოყო, რომელსაც საიდუმლო კორესპონდენციების გაცვლა ევალებოდა. კ. შელია მაღალ შეფასებას აძლევს სამშობლოს თავისუფლებისათვის მოსპობილ არალეგალურად მებრძოლ მამულიშვილებს. არ ფარავს ზოგ მთავარ მოღალატეს. იგი ამასთანავე ხელისუფლების მოწინააღმდეგე ბანაკის ყველაზე სუსტ გამოვლინებად მიიჩნევს „მათ შორის უთანხმოებას და გაუთავებელ კინკლაობას", რომელიც, მისი აზრით, „თეთრ ლაქად გასდევს" ქართულ ეროვნულ მოძრაობას („დილის გაზეთი", 1999, 6 ივლისი). კაკო შელია ამასთანავე მიუთითებს, რომ ქართულ ეროვნულ ძალთა ურთიერთდაპირისპირებაში „მენშევიკების მმართველობის" დროიდან მომდინარე პრინციპულ უთანხმოებებს უნარიანად იყენებდა საქართველოს ჩეკა და მისი „ფენომენალური ჩეკისტური ნიჭის მქონე", ახლა უკვე ფაქტობრივი ხელმძღვანელი ლ. ბერია („დილის გაზეთი", 1999, 6 ივლისი). კაკო შელია წერს, რომ ანტისაბჭოთა პარტიების ერთიანი ტაქტიკის და ფრონტის შექმნის მიზნით, 1922 წლის მაისში შეიქმნა ე.წ. „პარიტეტული კომიტეტი". „პარიტეტული კომიტეტის", იმავე „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის" შექმნის დღიდან ჩვენ დაგვევალა უსასტიკესი ბრძოლის წარმოება ხუთ უმთავრეს პოლიტიკურ პარტიასთან (მენ, ედპ, ს/ფ, ს/დემ, მემარჯვენე ესერები).

„ბერიას ბრძანებით ჯერ კიდევ 1922 წლის ზაფხულში ჩეკაში დაიწყო მუშაობა პოლიტიკურ დივერსანტთა ჯგუფმა, რომლის წევრებიც, ჩემი და დუტუ წულეისკირის დახმარებით, ეტაპობრივად ამ პარტიათა შემადგენლობაში ხვდებოდნენ და აქტიურად მოქმედებდნენ ინფორმაცია-პროპაგანდის სფეროში. საიდუმლო სია შემდეგნაირად გამოიყურებოდა: მენშევიკებში შეგზავნილია 17 კაცი; ეროვნულ დემოკრატებში – 14, ფედერალისტებში – 8, სოციალ დემოკრატებში (ანუ „სხიველებში" – გ.ც.) – 3 კაცი. ესერებში შეგზავნილები მოგვიანებით დაადგინა ბერიამ, რადგან დასაწყისში, მისი აზრით, საჭირო არ იყო ამ პარტიაში დივერსანტთა ინსტიტუტის ამოქმედება" (იხ. „დილის გაზეთი", 1999, 6 ივლისი).

კაკო შელია წერს, რომ „პარიტეტულ კომიტეტს ჯაშუშები პატრიოტებზე მეტი ყავდა". კერძოდ, „კ. აფხაზზე დივერსიული თვალთვალი ჯერ კიდევ 1922 წლის დასაწყისში დაიწყო" (იხ. „დილის გაზეთი", 1999, 8 ივლისი).

კაკო შელია წერს, რომ „1922 წლის ივნისში (მაშასადამე, ჯერ კიდევ ლ. ბერიას საქართველოს ჩეკას საიდუმლო ოპერატიული განყოფილების უფროსად მუშაობის და კალე მისაბიშვილის დაპატიმრების შემდეგ – გ.ც.) ჩვენთვის ცნობილი გახდა ეროვნული დამოუკიდებლობის სამხედრო ცენტრის არსებობა. ცენტრს ხელმძღვანელობდნენ **ნარიკელაძე და დავით ვაჩნაძე** (არ არის ზუსტი – გ.ც.). ცენტრის ამოცანა იყო აჯანყების მომზადება და ხელმძღვანელობა არსებული წყობილების წინააღმდეგ... ივლისში დუშეთის მაზრაში... გაგზავნეს ჯაშუშთა მოზრდილი ჯგუფი, რომელსაც პავლე ანთაძე ხელმძღვანელობდა“, როცა დაიღუპა „მის მაგივრად გაიგზავნა დავით ნაკანი... **ივლისის ბოლოს და აგვისტოს დასაწყისში** ჩვენ განვახორციელეთ ფართო მასშტაბის ოპერაციები და დავაპატიმრეთ 70-მდე კონტრრევოლუციონერი. ბერიამ თითქმის ყველა პირადად დაკითხა და ბევრი საჭირო ინფორმაცია მიიღო“ („დილის გაზეთი“, 1999, 6 ივლისი). კ. შელიას მიერ ცენტრის ხელმძღვანელებად ივ. ნარიკელაძის და დ. ვაჩნაძის დასახელება ზუსტი არ არის. როგორც ზემოთ ითქვა და მრავალი წყაროთიც დასტურდება, „სამხედრო ცენტრის“ თავმჯდომარე, ანუ უფროსი იყო ალექსანდრე ანდრონიკაშვილი. ივ. ნარიკელაძე „ცენტრში“ კონტრდაზვერვას ედგა სათავეში და, ამასთანავე, „დამკომისა“ და „სამხედრო ცენტრის“ შემაკავშირებლის ფუნქციას ასრულებდა. დ. ვაჩნაძე ეროვნულ-დემოკრატების სამხედრო საქმიანობას ხელმძღვანელობდა და ამასთანავე, როგორც ცკ-ის წევრი და ყოფილი დამფუძნებელი კრების წევრი, ეროვნულ-დემოკრატთა ერთ ნაწილში, განსაკუთრებით ყოფილ სამხედრო პირებში, თავადაც ყოფილი ოფიცერი, დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. იგი ქ. ჩოლოყაშვილთან მეგობრობდა და მის პარტიზანულ მოძრაობას ეროვნულ-დემოკრატების სამხედრო კომისიის პოზიციებიდან მეურვეობდა. როგორც ჩანს, კ. შელია ზემოთ აღნიშნულ შემთხვევაში ეყრდნობა ამ ორი პიროვნების განსაკუთრებულ როლს პარტიზანულ მოძრაობაში, ამასთან, ამ შემთხვევაში გადაჭარბებით ენდო საკუთარ მეხსიერებას.

კაკო შელიას ინფორმაციიდან ცხადი ხდება, რომ ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი ჩეკისტური ბრძოლა 1922 წლის ზაფხულიდან, მაშასადამე, მას შემდეგ გაშლილა, როცა კალე მისაბიშვილი უკვე დაპატიმრებულია და მის მიმართ „ვადის განუსა-

ზღვრელად“ დაპატიმრების ბრალეულობების საფუძველი იქმნება. როგორც ზემოთ აღინიშნა, კ. მისაბიშვილი 1923 წლის იანვრის ბოლომდე ჩეკას პატიმრობაში იმყოფებოდა. სწორედ ამ დროის მანძილზე მოამზადა ჩეკამ „სამხედრო ცენტრის“ დაპატიმრების აგენტურულ-ინფორმატორული საფუძვლები. ამას მოწმობს არა მარტო კ. შელიას „მოგონებებში“ მოცემული ინფორმაცია, არამედ ჩვენს მიერ ჩეკას არქივში გამოვლენილი ღოღობერიძის სადირექტივო დოკუმენტი, აგრეთვე ცალკეულ პირთა სამძებრო საქმეებს დართული „მემორანდუმები“, ანუ აგენტურული ცნობები.

„სამხედრო ცენტრის“ დაპატიმრებული ერთ-ერთი თვალსაჩინო წევრის, აგრეთვე ნ. ხომერიკის მიერ შექმნილი „გაერთიანებული სამხედრო ცენტრის“ მთავარი ხელმძღვანელის, გენერალ ვარდენ წულუკიძის სამძებრო საქმეში (№98082) აღმოჩნდა იმჟამად თბილისის რევკომის თავმჯდომარის ღოღობერიძის 1921 წლის 26 აგვისტოს თბილისიდანვე გაგზავნილი „სრულიად საიდუმლო“ წერილი „საიდუმლო აგენტურული განყოფილების უფროსისადმი“ (ფ. 91, 91/2, 93, 94), ე.ი. ლავრენტი ბერიასადმი. აქ აღწერილია ნ. ჟორდანიას მთავრობის განდევნის შემდგომ საქართველოში არსებული ანტისაბჭოური საზოგადოებრივ-ფსიქიკური განწყობილება. წერილში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ბათუმიდან და ქუთაისიდან საბჭოთა, ამნისტიის დეკრეტის საფუძველზე, თბილისის დაწესებულებებში „გაქცეული მთავრობის“ ყოფილ მსახურთა მიერ თანამდებობების დაკავებისა და მათ მიერ გაქცეული ხელისუფლების გმირობის შესახებ ხმების გავრცელების გამო, მოსახლეობის ოპოზიციური განწყობილების გაძლიერებას. მაშასადამე, ამ ანტისაბჭოთა კადრების მიერ ნებაყოფლობით გაწეული პროპაგანდით იქმნებოდა აზრი გაქცეული მთავრობის, ანტანტის ჯარის დახმარებით, მოკლე ხანში შესაძლო დაბრუნების შესახებ. წერილში აღნიშნულია რიგი ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობენ ხელისუფლების მოსალოდნელი შეცვლის სასარგებლოდ მოსახლეობის რწმენის გაძლიერებას. ამასთანავე, ნათქვამია: „ზემოთ აღნიშნულს ემატება ფაქტი, რომელსაც აქვს უზარმაზარი მნიშვნელობა – ფაქტი ძველი ოფიცრებისაგან ქართული სამხედრო ნაწილების შექმნისა.“ „თავადაზნაურული ღირსების, ძველი რეჟიმის აღზრდილი გენერლების წულუკიძის, ციციანოვის და ანდრონიკაშვილის (ალექსანდრეს – გ.ც.) მიწვევა ბრიგა-

დისა და არმიის ფორმირებისათვის, — ნათქვამია წერილში, — მოსახლეობას ეჭვგარეშე უჩვენებს, რომ მოკლე ხანში აღდგენილი იქნება საქართველო საკუთარი ეროვნული არმიით.

თავისთავად ცხადია, რომ ყოფილი ნიკოლოზის დროინდელმა თანამოაზრეებმა მიიზიდეს თავიანთი ძველი თანამოსამსახურეები. მაგალითად: ქართული არმიის შტაბის უფროსად დაინიშნა გენერალური შტაბის ყოფილი პოლკოვნიკი გედევანოვი, მენშევიკების ყოფილი სამხედრო მინისტრის ნათესავი და მენშევიკების დროს გენერალური შტაბის ოპერატიული სექციის უფროსი; პირველი პოლკის მეთაურად — ყოფილი პოლკოვნიკი მაჭავარიანი, რომელიც თავის მოადგილესთან ყოფილ მაიორ უთნელოვთან ერთად მენშევიკურ პროპაგანდას ეწევა დაქვემდებარებულ ხელმძღვანელ შემადგენლობაში, ქართულ შტაბში მოსამსახურე დაზვერვის ოფიცერის ძაგანიას და სხვათა სახით."

ღოღობერიძის წერილში ნათქვამია, რომ მიყრუებულ სოფელშიც კი გაისმის წყევლა საბჭოთა ხელისუფლების მიმართ. ანალოგიური მდგომარეობა აღინიშნებაო მუშებში. აქვე ვკითხულობთ: „ჩემამდე მოვიდა ხმები, რომ უახლოეს დღეებში მოსალოდნელია აჯანყება." ღოღობერიძის აზრით, ანგარიში არ ეწევა მოსალოდნელ შედეგებს, „აჯანყების მიზანდასახულობაა ევროპას უჩვენოს თავი და მხარი დაუჭიროს ჟორდანიას, რამიშვილს და სხვ.; რომ საქართველოს არ სურს საბჭოთა ხელისუფლება და რომ იგი ძალით არის თავს მოხვეული". ღოღობერიძის წერილის დასკვნით ნაწილში ჩამოყალიბებულია გაფრთხილება: „კონტრრევოლუცია ემზადება და მალე უნდა მოველოდეთ მის გამოსვლას ქართულ არმიასთან ერთად, რომელზედაც მოსახლეობა დიდ იმედებს ამყარებს".

მაშასადამე, ადგილობრივი საქალაქო ხელისუფლება ინფორმაციას იძლევა იმასთან დაკავშირებით, რომ მოსახლეობის ანტისაბჭოთა განწყობილების ძირითად მასაზრდოებელ ძალას წარმოადგენს ძველი გენერალიტეტი და ოფიცრობა, რომელიც ამისთვის იყენებს ქართული წითელი არმიის ორგანიზების სახელმწიფოებრივ ღონისძიებას. ამასთანავე, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ქართული სამხედრო შენაერთის უმაღლეს სარდლობაში მიზიდულ საბჭოთა ხელისუფლებისათვის უაღრესად არასაიმედო პიროვნებებს, მათ შორის გენერლებს: ალექსანდრე ანდრონიკაშვილს, ვარდენ წულუკიძეს და მაღალი რანგის ოფიცრებს: იოსებ გედევანიშვილს, მაჭავარიანს და ძაგანიას.

არა და, საოცარი ორიენტირია. სწორედ მათ შორის არიან „სამხედრო ცენტრის“ თავმჯდომარე (ალ. ანდრონიკაშვილი), მისი წევრები, შემდეგში „გაერთიანებული სამხედრო ცენტრის“ ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი (ვ. წულუკიძე) და 1923 წლის მარტში დაპატიმრებული პირები.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული იმას მოწმობს, რომ უკვე 1922 წლის ზაფხულიდან (მაშასადამე, კ. მისაბიშვილის დაპატიმრების შემდეგ) იწყება ჩეკას ინტენსიური მუშაობის კონცენტრირება „სამხედრო ცენტრის“ შემადგენლობის ნეიტრალიზების მიზნით.

სამხედრო ამბოხებითი ჯგუფების წინააღმდეგ ჩეკისტური ბრძოლის საიდუმლოებათა გარკვევისათვის უაღრესად საყურადღებო ცნობებს იძლევა ერთ-ერთ „მემორანდუმში“ დაფიქსირებული ჩეკას აგენტის (ჩვენი აზრით, ნ. ხომერიკის, გ. ფაღავას, კ. ანდრონიკაშვილის და სხვათა მიერ ადრე უსაზღვრო ნდობით აღჭურვილი და თანამოაზრე-თანამებრძოლად მიღებული) „გეორგაძის“ ინფორმაცია. მის საფუძველზე იხსნება მ. ლაშქარაშვილის საჯანყებო ჯგუფთან დაკავშირებულთა, მათ შორის ს. მუხრან-ბატონის და სხვათა მთელი წარსული საქმიანობა (იხ. სუკის არქივი, №24064 და სხვ.). მანამდე კი ინფორმატორი „№5“ 1922 წლის 16 ივლისს ჩეკას აწვდის ცნობას, რომ სიმონ ბაგრატიონ-მუხრანსკი საიდუმლო ცნობების მიღებისათვის დიდ თანხებს იღებს ნარიკელაძისაგან, ხოლო ნარიკელაძეს სამჯერ მეტი რჩება. აგენტმა №1771 (! – გ.ც.) 1 სექტემბერს ჩეკას დაუდგინა ს. მუხრანსკის ბინის მისამართი, მისი „ნათესაური“ კავშირი ალ. გეგეჭკორთან და მათ შორის კონტაქტების სავარაუდო შესაძლებლობა. „სამხედრო ცენტრის“ ერთ-ერთი გავლენიანი წევრის გენერალ ვარდენ წულუკიძის შესახებ აგენტურული ცნობები 1922 წლის მარტიდან იკრიბება. ზაფხულიდან კი მის შესახებ 15-მდე ინფორმაციული ცნობით, რომლების ავტორები არიან ჩეკას აგენტები „ილოვაისკი“, „გეორგაძე“ და სხვები, ცხადი ხდება ვ. წულუკიძის საქმიანი შეხვედრები და საეჭვო საუბრები უამრავ პიროვნებასთან, მათ შორის ნარიკელაძესთან, როსტომ მუსხელოვთან, „დამკომის“ თავმჯდომარე ნ. ქარცივაძესთან, პოლკოვნიკ ივანე ქუთათელაძესთან და სხვა.

„ილოევის“ 28 ნოემბრის ინფორმაციიდან ცხადი ხდება, რომ ივ. ნარიკელაძეს სცოდნია იმ დოკუმენტების შესახებ, რომლებიც ფავლენიშვილს აღმოუჩინეს, და სადაც მოიხსენიება ფსევდონიმები „მუხა“ და „სამფერი“. ამ ინფორმაციიდან ისიც ჩანს, რომ ივ. ნარიკელაძემ

ყველაფერი იცის „იმ ორგანიზაციის შესახებ და რომ მან გაკვირვება გამოსთქვა, „რატომ არ შეასრულეს ვ. წულუკიძის დავალებები, რადგან უკანასკნელი აქტიური მოქმედების წინააღმდეგია", ხოლო ქ. ჩოლოყაშვილთან დაკავშირებულებმა კი მისი აზრი უგულებელყვეს.

ეს აგენტურულ-ინფორმატორული ცნობები იმდენად სრულფასოვან ინფორმაციას შეიცავს, რომ მათ საფუძველზე შესაძლებელი ხდება ანტისაბჭოთა მოძრაობის რომელიმე ეჭვმიტანილი, თვალსაჩინო წარმომადგენლის, როგორც დიდი ჯაჭვის ერთი რგოლის, ამოწევა – დაპატიმრება, დამუშავება და ამ გზით ანტისაბჭოთა კონტრრევოლუციონერთა ორგანიზაციის მთელი ჯგუფის გამოაშკარავება. ჩვენი აზრის მეტი დამაჯერებლობის მიზნით, საჭიროდ გვესახება „მემორანდუმებიდან" დამატებითი კონკრეტული მასალის ილუსტრირება.

სიმონ ბაგრატიონ-მუხრანელის საქმეს ერთვის „მემორანდუმი" (სუკის არქივი, №24060, ფ. 71-77). მასში შეტანილია შემდეგი ინფორმაცია:

1. ინფორმატორ №5 1922 წლის 14 ივლისის შეტყობინება: „ნარიკელაძის მონაცემებით არსად არ მუშაობს, არის ცნობილი თბილისელი მოინახე (кутила – გ.ც.)... გარკვეული პოლიტიკური ფიზიონომია არ გააჩნია, განწყობილია ანტისაბჭოურად, მზად არის ემსახუროს იმას, ვინც მეტს უხდის. ახალგაზრდა 20-25 წლის კაცია (სინამდვილეში ამ დროს 26 წლისაა – გ.ც.)... ნარიკელაძის დახასიათებით ეს სანდო და ამ სამუშაოსათვის ზედმიწევნით მორგებული კაცია, ფლობს საკმაო ენერგიას... სმის დროს ბევრი ლაყბობა უყვარს" (ფურც. 71). როგორც ჩანს, ინფორმატორი ი. ნარიკელაძესთან უაღრესად დაახლოებული და მისი საერთო ანტისაბჭოთა საქმიანობის მცოდნე პიროვნებაა.

2. იმავე ინფორმატორის 16 ივლისის შეტყობინება: „მუხრანსკის უთქვამს: მისი დაპატიმრების წინ ყოველდღიურად ასიგნებული იყო 300 ათასი, მაგრამ ნარიკელაძე მას გადასცემდა მხოლოდ 100 ათასს... ცნობების შოვნისათვის ნარიკელაძისაგან იღებდა 100 ათასს, მაშინ როცა ნარიკელაძე ცნობებისათვის 1 მილიონს იღებდა."

3. 20 ივლისის აგენტურული ცნობის მიხედვით ცხადი ხდება, რომ აზუსტებენ ს. ბაგრატიონ-მუხრანელის საცხოვრებელი ბინის მისამართს;

4. 28 ივლისის ცნობაში ნათქვამია: „...ლოთი ოფიცერია, ყოვე-

ლგვარ კომბინაციას იკისრებს, იმყოფება ხოლმე ნიკოლოზ ბაგრატიონ-მუხრანელთან – მათი მიმართულება მენშევიკურია;

5. 1 სექტემბრის ცნობით, აგენტმა №1771 დაადგინა ს. ბაგრატიონ-მუხრანელის ბინის მისამართი ბელინსკის ქუჩაზე;

6. 6 სექტემბერს ზუსტდება, რომ ცხოვრობს ევგენევსკის №3-ში. მის სახლში მესამე სართულზე ცხოვრობს კომუნისტი ალექსანიანცი გერასიმე... მასთან სტუმრად მოდის ხოლმე შინსახკომისარი საშა გეგეჭკორი – „племянник Багратион-Давидова, тестя С. Мухранского";

7. 30 ოქტომბერი: „ბ. მუხრანსკი (სიმონიკა) ეხლა გორის მაზრაში იმყოფება". „23 სექტემბერს მონასტერში (ქვათახევის – გ.ც.) ჩამოსულ იმ მშველელებს შორის იყო, რომლებიც ჩოლოყაშვილის დასახმარებლად შეიკრიბნენ ლაშქარაშვილთან (მენშევიკების ყოფილი საველე სასამართლოს თავმჯდომარე). იგი ძმაკაცობდა ჩოლოყაშვილთან, ერთხელ ჩააკითხა კიდეც, მაგრამ მალე დაბრუნდა. იცნობს ნარიკელაძესაც. სხვა ოფიცრებთან ერთად დაპატიმრებული იყო 8 აპრილს, გენუის კონფერენციის გახსნის წინ, წითელი არმიიდან დათხოვნით განთავისუფლდა 30 ივნისს. მონაწილეობას იღებდა გორის ავჯანყების მომზადებაში. ერთი კვირის წინ ვანო ყარანგოზიშვილთან ერთად გავიდნენ მოსკოვში, სადაც დეკემბერში (? – გ.ც.) გაგზავნეს საქონელი. ყარანგოზოვი ცხოვრობდა სასტუმრო ევროპაში. მისი ცოლი ცხოვრობს მუხრანსკებთან" (ფ. 169);

8. 1923 წლის 23 იანვარი. №67. „გეორგაძის" „ცნობა გორის ავჯანყების შესახებ", მნიშვნელოვნად ვრცელია და საჭიროდ მიგვაჩნია მხოლოდ განსაკუთრებული ჩეკისტურ-აგენტურული ინფორმაციის გამოყოფა:

რაზმი „... ორგანიზებული იქნა კავთისხევის რაიონში საქვეყნოდ განთქმული ქაქუცა ჩოლოყაშვილის მხარდასაჭერად. როდის დაიწყო პროპაგანდა ძნელი დასადგენია, მაგრამ მან განსაკუთრებული სიმწვავით გამოვლინება გასული წლის გაზაფხულზე მიიღო." „გეორგაძის" აზრით, ყველაზე საქმიანი პროპაგანდისტი იყო მენშევიკების პარტიის წევრი ლაშქარაშვილი, მოხერხებული, მცოდნე, განვითარებული, საერთოდ, გორის მაზრაში, განსაკუთრებით კავთისხევის რაიონში პოპულარული. ლაშქარაშვილი ინსტრუქციებს ღებულობდა მენშევიკური ცენტრიდან. გარშემო იკრებდა ყოფილ სახალხო გვარდიელებს, რომელთაც მენშევიკების დროს სხვადასხვა... თანამდებობები ეკავათ და, საერთოდ, ყველა ახალი წყობით უკმაყოფი-

ლოს. ამ ხალხის მიერ გამოიყენებოდა გადასახადების აკრეფის პერიოდები. უკანასკნელის წარმატებები უნდა მიეწეროს ხელისუფლების უმოქმედობას, გამოცდილი და საქმისადმი ერთგული პარტმუშაკების მცირერიცხოვნობას და, მეორე მხრივ, კომპარტიის ზოგიერთი იმ წევრების არაკეთილსინდისიერებას, რომლებიც პარტიაში შევიდნენ მომხვეჭელობის და თავიანთი ბინძური საქმეების მოგვარების მიზნით. კავთისხევის რაიონში განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ქვემო ხანდაკში ა–შვილი (აქ და შემდეგშიც დაშიფრულია ჩვენს მიერ – გ.ც.), ზემო ნიჩბისში ხ–შვილი, სოფ. ნადირაანთკარში – ნ–შვილი, რომლებიც იმდენად ატერორებდნენ მოსახლეობას, რომ მათი წყალობით ლაშქარაშვილის რაზმელებმა ადვილად მოჰკიდეს ხელი იარაღს." „გეორგაძე" ძირითადად ამ სამი პიროვნების მიზეზებით, მათ მიერ ხალხის ტერორიზებით და ადგილობრივი აღმასკომის უყურადღებობით ხსნის უკმაყოფილების საფუძველს. მისი დასმენის მიხედვით: „ვრცელდებოდა ხმები ბოლშევიკების მოსალოდნელი აღსასრულის, მალე ნოეს ჩამოსვლის, ინგლისის ჯარების მოსალოდნელი შემოტევის და ძველი ხელისუფლებისადმი დამორჩილების აუცილებლობის გამო ნოეს ბრძანების არსებობის შესახებ." „გეორგაძე" აღნიშნავს, რომ ანტისაბჭოთა პროპაგანდას არ დაუპირისპირდა საწინააღმდეგო მუშაობა. ამავე დროს თბილისში მიმდინარეობდა ყოფილი ოფიცრების გადაბირება. ამ საქმეს ეწეოდა ყოფილი პოლკოვნიკი ნარიკელაძე და პორუჩიკი კლიმიაშვილი. შეკრებები იმართებოდა აგურის (Кирпичной ул.) ქუჩის „ხის პატარა რესტორნის უკანა ეზოში. ცენტრიდან ყოველთვის ესწრებოდნენ პარტიის წევრები: მიშა აბულაძე, კვალიაშვილი (დაპატიმრებული იქნა გ. წ. ოქტომბერში), და კიდევ ერთი საშუალო სიმაღლის კოჭლი" (ჩვენი აზრით, გვარად დემეტრაძე – გ.ც.). „გეორგაძის" ინფორმაციით, აჯანყებულთა ხელმძღვანელი თანამდებობებისათვის სექტემბრის დასაწყისში გადაიბირეს: ყოფილი სახალხო გვარდიის ცხენოსანთა პოლკის ასეულის ყოფილი უფროსი სიმონიკა ბაგრატიონ–მუხრანსკი, ქართული მსროლელთა პირველი პოლკის შემადგენლობის მეთაური – რევაზ ჩიქოვანი, პირველი პოლკის ერთ–ერთი ხელმძღვანელი – ფარნაოზ კავალოვი, უნივერსიტეტის სტუდენტი – ავთანდილ გედევანოვი, ქართული სამხედრო სკოლის კურსანტი ნიკოლოზ ციციანოვი, სოფ. კავთისხევის მემამულე საყვარელიძე და კიდევ 10–15 კაცი. 18 სექტემბერს მუხრანსკიმ მათთვის მიიღო 4 მაუზერი, 6 ნაგანი, ბინოკლი,

კომპასი, რუკები, მედიკამენტები, 60 მილიონი და ამოცანა. 21-ში ეს პირები რკინიგზით გაემგზავრნენ კავთისხევის რაიონში. შესაკრები პუნქტი დანიშნული იყო ტყეში, ქვათახევის მონასტერთან, სოფ. ხანდაკიდან 15 კილომეტრზე, სადაც მათ შეიარაღებულებთან ერთად ელოდა მ. აბულაძე და ლაშქარაშვილი. რაზმს სათავეში ჩაუდგა ს. მუხრანსკი, რომელსაც რამდენიმე დღის შემდეგ ეს თანამდებობა უნდა გადაეცა პოლკოვნიკ დათიკო წერეთლისათვის (ყოფილი სახალხო გვარდიის პოლკოვნიკი). რაზმი დღითიდღე ივსებოდა. 28-ში ყაზბეგის რაიონიდან უნდა შემატებოდათ 50 შეიარაღებული. კავშირი დაამყარეს შალიკო ფავლენიშვილთან და ძეგვის ხიდის დაცვასთან, რომელიც 4 ტყვიამფრქვევით უნდა გადასულიყო აჯანყებულთა მხარეზე. ამბობენ, რომ სასწრაფო მოლაპარაკება მიმდინარეობდა მცხეთაში მდგარ ჯავშანმატარებლის უფროსობასთან. 27-ში ღალატის შემჩნევის გამო საველე სასამართლომ სიკვდილი მიუსაჯა სოფ. თვალედის მცხოვრებ ნ-შვილს, მაგრამ განაჩენის სისრულეში მოყვანა ვეღარ მოესწრო. 28-ში გამომუშავდა გეგმა, რომლის მიხედვით ორად გაყოფილი რაზმი 29-ში უნდა დასცემოდა დუშეთს, შეერთებოდა შ. ფავლენიშვილის რაზმს და აგრეთვე გორის ახალქალაქს. მაგრამ 28-ში ღამით სოფ. ხანდაკში ჩამოვიდა კ. გაბაევი, გამოიძახა თავისი ძმა და ყველა ხელმძღვანელი პირი. მოლაპარაკება სოფლების წარმომადგენლებთან ერთად დილამდე მიმდინარეობდა. კ. გაბაევმა, ხელისუფლების სახელით, ყველას, ვინც იარაღს დაყრიდა, სრული ამნისტია აღუთქვა. შემდეგ მოლაპარაკება მიმდინარეობდა ლაშქარაშვილთან, რაც იმით დამთავრდა, რომ მან მსურველებს დაშლის წინადადება მისცა. საღამოს ცენტრიდან მიიღეს მითითება: ჩოლოყაშვილის წარუმატებლობის გამო რაზმმა აქტიურობა არ გამოავლინოს და მცირე ჯგუფებად დაიყოს. დილით მთელი რაზმი დაიშალა. გამოიყო 15 კაციანი დელეგაცია, რომელიც კ. გაბაევთან ერთად თბილისს გაემგზავრა. აბულაძე, ლაშქარაშვილი და მუხრანსკი მიიმალნენ. შემდგომში მუხრანსკი კ. გაბაევის დახმარებით გამოცხადდა საქართველოს ჩეკას თავმჯდომარესთან (კ. ოკუჯავასთან — გ.ც.) და ამნისტირებულ იქნა.

„ბეორგაძის" ინფორმაციის მიხედვით, ამბოხებულებს საქმიან დახმარებას უწევდნენ აღნიშნული მონასტრის ბერები. ამ პერიოდში ბაგრატიონ-მუხრანსკი მოგზაურობდა დუშეთის მაზრაში. იგი იტყობინება, რომ „ამასთანავე ეს მუხრანსკი პირადი მეგობარია ქაქუცა

ჩოლოყაშვილისა და შალვა ფავლენიშვილისა. გასული წლის აგვისტოში ქაქუცამ სიმონიკას წერილით სთხოვა, ეთხოვა საშა გეგეჭკორისთვის, ეხლაფორთა, მძევლების სახით დაპატიმრებული მისი ოჯახის წევრების განთავისუფლებისათვის."

„გეორგაძის" შეტყობინებაში მოცემულია მეამბოხეთა მეთაურების იმდროინდელი ადგილსამყოფელი:

„1. მიშა აბულაძე თბილისში ცხოვრობს – კიროჩნის №2.

2. მუხრანსკი ცხოვრობს: ევგენევსკის ჩიხი №3.

3. ჩიქოვანი სამხედრო რევოლუციურ ტრიბუნალს გადაეცა სასახლეში პოსტის მიტოვების გამო.

4. კარალოვი მსახურობდა და ახლაც პოლკშია.

5. კვალიაშვილი მგონი გასახლებულია.

6. გედევანოვი სწავლობს უნივერსიტეტში – იგივე ცხოვრობს ვარდისუბნის – სახლი №14.

7. საყვარელიძე ცხოვრობს სოფელში.

8. ლაშქარაშვილი კონსტანტინეპოლში გაიქცა.

9. დათიკო წერეთელს უკავია საწყობის გამგის თანამდებობა საქართველოს სახალხო ბანკში" (იხ. სუკის არქივი, №24060, ფ. 148).

1923 წლის 25 იანვრის აგენტურულ ცნობაში ნათქვამია: „კლიმიევმა იცის, სად არის იარაღის საწყობი ელიზავეტოპოლის ქუჩაზე, თუმცა ამბობს, რომ არ იცის, რადგან როცა იარაღის წასაღებად ბაგრატიონის ხალხი მოვიდა, ვითომ ვერ დაინახა, თუ რაღაც ამის მსგავსი" (სუკის არქივი, №24060, ფ. 72).

როგორც ვნახეთ, ჩეკას აგენტი „გეორგაძე" მრავალმხრივ საყურადღებო პიროვნებაა და ასევე უაღრესად საყურადღებო ინფორმაციას ფლობს. ეჭვი არ არის, რომ იგი ი. ნარიკელაძესა და ანტისაბჭოთა მოძრაობის წარმომადგენლებთან უაღრესად დაახლოებული პირია. ძიების მასალების საფუძველზე ირკვევა, რომ იგი ს. ბაგრატიონ-მუხრანსკის და სხვათა შესახებ ზუსტ ინფორმაციას ფლობს. „გეორგაძის" ინფორმაციიდან ისიც ჩანს, რომ იგი პოლიტიკური პოზიციით საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე ერთგულად დგას. „ინფორმატორი" „გეორგაძე" რომ არალეგალებს შორის დიდი ხანია „ტრიალებს" და მათში შინაური კაცია, ამას მოწმობს აგრეთვე მისი 1922 წლის კიდევ ერთი ინფორმაცია: „8 ნოემბერი. ვეტერინარული ექიმის ივანე ქუთათელაძის ბინაზე ვიღაცამ იკითხა, როგორ ურთიერთობაში ხართ ვარდენთან (წულუკიძესთან – გ.ც.). მომხსენებე-

ლმა უპასუხა, რომ მოლაპარაკება მიდის და „ვარდენის“ მიერ წამოყენებული რიგი პირობები განიხილება სამხედრო კოლეგიაზე“ (სუკის არქივი, №98082, ფ. 10). აქედან ისიც ჩანს, რომ „გეორგაძე“ ესწრება სამხედრო კოლეგიას თუ არა, რაღაც მის მსგავს სხდომას, რომელიც ივანე ქუთათელაძის ბინაზე გამართულა.

სამხედრო მოსამსახურის ივანე ქუთათელაძის 1923 წლის 9 მაისის ჩვენებიდან ჩანს, რომ მის ბინაზე იკრიბებოდნენ ოფიცრები, რომლებიც დაკავშირებული იყვნენ ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიასთან, კერძოდ იასონ ჯავახიშვილთან და მსჯელობდნენ ანტისაბჭოთა ბრძოლის საჭიროებისათვის ფულის შეგროვებაზე, აგრეთვე ექსპროპრიაციაზე. ი. ქუთათელაძის დახვრეტის შესახებ 1923 წლის 19 მაისის დადგენილებაში ნათქვამია: „...ქმნიდა ოფიცერთა კონტრრევოლუციურ და ექსპროპრიატორთა ჯგუფს...“ (სუკის არქივი, №28336, ფ. 1.). მისი სამძებრო საქმის მასალებით ირკვევა, რომ 1922 წლის ოქტომბერში შეხვედრია ი. ჯავახიშვილს. „ერთად ვსწავლობდით გიმნაზიაში... ქართველი ხარო და უნდა ითანამშრომლო ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაშიო... გავაცანი გაბაევი კონსტანტინე... **გამაცნო მეკავშირე** (!!! – **გ.ც.**), რომელიც ჩემს ბინაში უნდა შეხვედროდა სხვებს. მეკავშირე (? – გ.ც.) ახლო იყო ვიქტორ ყარანგოზოვთან... ისინი საუბრობდნენ ფულზე... 8 სექტემბერს ჩემს ბინაზე შეიკრიბნენ ყარანგოზოვი, გაბაევი, „კავშირი“ (ეტყობა სახელი და გვარი არ გაუმჟღავნეს – გ.ც.) და კიდევ ერთი (? – გ.ც.)... „კავშირმა“ გააკეთა ანგარიში... სამხედრო ორგანიზაციის შესახებ მე ჯერ მელაპარაკა „კავშირი“, რომ ამ სამხედრო ორგანიზაციაში მხოლოდ ოფიცრები უნდა ყოფილიყვნენ... „კავშირმა“ შემომთავაზა მომენახა ხალხი ექსპროპრიაციისათვის...“ (სუკის არქივი, №98336, ფ. 25-26). აქედან ისე გამოდის, რომ ჩეკას აგენტი „გეორგაძე“ უნდა იყოს ვიღაც „კიდევ ერთი“. მაგრამ ჩვენებაში მითითებულია, „კრებაზე ვარდენ წულუკიძეზე ლაპარაკი არ იყო“, როგორც ჩანს, ძიება 1923 წლის 9 მაისს დაინტერესდა გაეკონტროლებინა „გეორგაძის“ ა.წ. 25 იანვრის ინფორმაციაში აღნიშნული შესაბამისი ტექსტი, მაგრამ უშედეგოდ. ამდენად, საფიქრებელია, რომ „გეორგაძე“ საძებნელი სხვა მსგავსი სხდომის მონაწილეებშიც იყოს. მაგრამ ერთი რამ ცხადია, ეს არის „სამხედრო კოლეგია“, შექმნილი ი. ჯავახიშვილის მიერ და ივ. ქუთათელაძის მეშვეობით, რომელიც ცდილობს გაარკვიოს ურთიერთობა „სამხედრო ცენტრის“ მენშევიკ წარმომა-

დგენელ ვარდენ წულუკიძესთან, რომელიც ცნობილია, რომ ექსტრემისტი ეროვნული დემოკრატებისათვის მიუღებელი პიროვნებაა. ე.ი. „გეორგაძემ“ უკვე ამ დროს საკმაოდ ბევრი იცის.

ისმება კითხვა: ხომ არ არის ეს ინფორმატორი „გეორგაძე“ ცნობილი ილარიონ გიორგაძე, რომელიც 1923 წლის დეკემბერში, „პარიტეტული კომიტეტის“ გადაწყვეტილებით, მ. კოლუაშვილს მოაკვლევინეს. ამ შემთხვევაში გამოდის, რომ „გეორგაძე“ ყოფილა „სამხედრო კოლეგიის“ 8 სექტემბრის სხდომის მონაწილე, ანუ ის „კიდევ ერთი“, რომლის ვინაობა დოკუმენტში რატომღაც არა ჩანს. მაგრამ ეს ამ დროს ჯერ კიდევ ამოუცნობია.

მ. კოლუაშვილმა ი. გიორგაძის მკვლელობის გამო უჩვენა: „29 დეკემბერს ცეკამ (მენშევიკებისამ – გ.ც.) შემატყობინა, რომ ილარიონ გიორგაძე... უნდა მოკვდეს... რადგანაც მთელი აჯანყების გეგმა იცის, გაცემას აპირებს...“ „გიორგაძეს მე ვიცნობდი სახეზე, – წერს მ. კოლუაშვილი, – რამდენჯერმე მინახავს ნოე ხომერიკთან, გ. ფალავასთან, კოტე ანდრონიკაშვილთან და სხვა“ (ნ. კირთაძის დასახელებული წიგნი, გვ. 316). 29 დეკემბერს მ. კოლუაშვილმა ი. გიორგაძე მოკლა სადღაც სატივეს უბანში. ამ დროს პატიმრობაში მყოფმა ნოე ხომერიკმა ეს ამბავი უაღრესად მძიმედ განიცადა და ხელისუფლებას ჩეკას ხელმძღვანელების გზით საპროტესტო წერილი გადასცა. იგი დარწმუნებული იყო, რომ გაზეთში გამოქვეყნებული ცნობა თანამებრძოლების მიერ ი. გიორგაძის მკვლელობის შესახებ ხელისუფლების მიერ ორგანიზებული პროვოკაცია იყო და ამიტომ მოითხოვდა საკითხის საფუძვლიან გამოკვლევას (სუკის არქივი, №2105, ფ. 109). მან ვერ გაიგო, რომ ბერიამ მას „ეშმაკი“ საქართველოში ჩამოსვლისთანავე მიამაგრა და მთელი მისი მამულიშვილური ბრძოლა ჩეკას „რენდგენით“ იმზირებოდა. ნ. ხომერიკის მონაწილეობით მოკლული კ. მისაბიშვილი კი აქ არაფერ შუაშია. თუ ეს ის „გეორგაძეა“, რომელიც ივ. ქუთათელაძის ბინაში „სამხედრო კოლეგიის“ სხდომას ესწრებოდა და მის შესახებ ინფორმაციას აგროვებდა, მაშინ „სამხედრო ცენტრის“ გაცემა მას არ უნდა გასჭირვებოდა. მით უმეტეს მან უკვე 1922 წლის ნოემბრიდან – 1923 წლის იანვრის 25-მდე, ანუ ვიდრე კ. მისაბიშვილი ციხიდან გამოვიდოდა, ი. ნარიკელაძის და ვ. წულუკიძის შესახებ ჩაშვებისათვის საჭიროზე მეტი იცოდა. მაგრამ ეს აგენტი „გეორგაძე“ თუნდაც რომ არ იყოს

კოლუაშვილის მიერ მოკლული ილარიონ გიორგაძე, ჩეკას მაინც უზარმაზარი ინფორმაცია უგროვდებოდა სხვა აგენტ-ინფორმატორებისაგან და თვით ტერორის მსხვერპლი გიორგაძის ნ. ხომერიკთან განსაკუთრებული სიახლოვის გამო. მაგრამ ცალკეულ აგენტ-ინფორმატორებზე გაცილებით მეტი „დამკომისა" და „სამხედროების" შესახებ იცოდა ჩეკას ცენტრმა, რომელიც თავს უყრიდა არა ერთი აგენტის და ინფორმატორის ცნობას, არამედ ბევრისას. ამასთანავე, ჩეკას გონებრივ ცენტრს ხელთ ეპყრა იმ ახლად დაპატიმრებულების ჩვენებები, რომლებიც ანტისაბჭოთა ბრძოლის ორგანიზების ცხელ-ცხელ ამბებში ერევნენ.

ახლა რაც შეეხება სხვა, არანაკლებ საყურადღებო, აგენტურულ და ინფორმატორულ ცნობებს. გენერალ ვარდენ წულუკიძის სამძებრო საქმეს ერთვის „მემორანდუმი" ვრცელი და საყურადღებო ინფორმაციით (სუკის არქივი, №28082, ფ. 2-10 ორმხრივ). იგი იყოფა ორ ნაწილად: პირველი იწყება 1922 წლის 30 მარტით და მთავრდება 29 ივნისით.

1922 წლის 30 მარტის აგენტურულ ცნობაში ნათქვამია: ვ. წულუკიძე არის „... ყოფილი გენერალი მონარქისტი, მენშევიკების მთავრობის დროს ახალციხე-ახალქალაქის შეიარაღებული ძალების უფროსი, შემდეგ ამ რაიონის გენერალ-გუბერნატორი. აქტიურად მონაწილეობდა საბჭოთა ჯარების წინააღმდეგ ბრძოლაში და აჩერებდა წითელი ჯარების შეტევას მარცხენა ფლანგზე..."

31 მარტის აგენტურული ცნობა: „საქართველოს სსრ სასაზღვრო ბრიგადაში მუშაობის დროს თავის გარშემო იკრებს თანამოაზრეებს – კონტრრევოლუციონერებს, მაგალითად ყოფილ პოლკოვნიკს თავად მუსხელოვს, ყოფილ სამხედრო სამინისტროს კონტრდაზვერვის პოლკოვნიკს – ძაგანიას..." 29 ივნისის აგენტურული მონაცემი აღნიშნავს, რომ ვ. წულუკიძე დაუპატიმრებიათ 7 აპრილს გაცემული ორდერით. „მოცემულ დროს ზის გამასწორებელ სახლში." „პატიმრობიდან განთავისუფლდა 30 ივნისს" (სუკის არქივი, №28082, ფ. 9). მაშასადამე, პირველ ეტაპზე კონტროლზე აუყვანიათ და, როგორც „არასაიმედო", 1922 წლის პროფილაქტიკურ პატიმრობაში გაუტარებიათ.

ვ. წულუკიძის აგენტურული მონაცემების მეორე ნაწილი კ. მისაბიშვილის დაპატიმრების შემდგომი დროით, 21 ივლისით იწყება; აქ ნათქვამია, რომ გენ. წულუკიძე დაკავშირებულია ყოფილ მაღა-

ლჩინოსან სამხედროებთან – ნარიკელაძესთან, ცინცაძესთან, ურუ-შაძესთან, შავდიასთან და სხვ.

28 სექტემბერის აგენტურული ცნობა მიუთითებს ბინის მისამა-რთს და აზუსტებს, რომ მასთან ერთად ცხოვრობს ექიმი მიქელაძე შალვა ანტონის ძე.

29 სექტემბერს აგენტი იტყობინება, რომ შედგა შეხვედრა წუ-ლუკიძესა და ნარიკელაძეს შორის.

30 სექტემბერი: „ნარიკელაძე გამოვიდა სამხედრო-საზღვაო სა-ხალხო კომისარიატიდან წულუკიძესთან ერთად, შევიდნენ საქ. მო-მარაგების ბრიგადის სამმართველოში და ალექსანდროვის ბაღში. აქ რაღაცაზე სერიოზულად ლაპარაკობდნენ."

27 ოქტომბერი – ინფორმატორი „ილოევი": „ნარიკელაძემ სთქვა: ხელმძღვანელობს რაზმების ორგანიზაციას საქართველოში, წუხდა თავისი ახალგაზრდა თანაშემწის სუსტი გამოცდილების გამო, რომ ცენტრში („დამკომში" – გ.ც.) არ ესმით სადაზვერვო სამხედრო სა-ქმის ამოცანები, რადგან იქ სამხედრო სპეცები არ არიან, ამიტომ სისტემატიურად ხანგრძლივად უხდება ახსნა და მტკიცება ფულის შესახებ. დამპირდა იშოვოს, რომ მთელი ეს ანგარიში გადასცეს გე-ნერალ წულუკიძეს, როგორც სამხედრო „კაცს". როგორც ჩანს, ინფო-რმატორი თვითონვე არის „დამკომის" და „სამხედრო ცენტრის" კო-ნტრდაზვერვის უფროსის ნარიკელაძისათვის ინფორმაციის ფულით მიმწოდებელი. მაშასადამე, ჩეკას ნარიკელაძე და სხვანი უკვე ამ დროს ჰყავს ანკესზე წამოგებული.

14, 24 და 25 ნოემბრის აგენტურული მონაცემები აზუსტებენ წულუკიძის გარემოცვას. აქედან ჩანს, რომ მას კავშირი აქვს გედევა-ნოვთან, ნარიკელაძესთან, მუსხელოვთან, სახ. ოპერის არტისტ ქა-რცივაძესთან, საზღვარგარეთ გაქცეულ და ცოტა ხნის წინ დაბრუ-ნებულ (? – გ.ც.) გენერალ კვინიკაძესთან. აქ განსაკუთრებით თვა-ლში საცემია ის, რომ ნარიკელაძე ინფორმატორ „ილოევთან" განსა-კუთრებულ გულახდილობას იჩენს. მას უთქვამს, „შაბათს აუცილე-ბლად უნდა ვნახო წულუკიძე და გადავწყვიტო მუშაობის შესახებ ზოგი საკითხიო". აგენტმა იცის, რომ წულუკიძე „მეგობარი და ახლო-ბელია" ნარიკელაძის.

განსაკუთრებით საყურადღებოა „ილოევის" 26 ნოემბრის ინფო-რმაცია: „ნარიკელაძემ სთქვა, ფავლენიშვილისადმი აღმოჩენილ დო-კუმენტებში ნათქვამია თბილისის ორგანიზაციისაგან ჩოლოყაშვი-

ლისადმი, რომ ვარდენ წულუკიძის დავალებები არ შესრულდეს, რადგან იგი აქტიური მოქმედების წინააღმდეგია.

ნარიკელაძემ სთქვა, რომ ეს ორგანიზაცია მისთვის უცნობია, და როგორც ჩანს იმ ორგანიზაციის პარალელურად მუშაობს, რომელშიც იმყოფება ნარიკელაძე. იგი შეშფოთებული იყო იმით, რომ ეშინოდა წულუკიძის დაპატიმრებისა, რომელსაც იცავს, როგორც კარგ მუშაკს."

„ილოევის" 28 ნოემბრის შეტყობინებაში ნათქვამია: „26 ნოემბერს ვიყავი ნარიკელაძესთან. პირველად მან ლაპარაკი მყისვე დაიწყო ფავლენიშვილზე, კერძოდ „პრავდა გრუზიაში" გამოქვეყნებულ სტატიაზე, რომელშიც ლაპარაკია ფავლენიშვილს რომ უპოვნეს იმ მასალაზე. ახსენა, რომ უკანასკნელს ჰქონდა რაღაც საიდუმლო ქაღალდები ხელმოწერილი ფსევდონიმებით „მუხა" და „სამფერი". ნარიკელაძეს გაუკვირდა, რატომ მუშაობს ეს ორგანიზაცია ცენტრის ნების გარეშე, ასე რომ, ორგანიზაციამ, რომელშიც ჩაბმულია ნარიკელაძე არ იცოდა იმ ორგანიზაციის შესახებ და პირველი აღშფოთდა, რომ ისეთი ჭკვიანი კაცი, როგორიც ფავლენიშვილია, ამ დოკუმენტებს თავისთან ინახავდა, რადგან ნარიკელაძის სიტყვებით ისინი დაწერილია დიდი ხნის წინ. ნარიკელაძე ამბობდა, რომ ამ დოკუმენტებში სხვათა შორის წერია, რომ ჩოლოყაშვილმა არ შეასრულოს ვ. წულუკიძის დავალებები, რადგან უკანასკნელი აქტიური მოქმედების წინააღმდეგია. ნარიკელაძე შეშფოთებული იყო, რადგან ეშინია, რომ შეიძლება დაიკარგოს ღირებული მუშაკი წულუკიძის სახით. ვარაუდობს, რომ მას (ვ. წულუკიძეს – გ.ც.) დაიჭერენ, მაგრამ ამბობს, რომ დაპატიმრების დროს ვერაფერს აღმოაჩენენ".

„მემორანდუმის" უკვე 1922 წლის 5 დეკემბრით დათარიღებულ ჩანაწერში ვკითხულობთ: **„წულუკიძის საქმე გადაიგზავნოს ზაკჩეკაში"**. ამავე თარიღით მითითებულია: **„წულუკიძის საქმე №952-ში გამსვლელი კონტრრევოლუციური პირები გადიან ნარიკელაძესთან კავშირში"**.

1923 წლის 10 იანვრის „გეორგაძის" ინფორმაცია გვეუბნება: „კლიმიაშვილმა დაბეჯითებით განაცხადა, რომ **წულუკიძე მუშაობს მენშევიკებთან."** იმავე „გეორგაძის" 14 თებერვლის შეტყობინებაში ნათქვამია: „კლიმიაშვილს რომ ვკითხე, რას წარმოადგენს ნარიკელაძე, მიპასუხა: **ნარიკელაძე ძალიან ფასიან ცნობებს აწვდის წითელი არმიის ცალკე შტაბიდან** (ანუ საბჭოთა რუსული არმიის შტა-

ბიდან – გ.ც.) სამხედრო ცენტრში. ადრე რომ ვკითხე კლიმიაშვილს: ვინ შედის სამხედრო ცენტრში განსაკუთრებით ცნობილი ოფიცრებიდან, მან დამისახელა ვარდენ წულუკიძე და ნარიკელაძე" (სუკის არქივი, №28082, ფურც. 10/2. ხაზგასმა ჩვენია – გ.ც.).

მათთვის, ვისაც სურთ, დაბეჯითებით ამტკიცონ, რომ თითქოს „სამხედრო ცენტრის" ჩავარდნა დაკავშირებული იყო კ. მისაბიშვილის „გამცემლობასთან" და მ. ჯავახიშვილის „მშიშრობასთან", თუ მის კავშირთან „გამცემ" კ. მისაბიშვილთან, მოგვაქვს დამატებითი ცნობები. ისინი უდავოდ მეტყველებენ, რომ ჩეკა იმთავითვე თვალს ადევნებდა დ. ვაჩნაძესა და მასთან დაკავშირებულ პატრიოტებს, აგრეთვე „დამოუკიდებლობის კომიტეტს". ამით დამატებით დასტურდება, რომ ანტისაბჭოთა მოძრაობის ამ ხელმძღვანელი ცენტრების წარმომადგენელთა დაპატიმრება იყო მხოლოდ პოლიტიკური მომენტის მოთხოვნების შესაბამისი მოვლენა. დ. ვაჩნაძის ქალიშვილის, თამარის, მონათხრობის მიხედვით, იზმაილოვის ქუჩის №34-ში, მათი ბინის „მეორე სართულზე ცხოვრობდა რუსი ქალი ნეჟნოვა, რომელიც ჯაშუში ყოფილა. „ვინც კი ჩვენთან მოვიდოდა, – წერს თამარი, – ყველაფერს ატყობინებდა საცა საჭირო იყო" (იხ. გ. შარაძე, უცხოეთის ცის ქვეშ, წ. III, გვ. 72). კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ, ეჭვის გარეშე დასტურდება ჩეკისტების მიერ დამკომის ადგილსამყოფელის ზედმიწევნით ცოდნა. ცნობილი ანტისაბჭოთა მებრძოლი, ემიგრანტი და ჩეკისტების მიერ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გერმანიიდან მოტაცებული გენერალი შ. მაღლაკელიძე ყოფილი დისიდენტის ვ. რცხილაძისადმი კონფიდენციალურად მიცემულ ინტერვიუში ამბობს: ჩემი ჩეკაში პატიმრობის დროს „როდესაც კოტე ცინცაძე გადააყენეს, დანიშნეს კოლია ოკუჯავა და დადგა საკითხი, რომ მე უცხოეთში უნდა წავიდე (1922 წლის შემოდგომაზე – გ.ც.), კოლია ოკუჯავამ გამაფრთხილა ჩეკას შენობაში. მოსკოვის ქუჩაზე არსებობს „ბაბი გოროდოკი", იქ არიან „პარიტეტული კომიტეტის წევრები, სახლში ნაგაზი ყავთ, ვინმე რომ მივა ფანჯრიდან გამოიჭყიტებიან. ქვეყანამ იცის მათი არსებობა და მითხრა, რომეო, იქნებ რამენაირად ამის შესახებ ჟორდანიას აცნობო და ასეთ პირობებში გამოსვლები როგორ შეიძლებაო, ხომ დაიღუპა ხალხიო..." (იხ. ვ. რცხილაძე, ქართველები გერმანული დროშის ქვეშ მეორე მსოფლიო ომში, თბ. 1994, გვ. 130-131). ამ ნათქვამს ადასტურებს თედო სახოკიას ძმისწულის დორა სახოკია-გურგენიძის „ფარული ცხოვრე-

ბის ერთი ფურცელი", რომელიც ბატონი თედოს სწავლულმა შვილიშვილმა ქალბატონმა შუქია აფრიდონიძემ გამოაქვეყნა. აქედან ჩანს, რომ 1923-1924 წლებში ბიძასთან მცხოვრები უნივერსიტეტის სტუდენტი დ. სახოკია „დამკომის" წევრთა შეკრებების და თავგადასავალთა მოწმე ყოფილა. იგი აქ გაეცნო დავით ონიაშვილს, კოტე ანდრონიკაშვილს, იასონ ჯავახიშვილს, სოლომონ ზალდასტანიშვილს, პოლკოვნიკ ცაგურიას (იხ. გაზ. „თბილისი", 1997, 20 მაისი). დიახ, ქვეყანას ცოდნია „პარიტეტული კომიტეტის" არსებობა ჯერ კიდევ 1922 წლიდანვე და კიდეც დაიღუპა ხალხი 1923 წელს და 1924 წელსაც. ჩვენს მიერ მობილიზებული ცნობები აშკარად მეტყველებს იმას, რომ „სამხედრო ცენტრის" წევრების დაპატიმრებისათვის საჭირო აგენტურულ-ინფორმატორული საფუძველი ჯერ კიდევ მანამდე მომზადდა, ვიდრე გადადგებოდა საქართველოს კომპარტიის ცკ-ის „ნაციონალურ-უკლონისტური" ხელმძღვანელობა, აგრეთვე ვიდრე შეიცვლებოდა საქართველოს ჩეკას უკლონისტური ხელმძღვანელობა და დაწინაურდებოდნენ ე. კვანტალიანი და ლ. ბერია. მაშასადამე, ჩეკას ორგანოები თავიანთ დიდ სამუშაოს ასრულებდნენ და მასობრივი დაპატიმრებისათვის საჭირო ინფორმაციას, მართლაც, ყოველდღიურად, ჯერ კიდევ კ. მისაბიშვილის ციხეში ყოფნის დროს, „სამხედრო ცენტრის" წევრებთან უშუალო კონტაქტის, გასაუბრებების თუ თვალ-ყურის დევნებით აგროვებდნენ. მაგრამ ჩვენ ხომ ხელი, ალბათ, ამ ინფორმაციის ერთ პროცენტზეც არ მიგვიწვდა?! ჩეკას სათანადო განყოფილებას კი უთუოდ მთელი ანტისაბჭოთა მოძრაობის წარმომადგენლობის მამხილებელი მასალა ხელის გულზე ეწყო. ამდენად, გასაგებია, თუ რამდენად გულუბრყვილოა აზრი იმის შესახებ, რომ თითქოს კ. მისაბიშვილმა 1923 წლის იანვრის ბოლოს ციხიდან გამოსვლის შემდეგ „გასცა „სამხედრო ცენტრი..." და მით უმეტეს რამდენად აბსურდულია ასეთი აზრის შემდგომი განვითარება.

რაც შეეხება „სამხედრო ცენტრის" წევრთა დაპატიმრებას, ეს იყო არა მარტო მნიშვნელოვანი სამართლებრივი, არამედ პოლიტიკური აქტი და, ამდენად, იგი განსაზღვრა არა 1923 წლის თებერვალ-მარტში ვინმე გამცემლის ინიციატივამ, არამედ ზემდგომი ორგანოების პოლიტიკურმა გადაწყვეტილებამ. როგორც ზემოთ ბ. ლომინაძის „მოხსენების" ამონარიდის საფუძველზე აღვნიშნეთ, ანტისაბჭოთა მოძრაობის წარმომადგენლების მიმართ რეპრესიები, ტერორი

და, საერთოდ, „ნაჯახით“ მიდგომა საქართველოს კომპარტიის ახალმა მდივანმა ახალი ხელმძღვანელობის ხისტი („жесткий“) კურსიდან გამომდინარედ ახსნა. ამაში ეჭვის შეტანა შეუძლებელია. მაგრამ „სამხედრო ცენტრის“ წევრი გენერლებისა და უმაღლესი ჩინის ოფიცრობის და სხვათა დაპატიმრება, ჩვენი აზრით, მაინც უფრო ზემოთ უნდა გადაწყვეტილიყო.

აი, ვინ და როგორ გასცა „სამხედრო ცენტრი“. ამ დროს პატიმარი კ. მისაბიშვილი უკვე მერვე თვეა საქართველოს ჩეკას „№2 გამასწორებელ სახლში, ანუ ინფორმაციულ ჭურში ზის, და რაოდენ დიდი აბსურდი, უცოდინარობა და ცოდვაა, როდესაც მას აბრალებენ თანამოაზრე-თანამებრძოლებისა და სამშობლოს ღალატს, და მით უმეტეს, როცა ამ აბსურდს სახელდებით ავრცელებენ მ. ჯავახიშვილზე.

ჩვენს მიერ მოტანილი წყაროების ანალიზის შემდეგ სავსებით ლოგიკური და ადვილად გასაგებია, თუ რატომ დააპატიმრეს „სამხედრო ცენტრის“ წევრებიდან, პირველ ყოვლისა, ივ. ნარიკელაძე. ეს დღეისათვის ცნობილია მისი ჩვენებების მიხედვით. ი. ნ ა რ ი კ ე ლ ა ძ ე ყველაზე ადრე, უკვე 27 თებერვალს იძლევა ჩვენებას. მისი შინაარსიდან ჩანს, რომ ივ. ნარიკელაძეს ჩეკამ „სამხედრო ცენტრის“ შესახებ დიდძალი ინფორმაცია გამოსძალა. „სამხედრო ცენტრის“ გამო დაპატიმრებულთა უამრავ საქმეებში, როგორც მამხილებელი, იძებნება ამონაწერები ივ. ნარიკელაძის 27, 28 თებერვლის და 1, 2, 3, 5, 6, 7, 13 მარტის და 29 აპრილის ჩვენებებიდან. მართალია, თავად ივ. ნარიკელაძის სამძებრო საქმეზე ხელი არც ჩვენ და არც სხვა მკვლევარს მიუწვდა, მაგრამ სხვათა საქმეში დართულმა მისმა ინფორმაციამ დაგვარწმუნა, რომ მან ჩეკაში ვეღარაფერი დამალა, რადგან, როგორც ჩანს, იქ უკვე აღარაფრის დამალვა აღარ ხერხდებოდა. ნ. კირთაძის მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტებიდან ჩანს, რომ გულადმა გენერალმა კოტე აფხაზმაც კი ვეღარ დამალა რომ: ედპ-ის თებერვლის სხდომას ესწრებოდნენ იასონ ჯავახიშვილი და მიხეილ იმხნელი; ედპ-ის ცკ-ში შედიოდნენ იასონ ჯავახიშვილი, მიხეილ ჯავახიშვილი, ნიკო კეცხოველი, გიორგი წინამძღვრიშვილი, დიმიტრი ჯავახიშვილი, სერგი დანელია; აქტიური გამოსვლების ყველაზე მკაფიო მომხრე იყო დავით ვაჩნაძე. „იასონმა მითხრა, მან ჩოლოყაშვილს წერილი მიწერა სექტემბერშიო“... როდესაც გამომძიებელმა პანკრატოვმა კ. აფხაზს ჰკითხა: ვისი ფსევდონიმია „სამფერი“? პასუხად მიიღო: „კომიტეტის წევრები ასახელებდნენ ვაჩნაძეს“. კ. აფხა-

ზმა სამხედრო ცენტრის შემადგენლობაში დაასახელა საკუთარი პიროვნება, ვარდენ წულუკიძე, ალექსანდრე ანდრონიკაშვილი და სხვ. (იხ. ნ. კირთაძის დასახელებული წიგნი, გვ. 265-267). მრავალმხრივი ინფორმაციაა სხვა პატიმრების ჩვენებებშიც. მაგრამ, როგორც უკვე ითქვა, პატიმარ ივ. ნარიკელაძის 27 თებერვლის ჩეკას ჩვენებაში ჩნდება პირველი ინფორმაცია „დამკომის" და „სამხედრო ცენტრის", და აგრეთვე მათთან დაკავშირებული ცალკეული პიროვნებების შესახებ. მისი 28 თებერვლის ჩვენების ამონაწერი როსტომ მუსხელიშვილის არალეგალურ ანტისაბჭოთა საქმიანობის შესახებ თხრობას შეეხება. აქ ნათქვამია, რომ „შტაბის უფროსი მუსხელიშვილი მუშაობდა მენშევიკების ცეკასთან. დუშეთის აჯანყების დროს მუსხელოვმა, ცინცაძის დავალებით, კავალერია გადააჯგუფა აჯანყების ჩახშობის მიმართულებით. ეროვნულ-დემოკრატებს დუშეთის აჯანყების დროს მუსხელოვი ინფორმაციას არ აწვდიდა, რაზეც ჩემთან უკმაყოფილება გამოხატა იასონ ჯავახიშვილმა – ნაციონალ დემოკრატების ცეკას წევრმა. 1922 წელს მუსხელოვი შოულობდა სამხედრო ხასიათის ცნობებს კავკასიის ცალკე არმიის შტაბიდან, კერძოდ სტრიხარიდან – ნაციონალ დემოკრატების პარტიის ცეკას წევრის (იგივე პარიტეტული კომიტეტის წევრის – გ.ც.) იასონ ჯავახიშვილის დავალებით. იგი ცნობებს მაწვდიდა ჯარების დისლოკაციის და ბაქოში ერთი პოლკის მილიციის მდგომარეობაში საცდელი გადაყვანის შესახებ" (სუკის არქივი, №24058, ფ. 25-26). ჯერ ერთი, როგორც ირკვევა, ჩეკაში მოხვედრილი აუცილებლად პირადად ავსებს ანკეტას, რომლის თავში დიდი ასოებით წერია: „Лица, давшие неверные показания в анкете, будут подвергнуты строжайшей ответственности" (სუკის არქივი, №28082, ფ. 3 – ვ. წულუკიძის საქმე). მეორე, სუკის არქივში ჩვენს მიერ გამოვლენილი უამრავი მასალიდან ცხადი ხდება ის, თუ რაოდენ მძიმე წამებით და არაადამიანური ფსიქიკური მეთოდებით ხდებოდა პოლიტიკური პატიმრებისაგან ჩვენებების გამოძალვა (იხ.: ჩვენი „ჩეკისტური ბრალდებები შალვა ნუკუბიძის მიმართ და მათი დოკუმენტურ ანალიტიკური კომენტარები", თავი VIII, გვ. 131-133). ჩეკაში სასტიკი წამების შესახებ დამაჯერებლად მოგვითხრობს ყოფილი ჩეკისტი კაკო შელია (იხ. „დილის გაზეთი", 1999, 7 ივლისი). ეს გამოქვეყნებული ინფორმაციები მკითხველს არწმუნებს, რომ ჩეკაში დამკვიდრებული პატიმრების წამების არაადამიანური მეთოდების გამო დიდი სურვილის შემთხვევაშიც კი თითქმის არაფრის დამალვა

აღარ ხერხდებოდა. მაგრამ აქ საჭიროდ გვესახება კიდევ ერთი, ჩვენი აზრით, უაღრესად საყურადღებო, დამატებითი ინფორმაციის შემცველი დოკუმენტის მოტანა. ეს არის სუკის არქივში ჩვენს მიერ გამოვლენილი საქართველოს ახალგაზრდა მარქსისტების არალეგალური, სტამბური პუბლიკაცია: „ოკუპაციის ბარბაროსობა საქართველოს ბასტილიებში და ახ. მარ. ორ-ცია". იგი 1924 წლის აპრილით თარიღდება და მოგვითხრობს იმ ძირითადი „სიმხეცის შესახებ, რომელსაც ჩეკის საგანგებო საკნებში ჯალათები სჩადიან". ამ დოკუმენტში ნათქვამია: „ა) მოქალაქეთა ქურდული მოტაცება" – ბნელი ქუჩიდან პიროვნებას მოულოდნელად იტაცებენ, მიჰყავთ ჩეკაში, უყენებენ ყალბ ბრალდებას, დახვრეტის მუქარით აშინებენ, ეუბნებიან შენ უგზო-უკვლოდ დაკარგულად ჩაგთვლიან. მისგან მოითხოვენ ითანამშრომლოს ჩეკასთან და გასცეს თანამებრძოლები; „ბ) რუსული როზგი" – მეფის დროიდან კარგად ცნობილი რუსული როზგით, მუშტებით, რკინის ზუმბებით და მსგავსი საშუალებებით პატიმრის ფიზიკური შეურაცხყოფა"; „გ) ტუსაღების დამშევა" – მთელი კვირის და თვეების განმავლობაში სადილის აკრძალვით პიროვნების ფიზიკური და სულიერი დაუძლურება"; „დ) საკნები – „ბოჭკა" და „ჩექმა" – პატიმრის სპეციალურ სათავსოში მოთავსება, რომელთაგან იგი პირველში ვერ იმართება, მეორეში კი იძულებული ხდება იქვე დაიკმაყოფილოს ბუნებრივი ადამიანური მოთხოვნილება, განიცადოს აუტანელი სიმყრალე და გულზე შემოყრა"; „ე) დახვრეტის სიმულიაცია" – პატიმარს უკითხავენ დახვრეტის ყალბ განაჩენს, ღამით ნამდვილად დასახვრეტთან ან ინდივიდუალურად გაჰყავთ, დახვრეტის პროცედურას განაცდევინებენ და ცდილობენ მის დამორჩილებას"; „ვ) ჭაობიანი „პადვლები" – პატიმარს აუტანელი ყინვის დროს შიშველს ხანგრძლივად ათავსებენ ჭაობიან, ვირთხებით სავსე სარდაფში".

აღნიშნული დოკუმენტი ამბობს, რომ „დამუშავებული პატიმრები ავადმყოფდებიან სხვადასხვა სახის დაავადებებით, ხშირ შემთხვევაში ტუბერკულიოზით, ზოგი კი ფსიქიკურად. ამის შემდეგ ისინი იგზავნებიან ან ციხეში, ან საავადმყოფოში, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში – ფსიქიატრიულ საავადმყოფოში. ჩეკაში დამკვიდრებული წესის თანახმად, დამუშავებულ პატიმრებს ართმევენ ხელწერილს იმის შესახებ, რომ ისინი განცდილის შესახებ არსად არაფერს იტყვიან." ამ დოკუმენტში აღნიშნულია ისიც, რომ „გაცილებით უარესი მდგომარეობაა პროვინციის პატარა ბასტილიებში" (იხ. სუკის არქივი,

№23361 – დევს ა. ჯიქიას საქმეში ჩაკერებულ დიდ კონვერტში).

ზოგიერთს კი ჩეკა „ლობიოობა“ ჰგონია და საქმეს ისე წარმოაჩენს, თითქოს ჩვენების მიმცემები მოხალისე მთხრობელები არიან. მსგავსი იძულებითი ჩვენების საფუძველზე 3 მარტს დააპატიმრეს როსტომ მუსხელიშვილი (იხ. სუკის არქივი, №24058, ფ. 6). აქედან ჩანს, რომ ს. ზალდასტანიშვილის „მოგონებებში“ ნათქვამი: „...კ. მისაბიშვილმა გასცა მთელი შემადგენლობა სამხედრო ცენტრისა, დუშეთის ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლობა და თანაც გამოააშკარავა პოლკ. მუსხელიშვილის როლი...“ და, აგრეთვე ისტორიკოსების მიერ მისი ნათქვამის შემოქმედებითი გამეორება არის აბსურდი. რ. მუსხელიშვილმა უამრავი დასმული კითხვის პასუხად, თავის ჩვენებებში, თავად ახსნა ზოგი რამ როგორც საკუთარი, ისე მასთან დაკავშირებულ პირთა ანტისაბჭოთა საქმიანობიდან.

ვარდენ წულუკიძის სახელზე ჩეკას ორდერი №17 გამოწერილია 3 მარტს. სავსებით გასაგებია, მისი საქმის ზაკჩეკასადმი გადაცემის შესახებ გადაწყვეტილება ჯერ კიდევ 1922 წლის 5 დეკემბერს დაფიქსირდა. ახლა ვ. წულუკიძეზე დამატებითი სამხელი შექმნა ივ. ნარიკელაძემ, რომელმაც 27 თებერვლის და 2 მარტის ჩვენებებში დაფიქსირა, რომ „გაერთიანებულ სამხედრო ცენტრში მენშევიკებიდან შედიოდა ვარდენ წულუკიძე, ეროვნულ დემოკრატებიდან – ყოფილი თავადი აფხაზი.“ და კიდევ, რომ „გაერთიანებული სამხედრო ცენტრის შემადგენლობაში შედიან მენშევიკთა და მემარჯვენე ფედერალისტთაგან გენერალი ვარდენ წულუკიძე, ეროვნულ დემოკრატთაგან კოტე აფხაზი, გაერთიანებული შტაბის უფროსი, ქართული დივიზიის შტაბის უფროსი მუსხელოვი, მთავარი სამუშაო მუსხელოვს აწვა კისერზე...“ (ნ. კირთაძის დასახელებული წიგნი, გვ. 258, 259.). აღსანიშნავია, რომ საქჩეკას მიერ „სამხედრო ცენტრის“ საქმის გამო ძებნილი 100 პიროვნებიდან 47 ნარიკელაძის დასახელებულია, ხოლო მის შემდეგ დაკითხულთა მიერ 1-2 კაცის გვარია ნახსენები (ნ. კირთაძე, კაენ სად არის ძმა შენი, თბ., 1998, გვ. 81-84). ეს იმით აიხსნება, რომ ივ. ნარიკელაძეს, როგორც კონტრდაზვერვის უფროსს, და, ერთი მხრივ, „დამკომთან“, ხოლო, მეორე მხრივ, „სამხედრო ცენტრთან“ დაკავშირებულ პიროვნებას, მრავალთან ჰქონდა ურთიერთობა. მაგრამ აქ მთავარი მაინც ის არის, რომ „სამხედრო ცენტრის“ გამო ყველაზე ადრე დაპატიმრებულ უმნიშვნელოვანეს პი-

რთაგან იგი პირველი იყო და, ამდენად, ყველაზე ფართო, ძიების წარმმართველი ინფორმაცია სწორედ მისი დაკითხვების საფუძველზე გროვდებოდა. ე.ი. თავიდანვე საგანგებო აგენტურული მეთვალყურეობის ქვეშ აყვანილი ივ. ნარიკელაძე, მთელი ანტისაბჭოთა არალეგალური მიმდინარეობის გახსნის გასაღებად გამოიყენა ჩეკამ. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ივ. ნარიკელაძეს ამის გამო უნდა ვუწოდოთ თანამოაზრე-თანამებრძოლების გამცემი და სამშობლოს მოღალატე. ჩვენი აზრით, ივ. ნარიკელაძის და ჩეკასგან ფალსიფიცირებულად აჯანყების ორგანიზატორებად მიჩნეულ და ხელისუფლების მიერ განწირულ პირთა მიმართ სწორია მათი დაღუპვის მონაწილე ბობოლა ჩეკისტის კაკო შელიას, იმავე მამა ალექსის ნათქვამი: ეს არის წარმომადგენელი გმირებისა, „რომელნიც დაამშვენებდნენ ნებისმიერ ქვეყანას ნებისმიერ დროს". მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია, რომ გამოგვეკვლია ჩეკას ის მექანიზმი, რომელმაც შესაძლებელი გახადა „სამხედრო ცენტრის" და მასთან დაკავშირებულ პირთა აყვანა.

დაბოლოს, ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობის მოცემული პერიოდის სერიოზული მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის ნ. კირთაძის დასახელებული წიგნის დოკუმენტურ ნაწილში მოყვანილ უმნიშვნელოვანეს ჩეკისტური წყაროს ინფორმაციულ მასალებს: „Материалы о „Комитете Независимости", „Военном Центре" и контрразведки 1922/23 года". ჩვენი აზრით, ეს დოკუმენტი შეიქმნა, ერთი მხრივ, ჩვენს მიერ აღნიშნული „მემორანდუმების", ხოლო, მეორე მხრივ, როგორც ამავე დოკუმენტიდან ჩანს, „გამოძიების მონაცემების მიხედვით" (იხ. დასახელებული წიგნი, გვ. 332). ამ დოკუმენტის პირველი ნაწილი თუ თავი (ან პარაგრაფი) – „აგენტურული მონაცემები" – გვამცნობს, რომ ჩეკას სათანადო განყოფილებამ უკვე 1922 წლის მაისიდან დაიწყო ცნობების მიღება ხუთი ანტისაბჭოთა პარტიის გაერთიანების შესახებ. „შემდგომმა ცნობებმა დაადასტურეს, რომ არსებობს ამ პარტიათა ბლოკი... ბლოკს სათავეში უდგას „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი". „1922 წლის ნოემბერში აგენტურამ დაადგინა, რომ კომიტეტს კავშირი აქვს საზღვარგარეთთან, იღებს იქიდან ფულს, ხელმძღვანელობს ჩოლოკაევის გამოსვლებს" (სინამდვილეში არა გამოსვლებს, არამედ სამხედრო ორგანიზაციების შექმნას). დოკუმენტში ნათქვამია: „დამკომთან" რომ გაერთიანებული სამხედრო ცე-

ნტრი არსებობს, პირველად ეს შევიტყვეთ 1922 წლის აგვისტოში"; „ნოემბერში ვიცოდით, რომ სამხედრო ცენტრი საქართველოში აჯანყების მოწყობის გეგმას ამუშავებს". სინამდვილეში მართლაც მუშავდებოდა ეს გეგმები, მაგრამ ხელსაყრელი სიტუაციისათვის, რომელიც „ცენტრის" დაპატიმრებამდე და შემდეგაც არ შექმნილა. მაშასადამე, ჩეკას „აგენტურული მონაცემებითაც" დასტურდება, რომ „სამხედრო ცენტრის" ჩავარდნის კ. მისაბიშვილისათვის დაბრალება უცოდინარობის ბრალია.

ჩეკას აღნიშნული დოკუმენტის შემდგომი ნაწილები ემყარება ძიების მასალებს. აქედან ჩანს, რომ საქართველოს „დამოუკიდებლობის კომიტეტის", „სამხედრო ცენტრის", დამკომის „კონტრდაზვერვის" და ცალკეული პარტიების ანტისაბჭოთა საქმიანობის ჩეკისტური ასახვა ემყარება პატიმართა ჩვენებებს. მათ შორის დაფიქსირებულია სათანადო ამონარიდებები. აქედან ეკუთვნის: მ. ჯავახიშვილს – 4, ნ. ქარცივაძეს – 3, ვ. წულუკიძეს – 4, კ. აფხაზს – 1, გ. მაზნიაშვილს – 1, გ. ხიმშიაშვილს – 1, რ. მუსხელიშვილს – 2, ნ. ზანდუკელს – 1, ივ. ნარიკელაძეს კი 17. ინფორმაციული ღირებულების თვალსაზრისითაც ივ. ნარიკელაძის ჩვენებები განსაკუთრებით საყურადღებოა. მაშასადამე, მ. ჯავახიშვილის მიერ ჩეკასათვის მიცემული ჩვენებების განსაკუთრებული დამღუპველობის მტკიცება თუ ირიბი ხაზგასმაც კი ხელოვნურია.

როგორც ვნახეთ, „სამხედრო ცენტრის" და მასთან დაკავშირებულ პირთა დაპატიმრება და დახვრეტა განხორციელდა ანტისაბჭოთა მებრძოლი ძალების წინააღმდეგ საბჭოთა სახელმწიფოს და მისი უშიშროების ორგანოების მიზანდასახული, მიზანმიმართული და გეგმაზომიერი ხასიათის ხანგრძლივი მუშაობით. მას ხელს უწყობდა ჩეკას ორგანოების მუშაობის მაღალი ორგანიზებულობა. ამასთანავე, როგორც ვნახავთ, საქჩეკას მიერ ანტისაბჭოთა არალეგალურ მოძრაობასთან ბრძოლის წარმატებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს აგენტებმა, განსაკუთრებით კი საქჩეკას „საიდუმლო ოპერატიული განყოფილების უფროსმა ლ. ბერიამ, რომელსაც, როგორც ამბობენ, „ჩეკისტური მუშაობის ფენომენალური ნიჭი გააჩნდა" (კ. შელია).

როგორც ზემოთ არაერთხელ აღინიშნა, გამცემს ეროვნულ-დემოკრატების მაღალ ეშელონებში ვარაუდობდნენ და ეჭვი კ. მისაბი-

შვილზე ამიტომ მიიტანეს. ამ ვერსიის გაკონტროლებაც მოვახერხეთ და ასეთი პიროვნება მ. კოღუაშვილის მიერ დასახელებული კოლია გეგეჭკორის სახით დავადასტურეთ კიდეც. მ. კოღუაშვილმა 1924 წლის 29 აგვისტოს უჩვენა „...უნდა მომეგროვებინა ორი ათეული (1924 წლის აგვისტოს აჯანყების დროს – გ.ც.), ჩეკას დავსცემოდი და პატიმრები გამენთავისუფლებინა... ამ ამოცანის მოცემას დიდი ხანია მპირდებოდნენ. ასეთი საქმისათვის რომ ვემზადებოდი, ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ კოლია გეგეჭკორი, რომელიც „ჩეკის“ თანამშრომელი ყოფილა, გამაცნეს როგორც საიმედო კაცი ასეთი საქმისათვის. კოტე ანდრონიკაშვილის კავშირმა კაკო კალანდარიშვილმა და იასონ ჯავახიშვილის კავშირმა ხუხუ ხოფერიამ მითხრეს: „როდესაც ათეულები შეადგინო, ესეც შენს ათეულში ჩარიცხეო“, გეგეჭკორმა კი „ჩეკის“ პატიმართა რიცხვში ჩამრიცხა“ (ნ. კირთაძის დასახელებული წიგნი, გვ. 317). ხუხუ ხოფერია, ი. ჯავახიშვილის ჩვენების მიხედვით, „მ. კოღუაშვილის და მისი ამხანაგების წრეში ტრიალებდა, ხშირ ქეიფებს ეწეოდა. სწორედ ამ დროს გავრცელდა ხმები თითქოს იგი ჩეკის აგენტი ყოფილიყოს. ამ ხმებს ძირითადად ავრცელებდნენ სოციალ დემოკრატების წრე“ (იქვე, გვ. 370). ამ დროს ხ. ხოფერია სიკვდილს იმან გადაარჩინა, რომ ეროვნულ-დემოკრატების ცკ-ის ცოდვილმა წევრებმა მისი მოღალატეობა არ დაიჯერეს. „ერთხელ ახალგაზრდებმა გამოსვლამდე ცოტა ხნით ადრე, აგვისტოს თვეში, გაიგეს რა რომელ სახლში იმყოფებოდა ხუხუ, ალყა შემოარტყეს მას და „დააპატიმრეს“. ი. ჯავახიშვილმა 1924 წლის 18 სექტემბერს უჩვენა: „ამის შესახებ მე მიამბო სოლ. ზალდასტანიშვილმა, რომელმაც დიდი გაჭირვებით შეძლო დაერწმუნებინა ახალგაზრდობა ხელი აეღოთ ამ განზრახვაზე“ (იხ. იქვე, გვ. 377). როგორც ჩანს, ამჯერად პროვოკაცია მოაწყო კ. გეგეჭკორმა. ხ. ხოფერია თავის ერთ ჩვენებაში აღნიშნავს, რომ როცა კ. გეგეჭკორის ორმაგ თამაშში დაეჭვდა, მისი გამომჟღავნება გადაწყვიტა ექსპროპრიაციის სიმულიაციის მოწყობით. მან ეს გეგმა გააცნო „გამოცდილ კაცს, მენშევიკების ყოფილ ადმინისტრატორს დომენტი დანელიას“. მაგრამ დ. დანელიას ეს გეგმა გულუბრყვილოდ მოსჩვენებია, უთქვამს: თუ გეგეჭკორი გამყიდველია, ადმინისტრაცია და სამძებრო საქმეს ისე მოაწყობს, რომ ჩვენ ჩაგვყაროს, მას კი დამალავს, რომ მეტი ნდობით მოვეპყროთო“. ხ. ხოფერია წერს: „მე მივხვდი, მან (კ. გეგე-

ჭკორმა – გ.ც.) გაიგო ჩვენი უნდობლობაო"! ბოლოს ესეც „ჩეკის" პატიმართა რიცხვში „ჩარიცხეს", მაგრამ ეს უკვე 1924 წლის ნოემბერში მოხდა (იხ. სუკის არქივი, №23362, ფ. 65).

სახელმწიფო უშიშროების არქივში, კერძოდ, ნესტორ გარდაფხაძის და სხვათა საქმეში გამოვავლინეთ კოლიას ორი (10 და 13 ივნისის) აგენტურული ინფორმაცია, საიდანაც ჩანს, რომ იგი თანამოაზრე-თანამებრძოლად ჰყავთ მიჩნეული არა მარტო მ. კოღუაშვილის და ხ. ხოფერიას, არამედ სამეგრელო-სვანეთის აჯანყების გმირ ორგანიზატორებს – ძმებს კაკო, შალვა და საშა კალანდარიშვილებს, ოთარ და მუშნი დადიანებს, დავით მხეიძეს, 1922-1923 წლებში მეამბოხეებისათვის იარაღის შემსყიდველს ლეონტი ბალანჩივაძეს. აჯანყების არალეგალური ცენტრი კი, რომელშიც ხ. ხოფერია და ძმები კალანდარიშვილები ერთიანდებოდნენ, მას სხვებთან ერთად საგანგებო დავალებას აძლევს და იმ რაზმის გასაძლიერებლად გაგზავნას უპირებდა, რომელსაც 1924 წლის ზაფხულში ო. დადიანი და დ. მხეიძე სვანეთის რჩეულთაგან დასავლეთ საქართველოში აჯანყების წამოწყების მიზნით ადგენენ (სუკის არქივი, №24075, ფ. 91, 92). ამ დასმენებში ყურადღებას იპყრობს ინფორმაცია, საიდანაც ჩანს, რომ კოლიას უმუშავია „მენშევიკების" იმ ცხენოსანთა დივიზიონში, სადაც ოფიცრებად მსახურობდნენ ოთარ დადიანი და დავით მხეიძე. მას ხუხუსთან საუბრის დროს ესეც მოუსმენია: „რამდენიმე დღეში მომცემს ერთ კარგ საქმეს აკაკი ცქიტიშვილი, ხოლო მე ორდერისათვის მაქვს ახალი ბლანკი, რომელიც ხელმოწერილი იქნება საშა გეგეჭკორის მიერ. ბეჭედი და შტამპელი მისია" (იქვე, ფ. 92). მაშასადამე, კოლიას (გეგეჭკორის) სახით არალეგალურ პარტიულ ხელმძღვანელ ცენტრში ჩეკას ჩასმული ჰყავდა ინფორმატორი, რომელიც ცნობებს სისტემატურად აწვდიდა. არ არის გამორიცხული, რომ კოლიამ გარკვეული როლი შეასრულა „სამხედრო ცენტრის" დაპატიმრებასა და კ. მისაბიშვილისთვის ჭორების გავრცელების საქმეშიც. კ. მისაბიშვილი და ხ. ხოფერია სენაკის მიმდებარე სოფელ თეკლათიდან იყვნენ. ამავე დროს ესენი თანატოლებიც არიან და უნივერსიტეტშიც ერთ დროს სწავლობდნენ. კალე ედპ-ის წევრია 1915 წლიდან, ხუხუ კი 1914 წლიდან (იხ. სუკის არქივი, №23362, ფ. 13). ძმები კალანდარიშვილებიც სენაკელები არიან. მაშასადამე, ეს არის ანტისაბჭოთა არალეგალურ მებრძოლთა საძმო, რომელიც

მჭიდროდ იყო დაკავშირებული ეროვნულ დემოკრატების პარტიის ცკ-თან და პარიტეტული კომიტეტის ხელმძღვანელებთან – გიორგი წინამძღვრიშვილთან, იასონ ჯავახიშვილთან, შემდეგ აგრეთვე კოტე ანდრონიკაშვილთან და სხვებთან. მაშასადამე, ბერიას ინფორმატორი კოლია გეგეჭკორი არალეგალურ ანტისაბჭოთა მებრძოლთა გულში ჩაუსვამს. ამდენად სავსებით გასაგებია მისი დამანგრეველი ძალა. როგორც ვნახეთ, კოლიას მსგავსი „ოსვედომიტელები" თუ თანამშრომლები ჩეკას ეროვნული მოძრაობის ყველა რგოლში ჰყავდა, ზოგს კი ეჭვი მოყვასზე მიჰქონდა და მოსაკლავადაც იმეტებდა. სწორედ ამაში მდგომარეობდა ბერიას ფენომენალური ჩეკისტური ნიჭი, რის შესახებაც საყურადღებოდ გვაფრთხილებს მისი ამ თვისებების ზედმიწევნით მცოდნე კაკო, ანუ მანუჩარ შელია.

აქედან ისიც ჩანს, თუ რაოდენ მიზნობრივი და უმართებულოა მ. ხომერიკის წიგნში ნაწერი: „ჩვენ არ ვიცით, კ. მისაბიშვილმა მარტომ დაასმინა სამხედრო ცენტრის წევრები, თუ მას ამ საქმეში ვინმე „თანამოაზრე (ე.ი. მ. ჯავახიშვილი – გ.-ც.) ეხმარებოდა", „მისაბიშვილი მოკლეს, მ. ჯავახიშვილთან მისი საიდუმლო კავშირი არ გამომჟღავნებულა" (იხ. მ. ხომერიკი, პასუხად მიხეილ ჯავახიშვილის ბიოგრაფებს (საიდუმლო არქივებიდან), თბ., 1996, გვ. 14, 15). ასევე უმართებულოა აღნიშნულ წიგნში მ. ჯავახიშვილის ჩვენებების გამო ხშირად ნახმარი ეპითეტები: „მ. ჯავახიშვილმა თავის ჩვენებებში დაწვრილებით აღწერა... დაასახელა პიროვნებები, დაამძიმა სამხედრო ცენტრის წევრების მდგომარეობა, რომლებიც ამ დროისათვის ჯერ დახვრეტილი არ იყვნენ, დასახა „ჩოლოკაეველობის ლიკვიდაციის" გზები. წერილობითი ჩვენების გარდა, მან კიდევ უფრო საიდუმლო ზეპირსიტყვიერი ჩვენებების მიცემაც ისურვა" (იქვე, გვ. 15-16); „მ. ჯავახიშვილმა სამხედრო კომისიის წევრი და ფაქტობრივი ხელმძღვანელი ნოე ხომერიკიც დაასმინა, რომელიც მაშინ დაპატიმრებული არ იყო" და ა.შ. ამით იმის ბოლომდე თქმა გვინდა, რომ: საბჭოთა პერიოდის ისტორიული წარსულის სიმართლე იმდენად რთული ამოსაცნობია, რომ იგი ვერ იტანს ზედაპირულ განცხადებებს და მოითხოვს კვალიფიციურ მიდგომას, აგრეთვე ხანგრძლივი და მძიმე სამუშაოს შესრულებას, და არავითარ შემთხვევაში კომპილაციურ ჩხირკედელაობას და დიდი ბრალდების თითო-ოროლა, ისიც საეჭვო წყაროზე დაფუძნებას.

ამ თავში მოცემული ნარკვევის შემდეგ ზოგისთვის მაინც გასარკვევი რჩება კითხვები: რატომ აიღეს კ. მისაბიშვილმა და მ. ჯავახიშვილმა გეზი არალეგალური პარტიული მუშაობიდან განდგომის, ხელისუფლებასთან კომპრომისული, თუნდაც „სმენავეხური" თანამშრომლობის და პარტიის ლეგალიზაციის მიმართულებით, და რამდენად სწორი იყო მათი ეს გადაწყვეტილება იმდროინდელ კონკრეტულ სიტუაციაში? ამ კითხვებზე დამატებითი პასუხი შესაძლებლობას მოგვცემს გავარკვიოთ, ვინ იყო სწორი, წინდახედული და ბრძენი პოლიტიკოსი. ამიტომ მომდევნო თავში მიზნად დავისახეთ საფუძვლიანად გავაშუქოთ ეს „საგანგაშო დრო".

„საგანგაშო დრო“ – „სადაც არა სჯობს გაცლა სჯობს...“

როგორც ადრე ვნახეთ, იასონ ჯავახიშვილმა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცკ-ის წევრის და უახლოესი თანამოაზრე-თანამებრძოლის, კალე მისაბიშვილის მკვლელობის მოტივაცია ასე ახსნა: **„ჩვენ არ გვქონდა მისაბიშვილის პროვოკატორობის მამხილებელი ფაქტები არც მკვლელობამდე და არც მკვლელობის შემდეგ, გარდა იმისა, რომ მან შეიცვალა პოზიცია (! – გ.ც.) და განიზრახა პარტიის ლეგალიზაცია (! – გ.ც.). მისი მკვლელობა შეიძლება გამართლდეს (! – გ.ც.) მხოლოდ იმით, რომ იყო საკმაოდ საგანგაშო დრო“** (! – გ.ც. ხაზგასმა ჩვენია).

ახლა ჩვენთვის საინტერესოა: 1. რა განსაკუთრებული „საგანგაშო დრო“ იყო ისეთი, რომელსაც შეეძლო გამოეწვია კ. მისაბიშვილის მკვლელობა? 2. პოზიციის შეცვლას და პარტიის ლეგალიზაციის მოთხოვნას იმდროინდელ რეალურ პირობებში შეეძლო თუ არა პარტიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი მუშაკის მკვლელობის გამართლება? 3. პოზიციის შეცვლა და პარტიის ლეგალიზაციაზე ორიენტირება პარტიის ხელმძღვანელ მუშაკთაგან მხოლოდ კ. მისაბიშვილმა გამოავლინა, თუ „საგანგაშო“ ვითარებაში ასეთი აუცილებლობის წინაშე სხვაც დადგა. 4. რამდენად პოლიტიკური და ზნეობრივი იყო იმ ან სხვა კონკრეტულ სიტუაციაში, ანუ „საგანგაშო დროში“ პოლიტიკური ლიდერის მიერ პოზიციის შეცვლა და პარტიის ლეგალიზაციის შესახებ საკითხის დაყენება.

დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემას საკმაოდ ხანგრძლივი და შრომატევადი კონკრეტული კვლევა დასჭირდა. მაგრამ სათანადო სამუშაოების ჩატარებამ დაგვარწმუნა, რომ აღნიშნულ კითხვებზე პასუხები ხსნის არა მარტო კ. მისაბიშვილისა და მისი მკვლელების ქმედებას, არამედ შესაძლებლობას გვაძლევს ღრმად გავიაზროთ პოლიტიკური პარტიების ხელმძღვანელების ამა თუ იმ მომენტის შესაბამისი მოქმედება და მისი მართებულობა თუ მცდარობა. მაშასადამე, დასმულ კითხვებზე პასუხმა შესაძლებლობა მოგვცა გაგვერკვია,

როდის იყო გამართლებული დიდი შოთა რუსთაველის სწავლება: „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი," და როდის იყო სწორი მისივე დიდაქტიკური ჩაგონება შთამომავალთა მიმართ: „სადაც არა სჯობს გაცლა სჯობს, კარგისა გულადისაგან." დიდი შოთას ამ სიბრძნეს ხშირად მიმართავდნენ ხოლმე ქართველი ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობის ლიდერები. მაგრამ მათ ხშირად იყენებდნენ კონკრეტული სიტუაციის გაუთვალისწინებლად და ზოგჯერ უდროო და მცდარი გაგებითაც. ჩვენი აზრით, სწორედ ამგვარმა გაგებამ არაერთგზის იჩინა თავი 20-იანი წლების და შემდგომი ისტორიის მძიმე პერიოდებში. ამიტომ მოცემულ კონკრეტულ გამოცდილებას აქვს აგრეთვე ზოგადი ხასიათის სწავლების მნიშვნელობაც. ამ ე.წ. „საგანგაშო დროის" და მსგავსი ეტაპების პარტიულ-სახელმწიფოებრივი და ჩეკისტური საქმიანობის გარკვევის გარეშე შეუძლებელია არა მარტო ჩვენთვის საინტერესო კონკრეტული საკითხის სიღრმისეული გამოკვლევა, არამედ იმდროინდელი ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენლების მოქმედებათა მოტივაციის დადგენა. ამიტომ ყოველი მსგავსი კითხვის ასახსნელად საჭირო გახდა რესპუბლიკაში შექმნილი კონკრეტული სიტუაციის საფუძვლიანი გააზრება. ამ ინტერესით 1923 წლის დასაწყისიდან შექმნილ „საგანგაშო დროს" ჟურადღება დავუთმეთ წიგნში „რისთვის დახვრიტეს ვაჟა-ფშაველას პირმშო ლევან რაზიკაშვილი" (იხ. გვ. 42-49). ახლა კი საჭიროდ მიგვაჩნია მისი შემდგომი გააზრება.

როგორც წინა თავში ვნახეთ, „სამხედრო ცენტრის" ჩავარდნაში არსებითი როლი შეასრულეს ჩეკას აგენტ-ინფორმატორებმა. როგორც ირკვევა, ფაქტობრივად, მათ მოამზადეს არალეგალური, რადიკალი პატრიოტების ერთი ნაწილის ფიზიკური მოსპობა, ხოლო მეორე ნაწილის — ხელისმოწერა „დეკლარაციაზე" და არალეგალური ანტისაბჭოთა ბრძოლის კომპრომისულ, ე.წ. „წაწოლის პოლიტიკაზე" გადასვლა. ამ საქმეში, როგორც ი. ჯავახიშვილიც გვიდასტურებს, განსაკუთრებული როლი შეასრულა „საკმაოდ საგანგაშო დრომ".

სათანადო პერიოდის მოვლენების საფუძვლიანმა შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ 1922 წლის მიწურულიდან, განსაკუთრებით კი 1923 წლის იანვრიდან მართლაც საკმაოზე მეტად „საგანგაშო დრო" შექმნილა. ამასთან დაკავშირებით საჭიროა მოცემული პერიოდის პოლიტიკური ცხოვრების თავისებურებათა გათვალისწინება. სათანადო დოკუმენტები მოწმობენ, რომ ამ პერიოდში ხდება ძირეული შემობრუნება საქართველ-

ლოს პოლიტიკური ცხოვრებისადმი კომუნისტური პარტიის, საერთოდ, ხელისუფლების და ჩეკას დამოკიდებულებაში. ამას მოწმობს ჩეკისტი კაკო შელიას მოგონებების ის ადგილი, სადაც ნათქვამია იმის შესახებ, რომ ბერიას „საიდუმლო ჯგუფი" 1922-1938 წლებში აკონტროლებდა სიტუაციას საქართველოში". დიახ, 1922 წლის მიწურულიდან, საქართველოს კომპარტიის ცკ-ის და საქართველოს ჩეკას ხელმძღვანელობიდან „ნაციონალ-უკლონისტების" ჩამოშორების შემდეგ, მათ ადგილს იკავებენ ხელისუფლების ახალი, არალოიალური, ხისტი კურსის გამტარებლები. აქედან პოლიტიკური მდგომარეობა საქართველოში გამძაფრდა. მანამდე კი მდგომარეობა შედარებით ლოიალური იყო. ამას მოწმობს საქართველოს ჩეკას „უკლონისტი" თავმჯდომარის კოტე ცინცაძის 1922 წლის 21 თებერვლის „მოხსენება" – ანგარიში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი; საქჩეკას „უკლონისტი" ხელმძღვანელის კ. ოკუჯავას შემრიგებლური დამოკიდებულება ე.წ. „ბანდიტური", ანუ პარტიზანული მოძრაობის მონაწილეთა მიმართ და მის მიერ ანტისაბჭოთა ექსტრემისტული მიმდინარეობის ლიდერის, ნ. ჟორდანიას ფარული გაფრთხილება დეპორტირებული შ. მაღლაკელიძის მეშვეობით: პარიტეტული კომიტეტის ადგილსამყოფელი ჩვენთვის ცნობილია, იგი მოსკოვის ქუჩაზე რომ მდებარეობს ქვეყანამ იცის, და ასეთ ვითარებაში იცოდეთ, აჯანყება დიდ ეროვნულ უბედურებას გამოიწვევსო.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კ. ცინცაძე იძლევა ანტისაბჭოთა მოძრაობის პირველი პერიოდის საგულისხმო, დაწვრილებით ანალიზს და დასკვნას. მისი აზრით, „საბჭოთა ხელისუფლება საქართველოში იმდენად მყარია, რომ არავითარი საშიშროება მომავალს არ ემუქრება". „ხელისუფლებასთან ბრძოლის ტაქტიკის თვალსაზრისით სერიოზული რეალური ძალა არ არსებობს... ნიადაგი ჩვენი საწინააღმდეგო აგიტაციისათვის აქვთ ქვეყნის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამო. სერიოზული საფრთხე ჯერ არა სჩანს... თუ საქმე არ გართულდა, საერთაშორისო ბურჟუაზიის გარედან ჩარევით". მისი აზრით, „საბჭოთა ხელისუფლებას ამ დროისათვის არა ჰყავს ძლიერი მოწინააღმდეგე". (იხ. საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 1, ს. 195, ფ. 67-74/2; 73-74). საქართველოს პოლიტიკური ვითარების ასეთი შეფასებიდან გამომდინარეობდა საქჩეკას ერთგვარად ლოიალური დამოკიდებულება ანტისაბჭოთა ბრძოლის მონაწილეების მიმართ. ამას მოწმობს თუნდაც ის ფაქტები, რომ ამ პე-

რიოდში ხდებოდა განსაკუთრებით საშიში ანტისაბჭოთა ლიდერების დეპორტაცია. ამასთანავე, ადგილი ჰქონდა ანტისაბჭოთა ბრძოლის მონაწილეთა „შემორიგებას“ და მათ ამნისტიას საქჩეკას თავმჯდომარე კ. ოკუჯავას მიერ (იხ. სუკის არქივი, საქმე №24060, ფ. 72-73 და სხვ.). ამ დროს უკლონისტური ხელისუფლება ცდილობდა მეამბოხე რაზმების ლიდერებთან შეთანხმებას და მათი დეპორტაციის გზით საქართველოში სისხლისღვრის თავიდან აცილებას.

მაგრამ მას შემდეგ, რაც საქართველოს კომპარტიის ცკ-ის „ნაციონალ უკლონისტური“ ხელმძღვანელობა გადადგა, საქართველოს ჩეკას ხელმძღვანელობაც შეიცვალა. კ. ცინცაძის და ნ. ოკუჯავას ნაცვლად წამოსწიეს ახალი, რეპრესიული კურსის გამტარებლები – ე. კვანტალიანი და ლ. ბერია. ეს უკანასკნელი, სტალინის მხარდაჭერით, საქჩეკას ფაქტობრივი ლიდერი გახდა. შესაბამისად, ანტისაბჭოთა მებრძოლთა მიმართ დამოკიდებულება რადიკალურად შეიცვალა. საქართველოს კომპარტიის ცკ-ის ახალი შემადგენლობის ლიდერი ბ. ლომინაძე წერს, რომ „1922 წლის ოქტომბრიდან საქცეკ-ში მოვიდა ახალი ხელმძღვანელობა, რომელმაც ანტისაბჭოთა პოლიტიკური ორგანიზაციის წარმომადგენელთა მიმართ აიღო **მყარი** („**жесткий**“ – Б.Л.) კურსი“. ამ ახალ კურსს ბ. ლომინაძე მრავალმხრივ ახასიათებს. მათ შორის განსაკუთრებით საყურადღებოა ის, რომ, როგორც ბ. ლომინაძე წერს: „1922 წლის ბოლოს უკლონისტებისგან მემკვიდრეობად მივიღეთ ხელშეუხებელი მენშევიკური პარტია, რომელიც ნახევრად ლეგალურ მდგომარეობაში იყო. მენშევიკების წინააღმდეგ ტერორის ტაქტიკას უკლონისტები სრულიად გამორიცხავდნენ“, „უკლონისტური ცეკი უარს ამბობდა რუსეთში გადასახლებაზე“, „ჩვენ პირველებს მოგვიწია მენშევიკების წინააღმდეგ ნამდვილ ბრძოლაში ჩაბმა“, „ჩვენ უარი არ გვითქვამს სასტიკ რეპრესიებზე, მასობრივ დაპატიმრებებზე, გასახლებაზე და დახვრეტებზეც კი“, „ყველა ზომებს ვღებულობდით, რომ ჩვენდამი მტრული პარტიები შიგნიდან აგვეფეთქებინა და გაგვეხრწნა“, „რელიგიისა და ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლაში უკლონისტებმა არაფერი გააკეთეს. ჩვენ 1923 წელს გლეხურად (გლეხური სტიქიის წაბიძგებით – გ.ც.) დავკეტეთ 1500 ეკლესია“. ბ. ლომინაძე წერს: „მე ვფიქრობ, რომ ამ გზაზე ჩვენ მივაღწიეთ წარმატების მაქსიმუმს...“ (იხ. საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 1, ს. 195, ფ. 40, 41, 42). იგი იმოწმებს კამენევს, რომელმაც აღნიშნა, რომ საქართველოს კომპა-

რტიის ცკ თავის მუშაობაში „ნაჯახს“ ეყრდნობა. ბ. ლომინაძე აქვე აღნიშნავს, რომ მთელი ამ სისასტიკის მიზეზი იყო ოპოზიციური პარტიების და ქართველი „ნაციონალისტური ინტელიგენციის“ ბრძოლა ამიერკავკასიის ფედერაციულ მოწყობასთან და „ჩვენ მის წინააღმდეგ მთელი ენერგიით ვიბრძოდითო“ (იხ. იქვე, ფ. 48). იგი ეროვნულ საკითხში ქართული ინტელიგენციის წინააღმდეგ ბრძოლის დროს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ახალი შემადგენლობის მიერ განხორციელებულ ღონისძიებათა წარმატების ცხრა მეათედს ს. ორჯონიკიძეს მიაწერს (იხ. იქვე, ფ. 40). მაგრამ ბ. ლომინაძე არაფერს ამბობს იმის შესახებ, რომ ანტისაბჭოთა მოძრაობის მიმართ ბრძოლის გაცხოველებაში განსაკუთრებულ როლს ასრულებდა ი. სტალინის დირექტივა და, მისი შესრულების მიზნით, ლ. ბერიას განსაკუთრებული გულმოდგინება. სამაგიეროდ, ამის შესახებ საგნობრივად მოგვითხრო მანუჩარ შელიამ.

ყოფილი ჩეკისტის მანუჩარ შელიას მოგონებებში ვკითხულობთ: „**1923 წლის იანვარში** (! – გ.ც.) მე და ბერიას უახლოესი ბაქოელი მეგობარი დუტუ წულეისკირი დაგვიბარეს ჩეკაში, სადაც გაგვაცნეს მოქმედების ორი თვის გეგმა და ყველა ის საიდუმლო ადგილი, სადაც ამ ხნის მანძილზე ჩვენ ბერიას უნდა შევხვედროდით.“ ამის შემდეგ „სრულიად საიდუმლოდ 1923 წლის 20 იანვარს მე და დუტუ წულეისკირი ბერიას შეეხვდით ვინმე **დვალის ბინაში** (! – გ.ც.), რომელიც შემდგომში ჩვენი ერთ-ერთი ინფორმატორი გახდა... იმ შეხვედრაზე ბერიამ პირველად გაგვაცნო „საიდუმლო განყოფილების“ შექმნის გეგმა, რომელიც სრულფასოვან მუშაობას ორ თვეში დაიწყებდა. ეს ორგანიზაცია **მიზნად ისახავდა** არა მარტო **კონტრრევოლუციური ელემენტების აღმოფხვრას და მათ ლიკვიდაციას**, არამედ თვით პარტიულ აპარატში არსებულ საშიშ დამნაშავეთა გამოვლინებასა და მათ წინააღმდეგ მასალის შეგროვებას.

ამ ნაბიჯების გადადგმით, ბერია ჩეკასთან არსებული საიდუმლო პოლიციისაგან სრულიად დამოუკიდებელ კონტრდაზვერვის სამმართველოს ქმნიდა, რომელიც მხოლოდ მის დაქვემდებარებაში იმოქმედებდა და ძირს გამოუთხრიდა „ბებერ ბოლშევიკთა“ შეურყეველ სკამებს“ (ე.ი. ეროვნული პატრიოტიზმით გამსჭვალულ მენშევიკ რადიკალებთან ლოიალურ დამოკიდებულებაში მყოფ ნაციონალ-უკლონისტებს – გ.ც.). „ბებერ ბოლშევიკებს“ ბერია უწოდებდა „ლენინური გვარდიის ჯარისკაცებს“, მათ შორის სერგო ორჯონიკიძესაც. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ამ ორთოდოქს სტალინელსა და „ნაცი-

ონალ უკლონისტებს შორის ეროვნულ საკითხში რაიმე პრინციპული განსხვავება არ იძებნება. ახლა ჩეკა ი. სტალინისა და უზენაესი ხელისუფლებისათვის მოწინააღმდეგეებთან ბრძოლაში თვალი, ყური, ფარი საიმედო და ბასრი მახვილია. მას კონტროლის ქვეშ აჰყავს ყველა. კაკო შელია წერს: „საიდუმლო განყოფილების შექმნით ბერია მიზნად ისახავდა კრემლის კაბინეტთან კავშირს, რაც გამოიხატებოდა ძერჟინსკისა და თვით **სტალინთან დივერსანტული ანგარიშების გაგზავნით** (! – გ.ც.). მეორე მხრივ, მოსკოვთან მჭიდრო კავშირით ბერია ქმნიდა საკუთარ იმიჯს და თავდაცვის სისტემას საქართველოს ფრონტზე, რომელიც ბევრად უფრო ქარცეცხლიანი იყო, ვიდრე თვით კრემლის შიდა პოლიტიკური ბატალიები." იგი დასძენს: „ბერიამ შექმნა ჩეკას უხილავი ზურგი, რომლის მაკონტროლებელი ყველა სადავე ჩვენ ავიღეთ ხელში და ვმართავდით ათეული წლების განმავლობაში." ამით ბერია 1923 წლის დასაწყისიდანვე საქართველოს ჩეკას ფაქტობრივი თავმჯდომარე გახდა და ახლა საქართველოში „სარეველას" აღმოფხვრის და „საქართველოს გადახვნის" სამუშაოები მანამდე არნახული ტემპითა და მასშტაბით გაშალა. აქ ყურადღებას იპყრობს ისიც, რომ საქჩეკას ხელმძღვანელობაში 1922 წლის მიწურულში სერიოზული გადაადგილება მოხდა. 1923 წლის 9 თებერვალს საქართველოს კომპარტიის ცკ-მა მიიღო დადგენილება „ნ. ოკუჯავა დაინიშნოს წარმოკავშირის თავმჯდომარედ" (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 1, ს. 493, ფ. 13).

მეტი ყურადღება დაეთმო საქჩეკას მუშაობის გაძლიერებას. გასათვალისწინებელია ისიც, რომ სწორედ „დვალის ბინაზე მოეწყო 1922 წლის დეკემბერში ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცკ-ის სხდომა, სადაც გაზეთის გამოცემის საკითხებზე მიმდინარეობდა მსჯელობა" (ნ. კირთაძეს დასახელებული წიგნი, გვ. 262). ჩვენი აზრით, დვალის გადაბირება შემთხვევითი არ უნდა იყოს. 20 იანვრიდან მართლაც უკიდურესად გამწვავდა მდგომარეობა. ამის მაგალითი იყო ქ. ჩოლოყაშვილის წინააღმდეგ ძალთა მაქსიმალური მობილიზება, აგენტურული ქსელის გაფართოება, მოსყიდულ-დამბეზღებლებზე თანხების გადიდება, ქაქუცას რაზმის მარშრუტებზე გზების შესაკვრელად რეგულარული ჯარების, ადგილობრივი კომუნისტებისა და კომკავშირლების ძალების გამოყენების გაძლიერება. კახეთში თანდათან გაზარდეს რეგულარული ჯარების რაოდენობა. „სოფ. მატანისა

და პანკისის რაიონებში ეგზეკუციის სახით ჩააყენეს რუსის ჯარი, რიცხვით რვაასამდე. სოფლებს ალყა შემოარტყეს და გლეხებს არ უშვებდნენ სოფლის გარეთ სამუშაოდ. რამოდენიმე ალაგას დაწვეს სახლები" (ჟურ. „მებრძოლის ხმა", საქ. სოც. ფედ. პარტიის ახალი მთავარი კომიტეტის ორგანო, №7, 1923 წლის ივნისი, იხ.: არალეგალური ლიტერატურა, სუკის არქივი, №23410, გვ. 9). განსაკუთრებით სისასტიკეს იჩენდნენ ქ. ჩოლოყაშვილის თანამებრძოლებისა და თანამოაზრეების მიმართ. ჯერ კიდევ 1922 წლის შემოდგომაზე დახვრიტეს ქ. ჩოლოყაშვილის თანამებრძოლები: ვაჩნაძეები შაქრო (ზაქარია) და არჩილი, ჯამასპაშვილი ივანე, ბოსტაშვილი �ოდიონი და არაერთი სხვა. 1923 წლის 16 თებერვალს ღამის 2 საათზე, საქართველოს ჩეკას პრეზიდიუმის 13 თებერვლის დადგენილების თანახმად, დახვრიტეს ვაჟა-ფშაველას პირმშო, 35 წლის ლევან ლუკას ძე რაზიკაშვილი (სუკის არქივი, №22905, ფ. 44). ამაო აღმოჩნდა ქართველი საზოგადოების და, კერძოდ, საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭოს დაბეჯითებული თხოვნა საქართველოს საგანგებო კომისიის მიმართ, მხედველობაში მიეღოთ საქართველოს სიამაყის პოეტ ვაჟა-ფშაველას ოჯახის ერთადერთი მარჩენალისა და მისი უფროსი შვილის მდგომარეობა, გაეთავისუფლებინათ იგი და ამით პატივი ეცათ დიდი მგოსნის ხსოვნისათვის. ამ საერთო ეროვნულ შუამდგომლობას ხელს აწერდნენ ცნობილი ქართველი მოღვაწეები – მწერალთა კავშირის თავმჯდომარე კოტე მაყაშვილი და მდივანი მიხ. ბოჭორიშვილი (სუკის არქივი, №22905, ფ.33).

ქართველი საზოგადოების ინტერესი ვაჟა-ფშაველას პირმშოს ლ. რაზიკაშვილის ჩეკისტურად განწირული ბედის მიმართ იმდენად დიდია, რომ აქ საჭიროდ გვესახება საგანგებოდ შეჩერება და ფართო მკითხველისათვის ზოგი, ჩვენი აზრით, დღემდე უცნობი ინფორმაციის მიწოდება. სუკის არქივში ჩვენს მიერ მოპოვებული ლევან ლუკას ძე რაზიკაშვილის საქმიდან ჩანს, რომ ლევანს ჯერ კიდევ დამოუკიდებელი საქართველოს დროიდან უმსახურია ფშავის კომისრად და მილიციის უფროსად. იგი ფშავის მცხოვრებთა დახასიათებით შეფასებულია როგორც „მშრომელთა ინტერესების დამცველი, სასტიკი მდევნელი ყველა ბოროტმოქმედებისა, ბანდიტ-ყაჩაღებისა, ბევრჯერ ჩამგდები სიცოცხლისა განსაცდელში" (იხ. იქვე, ფ. 9). მას მთელ არაგვის ხეობასა და მის მიმდებარე მხარეში უაღრესად დიდი პატი-

ვისცემით ეკიდებოდნენ პირადი ადამიანური ღირსების და სახელოვანი მამის ავტორიტეტის გამო. ლ. რაზიკაშვილის პიროვნება საბჭოთა ხელისუფლებისათვისაც მისაღები აღმოჩნდა იმდენად, რამდენადაც საქართველოს ეს რეგიონი მოცემულ პერიოდში ხასიათდებოდა განსაკუთრებული დაუმორჩილებლობით. ძიების მასალებიდან ჩანს, რომ ლევანი სკოლის ასაკიდანვე თანაუგრძნობდა „სოციალ-ფედერალისტებს", ხოლო საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში არ მალავდა, რომ იყო ეროვნულ-დემოკრატი (იქვე, ფ. 17). 1922 წლის სექტემბრის ხევსურეთის ანტისაბჭოთა აჯანყების ჩაქრობის შემდეგ თიანეთის მაზრაში „საბჭოთა ხელისუფლების ორგანიზების მიზნით ყოფნის დროს" საქართველოს შინსახკომის უფროსის მოადგილეს (იოვიძეს) თიანეთის აღმასკომის თავმჯდომარემ (სერგო სურგულაძემ) სიტყვიერად მოახსენა, რომ „მაღაროსკარის რაიონის მილიციის უფროსს რაზიკაშვილს კავშირი ქონდა ბანდიტ ქ. ჩოლოყაშვილთან და გამოავლინა მილიციის ბრძოლის თვალსაზრისით სრული უმოქმედობა, თანაგრძნობაც კი, საკუთარ თავს უწოდებდა ეროვნულ-დემოკრატს. ჩვენი ოპერაციის განმავლობაში ბანდიტების წინააღმდეგ ფშავ-ხევსურეთში იგი თვითნებურად წავიდა სამსახურიდან". „ყოველივე ამის გამო, – წერს საქჩეკასადმი სპეციალურ წარდგინებაში შინსახკომისრის მოადგილე, – მე განკარგულება გავეცი დაეპატიმრებინათ რაზიკაშვილი და ყველა საბრალმდებო მასალით გადაეგზავნათ საქჩეკაში" (იქვე). ყველა საბრალმდებო მასალებით კი დაადგინეს, რომ ლ. რაზიკაშვილმა არ შეასრულა თიანეთის აღმასკომის თავმჯდომარის ბრძანება, მონაწილეობა არ მიიღო მდ. არაგვის ნაპირებით ს. შუაფხოსაკენ დახეული ქ. ჩოლოყაშვილის 25 კაციანი რაზმის გზის გადაკეტვასა და მის განადგურებაში. იგი თავის თანმხლები ლეგიონერებით დანებდა ქაქუცას და 2-3 დღის განმავლობაში მასთან ყოფნის შემდეგ დაბრუნდა მეამბოხე ხევსურებზე იერიშის მიმტან წითელ ჯარებზე ზურგიდან ფშაველების დარტყმის ორგანიზების მიზნით. მას შემდეგ, რაც აჯანყებულებს ჯარმა ალყა შემოარტყა, ხოლო ქაქუცა თავისი თანმხლები სამი თანამებრძოლით ცდილობდა შეკრული გზების გარღვევას და კახეთში გაჭრას, ლ. რაზიკაშვილი დაეხმარა მათ ს. ჩარგლისა და არტაანის თემის გავლით პანკისის ხევში გადასვლაში, სადაც მათ შეძლეს გაუჩინარება (იქვე, ფ. 19, 22, 35/2). ამასთანავე, ლ. რაზიკაშვილს ბრალად ედება ის, რომ მან აჯანყებულთა წინააღმდეგ მებრძოლთა სარდლო-

ბას (აღნიაშვილი, დიდებულიძე) და თიანეთის აღმასკომის თავმჯდომარეს, შემოთვლის მიუხედავად, არ მიაწოდა საჭირო ინფორმაციები (იქვე, ფ. 12). მაშასადამე, ლ. რაზიკაშვილს ბრალი ედებოდა ქ. ჩოლოყაშვილის ხსნისა და მთელ მის შემდგომ ანტისაბჭოთა მოქმედების გამო, რომელიც ფართოდ გაიშალა კახეთში. მაგრამ ს. სურგულაძესაც არ შეარჩინეს ფშავ-ხევსურებმა ლევან რაზიკაშვილის სისხლი.

მსგავსი საბრძოლო ჩეკისტური სამუშაოები გაიშალა დასავლეთ საქართველოშიც. მაგალითად, გურიის პარტიზანული რაზმების წინააღმდეგ შინაგან საქმეთა კომისარიატმა განახორციელა საგანგებო ექსპედიცია თავზე ხელაღებული ჩეკისტის ა. ტ. ობოლაძის მეთაურობით. „ობოლაძემ ვერ მოახერხა პარტიზანთა ხელში ჩაგდება, სამაგიეროდ შური იძია მშვიდობიან მოსახლეობაზე. იგი აწიოკებდა, ცეცხლს აძლევდა მათ სახლკარს. მასობრივად ხვრეტდა უდანაშაულო ხალხს," მაგრამ ჯალათი ობოლაძე 1923 წლის 10 თებერვალს („ფარი – საიმედო, მახვილი – ბასრი", თბ. 1985, გვ. 84) ოზურგეთის მისასვლელთან მოჰკლეს (იხ.: ალ. ღლონტი, გაზ. „თბილისი", 1989, 21 ივლისი; ა. სურგულაძე, პ. სურგულაძე, საქართველოს ისტორია, საკითხავი წიგნი, 1783-1990, თბ., 1991, გვ. 273.). ამის შემდეგ, გურიაში ეგზეკუცია შემოიღეს „ობოლაძის მკვლელობის გამო, ცეცხლსა და მახვილს მისცეს მთელი გურია. არ დარჩენილა რაიონი, სადაც რუსეთის საოკუპაციო ჯარი არ ჩაეყენებინოთ, იჭერენ, ბანდიტობას აბრალებენ, წინადადებას აძლევენ ან სიკვდილი, როგორც ბანდიტს, ან ხელი მოაწერე კომუნისტების ერთგულებაზე" (ჟურ. „შებრძოლის ხმა". საქ. სოც. ფედ. პარტიის ახალი მთავარი კომიტეტის ორგანო, №7, 1923 წ. ივნისი, ფ. 8. იხ. სუკის არქივი, №23410, ფ. 1-2). ჩეკისტური იერიშები გატარდა ეროვნული სულისკვეთების გენერაციის უმნიშვნელოვანესი კერის თბილისის უნივერსიტეტის მემარჯვენე პროფესურის და პატრიოტი სტუდენტების წინააღმდეგ. მიმდინარეობდა იერიში უნივერსიტეტის ავტონომიაზე, არასაიმედო სტუდენტებზე. ტარდება სტუდენტთა „ჩისტკისა" და მათში ჩეკისტური აგენტურის დანერგვის გაცხოველებული სამუშაოები. ამ პროცესს შედეგად მოჰყვა ის, რომ „უნივერსიტეტიდან გარიცხეს როგორც პოლიტიკურად არასაიმედონი 1500-მდე სტუდენტი" (სუკის არქივი, №23410, ფ. 10-11). 1923 წლის დასაწყისიდან გაძლიერდა იერიში ქართველი პატრიოტი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების მიმართ. ამ უაღრესად მძიმე პროცესების ამსა-

ჩვენშიც გამოიცა, და აგრეთვე ზოგი ჩვენში მოღვაწეთა მოგონებეგზე დაყრდნობილი პუბლიკაცია.[1] 1920-იანი წლების საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების შესახებ უაღრესად საყურადღებო მემორიალური მასალები მოთავსებულია გ. შარაძის მიერ მომზადებულ და გამოქვეყნებულ მრავალ პუბლიკაციაში.[2] ამ მხრივ მისი ღვაწლი გა-

---

1 ვ. ჩუბინიძე, მოგონება 1905 წლიდან 1921 წლის 15 მარტამდე, პარიზი, 1938; ს. გოგიბერიძე, ბრძოლა სამშობლოსათვის, პარიზი, 1938, თბ., 1991; ელ. პატარიძე, ეროვნული თავისუფლების გზით, ჟურნ. „ივერია", 1949, №1; გრ. რობაქიძე, მიხეილ ჯავახიშვილი, ჟურნ. „ბედი ქართლისა", 1953, №15; მისივე, მიხეილ ჯავახიშვილი, ჟურნ. „კავკასიონი", 1976, №18; რ. გაბაშვილი, რაც მახსოვს, მიუნხენი, 1959; ს. ჭირაქაძე, დავით ვაჩნაძე, ჟურნ. „ივერია", 1963, №10; მ. ქავთარაძე, სპირიდონ კედია. ბიოგრაფიული ცნობები და ნაკვეთები მოღვაწისა და კაცის პორტრეტისათვის, ჟურნ. „ივერია", 1979, №22; ალ. ბადურაშვილი, ჩემი თავგადასავალი (მ. ქავთარაძის ჩანაწერი: შეფიცული ბადურაშვილის თავგადასავალი), ჟურნ. „ივერია", 1982, №82; ქაქუცა ჩოლოყაშვილი, შემდგენელი და რედაქტორი გ. შარაძე და გ. გვერდწითელი, თბ., 1989; ს. ზალდასტანიშვილი, საქართველოს 1924 წლის ამბოხება, მოგონებანი, თბ., 1989; ალ. სულხანიშვილი, მოგონებები შეფიცულთა რაზმზე, თბ., 1990; მისივე, ჩემი პასუხი ჟორდანიას მემკვიდრეებს. თბ., 1990; ნ. ჟორდანია, ჩემი წარსული, თბ., 1990; გ. მაზნიაშვილი, მოგონებანი, 1917-1923 წწ., თბ., 1990; გენერალ მაზნიევის მოხსენება, 1925 წლის 10 ოქტომბერი, არქივში მოიპოვა და გამოაქვეყნა ს. კვაჭაძემ, იხ. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 1994, 30 აგვისტო; გ. კვინიტაძე, ჩემი პასუხი, თბ., 1990; მ. ლაშქარაშვილი, მოგონებები, გაზ. „რესპუბლიკა", 1991, 5, 12 თებერვალი; 5, 12, 14, 26 მარტი; 9 მაისი; შ. მაღლაკელიძე, მოგონებანი, ჟურნ. „განთიადი", 1991, №1-8 (ვ. რცხილაძის ჩანაწერი); ვ. მგელაძე, რუსეთის მობრუნება საქართველოში, თბ., 1991; ალ. მანველაშვილი, ჩემი მოგონებანი, ჟურნ. „პოლიტიკა", 1991, №5-10; მისივე, საქართველოს ისტორია, ჟურნ. „ცისკარი", 1991, №10; კ. გვარჯალაძე, საქართველოს მთავრობა ემიგრაციაში, თბ., 1991; ს. გოგიბერიძე, ბრძოლა სამშობლოსათვის, თბ., 1991; დ. ვაჩნაძე, დაპყრობილ საქართველოში, ჟურნ. „კრიტიკა", 1992, №1; მისივე, სამშობლოს სამსახურში (მოგონებანი), ჟურნ. „ივერია", 1993, №3; გრ. ლორთქიფანიძე, ფიქრები საქართველოზე, თბ., 1995; შ. ამირეჯიბი, წ. I, თბ., 1997, წ. II, 1998; მიხ. ქავთარაძე, იანიჩრები (ემიგრანტის მოგონებები), თბ., 2001 და სხვ.

2 გ. შარაძე, ფრანგული დღიურები, თბ., 1990; მისივე, უცხოეთის ცის ქვეშ (სამ წიგნად), თბ., 1991-1993; დაბრუნება, გ. შარაძის საერთო რედაქციით, წ. I, 1991, წ. II, 1993; წ. III. 1994.

ხველ 1922/23 წლების სრულიად საიდუმლო ჩეკისტურ ანგარიშში შეჯამებული დასკვნის სახით ნათქვამია: „დაპატიმრებულია 55 კაცი. აქედან 4 ეროვნულ დემოკრატთა ცენტრალური კომიტეტის წევრი (მ. ჯავახიშვილი, სერგი დანელია, დიმიტრი ჯავახიშვილი და ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე კოტე აფხაზი), 6 კაცი (ანდრონიკოვი, წულუკიძე, მუსხელოვი, იოსებ გედევანოვი, კოტე აფხაზი და ხიმშიევი) – სამხედრო ცენტრის წევრი, პარიტეტული კომიტეტის თავმჯდომარე ქარცივაძე და კონტრდაზვერვის გამგე ნარიკელაძე. დაუჭერელი დაგვრჩა 7-8 ოფიცერი, რომლებიც კონტრდაზვერვაში მუშაობდნენ: მენშევიკთა ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე იოსებ ციწაძე, მენშევიკთა ცენტრალური კომიტეტის წევრი ფაღავა, პარიტეტული კომიტეტის წევრი იასონ ჯავახიშვილი და ეროვნულ დემოკრატთა წევრი დავით ვაჩნაძე“ (ნ. კირთაძის დასახელებული წიგნი, გვ. 345-346). როგორც ვნახეთ, მართლაც რომ „საგანგაშო დრო“ ყოფილა. ამას ისიც მოწმობს, რომ უკვე ამ დროს გამოაბა ლ. ბერიამ ჩეკისტური „კუდი“ ნ. ხომერიკს.

სუკის არქივის ხომერიკის საქმეში დაცულია ცნობები 1923 წლის 7, 8 და 10 იანვრის თარიღებით. აქ არის დაშიფრული საიდუმლო მიმოწერა, რომლითაც ორგანიზაციული მუშაობის შესახებ უაღრესად საყურადღებო ინფორმაციას ცვლიან ერთმანეთს შორის მენშევიკი ლიდერები „ვალე“ (ნ. ხომერიკი), „საბა ციანოვი“ (ი. ცინცაძე) და „შალიკო“ (ვ. თევზაია). მათ შორის კი ჩანერგილია ჩეკას აგენტი („გეორგაძე“, მარკოზ მხითაროვი ან სხვა – გ.ც.), რომელიც ჩეკას ხელმძღვანელობას გადასცემს არა მარტო დაშიფრული წერილების, როგორც გვესახება, ასლებს, არამედ მათი ურთიერთობის დეტალებს. მაგალითად, დასმენის წერილში მოცემულია შეტყობინება: „დღეს სალამოს მეგობართან ბინაზე შევიდა ციანოვი – საბბა (ციანოვი ცინცაძის მეტსახელია), მან მეგობართან დალია ჩაი. ჩაის მერე გაემართა თევზაიასთან. გზაში ლაპარაკი იყო – ციანოვმა მიუთითა მასობრივ დაპატიმრებებზე პროვინციებსა და ქალაქებში, შეატყობინა, რომ საზღვარგარეთიდან მიღებულია წერილი... გამოვიდა ჟურნალი... ცხოვრობს სადღაც ვერას გაღმა.“ შემდეგ მოთხრობილია ციანოვის დამახასიათებელი ფიზიკურ-გარეგნული ნიშნები... აქვე ნათქვამია, რომ „თევზაიასთან მისვლისას მან შესთავაზა უკანასკნელს მათთან ერთად წასვლა გიორგის სანახავად (ვვარაუდობ, რომ გიორგი დევდარიანის „კლიჩკაა“). თევზაია ხანგრძლივი საუბრის შემდეგ დაიყოლია. ციანოვი წავიდა აღრე, ხოლო

მისი მეგობარი თევზაია ნახევარი საათის შემდეგ მიყვა, საჭირო იყო წასვლა მალაკნის ქ. №39-მდე, სადაც ცხოვრობს გიორგი დღემდე, ბინის მესამე სართულზე... თევზაია შევიდა იქ და უცებ დაბრუნდა თავის სახლში." ს. დევდარიანი დაპატიმრების (1923 წ. ნოემბრის ბოლოს) შემდეგ უჩვენებს, რომ არალეგალურად ცხოვრობდა ჟღენტის ბინაზე, მოლოკნის ქუჩაზე №29 (იხ. „საბრალმდებლო დასკვნა", გვ. 80). აქედან ირკვევა, რომ ჩეკას მისი მისამართი მიახლოებით ჯერ კიდევ 1923 წლის იანვარში ცოდნია, და საჭიროების შემთხვევაში მისი მაშინვე დაპატიმრება არ გაუჭირდებოდა, თუკი ამას იმთავითვე საჭიროდ ჩათვლიდა.

ნ. ხომერიკის დაშიფრული წერილების „გახსნა" და თარგმნა ჩეკაში ქართულ ენაზე ხდებოდა. მის რუსულად ნათარგმნს „С подлинным верно" – ხელს აწერს ლ. ბერია. ზოგი ასეთი წერილი პირადად ბერიას ხელწერაა. როგორც ჩანს, ლ. ბერია პირადად იღებს მონაწილეობას ნ. ხომერიკის დამუშავებაში. ერთ-ერთ წერილს აწერია „Переводил Бахтадзе. С подлинным верно. Л. Берия." გასაგები უნდა იყოს, რომ 1923 წლის იანვარ-თებერვალი ჩეკისტურ-დივერსიული მუშაობის საოცარი გაძლიერების დროა. ამ საფუძველზე მოხდა დაპატიმრებებიც და პარტიულ-პოლიტიკური ორიენტაციის შეცვლის აუცილებლობა. აი, როგორ შეიქმნა და ვინ შექმნა ეს „საგანგაშო დრო". მაგრამ აქ გასათვალისწინებელია ბევრი სხვაც.

ახლა რაც შეეხება თვით წერილების შინაარსს. „შალიკო" (ვ. თევზაია) წერს „ვალეს" (ნ. ხომერიკს), რომ უსაუბრია ვილაცასთან, რომელსაც უთქვამს „ცენტრალურ კომიტეტში უთანხმოებაა და თუ ასეა, საჭიროა კონფერენციის მოწვევა." ვ. თევზაიას იგი დაუწყნარებია. იმ ვილაცის ზედსახელია „კოჩი" „კოჩის" უკმაყოფილება გამოუთქვამს იმის გამოც, რომ არ არის ხელმძღვანელობა სამეგრელოში, ფოთში, სოხუმში და არა აქვთ კავშირი. „კოჩის" დაუსვამს კითხვა: „მართალია, რომ პარტია რუსულ ორიენტაციაზე დგება და ცდილობს ლეგალიზაციას?" მაშასადამე, „საგანგაშო დრომ" მენშევიკების პარტიაშიც შექმნა პარტიის ლეგალიზაციისაკენ მისწრაფების განწყობილება. პასუხი: **„ჩვენ არა ვართ ლეგალიზაციის წინააღმდეგი (! – გ.ც.) ჩვენი აღიარების საფუძველზე** (! – გ.ც.). ხელისუფლება ამ საფუძველზე ლეგალიზაციას არ დაუშვებს, რაც მტკიცდება გასახლებებით. არ ვცვლით ორიენტაციას..." და სხვა. მოტანილი ტექსტი მოწმობს, რომ პარტიის ლეგალიზაციის პრობლემა არა მარტო ეროვნულ-დემო-

კრატ რადიკალებს (კ. მისაბიშვილი, მ. ჯავახიშვილი და სხვ.), არამედ მენშევიკებსაც აინტერესებთ. მაგრამ მათ იმით აშოშმინებენ, რომ ხელისუფლება ამას არ დაუშვებს მათი პრინციპების აღიარების საფუძველზე. ამით ცკ-ის წევრი ვ. თევზაია სამეგრელოს წარმომადგენელ „კოჩის" არწმუნებს, რომ ახლა ჯერჯერობით სხვა გამოსავალი არ არის თუ არა ბრძოლის ნ. ხომერიკისეული გზა, და ამის და სხვათა შესახებ ამ უკანასკნელს აწვდის სათანადო ინფორმაციას.

„ვალე", ანუ ნ. ხომერიკი წერილით უთვლის „შალიკოს": „...ხალხს თავად შეხვდი და რაზეც გინდა ესაუბრე. თუ საქმე მართლა ესოდენ სერიოზულია, რომ აუცილებელია შეხვედრა, ამას მერეც მოვახერხებთ. შეხვდი, გამოკითხე, მითითებები მიეცი, შენებურად გაამხნევე (! – გ.ც.) და თუ ისევ თავისას დაიჯინებს, შევხვდეთ". აქვე ნათქვამია „ფულს შეშისთვის **ამ ახალგაზრდას გადმოვცემო**" (! – გ.ც.). როგორც ჩანს, „ახალგაზრდა" მეკავშირეა. ნ. ხომერიკი ვ. თევზაიას უთვლის: „მე ხვალ შენს რაიონში ვიქნები და შენთან შეხვედრაც შეიძლო, თუ შენი სურვილიც იქნება". მიმოწერა ვრცელია და მრავალმხრივიც. იგი ეხება პარტიის 1921-1922 წლების მუშაობის ანგარიშის შედგენას, რიგი სტატიების მომზადებას და საზღვარგარეთ ცენტრის ინფორმირებისათვის თუ გამოსაქვეყნებლად გადაცემას. აქვეა საზღვარგარეთიდან მიღებული ცნობების შესახებ და სხვა (სუკის არქივი, №2105, ფ. 79-99). მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესოა, რატომ და როგორ მოხდა, რომ ჩეკას მიერ კონტროლქვეშ მოქცეული ნ. ხომერიკი მთელი თერთმეტი თვის განმავლობაში, ანუ დაპატიმრებამდე (15. XI. 1923) ვითომ დიქტატორობს და ვითომ დიდ სამუშაოებს ასრულებს ქართველი ხალხის საყოველთაო აჯანყების ორგანიზაციისა და სამშობლოს განთავისუფლებისათვის, მაშინ როცა მისი დაპატიმრება პრობლემა არ იყო?! და ეს ხდება მანამდე, ვიდრე კ. მისაბიშვილმა და მ. ჯავახიშვილმა პარტიის ლეგალიზაცია არჩიეს, ხოლო მ. ჯავახიშვილმა, პ. გოთუამ, ნ. თავდგირაძემ, ალ. ახმეტელმა, ს. დანელიამ და მრავალმა სხვამ სხვა შესაძლებლობა ვერ გამონახეს გარდა „დეკლარაციაზე" ხელმოწერისა? ეს კითხვა ეკუთვნით აგრეთვე იმ ისტორიკოსებს, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ამ დროს ექსტრემისტულ-ავანტიურისტული მეთოდით უპერსპექტივო ბრძოლა და თავგანწირვა უფრო დიდი მამულიშვილობაა, ვიდრე კომპრომისული „წაწოლის პოლიტიკით" ეროვნული საქმის კეთება. ამასთანავე, მ. ხომერიკს უნდა განვუმარტოთ, რომ ტყუილია თი-

თქოს პატიმრობის დროს „ჯუღელი შედრკა“, ხოლო ნ. ხომერიკს „უკან არ დაუხევია“. სინამდვილეში, ვ. ჯუღელი პატიმრობაში დარწმუნდა, რომ ექსტრემისტულ-ავანტიურისტული ტაქტიკით ბრძოლას შექმნილ სიტუაციაში გამართლება არ ჰქონდა, რადგან მოსალოდნელ მსხვერპლს შესაბამისი ან მნიშვნელოვანი კომპენსაცია არ მოჰყვებოდა. იგივე შეიძლება ითქვას ბენია ჩხიკვიშვილზე, რომელმაც საზღვარგარეთიდან საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ, როცა დაინახა, რომ აჯანყება გაუმართლებელი იყო (1924წ.), ამის შესახებ ჯერ კიდევ დაპატიმრებამდე აცნობა საზღვარგარეთულ ცენტრს (ო. ჯანელიძე, დასახელებული სტატია, ჟურნ. „მნათობი“, 1997, №11-12, გვ. 199. იხ. ნ. რამიშვილის მიერ დასმული კითხვა შ. ამირეჯიბის მიმართ). მაშასადამე, ბ. ჩხიკვიშვილი გონიერია. ვ. ჯუღელიც გონიერი კაცი ყოფილა, რადგან პატიმრობაში მაინც მიხვდა, რომ „საცა არა სჯობს გაცლა სჯობს...“

თუმცა ჩეკას სატუსალოში ნ. ხომერიკიც „სხვა ხასიათზე“ დადგა და ნაწილობრივ მეტი წინდახედულობაც გამოიჩინა. მაგრამ ნაწილობრივ, იმდენად რამდენადაც:

I. დაპატიმრებამდე ნ. ხომერიკი საზღვარგარეთულ ანტისაბჭოთა ცენტრის წარმომადგენელს სწერდა: „როგორც გასულ წერილში ვწერდი აჯანყების საკითხი სერიოზულად დგას. შესაძლებელია უახლოეს მომავალში განხორციელდეს. თუ იგი ჩაიშლება, მე პასუხისმგებლობას ვიხსნი. დამნაშავენი თქვენ იქნებით. თავის დროზე რომ ამოგეღოთ ხმა, შეიძლებოდა საქმე სხვაგვარად და უკეთ წასულიყო. ამის შესახებ მე ზოგად ხაზებში უკვე გწერდით. თუ ეს საქმე კეთილად დამთავრდება, **საჭირო გახდება** (! – გ.ც.) იარაღი და თუ თქვენ ამ მიმართულებით რაიმეს მიაღწევთ, დიდი მიღწევა იქნება. თუ ხელისუფლებას ხელში ავიღებთ (??? – გ.ც.) და რუსეთი დასძრავს ჯარებს, **ნუთუ** (! – გ.ც.) მაშინ პოლონეთი არ მოახდენს დემონსტრაციას მაინც“ (სუკის არქივი, №2105, ფ. 28). ნ. ხომერიკის წერილის ტექსტიდან ჩანს, რომ მას საზღვარგარეთიდან აქეზებენ, მაგრამ რეალურ დახმარებას ვერ უწევენ. არც არის გასაკვირი. როგორც ცნობილია, საზღვარგარეთიდან რეალური დახმარება ქართულ ეროვნულ მოძრაობას არც 1924 წლის აჯანყების დროს აღმოაჩნდა. მაგრამ ეს შემდეგში გახდა გასაგები, მაშინ კი საჭირო იყო გამჭრიახობა. ნ. ხომერიკი მაინც იმედს არ კარგავს და ოპტიმისტურად უყურებს საქართველოში ანტისაბჭოთა აჯანყების წარმატებისა და საბჭოთა რუსის ჯარის გაძევების შესა-

ძლებლობას. აქედან ჩანს, რომ იგი არარეალურ ნიადაგზე დგას...

II. როცა ნ. ხომერიკი ჩეკას კლანჭებში აღმოჩნდა და მძიმე, ხანგრძლივი პატიმრობა განიცადა, ამის შემდეგ რეალურ ნიადაგზე დადგა. 1924 წლის 3 თებერვალს ზაკჩეკას თავმჯდომარეს მოგილევსკის გადასცა „მოლაპარაკების საფუძვლები". აქედან ჩანს, რომ ადრეც, ჯერ კიდევ სამი კვირის წინ, გადაუცია „შეთანხმების პროექტი". ახლა კი დამატებით განუმარტავს, რომ „ეს ჩემი პირადი აზრია, მომავალი მოლაპარაკების ამოსავალი, მე მხოლოდ ინიციატივას ვიღებდიო." მაშასადამე, ნ. ხომერიკს, კ. მისაბიშვილისა და მ. ჯავახიშვილის მსგავსად, გამოსავლის ძებნაზე აუღია ორიენტაცია, ოღონდ მათგან განსხვავებით ადრე, დაპატიმრებამდე, არ უფიქრია განსხვავებული აზრის შემუშავება და თანამებრძოლებისათვის მიწოდება.

III. ნ. ხომერიკის საქმეში აღმოჩნდა „მოლაპარაკების საფუძვლები". იგი საშუალებას გვაძლევს გავიაზროთ, რა სურდა ნ. ხომერიკს იმჟამად და შევადაროთ იმას, რაც ზემოთ აღვნიშნეთ, ანუ იმას, რაც „მას" ადრე სურდა.

„საფუძვლების" მიხედვით: „1. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია წყვეტს ანტისაბჭოთა საქმიანობას და ღებულობს საბჭოთა სისტემას; 2. უარს ამბობს ხელისუფლებისათვის ბრძოლაზე, თავის მუშაობას ზღუდავს კულტურულ-სამეურნეო საქმიანობით და ხელისუფლებას ეხმარება საზოგადოებრივ-პოლიტიკურ-ეკონომიკური ცხოვრების მშენებლობაში, ეწევა მხოლოდ მისი ხარვეზების კეთილსასურველ კრიტიკას; 3. ხელისუფლებასთან თანამშრომლობის პოლიტიკის გატარებით, უარს ამბობს საზღვარგარეთ საბჭოეთის საწინააღმდეგო აგიტაციაზე და პროპაგანდაზე, ამავე დროს, მხარს უჭერს ფაშიზმის და რეაქციის წინააღმდეგ იდეური ფრონტის ერთიანობას.

საკითხავია, რა განსხვავებაა, ერთი მხრივ, ზემოთ აღნიშნულ წინადადებასა და, მეორე მხრივ, კ. მისაბიშვილისა და მ. ჯავახიშვილის „სმენავეხელობას" შორის? ჩვენი აზრით, პირველი უფრო მეტ დათმობაზე მიდის, ვიდრე მეორენი.

მეორე მხრივ: 1. აღდგენილ იქნება საქართველოს დამოუკიდებლობის ძირითადი ატრიბუტები – საბჭოთა რუსეთთან მჭიდრო შეთანხმებით და სამხედრო პოლიტიკური კავშირით; 2. იქმნება ადგილობრივი სამხედრო ძალა, რუსული წითელი არმიის შემოყვანა საქართველოს ტერიტორიაზე მოხდება მხოლოდ სასწრაფო გართულების შემთხვევაში, თუ ასეთს ადგილი ექნება..." „ამავე დროს, –

წერს ნ. ხომერიკი, – სოციალ დემოკრატიულ პარტიას შეეძლო მიეღო და განეხილა გარანტიები, რომ ახალი კურსი დაუყოვნებლივ გატარებულიყო ცხოვრებაში" (საქმე №2105, ფ. 10-11).

ნ. ხომერიკის მეორე წერილში დაზუსტებულია: „1. მოლაპარაკება-შეთანხმება მოხდება სხვა პირებთან და სხვა ადგილას"; 2. იგი მოითხოვს იმას, „რასაც გვპირდებოდა რევკომი 1921 წლის დასაწყისში" (იქვე, ფ. 13). აღნიშნულთან დაკავშირებით აუცილებელია ითქვას, რომ იმდროინდელ საერთაშორისო, სსრ კავშირის საშინაო და, კერძოდ, საქართველოს ვითარებაში, მართლაც არ არსებობდა სხვა გამოსავალი გარდა ხელისუფლებასთან კომპრომისული თანამშრომლობისა. ამიტომ „წაწოლის პოლიტიკა" ერთადერთ შესაძლებლობას წარმოადგენდა ეროვნული საქმის კეთებისათვის. მაგრამ ამაზე ციხის შთაბეჭდილებისა და ჩეკას მარწუხებში ყოფნის გარეშე უნდა ეფიქრათ ექსტრემისტულ-ავანტიურისტული მიმართულების საზღვარგარეთული და ადგილობრივი ცენტრების ლიდერებს. ამაში ჩანს, ერთი მხრივ, ექსტრემისტების წინდაუხედაობა, ხოლო მეორე მხრივ, არალეგალური რადიკალიზმის მიმდევრების მარცხნივ გადახვევისა და „დეკლარაციაზე" ხელის მოწერის გამართლება.

მაგრამ მეორე მხრივ ისიც გასათვალისწინებელია: ნუთუ ნ. ხომერიკი ვერ ხვდებოდა, რომ მის მიერ შემუშავებულ პროგრამას საზღვარგარეთული ცენტრი არავითარ შემთხვევაში არ მიიღებდა, გარდა გრ. ვეშაპელის მიმდევრებისა; და ამასთანავე, ნ. ხომერიკის „შეთანხმების" პროექტი ითვალისწინებდა იმას, „რასაც გვპირდებოდა რევკომი 1921 წლის დასაწყისში". ისმება კითხვა – მაშ, რისთვის დაიღვარა სისხლი 1921-1924 წლის 3 თებერვლამდე ანტისაბჭოთა ბრძოლაში? გარდა ამისა, აქ სრული დაბნეულობა ჩანს. ნ. ხომერიკი მოითხოვდა იმ სატყუარას, რომელიც შექმნა ბოლშევიზმის პოზიციების შედარებითმა სისუსტემ, მაგრამ დრო შეიცვალა, საბჭოთა ხელისუფლების საფუძვლები ბევრად უფრო გამყარდა. მაგრამ აქ მთავარია, რომ ნ. ხომერიკი ეძებს კომპრომისს, რომლის სანქცია მისთვის არავის მიუცია.

ნ. ხომერიკს პატიმრობის დროს შეუქმნეს ლოიალური დამოკიდებულების მაქსიმუმი: 1. საშუალება მისცეს მოეთხოვა და გაცნობოდა წიგნებს და გაზეთებს. იგი ეცნობა ლენინის შრომებსა და საერთაშორისო ცხოვრებას. მოუთხოვია ილია ჭავჭავაძის თხზულებებიც (იხ. ფურც. 34, 36, 38). 2. ჩეკას ხელმძღვანელობამ დააკმაყოფილა მისი თხოვნა. ჩამორთმეული 150 თურქული ლირადან მოქა-

ლაქე სუსანა ჯანაშიას (ნ. ხომერიკის მეორე ცოლს – გ.ც.), ნ. ხომერიკის 1923 წლის 17 ნოემბრის თხოვნის საფუძველზე, მინდობილობით მისცა 30 თურქული ლირა (ფ. 39, 44). პატიმრისა და ს. ჯანაშიას მიმოწერიდან ჩანს, რომ ნ. ხომერიკი ღებულობს ხილს, ითხოვს სუფთა თეთრეულს, ქაღალდს, ქიმიურ ფანქარს (ფ. 36, 37). ასეთი პატივისცემით ჩეკაში ალბათ სხვას არავის შეხვედრიან. როსტომ მუსხელიშვილის მიერ დახვრეტის წინა ხანებში მეუღლისათვის ანდერძად მიწერილი, უაღრესად ემოციური და, ამდენად, ძნელად წასაკითხი წერილიც კი არ გადაუციათ ადრესატისათვის და ამჟამადაც მის ჩეკისტურ სამძებრო საქმეში არის დაცული (იხ.: სუკის არქივი, №24058, ფ. 134).

მაგრამ ეს ხდება იმიტომ, რომ იმ დროს, როცა საქართველოს ჩეკას თავმჯდომარის მოადგილის – ბერიას და საიდუმლო ოპერატიული განყოფილების უფროსის – მოროზის ხელმოწერით, 1923 წლის 26 ნოემბერს მოსკოვში გასაშიფრად გაიგზავნა ნ. ხომერიკისაგან ამოღებული წერილების 94 ფურცელი, ორი გასაშიფრი ხელნაწერი „გასაღები" და ხუთი ასეთივე „წიგნადი გასაღები", რომელთა გაშიფრული პასუხი ჯერ კიდევ არ არის მიღებული. ამავე დროს ბერიას და მოროზის ხელმოწერით „სრულიად საიდუმლოდ", „სასწრაფოდ" და „პირადად" ოზურგეთის პოლიტბიუროს უფროსს შესამოწმებლად ეგზავნება ნ. ხომერიკის პირადი არქივიდან ამოღებული გურული მენშევიკების სია და შესაბამისად მოთხოვნა იმის შესახებ, რომ ისინი გაკონტროლდნენ და მასალა „გათვალისწინებული წესით" გადმოეგზავნოს საქჩეკას საიდუმლო ეკონომიკურ განყოფილებას (17. I. 1924, ფ. 33).

ეტყობა, ნ. ხომერიკი ვერ მიხვდა, რისთვის ეპყრობოდნენ ლოიალურად. მას ამ დროს, როგორც ჩანს, მოწოდებული პრესის საშუალებით გაუგია ილ. გიორგაძის მკვლელობის ამბავიც. ამასთან დაკავშირებით 1924 წლის 6 იანვარს ნ. ხომერიკი ზაკჩეკას თავმჯდომარეს უგზავნის წერილს, რომელსაც ურთავს საქართველოს ცკ-ის სახელზე დაწერილ „წერილ-მიმართვას" და სთხოვს დანიშნულებისამებრ გადაგზავნოს იგი.

ნ. ხომერიკის მიერ საქართველოს კომპარტიის ცკ-ის სახელზე გაგზავნილი „წერილი-მიმართვა" ეხება ილ. გიორგაძის „კოშმარულ მკვლელობას." იგი ცკ-ისგან ითხოვს „ამ მკვლელობის ყოველმხრივსა და სრულ გამოკვლევას." ამასთანავე, ნ. ხომერიკი განმეორებით

ითხოვს ზაკჩეკას თავმჯდომარისაგან, რამდენიმე წუთი გამოუყოს მოსალაპარაკებლად და აფრთხილებს, რომ „მის დამოკიდებულებაზე იქნება დამყარებული „ჩემი შემდგომი ნაბიჯები“ (ფ. 109). ეს ხომ მუქარაა? მსგავსი ამბავის გამო იტყვიან: „ცხვარი გასუქდა და დაიქადნა მგელი მომიყვანეთ უნდა...!“ ამის შემდეგ ნ. ხომერიკი 1924 წლის 24 იანვრის წერილით მიმართავს „ზაკჩეკას თავმჯდომარეს (? – გ.ც.) მოქ. პანკრატოვს“ და სთხოვს: „დღესვე მომისმინოთ თუ შეგიძლიათო“ (ფ. 108). როგორც ჩანს, ნ. ხომერიკის ფიქრები დატვირთულია საკუთარი იდეების ხორცშესხმის მისწრაფებით და ესახება, რომ მათი რეალიზაცია შესაძლებელია. სამწუხაროა ისიც, რომ ნ. ხომერიკმა წინდახედულობა ვერ გამოიჩინა ადრე, ვერც კალე მისაბიშვილის მიმართ და ვერც საბჭოთა ხელისუფლებისადმი დამოკიდებულებისას. არა და, ადრე იყო საჭირო ჰუმანურობა და სწორი ორიენტირების გამომუშავება. სწორედ ამას სჭირდებოდა განსაკუთრებული გონიერება. ამის შესახებ წინასწარ იფიქრეს ივ. ჯავახიშვილმა და მისმა მიმდევრებმა, აგრეთვე ცოტა მოგვიანებით შალვა ნუცუბიძემ, საერთოდ, „მემარცხენე ფედერალისტებმა“ და სხვა პარტიების მემარცხენე განწყობილების ადამიანებმა. უფრო გვიან, ჯერ კიდევ დაპატიმრებამდე, ასე ფიქრობდა მ. ჯავახიშვილიც, მაგრამ „კაცი ბჭობდა, ღმერთი (ამ შემთხვევაში ჩეკა) იცინოდა.“

ნ. ხომერიკის 1924 წლის 27 ივნისის თარიღით მოგილევსკისადმი გაგზავნილი წერილიდან ჩანს, რომ უკვე ერთი თვეა კუჭ-ნაწლავის მოშლილობით იტანჯება. არაა გამორიცხული, რომ საჭმელში რაღაც ჩაუყარეს – ასეც ხდებოდა. მისთვის შეუძლებელი გამხდარა ნორმალური კვება. ამას ემატება ფეხების აუტანელი რევმატული ტკივილები. როგორც ჩანს, ერთმა გაჭირვებამ მეორეც გაძლიერა. ნ. ხომერიკი ითხოვს საავადმყოფოში გადაყვანას დაავადებათა „წარმატებული მკურნალობის“ მიზნით (სუკის არქივი, №24168, ფ. 10). არა და, ამ დროს უკვე მისი ბედი გადაწყვეტილია. ნ. ხომერიკის საქმის გამო 30 ივლისს მიღებულ იქნა დასკვნა „საქართველოდან გასახლებული იქნას მთავარი პოლიტიკური სამმართველოს რომელიმე საკონცენტრაციო ბანაკში 5 წლით, მკაცრი იზოლიაციის მიზნით.“ ამ ფორმულირებას ერთვის მოთხოვნა: „და ვადის გასვლის შემდეგ საქჩეკასთან შეთანხმების გარეშე არ განთავისუფლდეს...“ (საქმე №2105, ფ. 69). ასეთი იყო სამშობლოს განთავისუფლებისათვის ექსტრემისტული მეთოდებით მებრძოლი ადამიანების ბედი საბჭოთა ხე-

ლისუფლების პირობებში. ამიტომაც არიან ეს ადამიანები გმირებად შერაცხულნი. ნ. ხომერიკი გმირულად შეეწირა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას. მისი და მსგავსი ადამიანების შესახებ ყოფილი ჩეკისტი, მამა ალექსი შელია წერს: „მართალია ჩვენი შეხედულებანი რადიკალურად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან და ცხოვრებამ მტრები გაგვხადა, მაგრამ მე მაინც დიდი მოწიწებით მინდა მოვიხსენიო არასრული სია იმ ქართველი ვაჟკაცებისა, ვინც ბოლომდე იბრძოდა ამ სიტყვის სრული გაგებით და საკუთარი სიკვდილით უკვდავყო საკუთარი სახელი... სიმონ ბაგრატიონ-მუხრანსკი, ივანე ნარიკელაძე, კოსტა აფხაზი, ალექსანდრე ანდრონიკაშვილი, გრიგოლ (ვარდენ – გ.ც.) წულუკიძე, **ნოე ხომერიკი** (! – გ.ც.), გოგი ფალავა, ნიკოლოზ ზანდუკელი, ვალიკო ჯუღელი, გრიშა (გია კიტას ძე – გ.ც.) აბაშიძე, ნიკოლოზ წერეთელი, ქაქუცა ჩოლოყაშვილი“ და დასძენს: „მე კიდევ აღვნიშნავ, რომ **ეს არის არასრული სია** (! – გ.ც.) იმ პატრიოტებისა, რომელნიც დაამშვენებდნენ ნებისმიერ ქვეყანას, ნებისმიერ დროს“ („დილის გაზეთი“, 1999, №151). როგორც ვხედავთ, გმირ მამულიშვილთა შორის მ. შელია ასახელებს იმ დახვრეტილებს, რომლებიც გაახსენდა. მაგრამ ამასთანავე, მან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კ. მისაბიშვილის უსაფუძვლოდ მოკვლის ფაქტიც არ დაივიწყა. აი, ეს არის მაგალითი ღვთისნიერი კაცისა და „მოყვასის“ მიმართ ობიექტური დამოკიდებულებისა, რაც ზოგ ადრინდელ პატრიოტს და ჩვენს თანამედროვე ისტორიკოსს, სამწუხაროდ, არ აღმოაჩნდა.

მაშასადამე, პოზიციის შეცვლის აუცილებლობის წინაშე სხვადასხვა კრიტიკულ სიტუაციაში, ანუ „საგანგაშო დროში“ ეროვნული მოძრაობის თითქმის ყველა საღად მოაზროვნე ლიდერი აღმოჩნდა. მაგრამ ისინი, სავსებით გამართლებულად, საჩოთიროდ არ გაუხდიათ და მით უმეტეს მოღალატედ არ გამოუცხდებიათ. კონკრეტული ისტორიის მასალები მეტყველებენ, რომ დიდი პიროვნებებიდან, ამა თუ იმ სიტუაციაში, ერთნი სწორად აფასებდნენ სიტუაციას და გაბედულად აყენებდნენ ტაქტიკის შეცვლის აუცილებლობის მოთხოვნას, მეორენი კი გაუცნობიერებლად ემორჩილებოდნენ მომენტის თავბრუდამხვევ და მაცდუნებელ ეიფორიას. ამით კი ზიანს აყენებდნენ ეროვნულ მოძრაობასაც და საკუთარ თავსაც.

პატრიოტების და, მათ შორის, კ. მისაბიშვილის ჩეკისტურ დევნასთან დაკავშირებით აუცილებელია მისი გამომძიებლის გეგეჭკო-

რის როლის გააზრება-გარკვევაც. როგორც ჩანს, 1923 წლის იანვარში, როცა იგი, როგორც ჩეკას საიდუმლო ეკონომიკური განყოფილების №2 ჯგუფის უფროსი, კ. მისაბიშვილის განთავისუფლებას ხელს ჩეკას საიდუმლო განყოფილების უფროს ბერიასა და საქჩეკას თავმჯდომარე ე. კვანტალიანთან ერთად აწერდა, მაშინვე ორმაგ თამაშს ეწეოდა. ე. კვანტალიანის და ბერიას დავალებით, ჩეკისტი გეგეჭკორი, ერთი მხრივ, ეროვნული მოძრაობის ლიდერს „განთავისუფლებაში ეხმარებოდა", ხოლო მეორე მხრივ კ. მისაბიშვილის გამოყენებას ცდილობდა და ჩეკას ერთგულად ემსახურებოდა. ამით დამატებით დასტურდება, რომ კ. მისაბიშვილის, მ. ჯავახიშვილის და სხვათა მიერ ახალი პოზიციის გამომუშავება სწორი და ერთადერთი გამოსავალი ყოფილა არა მარტო საკუთარი სიცოცხლის, არამედ თანამოაზრე-თანამებრძოლების გადარჩენისთვისაც.

როგორც ზემოთ ვნახეთ, ჩეკას გამომძიებელი გეგეჭკორი პატიმრობაში მყოფი და შემდეგ განთავისუფლებული კ. მისაბიშვილის და მ. ჯავახიშვილის ახალი პოზიციის, ანუ არალეგალურ მუშაობაზე ხელის აღების ფაქტობრივი წამბიძგებელია. გამომძიებელმა გეგეჭკორმა დაიბარა კ. მისაბიშვილი და შეხვედრის ადგილზე კი საქჩეკას საიდუმლო ოპერატიული სამსახურის უფროსი მოროზი დაახვედრა. აი სიახლე. ამ უკანასკნელმა კი კ. მისაბიშვილს მოსთხოვა „სმენავეხური" გაზეთის გამოცემის ორგანიზება. ეს იმას ნიშნავდა, რომ მოროზის მოთხოვნა არ იყო კერძო ინიციატივა, ან ჩეკაში კ. მისაბიშვილის პატიმრობის დროს წამოწყებული თამაშის გაგრძელება. ამჯერად ამ საკითხებზე საუბარი ჩეკას ბობოლა მუშაკს დამატებითი, ამასთან, კ. მისაბიშვილის მიერ გამჟღავნებული შეხვედრით არ დასჭირდებოდა. როგორც ჩანს, ჩეკისტმა გეგეჭკორმა კ. მისაბიშვილი ადრე იმ საერთოდ მიღებულ ხელწერილზე დაიყაბულა, რომლის ძალით მას ევალებოდა ანტისაბჭოთა ბრძოლაზე ხელის აღება და ქალაქიდან გაუსვლელობა. პოლიტიკური პატიმრების განთავისუფლება, როგორც წესი, მხოლოდ ასე ხდებოდა. ამის გარეშე კ. მისაბიშვილის განთავისუფლება რომ მომხდარიყო, არ შეიძლებოდა. ასეთი იყო ჩეკას მიერ პოლიტიკური პატიმრის შეწყალების მეთოდიკა. როგორც ჩანს, ამის შემდეგ ჩეკაში შემუშავებულა დამატებითი გეგმა კ. მისაბიშვილის მიერ სხვებთან ერთად „სმენავეხური" მიმდინარეობის შექმნისა. გამორიცხულია, რომ ამ გეგმის განხორციელება კალეს პატიმრობის დროს დაავალეს. მაგრამ ასეც რომ ყოფილიყო, ეს არ ნიშნავს ღალატს. მაგრამ რატო-

ნსაკუთრებულია. საყურადღებო ცნობებს შეიცავს უცხოელი ავტორების პუბლიკაციები[1]. ამ პუბლიკაციების ისტორიოგრაფიული ღირებულების განსაზღვრისა და ფაქტოლოგიური სიზუსტის დადგენის მიზნით, გასათვალისწინებელია, რომ ემიგრანტ ავტორთა კონცეპტუალური დებულებების ჩამოყალიბება ხდებოდა არა მარტო ისტორიის სიმართლით აღწერის მიზნით, არამედ აგრეთვე ემიგრაციაში დევნილთა მიერ საბჭოთა პოლიტიკის და მოწინააღმდეგე პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელ, ხშირ შემთხვევაში მკვეთრად დაპირისპირებულ, ავტორთა განსხვავებული ნააზრევის მოსაშლელად ან დასაზუსტებლად. თითოეული ავტორი ისტორიის მოვლენებს აშუქებს არა მარტო საკუთარი ხედვის დიაპაზონის, არამედ აგრეთვე კუთვნილი პარტიის, ზოგჯერ შიდაპარტიული ექსტრემისტული ჯგუფის შეხედულებათა სამრეკლოდან. ამიტომ გასათვალისწინებელია ისიც, რომ მათში გვხვდება არა მარტო სუბიექტური ნააზრევი, არამედ ზოგჯერ კურიოზული ფაქტებიც. ამ აზრით, უთუოდ გასათვალისწინებელია თავად ემიგრანტი ავტორების, მათ შორის ალ. სულხანიშვილის, დ. ვაჩნაძის, მ. ლაშქარაშვილის ნაწერები. მაგალითად, ეროვნულ-დემოკრატი, შეფიცულთა თვალსაჩინო წარმომადგენელი, ალ. სულხანიშვილი პოლემიკური ხასიათის ბროშურაში „ჩემი პასუხი ჟორდანიას მემკვიდრეებს“ წერს იმ მძაფრი დაპირისპირებისა და ანტისაბჭოთა ბრძოლის მოვლენების ურთიერთგამომრიცხველი შეხედულებების შესახებ, რომელიც არსებობდა მასსა და მენშევიკ ვ. ჩუბინიძეს შორის; ს. ზალდასტანიშვილმა, როგორც თავისი ბროშურის – „საქართველოს 1924 წლის ამბოხება“ – შესავალში წერს, მიზნად დაისახა იმის ასახვა, „რაც ერთნაირად უნდა ვიცოდეთ, გვესმოდეს და ერთნაირად ვაფასებდეთ“ (გვ. 6); მაგრამ ვითარება ყველაზე მკაფიოდ მაინც ს. გოგიბერიძემ ჩამოაყალიბა თავის მოგონებებში „ბრძოლა სამშობლოსათვის“. ქართული ანტისაბჭოთა მოძრაობის ისტორიის სწორი ასახვა, მისი აზრით, „ალბათ მაშინ მოხდება, როცა საქართველო განთავისუფლდება; დღეს კი, განსაკუთრებით უცხოეთში, ყველა თავის საზომით უდგება ჩვენს წარსულს. ყველა ცდილობს თავისი პირადი წარსული სინათლის შუქით მოჰფინოს და ყოველივე ნაკლი მოწინააღმდეგე პარტიას ან პიროვნებას დააბრალოს. საკითხის ასეთი მიდგომა იწვევს ფაქტების დამახინჯე-

---

1 რ. დიუგე, მოსკოვი და წამებული საქართველო, თბ., 1994 და სხვ.

მღაც აღარც ეს გეგმა განახორციელეს. გამომძიებელი გეგეჭკორი კ. მისაბიშვილს დამატებით კი არ შეახვედრეს, არამედ ჯერ კიდევ ადრე გამოვლენილი არალეგალური ლიდერების დაპატიმრებები განახორციელეს და შემდეგ კ. მისაბიშვილიც გააუბედურეს. ამ დროს გავრცელდა თანამებრძოლებში პირველი ეჭვი კ. მისაბიშვილის შესახებ. კ. მისაბიშვილმა ტროცკის ქუჩაზე მოროზთან შეხვედრის ამბავი მ. ჯავახიშვილის გარდა სხვებსაც გაუმხილა და, მაშასადამე, „გააბაზრა". ჩვენი აზრით, კ. მისაბიშვილს ჩეკას ბობოლა მუშაკები აღარ ენდვნენ სწორედ იმის გამო, რომ მას ჩეკისტური საიდუმლოებათა დამცველის თვისებები არ აღმოაჩნდა. მართალია, არსებობს ცნობა, რომ კალემ „სმენავეხელობის" შესახებ ჯერ კიდევ პატიმრობისას განაცხადა თანხმობა („საბრალმდებლო დასკვნა", გვ. 67), მაგრამ სხვა რა გზა ჰქონდა, როდემდე უნდა მჯდარიყო იმ გაუსაძლის პირობებში?! სინამდვილეში ასეთი წინადადებების ინიციატორად ჩეკა გვევლინებოდა ხოლმე. გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილი პოლიტპატიმრები კი ტაქტიკური მოსაზრებებით თანხმდებოდნენ. ერთნი შემდგომ ანტისაბჭოთა ბრძოლაზე მართლაც უარს ამბობდნენ, მეორენი კი ჩეკასთან თანამშრომლობდნენ, მაგრამ ამას არ „აბაზრებდნენ" და საკუთარი პიროვნების მიმართ ეჭვებს არ ქმნიდნენ. ისინი შენიღბულად მოქმედებდნენ. ღრმა იატაკქვეშეთში გადასულები „ბრძოლას" აგრძელებდნენ. მოღალატე-„გამბაზრებლების" მიმართ ჩეკისტები განსაკუთრებულ დაუნდობლობას იჩენდნენ. ჩვენი აზრით, საფიქრებელია: კ. მისაბიშვილი გაწირეს იმის გამო, რომ მოროზთან შეხვედრის შესახებ საიდუმლოება არ შეინახა და, ალბათ, უნებლიედ დამსმენამდე, თუნდაც მარკოზ ხითარიშვილის, „გეორგაძის", ინფორმატორ კოლია გეგეჭკორის ან სხვის ყურამდეც მიიტანა. ჩეკისტებმა იგი „სამხედრო ცენტრის" გამცემად გაასაღეს და თანამებრძოლებს მოაკვლევინეს.

ზემოთ მოტანილი წყაროები და მაგალითები მეტყველებენ, რომ 1922 წლის ზაფხულის შემდეგ ჩეკა არალეგალური ბრძოლის წარმომადგენლებზე მდიდარ ინფორმაციას აგროვებდა და ექსტრემისტების პროვოცირებისათვის ფართო შესაძლებლობებს ქმნიდა. 1923 წლის იანვარ-თებერვალში კი ჩეკამ ეროვნული მოძრაობის ლიდერებს „საგანგაშო დრო" დაუყენა. ასეთ ვითარებაში ჩეკისტების მიერ ყოველმხრივ შებორკილი ადამიანების, მათ შორის კ. მისაბიშვილისა და მ. ჯავახიშვილის, მით უმეტეს პატიმრების მხრივ გონიერი გამო-

სავლის ძებნა და საკუთარი, აგრეთვე თანამოაზრე-თანამებრძოლე-ბის სიცოცხლის შენარჩუნება-განთავისუფლებისათვის მეცადინეობა ერთგვარი გმირობაა. განთავისუფლების შემდეგ შეიძლებოდა ეროვნული საქმის ლეგალური ბრძოლით გაგრძელება. მაგრამ ასეთი შესაძლებლობა ჭეშმარიტ პატრიოტ კ. მისაბიშვილს ჩეკას მიერ თავგზააბნეულმა ექსტრემისტმა თანამებრძოლებმა გამოურიცხეს. გამოუვალ მდგომარეობაში მყოფმა მ. ჯავახიშვილმა თავის თავზე აიღო სხვა პატიმრების დახმარება და ქ. ჩოლოყაშვილის ექსტრემისტულ-ავანტიურისტული ჯგუფის ნეიტრალიზება. მხოლოდ ამ გზით შეიძლებოდა განწირული „სამხედრო ცენტრის" წევრთა ბედის შემობრუნება, რაც ზოგ ისტორიკოსს საჩოთირო ინიციატივად, ზოგს კი მოღალატეობის გამოვლინებად ესახება. ეს არის ამ ისტორიკოსების „კაბინეტური" და მიზნობრივი აზროვნების გამოხატვა. როგორც გ. წინამძღვრიშვილის ჩვენებიდან მოტანილი ამონარიდით გავარკვიეთ, მოგვიანებით მსგავსი ინიციატივა იკისრა მან და ქაქუცაც ამავე აზრამდე მივიდა, მაგრამ ჩეკამ ასეთი ინიციატივა ახლა დაიწუნა, რადგან გადაწყვეტილი ჰქონდა ქაქუცას და მის რაზმელთა განადგურება, ხოლო მათი მეგობარი სამხედროების დახვრეტა. ამის შემდეგ მ. ჯავახიშვილმა ცნობილ ეროვნულ მოღვაწეებთან, პართენ გოთუასთან (ლევან გოთუას მამასთან) და ნიკო თავდგირიძესთან ერთად ითავა საკუთარი და სხვა თანამოაზრე-თანამებრძოლების სიცოცხლის შენარჩუნება – პატიმრობიდან განთავისუფლების მიზნით, ძირითადად ჩეკას ნებით და კარნახით, შედგენილ „დეკლარაციაზე" ხელმოწერა. დეკლარაციას შეუერთდნენ ალექსანდრე ახმეტელი, სერგი დანელია, ნ. კეცხოველი, ს. ყიფიანი და სხვები, რომელთაც ჩეკას ვერდიქტით მისადაგებული ჰქონდათ „სამშობლოს ღალატი" და დახვრეტა. მათ მიერ „დეკლარაციაზე" ხელის მოწერა განთავისუფლების საფუძველი გახდა. როგორც წესი, ჩეკა „დეკლარაციაზე" ხელის მომწერად იმ კატეგორიის პოლიტიკურ პატიმრებს იყაბულებდა, რომელთა ანტი-საბჭოთა არალეგალური ბრძოლის შემდგომი ნეიტრალიზება საეჭვოდ არ მიაჩნდა. გასაგებია, რომ ჩეკა იმ გადაწყვეტილებებს ღებულობდა, რომელსაც ცენტრთან ათანხმებდა. „დეკლარანტების" „შემორიგებამ" და თითოეული მათგანის შემდგომმა მოღვაწეობამ ერს დიდი სამსახური გაუწია. ამ მხრივ აღსანიშნავია აგრეთვე მ. ჯავახიშვილის შემდგომი სამწერლო მოღვაწეობა. მისი მსგავსი პიროვნება და მწერალი მართლაც ყველა დროის ყველა ქვეყანას დაამშვენებდა. სა-

ბჭოთა პერიოდის ამ დიდმა მწერალმა გაგვაგებინა, რომ, მიუხედავად ინტელექტუალური შესაძლებლობებისა, ყველა, ვინც სამშობლოსათვის უსარგებლო იყო, „ჯაყოს ხიზნებად“ იქცეოდა, და რომ საჭირო იყო სწორი მოქმედება – წინააღმდეგ შემთხვევაში გარდაუვალი იყო პირადი დაკნინება და შეურაცხყოფილ ბრინკას მდგომარეობაში ჩავარდნა. სამშობლოს დიდი სარგებლობა მოუტანეს სხვა „დეკლარანტებმა“, ანუ იძულებით ლიკვიდატორმა ყოფილმა რადიკალებმა: სახელოვანმა რეჟისორმა ალ. ახმეტელმა, ცნობილმა ფილოსოფოსმა ს. დანელიამ, დიდმა ბოტანიკოსმა ნ. კეცხოველმა და მრავალმა სხვამ. მაშასადამე, „პოზიციის შეცვლა“ სწორი აღმოჩნდა. კ. მისაბიშვილს კი, რომელსაც სრულიად ახალგაზრდას თავისი დროის უდიდეს ქართველ მამულიშვილებთან უწევდა პოლიტიკური მოღვაწეობა, გარემოებათა გამო უსაფუძვლოდ და დაუმსახურებლად მიაწერეს მოღალატეობა და, ზვარაკად შეწირულს, არ დააცალეს საყვარელი ერისათვის საკუთარი დიდი შინაგანი შესაძლებლობები მიეძღვნა. მაშასადამე, კ. მისაბიშვილის, მ. ჯავახიშვილის და მათი მიმდევრების მიერ პარტიის ლეგალიზაციის, „სმენავეხელობის“ თუ დეკლარანტობის გადაწყვეტილებებში საჩოთიროც კი არაფერია. ზოგი ცდილობს „სმენავეხელობა“ ჩეკასთან თანამშრომლობამდე გააზვიადოს, რაც სწორი არ არის. ქართულ ინტელიგენციაში „1922 და 1923 წლებში შესამჩნევი ხდება სმენავეხური განწყობილება“ (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VII, გვ. 189), მაგრამ ვინც კი ჩეკას ზეწოლის გამო „სმენავეხურ“ საქმიანობას დათანხმდა, ყველა ჩეკას აგენტი და სამშობლოს მოღალატე როდი გახდა. ე.წ. პროლეტარულ მწერლობაშიც კი ბევრი ზნეობრივი და ჭეშმარიტი მამულიშვილი ერთიანდებოდა.

ახლა ვნახოთ, ამ „საგანგაშო დროში“ როგორ მოქმედებდნენ ექსტრემისტული მიმდინარეობის წარმომადგენლები, სწორი იყო თუ არა მათი საქმიანობა და რა შედეგები მოჰქონდა მას.

მ. კოლუაშვილმა უჩვენა: ციხიდან „გამანთავისუფლეს თუ არა, იანვრის შუა რიცხვებში, 1923 წელს მე ჩამოვედი თბილისში... იძულებული ვიყავ პარიტეტული კომიტეტის ფინანსური დახმარებით მერჩინა თავი. ერთ დღეს... ვგონებ თებერვალი იყო, ცეკმა მაცნობა ფალავა ნახეო. მე წავედი საჩქაროდ გოგიტასთან. მან მითხრა: „უნდა წავიდეთ ერთად, ვნახოთ ალექსანდრე ბენდელიანი, რომელზედაც ბერულავამ („ჩეკას“ საიდუმლო თანამშრომელი იყო) გვაცნობა, რომ

ის ჩვენ გვღალატობს და ჩვენს საიდუმლოებას სცემს". მ. კოღუაშვილის და სხვათა ჩვენებებიდან არა ჩანს, რამდენად სანდო იყო „ჩეკას საიდუმლო თანამშრომელი ბერულავა" და რომ პროვოკატორი არ იყო. ასეთი შემთხვევები კი არცთუ იშვიათად გვხვდება. დაადგნენ ბენდელიანს, „მიხეილმა ყელში წაუჭირა", „გოგიტამ ხანჯალი დაულერა". მათ უნდათ ასეთი მეთოდით გამოტეხონ. იმას არა ფიქრობენ, პროვოკაციას ხომ არ წამოეგნენ. თავის მართლების შესაძლებლობა არ მისცეს. მ. კოღუაშვილმა უჩვენა: ბენდელიანმა გამოსავალი იპოვა „სიტყვა მოგვცა, ყველაფერს იტყოდა მხოლოდ მარტო გოგიტასთან, ისიც მეორე დღეს". მაგრამ მეორე დღეს „გაიქცა და „ჩეკისტ" ბერიასთან ბინაზე იმალება... (საეჭვოა, რომ ბერიას ბინის გარდა სხვა თავშესაფარი არ გააჩნდათ პროვოკატორებს – გ.ც.) რამდენიმე დღის შემდეგ ბენდელიანმა გამოუგზავნა წერილი ცეკს, სადაც ითხოვდა პატიებას, სამაგიეროდ უფრო მეტი სარგებლობის მოტანას ჰპირდებოდა. ამაზე დათანხმდნენ." არავინ იფიქრა, რომ რაკი ბერიასთან გაიქცა და ბერიას ბინაზე აფარებდა თავს, „ჩეკისტ ბერიას" შეეძლო მისი ხელახლა, ახალი სიტუაციის შესაბამისად, დამუშავება. მართლაც, როგორც მ. კოღუაშვილმა უჩვენა, „მან დაასახელა რამდენიმე პირი, რომლებიც არალეგალურ „ცეკასთან" მუშაობდნენ და ამავე დროს ჩეკასთან ჰქონდათ კავშირი. ყველას, ვინც მან დაასახელა, მისი თქმით, ის ხედავდა ბერიასთან (ბერიას ბინაზე ყოფნის დროს), რომლებსაც მიჰქონდათ ცნობები. ერთი დასახელებულთაგანი იყო მარკოზ მხიტაროვი, რომელსაც დიდი ნდობით ეპყრობოდნენ არალეგალურ ცენტრალურ კომიტეტში. ვინ იყვნენ სხვები დასახელებულნი, არ ვიცი. ვიცი მხოლოდ ცეკას წევრების თქმით, რო დანარჩენები გამოტყდნენ და გულწრფელად მოინანიეს თავიანთი ცოდვები. ყველა ამ ამბებმა თავზარი დასცა ბიქტორ თევზაიას, ერთ თვალსაჩინო წევრს ცენტრალური კომიტეტისას და კიდეც გავარდა ცეკიდან... ამის შემდეგ მაცნობეს, რომ მარკოზ მხიტაროვი უნდა მოკვდეს, რადგანაც მისთვის ბერიას გოგიტა ფაღავას სიკვდილიც (? – გ.ც.) კი დაუვალებია" (ნ. კირთაძე, დასახელებული წიგნი, გვ. 309-312). დააკვირდით, როგორა ჰგავს მ. კოღუაშვილის ეს ნაწერი მამა არქიპოს, იგივე სეთურის, ასინეთას და სპირდონია სელანჯიას ამბავს – ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხიაში" ასახულს. კოღუაშვილსა და სხვებს ბერია ჩვეულებრივი ჩეკისტი ჰგონიათ. ვერ გაუგიათ, რომ ბერია „მართავს პარადს" და გამორიცხული არ იყო, რომ ჩეკისტი

ბერულავა ისეთივე „სანდო“ პიროვნება იყო, როგორიც აგენტი კოლია გეგეჭკორი. ასეა თუ ისე, მარკოზ მხიტაროვი მოკლეს. მ. კოღუაშვილი თავს იმით იმართლებს, რომ „გადაწყვეტილია, პარიტეტული კომიტეტისაგანაც გამცემი რომელ პარტიაშიც აღმოჩნდება, უნდა მოკვდეს“. ამას გარდა, ვითომ „მეორე დღეს გამოირკვა, რომ მას მართლაც სდომებია ფაღავას დაპატიმრება (? – გ.ც.), რისთვისაც „ჩეკის“ თანამშრომლებიც წამოუყვანია“. „ეს ამბავი მე ცენტრალურ კომიტეტში დარწმუნებით მითხრეს“ – წერს მ. კოღუაშვილი. ისე გამოდის, რომ მ. კოღუაშვილს რასაც ეუბნებიან, ვითომ ყველაფერი ჭეშმარიტებაა. მაგრამ იგი შემსრულებელია და, ამდენად, საკუთარი მოქმედების გამამართლებელ არგუმენტებს იმარჯვებს. „ერთი თვის შემდეგ“ კი, ეჭვის საფუძველზე, კალე მისაბიშვილი ისე მოკლეს (იქვე, გვ. 312, 314), რომ თავის მართლების შესაძლებლობაც არ მისცეს. ბერიას ფენომენალური ჩეკისტური ნიჭი მ. კოღუაშვილმა დიდი ხნის შემდეგ, ისიც პატიმრობაში, იგრძნო. მის 1924 წლის 29 აგვისტოს ჩვენებაში ვკითხულობთ: „ჩემს თავს აღარ დავეძებ, მე რაც გადამხდება, ის ნათლად მაქვს წარმოდგენილი. მიუხედავად ამისა, მაინც ბედნიერად ვთვლი ჩემს თავს, იმ აუარებელი უტყუარი ცნობების შემდეგ, რომლებიც საგანგებო კომისიას ქონია ამ საქმის შესახებ, რომ აჯანყება არ მოხდა (არადა მოხდა – გ.ც.) და არ გავაუბედურე მრავალი ახალგაზრდა, რომლებიც ზოგი წინდაუხედაობით და ზოგი ჩემი გავლენით წამოვიდნენ ამ უგუნურ საქმეზე. დაღვრილი სისხლი კი იმათ კისერზე იყოს, ვინც დიდ საქმეს კიდებს ხელს და პატარა საქმის გაკეთებისთვისაც არ შეუქმნია ბუნებას“. მ. კოღუაშვილი ახლა უკვე დაღვრილ სისხლს მისტირის და იმათ კიცხავს, ვინც იგი ტეროორისტულ საქმიანობაში და გაუმართლებელ ექსტრემისტულ ბრძოლაში ჩაითრია. მან არ იცის, რომ აჯანყება დაიწყო და უახლოეს დროში კიდევ 4 ათასი კაცის სისხლი უნდა დაიღვაროს.

არ შეიძლება ანტისაბჭოთა ექსტრემისტული და ავანტიურისტული ხაზის მიმდევრებისა და მათი მოწინააღმდეგე ჩეკისტების საქმიანობაში ღრმად ჩაწვდე და ამ გმირი მამულიშვილების გულუბრყვილობით გული არ დაგეწვას. მაგრამ აქ რამდენიმე მომენტს უნდა მიექცეს ყურადღება: ჯერ ერთი, მ. კოღუაშვილი აღიარებს, რომ მან თავისი განწყობილების მრავალი ახალგაზრდა აიყოლია. მათგან „ზოგი წინდაუხედაობით წამოვიდნენ ამ უგუნურ საქმეზე“. მეორე, მ. კოღუაშვილი მემარჯვენე ფედერალისტი, ე.ი. არაექსტრემისტული

მიმდინარეობის წარმომადგენელი იყო. როცა ექსტრემისტებს დაუკავშირდა, ფედერალისტებმა მოსთხოვეს პოზიცია არ შეეცვალა. იგი წერს: „ამავე დროს სოციალ ფედერალისტთა მთავარმა კომიტეტმა მაცნობა, რომ მთავარი კომიტეტის უსანქციოდ არც ერთი ნაბიჯი არ გადამედგა, რომელსაც მე შემდეგში არ დავემორჩილე" (ნ. კირთაძის დასახელებული წიგნი, გვ. 310). მაგრამ იგი ამის გამო მემარჯვენე ფედერალისტებს არ მოუკლავთ.

როგორც ზემოთ გავეცანით, ნ. ხომერიკს ბერიამ თბილისში ჩამოსვლისთანავე „შეაბა ეჟვანი". როგორც ქვემოთ ვნახავთ, მას არც შემდეგში გასჭირვებია ნ. ხომერიკის, გ. ფაღავას, გ. წინამძღვრიშვილის და საზღვარგარეთიდან ჩამოსული სხვა ანტისაბჭოთა მისიონერი ლიდერების: ვალიკო ჯუღელის, ბენია ჩხიკვიშვილის, ვიქტორ ცენტერაძის – მთელი ბათუმ-გურიის სააჯანყებო ხელმძღვანელი ჯგუფის და სხვა თვალსაჩინო ექსტრემისტი მეთაურების დროული დაპატიმრება... ფაქტობრივად, ეს იყო დიდი შესაძლებლობების ჩეკას ორგანოების ნადირობა გულუბრყვილო და მოწინააღმდეგის ძალებში გაუცნობიერებელ, სამშობლოს დაუყოვნებლივი განთავისუფლების შესაძლებლობის ილუზიით გატაცებულ ადამიანებზე. და რამდენად სასარგებლო იქნებოდა ერის ამ ძვირფასი გენოფონდის წარმომადგენელთა ექსტრემისტულ-ავანტიურისტული ბრძოლის გზისგან ჩამორიდება. აქ აუცილებელი ხდება, კიდევ ერთხელ მოვიყვანოთ მ. ქავთარაძის მიერ გაცხადებული ეროვნულ დემოკრატიული პარტიის ლიდერისა და აღიარებული პოლიტიკოსის სპირიდონ კედიას აზრი: „ის **რჩეულნი** და უკეთესნი, რომელნიც ათასობით დაიხოცნენ, **ცოცხლად რომ დარჩენილიყვნენ, ამ ჯანმრთელი პატრიოტული ელემენტების არსებობა, თვით საბჭოთა პერიოდშიც, ქვეყანას დიდ სარგებლობას მოუტანდა – ამ კარგთა ამოწყვეტამ ცუდებსა და უვარგისებს გაუხსნა გზაო**" (ხაზგასმა ჩვენია – გ.ც.). მაგრამ ბევრს, მათ შორის ისტორიკოსს, ეჩვენება, რომ ეს ჩვენი ეროვნული ინტერესებისათვის შეუსაბამო იყო. ეს არის 20-იანი წლების პოლიტიკური პროცესებისა და ჩეკას ორგანოების რეალური საქმიანობის შეუცნობლობით, ამასთან ვითარების გაუგებრობით გამოწვეული ნააზრევი და გულუბრყვილობა. აქ გვახსენდება იულიუს ფუჩიკის სიტყვები: „ადამიანებო, იყავით ფხიზლად!" ეს გაფრთხილება კი, ჩვენი აზრით, არა მარტო არსებულ რეჟიმთან ბრძოლაში შებმულ ექსტრემისტებს, არა-

მედ სენსაციების მოყვარულ მკვლევრებს და, კერძოდ, ისტორიკოსებსაც ეხებათ.

მაგრამ ნ. ხომერიკი მაინც ძალიან გულუბრყვილო გამოდგა. იგი 1923 წლის 1 ნოემბერს გადაბირებულ ახალგაზრდა ჩეკისტს არჩილ კახიანს ასე ამშვიდებდა და ამხნევებდა: „ჩეკას აგენტები გამოუცდელები არიან, თბილისში ერთ წელზე მეტია ვიმყოფები და დაჭერა ვერ შეუძლიათო, რომელიღაც სახლში ხშირად იკრიბებიან, აგენტები იქვე იდგნენ, მენშევიკები შედიოდნენ და გადიოდნენ, ისინი არ ამჩნევდნენ, მხოლოდ კრების მერე თითქოს განგებ (! – გ.ც.) მოვიდნენ, და უკვე ვერავინ ნახეს;" ნ. ხომერიკი ვერ ხვდებოდა, რომ ვითომ „შეუმჩნევლობა" ჩეკას ტაქტიკა იყო და იგი ეროვნულ ძალთა პროვოცირებას ისახავდა მიზნად. ჩეკას როცა დასჭირდებოდა, ეროვნულ მებრძოლს თავისი მანქანითაც გაასეირნებდა (მაგ. მ. დადიანი). ეს ვითომ გულუბრყვილო მამულიშვილი კი ამხნევებს ჩეკისტ ა. კახიანს: „მალე გადაიჭრება ქართული საკითხიო ქართველი კომუნისტების სასარგებლოდ. ესენი ჩვენთან მუშაობენო." ა. კახიანმა უჩვენა აგრეთვე: „დეიდაც მელაპარაკებოდა კავშირის დამყარებისას, რომაო ძველი კომუნისტები მახარაძე, ს. ქავთარაძე, კ. ცინცაძე, ლადო დუმბაძე და თორდია გადაყენებული არიან საპატიო თანამდებობიდან და მათ ცვლიან ახალგაზრდა კომუნისტებიო." ეტყობა, ა. კახიანის დეიდაც წინასწარ დაუმუშავებია ნ. ხომერიკს. ა. კახიანი აგრძელებს: „დეიდა დამპირდა მალე უკლონისტები დაბრუნდებიანო და კარგი ადგილი შემპირდა..." მხოლოდ ეს ორი პიროვნება არ ცდილობდა ა. კახიანის გადაბირებას. 1922 თუ 1923 წლის „მაისში ზაკჩეკაში გამოჩნდა ორი უკლონისტი, ადრე დიდი პოსტის მქონე, – წერს ა. კახიანი და დასძენს: ისინი მელაპარაკებოდნენ უკლონისტებზე, მახარაძეზე, ბუდუზე და სხვ... რომ შეცვალეს ახალგაზრდებმა, რომ უკლონისტებს აგენტები ადევნებენ თვალყურს, მათ შორის ჩეკაში პასუხისმგებელი პოსტების მქონეებს. უკლონისტი ჩეკისტები მეუბნებოდნენ, რომ მოსკოვში საქმე გადაწყვიტეს მათ სასარგებლოდ, რომ ქავთარაძე ისევ სახკომსაბჭოს თავმჯდომარედ ბრუნდება, რომ უკლონისტები დაიკავებენ საპასუხისმგებლო პოსტებს. იგივე ხმები დადიოდა მასაში" (სუკის არქივი, №2105, ფ. 55, 57, 60). ეს მართლაც იყო „ქართველი ამხანაგებისადმი" ლენინის ცნობილი წერილის ანარეკლით გამოწვეული ხმები, მაგრამ იგი გაუმართლებელი იმედი

აღმოჩნდა. ამ „ნაციონალ უკლონისტების“ წარმომადგენლები ს. ქავთარაძე და ნ. ოკუჯავა კი 1925 წელს ხელისუფლებამ „პარიტეტული კომიტეტის“ საქმის გამო დაპატიმრებულებს სასამართლოზე ბრალმდებლებად დაუსვა. როგორც ზემოთ ყოფილი ჩეკისტის, მანუჩარ შელიას მოგონებათა საფუძველზე გავეცანით, ბერიამ დიდი ჩეკისტური სამუშაოები გაშალა მენშევიკებთან ალიანსში მყოფი პატრიოტი კომუნისტების, ანუ ნაციონალ-უკლონისტების წინააღმდეგ და, ამდენად, მათგან ჩეკას ორგანოების გაწმენდაც მოახერხა.

ამ დროს ნ. ხომერიკი და ბევრი მისი მიმდევარი განწირული აღმოჩნდა. ამის საილუსტრაციოდ უაღრესად საინტერესო ცნობები არსებობს. ჯერ ერთი, „პარიტეტული კომიტეტის“ შტაბის ადგილსამყოფელიც კი კარგად იცოდა ჩეკამ და, როგორც ჩანს, მასზე მუდმივ დაკვირვებასაც აწარმოებდა. მეორე, ქართველმა პატრიოტმა კომუნისტებმა, „ნაციონალ-უკლონისტებმა“ (კ. ოკუჯავამ), რომლებიც ჯერ კიდევ 1922 წელს კავშირში იყვნენ მენშევიკებთან, დროულად გაიფრთხილეს ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლები, რომ არსებულ ვითარებაში აზრი არ ჰქონდა შეიარაღებული აჯანყების მოწყობას. ეჭვგარეშეა, რომ ამის შესახებ მათ ხმა მიაწვდინეს ნოე ჟორდანიასაც და სხვასაც. მაგრამ, როგორც ჩანს, მათი ექსტრემისტული ნაწილისათვის მაინც მიზანშეწონილი აღმოჩნდა საქართველოში საყოველთაო შეიარაღებული აჯანყების მოწყობა. ამით ისინი ვარაუდობდნენ საერთაშორისო მხარდაჭერის მოპოვებას და ამ გზით სსრ კავშირზე საქართველოს სასარგებლო ზემოქმედებას. როგორც ჩანს, ნ. ჟორდანია, ნ. რამიშვილი და ზოგი სხვა მათი თანამოაზრე ფიქრობდა, რომ ამ გზით შეიძლებოდა ქართველი ერის განთავისუფლების საქმის წაბიძგება ან, უფრო ზუსტად, ქართველი ხალხის აჯანყებით საზღვარგარეთ მათი მხარდაჭერისა და სიმპათიების გაძლიერება, და თავიანთი ანტისაბჭოთა ემიგრანტული პოლიტიკური ცხოვრების იმ დრომდე მაინც გახანგრძლივება, ვიდრე საქართველოს განთავისუფლების რეალური ობიექტური პირობები მომზადდებოდა. საქართველოს შიგნიდან ამის ახლო პერსპექტივა არ ჩანდა. მაგრამ საზღვარგარეთ მოღვაწე მამულიშვილებს ილუზია უკურნებელ ავადმყოფობასავით გაუჯდათ. ამის მიზეზი ისიც იყო, რომ საქართველოსა და ემიგრაციაში მყოფი ცენტრები ერთმანეთს ამხნევებდნენ გადაჭარბებული ოპტიმისტური ინფორმაციებით. უბედურების

წყაროდ ისიც გვევლინებოდა, რომ მათი მნიშვნელოვანი ნაწილი რეალობას მოკლებული ოპტიმიზმის ნიადაგზე იდგა. რეალობა კი სულ სხვა დასკვნების შესაძლებლობას იძლეოდა. მაგრამ მას ყველა ვერ ჭვრეტდა და აქედან მოდიოდა მთელი ჩვენი იმდროინდელი უბედურება.

ეროვნული მოძრაობის მოცემულ ეტაპს ახასიათებდა პარტიებისა და მოძრაობის მიმდინარეობათა წარმომადგენლებს შორის ურთიერთ მომთმენლობაც და შემწყნარებლობაც. იგივეს ვხედავთ ხელისუფლების ზოგი წარმომადგენლის დამოკიდებულებაში ოპოზიციის მიმართ. ამის შესახებ საყურადღებო ცნობებს გვაწვდის დემოკრატიული საქართველოს ხელისუფლების თვალსაჩინო სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, ნ. ჟორდანიას და მენშევიკების მიერ ნდობით აღჭურვილი გენერალი შალვა მაღლაკელიძე. იგი ერთხანს თბილისის გენერალ-გუბერნატორიც გახლდათ. შ. მაღლაკელიძე 1922 წლის დასაწყისში გენუის კონფერენციასა და შემდეგ საქართველოს დამოუკიდებლობის ოთხი წლისთავთან დაკავშირებული, მოსალოდნელი გართულებების თავიდან აცილების მიზნით ჩეკისტურ-პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარებისას 23 ცნობილ სამხედრო პიროვნებასთან (გ. მაზნიაშვილი, ალ. ანდრონიკაშვილი, ვ. წულუკიძე, ალ. მაჭავარიანი, ჯაფარიძე, შელია, არჩ. ანდრონიკაშვილი, ს. ბაგრატიონ-მუხრანსკი, რ. ერისთავი, პ. ხარაძე, მ. მიქელაძე, ი. მახარაძე, ს. ბოლქვაძე, ზ. ჯორჯაძე და სხვებთან) ერთად (იხ. სუკის არქივი, №28082, ფ. 98; №23410, ფ. 4) ჩასვეს მეტეხის ციხეში. მასთან ერთად ისხდნენ გოგიტა ფაღავა, სპ. კედია, ვანო ლორთქიფანიძე, ზაქარია გურული, მაზნიევი, სტროევი (იხ. ვ. რცხილაძე, ქართველები გერმანული დროშის ქვეშ, თბ., 1994, გვ. 117). შემდეგ მას „ნაციონალ-უკლონისტები" დაეხმარნენ საზღვარგარეთ დეპორტაციაში და ნ. ჟორდანიასთან გადასაცემი ამბავიც დააბარეს. „როდესაც კოტე ცინცაძე გადააყენეს, დანიშნეს კოლია ოკუჯავა და დადგა საკითხი, – წერს შ. მაღლაკელიძე, – რომ მე უცხოეთში უნდა წავიდე". ამ დროს „კოლია ოკუჯავამ გამაფრთხილა: ჩეკას შენობაში, მოსკოვის ქუჩაზე (! – გ.ც.) არსებობს „ბაბი გოროდოკი." იქ არიან პარიტეტული კომიტეტის წევრები. სახლში ნაგაზი ჰყავთ, ვინმე რომ მივა, ფანჯარიდან გამოიჭყიტებიან. ქვეყანამ იცის მათი არსებობა (ე.ი. ჯერ კიდევ იმ დროს იცოდა ბერიამაც, მოგილევსკიმაც და სხვამაც – გ.ც.) და მითხრა რომეო, იქნებ რამენაირად ამის შესახებ ჟორდანიას აცნობო და

ასეთ პირობებში გამოსვლები როგორ შეიძლებაო, ხომ დაიღუპა ხალხი და მე როცა ჩეხოსლოვაკიაში ჩავედი, კოლია ჭუმბურიძის გზით, სხვას არ ვენდობოდი (რაღაა დასამალი? – გ.ც.), შევეცადე მიმეწვდინა ხმა ჟორდანიასათვის. ასე რომ, ჟორდანიამ იცოდა საქმის ვითარება..." (იქვე, გვ. 130). ეს არის უაღრესად საყურადღებო ინფორმაცია, რომელიც ვ. რცხილაძემ საზღვარგარეთიდან ომის შემდგომ მოტაცებული და თბილისში მცხოვრები შ. მაღლაკელიძისაგან ჩაიწერა. ეს თუ მართალია, მაშინ გამოდის, რომ არალეგალური, ექსტრემისტული და, მით უმეტეს, ავანტიურისტული ტაქტიკით ბრძოლას საქჩეკას თავმჯდომარის პოსტიდან კ. ოკუჯავას გადაყენების და ამ თანამდებობაზე ფორმალურად ე. კვანტალიანის, ფაქტობრივად კი ლ. ბერიას მოსვლის შემდეგ აღარავითარი გამართლება აღარ ეძებნება. პირადად ჩვენ ამ ინფორმაციას ყოველთვის ვენდობოდით, რადგან ჩვენთვის ცნობილი წყაროებით მართლაც ჩანდა, რომ ნაციონალ-უკლონისტი კომუნისტები, მათთვის დამახასიათებელი პატრიოტული მოსაზრებებიდან გამომდინარე, არა მარტო ეროვნული სუვერენიტეტის მაქსიმალურად შენარჩუნებისათვის იღვწოდნენ, არამედ გარკვეულად მფარველობდნენ ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლებს. ისინი იმისთვისაც იღვწოდნენ, რომ „სუვერენულ" საქართველოს ხელისუფლების სამსახურში მიეზიდათ ძველი და ცნობილი სამხედრო სპეციალისტები, განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდნენ ქართული საბჭოთა წითელი არმიის მშენებლობის მიმართ. ნაციონალ-უკლონისტების ხელისუფლების პირობებში ფართო შესაძლებლობები ექმნებოდა ეროვნული დაწესებულებების ეროვნულ-პატრიოტულ საქმიანობას. ისინი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ იმას, რომ ლოკალური ანტისაბჭოთა ავჯანყებები და პარტიზანული გამოსვლები არ გადაზრდილიყო სრულიად საქართველოს საყოველთაო ავჯანყებაში და, შესაბამისად, რუსის ჯარს მთელი საქართველო არ გადაებუგა. ნაციონალ-უკლონისტები შემწყნარებლობას ავლენდნენ ანტისაბჭოთა ავჯანყების წარმომადგენლების მიმართ. გავიხსენოთ თუნდაც რამდენიმე მაგალითი: ალ. სულხანიშვილმა გვამცნო, რომ თბილისში არალეგალურად ჩამოსულმა ქ. ჩოლოყაშვილმა რამდენიმე ღამე გაათენა საშა გეგეჭკორთან, როგორც მეგობარმა; პარტიზანად გასული ქ. ჩოლოყაშვილი უკლონისტების იმედით ცდილობდა მძევლად აყვანილი თავისი ოჯახის წევრების გამოხსნას; როცა ხევსურეთის აჯანყება დამარცხდა, ხელისუფლებამ ბევრი ამ

აჯანყების მონაწილე შემოირიგა, ანუ შეიწყალა და გადაარჩინა. კერძოდ, კ. ოკუჯავას მიეწერება ს. ბაგრატიონ-მუხრანსკის და მისი იმ თანამებრძოლების შემორიგება, რომლებიც მ. ლაშქარაშვილთან იყვნენ მივლინებული რაზმების მეთაურებად და სხვ.

მაგრამ ამ მხრივ სხვა დამატებითი ინფორმაციაც იძებნება. ჯერ ერთი, როგორც ადრე ვნახეთ, მკაფიოდ ჩანს „ნაციონალ-უკლონისტების", „მენშევიკების" (ი. ცინცაძე და სხვ.), „პარიტეტული კომიტეტის", „სამხედრო ცენტრის" და ანტისაბჭოთა პოლიტიკური პარტიების რადიკალი (ე.ი. არაექსტრემისტი და არააანტიურისტი) მიმდინარეობის თვალსაჩინო წარმომადგენელთა ძალისხმევის ერთიანობა. ეს მდგომარეობა კარგად აისახა ი. ცინცაძის (მენშევიკების ცკ-ის წევრის და სამხედრო კომისიის მეთაურის) და „სამხედრო ცენტრის" წევრის რ. მუსხელიშვილის ურთიერთობაში. პოლკოვნიკი რ. მუსხელიშვილი ზემოთ აღნიშნული ეროვნულ-პატრიოტული ცენტრების დირექტივების თანხვედრით მოქმედებდა. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა იოსებ ცინცაძის პიროვნება, მისი პოლიტიკური ფიზიონომიის შესახებ დამატებითი ცნობების წარმოჩენა.

იოსებ ცინცაძე, ცნობილი წყაროების მიხედვით, მენშევიკების გვარდიის სამხედრო ექიმია. ნ. კირთაძის მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტებით, იგი მენშევიკური პარტიის ცკ-ის თავმჯდომარედაც იხსენიება და ცკ-ის წევრადაც. მის გარშემო შემოკრებილნი არიან გოგი ხიმშიაშვილი, ექიმი არდიშვილი, მ. ლაშქარაშვილი, ს. ბაგრატიონ-მუხრანსკი და მრავალი სხვა. დამატებითი ცნობა მოგვაწოდა ი. ცინცაძის ძმისშვილმა მეტალურგმა სოსო ცინცაძემ. ეს ცნობები ჩვენს მიერ, შესაძლებლობის ფარგლებში, გაკონტროლდა და სხვადასხვა პოლიტიკური მიმდევრობის თანამშრომლობის საკმაოდ საყურადღებო ფონი წარმოჩინდა. იოსებ ცინცაძე კეთილგანწყობილი ყოფილა ცნობილი ბოლშევიკების, ძმები ვანო და გიორგი სტურუების მიმართ. ერთხელ ვანო სტურუას უთქვამს, 24 წლის აჯანყების დროს სამ დღეს დაპატიმრებული ვიყავი, იოსებმა გადამარჩინაო. ვ. სტურუას პატიმრობის ეს ამბავი წყაროებით დასტურდება, ოღონდ მისი და იოსების ურთიერთობის დეტალები არა ჩანს. სოსო ცინცაძის მონათხრობის მიხედვით, იოსებს ცოლად ექიმი სარაჯიშვილის ქალი ჰყავდა. წყაროების მიხედვით, ექიმი სარაჯიშვილი და იოსებ ცინცაძე თანამოაზრე თანამებრძოლები არიან. ი. ცინცაძის სიმამრის, ექიმი სარაჯიშვილის ბინა წარმოადგენდა ანტისაბჭოთა მენშევიკი არალეგალების

ერთგვარ შტაბს. აქ, ანდრეევსკის ქუჩაზე, სხვადასხვა დროს ქ. ჩოლოყაშვილის ამბოხებასთან დაკავშირებულ საკითხებზე ერთმანეთს ხვდებოდნენ, პრაქტიკული მოქმედების ამოცანებს სახავდნენ ი. ცინცაძე („ლუკა"), გ. ფაღავა („ავთანდილი"), ს. ბაგრატიონ-მუხრანსკი, აგრეთვე ი. ცინცაძე, გ. ხიმშიაშვილი, რ. მუსხელიშვილი (სუკის არქივი, №24060, ფ. 46-48, 64; №24058, ფ. 53, 193). ამ შტაბთან დაკავშირებული იყო კ. გაბაშვილი, რომელმაც აჯანყების დამარცხების შემდეგ ლაშქარაშვილთან მივლინებული ს. ბაგრატიონ-მუხრანსკის მებრძოლთა შემორიგების საქმე კ. ოკუჯავას მეშვეობით მოაგვარა. მაშასადამე, შეუცნობელი საყურადღებო საკითხების წრე იკვრება. სოსო ცინცაძის მეხსიერებას ასეთი დეტალიც შემორჩა: ეროვნულ-დემოკრატ ფილოსოფოსს სერგი დანელიას იოსების და საცოლედ მოსწონებია და უთქვამს: „იოსების და ღირსეული ქალი იქნებაო" და მისი შერთვაც ადვილად გადაუწყვეტია." ზემოთ აღნიშნული ეს ინფორმაცია მოწმობს, რომ კომუნისტების ერთ, ეროვნულად მოაზროვნე წარმომადგენლებს (საშა გეგეჭკორი, კ. ოკუჯავა, ვანო სტურუა) და არაექსტრემისტ მენშევიკ და ეროვნულ-დემოკრატ პარტიელებს (ი. ცინცაძე, ს. დანელია და სხვ.) და სხვ. შორის ერთგვარი საერთო გაგება თუ გარკვეულ საკითხებში იდეურ-პოლიტიკური შეხედულებების თანხვედრა არსებობდა. ამიტომ სათანადო პოლიტიკური სიტუაციების პირობებში გაუგებარი არ არის არც მათი ურთიერთთანადგომა და არც რომელიმე მათგანის ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლა. მაგალითად, რადიკალი იოსებ ცინცაძე 1924 წლის აჯანყების დროს ექსტრემისტ-ავანტიურისტი ლიდერების გვერდით აღმოჩნდა. მაგრამ როცა ბედმა ბრძოლის ველზე მოწინააღმდეგე ი. სტურუა შეახვედრა, ეს კომუნისტი კი არ მოსპო (რაც ექსტრემისტებისათვის იშვიათი არ იყო), არამედ გადაარჩინა. ამ მენშევიკის ადამიანურ და პოლიტიკურ შეხედულებებს პატივს მიაგებდნენ პარტიიდან გასული ს. დანელია, შემდეგ ასევე უპარტიო ივ. ჯავახიშვილის დასის წარმომადგენელი. ი. ცინცაძის პიროვნებამ ჩვენ თვალსაწიერში ამის შემდეგ კიდევ გაიელვა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გერმანიაში დაპატიმრებული შ. ოდიშარიას ჯგუფის წევრმა, 1924 წლის აჯანყების მონაწილემ და საზღვარგარეთ ქ. ჩოლოყაშვილის რაზმელებთან ერთად გასულმა შალვა ჯავრიშვილმა აღნიშნა, რომ „ისინი თურქეთიდან პარიზში გადააგზავნა სოციალ-დემოკრატების ცნობილმა წარმომადგენლებმა წულაძემ და ცინცაძემ" (სუკის არქივი,

№4684, ტ. 2, ფ. 177). ეს ცინცაძე რომ ნამდვილად ექიმი იოსებ ცინცაძეა, ამაში ეჭვგარეშე გვარწმუნებს შ. ამირეჯიბი (იხ. მისი დასახელებული წიგნი, გვ. 173). ეს ფაქტი უთუოდ საყურადღებოა. ალ. სულხანიშვილი ზემოთ დასახელებულ წიგნში წერს, რომ სოციალ-დემოკრატი ლიდერები სასტიკი წინააღმდეგი იყვნენ შეფიცულთა რაზმის საფრანგეთსა და პარიზში შეშვების. უნდოდათ მათი თავიდან მოშორება. ამ მიზნით „სამუშაო აღმოუჩენიათ ჩვენთვის... მგონი არხების გასათხრელად პარაგვაისა თუ ურუგვაიში... კონტრაქტზე უნდა მოვაწეროთ ხელი ორი თუ სამი წლით... აი ახლა უკვე ნათელი გახდა ჩვენთვის, რომ საზღვარგარეთის ქართველებშიც გვყოლია მტერი", – წერს ალ. სულხანიშვილი (გვ. 183). მაგრამ იგი ამასთანავე ასახელებს იმ პიროვნებებს, რომლებიც გვერდში ამოუდგნენ (დ. შალიკაშვილი, ვ. ჯავახიშვილი და სხვ.). როგორც ჩანს, წულაძე და ცინცაძე ასეთ ქართველთა შორის არიან. ი. ცინცაძე ამის შემდეგ კიდევ შემოსულა საქართველოში არალეგალურად, მეუღლის გაყვანა უნდოდა. ეს არ მოხერხდა. იგი იბრძოდა ალჟირშიც. არ არის გამორიცხული, რომ ქართულ ემიგრაციაში მძვინვარე დაპირისპირებას ამით გაეცალა. სოსო ცინცაძის მონათხრობიდან გავიგეთ, რომ საფრანგეთიდან ჩამოსული სერგი წულაძის ნაამბობის მიხედვით მამამისს და ი. ცინცაძეს პარიზში მეგობრობა და ურთიერთსტუმრობა ჰქონიათ. ი. ცინცაძემ ბოლოს განისვენა ლევილის სასაფლაოზე (გ. შარაძე, ფრანგული დღიურები, გვ. 126). ადამიანების ურთიერთობის ეს ეპიზოდები არ არის უბრალო და შემთხვევითი მოვლენა. აქ არის პოლიტიკურ-იდეოლოგიური ინტერესების თანხვედრისა და შემწყნარებლობის საინტერესო გამოვლინება. მსგავსი, უაღრესად საყურადღებო, და ჯერ კიდევ ბოლომდე ამოუცნობი შეხების წერტილები სხვაც შეიძლება დავასახელოთ. ეროვნული მოძრაობის ისტორიის წყაროები მოწმობენ, რომ როცა წითელმა ჯარმა ქაქუცას რაზმი ალყაში მოაქცია, რ. მუსხელიშვილმა კავალერია ისე გადააჯგუფა, რომ ქაქუცას და მეამბოხეებს გასხლტომის შესაძლებლობა მისცა. ამის გამო კ. ოკუჯავას მისთვის ქათინაური უთქვამს – „დიპლომატი ხარო" (სუკის არქივი, №24058, ფ. 101). რ. მუსხელიშვილმა, როცა პატიმრობაში ბოლომდე გაიცნობიერა გარდაუვალი უბედურება, უპატრონოდ დარჩენილ მეუღლეს წერილობით შეუთვალა: „სთხოვე ბესიკა ლომინაძეს მოგაწყოს სამსახურში... სთხოვე ლევთქაძეს, ამხანაგ ელენტს, საგინოვს და აღლაძეს (თანამებრძოლ სარდლებს – გ.ც.)

მხარი დაგიჭირონ მორალურად. იმედი მაქვს ბესო ლომინაძე მოგხედავს და მატერიალურადაც უზრუნველყოფილი იქნები. ნონა გაიზარდოს კარგი – მამისა და დედის სასიხარულოდ, ეს იქნება საუკეთესო ძეგლი ჩემს საფლავზე" (იქვე, ფურც. 134). აშკარად ჩანს, რომ ჩეკას მიერ დასახვრეტად განწირულს უკანასკნელ იმედად რჩებოდა ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ მებრძოლი ცკ-ის მდივანი და ქართული მხედრობა. ეს მაგალითი, ჩვენი აზრით, ბოლშევიზმიდან გადახრილი, ანუ პატრიოტი კომუნისტების და ეროვნული მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენლების ალიანსის დამატებითი ანარეკლია, მაგრამ ექსტრემისტ-პარტიელებს და ორთოდოქს კომუნისტებს ასეთი ადამიანური კავშირები ნაკლებად ახასიათებდათ. ისინი სხვა პოლიტიკურ-იდეოლოგიური და სტრატეგიულ-ტაქტიკური პოზიციის ადამიანების მიმართ ავლენდნენ შეუთავსებლობა-შეუწყნარებლობას და დაუნდობლობას. ამის მაგალითი იყო ექსტრემისტი ახალგაზრდების მიერ გაუგებრობა-შეუწყნარებლობის და დაუმორჩილებლობის ნიადაგზე კ. მისაბიშვილის მკვლელობის მოთხოვნა და ექსტრემისტი ლიდერების (ნ. ხომერიკი, გ. წინამძღვრიშვილი, გ. ფაღავა, ი. ჯავახიშვილი და სხვ.) მიერ კ. მისაბიშვილის მკვლელობის სანქციის მიცემა. მეორე მხრივ, ამის მაჩვენებელია აგრეთვე ისიც, რომ ი. ჯავახიშვილმა არ ისურვა არც მ. ჯავახიშვილის აზრის მოსმენა, როცა მან თანაუგრძნო კ. მისაბიშვილს და თავადაც არალეგალურ პარტიულ მუშაობაზე ხელის აღების აზრი გამოთქვა, და არც მაშინ, როცა „დეკლარანტებმა" და, კერძოდ, მ. ჯავახიშვილმა მოისურვეს „პარიტეტული კომიტეტის" წევრებთან თუ ედპ-ის ექსტრემისტ ლიდერებთან ურთიერთობის გარკვევა. აქედან კარგად ჩანს, რომ ექსტრემისტულ-ავანტიურისტული ტაქტიკით მებრძოლი, ყოფილი რადიკალი ეროვნულ დემოკრატები მტრულად მოეკიდნენ თავიანთ ყოფილ თანამოაზრე-თანამებრძოლებს. მ. ჯავახიშვილის მიმართ, როგორც ჩანს, ექსტრემისტულ-ავანტიურისტული ტაქტიკით მებრძოლთა რიგებში გადასულ, ყოფილ ზომიერებს, განსაკუთრებული პრეტენზიები უნდა ჰქონოდათ. ჯერ ერთი, მ. ჯავახიშვილი ცკ-ის წევრებიდან ყველაზე თანამიმდევრულად იცავდა ექსტრემისტი ეროვნულ-დემოკრატების საწინააღმდეგო აზრს ანტისაბჭოთა აჯანყების საკითხში. მეორე, მ. ჯავახიშვილი ჯერ კიდევ დაპატიმრებამდე თანაუგრძნობდა ანტისაბჭოთა არალეგალური ბრძოლის უკიდურესი გართულების გამო პარტიის ლეგალიზაციის მომხრე, მცდა-

რად, მაგრამ „სამხედრო ცენტრის“ გამცემად მიჩნეულ კ. მისაბიშვილს. მან იასონ ჯავახიშვილს პირადად განუცხადა – „ჩემი იმედი აღარ უნდა გქონდეთო“. მესამე, მ. ჯავახიშვილის, როგორც იმდროინდელი საქართველოს ყველაზე პოპულარული მწერლის და პარტიის თვალსაჩინო ლიდერის, რევიზიონისტობა-ლიკვიდატორობა უაღრესად მტკივნეულად უნდა განეცადათ ყოფილ თანამოაზრე-თანამებრძოლებს. ალბათ, ამიტომ იყო, რომ გ. წინამძღვრიშვილი შეხვდა ალ. ახმეტელს, მ. ჯავახიშვილთან შეხვედრა კი ყოფილმა თანამებრძოლებმა არ ინებეს. სამშობლოს და ერის ინტერესებისათვის ბრძოლაში პიროვნული თავდადების, გმირობის და წამების მიუხედავად, ექსტრემიზმი უკომპრომისო ანტისაბჭოთა მებრძოლების მძიმე პოლიტიკურ დაავადებას წარმოადგენდა და მას ხშირად, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა აშკარა ავანტიურის გზას ადგებოდა, როგორც არაერთგზის ვნახეთ, მხოლოდ პიროვნულ ურთიერთობებში კი არა, ეროვნული თვალსაზრისითაც დიდი ზიანი მოჰქონდა.

სხვათა შორის, ზოგი ისტორიკოსიც ასე მოქმედებს. მათ ისე ეჩვენებათ, თითქოს ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლები მტრული პრინციპით დაჯგუფებული ჯარისკაცები არიან და, ამდენად, მხოლოდ მოწინააღმდეგის მოსპობა ევალებათ. ისინი ანგარიშს არ უწევენ ილია ჭავჭავაძის ტაქტიკურ, კომპრომისულ პოლიტიკოსობას სახელმწიფო საბჭოში, მის ლოიალურ დამოკიდებულებას ხელმწიფე იმპერატორის და მაღალი ჩინის ჩინოვნიკების მიმართ, არ აზოგადებენ ივანე ჯავახიშვილის, შ. ნუცუბიძის, ი. ყიფშიძის, პ. ინგოროყვას და სხვათა ურთიერთობას ხელისუფლების სათავეში მდგომ პიროვნებებთან, აგრეთვე ეროვნული მოღვაწეების თანამშრომლობას ცაკ-ში, მათ მიერ სახელმწიფო ჯილდოების მიღებას და სხვ. ამავე დროს, ეს ისტორიკოსები არ უარყოფენ ამ მამულიშვილების სიდიადეს და დიდ ეროვნულ ღირებულებას. გაუგებრობის მიზეზია აღნიშნულ პიროვნებათა პოლიტიკურ ღირსებებზე მსჯელობა ეპოქისა და კონკრეტული სიტუაციის გაუთვალისწინებლად. ამიტომ მოხდა, რომ გაუკუღმართებულად გაგებული კ. მისაბიშვილის გამცემლობაში ისტორიკოსებიდან ეჭვი ვერავინ შეიტანა და ამ თვალსაჩინო მამულიშვილს ჩვენს გარდა მოსარჩლე არ გამოუჩნდა, იმის მიუხედავად, რომ მისი ბრალდების აპელაციისათვის საჭირო ალტერნატიული წყაროები ისტორიკოსებს კარგა ხნით ადრე გააჩნდათ. ეს იმიტომ ხდებოდა, რომ ვითარების მცოდნე, სტალინთან საიდუმლო არხით

დაკავშირებულმა და მისი დირექტივებით მოქმედმა, ღმერთთან დაკავშირებული ჰერკულესივით უძლეველმა ბერიამ იმდროინდელი რეალური სინამდვილე ისე გააბუნდოვნა, რომ მოვლენები და პროცესები უაღრესად რთულად შესამეცნებელი გახადა. მან, ამასთანავე, ყველას პირში ჩალა ისე გამოავლო, რომ დიდხანს ვერავინ გაიგო, ვინ იყო მისი „კრიშა". ბერიას ვაჟი, სერგო, წიგნში „მამაჩემი, ლავრენტი ბერია" (მოსკოვი, 1991) სრული რწმენით წერს, რომ თითქოს ამ ჩეკისტი „ჰერაკლეს" წარმატებებს საბჭოთა კომუნისტური სისტემის ღმერთი კი არ განსაზღვრავდა, არამედ – სერგო ორჯონიკიძე. დიახ, ნ. ხომერიკსაც ეგონა, რომ მენშევიკ მამულიშვილებთან ალიანსში მყოფი „ნაციონალ-უკლონისტები" რევანშს აიღებდნენ, და რომ „ჩეკას აგენტები გამოუცდელები არიან...", მაგრამ იგი ამ სიტყვების წარმოთქმის ორი კვირის თავზე (15.XI.1923) ისე დააპატიმრეს, რომ მთელი ანტისაბჭოთა მოძრაობის ამსახველი არქივიც ამოუღეს. ჩეკამ ამით ანტისაბჭოთა ექსტრემისტულ-ავანტიურისტულ მიმდინარეობაზე კონტროლი გააძლიერა და მათი მეშვეობით 1924 წლის საყოველთაო ეროვნული აჯანყების ლოკალიზება და დარეგულირება, შემდეგ კი მისი პროვოცირება და განადგურება მოახერხა. ამით ჩეკისტებმა საქართველო ისე „გადახნეს", რომ მის ნიადაგზე ანტისაბჭოთა „სარეველა" აღარ გაახარეს. ამ სახელმწიფოებრივ-ჩეკისტურ ღონისძიებას სათავეში სტალინი ედგა, აღმსრულებელი კი იყო „ფენომენალური ჩეკისტური ნიჭის მქონე" ლავრენტი ბერია. ამის შესახებ საგნობრივი საუბარი მომდევნო წიგნში გვექნება. ახლა კი უნდა აღინიშნოს, რომ ამ უკანასკნელმა არ მოინდომა ამიერკავკასიის ჩეკას ლიდერების (მოგილევსკი და სხვ.) დაუნდობლობისაგან დაეცვა „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის", მასთან არსებული „სამხედრო ცენტრის" და, საერთოდ, არალეგალური, ზომიერი რადიკალიზმის იმ მიმდინარეობის წარმომადგენლები, რომლებიც საჭიროდ თვლიდნენ ეროვნულ ძალთა ორგანიზებას და მის მხოლოდ ხელსაყრელი მომენტის დროს გამოყვანას. როგორც ჩანს, რადიკალი რეალისტების წარუმატებლობა და ექსტრემიზმის ტრაგედია, რომელიც საგანგაშო დრომ მოამზადა, იმანაც გამოიწვია, რომ პატრიოტი კომუნისტები ჩამოაშორეს ხელმძღვანელობას. მათ ნაცვლად კი საქართველოში არსებულ ანტისაბჭოთა ეროვნულ მოძრაობას დაუპირისპირდა ბ. ლომინაძის პარტიული ხელმძღვანელობა, რომელიც ს. ორჯონიკიძესთან შეთანხმებით, ჯერ კიდევ 1922 წლის მიწურუ-

ლიდან. და განსაკუთრებით 1923 წლის დასაწყისიდან ატარებდა „მყარ", ე.წ. „ნაჯახის პოლიტიკას", რომელიც განსაკუთრებული სისასტიკითა და დაუნდობლობით გამოირჩეოდა. ახლა უკვე საბოლოოდ იკრებდა ძალას ს. ორჯონიკიძის მიერ „ნაციონალ-უკლონისტების" მიმართ საქართველოს კომპარტიის I ყრილობაზე (1922 წ.) გამოთქმული სიმართლე: „Прежде всего мы не должны забывать, что здесь мы самостоятельной политики вести не можем. Политика творится не здесь и не нами, а в ЦК РКП, и мы обязаны проводить эту общую для коммунистов политику..." (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 1, ს. 182, ფ. 62).

მაშასადამე, ზემოდან მიღებული დირექტივების თანახმად, საჩეკა და ზაკჩეკა არ დაელოდნენ სსრ კავშირის საერთაშორისო და საშინაო გართულების დროისათვის ამიერკავკასიის ოპოზიციურ ანტისაბჭოთა ძალთა შესაძლო კოალიციურ გამოსვლას. ეს იქნებოდა ინიციატივის ხელიდან გაშვება. ბერიამ 1923 წლის დასაწყისში, მოსკოვთან შეთანხმებით, ზაკჩეკას ხელმძღვანელებთან ერთად თავად მიიტანა იერიში ჯერ კიდევ მოუმზადებელ ანტისაბჭოთა ეროვნულ მოძრაობაზე. მან ჩეკას ორგანოების ძალებით შეძლო ანტისაბჭოთა მებრძოლი ძალებისათვის შეექმნა „საკმაოდ საგანგაშო დრო". ამ დროს ზაკჩეკამ რადიკალურ მიმდინარეობას და „სამხედრო ცენტრს" დააბრალა ამბოხების პრაქტიკული ორგანიზება, უცხოეთის ჯაშუშობა და ინტერვენციის გამოწვევის მცდელობა. ამით მან ეროვნულ მოძრაობას გამოაცალა დიდი სამხედრო-სტრატეგიული, ტაქტიკური და სამხედრო-ტექნიკური გამოცდილებითა და ცოდნით აღჭურვილი ავტორიტეტული შემადგენლობა. ამ დიდი დამსახურებისათვის საქართველოს კომპარტიის ცკ-ის პრეზიდიუმმა (27. III. 1923) დაადგინა: „...ენერგიული მუშაობისათვის აუცილებლად ჩაითვალოს საქართველოს ცაკმა წითელი დროშის ორდენით დასაჯილდოვებლად წარადგინოს კვანტალიანი, ბერია, მოროზი". ჩეკას თანამშრომელთა დაჯილდოვების მიზნით გამოიყო თანხები (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 1, ს. 493, ფ. 20). ჩეკამ შექმნა ისეთი სიტუაცია, რომლის დროსაც რადიკალური ხაზის მიმდევარი ანტისაბჭოთა პარტიულ-პოლიტიკური ელიტის იმ მნიშვნელოვან ნაწილს, რომელიც იმთავითვე ერიდებოდა ექსტრემისტულ და ავანტიურისტულ მიმდინარეობას, პატიმრობაში საბოლოოდ გადააწყვეტინა არალეგალური პოლიტიკური ბრძოლის ტაქტიკიდან „დეკლარაციაზე" ხელის მოწე-

რისა და პარტიული „თვითლიკვიდაციის“ პრობლემა. ეს პროცესი სახელმწიფოებრივი დაკვეთით და საქჩეკას მიერ ტარდებოდა. ამას კარგად გვიჩვენებს საქართველოს კომპარტიის 27 მარტის (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 1, ს. 493, ფ. 35/2) და1923 წლის 12-15 სექტემბრის პლენუმის სპეციალური დადგენილებები. ამ უკანასკნელში ნათქვამია: „ყოფილ ეროვნულ-დემოკრატთა მიერ პრესაში და ა.შ. გამოსვლაზე უარის შემთხვევაში მათ მიმართ გამოყენებული იქნეს რეპრესიების ზომები, ისევე როგორც ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრების მიმართ“ (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 1, ს. 493, ფ. 8, 8/2). აქვე (იხ. ფ. 12) ჩამოყალიბებულია რეპრესიების გაძლიერების მოთხოვნა „მემარჯვენე ფედერალისტების“ მიმართ. „მემარცხენე ფედერალისტებისადმი“ მოთხოვნა ითვალისწინებს საქმის ისე ორგანიზებას, რომ მათმა მთავარმა კომიტეტმა თვითონ იტვირთოს პარტიის თვითლიკვიდაციის გატარება“. აგრეთვე, მთელი რიგი სათანადო სამუშაოები დაისახა, რომლის დროსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა „დაუნდობელი ბრძოლის ორგანიზებას მენშევიკური ორგანიზაციის წინააღმდეგ“. მაშასადამე, 1923 წლის თებერვალ-მარტში ქართულ ეროვნულ მოძრაობაში, ფაქტობრივად, ბოლო მოეღო სამი მნიშვნელოვანი მიმდინარეობის (კომპრომისულ-ლიბერალურის, არალეგალურ-რადიკალურის და ექსტრემისტულ-ავანტიურისტულის) ერთიანობას. სასტიკი სახელმწიფოებრივი და ჩეკისტური ძალმომრეობით ამის შემდეგ არალეგალურ ეროვნულ მოძრაობას თანდათან ფორმალურად და აგრეთვე ფაქტობრივად ჩამოსცილდნენ ზომიერი, ცენტრისტული განწყობილების, ძირითადი ძალები: ეროვნულ დემოკრატები, მენშევიკები, მემარჯვენე ფედერალისტები ე.წ. უფროსი ამხანაგები (იხ. ნ. კირთაძის დასახელებული წიგნი, გვ. 388), ესერები (იხ.: იქვე, გვ. 298, 304. 21,25.XI.1924-ის ჩვენებები), „სხივისტები“ (იქვე, გვ. 308). ანტისაბჭოთა არალეგალურ ბრძოლას 1923 წლის შემოდგომიდან შემორჩნენ მხოლოდ იმთავითვე ექსტრემისტულად განწყობილი მემარჯვენეები, პარტიზანული რაზმელები და 1921-1923 წლებში ჩეკისტების მიერ გამომჟღავნებული ის ყოფილი არალეგალური რადიკალები, რომლებიც იძულებულნი გახდნენ გადასულიყვნენ ღრმა იატაკქვეშეთში და შეერთებოდნენ ექსტრემისტულ მიმდინარეობას.

მაშასადამე: 1. 1923 წლის დასაწყისში ქართულ სინამდვილეში მკაფიოდ მოჩანს ორი ანტაგონისტური ძალის – ხელისუფლებისა და

ეროვნული მოძრაობის დაპირისპირების შემდგომი მკვეთრი გაძლიერება. ამ დროს ერთმანეთს დაემთხვა ურთიერთდაპირისპირებული ორი ძალის – ხელისუფლებისა და ეროვნული მოძრაობის ექსტრემისტული მიმდინარეობის – იერიშებზე გადასვლა. ეს ნათლად გვიჩვენებს, რომ, სტალინის მიერ დასახული ამოცანებიდან გამომდინარე, ჩეკამ ქართული ეროვნული მოძრაობის ექსტრემისტული წარმომადგენლობა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში სათანადოდ მოუმზადებელი ჩაითრია. ხელისუფლებაში მყოფი პატრიოტულ-უკლონისტური წარმომადგენლობა ცდილობდა ეროვნულ მოძრაობასთან კავშირის დამყარების გზით საქართველოს სუვერენული უფლებების დაცვას. მაგრამ კრემლის დირექტივების და ბოლშევიკების ძალისხმევით თანდათანობით მკაფიოდ იჩინა თავი, ერთი მხრივ, სტალინის დირექტივის („საქართველოში იმძლავრა სარეველამ, საქართველო უნდა გადაიხნას") ცხოვრებაში გატარებამ. ამას გამოხატავდა ბერიას ფაქტობრივი მეთაურობით ჩეკას საბრძოლო აქტივობის გაძლიერება და პატრიოტი კომუნისტების ჩამოცილება. მეორე მხრივ, ნ. ხომერიკის ხელმძღვანელობით გაძლიერდა საერთო ეროვნული მოძრაობის ანტისაბჭოთა ექსტრემისტული (პარტიულ-ორგანიზაციული, ტერორისტული, ექსპროპრიატორული) მოძრაობა. ხელისუფლების წინააღმდეგ მძაფრი შეტაკების მომენტმა, ობიექტური თუ სუბიექტური პირობების მომწიფების გარეშე, ხელოვნურად გადმოიწია დროში. ამ მდგომარეობამ გამოიწვია ქართული ანტისაბჭოთა არალეგალური ბრძოლის ექსტრემისტულ-ავანტიურისტული მიმდინარეობისაგან რეალისტი, არალეგალური რადიკალური ბრძოლის მიმდინარეობის წარმომადგენელთა მნიშვნელოვანი ნაწილის ჩამოცილება და მათი კომპრომისულ-ლიბერალურ მიმდინარეობად ფორმირება, ანუ ამ მიმდინარეობასთან შერწყმა. არალეგალური რადიკალების შედარებით მცირე ნაწილი შეერწყა ექსტრემისტულ-ავანტიურისტულ მიმდინარეობას და ამით ანტისაბჭოთა არალეგალურ ეროვნულ მოძრაობაში მის დომინირებული მდგომარეობის შექმნას შეუწყო ხელი. მაშასადამე, ეროვნულ არალეგალურ ბრძოლაში ექსტრემიზმმა დომინირებულ მდგომარეობას მიაღწია და, ამდენად, ხელისუფლებისა და ეროვნული მოძრაობის დაპირისპირებამ არა მარტო მკვეთრად ანტაგონისტური ხასიათი შეიძინა, არამედ შექმნა კიდევ უფრო „საგანგაშო დრო." ამდენად, თუ 1921-1922 წლებში მენშევიკების, ეროვნულ დემოკრატების, უპარტიოების (სამხედროები და სხვ.), აგრეთვე

სხვა პოლიტიკური პარტიების უმრავლესობა ძირითადად ზომიერი არალეგალური რადიკალიზმის პოზიციაზე იდგა, ანუ საქართველოს სუვერენიტეტის შენარჩუნებას თუ განთავისუფლებისათვის ძალთა მობილიზებას ქვეყნის ობიექტურ საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობას უკავშირებდა და მას მფარველობა-მხარდაჭერას უწევდა ხელისუფლების პატრიოტული წარმომადგენლობაც, ახლა სხვა ინტერესები მომძლავრდა. უაღრესად სწორი და პროგრესული ადრინდელი მიმდინარეობა 1923 წლის დასაწყისიდან განვითარებულმა მოვლენებმა, ფაქტობრივად, დაშალა. ამიტომ, როგორც არაერთმა მკვლევარმა ისტორიკოსმა და წიგნის ავტორმა სწორად შენიშნა, ეროვნულ მოძრაობაში ერთადერთი სწორი მიმდინარეობა გახდა ხელისუფლებასთან კომპრომისული თანამშრომლობა (ფ. ლომაშვილი, მ. გაფრინდაშვილი, ა. დაუშვილი, რ. კვერენჩხილაძე და სხვ.). იგი ჩვენს მიერ გაგებულია როგორც „წაწოლის პოლიტიკით" მებრძოლი ლიბერალურ-კომპრომისული მიმდინარეობა. როგორც სათანადო წყაროებით მტკიცდება, ეს მიმდინარეობა არ გამორიცხავდა ქართველი ხალხის ანტისაბჭოთა, ეროვნული ინტერესებისათვის თავდადებულ ბრძოლას. საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ და მისი ფაქტობრივი ანექსიის საფუძველზე, იგი იმთავითვე აღმოჩნდა ქართული ეროვნული მოძრაობის ერთადერთი სწორი პოლიტიკური ორიენტაციის მიმდინარეობად. ეს მიმდინარეობა ადრე მჭიდროდ ესაზღვრებოდა ზომიერ არალეგალურ, ანუ რადიკალურ მიმდინარეობას. ეს ორი მიმდინარეობა ერთმანეთს აძლიერებდა. მაგრამ, ერთი მხრივ, ჩეკისტურმა, ხოლო მეორე მხრივ, ექსტრემისტების ბატალიებმა თითქმის გამორიცხა უაღრესად რაციონალური რადიკალურ-არალეგალური მუშაობის ფართო შესაძლებლობა. მისი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლობის ერთი ნაწილი („სამხედრო ცენტრის" წევრები და მათი მიმდევრები) ფიზიკურად მოსპო, ხოლო მეორე ნაწილი იძულებული გახადა ხელი „დეკლარაციაზე" მოეწერა.

2. ქართული ანტისაბჭოთა მოძრაობის საწყისი ეტაპის ისტორია ნათლად ადასტურებს, რომ, 1921-1923 წლებში საქართველოს სუვერენიტეტის შენარჩუნებისა და დამოუკიდებლობის აღდგენის მისწრაფებებიდან გამომდინარე, ქართული პატრიოტული ინტელიგენციის ერთი ნაწილი დაადგა არალეგალური ბრძოლის გზას. ინტელიგენციის ეს ნაწილი, რომელსაც ეროვნული ინტერესების საკუთარი თვალთახედვა ჰქონდა, ორ – ექსტრემისტულ და რა-

დიკალურ მიმდინარეობად ჩამოყალიბდა. 1923 წლის დასაწყისში ერთმანეთს, გადამწყვეტი ბრძოლის ინტერესებიდან გამომდინარე, შეებნენ ხელისუფლება და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ექსტრემისტული წარმომადგენლობა. ამ შეტაკებამ შექმნა „საგანგაშო დრო", რომელმაც ცხადი გახადა ექსტრემისტული ტაქტიკის მიმდევართა გარდაუვალი დაღუპვა. ჯერ კიდევ ამ სიტუაციაში რადიკალთა ერთმა ნაწილმა, კ. მისაბიშვილმა, მ. ჯავახიშვილმა სწორად ამოიცნეს, რომ საჭირო იყო ეროვნული ინტერესებისათვის ბრძოლის ლეგალურ გზაზე, ანუ იმ გზაზე გადასვლა, რომელსაც მისდევდა ქართული კომპრომისული ინტელიგენციის უმრავლესობა (ივ. ჯავახიშვილი, შ. ნუცუბიძე, პ. ინგოროყვა, კ. გამსახურდია და სხვ.). ამიტომ მათ აშკარად და გაბედულად დააყენეს ხელისუფლებასთან კომპრომისული ურთიერთობის გზით, ლეგალურ ეროვნულ მოძრაობასთან შერწყმის მიზანშეწონილობის საკითხი. ხოლო მას შემდეგ, რაც განხორციელდა დაპატიმრებები და რეპრესიები, კ. მისაბიშვილი ექსტრემისტებმა ზვარაკად შესწირეს მის მიერ დაყენებულ პარტიის ლეგალიზაციის მოთხოვნას. ხოლო მ. ჯავახიშვილი და სხვა მისი თანამოაზრე-თანამებრძოლები იძულებულნი გახდნენ ეკისრათ „დეკლარანტობა", რადგან ამ დროს უკვე სხვა გამოსავალი აღარ არსებობდა. მეორე ნაწილი რადიკალებისა შეერწყა ექსტრემისტულ მიმდინარეობას (ი. ჯავახიშვილი, გ. წინამძღვრიშვილი, ს. ზალდასტანიშვილი, შ. ამირეჯიბი და სხვ.) და თანდათან დაადგა ავანტიურისტული ტაქტიკით ბრძოლის საბედისწერო გზას.

მართალია, ამ „საგანგაშო დროში" ჩეკას ტყვეობაში ჩავარდნილებს შეუქმნეს „დეკლარაციაზე" ხელმოწერის გამოუვალი მდგომარეობა და იძულებული გახადეს სამუდამოდ ჩამოშორებოდნენ ანტისაბჭოთა არალეგალურ ბრძოლას, მაგრამ მათ ეროვნული ინტერესებისათვის მოღვაწეობა ამის შემდეგაც არ შეუწყვეტიათ. მათი საუკეთესო ნაწილი იბრძოდა საკუთარ პროფესიულ სარბიელზე და ერწყმოდა ლიბერალურ საერთო ეროვნულ მოძრაობას. მაშასადამე, რეალური ვითარებისა და „საგანგაშო დროის" ობიექტური შემეცნებიდან გამომდინარე, სწორი იყო ექსტრემიზმისაგან გამიჯვნის ის წინადადებები, რომლებსაც ჯერ კიდევ 1923 წ. დასაწყისში აყენებდნენ კ. მისაბიშვილი და მ. ჯავახიშვილი.

1923 წლის დასაწყისიდან ანტისაბჭოთა რადიკალური ბრძოლის მიმდევრების მეორე ნაწილი „საგანგაშო დრომ" იძულებული გახადა

შერწყმოდა ექსტრემისტულ მიმდინარეობას. იგი თანდათანობით დაადგა ანტისაბჭოთა ბრძოლის ხელმძღვანელობის ავანტიურისტულ გზას, ანუ იმ გზას, რომელიც ანგარიშს ვეღარ უწევდა არსებულ ობიექტურ პირობებს და ილუზიებზე დაყრდნობით იბრძოდა სოციალისტური სისტემისა და ბოლშევიკური ხელისუფლებისაგან საქართველოს განთავისუფლებისათვის. ანტისაბჭოთა ბრძოლის ამ მიმდინარეობის ხელმძღვანელებმა თავიანთი გმირობით და სამშობლოს სიყვარულით, მაგრამ, ამასთანავე, თავიანთი ექსტრემისტულ-ავანტიურისტული ტაქტიკით და ობიექტური რეალობის უგულებელყოფით დიდი უბედურება დაატეხეს ქართველ ხალხსა და საკუთარ თავს. არა და, ისინი პარტიის ლეგალიზაციის, თუნდაც თვითლიკვიდაციის და ხელისუფლებასთან კ. მისაბიშვილის და მ. ჯავახიშვილის მიერ რეკომენდებული გზით, თუნდაც „დეკლარაციაზე" ხელის მოწერითა და ექსტრემისტულ-ავანტიურისტულ გმირობაზე უარის თქმით მეტ სარგებლობას მოუტანდნენ საკუთარ ხალხს. ანტისაბჭოთა ბრძოლის ისტორიის შემდგომი პერიოდის გამოცდილება და საერთო შედეგი გვარწმუნებს, რომ საქართველოს იმდროინდელი ეროვნული მოძრაობის რეალობა და პერსპექტივები მოითხოვდა ექსტრემიზმის გადაყვანას რეალისტური რადიკალიზმის და „წაწოლის პოლიტიკაზე", მის ეროვნული მოძრაობის ლიბერალურ-კომპრომისულ მიმდინარეობასთან დაახლოებას. ამ მოსაზრებაში ღრმად გვარწმუნებს მ. ჯავახიშვილის და სხვათა შემდგომი მოღვაწეობა, აგრეთვე 1923-1924 წლების და შემდგომი პერიოდის ანტისაბჭოთა ეროვნული ბრძოლის ისტორია. ამაში დაინტერესებული მკითხველი მომდევნო თავის გაცნობით კიდევ უფრო დარწმუნდება.

თავი X

ანტისაბჭოთა პარტიების ყოფილი წევრები და მიხეილ ჯავახიშვილი ლეგალურ ეროვნულ მოძრაობაში ლიბერალურ-კომპრომისული ტაქტიკით მებრძოლთა შორის

იმისათვის, რომ საგნობრივად გაგვეაზრებინა ის, თუ რამდენად სწორი იყო კ. მისაბიშვილის და მ. ჯავახიშვილის მიერ იმდროინდელ საქართველოს რეალობაში ანტისაბჭოთა ექსტრემისტულ ბრძოლაზე უარის თქმა და, ხელისუფლებასთან კომპრომისული თანამშრომლობის მიზნით, პარტიის ლეგალიზაციაზე ორიენტირება, საჭირო იყო ისტორიის კონკრეტული მაგალითებით წარმოგვეჩინა პერიოდი, რომლის დროსაც ექსტრემისტულმა ხელმძღვანელობამ ქართულ ეროვნულ მოძრაობაში დომინირებული მდგომარეობის მოპოვებაზე აიღო გეზი და მისი შემდგომი განვითარება ასაზრდოვა. მაგრამ რადგან ეს პროცესი ორგანულად უკავშირდება ანტისაბჭოთა არალეგალური ბრძოლის ახალ, შემდგომ, 1923-1924 წლების ისტორიას, ამიტომ იგი მომდევნო წიგნში ცალკე თავის სახით შევიტანეთ. წინამდებარე წიგნის მოცემულ თავში კი მიზნად დავისახეთ გავაშუქოთ მიხეილ ჯავახიშვილის და სხვა ყოფილი არალეგალურად მებრძოლი ანტისაბჭოთა წარმომადგენლების ეროვნული მოძრაობის ლეგალურ-კომპრომისულ მიმდინარეობასთან შერწყმის ისტორია. პირველ ყოვლისა, საჭიროა გავარკვიოთ, თუ როგორ ხდებოდა არალეგალური ზომიერი რადიკალიზმიდან კომპრომისულ პოზიციაზე გადასვლა, რას გულისხმობდა იგი სინამდვილეში და როგორი შეფასება ჰქონდა. ამასთანავე, ყურადღება უნდა დაეთმოს იმას, თუ როგორ მიიღო ქართველმა ე. წ. კომპრომისულად, ანუ ლეგალურად მოღვაწე ეროვნულ-პატრიოტულმა საზოგადოებამ მიხეილ ჯავახიშვილი, რომელიც არალეგალურ-ექსტრემისტული ტაქტიკით ბრძოლის მიმდევრებს ჩამოშორდა.

1923 წლის ახალი ეტაპი ქართულ ანტისაბჭოთა ეროვნულ მოძრაობაში აღინიშნა მთელი რიგი თავისებურებებით. ამათგან უმთავრესი იყო, ექსტრემისტული მიმდინარეობისა და ხელისუფლების სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირების საფუძველზე, „სამხედრო ცე-

ნტრის" და მასთან დაკავშირებულ პირთა (15 სახელოვანი სამხედრო პიროვნების და სხვ.) დახვრეტა და საქართველოს განთავისუფლებისათვის მებრძოლი რადიკალების ძირითადი ნაწილის ანტისაბჭოთა ბრძოლის ასპარეზიდან ჩამოცილება. „კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხელისუფლება ანტისაბჭოთა პარტიების წინააღმდეგ ატარებდნენ მკაცრ რეპრესიულ ზომებს, მაგრამ ამას წინ აღუდგნენ ნაციონალ-უკლონისტები და წამოაყენეს მათი „მშვიდობიანი დაძლევის და გადამუშავების" ტაქტიკა" (ი. კაჭარავა, კლასობრივი ბრძოლის გამწვავება და ანტისაბჭოთა ფრონტის ლიკვიდაცია. იხ.: წიგნში: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VII, გვ. 193). ჩეკისტურმა რეპრესიებმა რადიკალების ძირითადი ნაწილი იძულებული გახადა ხელი მოეწერათ „დეკლარაციისათვის", ოფიციალურად ეცნოთ საბჭოთა ხელისუფლება და ყოველგვარი კავშირი გაეწყვიტათ ანტისაბჭოთა არალეგალური ბრძოლის ექსტრემისტულ მიმდინარეობასთან. იმდროინდელ საბჭოთა პრესაში მასობრივად იბეჭდებოდა განცხადებები ანტისაბჭოთა პარტიებიდან გასვლის შესახებ. ცნობილი მენშევიკი რადიკალები ს. დევდარიანი, კ. სულაქველიძე, ბ. თევზაია და სხვ. პრესაში გამოდიოდნენ მენშევიკური პარტიის კრიტიკით (იხ. კრებული „მენშევიზმის გახრწნა", ტფ. 1923). აგვისტოში შედგა ყოფილ მენშევიკთა ყრილობა, რომელმაც 11 ათასზე მეტი წარმომადგენლის სახელით პარტია დაშლილად გამოაცხადა და მიიღო „დეკლარაცია", რომლითაც აღიარა III ინტერნაციონალის პლატფორმა. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი დიდ ყურადღებას უთმობდა მისთვის განსაკუთრებით მტრული ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერებისადმი დამოკიდებულებას. მათ შესახებ სპეციალურად იმსჯელეს ცკ-ის 1923 წლის 26 ოქტომბრის სხდომაზე. აქ მიღებული იქნა დადგენილება: „Не возражать против освобождения группы национальных демократов (5 человек) на условиях, указанных в заявлении" (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 1, ს. 493, ფ. 89). ჩვენი აზრით, ეროვნულ-დემოკრატთა ამ ხუთ კაცში იგულისხმებოდა ედპ-ის ცკ-ის წევრები: მიხეილ ჯავახიშვილი, დიმიტრი ჯავახიშვილი, სერგი დანელია, ნიკო კეცხოველი და ალექსანდრე ახმეტელი. კერძოდ, დიდი მწერლის შესახებ დადგენილების მე-4 პუნქტში ნათქვამია : „Не возражать против использования на ответственной советской работе Джавахишвили" (იხ. იქვე). აღნიშნული ფორმულირება მკვლევარ მ. ხომერიკისათვის ირონიული ეჭვის საფუძველი

გახდა (იხ. მისი წიგნი, გვ. 30, 40). სინამდვილეში იგი ემყარებოდა ხალხში მ. ჯავახიშვილის განსაკუთრებით მაღალ ავტორიტეტს. მან ეს „პრივილეგია" გამოიყენა ისევ ეროვნული ინტერესებისათვის.

ამავე დროს, გამოქვეყნდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის „დეკლარაცია", რომელმაც დაგმო ანტისაბჭოთა ბრძოლის ტაქტიკა. ედპ-მ 28 ოქტომბერს მოიწვია ყრილობა და ექსტრემისტი ეროვნულ-დემოკრატების მოქმედება ავანტიურად, ხოლო პარტია დაშლილად გამოაცხადა. 8 ნოემბერს მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტების პარტია კომუნისტურ პარტიასთან გაერთიანდა. ანტისაბჭოთა არალეგალურ ბრძოლაზე უარი განაცხადეს „ახალგაზრდა მარქსისტებმა" და სხვა ანტიკომუნისტურმა არალეგალურმა ორგანიზაციებმა (იხ. ი. კაჭარავა, დასახელებული წიგნი, გვ. 196-197). ეს პროცესი უაღრესად მტკივნეულად მიმდინარეობდა თუნდაც იმიტომ, რომ იგი ხელისუფლების მხრივ ნაძალადევი იყო და ძალმომრეობის ხასიათს ატარებდა. ამასთან დაკავშირებით ბ. ლომინაძე აღნიშნავდა, რომ პროცესი მიმდინარეობდა დაუნდობლად, „ჩამოჩეხვით", „აფეთქებით", „შიგნიდან გახრწნით" ამის გამო ბ. ლომინაძე წერდა: „გუშინ ბიუროს სხდომაზე კამენევი ჩვენზე ამბობდა ქართული პარტიული ორგანიზაციის მთელს მუშაობას ადევს ნაჯახით მოქმედების ანაბეჭდი. ხალხი (პარტიული ხელმძღვანელობა – გ.ც.) მუშაობდა ნაჯახით (და არა სატეხით და კიდევ რაიმე ფაქიზი ინსტრუმენტით). „უკლონისტები" ჩვენ კოსმოპოლისტებს გვიწოდებდნენ. გუშინ ჩემს მიმართ ეს ეპითეტები გაიმეორეს მოლოტოვმა და ორჯონიკიძემ" (?! – გ.ც. იხ.: საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 1, ს. 195, ფ. 41-42). ამ ვითარებაში, მართალია, „დეკლარანტების" ერთი ნაწილი მხოლოდ ფორმალურად ჩამოშორდა არალეგალურ საქმიანობას, მაგრამ ძირითადი ნაწილი საბოლოოდ გაემიჯნა მას. აქედან ზოგმა თავისი პოლიტიკური ცხოვრება მჭიდროდ დაუკავშირა კომუნისტურ პარტიას და საბჭოთა ხელისუფლებას. კომპარტიაში მიღების უაღრესად მკაცრი პირობების და არაერთგზის წმენდის მიუხედავად, 1924 წლის 1 იანვრისათვის საქართველოს კომუნისტურ პარტიაში ირიცხებოდა სხვა პარტიებიდან გადმოსული 873 კაცი, რომელთაგან ყოფილი მენშევიკი იყო 431, ხოლო ყოფილი ესერი – 126 (Коммунистическая партия Грузии в цифрах (1921-1970), сб. стат. мат., Тб., 1971, с. 23). აქედან მნიშვნელოვანი ნაწილი განსაკუთრებული გულმოდგინებით ცდილობდა საბჭოთა ხელისუფლებისადმი თავისი

ერთგულების დამტკიცებას და თავგამოდებით ებრძოდა არალეგალურ მოძრაობას. ყოფილ ანტისაბჭოთა პარტიების ძირითადი წარმომადგენლობა კი შეერწყა ლიბერალურ-კომპრომისულ ეროვნულ მოძრაობას და თავის პროფესიულ ასპარეზზე გამოხატავდა პატრიოტულ განწყობილებას. აღნიშნული პოლიტიკური მეტამორფოზა განპირობებული იყო რიგი ფაქტორებით. მაგრამ მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ბრძოლის ექსტრემისტულ-ავანტიურისტული ხელმძღვანელობის მიუღებლობა და აგრეთვე ჩეკას მიერ განხორციელებული რეპრესიული ღონისძიებები. ყოფილი ჩეკისტის მ. შელიას მოგონებების მიხედვით, 1923 წლის აპრილის ბოლოს საქართველოს ჩეკას სარდაფებში ჩატარდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ათკაციანი ჯგუფის სასტიკი წამება და დაკითხვა. მათ წამების ქვეშ აღიარეს, რომ „დამკომის" შექმნის დროიდან მონაწილეობდნენ კონტრრევოლუციურ საქმინობაში. „დაპატიმრებულებმა დაასახელეს 72 კაცი, – წერს მ. შელია, – რომელთა დაჭერაც ჩვენ ერთ თვეში მოვახერხეთ... პატიმართა შორის აღინიშნებოდა სრული უთანხმოება და გაუთავებელი კინკლაობა, რაც, სხვათა შორის, თეთრ ლაქად გასდევდა პარიტეტული კომიტეტის მუშაობას მთელი თავისი ხანმოკლე არსებობის მანძილზე". მ. შელია ამ უთანხმოება-კინკლაობის ნაყოფად მიიჩნევს კ. მისაბიშვილის მკვლელობას. იგი ამასთანავე აღნიშნავს, რომ გამოვლინდა ეროვნულ-დემოკრატების ალიანსი კომუნისტ-პარტოკრატებთან. ბერიამ ახლა, ანტისაბჭოთა მოძრაობის შემდგომი განადგურების მიზნით, „სრულიად საიდუმლოდ", სპეციალური კურიერის ხელით, პატაკი გაუგზავნა ფ. ძერჟინსკის (ე.ი., ფაქტობრივად, სტალინს). ერთი კვირის შემდეგ ბერიამ მიიღო მოწონება და დასტური („დილის გაზეთი", 1999, №151). მ. შელია წერს, რომ როგორც კი 1923 წლის „20 სექტემბერს (! – სწორეა – გ.ც.) კ. აფხაზი და მისი 15 თანამებრძოლი დახვრეტილნი იქნენ", იმავე დღეს გაიგზავნა კურიერი მოსკოვში. მაშასადამე, ბერია ფ. ძერჟინსკისთან და ი. სტალინთან ათანხმებს ანტისაბჭოთა მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლის ყველა შემდგომ ნაბიჯს. მ. შელიას აზრით, „აპრილ-მაისის მოვლენებმა საქართველოს მოსახლეობას (და მით უმეტეს პოლიტპარტიების ფხიზელ ლიდერებს – გ.ც.) ცხადად დაანახა ბოლშევიკური მთავრობის ტირანული გეზი, რომელიც მიზნად ისახავდა ერთპარტიული სისტემის ჩამოყალიბებას და ინტელიგენციის მასობრივ ლიკვიდაციას. ეს იყო „პირველი გასროლა", რომელიც სა-

ქართველოს მიაყენეს" („დილის გაზეთი", 1999, №153). ეს ჩეკისტური იერიში ყველამ ვერ გაიცნობიერა არა მარტო ეროვნულ მოძრაობაში, არამედ ისტორიკოსებშიც. მაგრამ იმდროინდელ ეროვნულ მებრძოლთა შორის იყვნენ ღრმად მოაზროვნეებიც.

იმისათვის, რომ ზოგადი წარმოდგენა მაინც შეგვექმნას იმის შესახებ, თუ რა შედეგები მოიტანა დრომ, რომელიც იასონ ჯავახიშვილის მიერ წოდებულ იქნა „საკმაოდ საგანგაშო დროდ", და როგორ აღიქვეს იგი გონიერმა პატრიოტებმა, საჭიროა, ჩვენს მიერ მოპოვებული მასალებით, თუნდაც მხოლოდ უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა 1937 წლის პარტიული შემადგენლობის მიხედვით, გავიაზროთ მდგომარეობა. ჩვენს ხელთ არსებული უნივერსიტეტის 140 პროფესორ-მასწავლებლის მონაცემებით, ანუ ე.წ. რექტორ კ. ორაგველიძისეული სიით (ალ. ბარამიძე): უპარტიო იყო 94, კომუნისტი – 10, კომკავშირელი – 9, ხოლო ყოფილი ანტიბოლშევიკური პარტიის წარმომადგენელი – 75. ყოფილი ანტიკომუნისტური პარტიების წარმომადგენელთა შორის იყვნენ:

ფილოლოგი: ყოფილი ეროვნულ-დემოკრატები – კ. კეკელიძე, ი. აბულაძე, მ. ზანდუკელი, ს. დანელია, ე. ტატიშვილი, გ. წერეთელი, ალ. კაპანელი; ყოფილი სოციალისტ-ფედერალისტები – გ. ახვლედიანი, გ. თოფურია, ს. ყაუხჩიშვილი, ვ. კოტეტიშვილი, ვ. ბერიძე, კ. კონიაშვილი, დ. კარბელაშვილი; მენშევიკები – ს. ჯიქია, სამსონია, ა. ბარამიძე; ესერები – ა. ჩიქობავა, დ. ქინქლაძე; ისტორიკოსებიდან ეროვნულ-დემოკრატები: შ. ამირანაშვილი, ნ. ბერძენიშვილი; სოციალისტ-ფედერალისტები: თ. ლომოური, ა. ნამორაძე; მენშევიკები – გ. ჩიტაია, გ. გოზალიშვილი, დუბროვსკი; ესერი – გ. ნათიძე. ეკონომისტებს შორის ეროვნულ-დემოკრატებიდან იყვნენ – ფ. გოგიჩაიშვილი, ა. გოკიელი, ი. მიქელაძე, ა. კაკაბაძე; სოციალ-ფედერალისტები – პ. გუგუშვილი, ნ. ქოიავა; მენშევიკები – ა. ინწკირველი, კ. მეგრელიძე, ვ. ბახტაძე, ა. სიგუა; ახალგაზრდა მარქსისტი – ვ. ჩანტლაძე. იურისტებს შორის: ეროვნულ დემოკრატები: მ. მრევლიშვილი; მენშევიკი – ი. ა. სურგულაძე, ლ. ანდრონიკაშვილი; გეოფიზიკოსი მენშევიკია – მ. ნოდია. ბიოლოგებში ეროვნულ დემოკრატებია – ნ. კეცხოველი და მ. ჭავჭანიძე. ფილოსოფოსებს შორის სოციალისტ-ფედერალისტია შ. ნუცუბიძე; მენშევიკია – კ. ბაქრაძე, ახალგაზრდა მარქსისტია – მ. გოგიბერიძე. ფსიქოლოგი სოციალისტ-ფედერალისტია – დ. უზნაძე. მათემატიკოსებს შორის ერო-

ვნულ დემოკრატებია – ნ. მუსხელიშვილი, ა. ხარაძე, მ. კონიაშვილი და ტ. ვეფხვაძე. გეოგრაფი ეროვნულ დემოკრატია ა. ჯავახიშვილი. მინეროლოგი ეროვნულ დემოკრატია ი. ყიფშიძე. გეოლოგებში ეროვნულ-დემოკრატებია ი. კაჭარავა, ხოლო სოციალისტ-ფედერალისტები არიან ა. ჯანელიძე და შ. სანიკიძე. ქიმიკოსებს შორის ეროვნულ-დემოკრატები იყვნენ გ. ციციშვილი და მ. ბექაია. აქ შეიძლება იყოს ცდომილება. მაგალითად: სხვა წყაროებით მ. ზანდუკელი შეტანილია ესერთა სიაში, გ. ჩიტაია ფედერალისტებში. ამ სიის გაცნობის დროს აკად. ალ. ბარამიძემ პირად საუბარში გაგვიცხადა, რომ თანაუგრძნობდა ეროვნულ-დემოკრატებს. ზოგი სხვა წყაროებით დადასტურებული ყოფილი ანტისაბჭოთა პარტიის წევრი სულაც არ არის შეტანილი ამ ჩეკისტურ სიაში (მაგალითად, ყოფ. ეროვნულ-დემოკრატი ნ. ჯანაშია). ამასთანავე, შ. ნუცუბიძე, როგორც ცნობილია, მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტებს ჯერ კიდევ 1921 წლის მაისში ჩამოსცილდა და შეერწყა ლიბერალურ-კომპრომისულ მიმდინარეობას და სხვ. მაგრამ ეს არ სცვლის ზოგად სურათს. ზოგადი სურათი კი ნათლად მეტყველებს, რომ ყოფილ პარტიელთა უმრავლესობამ სწორად მიიჩნია დიდი შოთას სწავლება: „სადაც არა სჯობს გაცლა სჯობს...“ იმ პოლიტიკურ რეალობაში ეს არ იყო ეროვნული ინტერესებისათვის ბრძოლის ასპარეზიდან გაქცევა და მით უმეტეს ღალატი ეროვნული მოძრაობის მიმართ, როგორც ეს ზოგმა ექსტრემისტული ტაქტიკის მიმდევარმა ლიდერმა (მაგ. მ. იშხნელმა) შეაფასა.

კვალიფიციური მკითხველი, თუნდაც უკვე ზემოთ აღნიშნულ პიროვნებათა გვარისა და სახელის მიხედვით, გაიცნობიერებს იმას, თუ მარტო უნივერსიტეტის მაგალითზე რა ინტელექტუალური ძალა ჩამოშორდა ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობის არალეგალურ მიმდინარეობას, შეერწყა ლიბერალებს და ვის დარჩა არალეგალური ასპარეზი. მაგრამ ამ მოვლენის საქმის კურსში ნაკლებად მყოფი მკითხველისათვის საჭიროა დამატებით აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა ამავე კონტინგენტის მაჩვენებლების მიხედვით, ყოფილ ანტისაბჭოთა პარტიების წარმომადგენლობაში იყო: მეცნიერების დოქტორი, პროფესორი – 21 (მათ შორის ორი აკადემიის წევრ-კორესპონდენტი), დოცენტი – პროფესორი – ერთი, დოცენტი – მეცნიერების კანდიდატი – 3, დოცენტი – 25, პროფესორი, რომელსაც ხარისხი არ ჰქონდა დაცული, მაგრამ მე-

ცნიერებაში და პედაგოგიურ მოღვაწეობაში დიდი აღიარება ჰქონდა მოპოვებული – 7 და სხვ. ამ დროს უნივერსიტეტის კომუნისტ და კომკავშირელ ლექტორთა შორის იყო მეცნიერების დოქტორი-პროფესორი მხოლოდ 2, სამეცნიერო ხარისხის არმქონე პროფესორი – სამი და დოცენტი – 7, მეცნიერებათა კანდიდატი – 4 (იხ.: საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 1, ს. 7817, ფ. 3-52).

ზემოთ უკვე ვნახეთ, „საგანგაშო დროში", ნებსით თუ უნებლიეთ, ჩაყოლიებით თუ ჩათრევით, ანტისაბჭოთა ბრძოლის ექსტრემისტულ მიმდინარეობას ჩამოსცილდნენ ქართული შემოქმედებითი ინტელიგენციის ისეთი თვალსაჩინო წარმომადგენლები, როგორებიც იყვნენ მ. ჯავახიშვილი, ალ. ახმეტელი, პართენ გოთუა, სიმონ ყიფიანი, ნიკო თავდგირიძე, სერგი დანელია, დ. ჯავახიშვილი, იას. ლორთქიფანიძე, იო. მაჭავარიანი, ნ. წვერავა, ა. თორაძე, გ. ამირეჯიბი, ნ. კეცხოველი, ვ. მგალობლიშვილი, გ. ჯანელიძე, ა. ნიჟარაძე და სხვ. (გაზ. „კომუნისტი", 8.VIII.1923). ჯერ კიდევ ამ ვითარებამდე ექსტრემიზმს თავი აარიდა კონსტანტინე გამსახურდიამ, ქრისტეფორე რაჭველიშვილმა და მრავალმა სხვამ. უფრო ადრე საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობის გზას დაადგა ეროვნულ-დემოკრატი გერონტი ქიქოძე, რომელიც საბჭოთა მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოადგილედაც მუშაობდა. ექსტრემისტებს ზურგი შეაქციეს მენშევიკმა ლიდერებმა ს. დევდარიანმა, ვ. თევზაიამ და მრავალმა სხვამ. ს. დევდარიანმა თავის თავზე აიღო პატიმრობაში მყოფი მენშევიკების მიერ „დეკლარაციაზე" ხელმოწერის ორგანიზება და ჩეკას კლანჭებიდან მრავალი განწირული ადამიანი გამოიხსნა.

ზემოთ აღნიშნულ ეროვნულ მებრძოლთა აბსოლუტური უმრავლესობა სწორედ ამ ე.წ. „საგანგაშო დროს", ანუ ანტისაბჭოთა არალეგალური პარტიების ე.წ. „თვითლიკვიდაციის" დროს გაემიჯნა ექსტრემიზმს და ე.წ. „წაწოლის პოლიტიკით", ანუ პროფესიული მოღვაწეობით განაგრძობდა ეროვნულ-პატრიოტულ საქმიანობას. აქ გასათვალისწინებელია არა მარტო ის, რომ ექსტრემიზმსა და ავანტიურიზმს განსაკუთრებით გააფთრებით ებრძოდა ხელისუფლება და ჩეკა, არამედ ისიც, რომ ახალ ეტაპზე, არალეგალურ-ექსტრემისტული, ავანტიურისტული ბრძოლის ტაქტიკიდან გამომდინარე, პარტიულ-პოლიტიკური ბრძოლის მეთოდები შეუთავსებელი გახდა შემოქმედებითი ინტელიგენციის უმრავლესობისათვის. ამიტომ ისინი

არალეგალურ პარტიულ საქმიანობას მხარში უდგნენ მანამდე, ვიდრე საქართველოს სუვერენიტეტის შენარჩუნებისა თუ მისი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ილუზიური, ხელსაყრელი მომენტის მოლოდინში შესაძლებელი იყო ზომიერი რადიკალური ბრძოლა და ორგანიზებულობა. მაგრამ როცა სახელმწიფოებრივ-ჩეკისტური და ანტისაბჭოთა ექსტრემიზმის სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირებით მათ წინაშე დადგა დილემა – ან არალეგალურ-ექსტრემისტულ ან ლიბერალურ-კომპრომისულ ბანაკში გადასვლა, მათ აირჩიეს მეორე გზა და შეერწყმნენ ივანე ჯავახიშვილის, ანუ ახალ, საბჭოთა საქართველოში ილია ჭავჭავაძის ხაზის მიმდევართა გზას. ამით შეიქმნა ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობის ლეგალური, ლიბერალურ-კომპრომისული ხაზის გაძლიერებისა და შესაბამისად ექსტრემისტული ხაზის შესუსტების გარდაუვალი რეალობა.

ექსტრემიზმიდან განდგომის პროცესი უაღრესად მტკივნეულად მიმდინარეობდა. იგი ასოცირებული იყო მდგომარეობასთან, რომელიც ხშირად ზოგი ექსტრემისტის მიერ საჩოთიროდ, ზოგის მიერ კი მტრულად აღიქმებოდა, ხოლო ექსტრემისტულ-არალეგალურ პროკლამაციებსა და არალეგალურ ბეჭდვით ორგანოებში ფასდებოდა როგორც არა მარტო ადრინდელი იდეების, არამედ სამშობლოს ღალატად. ამის მრავალი მაგალითი არსებობს. ყველაზე შემზარავი მაინც სამშობლოსათვის ბრძოლის სულისკვეთებით ანთებული, დიდი ორგანიზატორული ნიჭით დაჯილდოებული და საკუთარი ხალხისათვის სიკეთის მოტანის პოტენციის მქონე კალე მისაბიშვილისადმი დამოკიდებულება გახლდათ. მაგრამ, ამასთანავე, საყურადღებოა ექსტრემისტების მტრული დამოკიდებულება გერონტი ქიქოძის მიმართ. არალეგალურ მენშევიკურ ჟურნალში „ჩვენი ერთობა" (1923, №8) დაიბეჭდა სტატია „ოკუპირებულ საქართველოში კუზიანს სამარე გაასწორებს", რომელშიც მოღალატედ ცხადდებოდა გერონტი ქიქოძე კომპარტიასა და საბჭოთა ხელმძღვანელ ორგანოებთან ალიანსის გამო. აქ ნათქვამია: „ვინ არ იცნობს გერონტი ქიქოძეს, ამ ქამელეონს და ყველა პოლიტიკური პარტიების რენეგატს, რომელიც მუდამ გროშებზე ყიდდა თავის რწმენას და სინდისს... 1920 წელს ბნი ქიქოძე და თედო ღლონტი ღებულობდნენ ბოლშევიკური რუსეთის მისიიდან სუბსიდიას, თავის „კომუნისტურ" ნაწარმოებთა გამოსაცემად. როცა რუსეთის ჯარმა თბილისი აიღო, ბოლშევიკების დავალებით ქიქოძემ და ღლონტმა იკისრეს „შუამავლობის" როლი, რომ

საქართველოს მთავრობა ევროპაში არ გაეშვათ და ამით ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა დაპყრობასთან ერთად დაესამარებინათ... დაპყრობის დღიდან გერონტი ქიქოძის მოღვაწეობა მეტად საგულისხმოა. ქართულ საზოგადოებაში ის სიტყვით ოკუპანტებს აძაგებდა, საქმით კი გარეშე საქმეთა კომისარიატის კულისებს არ მოშორებია და უცდიდა როდის მიიღებდა ოკუპანტებისაგან გერმანიაში წარმომადგენლის პორტფელს, რომ იქ ევაჭრა ქართველი ხალხის სახელით... ქართველი ხალხი საფლავს ამზადებს მოსკოვის ხიშტებით მოვლენილ მოღალატეთათვის. ამ საფლავში გერონტი ქიქოძის კუზიც მოთავსდება – კუზიანს მხოლოდ სამარე გაასწორებს" (სუკის არქივი, №23410, გვ. 5). ეს ამონარიდი ერთგვარად კარგად ახასიათებს არალეგალურ-ექსტრემისტული მიმდინარეობის პრესასაც და მის პოლიტიკურ განწყობილებასაც. გ. ქიქოძის მოღვაწეობაში, ისე როგორც მრავალი სხვა ანტისაბჭოთა პარტიის ყოფილი წევრის მოღვაწეობაში, მართლაც იძებნება, ერთი მხრივ, საჩოთიროდ გასაგებ-გასააზრებელი. მაგრამ მის ეროვნულ ღვაწლს ქართველი ხალხი მთლიანობაში დიდად ღირებულად თვლის და მაღალ შეფასებას აძლევს. იგივე შეიძლება ითქვას „მემარცხენე ესერებზე", „მემარცხენე" ფედერალისტებზე და ცისფერყანწელებზე, რომლებმაც ტაქტიკური მოსაზრებით ახალ საოკუპაციო ხელისუფლებას „სოლიდარობა" გამოუცხადეს (სუკის არქივი, №31221; გაზ. „კომუნისტი", აზერბაიჯანის ცენტრალური ბაქოს კომუნისტების ორგანო, 1921, 28 თებერვალი, №47 – ბაქო). ისიც ცნობილია, რომ პავლე იაშვილი „ეხმარებოდა საოკუპაციო რეჟიმს" თბილისში წესრიგის დამყარების საქმეში. შ. ნუცუბიძე აღიარებს, რომ იგი სხვებთან ერთად ცდილობდა ხელისუფლების და ემიგრაციაში მიმავალთა შერიგებას. შ. ნუცუბიძე 1939 წელს საკავშირო ჩეკას პატიმრობაში წერდა, რომ მან საკუთარი ცხოვრების ახალ გზაჯვარედინზე უარყო ემიგრაციაში წასვლაც, სამშობლოში დარჩა. მან „თავდაცვის ხმლით", ანუ „წაწოლის პოლიტიკით" სამშობლოს სადარაჯოზე ყოფნა არჩია, „კომუნისტ პატრიოტს" სილიბისტრო ჯიბლაძეს ეახლა და თანამშრომლობა შესთავაზა. „ნიშნავს თუ არა, რომ მე მივესალმებოდი ბოლშევიკებს და საქართველოს ხელისუფლებაში მათ მოსვლას? – წერს იგი და დასძენს, – არა, მე არ ვტიროდი მენშევიკების წასვლის გამო, მაგრამ არც ბოლშევიკების მოსვლის გამო ვხარობდი. მე რეალური პოლიტიკის თვალსაზრისზე ვიდექი: ფაქტი მოხდა – ბოლშევიკები მდგომარეობის პა-

ტრონნი გახდნენ, მათ წინააღმდეგ იარაღით ხელში ბრძოლას პატარა საქართველოსათვის მე ვთვლიდი ღალატის (ისევ ღალატის – გ.ც.) უკიდურეს სახედ და ვიყავი უაზრო წინააღმდეგობის შეწყვეტის მიზნით ბათუმში მენშევიკებთან დელეგაციის გაგზავნის ერთ-ერთი ინიციატორი. როგორი სამწუხაროც არ უნდა ყოფილიყო საქართველოს „მენშევიკური" დამოუკიდებლობის დაკარგვა, საქართველოს გასაბჭოება განვიცადე როგორც დანაკარგი და ეროვნული ინტერესების შელახვა. ამ პირობებში მე დავადექი შექმნილ მდგომარეობასთან ლოიალური შეთავსების, მის „გადარჩენის" თვალსაზრისს, რასაც, ჩემი აზრით, კიდევ შეეძლო ჰქონოდა ეროვნული დამოუკიდებლობის ნიშნები" (სუკის არქივი, №31221, ტ. 2, ფ. 382). მსგავს პოზიციაზე იდგა ბევრი სხვა დიდი მამულიშვილი (ვ. კოტეტიშვილი, კ. გამსახურდია და სხვ.). დიახ, ძნელი, ძალიან ძნელია ეროვნულ მოღვაწეთა პოლიტიკურ-ეროვნული ღვაწლისა და ცხოვრებისეული პერიპეტიების გამოწვლილვით შეფასება. ზოგს ექსტრემიზმისაგან გამიჯვნისათვის კიცხავდნენ და ლაფს ასხამდნენ, ზოგს საბჭოთა უმაღლეს ორგანოებში (ცაკ-ში და სხვ.) თანამშრომლობისა თუ საჯარო კომუნისტურ ფორუმებზე კომპრომისული სიტყვების წარმოთქმისათვის ან დეპუტატობისა და საბჭოთა მთავრობის ორდენის მიღებისათვის. ბევრმა, მათ შორის ჭეშმარიტმა პატრიოტმა, ალღო ვერ აუღო საერთო სიტუაციას და ხელისუფლებასთან „წაწოლის პოლიტიკით" კომპრომისული თანამშრომლობის აუცილებლობიდან გამომდინარე ქმედებები გაიგო როგორც ორთოდოქსულ საბჭოთა იდეოლოგიურ-პოლიტიკურ ტრაფარეტში მოქცევა. არალეგალურ პროკლამაციებში განსაკუთრებით დაუნდობლად და უმართებულოდ თათხავდნენ „ლიკვიდატორებს". სუკის არქივში მივაკვლიეთ ექსტრემისტი მენშევიკების პროკლამაციას: „სეით დევდარიანის მოღვაწეობა". მასში ს. დევდარიანი შეფასებულია პიროვნებად, რომელიც „სინდისსაც არ ემორჩილება", „ორჯონიკიძე-ორახელაშვილის საქმეს აკეთებს", მისი აზრით, „ქართველი ხალხი თავის ეკონომიკურ და პოლიტიკურ, კულტურულ და მორალურ კეთილდღეობას ჰპოვებს მხოლოდ „საბჭოთა სისტემაში... ე.ი. მოსკოვის ტირანიაში" და სხვა. მთელი ეს ეპითეტები მას თურმე იმის გამო დაუმსახურებია, რომ „გარდა ნება დართული კრებების, სხდომების და გაზეთის გამოცემისა, 1923 წელს დევდარიანი პორთფელით ხელში, ავტომობილით (ვისი ავტომობილით?) ესტუმრება ციხეში გამომწყვდეულ პოლიტიკურებს და ჩეკას ანთავი-

სუფლებინებს იმათ, ვინც ხელს მოაწერს, რომ იზიარებს დევდარიანის შეხედულებას..." (იხ. იქვე, №23450, ფ. 13-21). მკითხველისათვის გაუგებარი არ უნდა იყოს, რომ რუსის ჯარის უახლოეს დროში განდევნის, საბჭოთა ბოლშევიკური კავშირიდან სამშობლოს გამოხსნის და საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული სახელმწიფოებრიობის აღდგენის შესაძლებლობათა დამჯერე და პროპაგანდისტი პარტიული ლიდერების საბრძოლო კურსის სისწორეში ღრმად, მაგრამ ყალბად დარწმუნებული ახალგაზრდა არალეგალური პუბლიცისტები „ლიკვიდატორებს" გადამწყვეტი და გამარჯვების უცილოდ მომტანი ბრძოლის ველიდან გაქცეულ მოღალატეებად მიიჩნევდნენ. აქედან ამოდიოდა მათი გულღვარძლიანი შეფასებები. მაგრამ არასწორ, მცდარ გაგებას თავს ვერ აღწევს ზოგი თანამედროვე ისტორიკოსიც კი. ეს ხდება მაშინ, როცა შემდგომმა ჩვენმა ისტორიამ დაამტკიცა, რომ არალეგალური ექსტრემისტული ტაქტიკით ბრძოლა იყო არა დამოუკიდებლობის, არამედ უბედურების მომტანი. ისინი კაბინეტურმა აზროვნებამ ისე გაიტაცა, რომ ზოგჯერ მსჯელობენ როგორც 20-იანი წლების ახალგაზრდა ექსტრემისტი ავანტიურისტი პატრიოტები. უარყოფითად აფასებენ ექსტრემიზმიდან გამიჯვნის ყველა შემთხვევას. ყურადღებას არ უთმობენ, რომ ექსტრემისტების ლიდერები ამ მხრივ მეტ თავდაჭერილობას ამჟღავნებდნენ, რადგან საკითხს უფრო მეტი სიღრმით იცნობდნენ, ხოლო ე.წ. „ლიკვიდატორებს" მეტი გაგებით ეკიდებოდნენ. მაგალითად, იასონ ჯავახიშვილმა, როცა მიხეილ ჯავახიშვილისაგან პირადად მოისმინა, რომ იგი კ. მისაბიშვილს ხელისუფლებასთან კომპრომისულ ახალ ტაქტიკაში თანაუგრძნობდა და არალეგალურ ბრძოლაზეც ხელს იღებდა, გაემიჯნა მას, მაგრამ ამის გამო მისთვის არც მოღალატეობა დაუწამებია, არც შეურაცხყოფა მიუყენებია და არც ტერორი დაუნიშნია. ეჭვის გარეშეა, რომ ამის შესახებ იასონმა საკუთარი შთაბეჭდილება სხვა თანამოაზრე-თანამებრძოლებსაც არ დაუმალა, რადგან ეს იყო მ. ჯავახიშვილის მიერ პარტიულ-პოლიტიკური პოზიციის გამოხატვა და არა იასონთან ინტიმური, კერძო ხასიათის, პირადი ურთიერთობის გარკვევა. ეს მ. იშხნელის ნააზრევიდანაც ჩანს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მ. იშხნელი თავის ერთ-ერთ ჩვენებაში წერს, რომ დაპატიმრების წინ მას მ. ჯავახიშვილთან საუბარი ჰქონდა კ. მისაბიშვილის საზღვარგარეთ გაყვანის შესახებ. აქ არ შეიძლებოდა, რომ მათ პარტიის ლეგალიზაციის და ხელისუ-

ფლებასთან კომპრომისული თანამშრომლობის საკითხზეც არ ესაუბრათ. მაგრამ, როგორც ჩანს, მ. იშხნელი, ისე როგორც ზოგი სხვა მისი უახლოესი თანამოაზრე-თანამებრძოლი, უკიდურეს ექსტრემისტად დარჩა. მაგრამ ეს მათ სანანებელი გაუხდათ. ასე მაგალითად: როგორც ცნობილია, 1924 წლის აჯანყებას „პარიტეტული კომიტეტის" წევრებს შორის მხარი დაუჭირეს მხოლოდ მენშევიკების, ეროვნულ-დემოკრატების და სოციალისტ-რევოლუციონერების ლიდერებმა. აი რას წერენ ისინი დაპატიმრების შემდეგ:

დავით ონიაშვილი, „პარიტეტული კომიტეტის" წევრი მენშევიკებიდან: „პარიტეტულმა კომიტეტმა გამაგებინა, რომ აჯანყება დაიწყო 28-29 აგვისტოს ღამე. მე ვიგრძენი, რომ ჩვენ ყალბი გზით წავედით და ცუდად ვიგრძენი თავი... ვეღარ ავიტანე ეს მდგომარეობა და ანდრონიკაშვილს (შიომღვიმის ტყეში – გ.ც.) განვუცხადე, რომ მე მივდივარ თბილისში, რადგან თავს შეუძლოდ ვგრძნობ. იგი არ შემეწინააღმდეგა. სამი დღე დავხეტიალობდი ტყეში, მერე წავედი თბილისში და დამაპატიმრა მილიციამ" (იხ. იქვე, ფურც. 206).

მიხეილ ბოჭორიშვილი, „პარიტეტული კომიტეტის" წევრი ეროვნულ-დემოკრატებიდან: „ძალები ასეთი დიდი საქმისათვის არ იყო საკმარისი. ჩვენთვის ცხადი გახდა, რომ ჩვენ ავანტიურაში ჩავარდით, და რომ საჭირო იყო სასწრაფო ლიკვიდაციის გატარება და ხალხის გადარჩენა და უაზრო მსხვერპლის აცილება. პირადად მე ვფიქრობდი თბილისში დაბრუნებას (შიომღვიმის ტყიდან – გ.ც.). მინდოდა მენახა ჩვენი პარტიის ცეკის წევრები, რომლებიც თავიდანვე სკეპტიკურად უყურებდნენ კომიტეტის გადაწყვეტილებას და ეშინოდათ ავანტიურაში მოხვედრა. მინდოდა მათთვის ამეხსნა მდგომარეობა როგორც შექმნილი მდგომარეობის ლიკვიდაციისათვის, ისე შემდგომი პარტმუშაობისათვის. ვერ შევძელი, რადგან ოთხში უკვე ჩეკაში ვარ..." (იხ. იქვე, ფურც. 251).

როდესაც „ლიკვიდატორი" ეროვნულ-დემოკრატების „დეკლარაცია" გამოქვეყნდა, როგორც ი. ჯავახიშვილი აღნიშნავს, ამან ექსტრემისტი ყოფილი კოლეგების უკმაყოფილება გამოიწვია. ისინი განსაკუთრებით გააღიზიანა იმან, რომ „გუშინდელი" თანამოაზრე-თანამებრძოლები „დღეს" მათ „ავანტიურისტებს" უწოდებდნენ და საკუთარ თავს „თითქმის ბოლშევიკებად წარმოაჩენდნენ" (იხ.: ნ. კირთაძის დასახელებული წიგნი, გვ. 372). მათ, რა თქმა უნდა, კარგად უნდა სცოდნოდათ, რომ „დეკლარაციის" ეს რაკურსი მ. ჯავახიშვი-

ლის, პ.გოთუას, ნ. თავდგირიძის, ალ. ახმეტელის, ს. დანელიას და სხვათა სურვილისა და ნების გამოხატულება არ იქნებოდა. მაგრამ იგი არც მთლად უსაფუძვლო ანარეკლი იყო არსებული მდგომარეობისა. ექსტრემისტმა ეროვნულ-დემოკრატებმა ხომ, შ. ნუცუბიძის ზემოთ აღნიშნული, საკმაოდ გასაგები ლოგიკით, მართლაც უღალატეს „გუშინდელ" ზომიერი რადიკალიზმის ტაქტიკას და ხომ მართლაც დაადგნენ ავანტიურიზმის გზას?! ამასთანავე, როგორც ისტორიის რეალობამ დაადასტურა, მათი მამულიშვილური მიზანდასახულობა და ბრძოლა მართლაც ექსტრემისტულ-ავანტიურისტული აღმოჩნდა. აი რატომ იყო, რომ არც 1924 წლის აჯანყების ხელმძღვანელთა სასამართლო პროცესზე და არც შემდეგ არც ერთ ყოფილ თანამებრძოლს არ დასცდენია ისეთი აუგი სიტყვა მ. ჯავახიშვილისა და სხვა „დეკლარანტი-ლიკვიდატორების" მიმართ, როგორც ზოგმა ჩვენმა თანამედროვე ისტორიკოსმა დიდი მწერლის და 20-იანი წლების თვალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწის, მ. ჯავახიშვილის მიმართ ინება. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ლიბერალურ-კომპრომისული ქმედებები კარგად გაიგო ბევრმა იმდროინდელმა ცნობილმა მამულიშვილმა. მაგალითად, პ. იაშვილის ქმედება, რომელიც თბილისის ოკუპაციის დღეს უკვე ბოლშევიკების მიერ დაპყრობილ დედაქალაქში წესრიგს იცავდა, სწორად გაიგო პატრიოტულმა საზოგადოებამ. მაგალითად, 1921 წელს ცნობილ ეროვნულ პატრიოტს ზაქარია ჭიჭინაძეს თავის ერთ კერძო წერილში პ. იაშვილი მოხსენებული ჰყავს არა როგორც მოღალატე, არამედ როგორც დიდი პატრიოტი. დიახ, თანამედროვენი უკეთ ხედავდნენ კომპრომისულად მებრძოლთა მამულიშვილური საქმიანობის მოტივთა საფუძველს. არ არის შემთხვევითი და გაუგებრობაზე ნაზარდი ის მეგობრული ურთიერთობა, რომელიც ჰქონდათ ომის შემდგომ ემიგრაციიდან დაბრუნებულ სამსონ ფირცხალავას და შ. ნუცუბიძეს. უფრო მეტიც, შემთხვევითი არ არის, რომ 1937 წელს მ. ჯავახიშვილს ოჯახში მოულოდნელად დაადგა ცნობილი ექსტრემისტი, ეროვნულ-დემოკრატი შალვა ქარუმიძე. იგი არალეგალურად, ანტისაბჭოთა დივერსიულ-დაზვერვითი მისიით იყო ემიგრაციიდან შემოსული. შ. ქარუმიძეს თუნდაც თავშეკავებული გულახდილი საუბარი მ. ჯავახიშვილთან იმას მოწმობს, რომ იგი ეახლა არა „მოღალატეს", არამედ როგორც არალეგალური ბრძოლის ასპარეზიდან იძულებით ჩამოშორებულ თანამოაზრე-თანამებრძოლ პატრიოტს. ეს შემდეგ მოხდა, მაშინ კი,

როგორც იასონ ჯავახიშვილმა აღნიშნა, ექსტრემისტმა ეროვნულ-დემოკრატებმა, თავიანთი ახალი კურსიდან გამომდინარე, სათანადო პროკლამაციით მკვეთრად გაილაშქრეს „დეკლარანტების“ წინააღმდეგ. ისინი მ. ჯავახიშვილის ინიციატივას კონტაქტის შესახებ განერიდნენ. თუმცა გ. წინამძღვრიშვილს უარი არ უთქვამს ალ. ახმეტელთან შეხვედრაზე (იხ.: ნ. კირთაძის დასახელებული წიგნი, გვ. 372). ამ კონტაქტის დროს რა გაარკვიეს მათ, არ არის ცნობილი. მაგრამ ადვილი მისახვედრია, რაზე იქნებოდა საუბარი. ჩვენი აზრით, საუბარი იმის შესახებ უნდა ყოფილიყო, რომ რეალურ სიტუაციაში „დეკლარანტებს“ სხვა გზა არა ჰქონდათ და რომ ახალ, ჩეკას მიერ ყოველმხრივ შებოჭილ ვითარებაში, მათი ახალი კომპრომისული ტაქტიკა უფრო მისაღები იყო. ამაში, როგორც ზემოთ ვნახეთ, 1923 წლის ბოლოს თუ 1924 წლის დასაწყისში ქ. ჩოლოყაშვილი, გ. წინამძღვრიშვილი და ბევრი სხვა მებრძოლი დარწმუნდა. მართალია, ამ დროს ბევრს უკვე „დეკლარაციაზე“ ხელმოწერის შანსი აღარ დარჩა,მაგრამ ახალ ვითარებაში ზოგი მყარად დადგა თვით ქ. ჩოლოყაშვილის მეამბოხეთა რაზმის თვითლიკვიდაციის იმ პოზიციაზე, რომელსაც ჯერ კიდევ 1922 წელს უჭერდნენ მხარს ცნობილი და თვალსაჩინო პატრიოტები, მათ შორის, სპ. კედია, ალ. ასათიანი, გოგი ხიმშიაშვილი. ამის შემდეგ, ახალ კონკრეტულ სიტუაციაში, ანუ „სამხედრო ცენტრის“ წევრების და სხვათა პატიმრობიდან გამოხსნის მიზნით, ზაკჩეკას თავმჯდომარეს დასმული კითხვის პასუხად ფაქტობრივად იგივე იდეა ჩამოუყალიბა პოლიტიკურმა პატიმარმა მ. ჯავახიშვილმა. ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იპყრობს 1958 წელს მეტეხის ციხის დანგრევის დროს იატაკ ქვეშ აღმოჩენილი, პოლიტიკური პატიმრების მასალებს შორის გამოვლენილი, მ. ჯავახიშვილის ნაწერი, რომელიც გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ (26.V.1989) გამოაქვეყნა გ. მამულიამ. მას არასწორად აქვს მითითებული თარიღი – 1924 წლის 22 მარტი. ეს იმდროისთვის უმტკივნეულო შეცდომად მოგვევლინა, მაგრამ შემდეგ ამის გამო მ. ხომერიკმა იგი შეაფასა როგორც ჩეკას ინფორმირებისათვის გამიზნული დასმენა (მ. ხომერიკი, დასახელებული წიგნი, გვ. 13). აჩქარდა მკვლევარი. ეს არის მ. ჯავახიშვილის 1923 წლის 22 მარტის ჩვენების (ნ. კირთაძე, დასახელებული წიგნი, გვ. 249-250) თეზისი. გ. მამულიას ამ პუბლიკაციაში სხვა მექანიკური შეცდომაც გვხვდება. მასში „1924 წლის თებერვალში კალე მისაბიშვილის საზღვარგარეთ გამგზავრე-

ბის შესახებ და ამ საშუალებით მისი პარტიული საქმეებიდან ჩამოშორებასაც" საუბრობს მ. იმსნელი. არა და ეს 1923 წელია და არა 1924. როგორც ცნობილია, მ. ჯავახიშვილს, ისე როგორც მრავალ სხვა მამულიშვილს, 1924 წლის აჯანყების ხელმძღვანელობაში მონაწილეობა არ მიუღია. ლიბერალების უმრავლესობის მსგავსად, მ. ჯავახიშვილიც განერიდა გაუმართლებელ აჯანყებას. მას ამ დროისათვის საქართველოს დატოვებაც კი ჰქონია განზრახული (იხ.: ნ. კუპრეიშვილი, მიხეილ ჯავახიშვილის პირადი წერილი, ჟურნ. „ლიტერატურა და ხელოვნება", 1999, №2). ეს იყო მ. ჯავახიშვილის სწორი პრინციპულ-პოლიტიკური პოზიციის გამოვლინება. ასეთივე პოზიცია დაიკავეს 1924 წლის აჯანყების მიმართ ივ. ჯავახიშვილმა, შალვა ნუცუბიძემ, გიორგი ჩიტაიამ და მრავალმა სხვა თვალსაჩინო მამულიშვილმა. მ. ჯავახიშვილის შესახებ კი მ. ხომერიკის წიგნში ვკითხულობთ: „მიხ. ჯავახიშვილს გაუხსენეს, რომ იგი იყო წევრი პარიტეტული კომიტეტისა, რომელიც 1924 წლის აჯანყებას ხელმძღვანელობდა. ცნობილია, რომ კომიტეტის წევრები დახვრიტეს, მ. ჯავახიშვილი კი, როგორც გერონტი ქიქოძე წერს, „გაამართლეს" (გვ. 40). ვერ წარმომიდგენია, რომ გ. ქიქოძეს ასეთი აბსურდი მართლა დაეწეროს, რადგან მან მოცემული ეპოქა ზედმიწევნითაც იცოდა და ჩემთვის ცნობილ პუბლიკაციებში იშვიათი გონიერებითაც აღწერა. საქმე ისაა, რომ მ. ჯავახიშვილი „პარიტეტული კომიტეტის" წევრი არასდროს ყოფილა და მით უმეტეს 1924 წლის აჯანყების დროს ვერ იქნებოდა, რადგან იგი ექსტრემისტებსა და ავანტიურისტებს ჯერ კიდევ 1923 წელს, დაპატიმრებამდე გაემიჯნა, 6 თვის პატიმრობის შემდეგ დეკლარაციასაც მოაწერა ხელი. მან, ისე როგორც სხვამ, დეკლარაციაში ნებსით თუ უნებლიედ თავისი ყოფილი თანამოაზრე-თანამებრძოლი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ექსტრემისტულ-ავანტიურისტულ მიმდინარეობაში გადაბარგებული წევრები „ავანტიურისტებად" გამოაცხადა, თავად კი, დროის მოთხოვნილების აუცილებლობიდან გამომდინარე, ეროვნული მოძრაობის ლეგალურ, ლიბერალურ-კომპრომისულ მიმდინარეობას შეერწყა. გ. ქიქოძემ თუ მ. ჯავახიშვილის 1924 წლის აჯანყებისადმი დამოკიდებულების გაგებაში შეცდომა დაუშვა, ამის დროშასავით აფრიალება იმასა ჰგავს, რომ სამგლოვიარო პროცესიას მიაძახო: „ეს ერთი და სხვა მრავალი!" ასეთი საშინელი მსჯელობის და საბრალდებო დასკვნების აგება შემზარავია. მაგრამ ახლა არ არის საჭირო ამაზე

საუბრის გაგრძელება, რადგან მასზე ქვემოთ საგანგებოდ გვექნება მსჯელობა. ჯერ ერთი, აბსურდია იმის ფიქრიც კი, რომ ჩეკას მუშაკები უყურადღებოდ ტოვებდნენ მათთვის განკუთვნილ, გადამალულ ინფორმაციას. ვინც ჩეკისტების მუშაობის მეთოდიკას ოდნავ მაინც დაკვირვებია, მისთვის ცხადია, რომ ჩეკასგან ასეთი გულმავიწყობა გამორიცხულია. მსგავსი ოპერატიული წერილობითი კონტაქტები შემთხვევითი ჩეკისტების დონეზე კი არ ხდებოდა, არამედ შეთანხმებული იყო ხელმძღვანელობასთან, რომელიც შესრულებას მკაცრად აკონტროლებდა. მეორე, მ. ჯავახიშვილის ამ „იატაკქვეშა კორესპონდენციებში" მოცემულია ის, რაც მისმა პატიმარმა ავტორმა ჩეკას ხელმძღვანელ-გამომძიებელთა მოთხოვნით დაწერილ 1923 წლის ჩვენებებში გაცილებით გაშლილად ასახა (იხ.: ნ. კირთაძის დასახელებულ წიგნში მოცემული დოკუმენტები: მ. ჯავახიშვილის 22 მარტის, 13 აპრილის ჩვენებები, გვ. 249-251). ისიც ცნობილია, რომ პატიმრობიდან განთავისუფლების (1923 წ.) შემდეგ მ. ჯავახიშვილი ციხეში არ დაუბრუნებიათ. მაშასადამე, ეჭვგარეშეა, რომ მ. ჯავახიშვილის ჩანაწერის თარიღი, 1924 ნაცვლად, უნდა ყოფილიყო 1923. ამდენად, მისი ეს წერილები (ანუ 7 პუნქტი) უნდა გავიგოთ როგორც პირადი ჩანაწერი, ან კიდევ როგორც კოლეგებისათვის აზრის შესათანხმებლად გადასაცემი ინფორმაცია, რომელიც იატაკქვეშ ან იმიტომ აღმოჩნდა, რომ ავტორმა ველარ მოახერხა მისი მოსპობა, ან დროული რეალიზაცია, ანუ ის, რომ იგი ამ გზით მიეღო ადრესატ პატიმარს ან გარეთ მყოფ თანამებრძოლს. ფიქრი იმის შესახებ, რომ თითქოს მ. ჯავახიშვილს ზაკჩეკას უფროს მოგილევსკისთან ან სხვა ჩეკისტებთან „საუბრების" და „ჩვენებების" თუ „საოქმო ჩანაწერებისას" დრო არა ჰყოფნიდა და ამის გამო იგი კიდევ საპატიმროს საკნის იატაკის ქვეშიდან აწვდიდა თეზისურ წერილებს, რომელიც მერე ჩეკისტებს ავიწყდებოდათ, ხოლო ციხის მნგრეველ მუშებს მ. ჯავახიშვილის ბოროტი ზრახვების ამოცნობის საშუალებად ხელში ჩაუვარდათ, და შემდეგ გ. მამულიამ განგებ შემოკლებით იმიტომ გამოაქვეყნა, რომ მ. ჯავახიშვილის სენსაციური ინფორმატორობა არ გაეხსნა, ხოლო მ. ხომერიკმა მისი დედანში ნახვა მოახერხა და მ. ჯავახიშვილს ჩეკას აგენტ-ინფორმატორის დიაგნოზი დაუსვა ან სხვა მსგავსი ეჭვები, აშკარად მიზნობრივია. აქ კი აუცილებელია კიდევ ერთხელ ითქვას, რომ ქრონოლოგიური და ფაქტობრივი ხასიათის ცდომილებები პოლიტიკურ პატიმართა ხელნაწერებში თუ ამ ხელნაწერების

პუბლიკაციებში იშვიათი მოვლენა როდია. ამიტომ მათ შემდგომი დაზუსტება სჭირდებათ და არა შემდგომი გაუკუღმართებული განვითარება. ამასთანავე, ჩვენ მიგვაჩნია, რომ სხვა პოლიტიკური პატიმრების მიერ, და მ. ჯავახიშვილის დაწერილი საერთო-ეროვნული ინტერესებისათვის მომგებიანი, მაგრამ თანამედროვეების მიერ შეუცნობელი, თუნდაც ერთი შეხედვით გაუკუღმართებულად გასაგებ-გასაზვიადებელი პრინციპული აზრი ხშირად უფრო დიდი ეროვნული პატრიოტიზმია, ვიდრე ზოგიერთის მიერ ჩამოყალიბებული ის მოსაზრებები, რომელსაც მოსდევს ხოლმე ბოლომდე გაუცნობიერებელი მიზეზებით და მხოლოდ პატრიოტიზმის მოტივაციით, ეშაფოტზე ასვლა, საერთო ეროვნული საქმის წახდენა და სხვა მრავალთა გაუბედურება. ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა იასონ ჯავახიშვილის 1924 წლის 18 სექტემბრის ჩვენებაში დაფიქსირებული ერთი მეტად საინტერესო ამბავი. 1924 წლის „ზაფხულში ელისე პატარიძემ (მ. ჯავახიშვილის, კ. მისაბიშვილის და სხვა ეროვნულ-დემოკრატების თანამოაზრე-თანამებრძოლმა, ედპ-ის ცკ-ის წევრმა და ახალგაზრდების ლიდერმა – გ.ც.) განაცხადა, რომ უარს ამბობს მუშაობაზე და მოინდომა ხელისუფლებასთან შერიგება (ჩვენ გავანთავისუფლეთ იგი მუშაობისაგან) და შალვა აბაშიძის დაპატიმრების შემდეგ, დაახლოებით ივნისში, ან ივლისში, მუშაობა ახალგაზრდობასთან დაევალა ხუხუ ხოფერიას“ (იხ.: ნ. კირთაძის დასახელებული წიგნი, გვ. 370). ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში ე. პატარიძის მოქმედება იყო სწორი. დიახ, 1924 წლის ზაფხულის ახალ სიტუაციაში ექსტრემიზმისა და ავანტიურიზმისაგან გამიჯვნა სწორია. ალბათ ამის გამო იყო, რომ ე. პატარიძე მოღალატედ არ გამოუცხადებიათ, მისთვის, როგორც ჩემთვის ცნობილია, არც ტერორი დაუნიშნიათ. ხუხუ ხოფერიამ კი, როცა მან 1924 წლის აჯანყების გამოცდილებით მომხდარი ამბები ბოლომდე გაიაზრა, ექსტრემისტების საქმიანობა ავანტიურად დაასაბუთა (სუკის არქივი, №23362). ამის გარშემო ვრცელი მსჯელობა მომდევნო წიგნში, აჯანყების შეფასების დროს, გვექნება. პოზიციის შეცვლა ყოველთვის არ არის ღალატი. ამ ჭეშმარიტების ახსნას საჭიროების მიხედვით ქვემოთ კიდევ დავუბრუნდებით. ახლა კი ვნახოთ, როგორ მოეკიდნენ ციხიდან გამოსულ და პოზიციაშეცვლილ მ. ჯავახიშვილს ერის ინტერესებისათვის რეალისტურ-კომპრომისული ტაქტიკით მებრძოლი ლიბერალი მამულიშვილები.

ეროვნული მოძრაობის არალეგალური, რადიკალურ-რეალისტური მიმდინარეობიდან მეორე, ასევე რეალისტურ, ლიბერალურ-კომპრომისულ პოზიციებზე მ. ჯავახიშვილის გადასვლა, როგორც ვნახეთ, უმტკივნეულოდ არ მომხდარა. ყოფილმა თანამოაზრე-თანამებრძოლებმა მტრულად აღიქვეს „დეკლარანტობა". ექსტრემისტულ მიმდინარეობასთან შერწყმულმა ყოფილმა რადიკალებმა, როგორც იასონ ჯავახიშვილი აღნიშნავს, არ ისურვეს მ. ჯავახიშვილთან შეხვედრა და მომხდარი ფაქტის გამო ურთიერთობის გარკვევა. სულ სხვა, საწინააღმდეგო პოზიცია შეაგებეს მ. ჯავახიშვილს რეალისტმა ლიბერალ-კომპრომისტებმა. ამას მოწმობს მ. ჯავახიშვილის მიმართ პავლე ინგოროყვას და სხვა მისი მიმდევრების დამოკიდებულება. ექიმმა ნიკოლოზ ყიფშიძემ, პავლე ინგოროყვამ და კიდევ რამდენიმე კაცმა ს. ორჯონიკიძესთან უშუამდგომლეს მ. ჯავახიშვილს და თავდებად დაუდგნენ იმის გამო, რომ პოლიტიკურ საქმეებში აღარ გაერეოდა (ქ. ჯავახიშვილი, მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება, გვ. 39). მ. ჯავახიშვილი ამჯერად დახვრეტას ან ხანგრძლივ პატიმრობას გადაურჩა. აქ უდავოდ დიდია მისი რეკომენდატორების დამსახურება. როგორც ცნობილია, მ. ჯავახიშვილმა სპეციალურ წერილში ს. ორჯონიკიძის მიმართ მადლიერების გრძნობის ოფიციალური გამოხატვაც არ დაიშურა (იხ.: „Имя Серго", ж. „Советское искусство", 1937, №9, февраль, с. 2). მაგრამ მისი განთავისუფლება და სამადლობელო წერილიც მაინც პოლიტიკა იყო და არა ს. ორჯონიკიძის გულმოწყალების, ან მ. ჯავახიშვილის ნების გამოვლინება, რადგან ხელისუფლებამ ასეთი პატივი მიაგო არა მარტო მ. ჯავახიშვილს, არამედ საერთოდ დეკლარაციაზე ხელის მომწერებს, ე.ი. მრავალ სხვას. ს. ორჯონიკიძისადმი მ. ჯავახიშვილის მადლიერების წერილიც არ უნდა ყოფილიყო მხოლოდ მ. ჯავახიშვილის სუბიექტური განწყობილებით ნაკარნახევი. იგი, ისე როგორც სხვათა, ერთი შეხედვით, აშკარად საჩოთიროდ აღსაქმელი წერილები, უაღრესად მძიმე პოლიტიკურ სიტუაციაში იქმნებოდა და ქვეყნდებოდა. ამიტომ ისინი სწორ ახსნას საჭიროებენ და არა გაუცნობიერებლად განქიქებას, როგორც ეს ზოგჯერ, 1930-იანი წლების თვალსაჩინო ქართველი მოღვაწეების განცხადებების ახსნის მაგალითზე, ზოგი ავტორის პუბლიკაციაში გვხვდება.

1923 წელს კი პ. ინგოროყვამ პატიმრობიდან განთავისუფლებულ მწერალს შესთავაზა მის მიერვე დაარსებულ, საქართველოს მწერალთა კავშირის ნაციონალისტურ ჟურნალ „კავკასიონში" თანამშრო-

მლობა. ამ დროს ჟურნალში თანამშრომლობდნენ ისეთი ავტორიტეტული ეროვნული მოღვაწეები, როგორიც იყვნენ: კ. მაყაშვილი, ი. გრიშაშვილი, ლ. ქიაჩელი, შ. დადიანი, დ. კლდიაშვილი, ს. აბაშელი, კ. ჭიჭინაძე, კ. მარჯანიშვილი, ი. ნიკოლაძე და სხვ. მაშასადამე, მ. ჯავახიშვილი ექსტრემისტებს განუდგა, მაგრამ არანაკლებ ღირსეულ გარემოცვას შეერწყა. ამ ჟურნალის 1924 წლის №3-4-ში ადამაშვილის ხელმოწერით დაიბეჭდა მ. ჯავახიშვილის სანიმუშო მოთხრობა „ტყის კაცი". ამავე დროს გამოიცა მისი ნაწარმოებების პირველი კრებული. ივანე გომართელმა მაღალი შეფასების შემცველი წინასიტყვაობა წაუმძღვარა მ. ჯავახიშვილის პირველ კრებულს. აქედან ჩანს, რომ ყოფილი არალეგალ, რადიკალური ტაქტიკით მებრძოლ და შემდეგ არალეგალურ ბრძოლას ჩამოშორებულ მ. ჯავახიშვილს ერის ინტერესებისათვის კომპრომისული ტაქტიკით მებრძოლმა მისმა თანამედროვეებმა ეჭვები და სიყალბე კი არ შეაგებეს, არამედ გულში ჩაიხუტეს და გვერდში ამოიყენეს. 1924 წელს მ. ჯავახიშვილმა ჟურნალ „დროშაში" „კვაჭი კვაჭანტირაძე", ხოლო ჟურნალ „მნათობში" „ჯაყოს ხიზნები" დაბეჭდა. სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში ამავე დროს მწერლის ათეულობით შემოქმედებითი ხასიათის წერილი მოთავსდა. ეროვნულ-პატრიოტული გარჯის თვალსაზრისით, საყურადღებოა მიხ. ჯავახიშვილის არა მარტო მხატვრული, აშკარად პოლიტიკური სარჩულის მქონე ნაწარმოებები, არამედ აგრეთვე მისი 20-იანი წლების წერილები, რომლებიც მიზნად ისახავენ XIX-XX საუკუნეების ეროვნული მოძრაობის დიდი ბელადების, 1832 წლის შეთქმულების მონაწილეების, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის და სხვათა პატრიოტული მემკვიდრეობის განუხრელ დაცვას. მხედველობაში გვაქვს მიხ. ჯავახიშვილის ქედჩაუხრელი ბრძოლა ქართული ენის სიწმინდის, საქართველოსათვის დამაშვრალი დიდი წინაპრების (მათ შორის განსაკუთრებით ილია ჭავჭავაძის) ეროვნული ღვაწლის წარმოჩენისა და მისი პოლიტიკური მნიშვნელობის ჩვენებისათვის. მიხ. ჯავახიშვილმა 20-იანი წლების საქართველოში ყველაზე მეტი გააკეთა ილიას რეაბილიტაციის მიზნით. იგი წერილში „კონსერვატორიის პოლიტიკოსები" (5. V. 1924) ილაშქრებს „მუსიკის ფარს ამოფარებული" „მომღერალი პოლიტიკოსების" წინააღმდეგ, რომლებიც იტალიური ენის განსაკუთრებული მუსიკალობის მოტივით ცდილობდნენ ქართული საოპერო სიმღერის დისკრედიტაციას (იხ. მ. ჯავახიშვილი, წერილები, თბ., 2001, გვ. 620-621). მწერალმა წერი-

ლებში - „ქართული წიგნი და ქართველი მწერალი" (11. V. 1924), „ქართული ენა" (11. V. 1924), „ისევ ქართული ენის შესახებ" (25. V. 1925), „მასალები ლექციისათვის" (26. II. 1927), „ახალი სალიტერატურო ქართულისათვის" (1928) მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურის (ისტორიის, ენის, ლიტერატურის, ფილოსოფიის) ზოგადკაცობრიული ღირებულებების სიღრმისეული შემეცნების საფუძველზე და მაღალ პროფესიულ დონეზე ჩამოაყალიბა ამოცანები, რომლებიც ემსახურება ახალი სალიტერატურო ქართული ენის დაუნჯებასრულყოფის საქმეს. ამ წერილებში მიხ. ჯავახიშვილი ავლენს არანაკლებ შეუპოვრობასა და გაბედულობას, ვიდრე არალეგალური მოღვაწეობის სარბიელზე. იგი წერილში „ვიქტორ ჰიუგო" ყოველგვარი ქარაგმის გარეშე აცხადებს: „ჩვენს სამშობლოში სადავოდ აღარ ითვლება ის ჭეშმარიტება, რომ მწერლობაც პოლიტიკური ფენომენია" (იხ. იქვე, გვ 660). დიახ, მიხ. ჯავახიშვილის მწერლობა, ისე როგორც სხვა მრავალი ყოფილი აშკარა ანტისაბჭოთა მებრძოლი პატრიოტისა, პოლიტიკური ღირებულების მქონეა. ამდენად, პატიმრობიდან განთავისუფლების შემდეგ, როცა იგი თანამოაზრე-თანამებრძოლთა ახალ მიმდინარეობას ორგანულად შეერწყა, საყვარელ ერსა და სამშობლოს ახალ ამპლუაში მოევლინა (იხ.: ქ. ჯავახიშვილი, მოგონებები მამაზე, თბ., 2000, გვ. 153-154 და სხვ.). მაგრამ ეს ახალი სარბიელიც არ იყო უხიფათო, ია-ვარდით მოფენილი და ფათერაკებისაგან დაზღვეული. მაშასადამე, არალეგალური ბრძოლის ასპარეზიდან ლეგალურ-კომპრომისული ბრძოლის ასპარეზზე გადასვლა, როგორც ადრეც ვნახეთ, არ იყო ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობიდან გაქცევა და ღალატი. ამის დამადასტურებელი მრავალი მაგალითია ცნობილი და საარქივო მასალებში სხვა ბევრი უცნობი ფაქტიც იძებნება. მაგალითად, ცნობილია, რომ ხელისუფლებისათვის ეროვნულ-პატრიოტული ბრძოლის ახალი ტრიბუნა, ჟურნალი „კავკასიონი" უბრალოდ მიუღებელი კი არა, არამედ პრინციპულად, ანტაგონისტურად, ანუ მტრულად დაპირისპირებული აღმოჩნდა. ეს იმით აიხსნებოდა, რომ პ. ინგოროყვა და მისი თანამოაზრეები ამ ჟურნალით, ზოგჯერ კი სხვა გამოცემებით, აღწევდნენ იმდროინდელ პოლიტიკურ სიტუაციაში ეტვირთათ ილიას „ივერიის" მსგავსი მისია და იგი გამოეყენებინათ როგორც ლეგალურ თვალსაჩინო ანტისაბჭოთა მამულიშვილთა ერთიანი კომპრომისული ბრძოლის პლატფორმა, რომელიც, ექსტრემიზმისაგან განსხვავებით, ორი-

გინალურად მოემსახურებოდა ეროვნულ მოძრაობას. ეს შეუმჩნეველი არ დარჩა ხელისუფლებას. 1924 წლის 3 ივნისს მთავლიტის და საქჩეკას (ბარავოი) წარმომადგენელთა ერთობლივმა სხდომამ დაადგინა: „ვინაიდან ჟურნალი „კავკასიონი" არის ნაციონალისტური, შოვინისტური და კონტრრევოლუციური, რომელიც არ სდგას საბჭოთა ხელისუფლების ნიადაგზე, ამიტომ ჟურნალი „კავკასიონი" დაიხუროს" (სლხცსა, ფ. 8, აღ. 2, ს. 6, ფურც. 1). როგორც ადრე აღვნიშნეთ, ხელისუფლება 1923 წელს მკაცრად მოეკიდა ეროვნული მოძრაობის ლეგალური, კომპრომისული მიმდინარეობის გამოცემებს „ლომისს" და „პოეზიის დღეს", მათ გამომცემლებსა და ავტორებს. ახლა ხელისუფლების თავდასხმის ობიექტი გახდა „კავკასიონი" და მისი მესვეურები. ამის მერეც მრავალგზის საჩოთიროდ და მტრულად შეაფასა ხელისუფლებამ მ. ჯავახიშვილის თანამოაზრე-თანამებრძოლთა დასის საუკეთესო წარმომადგენლების და თვით დიდი მწერლის შემდგომი გარჯა. მაგრამ, როგორც მ. ჯავახიშვილის შემოქმედებითი, ეროვნული და პოლიტიკური ღირსებების დახასიათების დროს აღვნიშნეთ, მისი „ჯაყოს ხიზნები" ყოფილ თანამებრძოლების, მათ შორის, შ. ამირეჯიბის რისხვის გაძლიერების ახალი მიზეზი გახდა. ასეა, დიდი ადამიანები დიდი განსჯის სუბიექტები ხდებიან. სისტემატურ დევნას განიცდიდა პ. ინგოროყვაც, რომელიც 1931 წელს სხვა მრავალ კომპრომისულად მოღვაწე პატრიოტ მწერალთან (კ. გამსახურდია, დ. ნახუცრიშვილი, ბ. აბულაძე, გ. ქიქოძე, მ. მრევლიშვილი, ი. იმედაშვილი და სხვ.) ერთად, როგორც „გამოუსწორებელი", „ნაციონალისტი", „ანტიპროლეტარული", „მემარჯვენე", „რეაქციონერი" და „მავნე ელემენტი" ქართველ მწერალთა ფედერაციიდან გაირიცხა (იხ. იქვე, ფ. 8, აღ. 2, ს. 12, ფ. 1-7). მათი აღდგენა შემდგომში მოხდა, მაგრამ ამ პროცედურას დიდი ნერვიულობა და დამცირებაც ახლდა თან. მსგავს რეპრესიებს განიცდიდნენ პატრიოტი მეცნიერ-პედაგოგები, რომელთაც ხელისუფლება აფასებდა როგორც „მემარჯვენე ანტისაბჭოთა პროფესურას" და მუდმივად დევნიდა. 1926 წელს ხელისუფლებამ ივ. ჯავახიშვილი გადააყენა მისივე მეთაურობით დაარსებული უნივერსიტეტის რექტორობიდან. ამას მოჰყვა უნივერსიტეტისა და მის მიღმა მოღვაწე ეროვნულ პატრიოტთა პროტესტი, მაგრამ ივ. ჯავახიშვილმა და სხვა ეროვნულმა მოღვაწეებმა მაინც „წაწოლის პოლიტიკისადმი" ერთგულება არჩიეს და არ აჰყვნენ პროვოცირებას. ივ. ჯავახიშვილის და უნივერსიტეტის „მემარჯვენე პროფე-

სურის წინააღმდეგ კომუნისტური პარტიის და საბჭოთა იდეოლოგიის ბრძოლა განსაკუთრებით გაძლიერდა მას შემდეგ, რაც მათ შესახებ სპეციალურად იმსჯელა საკავშირო კომპარტიის პოლიტბიუროს 1928 წლის 27 აგვისტოს გაფართოებულმა შეკრებამ. აქ მ. კახიანმა აღიარა, რომ ისევე როგორც საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში, აღინიშნებოდა „მემარჯვენე პროფესურის" შოვინისტური ხასიათის ორგანიზებული გამოსვლები, რომელთა წინააღმდეგ ეწეოდნენ დაუნდობელ ბრძოლას. ამ პროფესურის იდეურ მეთაურად დასახელებული იყო ივ. ჯავახიშვილი, უკრაინელი გრუშევსკის და რუსეთის კონდრატიევის მსგავსი, ბურჟუაზიული ნაციონალისტი პროფესორი (იხ. საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 4, ს. 64, ფ. 3). უნივერსიტეტისა და საქართველოს სხვა უმაღლესი სასწავლებლების „მემარჯვენე პროფესურის" ანტისაბჭოთა ორგანიზებული მოძრაობის დაძლევის მიზნით საქართველოს კომპარტიის ცკ-მა ბრძოლა განსაკუთრებით გააცხოველა 1930-1931 წლებში. ჯერ კიდევ 1930 წლის 11 იანვრის პლენუმზე აღინიშნა, რომ უნივერსიტეტის პროფესურა, ივ. ჯავახიშვილის მეთაურობით, „იბრძვის სახელმწიფო უნივერსიტეტის გასაბჭოების წინააღმდეგ..." (იხ. გაზ. „კომუნისტი", 19.I.1930). სათანადო მოსამზადებელი მუშაობის შემდეგ, წლის ბოლოს, „მემარჯვენე პროფესურის" წინააღმდეგობის დაძლევის მიზნით, რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში ჩატარდა სპეციალური დისკუსიები, რომლის დროსაც განსაკუთრებული იერიში მიჰქონდათ ივ. ჯავახიშვილის და მისი უახლოესი გარემოცვის ანტიმარქსისტული ნააზრევის წინააღმდეგ (იხ. გ. ციციშვილის სტატია, გაზ. „შანსი", 1996, №10; გ. ყორანაშვილი, ივანე ჯავახიშვილი, 1999, გვ. 100-103).

1930 წელს უნივერსიტეტის და საქართველოს სხვა უმაღლეს სასწავლებლებში პროფესორ-მასწავლებელთა ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთების საწინააღმდეგოდ ორგანიზებული კამპანიის ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენდა 1931 წელს ჟურნალ „მნათობში" გამოქვეყნებული სპეციალური სტატია. „მნათობის" (№1-2) ფურცლებიდან უნივერსიტეტის თვალსაჩინო მეცნიერ-პედაგოგებს ივ. ჯავახიშვილს, ფ. გოგიჩაიშვილს, მ. პოლიევქტოვს, გ. გამყრელიძეს, კ. კეკელიძეს, ვ. კოტეტიშვილს, აკ. შანიძეს, ვ. თოფურიას, არ. ჩიქობავას, გ. ახვლედიანს, დ. უზნაძეს, გ. გეხტმანს, უნივერსიტეტის იმდროინდელი წითელი რექტორის სახით, თავს დაესხა ოფიციალური იდეოლოგია. წერილში გამოთქმული იყო გამაფრთხილებელი მუქარა:

„მომავალში არავის არ მივცემთ ნებას ანტიმარქსისტული, ნაციონალისტური შეხედულებების შემდგომი პროპაგანდისა. ვინც არ განიარაღდება, ვინც არ იბრუნებს პირს ჩვენსკენ და არ იცნობს მარქსიზმის მონოპოლიას – გარიყული დარჩება ჩვენი საბჭოთა სინამდვილისაგან". მაგრამ ხელისუფლებამ არ დააყოვნა და მუქარა საქმედ აქცია. ამისათვის ნიადაგი მოამზადა საბჭოთა კავშირის მასშტაბით ორგანიზებულმა ინტელიგენციის ძველი კადრების დარბევის ახალმა გაძლიერებულმა კამპანიამ, რომელიც „კონდრატიევშჩინის" წინააღმდეგ ბრძოლის სახით გამოვლინდა. 1931 წლის 2 იანვარს საქართველოს კომპარტიის ცკ-მა მიიღო დადგენილება „საქართველოში კონდრატიევშჩინის შესახებ". იგი აკრიტიკებდა აზრს იმის შესახებ, რომ „საქართველოსათვის კონდრატიეველობა უცხოა" და მოითხოვდა ჩვენში მისი აღმოფხვრის ღონისძიებათა გატარებას. შესაბამისად, საქართველოს კომპარტიის ცკ-მა 22 მარტს მიიღო დადგენილება „საქართველოში კონდრატიევშჩინის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ". იგი მოითხოვდა: „ინსტიტუტებში სამუშაოდან მოიხსნას, როგორც აშკარად კონდრატიეველი და სოციალისტური მშენებლობისათვის მიუღებელი, შემდეგი პროფესორები და მასწავლებლები: პედაგოგიურ ინსტიტუტში: გრ. წერეთელი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანელიძე, მ. პოლიევექტოვი, ს. ყაუხჩიშვილი, გ. გამყრელიძე, დ. ბენაშვილი, გ. ჩუბინიშვილი, ფ. გოგიჩაიშვილი, გ. გეხტმანი, ბერძენიშვილი; საფინანსო კოოპერატიულ ინსტიტუტში: იმნაიშვილი, მხეიძე, ვ. თევზაია; საბჭოთა სამართლის ინსტიტუტში: ე. ანდრონიკაშვილი, ნანეიშვილი; ზოოტექნიკურ სადგურში: ჯანდიერი". ქ. თბილისის რაიკომებს დაევალათ უმაღლეს ტექნიკურ, სამედიცინო, სასოფლო-სამეურნეო და სუბტროპიკულ ინსტიტუტებში ასეთივე მიუღებელი კადრების გამოვლენა (იხ. საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, აღ. 6, ს. 187, ფ. 5; საქმე 190, ფ. 42-43). აღნიშნული დადგენილების საფუძველზე კი 1931 წლის 28 მაისს დაიწერა განათლების სახალხო კომისრის ბრძანება, რომლითაც კონდრატიეველობის მიმართულების თანამოაზრეობის, მონარქისტობის, ნაციონალისტობის ბრალდებით უნივერსიტეტიდან დაითხოვეს ივ. ჯავახიშვილი, ა. ბენაშვილი, ფ. გოგიჩაიშვილი, გრ. წერეთელი, მ. პოლიევექტოვი, გ. გეხტმანი, გ. გამყრელიძე და სხვანი (იხ.: ს. ჯორბენაძე, თბილისის უნივერსიტეტის მოკლე ისტორია, 1988, გვ. 124-128). უმაღლესი კვალიფიკაციის კადრების და მეცნიერ-მუშაკთა მომზადების გარდაუვალი აუცილე-

ბლობიდან გამომდინარე, ზოგი შემდეგ აღადგინეს, ზოგი სხვა სამეცნიერო დაწესებულებებში გადაიყვანეს. აქედან გამომდინარე, ხელისუფლება არა მარტო ეროვნული მოძრაობის არალეგალურ ექსტრემისტულ და რადიკალურ მიმდინარეობებს ებრძოდა, არამედ სისტემატურად ცდილობდა ერის ინტერესებისათვის კომპრომისულ-შეფარულად მებრძოლი მიმდინარეობის წარმომადგენლობაც სრულ მორჩილებაში მოეყვანა. იგი ამას იმიტომ ჩადიოდა, რომ კარგად ხედავდა ამ მიმდინარეობის ნაციონალისტურ სულისკვეთებას და ანტისაბჭოთა ეროვნულ მოძრაობაში მის განსაკუთრებულ ღირებულებას. ივანე ჯავახიშვილის, მისი თანამებრძოლების და ეროვნული უნივერსიტეტის პოლიტიკური ისტორიის ჩვენს მიერ გამოქვეყნებული მრავალი დოკუმენტურ-ანალიტიკური პუბლიკაციიდან კარგად ჩანს, რომ პარტია და ხელისუფლება კარგად ხედავდნენ უნივერსიტეტის მოძღვართა ეროვნულ ბრძოლას, მის იმ ეროვნულ-პატრიოტულ და ანტისაბჭოთა, ანუ ანტიტოტალიტარულ ხასიათს, რომელმაც ეროვნულ უნივერსიტეტს ავტონომია 20-იანი წლების მიწურულამდე, ხოლო ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთება მთელი არსებობის მანძილზე შეუნარჩუნა. ჩვენმა ისტორიოგრაფიამ კი ვერ გაარკვია, რომ ეროვნული ინტერესებით ლეგალურ-კომპრომისულად მოღვაწე მეცნიერ-პედაგოგების, მწერლების და, საერთოდ, პატრიოტული ინტელიგენციის გარჯა, დოკუმენტის სახით არარსებული საერთო წესდების და პროგრამის პირობებშიც, საერთო სულისკვეთებას და შესაბამის პრაქტიკულ მოქმედებას ემორჩილებოდა. ეს იყო ქართული ეროვნული მოძრაობის იდეურად და პრაქტიკულად ორგანიზებული ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიმდინარეობა. ამდენად, ამ მიმდინარეობის თვალსაჩინო წარმომადგენლობას ერი გაცილებით უფრო დიდი სიმპათიებითა და გულისყურით ეკიდებოდა, ვიდრე ნებისმიერ არალეგალ ან ემიგრანტ, სამშობლოსათვის თავდადებულ მებრძოლს. ეს მიმდინარეობა უნივერსიტეტის მაგალითზე წარმოაჩინა დიდმა ივანე ჯავახიშვილმა. იგი 1938 წელს საჯაროდ აცხადებდა: „და თუ ჩემს მოღვაწეობას, განსაკუთრებით საუნივერსიტეტო მოღვაწეობას, უკვე საქართველოში, მართლაც ნაყოფიერი შედეგი მოჰყვა, ეს აიხსნება მარტო ჩემი მუშაობით კი არა, არამედ იმითაც, რომ მე ბედნიერი ვიყავი, რომ გვერდს მიმშვენებდნენ **საუკეთესო მუშაკები, საუკეთესო სულისკვეთებით გამსჭვალული, ერთი ნებისყოფით შეკავშირებული ადამიანები**" (იხ. ს. ჯორბენაძე, ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახი-

შვილისა, თბ., 1984, გვ. 561-562. ხაზგასმა ჩვენია – გ.ც). ეს ის ადამიანები იყვნენ, რომელთა დიდი უმრავლესობა ადრე გაერთიანებული იყო არალეგალურ, რადიკალურ, ზოგი ექსტრემისტულ ანტისაბჭოთა მიმდინარეობაში, ხოლო შემდეგ შეერწყნენ ანტისაბჭოთა ლეგალურ-კომპრომისული ბრძოლის მიმდინარეობას და თავიანთი მამულიშვილური გარჯით ხელი შეუწყვეს ერის მეცნიერულ, კულტურულ-ეკონომიკურ აღმავლობას და მომავალი თაობების ეროვნულ-პატრიოტულ სულისკვეთებას.

მაშასადამე, ქართული ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობის მრავალფეროვნებაში ნათლად ისახება სამი ძირითადი მიმდინარეობა: ლეგალურ-კომპრომისული, ანუ ლიბერალური, რომელიც ახალ, საბჭოურ საქართველოში ეროვნული ინტერესებისათვის ბრძოლის ყველაზე მნიშვნელოვან, ღირებულ, ეროვნული თვალსაზრისით, სარგებლობის მომტან, მისაღებ და, მაშასადამე, სწორ მიმდინარეობას წარმოადგენდა; არალეგალური ანტისაბჭოთა რადიკალური მიმდინარეობა, რომელსაც 1923 წლის გაზაფხულის ცნობილ რეპრესიებამდე და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ობიექტური უახლოესი პერსპექტივის არარსებობის გამოვლინებამდე რაციონალური აზრი ჰქონდა; და არალეგალური ექსტრემისტული მიმდინარეობა. 1923 წლის ჩეკისტური რეპრესიებისა და ტერორის გამძაფრების დროს, როცა ხელისუფლება ექსტრემიზმსა და ავანტიურიზმს, საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე, რეპრესიების პროვოცირებისა და ტერორის საბაბად იყენებდა, უკვე გამართლებული გახდა არალეგალური რადიკალების განდგომა ექსტრემისტებისაგან და ლიბერალურ-კომპრომისული, ლეგალური, ეროვნული მოძრაობის მიმდინარეობაში შერწყმა. ეს ტაქტიკური სვლა არ ნიშნავდა ეროვნული ინტერესებიდან და მოძრაობიდან განდგომას და არსებულ რეჟიმთან ალიანსს. პირიქით, რადიკალების გადასვლა ლეგალურ-კომპრომისულ მიმდინარეობაში და, მაშასადამე, ექსტრემისტებისაგან გამიჯვნა, ხელისუფლების მხრივ ეროვნული მოძრაობის ექსტრემისტული მიმდინარეობის წინააღმდეგ ტოტალური ჩეკისტური იერიშებით შექმნილ გამოუვალ სიტუაციაში არალეგალური შეურიგებელი შეტაკებების ტაქტიკიდან განდგომას ნიშნავდა. იგი იძლეოდა ეროვნული ძალების შენარჩუნების შესაძლებლობას. ამას ავტორიტარულ-ტოტალიტარული საბჭოთა სახელმწიფოებრივი რეჟიმის მშენებლობის პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა და

დიდი ეროვნული სარგებლობა მოჰქონდა. დიახ, ლეგალური, კომპრომისული ტაქტიკით მებრძოლი ანტისაბჭოთა მიმდინარეობის წარმომადგენელი ლიბერალები ეროვნულ მოძრაობაში დიდი ილია ჭავჭავაძის და მისი მიმდევრებისათვის დამახასიათებელი „მშვიდობიანი" ტაქტიკით იბრძოდნენ. ამიტომ არიან ივ. ჯავახიშვილი, პ. ინგოროყვა, შ. ნუცუბიძე, კ. გამსახურდია, ი. გრიშაშვილი, მ. ჯავახიშვილი და მათი მრავალრიცხოვანი მიმდევრები ილიას ხაზის გამგრძელებლები 20-30-იანი წლების საქართველოში. ამდენად, 1923 წლიდან ჩეკისტურად შექმნილ უკიდურესად დაძაბულ და გაუსაძლის პოლიტიკურ სიტუაციაში ეროვნული მოძრაობის ექსტრემისტულ-არალეგალური მიმდინარეობიდან ეროვნული მოძრაობის ლიბერალურ-ლეგალურ მიმდინარეობაში გადასვლა იყო ერთადერთი სწორი ნაბიჯი. 1923 წელს ეს ვერ გაითვალისწინეს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ექსტრემისტული და ავანტიურისტული მეთოდებით მებრძოლებმა. ამიტომ იყო, რომ მათმა წარმომადგენლებმა არალეგალური, ექსტრემისტულ-ავანტიურისტული ტაქტიკით ბრძოლაზე უარის მთქმელებს შეაგებეს უნდობლობა, კალე მისაბიშვილს კი სიცოცხლე მოუსწრაფეს. ახლა კი, ახალ დროში, ისტორიის ეს სამწუხარო გამოვლინება ვერ ახსნეს აგრეთვე ეროვნული მოძრაობის რიგმა მკვლევრებმა, რომლებსაც ხშირად ექსტრემიზმისა და ავანტიურიზმისგან გამიჯვნა მიაჩნიათ საჩოთირო ქმედებად და მოღალატეობად. ამის მიზეზია მათ მიერ ანტისაბჭოთა ქართული ეროვნული მოძრაობის და მისი ძირითადი მიმდინარეობების სიღრმისეული შეუმეცნებლობა და ლიბერალურ-კომპრომისული ეროვნული მოძრაობის ღირსებების გაუგებრობა. ჩვენი აზრით, სწორედ ამ გაუგებრობას ეფუძნება არა მარტო უდანაშაულო კ. მისაბიშვილის მკვლელობა და მ. ჯავახიშვილის, როგორც პოლიტიკოსის, საჩოთირო პიროვნებად თუ მოღალატედ გაგება, არამედ საერთოდ 1921-1924 წლების ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობის გაუგებრობა.

ამ განმაზოგადებელი და უაღრესად პრეტენზიული დასკვნის გამო ზოგი მკითხველი ადრეც შემოგვედავა. მათ შორის კვალიფიციური მწიგნობრებიც ყოფილან. ზოგი მათგანი, ალბათ, არც მომავალში ისურვებს ვალში დარჩენას, რადგან ანტისაბჭოთა ქართული ეროვნული მოძრაობისა და, კერძოდ, ექსტრემიზმის შეფასება-გაგების საკითხში ინერციის ძალას ინარჩუნებს ის საწინააღმდეგო აზრიც, რომელიც სწორედ ამ ექსტრემისტულ-ავანტიურისტული ტაქტიკით მებ-

რძოლი მამულიშვილების ნააზრევს ეყრდნობა. ასე მაგალითად: საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის მდივნის („დამკომის" თავმჯდომარის უცვლელი მოადგილის, ედპ-ის აღიარებული ლიდერის, ადრე არალეგალი რადიკალების ერთ-ერთი თავკაცის, 1923 წლიდან კი ექსტრემისტულ-ავანტიურისტული ტაქტიკით მებრძოლთა თვალსაჩინო წინამძღოლის) იასონ ჯავახიშვილის მიერ „პარიტეტული კომიტეტის შესახებ" სასამართლო პროცესზე 1925 წლის 31 ივლისს განცხადებულ იქნა: „წინათ ჩვენში ასე იყო, როცა მტერი შემოგვესეოდა ხოლმე, საუკეთესო მამულიშვილნი გაიხიზნებოდნენ ტყეში და იქიდან იწყებდნენ პარტიზანულ ბრძოლას. მოიგონეთ თუნდაც ის, რომ ლუარსაბ და სვიმონ მეფეები ერთი საუკუნის განმავლობაში აწარმოებდნენ პარტიზანულ ბრძოლას და ამის გამო შეუნარჩუნეს საქართველოს დამოუკიდებლობის იდეა" (ნ. კირთაძის დასახელებული წიგნი, გვ. 428); ცნობილი მენშევიკი, „სახალხო გვარდიის" ყოფილი წევრი, არალეგალური ანტისაბჭოთა მებრძოლი, 1924 წლის აგვისტოს აჯანყების ერთ-ერთი ორგანიზატორი და შემდეგში ემიგრანტი ავტორი, სიმონ (სიმონიკა) გოგიბერიძე 1935 წელს წერდა: „ქართველი ერის ისტორია ეს მუდმივი შეუწყვეტელი ბრძოლაა არსებობისათვის, თავისუფლებისათვის, ჩვენს წარსულში ხშირად გვქონია შავი დღეები, როცა ქართველი ერი მოსპობაზედ იყო მისული. და ამ დროს ერთი ნაწილი ქართველებისა მტერთან შეგუების გზას ადგებოდა, ხან სპარსელობდა, ხან კი თურქობდა, ხან მონგოლი იყო, ხან რუსი და ყოველივე ამას უდიდეს გონიერ ხერხად სთვლიდა. თავი ერის მხსნელად მოჰქონდათ. ქართველი ერი რომ ამ პოლიტიკას გაჰყოლოდა, დღეს ჩვენ ყველაფერი ვიქნებოდით, გარდა ქართველებისა.

საბედნიეროდ იყო კიდევ სხვა ქართველობა – „გიჟი", „უანგარიშო", „წინდაუხედავი", მუდამ შეთქმული, მუდამ აჯანყებული, მოუსვენარი, მტრის რიცხვისაგან თითქმის მუდამ ძლეული, მუდამ მაინც გაუტეხელი. აი ამ ხალხს უნდა ვუმადლოდეთ, რომ ჩვენ კი არ მოვისპეთ, არამედ ჩვენი მტრების მოსპობას და დაგლახებას მოვესწარით.

1921-1924 წლებში საქართველოს ასეთი ხალხი უძღოდა წინ, ასეთმა ხალხმა დაჰკრა უძლიერეს მტერს. ასეთმა ხალხმა მოურეცხა საქართველოს გუშინდელი სირცხვილი... და ჩაუყარა საიმედო საფუძველი, საკუთარი ძვლებით და სისხლით შედუღებული, სულიერად მკვდრეთით აღმდგარი ეროვნული საქართველოსი.

აი ამ ზომით (ანუ საზომით – გ.ც.) უნდა მიუდგეთ ჩვენ 1924

წლის აგვისტოს აჯანყებას და მის მომწყობთ“ (ს. გოგიბერიძე, ბრძოლა სამშობლოსათვის, თბ., 1991, გვ. 92).

როგორც ვხედავთ, ანტისაბჭოთა ექსტრემისტული ბრძოლის ორგანიზატორ-თეორეტიკოსების და ავანტიურისტული ტაქტიკით მებრძოლი ამ თვალსაჩინო მამულიშვილების აზრით, თითქოს მხოლოდ უკომპრომისოდ მებრძოლ ნაწილს უნდა ვუმადლოდეთ, რომ არ მოვისპეთ და დამოუკიდებლობის იდეა შევინარჩუნეთ. ამ აზრით, თავისუფლებისა და ეროვნული იდეალების შენარჩუნებისათვის ბრძოლის ისტორიის გაგების დროს უგულებელყოფილია არა მარტო საბჭოთა პერიოდის ეროვნული ინტერესებისათვის მებრძოლი ყველა დანარჩენი მიმდინარეობის წარმომადგენელთა პატრიოტული ღვაწლი, არამედ აგრეთვე მათი წინამორბედებისაც. არა და, საქართველოს ყველაზე დიდი ისტორიკოსის, ივანე ჯავახიშვილის გამოკვლევებით, ხშირად კომპრომისების ტაქტიკას სერიოზული ეროვნული სარგებლიანობა მოჰქონდა, ხოლო XIX საუკუნეში ლიბერალურ-კომპრომისულმა ეროვნულმა მოძრაობამ იხსნა ქართველობა გადაგვარებისაგან. იგი წერს: „არასდროს ჩვენი ერი ისეთს განსაცდელში არა ყოფილა, რა განსაცდელიც ქართველობას რუსთა მთავრობის წყალობით თავს დაატყდა მეცხრამეტე საუკუნეში“. რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ ამ განსაცდელის ყველაზე მძიმე გამოვლინებად დიდ მკვლევარს მიაჩნდა ქართული ენის ისეთი დაცემა, დაქვეითება და განათლებული ქართველის იქამდე დაცემა, რომ „თავის უგულითადესი და უწმინდესი გრძნობებისა და აზრების ქართულად გამოთქმა ძლივსღა ეხერხებოდა“. „თუ ჩვენი ხალხი ეროვნულად არ გადაგვარდა და ჩვენმა დედაენამ ესოდენ უმწეო მდგომარეობაშიც თავი შეინარჩუნა, თანდათანობით კვლავ მოღონიერება და ნელ-ნელა აღორძინებაც კი დაეტყო, – წერს ივ. ჯავახიშვილი, – მხოლოდ ქართველი მოღვაწეებისა, პოეტებისა, მწერლებისა, დრამატურგებისა და მსახიობთა და თითო-ოროლა მეცნიერის თავგამოდებული და დაუცხრომელი პირად ზნეობის წყალობით“ (ივ. ჯავახიშვილი, მოხსენება ქართული უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობის შესახებ, გაზ. „სახალხო საქმე“, 1917, №66) და არა მხოლოდ სამშობლოსათვის თავდადებული ადამიანების ხმლის ტრიალით. ასე იყო XX საუკუნის 20-30-იანი და შემდგომი წლების საქართველოშიც. კომუნისტური ე.წ. „მარქსისტულ-ლენინური“ ნეოიმპერიული აზროვნების გაბატონებისათვის საბჭოთა სახელმწიფოებრივი ბრძოლის ხანაში თუ ჩვენი ხალ-

ხი ეროვნულად არ გადაგვარდა და ჩვენმა ეროვნულმა კულტურამ და ეროვნულმა სულისკვეთებამ, ტოტალიტარული სახელმწიფოს „ინტერნაციონალიზმად“ გასაღებული იდეოლოგიური ზეწოლის პირობებშიც, შემდგომი აღმავლობა განიცადა, ეს იყო არა მარტო იარაღით ხელში, ტყეში გასული, პარტიზანულად ან მასობრივი აჯანყების გზით მებრძოლთა დამსახურება, არამედ უფრო კომპრომისულად, „წაწოლის პოლიტიკით“ მებრძოლი მოღვაწე მამულიშვილებისა. საბჭოთა ხელისუფლების პირობებში ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის ბრძოლას სათავეში ედგნენ ძირითადად ქართველი მეცნიერ-პედაგოგები, მწერლები, საერთოდ ქართული ეროვნულ-პატრიოტული ინტელიგენციის არაექსტრემისტული ფრონტის წარმომადგენლები.

რაც შეეხება ანტისაბჭოთა არალეგალურად მებრძოლთა ფრონტის, ანუ პარტიზანული და ექსტრემისტული ბრძოლის ტაქტიკის წარმომადგენლობას, მათი მამულიშვილური თავგამოდება ხშირ შემთხვევაში ეფუძნებოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმატებისათვის აუცილებელი, სუბიექტური და ობიექტური პირობების უგულებელყოფა-შეუცნობლობით გამოწვეულ ავანტიურისტულ გმირობას, რომელსაც, ეროვნული ცნობიერებისა და მამულიშვილური სულისკვეთების ტრადიციების გარკვეულ განმტკიცებასთან ერთად, უპირატესად დიდი ეროვნული ტრაგედია მოჰქონდა.

როგორც ცნობილია, ექსტრემისტულ-ავანტიურისტული ტაქტიკით ორგანიზებულ 1924 წლის აჯანყებას შედეგად მოჰყვა 4 ათასამდე ქართველი პატრიოტის დახვრეტა, ათასობით ადამიანი პატიმრობით და ხანგრძლივი გადასახლებით დაისაჯა. გადარჩენილებს ხელისუფლება და მისი უშიშროების ორგანოები მთელი სიცოცხლის მანძილზე სდევნიდნენ. მათი განადგურება და მოსპობა განსაკუთრებით ძლიერდებოდა შემდგომ ექსტრემალურ სიტუაციებში – კოლექტივიზაციისა და 1937-1938 წლების დიდი ტერორის პერიოდებში.

ისტორიის მწარე გამოცდილება მოწმობს, რომ დამარცხებათა და წარუმატებლობათა გამო მოსახლეობის ერთ, მნიშვნელოვან ნაწილში ძლიერდებოდა იმედგაცრუება, სულიერი დაკნინება, შიში, ზნეობრივი დაძაბუნება და ეგოისტური გრძნობებისა თუ თავდაცვის ცხოველური ინსტიქტების გაძლიერება. მოსახლეობის ერთ ნაწილში აღინიშნებოდა ეროვნული პასუხისმგებლობის გრძნობის მოდუნება

და მოშლა. დამარცხებული „ბელადების“ ერთ ნაწილში თავს იჩენდა ერთმანეთისა და ეროვნული ინტერესების ღალატი, ურთიერთშუღლი, დაუნდობლობა, მკვლელობა და თვითმკვლელობა. აღნიშნული მოვლენების შედეგად თავი იჩინა პარტიზანული და არალეგალური ექსტრემისტული მოძრაობის დაკნინებამ. იგი 30-იანი წლების პოლიტიკური რეპრესიებით თითქმის მთლიანად ამოძირკვა ხელისუფლებამ და მისმა სახელმწიფო უშიშროების ორგანოებმა. შედეგად: მოსახლეობის ერთ ნაწილში ეროვნულ-პატრიოტულმა და სახელმწიფოებრივმა აზროვნებამ განიცადა დევალვაცია-დეფორმაცია; გაძლიერდა უიდეობა, ინდივიდუალიზმი, ფუქსავატობა, მომხვეჭელობა და კარიერიზმი. ეროვნული ინტერესებისათვის ლეგალური, კომპრომისული მეთოდებით ბრძოლა გახდა საუკეთესო სულისკვეთების მქონე მამულიშვილების ეროვნული მოძრაობის თითქმის ერთადერთი რეალური შესაძლებლობა და გამოვლინება.

წინამდებარე წიგნის მკითხველმა ჩვენს ნააზრევში აუცილებლად უნდა შენიშნოს, რომ ავანტიურა ჩვენ გვესმის არა იმ არასწორი აზრით, რომელიც მას მიანიჭეს კომუნისტური პარტიის იდეოლოგებმა, არამედ ჩვენსა და უცხოურ ლექსიკონებში დაფიქსირებული ნამდვილი გაგებით, რომლის დროსაც ავანტიურისტული ბრძოლა არ გამორიცხავს ეროვნულ-პატრიოტულ გმირობას. ამასთანავე, ჩვენ გაუმართლებელი ავანტიურისტული ტაქტიკით მებრძოლებში ვგულისხმობთ არა ეროვნულ-პატრიოტულ მასას, არამედ მათ მებრძოლ ლიდერებს, რომლებიც თავს ვერ აღწევენ თავიანთი სუბიექტური, წინდაუხედავი ქმედებების დამღუპველ შედეგებს. ეს ბანალური განმარტება საჭიროდ მიგვაჩნია იმდენად, რამდენადაც ჩვენს მიერ ცნებების სწორი გამოყენების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ანტისაბჭოთა ეროვნული პოლიტიკური ბრძოლის შიდა ტენდენციის და მათი წარმომადგენლების დაპირისპირების მიზეზების გამოკვლევა. აღსანიშნავია ისიც, რომ ტერმინი „ავანტიურა“, როგორც არაერთგზის ვნახეთ, ზომიერი არალეგალების მიერ სწორი ინტერპრეტაციით ხშირად გამოიყენება ექსტრემისტების მიმართ. ამასთანავე, როგორც ზემოთ ვთქვით, ჩვენს მიერ ამ ტერმინის გამოყენება ზოგმა მკითხველმა ჩვენი ნააზრევის დასამახინჯებლად მოიშველია. და ეს მაშინ, როცა თავად ავანტიურიზმში მხილებული „ზედაფენების“ წარმომადგენელიც კი არ თაკილობს ამ სახელდებას. „დამკომის“ თავმჯდომარე

კ. ანდრონიკაშვილმა სასამართლო პროცესზე (22. VII. 1925) განაცხადა, რომ „...სიტყვები „ავანტურა“ და „ზედაფენები“ არსებითად სრულიადაც არ სცვლიდა და არ უკარგავდა აგვისტოს გამოსვლებს მის ნამდვილ ხალხურ და მასიურ მნიშვნელობას...“ (იხ. ნ. კირთაძე, დასახელებული წიგნი, გვ. 415). აღნიშნულის მსგავსად, 1922 და შემდგომი წლების მეამბოხე ტაქტიკის მიმდევრების მოხსენება ავანტიურისტებად ღირსებას არ ულახავს პატრიოტ მამულიშვილებს და 1922 წლის აჯანყებას. ამიტომ ამ საკითხში სულაც არა გვაქვს „წითელი კოჭის“ პრეტენზია.

ბოლოთქმა

როგორც ვნახეთ, 1921-1923 წლების ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობის შინაგანი არსის საფუძვლიანი გააზრება და მოცემული პერიოდის ეროვნული მოძრაობის გმირი წარმომადგენლების, კ. მისაბიშვილის და მ. ჯავახიშვილის პოლიტიკური ცხოვრების მართებული გაშუქება გახდა წინამდებარე წიგნის შექმნის უმთავრესი მოტივი.

წიგნის წინა თავებმა გასაგები გახადა არა მარტო ჩვენი ეროვნული მოძრაობის საწყისი ეტაპის არსი და თავისებურებები, არამედ ის კონკრეტული მიზეზები, რომლებიც იწვევდნენ კ. მისაბიშვილის და მ. ჯავახიშვილის არასწორ გაგებას. მაშასადამე, ვფიქრობთ, გასაგები გავხადეთ, რომ:

1. ადრე ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობა ისტორიკოსების მიერ გაგებული იყო როგორც მხოლოდ არალეგალური პარტიების ბრძოლა. სინამდვილეში ანტისაბჭოთა ეროვნულ მოძრაობას ახასიათებდა ლეგალური ანტისაბჭოთა კომპრომისულ-ლიბერალური ბრძოლის მიმდინარეობაც. 1921-1923 წლების ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობა ძირითადად შედგებოდა: ა) რეალისტური, ლეგალურ-კომპრომისული, ბ) რეალისტური არალეგალურ-რადიკალური, გ) არალეგალური, სუბიექტივისტური ექსტრემისტული მიმდინარეობებისაგან. მათგან 1921-1923 წლებში დომინირებული მდგომარეობა ჰქონდა პირველ და მეორე მიმდინარეობას.

2. 1921-1923 წლებში არალეგალური მიმდინარეობის ხელმძღვანელთა ერთი ნაწილი დაადგა საოკუპაციო რეჟიმის მიმართ უკომპრომისო ბრძოლის ექსტრემისტულ გზას. იგი ნაკლებად იღებდა მხედველობაში ქვეყნის საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობას, და არახელსაყრელ საშინაო და საერთაშორისო ვითარებაში ეყრდნობოდა საოკუპაციო რეჟიმის მიერ შექმნილი მასების ეროვნულ და სოციალურ უკმაყოფილებას, აღწევდა რეჟიმით უკმაყოფილო ძალთა კონსოლიდაციას, აწყობდა ანტისაბჭოთა აჯანყებას და საქართველოს დაუყოვნებლივი განთავისუფლებისათვის ბრძოლის ორგანიზებას. ამ დროს მისი ანტისაბჭოთა ბრძოლის მეთოდების გამოვლინების კუ-

ლმინაციას ტერორი, ექსპროპრიაცია და ავანტიურისტული ამბოხებითი ბრძოლა წარმოადგენდა.

3. რადიკალური ხელმძღვანელობის („დამკომი", „სამხედრო ცენტრი" და სხვ.) საბრძოლო ტაქტიკა გულისხმობდა ობიექტური რეალობიდან გამომდინარე ხანგრძლივ მოსამზადებელ მუშაობას და გადამწყვეტი მომენტის სწორად შერჩევას. ეს მიმდინარეობა არ გამორიცხავდა რუსეთის ჯარების გაყვანის შემთხვევაში საქმის დაჩქარებას, დამოუკიდებლობის უსისხლოდ აღდგენას, ანდა არსებული საბჭოთა სისტემის პირობებში, მაქსიმალური ეროვნული სუვერენიტეტისა და ოპოზიციური პარტიების ლეგალური თანაარსებობის მოპოვებას.

4. ყველაზე მრავალრიცხოვან მიმდინარეობად ჩამოყალიბდა უპარტიოებისა და ყოფილი პარტიელებისაგან შემდგარი რეალისტური, ლიბერალურ-კომპრომისული წარმომადგენლობა. მათი საბრძოლო ტაქტიკა ე.წ. „წაწოლის პოლიტიკით" გამოიხატებოდა და გულისხმობდა ბრძოლას პროფესიული, სამსახურებრივი და საზოგადოებრივი საქმიანობით ერის კულტურული აღორძინებისათვის, აგრეთვე ეროვნული ცნობიერების მდგრადობისათვის მანამდე, ვიდრე შეიქმნებოდა ობიექტური, რეალური პირობები საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად.

5. თითოეულ ამ მიმდინარეობის ხელმძღვანელობას ახასიათებდა გარკვეული დამოკიდებულება არსებული საბჭოთა საოკუპაციო რეჟიმის მიმართ. მაგრამ ამავე დროს, საკმაოდ არაერთმნიშვნელოვანი დამოკიდებულება არსებობდა ეროვნული მოძრაობის მიმდინარეობათა ხელმძღვანელებს შორის. ეს იყო პრინციპული, კომპრომისული თანამშრომლობა. მაგრამ ზოგჯერ მათ შორის თავს იჩენდა ანტაგონისტური დაპირისპირებაც.

6. ლეგალური ლიბერალურ-კომპრომისული და არალეგალური, რადიკალური მიმდინარეობების ხელმძღვანელები, არსებული ვითარების რეალისტური შემეცნებიდან გამომდინარე, ქმნიდნენ ურთიერთგაგების და თანამშრომლობის ატმოსფეროს. ლეგალური მიმდინარეობის წარმომადგენლები (მეცნიერ-პედაგოგები, მწერლები, იურისტები და სხვ.) ხშირად თვითონაც მონაწილეობდნენ რადიკალების მიერ ორგანიზებულ აქციებში. ამასთანავე, იღვწოდნენ დაპატიმრებულ ანტისაბჭოთა მებრძოლი პატრიოტების ჩეკას ტყვეობიდან გამოსახსნელად და სხვ.

7. ექსტრემისტები, ხშირ შემთხვევაში, არალეგალი რეალისტი პატრიოტების, ანუ რადიკალების მიმართ ავლენდნენ მოუთმენლობას. ისინი ცდილობდნენ არალეგალი რეალისტებისათვის თავს მოეხვიათ რეალობის თავიანთი, სუბიექტური ხედვიდან მომდინარე, შეხედულებები და ამ გზით ისინი გადაებირებინათ ექსტრემიზმისა და ავანტიურიზმისაკენ.

8. რეალისტი არალეგალი რადიკალები („დამკომის", „სამხედრო ცენტრის", პოლიტპარტიების ლიდერების უმრავლესობა) პრინციპულად უპირისპირდებოდნენ ექსტრემისტების, ფაქტობრივად, ავანტიურისტულ ტაქტიკას და, ერის უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, ზოგჯერ (მაგ. პარტიზანული ამბოხებითი გამოსვლების ან აჯანყების დროს) შეურიგებლად იბრძოდნენ მათი ლოკალური აჯანყების საყოველთაო ეროვნულ აჯანყებად გადაზრდის საფრთხის თავიდან ასაცილებლად.

9. 1923 წლის დასაწყისიდან მკაფიოდ აღინიშნებოდა, ერთი მხრივ, ექსტრემიზმის გამოცოცხლება, ხოლო მეორე მხრივ, საბჭოთა ხელისუფლების და მისი უშიშროების ორგანოების გააქტიურება. ამ საამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირებამ ხელი შეუწყო ეროვნული მოძრაობის შიგნით, მაშასადამე, მის ლიდერებს შორის არსებული წინააღმდეგობების გამძაფრებას. ეს ვითარება ეროვნული მოძრაობის თვალსაჩინო ხელმძღვანელმა იასონ ჯავახიშვილმა დაახასიათა როგორც „საკმაოდ საგანგაშო დრო."

10. „საგანგაშო დროის" პოლიტიკურ სიტუაციაში ანტისაბჭოთა არალეგალური მოძრაობის რეალისტური, ანუ რადიკალურ-პატრიოტული წარმომადგენლობა, ჯერ კიდევ დაპატიმრებამდე, შემდეგ კი განსაკუთრებით დაპატიმრებების და რეპრესიების გამო, ასეთი დილემის წინაშე აღმოჩნდნენ: I. მათ უნდა გაეგრძელებინათ ანტისაბჭოთა ბრძოლა იმდროისათვის ერთადერთი შესაძლებელი, რეალისტურ-კომპრომისული საშუალებით, ანუ პარტიის ლეგალიზაციისა და ხელისუფლებასთან „სმენავეხობის" მსგავსი თანამშრომლობის გზით, ან II. უნდა შერწყმოდნენ არალეგალურ-ექსტრემისტულ მიმდინარეობას. მეორე შემთხვევაში, ხელისუფლების (ჩეკას) მიერ შექმნილი ატმოსფეროს, მუდმივი დევნისა და გაუსაძლისი მდგომარეობის გამო გარდაუვალად ხდებოდა ავანტიურისტული მისწრაფებების სტიმულირება და ანტისაბჭოთა აჯანყების ორგანიზება;

11. „საგანგაშო დროით“ შექმნილი დილემის წინაშე რეალისტი არალეგალი რადიკალების ერთმა ნაწილმა ტერორსა და უპერსპექტივო, ერისათვის დიდი უბედურების მომტან სისხლის ღვრას ჯერ კიდევ დაპატიმრებამდე არჩია პარტიის ლეგალიზაცია და ხელისუფლებასთან კომპრომისული თანამშრომლობა, რომელიც გულისხმობდა ეროვნული ინტერესებისათვის მშვიდობიანი მეთოდებით ბრძოლას და ანტისაბჭოთა ლიბერალურ-კომპრომისულ მოძრაობაში გაერთიანებას, მაგრამ არალეგალი რადიკალების ხელმძღვანელთა უმრავლესობა ჩეკამ პატიმრობაში ისე აიყვანა, რომ მათ მიერ წამოყენებულ პარტიების ლეგალიზაციის იდეას და მის პრაქტიკულ გამოვლინებას ფართოდ გავრცელების შესაძლებლობა არ მისცა.

12. ხელისუფლებამ (ჩეკას ორგანოების მეშვეობით) დაპატიმრებული არალეგალი რეალისტი რადიკალების ერთ, პოტენციურად მისთვის განსაკუთრებით საშიშ ნაწილს (სამხედრო სპეციალისტებს) ექსტრემიზმის ყალბი კვალიფიკაცია შეუთითხნა და მოსასპობად გასწირა. მან არალეგალი რადიკალების მეორე ნაწილს დახვრეტის რეალური საფრთხიდან თავის დაღწევის ერთადერთი გზა დაუტოვა — „დეკლარაციაზე“ ხელის მოწერა, ე.ი. თვითლიკვიდაციის იძულებითი შესაძლებლობა.

13. არალეგალი რადიკალების მეორე ნაწილი, რომელმაც შეძლო პატიმრობისათვის თავი დაეღწია, შეერწყა ექსტრემისტულ მიმდინარეობას. ამ მიმდინარეობის მხოლოდ ერთი, მცირე ნაწილი (მემარჯვენე ფედერალისტები, მემარჯვენე ესერების, „სხიველების“ ხელმძღვანელები) განაგრძობდა მანევრირებას. ისინი, ეროვნული მოძრაობის ერთიანობის დაურღვევლობის მიზნით, თანამშრომლობდნენ ექსტრემისტებთან, მაგრამ ამავე დროს გადამწყვეტ ჟამს უფრთხოდნენ და ემიჯნებოდნენ ექსტრემიზმის აუცილებელ თანამდევ ავანტიურისტული ბრძოლის ტაქტიკას და, საქართველოს განთავისუფლებისათვის ობიექტური პირობების არარსებობის გამო, მხარს არ უჭერდნენ საერთო ეროვნული აჯანყების მოწყობას.

14. 1921-1923 წლების ანტისაბჭოთა მოძრაობისა და ხელისუფლების დაპირისპირებამ შესაძლო გახადა (1923 წლის მარტამდე) ძირითადად ლეგალური რეალისტურ-კომპრომისული და არალეგალური რეალისტი რადიკალების მოძრაობის დომინირებული მდგომარეობის შენარჩუნება. მაგრამ 1923 წლის დასაწყისიდან თანდათა-

ნობით თავი იჩინა ეროვნული მოძრაობისა და რეჟიმის დაუნდობელი, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის საფუძველზე მომზადებულმა „საგანგაშო დრომ". ამ დროს საბჭოთა ხელისუფლებამ და საოკუპაციო რეჟიმმა ჩეკას ორგანოების მეშვეობით სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩაითრია სამშობლოს დაუყოვნებლივი განთავისუფლების სურვილით გატაცებული ქართული ეროვნული მოძრაობის ექსტრემისტული წარმომადგენლობა. ამ უთანასწორო ბრძოლაში ხელისუფლებამ იმას მიაღწია, რომ ჩეკამ, რუსული სოციალიზმის მოთხოვნებიდან და თავისებურებებიდან გამომდინარე, საბოლოოდ გამორიცხა ოპოზიციური პარტიების ლეგალურ-სახელმწიფოებრივი ფუნქციონირების შესაძლებლობა (ანუ ევროპული სოციალიზმი).

15. 1923 წლის გაზაფხულზე (მარტი-მაისი), ხელისუფლების მიერ გატარებულმა სასტიკმა რეპრესიებმა ანტისაბჭოთა ეროვნულ მოძრაობას რეალისტი რადიკალების მნიშვნელოვანი ნაწილი ჩამოაშორა, ხოლო ექსტრემისტული მოძრაობა ძირითადად საკუთარ კონტროლს დაუმორჩილა. ასეთია ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობის მოცემული ეტაპის ძირითადი თავისებურება, რომლის დროსაც ეროვნული ინტერესებისათვის ბრძოლის ტაქტიკის მიმართ შემოქმედებითი მიდგომა და არარეალისტური, ექსტრემისტულ-ავანტიურისტული მოძრაობის ალტერნატიული აზროვნება და პრაქტიკა ზოგის მიერ არასწორად შეფასდა როგორც მოღალატეობა. არა და, ამ პოლიტიკურ სიტუაციაში ეროვნული ინტერესებისათვის ბრძოლის სხვა უფრო გონივრული და მისაღები ტაქტიკა, ვიდრე ლეგალური პარტიულ-პოლიტიკური და ლეგალური პროფესიულ-საზოგადოებრივი მუშაობის პერსპექტივა, როგორც ისტორიის კონკრეტულმა გამოცდილებამ გვიჩვენა, ქართულ ეროვნულ მოძრაობას არ აღმოაჩნდა. ამდენად, სწორი იყო პარტიის ლეგალიზაციასა და ხელისუფლებასთან თანამშრომლობაზე ორიენტირება.

16. 1923 წელს საქართველოში შექმნილმა „საგანგაშო დრომ" ანტისაბჭოთა ეროვნულ მოძრაობაში ჩაბმული მრავალი არალეგალურ-რადიკალური მიმდინარეობის წარმომადგენელი იძულებით ჩამოაშორა ექსტრემიზმის გზას და ლეგალურ-კომპრომისული ტაქტიკით მებრძოლ მამულიშვილებთან დააკავშირა. ექსტრემისტული ხელმძღვანელობისაგან გამიჯნული მ. ჯავახიშვილი მისი ეროვნულ-პოლიტიკური ღვაწლის კარგად მცოდნე და დამფასებელმა ე.წ. „წა-

წოლის პოლიტიკით“ მებრძოლმა თვალსაჩინო მამულიშვილებმა (პ. ინგოროყვამ და სხვ.) დაიცვეს, გულში ჩაიხუტეს და გვერდში ამოიყენეს. ისინი მ. ჯავახიშვილს ეროვნულ-პატრიოტული პოზიციებიდან ჭვრეტდნენ და აფასებდნენ, ამიტომ კაბინეტური, პოლიტიკანური და ინტრიგული შეფასებებით როდი მიუდგნენ მის მიერ პარტიის ლეგალიზაციაზე ორიენტირების სასარგებლოდ გამოთქმულ აზრს, არამედ წაეხმარნენ მ. ჯავახიშვილის და სხვათა დიდი შინაგანი ინტელექტუალური ძალის ახალ ამპლუაში წარმოჩენას.

17. „დეკლარანტების“ მნიშვნელოვანმა ნაწილმა ერის სამსახური, რეალისტური ლიბერალურ-კომპრომისული მიმდინარეობის თვალსაჩინო ეროვნულ მოღვაწეთა მსგავსად, პროფესიულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობით გააგრძელა. ისინი შეერწყნენ ეროვნული მოძრაობის ლიბერალურ-კომპრომისული ბრძოლის მიმდინარეობას და ამით ერს დიდი სამსახური გაუწიეს. არალეგალმა ექსტრემისტებმა კი, თავიანთი ეროვნულ-პატრიოტული ბრძოლის კულმინაციური განვითარებით, 1924 წლის აგვისტო-სექტემბერში საყვარელ სამშობლოს შეუქმნეს მდგომარეობა, რომლითაც ისარგებლა ხელისუფლებამ და ქართველ ერს, ავანტიურიზმის განადგურების მოტივით, თავს დაატეხა დიდი უბედურება; ხელისუფლებამ და ჩეკამ ექსტრემიზმი, როგორც ეროვნული მოძრაობის მიმდინარეობა, საქართველოში თითქმის ამოძირკვა, ხოლო მისი თვალსაჩინო ხელმძღვანელი მონაწილეების ერთი ნაწილი ფიზიკურად მოსპო, მეორე ნაწილი კი ერისათვის ნაკლებად სასარგებლო ემიგრანტებად აქცია.

18. ექსტრემისტულ-ავანტურისტული მეთოდებით საბჭოთა რეჟიმთან მებრძოლმა მამულიშვილებმა გვიჩვენეს სამშობლოსათვის გმირული თავგანწირვის ამაღელვებელი მაგალითები. მაგრამ მათ ამასთანავე, პოლიტიკური ბრძოლის ტაქტიკის საკუთარი გაგებიდან გამომდინარე, მოგვცეს 1921-1924 წლების ანტისაბჭოთა ბრძოლის ისტორიის თავისებური, ტენდენციური გაგება, რომლის დროსაც საერთო ეროვნულ მოძრაობაში განსაკუთრებულ ღირებულებად გამოაცხადეს ბრძოლა ექსტრემისტული პოზიციებიდან. მოგონებების ავტორებმა, ექსტრემისტული განწყობილებებიდან გამომდინარე, გაიაზრეს „გუშინდელი“ თანამებრძოლების ახალი ტაქტიკური ორიენტაცია და დაუმსახურებელი უნდობლობა, ეჭვი, ზოგჯერ კი ბრალეულობა შეაგებეს მათ.

ჩვენს მიერ ჩამოყალიბებულმა დასკვნებმა მკითხველთა ერთ ნაწილში შეიძლება ერთგვარი უკმარისობის შთაბეჭდილება შექმნას. დიახ, საჭირო და უკეთესია ქართული ეროვნული მოძრაობის ქრონოლოგიურად ვრცელ, 1921-1924 და შემდგომი წლების, ჩარჩოში წარმოჩენა. იგი შესაძლებლობას მოგვცემს კიდევ უფრო საგნობრივად და ნათლად დავინახოთ ქართული ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობის თითოეული მიმდინარეობის ხელმძღვანელთა თეორიულ-პრაქტიკული ბრძოლის სარგებლიანობა. ამ გზით შესაძლებელი გახდება, უფრო ღრმად გავიაზროთ თითოეული მათგანის ღირებულებათა შედარებითობა. ამ ამოცანის სრულად ხორცშესხმა შესაძლებელი გახდება, როდესაც შეიქმნება ქართული ეროვნული მოძრაობის ვრცელი პერიოდის ისტორია. იგი საგნობრივად დაგვანახებს, რა მემკვიდრეობით საზრდოობდა შემდგომი ბრძოლა საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობისა და დემოკრატიისათვის. ამ ამოცანას ემსახურება 1923-1924 წლების ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობის ისტორიის გამოკვლევა-გაშუქება, რომელსაც მკითხველს მომდევნო წიგნის სახით შემდგომში შევთავაზებთ. მაგრამ ჩვენი ისტორიკოსების და, საერთოდ, ეროვნული კულტურის მემკვიდრეობის მკვლევართა გამოქვეყნებულმა შრომებმა, მათ შორის წინამდებარე წიგნში წარმოჩენილმა ისტორიამ დაგვარწმუნა, რომ, ეროვნული სარგებლიანობის თვალსაზრისით, ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი ღირებულებები შექმნეს სწორედ საოკუპაციო რეჟიმისადმი დაუმორჩილებელმა, რეალურად მოაზროვნე, კომპრომისულ-ლიბერალური ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლებმა. ისინი თავიანთი პროფესიულ-სამსახურებრივი და საზოგადოებრივი მოღვაწეობით აგრძელებდნენ დიდი ილია ჭავჭავაძის მიმდევართა გზას.

მაგრამ, ჩვენი აზრით, რიგითი მკითხველისათვის ბოლომდე გასაგები მაინც ვერ გახდება ამ სინამდვილის დამახინჯების უმთავრესი მიზეზი და მოტივაცია, თუ დამატებით არ აიხსნა კითხვა: რა მოტივები ედო საფუძვლად 1921-1923 წლების ეროვნული მოძრაობის, კ. მისაბიშვილის და მ. ჯავახიშვილის არასწორ გაგებას? ამიტომ, ჩვენი აზრით, საჭიროა წიგნის ამ ნაწილში დამატებით გაირკვეს ის, თუ რატომ მიიჩნია ნ. კირთაძემ კ. მისაბიშვილი ჩეკას „ჯაშუშად", ხოლო მ. ჯავახიშვილი იმდენად საჩოთირო პიროვნებად, რომ მისი უაღრესად კეთილი მიზანდასახულობის 1923 წლის 16 მარტის ჩვენება,

რომელიც თანამოაზრე-თანამებრძოლების გადარჩენას ისახავდა მიზნად, ვითომ ავტორის გასაიდუმლოებით გამოაქვეყნა. მით უმეტეს, საქმის ვითარებაში ღრმად ჩაუხედავი მკითხველისათვის გაუგებარი გახდებოდა, ნ. კირთაძის მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტებზე და ავტორისეულ კონცეფციაზე დაყრდნობით, მომდევნო მკვლევრის, მანანა ხომერიკის მიერ თავის წიგნში განვითარებული, შემზარავი დასკვნები. არა და, მ. ხომერიკი, ისევე როგორც ნ. კირთაძე, ჩვენი აზრით, უდავოდ ნიჭიერი მკვლევარია. მაგრამ მკითხველმა უნდა იცოდეს ისიც, თუ რატომ და როგორ აღმოაჩინა მ. ხომერიკმა ნ. კირთაძის მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტებში, მის ნააზრევსა და რიგ სხვა წყაროებში ის დასაყრდენი, რაც იმთავითვე ყველაზე ნაკლებ დასაჯერებლად და ამავე დროს დაინტერესებული პროფესიონალი ისტორიკოსისათვის ძნელად, მაგრამ შესამჩნევ შეცდომად გამოიყურება.

ჭეშმარიტად ნიჭიერი, შრომისმოყვარე და გულმოდგინე ახალგაზრდა მკვლევრის ნ. კირთაძის შეცდომების ძირითადი მიზეზები, ჩვენი აზრით, განაპირობა, ჯერ ერთი, მისმა, როგორც მკვლევრის, გამოუცდელობამ. იგი ჯერ კიდევ ასპირანტი შეება ისტორიოგრაფიული თვალსაზრისით ბოლომდე გამოუკვლეველ და უაღრესად რთულ, წინამორბედი მკვლევრების მიერ წინააღმდეგობრივად და ხარვეზებით წარმოჩენილ პრობლემას. მან ქართული ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობის შესწავლისა და გაშუქების დროს სწორად მიიჩნია, ერთი მხრივ, თანამედროვე ისტორიკოსების მიერ დამკვიდრებული შეზღუდული სქემა, რომლის მიხედვით ეროვნულ მოძრაობაში ნაგულისხმევია მხოლოდ არალეგალური ანტისაბჭოთა ბრძოლა, ხოლო ერისათვის ყველაზე უფრო მეტი სარგებლიანობის მომტანი ლეგალური, ლიბერალურ-კომპრომისული ტაქტიკით ბრძოლა (ილია ჭავჭავაძე-ივანე ჯავახიშვილის ხაზი – გ.ც.) საერთოდ უგულებელყოფილია. მეორე, ნ. კირთაძეს, ფაქტობრივად, გვერდით არ აღმოუჩნდა კვალიფიციური ხელმძღვანელი თუ კონსულტანტი, რომელიც მას უაღრესად ჩახლართული საკითხების სწორ გააზრებაში დაეხმარებოდა. ამიტომ იგი ძირითადად დაეყრდნო წინამორბედი მკვლევრების, მათ შორის მანანა ხომერიკის პუბლიკაციებში ჩამოყალიბებულ შეზღუდულ და აშკარად მცდარ კონცეფციებს, საკუთარ ახალგაზრდულ ცოდნას და ერუდიციას. მესამე, მან ეს რთული პრობლემა სადოქტორო დისერტაციის სწრაფად მოგვარების თემად გაიხადა და

ამიტომ მისი საყრდენი რთულად შესამეცნებელი ჩეკისტური დოკუ-მენტები სენსაციების საფუძველად აქცია. სინამდვილეში მათი გა-აზრებისას გადაჭარბებით ენდო საკუთარ ნიჭსა და ერუდიციას, ამავე დროს სხვათა რჩევა-დარიგება უარყო და ალტერნატიული ნააზრევი „სერგო ორჯონიკიძის აზრად" მიიღო. მან ჩვენი სამართლიანი შენი-შვნები გაიგო არა როგორც, თუნდაც, საკუთარი და თანამოაზრეთა შეცდომების გაკონტროლების საშუალება, არამედ როგორც მტრული, უსაფუძვლო შედავება. მაგალითად, ნ. კირთაძემ უგულებელყო ჩვენი მოსაზრებები იმის თაობაზე, რომ 1921-1924 წლების ანტისაბჭოთა ეროვნულ მოძრაობაში აღინიშნებოდა „ავანტიურისტული ნაკადიც", რომ მ. ჯავახიშვილის 1923 წლის 16 მარტის ჩვენებას გასასაიდუ-მლოებელი არაფერი სჭირდა, რომ მის მიერ „აგენტურულ მონაცე-მებად" გასაღებული ჩეკას დოკუმენტის მხოლოდ ის პირველი ნა-წილი იყო „აგენტურულ მონაცემებზე" დაყრდნობილი, სადაც კო-ნკრეტული პიროვნებები, მათ შორის მ. ჯავახიშვილი, არ მოიხსენი-ება და რომლის სათაურიც თარგმნის შემდეგ შეცდომით საერთო სათაურში „ავიდა" და რომ მთელი დოკუმენტის ამ სათაურის ქვეშ მოქცევამ მომდევნო მკვლევარს მ. ხომერიკს შეუქმნა არასწორი აზრის განვითარების შესაძლებლობა, კერძოდ, „აგენტურული მონაცემების" მომდევნო ნაწილში მოტანილი პიროვნებების ჩვენებათა ციტირე-ბით მ. ჯავახიშვილის გაგება ჩეკას აგენტ-ინფორმატორად და სხვ. საჭიროა ისიც ითქვას, რომ ამ შენიშვნების მიცემის დროს ნ. კირთა-ძეს, ასე თუ ისე, მხარი დაუჭირეს პრობლემის ნიუანსებში ბოლომდე გაუცნობიერებელმა კოლეგებმა. ამან კი უთუოდ წაახალისა მისი თა-ვდაჯერებულობა. დაბოლოს, ნ. კირთაძის შეცდომები განაპირობა პრობლემის ნიუანსებში მისმა და მისი გარემოცვის გაურკვევლობამ. ამის გამო მან იმთავითვე მთლიანად უგულებელყო 1924 წლის აჯა-ნყების და ანტისაბჭოთა მოძრაობის მომსწრეთა და შემფასებელთა ნააზრევი, აგრეთვე, საბჭოთა მკვლევართა ის შრომებიც კი, რომე-ლშიც აისახა რაციონალურის შემეცნების შესაძლებლობებიც. მათგან ყოველმხრივი, პრინციპული გამიჯვნით, მთლიანად დაეყრდნო, ერთი მხრივ, ანტისაბჭოთა მებრძოლი გმირების, შემდგომში ემიგრანტების მოგონებებში ჩამოყალიბებულ მცდარ ფაქტოლოგიასა და კონცე-ფციას, ხოლო მეორე მხრივ, საარქივო დოკუმენტებში მოცემულ ჩე-კისტურ კონცეფციას, რომელიც მიზნად ისახავდა ეროვნული მო-

ძრაობის ლიდერების დანაშაულობათა გასაზვიადებლად რიგი პროცესების გაყალბებას. ე.ი. ნ. კირთაძე, როგორც მკვლევარი, ვითომ ვაის გაეყარა, მაგრამ უის შეეყარა. ამასთანავე, ნ. კირთაძემ ბოლომდე დაიჯერა და გაიმეორა ჩეკას არქივში გამოვლენილ უმნიშვნელოვანეს ჩეკისტურ ნარკვევებში მიზნობრივად გაყალბებულად და ჰიპერტროფირებულად წარმოჩენილი 1921-1924 წლების ანტისაბჭოთა არალეგალური ბრძოლის ისტორიის საერთო კონცეფცია. ეს კონცეფცია მოცემულია ძირითადად ჩეკას მიერ შემუშავებულ ისეთ ფუნდამენტურ დოკუმენტებში, როგორიც არის: „Дело о Паритетном Комитете антисоветских партий (Заключительное постановление)". ეს არის, მ. ხომერიკის, აგრეთვე ვ. გურულის პუბლიკაციის მიხედვით, „საქმე №342" (რუსულ ენაზე), ხოლო, მ. ხომერიკის და ნ. კირთაძის პუბლიკაციების მიხედვით, ასევე არქივი №8 (რუსულ ენაზე) და მასზე დაყრდნობილი, თითქმის იდენტური „საქმე საქართველოს ანტისაბჭოთა პარტიების პარიტეტული კომიტეტის შესახებ (საბრალმდებლო დასკვნა), იუსტიციის სახალხო კომისარიატის გამოცემა, ტფილისი, 1925."

1921-1924 წლების საქართველოს ეროვნული მოძრაობის გმირი წარმომადგენლების (ალ. სულხანიშვილი, ს. ზალდასტანიშვილი და სხვ.), კერძოდ, ს. ზალდასტანიშვილის მოგონებაში ჩამოყალიბებულმა ფაქტებმა და კონცეფციამ ნ. კირთაძე დააჯერა ზოგი იმთავითვე საეჭვო, გასაკონტროლებელი და დასაზუსტებელი აზრის სისწორეში. ნ. კირთაძემ ისე გაიგო, თითქოს დუშეთის, ფშავის, ხევსურეთის ანტისაბჭოთა ბრძოლის და აჯანყების წაბიძგება მოხდა საერთო ეროვნული მოძრაობის ცენტრთან („პარიტეტულ კომიტეტთან", „სამხედრო ცენტრთან" და პოლიტპარტიების ხელმძღვანელ ორგანოებთან) შეთანხმებით და მის თვალსაჩინო წარმომადგენელთა მიერ შემუშავებული გეგმით, მაშინ როცა იგი სინამდვილეში წამოიწყეს იძულებით, პირადი ინიციატივით და ქაქუცას ექსტრემისტი ეროვნულ-დემოკრატი მეგობრების (შ. ამირეჯიბის და სხვ.) თვითნებური წაქეზებით.

ნ. კირთაძემ დაიჯერა ჩეკისტური ვერსია, რომლის მიხედვით სამხედრო ცენტრის დაპატიმრებამდელი ანტისაბჭოთა მოძრაობა მართლა იყო ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების დამხობისა და საქართველოს დამოუკიდებლობის დაუყოვნებლივი აღდგენისათვის, რომ

თითქოს ხევსურეთის აჯანყების შემდგომი „მიძინებიდან“ თუ „მოდუნებიდან“ ეროვნული მოძრაობა იმთავითვე გამოიყვანა ნ. ხომერიკმა, რომელმაც თითქოს იმთავითვე მიაღწია ანტისაბჭოთა ეროვნულ ბრძოლაში „დიქტატორობას“ და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლველად განაწყო მთელი პარტიულ-პოლიტიკური ხელმძღვანელი სტრუქტურა. მაგრამ, თითქოს „კ. მისაბიშვილის **ჯაშუშობის** (?! – გ.ც.) წყალობით, ჩეკამ შეიპყრო აჯანყების დამწყებთა მთავარი ბირთვი“ და, ამდენად, ცენტრის მიერ თითქოს კარგად გათვალისწინებული და სწორად გათვლილი აჯანყება არ შედგა.

ნ. კირთაძის და სხვათა შეცდომაში შეყვანა იმან გააადვილა, რომ ამ საკითხში გარკვეულად ერთმანეთს ემთხვევა ეროვნული მოძრაობის ზოგი იმდროინდელი თვალსაჩინო წარმომადგენლის (ალ. სულხანიშვილის, ს. ზალდასტანიშვილის, დ. ვაჩნაძის, მ. ლაშქარაშვილის და სხვ.) და ჩეკას „საბრალმდებლო დასკვნის“ რიგი კონცეპტუალური აზრები. მათ შორის უმთავრესია ანტისაბჭოთა მოძრაობის ცენტრის („დამკომის“) მიერ აჯანყების ვითომ ერთხელ უკვე მოწყობის (1922 წ. აგვისტო-სექტემბერში) და ხელახლა (1923 წ. თებერვალი) მოწყობის მცდელობის შესახებ დაფიქსირებული ყალბი ფორმულირებები.

სინამდვილეში, როგორც ვნახეთ, ქ. ჩოლოყაშვილის პარტიზანული გამოსვლები და დუშეთ-ხევსურეთის აჯანყება „პარიტეტულ კომიტეტთან“ შეუთანხმებლად და მისი სურვილის საწინააღმდეგოდ მოხდა. ამის შემდეგაც „დამკომი“ წინააღმდეგი იყო ასეთი თვითნებური ინიციატივისა, რადგან სწორად ითვალისწინებდა იმდროინდელ არახელსაყრელ საერთაშორისო და საშინაო ვითარებას. ისინი კარგად ჭვრეტდნენ ახალგაზრდობის პატრიოტული აღტყინების შედეგად ანდა ქ. ჩოლოყაშვილის გამოსვლების საყოველთაო აჯანყებად გადაზრდის შესაძლებლობის შემთხვევაში ერისათვის მოსალოდნელ საშიშროებას. როგორც ადრე ვნახეთ, ამაში იყო რადიკალური მიმდინარეობის ხელმძღვანელთა რეალიზმი და გონიერება. ამასთანავე, როგორც ვნახეთ, გმირი შეფიცულებისა და გმირი ხევსურების აგვისტო-სექტემბრის გამოსვლა, ანუ ანტისაბჭოთა აჯანყება „სამხედრო ცენტრის“ საამაყო და გონიერ ქართველ მხედრობას არ დაუგეგმია, და ამიტომ მისთვის ასეთი ინიციატივის მიწერა არის, ერთი მხრივ, ექსტრემისტი ეროვნულ-დემოკრატების მიერ საკუთარი ქმედების გა-

მართლება და, მენშევიკების ლიდერებისათვის ნიშნის მოგების ინტერესებიდან მომდინარე, მათი გამონაგონის დაჯერება. მეორე მხრივ, ეს აზრი „პარიტეტულ კომიტეტს“ დაქვემდებარებულ მთელ რეალისტურ, რადიკალურ პოლიტიკურ მიმდინარეობას, აგრეთვე „სამხედრო ცენტრში“ შემავალ გენერლებს და უმაღლეს ოფიცრობას გვისახავს წინდაუხედავ, ფიცს და აალებად პიროვნებებად.

ისტორიის ფაქტებმა და კვლევამ გვიჩვენა, რომ „პარიტეტული კომიტეტი“, „სამხედრო ცენტრი“, არალეგალური პარტიების რიგი ხელმძღვანელები და მათ შორის მ. ჯავახიშვილი ყოველთვის ანტისაბჭოთა ბრძოლის უსაფუძვლო დაჩქარების წინააღმდეგნი იყვნენ და ეს აზრი მათ ვერც ნ. ხომერიკმა შეაცვლევინა. სინამდვილეში, ანტისაბჭოთა არალეგალური ბრძოლის რადიკალური მიმდინარეობის წარმომადგენლებმა დაპატიმრებამდე ნ. ხომერიკს და მის მიერ ვითომ ორგანიზებულ თუ აღორძინებულ ანტისაბჭოთა ექსტრემისტულ მიმდინარეობას შეუქმნეს დამუხრუჭების მექანიზმი და არ მისცეს ანტისაბჭოთა ავანტიურად გადაზრდის შესაძლებლობა. აი, ეს პროცესი შეუმჩნეველი დარჩა ნ. კირთაძესა და ყველა მის თანამოაზრეს, აგრეთვე ამ პრობლემით დაინტერესებულ პირებს. მათ ვერ ამოიცნეს, რომ პარტიზანული გამოსვლები, ხევსურეთის აჯანყება, ტერორის და ექსპროპრიაციის გაძლიერება არ შედიოდა რადიკალების ტაქტიკურ ინტერესებში. ისტორიკოსებმა კი ისე გაიგეს, თითქოს მთელი ეს მოვლენები ნამართავი იყო „დამკომისა“ და „სამხედრო ცენტრის“, შემდეგ აგრეთვე ნ. ხომერიკის მიერ შექმნილ „სამხედრო კომისიაში“ მ. ჯავახიშვილის შეყვანით და ვ. წულუკიძის და კ. აფხაზის „გაერთიანებულ სამხედრო ცენტრში“ ჩართვით. არა და, შეუმჩნეველი დარჩა, რომ ამას მართავდნენ ექსტრემისტები – ნ. ხომერიკის და გ. ფაღავას მეთაურობით, შემდეგ კი აგრეთვე ყოფილი რადიკალების, შემდეგ უკვე ექსტრემისტებში გადასული ი. ჯავახიშვილის, გ. წინამძღვრიშვილის და სხვათა მონაწილეობით.

რაც მთავარია, ნ. კირთაძის და მისი თანამოაზრეებისათვის გაუგებარი დარჩა 1923 წლის იანვარ-თებერვლის „საგანგაშო დრო“, რომელიც შექმნა საქართველოში ტოტალიტარულ-ავტორიტარული რეჟიმის დამყარების პრაქტიკულმა პარტიულ-სახელმწიფოებრივმა ღონისძიებებმა, რომელიც ძირითადად სტალინის, საქჩეკას იმდროინდელი ფაქტობრივი მეთაურის ბერიას, ამიერკავკასიის ჩეკას

თავმჯდომარის მოგილევსკის, აგრეთვე ამიერკავკასიის და საქართველოს პარტიული ლიდერების ს. ორჯონიკიძის და ბ. ლომინაძის მიერ იყო ნამართავი. გაუგებარი დარჩა, რომ ბერიამ სტალინთან ფარული შეთანხმებით სასტიკად შეუტია „მენშევიზმს" (სინამდვილეში ანტისაბჭოთა ბრძოლის ფრონტს) და რომ იგი მიზნად ისახავდა „სარეველას აღმოფხვრის და საქართველოს გადახვნის" პირველი გრანდიოზული ღონისძიებების გატარებას, რომ ბერიამ სტალინის მიერ დასახული პირველი რიგის ამოცანა წარმატებით შეასრულა. ბერიამ ძირითადი ანტისაბჭოთა ძალები, მათ შორის რადიკალური მიმართულების „სამხედრო ცენტრი" დააპატიმრა და მას, მოსპობის მიზნით, შეუთითხნა აჯანყების 1922 წ. აგვისტო-სექტემბერში მომწყობის, ხოლო 1923 წ. იანვარ-თებერვალში ხელახლად მოწყობის მცდელობის ყალბი ბრალდებები, რომელიც კვალიფიცირდებოდა სასჯელის უმაღლესი ზომით, ანუ დახვრეტით. ამ ბრალდების თანახმად, თითქოს „დამკომმა" და „სამხედრო ცენტრმა" მართლა განახორციელა დუშეთ-ხევსურეთის აჯანყების ორგანიზება, თითქოს, საქართველოს ანტისაბჭოთა მოძრაობის ცენტრი იმთავითვე იმ აზრით მოქმედებდა, რომ გამოეწვია საქართველოში საყოველთაო აჯანყება, და ვითომ ნ. ხომერიკის ჩამოსვლის დროიდანვე მთელი ანტისაბჭოთა მოძრაობა (მათ შორის რადიკალებისა) მთლიანად აჰყვა აჯანყების პრაქტიკული ორგანიზების ავანტიურისტულ ღონისძიებებს და, ამდენად, უკვე „სამხედრო ცენტრის" დაპატიმრებამდე გლობალურად დადგა საქართველოში ანტისაბჭოთა აჯანყების საკითხი. ბერიამ ფაქტობრივად ამის გამო დაიმსახურა მთავრობის ჯილდო. ეს ჩეკისტური კონცეფცია დაიჯერა ნ. კირთაძემ და თავისი წიგნის კვლევით ნაწილში განავითარა.

ასეთი მტკიცებების ფონზე, საკვანძო ლოგიკური, მაგრამ მცდარი აზრი ყალიბდება: ანტისაბჭოთა აჯანყება, სისხლის ღვრა და ომი გარდაუვალია. ვინც ამ ომში და სისხლის ღვრაში თავდავიწყებით ეშვება, გმირია, ხოლო ვინც უარს ამბობს ავანტიურიზმზე და გამოუვალ მდგომარეობაში ემხრობა ე.წ. „სმენავეხელობას" და პარტიის ლეგალიზაციას, ის საეჭვო, საჩოთირო და მოღალატე პიროვნებაა. აი, რატომ გაასაიდუმლოვა ნ. კირთაძემ 16 მარტის ჩვენების ავტორის (მ. ჯავახიშვილის) ვინაობა. მას შეეძლო 16 მარტის ჩვენების ავტორის გამხელა. მაგრამ ნ. კირთაძემ, ჩვენი აზრით, არასწორ მა-

ნევრს მიმართა და ვითომ არ მიუთითა 16 მარტის ჩვენების ავტორის ვინაობა. სინამდვილეში კი ამით მან საკუთარი მცდარი კონცეფციის მიმართ ერთგულება კიდევ ერთხელ დაადასტურა. მან ექსტრემისტების და ნ. ხომერიკის კურსის მოწინააღმდეგე მ. ჯავახიშვილი ასეთი გასაიდუმლოებით ძლიერი ეჭვის ქვეშ დააყენა, რადგან წიგნის სხვა ადგილას მოტანილი აქვს მ. ჯავახიშვილის სხვა ჩვენებები იმავე საქმიდან და მოსაზღვრე ფურცლებიდან. აქედან ისიც ჩანს, რომ მ. ჯავახიშვილი „ჯაშუში" კ. მისაბიშვილის თანამოაზრეა იმდენად, რამდენადაც მ. ჯავახიშვილმაც მიიჩნია, რომ რეალურ ვითარებაში ე.წ. „სმენავეხური" გაზეთის გამოშვება მოღალატეობა არ არის, რომ თვითონაც თანახმაა ითანამშრომლოს ასეთ გაზეთში, სხვებიც წაახმაროს, ამასთანავე, ნ. ხომერიკის მიერ ავჯანყების მზადების დროს იასონ ჯავახიშვილს უცხადებს: „ჩემი იმედი ნულარ გექნებათო". მთელი ეს ფილოსოფია, ნ. კირთაძის კონცეფციით, საჩოთირო და მოღალატურია. მაგრამ იგი ასეთი კვალიფიკაციისაგან თავს იკავებს. სამაგიეროდ, 16 მარტის ჩვენების ავტორს ისე ასაიდუმლოებს, რომ მას, ფაქტობრივად, ძლიერი ეჭვის, ანუ ორმაგი დარტყმის ქვეშ აყენებს.

არა და, ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ არავითარი ავჯანყება არ მოუწყვია 1922 და 1923 წლის დასაწყისში „პარიტეტულ კომიტეტსა" და „სამხედრო ცენტრს", არც ანტისაბჭოთა პარტიების რადიკალურ წარმომადგენლებს. მაშასადამე, რაც მოხდა, იმაში მონაწილეობა რადიკალებს არ მიუღიათ. პირიქით, ისინი იბრძოდნენ, დიახ, იბრძოდნენ იმისათვის, რომ ქ. ჩოლოყაშვილის და ხევსურების უდროო, თავგანწირული, გმირული ბრძოლა, ექსტრემისტი ახალგაზრდობის მხარდაჭერით, არ გადაზრდილიყო უდროო და ერისთვის უაღრესად მძიმე შედეგების მომტან, სრულიად საქართველოს საყოველთაო ავჯანყებაში. ჩვენ ისიც ვნახეთ, რომ ჩეკას მიერ შექმნილ ახალ „საგანგაშო დროში", როცა რადიკალები დადგნენ დილემის წინაშე – ან ნ. ხომერიკის ექსტრემისტულ-ავანტიურისტული მიმდინარეობის მხარდაჭერა ან პარტიის ლეგალიზაცია – ეროვნული მოძრაობის დაკვირვებულმა, გონიერმა წარმომადგენლებმა (მ. ჯავახიშვილი, კ. მისაბიშვილი და სხვ.) ქვეყნის საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობიდან და, მაშასადამე, შეიარაღებული ავჯანყების დამღუპველი პერსპექტივების შემეცნებიდან გამომდინარე, ჯერ კიდევ „სამხედრო ცენტრის" დაპატიმრებამდე, მხარი დაუჭირეს ექსტრემისტულ-ავანტიუ-

რისტულ მოძრაობაზე უარის თქმას და პარტიული ორგანიზაციის ლეგალიზაციას. სხვა უფრო გონიერი გამოსავალი ამ დროს არ არსებობდა. მაგრამ მომენტის ეს თავისებურება და მისგან გამომდინარე გონიერი სვლა შეუცნობელი დარჩა ნ. კირთაძისა და მისი თანამოაზრეებისათვის. ჩვენი აზრით, ამაში თავისი უარყოფითი ფუნქცია უნდა შეესრულებინა შ. ამირეჯიბის, მ. ქავთარაძის, გ. ქიქოძის და სხვათა მიერ მ. ჯავახიშვილის 1921-1924 წლების ანტისაბჭოთა პოლიტიკური ცხოვრების არასწორ გაგება-შეფასებას. მათ (განსაკუთრებით ი. ჯავახიშვილმა, შ. ამირეჯიბმა და მ. ქავთარაძემ) ისე გაიგეს, თითქოს პარტიის ლეგალიზაცია ერისათვის ყველა შემთხვევაში აუცილებლად საეჭვო ქმედებას თუ ღალატს წარმოადგენდა. ასე იმიტომ გაიგეს, რომ მათი კონცეპტუალური ნააზრევით: ჯერ ერთი, ანტისაბჭოთა ეროვნულ ბრძოლაში ყოველთვის და ყველა სიტუაციაში ღირებულად მიაჩნიათ მხოლოდ „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი!" — ანუ ავჯანყება. სინამდვილეში ასე არ არის. როგორც ზემოთ, სათანადო ადგილას, ვნახეთ, ერის ცხოვრებაში იყო მომენტები, როცა საჭირო იყო „საცა არა სჯობს გაცლა სჯობს", ე.ი. საჭირო იყო „წაწოლის პოლიტიკა", ქარიშხლის წინაშე ლერწამივით მოხრა და ხელსაყრელ მომენტში გამართვა, ადგომა. მეორე, ისინი ვერ ხედავენ ან უგულებელყოფენ ეროვნული მოძრაობის ლიბერალურ-კომპრომისული მიმდინარეობის უაღრესად დიდ მნიშვნელობას, რომელიც ახალ, საბჭოთა საქართველოში, ილიას ტაქტიკური ხაზის გაგრძელება იყო.

როგორც ვნახეთ, 1923 წლის იანვარ-თებერვალში და ამის შემდეგ სწორედ ასეთი ქარიშხლიანი „საგანგაშო დრო" იყო. ამ „საგანგაშო დროში" ფიცხი ხალხის ფიცხელ ბრძოლას შეეძლო ერისათვის სასარგებლოს ნაცვლად დიდი ზიანი მოეტანა. ეს ნაწილობრივ უკვე 1923 წლის დასაწყისში „სამხედრო ცენტრის" წევრების და მათი მიმდევარი, ერის საამაყო მხედრების ლიკვიდაციით გამოვლინდა, მაგრამ კიდევ უფრო დიდი უბედურება მოამზადა არალეგალური ეროვნული მოძრაობისაგან გონიერი რადიკალების იძულებითმა ჩამოცილებამ და 1923 წლის რეპრესიების შემდეგ, ანტისაბჭოთა არალეგალური ეროვნული მოძრაობის ძირითადად მხოლოდ ექსტრემისტი-ავანტიურისტი გმირების ხელში ჩაგდებამ. ამიტომ მოხდა, რომ 1924 წლის ზაფხულში, ექსტრემიზმმა და ავანტიურისტულმა ხე-

ლმძღვანელობამ ჩვენ ერს დიდი უბედურება დაატეხა. ეს პროცესი, საბჭოთა სახელმწიფოს (ი. სტალინის) დირექტივის საფუძველზე, ჩეკას ორგანოების ფაქტობრივი ლიდერის ბერიას მიერ მიზანმიმართულად და გეგმაზომიერად ხორციელდებოდა. იგი გაუცნობიერებელი დარჩა ეროვნული მოძრაობის ხელმძღვანელებისათვის. ეს ვერ ამოიცნო ნ. კირთაძემ და აქედან მოდის მისი შეცდომები. მაგრამ ამის გამო მისი მეცნიერული ღვაწლის საერთოდ უარყოფა არ შეიძლება. ნ. კირთაძემ გააკეთა, რაც მის და მისი კონსულტანტების ძალებს შეესაბამებოდა. სამაგიეროდ, მან საკუთარი შრომით მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ჩვენს მიერ მკითხველისათვის ანტისაბჭოთა არალეგალური ეროვნული ბრძოლის ძირითადი ტენდენციების რაობის ბოლომდე გარკვევას. მის მიერ გამოქვეყნებულმა დოკუმენტებმა მნიშვნელოვნად გაამდიდრეს პრობლემის წყაროთმცოდნეობითი ბაზა, ამით ხელი შეუწყვეს და მნიშვნელოვნად გააადვილეს ანტისაბჭოთა მოძრაობის პირველი ეტაპის სწორად გაგება.

ისტორიოგრაფიისათვის დამახასიათებელია ხარვეზებისა და შეცდომების დაძლევით სიმართლისაკენ სვლა, აქ მეცნიერების ზოგი სხვა დარგებისაგან განსხვავებით, ალმოჩენები და ახალი კონცეფციების შემუშავება მხოლოდ უაღრესად მძიმე, ხანდაზმული შრომის საფუძველზე ხერხდება. ამიტომ ნ. კირთაძის წიგნში საგანგაშო არაფერია. ისტორია და მით უმეტეს ჩვენი უახლესი ისტორიოგრაფია, ფაქტობრივად, 80-90-იანი წლებიდან ძნელად იკაფავს გზას. ამიტომ წინამორბედ პუბლიკაციებში დაშვებული შეცდომები მომდევნო მკვლევრისათვის ქმნის ხარვეზების დანახვის და მისგან თავის არიდების შესაძლებლობას.

მაგრამ თანამედროვე ისტორიოგრაფიულ ფონზე, განსაკუთრებულ ანომალიურ მოვლენად მაინც მ. ხომერიკის მიერ მოცემული მ. ჯავახიშვილის 1921-1924 წლების პოლიტიკური ცხოვრების და, შესაბამისად, ამ პერიოდის ეროვნული მოძრაობის მცდარი წარმოჩენა გვესახება. აქ მკაფიოდ შეინიშნება მ. ხომერიკის მიერ 1921-1924 წლების ისტორიის და, კერძოდ, მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრების მოვლენების ამსახველი ტენდენციური ნააზრევის, თავისი ადრინდელი კონცეფციის, აგრეთვე ნ. კირთაძისეული გაუგებრობების და შეცდომების ფორმალური ლოგიკის მეთოდით გააზრება, წინამორბედთა მცდარი ნააზრევის არასაპატიო და გაუმართლებელი მიზნით

გამოყენება და შემდგომი გამრუდება. მ. ხომერიკი 1996 წელს გამოქვეყნებულ წიგნში („პასუხად მიხეილ ჯავახიშვილის ბიოგრაფებს") ერთი მხრივ ავითარებს თავის ადრინდელ პუბლიკაციებში კ. მისაბიშვილისა და მ. ჯავახიშვილის პოლიტიკური ცხოვრების გაგების საკითხში ჩამოყალიბებულ აზრს, ხოლო, მეორე მხრივ, ეყრდნობა ნ. კირთაძის მონოგრაფიაში („1924 წლის ავჯანყება საქართველოში") მოცემულ მცდარ კონცეპტუალურ ნააზრევს და წერს: **„მ. ჯავახიშვილის ბიოგრაფები წლების მანძილზე ჩქმალავდნენ მის წვლილს 1924 წლის ავჯანყების დამარცხებისა** (? – გ.ც.) **და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიკვიდაციაში,** ასევე, სხდომებზე გამოსვლებს ხელისუფლების მიერ გაწირული ადამიანების წინააღმდეგ, **ცალმხრივად აშუქებდნენ ზოგიერთ ეპიზოდს მწერლის ცხოვრებიდან. შეუწყნარებლობას იჩენდნენ სხვათა მიმართ,** მიუხედავად იმისა, რომ **ამგვარმა მიდგომამ, სამართლიანად თუ უსამართლოდ, დიდი უბედურება დაატეხა თავს ჩემს ოჯახს...** მაგრამ **ახლა უპრეცენდენტო რამ ხდება:** მ. ჯავახიშვილის ბიოგრაფებმა (ვინ? – გ.ც.) **ისარგებლეს იმით, რომ სუკ-ის არქივი აღარ არსებობს** (? – გ.ც.) **და...**" (გვ. 2) სხვა. ეს „სხვა" სცილდება ჩვენი წიგნის ქრონოლოგიურ ჩარჩოებს და პრობლემატიკას. ამიტომ მის შესახებ ამჟამად გვიწევს თავის შეკავება. უნდა აღინიშნოს, რომ მ. ხომერიკის ნათქვამით გამოდის, თითქოს მიხეილ ჯავახიშვილმა მართლაც რაიმე როლი შეასრულა 1924 წლის ავჯანყების დამარცხებაში, სუკის არქივის დაწვამ კი თითქოს რაღაცნაირად უბიძგა, ერთი მხრივ, – „სხვების" მიმართ შეუწყნარებლობას, ხოლო, მეორე მხრივ, – ამ უსამართლობის გამო მ. ხომერიკის წიგნში მ. ჯავახიშვილის 1921-1924 წლების პოლიტიკური ცხოვრების ავტორისეულად ასახვის აუცილებლობას. თითქოს გამოსავალი იმით მოიძებნა, რომ გამოქვეყნდა ნ. კირთაძის წიგნი, რომელსაც „ერთვის დოკუმენტები, რომელთა შორის არის მ. ჯავახიშვილის მიერ 1923 წელს ჩეკასთვის მიცემული რამდენიმე ჩვენება", რომლებიც თითქოს ქმნიან დიდი მწერლის, როგორც უღირსი პოლიტიკოსის, გამჟღავნების შესაძლებლობას. სინამდვილეში ასე არ არის. ჯერ ერთი, მ. ხომერიკმა მ. ჯავახიშვილის შესახებ „მამხილებელი" პუბლიკაციები სუკის არქივის დაწვამდე, გაცილებით ადრე წამოიწყო და ამას გარკვეული ახსნა ეძებნება. მან ჯერ კიდევ 1990 წელს გამოაქვეყნა წერილი „არ არს დაფარული, რომელ არ განცხადდეს" (გაზ. „სახალხო განა-

თლება", 1990, 9 აგვისტო). მეორე, აღნიშნულის შემდეგ მ. ხომერიკმა მ. ჯავახიშვილის შავად წარმოჩენას მიუძღვნა წერილი „Рукописи не горят" (Газ. „Свободная Грузия", 1992, 21 მარტი), რომელშიც პირველმა წარმოაჩინა „პარიტეტული კომიტეტის საქმე №342. არქივი 8." იგი წერს, რომ აღმოუჩენია, ვინ და როგორ გაყიდა ვიქტორ ხომერიკის მამა ნოე ხომერიკი... ამ არქივის ინფორმაციით მ. ხომერიკმა სხვა მკვლევრებიც დააინტერესა და ზოგი თავის სასარგებლოდ, ზოგი კი თავის საწინააღმდეგოდ დააკვალიანა. სხვა მხრივ მ. ხომერიკის მოტივაცია ნაწილობრივ გასაგებია და ავტორისეული მსჯელობა ზოგჯერ სწორი აზრების შემცველიცაა.

რა არის სწორი? „1924 წლის აჯანყებაში მ. ჯავახიშვილს არავითარი მონაწილეობა არ მიუღია..." წერს მ. ხომერიკი (გვ. 33). როგორც ზემოთ ვნახეთ, ამ შემთხვევაში იგი სწორია.

მ. ხომერიკი მაშინაც მართალია, როცა წერს, რომ მ. ჯავახიშვილი ი. ლისაშვილის დასმენის გამო არ დაუხვრეტიათ (გვ. 88, 90). ჩვენს ხელთ არსებული წყაროებით, მ. ჯავახიშვილის დახვრეტის ბრალეულობები, ისე როგორც სხვა მრავალისა, იმდროინდელი პოლიტიკური კონიუნქტურის დაკვეთით, გერმანიის ფაშიზმთან მომავალი ომის მზადებისას საბჭოთა საზოგადოების „ჩისტკის" მიზნით შეთითხნეს ჩეკას ორგანოების მუშაკებმა. მაშასადამე, მ. ხომერიკის პუბლიკაციას მ. ჯავახიშვილის შესახებ ახასიათებს დადებითის წარმოჩენაც. ამასთანავე, უაღრესად სამწუხაროა, თუ მ. ჯავახიშვილის ბიოგრაფებმა, როგორც მ. ხომერიკი წერს, „სამართლიანად თუ უსამართლოდ დიდი უბედურება დაატეხეს თავს" მის ოჯახს.

მ. ხომერიკი მაშინაც მართალია, როცა წერს, რომ მ. ჯავახიშვილის ბიოგრაფები, მართლაც, ზოგჯერ გვერდს უვლიდნენ დიდი მწერლის ცხოვრებისეული პერიპეტიების ზოგი ამოუცნობი თუ საჩოთიროდ აღსაქმელი მხარეების გაშუქებას. მაგრამ ეს ეხება არამარტო მ. ჯავახიშვილის ბიოგრაფებს. რამდენადაც ცნობილია, არც მას დაუსახავს მიზნად მ. ჯავახიშვილის მიმართ დაშვებული საკუთარი ან თავისი წინაპრის შეცდომების გაშუქება.

ისიც მართალია, რომ მ. ხომერიკის ბაბუის, მწერალ იაკინთე ლისაშვილის მიმართ მ. ჯავახიშვილის ერთ-ერთი ბიოგრაფის, დიდი მწერლის ღირსეული ქალიშვილის ქალბატონ ქეთევანის შვილმა, რამაზ შიშნიაშვილმა თავის დროზე დაუშვა, ჩვენი აზრით, მიუტევე-

ბელი ქმედება. მან 1988 წელს გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში" საკუთარი შესავლით წინდაუხედავად გამოაქვეყნა დედის, ქეთევან ჯავახიშვილის წერილი „მიხეილ ჯავახიშვილი და სისხლის რასობრივი თეორია" (25 ნოემბერი). შესავალში ნათქვამია, რომ ერთხელ მწერალთა კავშირში მიმავალმა მ. ჯავახიშვილმა ორ შემხვედრ მწერალს მოუთხრო, რომ მისი სისხლის ანალიზით გამოვლინდა განსაკუთრებული, პირველი ჯგუფი, რის გამოც დიდი კმაყოფილება განუცდია. აქვე ნათქვამია, რომ მათ შორის ერთი მ. ჯავახიშვილის მეგობარი ვასო გიორგაძე ყოფილა. მეორეს კი მონათხრობის ავტორი მწერალთა კავშირში დაუსმენია. „მაშინ ისეთი დრო იყო, რომ ხალხი ერთმანეთის მიმართ ეჭვით იყო შეპყრობილი, — წერს ქეთევან ჯავახიშვილი, — ყველაფერს ეჭვის თვალით უყურებდა. ზოგი ამ მდგომარეობით სარგებლობდა, როგორც მამას შემთხვევაში მოხდა." აქვე გამოქვეყნებულ დოკუმენტებში ვკითხულობთ, თუ რაში მდგომარეობდა მ. ჯავახიშვილის „გაუბედურების სათავე". მეორე დამსწრე პიროვნება ყოფილა მწერალი იაკინთე ლისაშვილი (ხომერიკი), მაშასადამე, მანანა ხომერიკის ბაბუა. მას, როგორც კომუნისტს, მ. ჯავახიშვილის მონაყოლის გამო მწერალთა კავშირის პარტჯგუფის სახელზე განცხადება დაუწერია, ხოლო როცა მწერალთა კავშირის პარტჯგუფის იმდროინდელმა ლიდერმა, დ. დემეტრაძემ ეს საკითხი, ი. ლისაშვილის აზრით, სათანადო პრინციპულ დონეზე არ აიყვანა, იაკინთე ლისაშვილს ახალი განცხადებით საქართველოს კომპარტიის ცკ-ისათვის მიუმართავს. ამ ამბების გამო წერს ქალბატონი ქეთევანი: „მამას ცხოვრების ტრაგიკული დასასრული ლოგიკური დაბოლოება იყო მის გარშემო შექმნილი ვითარებისა. წლების მანძილზე მზადდებოდა აზრი იმის შესახებ, რომ მიხეილი არ იყო საბჭოთა მწერალი, რომ იგი მტრულად იყო განწყობილი საბჭოთა რეჟიმისადმი. ასეთმა გაუკუღმართებულმა დამოკიდებულებამ მიხეილ ჯავახიშვილის მიმართ 1937 წელს მიზანს მიაღწია." ამრიგად, რ. შიშნიაშვილმა იმ მიზნით, რომ ქ. ჯავახიშვილის მიერ მამის ცხოვრებისეული ინციდენტი და მისადმი იმჟამინდელი დამოკიდებულება სრულად დაეხასიათებინა, ი. ლისაშვილს გადაჭარბებული ბრალდება წაუყენა. ისე გამოვიდა, თითქოს ი. ლისაშვილის ამ დასმენამ მ. ჯავახიშვილის დაღუპვაში მართლაც გადამწყვეტი როლი შეასრულა, რაც მართალი არ არის. ამასთანავე, რ. შიშნიაშვილის წინასიტყვაობაში

ისიც ითქვა, რომ ქ. ჯავახიშვილის ამ წერილის შეტანა გადაწყვეტილი იყო დიდი მწერლის 110 წლისთავის გამო, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ მიერ გამოსაცემად ნავარაუდებ ახალ ნაშრომში — „მოგონებანი მამაზე“, რომელიც მწერლის ქალიშვილმა სიცოცხლის უკანასკნელ წლებში დატოვა.

ეს, ჩვენი აზრით, გაუმართლებელი მოქმედება, ლისაშვილების ოჯახისათვის, როგორც მოსალოდნელი იყო, შემზარავ ცნობად, ფართო მკითხველისათვის კი სენსაციურ ინფორმაციად გადაიქცა. ქალბატონმა მანანა ხომერიკმა მოგვითხრო, რომ ამ ამბავს შეეწირა მისი მამა, ხოლო მისმა ახალგაზრდა ვაჟიშვილებმა დიდი ბაბუის აღნიშნული მოქმედება მიიღეს უდიდეს ცხოვრებისეულ ტრავმად. ბავშვებმა იმ დროს არ იცოდნენ ამ ამბებთან დაკავშირებული გარემოებები და არც იმ გაუკუღმართებული ეპოქის ნიუანსებს იცნობდნენ. მსგავსი დასმენა თუ თავდაცვა, ანუ თავდაცვის მიზნით შეტევა იმ უაღრესად რთულ პოლიტიკურ სიტუაციაში ლამის მოდად დამკვიდრდა. ბავშვებმა კი არა, ზოგმა დიდმაც არ იცოდა, რომ 20-30-იან წლებში, ურჩი ადამიანების მართვის გაიოლების მიზნით, ურთიერთმოუთმენლობა მართლაც სახელმწიფოებრივად სტიმულირდებოდა. ამდენად, ადვილი მისახვედრია, რომ მ. ჯავახიშვილისა და ი. ლისაშვილის ინციდენტის შესახებ ცნობის გამოქვეყნებამ არა მარტო ამ ორი ოჯახის შთამომავლობა, არამედ მათი თანამგრძნობებიც დააპირისპირა. მ. ხომერიკმა, როგორც პროფესიით ისტორიკოსმა, მიზნად დაისახა მომხდარი ინციდენტის ნიუანსების გარკვევა. მას სტიმულს აძლევდა ისიც, რომ ემპირიულადაც ადვილი მისახვედრი იყო, რომ 1937 წლის დიდი ტერორის დროს ი. ლისაშვილის განცხადებები არ შეიძლებოდა გამხდარიყო დიდი მწერლის დაღუპვის უმთავრესი და, მით უმეტეს, ერთადერთი მიზეზ-საბაბი. აღნიშნულის მიხედვით, საკმაოდ ბუნებრივია მ. ხომერიკის დაინტერესება მიხეილ ჯავახიშვილის პოლიტიკური ცხოვრებით, მაგრამ მ. ხომერიკმა ამასთანავე მიზნად დაისახა, გამოეკვლია მ. ჯავახიშვილის ცხოვრების „შავი ლაქები“ და ამით რევანშისათვის ნაწილობრივ მაინც მიელწია. მას ამ მიმართულებით, ჩვენი აზრით, აქეზებდა ისიც, რომ მ. ჯავახიშვილი ბევრი ადამიანისათვის ძნელად აღსაქმელ, ზოგისთვის კი აშკარად მიუღებელ პიროვნებად გაცხადდა. დიდი ადამიანების გაგება, როგორც წესი, არაერთგვაროვანი და ხშირ შემთხვე-

ვაში წანააღმდეგობრივია ხოლმე. მხოლოდ ობივატელები ახერხებენ სიცოცხლეშივე გახდნენ „ყველასათვის" მისაღები პიროვნება.

მ. ხომერიკმა, როგორც პროფესიით ისტორიკოსმა, იშვიათი გულმოდგინება, დიდი შრომისმოყვარეობა და განსაკუთრებული ნიჭიერება გამოავლინა მ. ჯავახიშვილის ჩრდილოვანი მხარეების ძებნის მიმართულებით. საკმაოდ ბევრი იძია (არ არის გამორიცხული, რომ მან ამ შრომატევად საქმეში სხვისი ნამუშევარიც გამოიყენა), მ. ჯავახიშვილის ცხოვრებისეულ პერიპეტიებთან დაკავშირებული მრავალი წყარო შეისწავლა და წიგნის გამოცემამდე რამდენიმე წერილი გამოაქვეყნა. ამ პუბლიკაციებით მ. ხომერიკმა საკუთარი პოზიციებიდან მ. ჯავახიშვილის 1921-1924 წლების პოლიტიკური ბიოგრაფია აშკარად მრუდედ წარმოაჩინა, ხოლო მთელ რიგ საკითხებში მ. ჯავახიშვილის ბიოგრაფებს ზოგჯერ სიმართლეც მიუთითა, მაგრამ უფრო ხშირად გაღმაც შეედავა. ამას მოწინააღმდეგე მხარის პუბლიკაციები მოჰყვა, და ბოლოს, მ. ხომერიკის აზრით, „დადგა ჟამი უბნობისა." მაგრამ მ. ჯავახიშვილის 1921-1924 წლების პოლიტიკური ცხოვრების გამრუდებულ გაშუქებასთან დაკავშირებით ეს „ჟამი უბნობისა" მოამზადა არა სუკის არქივის დაწვის გამო მოწინააღმდეგე მხარის გააქტიურებამ, როგორც ამას მ. ხომერიკი აცხადებს, არამედ ნ. კირთაძის მიერ სუკის არქივში შეკრებილი დოკუმენტების მეცნიერული კომენტარების გარეშე გამოქვეყნებამ და ამ გახმაურებული წიგნის ავტორის მიერ დაშვებული შეცდომების გამოყენების შესაძლებლობამ. იმავე წელს, როცა ნ. კირთაძემ თავისი წიგნი გამოაქვეყნა, მ. ხომერიკის წიგნიც გამოქვეყნდა. ასე დადგა „ჟამი უბნობისა" როგორც ზემოთ ითქვა, მ. ხომერიკის წიგნში შეტანილია სიტყვები: „**P.S.** წიგნი გამოსაცემად მზად მქონდა, როდესაც გამოქვეყნდა ისტორიკოს ნესტან კირთაძის მონოგრაფია... რომელთა შორის არის მ. ჯავახიშვილის მიერ 1923 წელს ჩეკასათვის მიცემული რამდენიმე ჩვენება." და სწორედ ამ ჩვენებების თავისებური, არასწორი გაგება გახდა დამატებითი საბაბი მ. ჯავახიშვილის 1921-1924 წლების პოლიტიკური ცხოვრების შემდგომი გამრუდებისა. ამ დროს მ. ხომერიკს წიგნი მზად რომ არა ჰქონოდა, იგი ვერ მოახერხებდა ნ. კირთაძის საკმაოდ რთულად შესამეცნებელი წიგნის კვლევითი ნაწილის და მით უმეტეს მასში შეტანილი კიდევ უფრო ძნელად გასაგებელი ჩვენებების ესოდენ ოპერატიულად მომარჯვებას. მაგრამ,

წინასწარი მიზანდასახულობის და სიჩქარის გამო, ისე მოხდა, რომ მ. ხომერიკმა ნ. კირთაძის შეცდომები და მის მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტების ინფორმაციული სიღრმე ვერ დაძლია. არც არის გასაკვირი. იგი, როგორც თვითონვე აღნიშნავს, ისტორიის ამ საკითხების სპეციალისტი არ არის (იხ. მ. ხომერიკი, უსაბუთო მსჯელობის გამო, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 1999, 19 ნოემბერი), მაგრამ ნ. კირთაძის დოკუმენტებს საკუთარ წიგნში მთელი 25 გვერდზე (10-34) მეტი დაუთმო და მ. ჯავახიშვილს ამით „თანამოაზრე-თანამებრძოლების და სამშობლოს მოღალატის" ყალბი იარლიყი დაჰკიდა. ჩვენ ამ უმართებულო ბრალდებების შესახებ კონკრეტული კვლევის პროცესში ნაწილობრივ უკვე მივუთითეთ, ამასთან აღვნიშნეთ, რომ ქვემოთ ზოგი მათგანის შესახებ სათანადო დამატებითი მსჯელობა გვექნებოდა. აქ აუცილებელია ითქვას, რომ, სამწუხაროდ, მ. ხომერიკმა, მისი აზრით, მ. ჯავახიშვილის „ბრალეულობათა დამამძიმებელი" თითქმის ყველა შემხვედრი ცნობა გამოიყენა.

1937 წელს „მიხ. ჯავახიშვილს გაუხსენეს, რომ იგი იყო წევრი პარიტეტული კომიტეტისა, რომელიც 1924 წლის აჯანყებას ხელმძღვანელობდა, – წერს მ. ხომერიკი და დასძენს, – ცნობილია, რომ კომიტეტის წევრები დახვრიტეს, მიხ. ჯავახიშვილი კი, როგორც გერონტი ქიქოძე წერს, „გაამართლეს, რის შემდეგ იგი სრულიად სხვა კომიტეტის წევრად გვევლინება, სახელდობრ, ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა, რომელსაც ფილიპე მახარაძე ხელმძღვანელობდა" (გვ. 40). მ. ჯავახიშვილის „პარიტეტული კომიტეტის" წევრობას მ. ხომერიკი თავის წიგნში ნარატიულ წყაროებზე დაყრდნობით არაერთგზის გვახსენებს (გვ. 40, 70, 89). მაშასადამე, მისი „ცოდვების" სათავე სადღაც 1923-1924 წლებში იძებნება. მაგრამ სინამდვილეში ეს პატივი მ. ჯავახიშვილისთვის არასოდეს უბოძებიათ. იგი იყო არა 1924 წლის „პარიტეტული კომიტეტის", არამედ ნ. ხომერიკის დროინდელი „სამხედრო კომისიის" წევრი და ისიც, როგორც ვნახეთ, ოპოზიციონერი, რომელიც არ იზიარებდა უდროო და დამღუპველი შეიარაღებული აჯანყების ორგანიზებას. მაშასადამე, მთელი ეს მსჯელობა მ. ხომერიკს მ. ჯავახიშვილის, როგორც პოლიტიკოსის, დასაკნინებლად სჭირდება. მან, ამასთანავე, დიდი მწერლის ეს ვითომ „მოღალატეობა" მისი შემდგომი (1924-1937 წწ.) თითქოს უზნეო ქმედებების გაგების საფუძვლად აქცია. ამის გამო მსჯელობა

უფრო საგნობრივად მაშინ გვექნება, როცა გამოვაქვეყნებთ შემდგომი და 30-იანი წლების საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების ამსახველ ჩვენს სპეციალურ მონოგრაფიებს. მაგრამ აქ წინასწარ შეიძლება აღინიშნოს, რომ მ. ხომერიკი მ. ჯავახიშვილის ამ პერიოდის ქმედებების წარმოჩენის დროსაც ბევრს სცოდავს. იგი წერს: „მ. ჯავახიშვილი მკაცრად მოითხოვდა იმ ხალხის სიკვდილით დასჯას, რომელიც ჩვენ საყვარელ ბელადებს მოკვლით ემუქრებოდა" (გვ. 55). ეს იყო 1937 წლის იანვარი და ეს მართლაც ის მტრები არიან, რომლებმაც განაპირობეს საქართველოს დამოუკიდებლობის ხელყოფა (ზინოვიევი, კამენევი, ბუხარინი, რიკოვი, ტროცკი და სხვ.). თანაც ეს იყო იძულებითი განცხადება. დიახ, მსგავს განცხადებას არა ერთი ჩვენი სათაყვანებელი მამულიშვილი აკეთებს (იხ. ა. დაუშვილი, თბილისი, 1937, გვ. 57. ჩამოთვლილი ჰყავს: „ნ. მუსხელიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, გ. ახვლედიანი, დ. უზნაძე, ი. აბულაძე და სხვები", აგრეთვე: „ბ. ტაბიძე, კ. გამსახურდია, კ. ნადირაძე და სხვები"). მაგრამ ამ დროს ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ საქართველოს ობიექტური თუ სუბიექტური მტრების მიმართ წამოწყებული რეპრესიები ჩვენი და სხვა ერების პატრიოტებზეც გავრცელდებოდა. ამიტომ ამ სამწუხარო მოვლენის კერძო გამოვლინებად ან კომფორმიზმად წარმოჩენა სწორი არ არის. იგი მკვლევარ ავტორთა გაურკვევლობის მაჩვენებელი უფროა, ვიდრე სამწუხაროდ წარმოსაჩენი მაგალითი. მ. ხომერიკი საგანგებოდ წარმოაჩენს იმ ფაქტს, რომ მ. ჯავახიშვილმა მოღალატედ მოიხსენია ლ. გასვიანი (გვ. 58), მაგრამ ეს იყო ჩეკას მიერ ვითომ მოღალატედ უტყუარად „დასაბუთებული" ლ. გასვიანისაგან მ. ჯავახიშვილის და მრავალ სხვათა ანტისაბჭოური მოქმედების გამო წამებით გამოძალული ჩვენებებისგან თავის მართლება. ამის გაგება ჩეკას არქივის სათანადო დოკუმენტების მცოდნე მ. ხომერიკს არ უნდა გასჭირვებოდა. დიახ, „მეტად საყურადღებო ფაქტია, რომ მ. ჯავახიშვილს ი. ლისაშვილი არ უხსენებია და მის მიმართ უნდობლობა არ გამოუთქვამს" (იხ. მ. ხომერიკის დასახელებული პუბლიკაცია, გვ. 58). არა და, ჩვენი მოსაზრების საწინააღმდეგო, გაუკუღმართებული ლოგიკით, მ. ჯავახიშვილს ჩვენებაში შურისძიება თუ სჭირდებოდა, იგი ი. ლისაშვილით უნდა დაეწყო. ასევე საეჭვოდ მიგვაჩნია მ. ხომერიკის აზრი: „ლევან გარსიაშვილის და ბეგლარ ფაღავას მხოლოდ მ. ჯავახიშვილის ჩვენების საფუძველზე დაბრალდათ

ჯაშუშობა“ (გვ. 62). ჩეკისტებს შეეძლოთ მრავალი პიროვნებისთვის თუნდაც ერთი, ვითომ ჩვენების ჩამატებით და ვითომ ჩვენების მაგალითით ბევრად უფრო დამაჯერებელი ბრალდების წაყენება ნებისმიერი პატიმრისათვის, რომლის განადგურებაც კი სურდათ. ამის მაგალითი ჩეკისტურად შეთითხნილ დოკუმენტებში უამრავი გვხვდება და მათ ფრთხილი დამოკიდებულება სჭირდება და არა მათი ოჯახის წევრებთან მიტანა ან გამოქვეყნება. მაგალითად, ს. ყაუხჩიშვილმა დაგვარწმუნა, რომ 1938 წელს, როცა მისი დაკითხვა ხდებოდა, გამომძიებელი კრიმიანი დაინტერესებულა მისი ადრინდელი ცხოვრებითა და საქმიანობით, შესაბამისი კითხვებიც დაუსვამს. შემდეგ კი აღმოჩნდა, რომ მას პატიმრის მიერ მიწოდებული ცნობები მეგობრების, მასწავლებლების და სხვათა მიმართ ბრალეულობათა შესათითხნად გამოუყენებია (იხ. გ. ციციშვილი, ჩეკისტური ბრალდებები შალვა ნუცუბიძის მიმართ და მათი დოკუმენტურ-ანალიტიკური კომენტარები, გვ. 183-184). ერთი რამ ცხადია, მ. ჯავახიშვილის ვითომ ბრალეულობები ჩეკისტების მიერ დიდი ხნით ადრე ითითხნებოდა. მაგალითად, შ. ნუცუბიძის სამძებრო საქმეებში გვხვდება „სრულიად საიდუმლო“ ჩეკისტური „ცნობა“, რომელსაც ხელს აწერს უბედურებათა მთესველი ჩეკისტი სავიცკი. მასში დაფიქსირებულია ერთ-ერთი დიდი ქართველი მოღვაწის და მ. ჯავახიშვილის ადრინდელი პარტიული თანამებრძოლის „ა. ა.“-ის 1937 წლის 10-11 ივნისის ჩვენების ამონარიდი. აქ ნათქვამია: „Обязанности между членами „Грузинского национального центра“ были распределены: Джавахишвили Михаил – насаждение к-р. ячеек среди работников искусства и руководство ими. Проводил он эту работу при непосредственной помощи Гамсахурдия и профессора Нуцубидзе Шалвы“ (სუკის არქივი, №31221, ტ. 1, ფ. 4). ამ დროს მ. ჯავახიშვილი და შ. ნუცუბიძე ჯერ კიდევ არ არიან დაპატიმრებულები. მაგრამ არც ეს იყო მათი შემდგომი გაუბედურების სათავე. იგი უფრო შორიდან მოდიოდა. საკითხავია, სწორი იქნებოდა, ეს ამონარიდი მ. ჯავახიშვილის, კ. გამსახურდიას და შ. ნუცუბიძის ოჯახის წევრებისთვის რომ მიეტანათ და მისით ეთამაშათ? არა და, ხომ შეიძლებოდა ამ და მსგავსი დოკუმენტებით ზოგიერთივით იმდროინდელ პრეზიდენტთან ბატონ ზვიად გამსახურდიასთან სასურველი კონტაქტის წამოწყება. მაგრამ ეს ამონარიდი მის გამომვლენ მკვლევარს არც პრეზიდენტის და არც ნუცუბიძეებისათვის

უჩვენებია. მკვლევრისათვის გასაგები იყო, რომ უამრავი დოკუმენტით „მაოხრებელი მკვდრის“ როლს ჩეკა ასრულებდა. და ამიტომ მკვლევრებს მეტი წინდახედულობა ესაჭიროებათ. შ. ნუცუბიძემ კი, როგორც მისი ქალიშვილის, თამარ ნუცუბიძის პუბლიკაციიდან ჩანს, „ჩამშვების“ საჯარო რეაბილიტაციის დროს სიკეთით გაიბრძოლა. ამ დროს შ. ნუცუბიძის სატელევიზიო სიტყვაც კი გამოუთიშეს (იხ. თ.ნუცუბიძე, შალვა ნუცუბიძე, მეცნიერის გზა, თბ., 1988, გვ. 26). არა და, მას არ შეიძლებოდა არ სცოდნოდა, რომ ამ საბრალდებო „ცნობაში“ დაფიქსირებულმა სიყალბემ 1938 წელს მას სერიოზული საფრთხე შეუქმნა. აი კაცობა.

ერთი რამ ფაქტია, 1921-1923 წლების ანტისაბჭოთა მოძრაობისა და კ. მისაბიშვილის, აგრეთვე მ. ჯავახიშვილის გაგების საკითხში, როგორც ვნახეთ, ნ. კირთაძე და მ. ხომერიკი, მათი ნააზრევის გარკვეული განსხვავების მიუხედავად, თანამოაზრეები არიან. ამის მიზეზია ნ. კირთაძის მიერ 1921-1924 წლების ანტისაბჭოთა არალეგალური ბრძოლის ისტორიის ნიუანსებში გაურკვევლობა, კ. მისაბიშვილის „ჩეკას ჯაშუშად“ დაუმსახურებლად გაზვიადება, ხოლო მისი უახლოესი თანამოაზრე-თანამებრძოლისა და უფროსი მეგობრის მ. ჯავახიშვილის საჩოთირო პოლიტიკოსად გაგება, ხოლო მ. ხომერიკის მიერ გ. ქიქოძის, სხვათა პუბლიკაციებში ასახული ტენდენციური ნააზრევისა თუ შეცდომების, ამასთანავე ნ. კირთაძის გამოქვეყნებული დოკუმენტების და ზოგი არამართებული კომენტარის, აგრეთვე შეცდომების გამოყენება „მ. ჯავახიშვილის ბიოგრაფების“, განსაკუთრებით რ. შიშნიაშვილის წინააღმდეგ და იმის დასაბუთების მცდელობა, რომ ი. ლისაშვილმა საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად, ადრე ვითომ თანამებრძოლების მიერ ლიკვიდატორ „მოღალატედ“ გამჟღავნებულ, „ქაქუცას არ დანმდობს“, „ნ. ხომერიკის დამღუპველს“, და იქნებ პროვოკაციის მიზნით „სისხლის რასობრივი თეორიის“ მთხრობელს მ. ჯავახიშვილს „დაასწრო, თავად უჩივლა“ და ამით თავისი სიცოცხლე დაიზღვია (გვ. 45).

თითქოს ყველაფერი გასაგებია: ნ. კირთაძემ იშრომა როგორც შეეძლო, მ. ხომერიკმა საკუთარი ბაბუის და ოჯახის პრესტიჟი დაიცვა. ამიტომ იქნებ აღარც ღირდა ამის გამო დამატებითი თხრობა და უსიამოვნო ამბების „გაქექვით“ ისედაც დაძაბული „ატმოსფეროს“ კიდევ უფრო დამძიმება. მაგრამ რა გვექნა?! ორივე ავტორს და ბევრ

სხვას არაერთხელ მივუთითეთ დაშვებული შეცდომების გამო, მათ კი ეს უსაფუძვლო კადნიერებად ჩაგვითვალეს. ჩვენ პატივს ვცემთ ყველა წინამორბედ მკვლევარს, მაგრამ რა ვუყოთ ჩვენი ეროვნული მოძრაობის ისტორიის დამახინჯებას?! არა და, ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობის ისტორიის მეცნიერული შესწავლა, ფაქტობრივად, ახლა იწყება. ბევრი მეცნიერი-პედაგოგი იმ სწორ აზრსაც გამოთქვამს, რომ ჩვენს საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში საჭიროა ჩვენი უახლესი პოლიტიკური ისტორიის, კერძოდ, ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობის ისტორიის გაძლიერებული სწავლება და კონკრეტულ-ისტორიული გამოცდილების ცოდნით ჩვენი საზოგადოების მომავალი მშენებელი თუ მმართველი ძალის, ანუ ახალგაზრდობის შეიარაღება. მიაჩნიათ, რომ სამშობლოსათვის მებრძოლი გმირი წინაპრების ცხოვრებისეული გამოცდილების და მამულიშვილური თავგამოდების წარმოჩენით და ერის ინტერესებისათვის რაციონალური ბრძოლის მიმდინარეობათა სიღრმისეული გააზრებით შეიძლება თავი დავაღწიოთ ექსტრემიზმს, ანუ მოქმედებას დროსა და სივრცესთან, ე.ი. საერთაშორისო კონიუნქტურასა და ჩვენი სამშობლოს გეოპოლიტიკურ მდგომარეობასთან, აგრეთვე ჩვენი და სხვა ხალხების ფსიქიკურ განწყობილებასთან მიუსადაგებლად. ისმება კითხვა: როგორ დავაღწიოთ თავი პოლიტიკურ ძალთა შიდაეროვნულ განხეთქილებას, თუ არ გვექნება ისეთი ფუნდამენტური გამოკვლევა, რომელშიც გაშუქებული იქნება ისტორიის მწარე გამოცდილება?! ასეთი წიგნი კი წინამორბედი მკვლევრების პუბლიკაციებში ასახული კონკრეტული, სერიოზული ხარვეზების შეხების გარეშე ვერ დაიწერებოდა. ამასთანავე, ისიც საკითხავია, როგორ უნდა მოხერხდეს ჩვენი პოლიტიკური ცხოვრების პერსპექტიული პროგნოზირება, თუ არ გვეცოდინება მწარე სიმართლე ისტორიის უახლესი წარსულიდან?! საკითხავია, როგორ დავტოვოთ გაუცნობიერებლად იმ დიდი ადამიანების უმართებულოდ გალანძღული პოლიტიკური და შემოქმედებითი ღვაწლი, რომელთაც წლების მანძილზე უსაზრდოებიათ ჩვენი ეროვნული თვითშეგნება?! და ბოლოს, წინამდებარე გამოკვლევამ ხომ ნათლად გვიჩვენა, თუ რაოდენ მტკივნეული და საშიში შეიძლება გახდეს საბელმწიფოებრივ-პოლიტიკური მიზანდასახულობით შექმნილი, რთული სიტუაციების სიღრმისეული გამოკვლევა, გაგება-გათვალისწინების გარეშე წარსულის მწარე გამოცდილების გაშუქება. წარსულში ჩადებული პოლი-

ტიკანური მექანიზმის აუხსნელობამ და მისი დამღუპველი შედეგების გაუთვალისწინებლობამ მრავალგზის დაგვატეხა თავს ეროვნული უბედურება. მაგრამ მას ჯერაც არ დაუკარგია ინერციის ძალა და ამიტომ აუცილებელია წინამორბედთა კვლევის ხარვეზების დაძლევა.

დროა, ჩვენი წარსული ისტორია გავიცნობიეროთ სრულყოფილად, თეორიულად და გამოვიყენოთ პოლიტიკურად, პრაქტიკულად და დიდაქტიკურად. მან უნდა აღგვიდგინოს მოყვასის მიმართ მორიდება, პატივისცემა და სიყვარული, უნდა გვასწავლოს მეტი დაკვირვება და წინდახედულება. ჩვენი ღრმა რწმენით, წინამდებარე წიგნი წაადგება პოლიტიკური პარტიების ლიდერებს შეურიგებელი დაპირისპირების დამღუპველი შედეგების გაცნობიერებასა და შიდაეროვნული განხეთქილების დაძლევაში. მიგვაჩნია, რომ ამ მიმართულებით წინამდებარე წიგნმა შეიძლება სასიკეთო ფიქრები აღგვიძრას. დიახ, ეროვნული თანხმობის მიღწევა შეიძლება.

და ბოლოს, ისმება კითხვა: მ. ჯავახიშვილის და კ. მისაბიშვილის, სამშობლოს ორი დიდი პატრიოტის პოლიტიკური ბიოგრაფია როდემდე უნდა შეეწიროს ჩვენს ურთიერთმოუთმენლობას და პოლიტიკანობას? აი, ამ კითხვაზე პასუხის მოთხოვნილებამაც გვაიძულა წინამდებარე მონოგრაფიაში მწარე, მაგრამ აუცილებლად გასათვალისწინებელი სიმართლეც წარმოგვეჩინა. ჩვენ არ გამოვრიცხავთ, რომ მწარე სიმართლეს ჩვენს მიმართ არანაკლებ მწვავე რეაქციაც მოჰყვება. მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ დაინტერესებული, ობიექტური მკითხველი ყველაფერს გაიგებს და „ცხენი შესაკაზმი" არ გაგვიხდება.

თბილისი, 2001 წ.
ნოემბერი.

P.S. გულწრფელად მსურს, რომ ლისაშვილებსა და ჯავახიშვილებს შორის აღმოცენებული ურთიერთდაპირისპირება გასულ საუკუნეს გაჰყვეს, ხოლო სხვებისთვის დამაფიქრებელ გაკვეთილად გამოდგეს. ამ მიზნით საჭიროდ მესახება ორივე მხარის სასარგებლო, ორიოდე დამატებითი საყურადღებო ფაქტის წარმოჩენა. როგორც ცნობილია, მ. ჯავახიშვილსა და ი. ლისაშვილს შორის ინციდენტი 1935 წლის ზაფხულში მოხდა. მაგრამ ჯერ კიდევ მანამდე ი. ლისაშვილი გამოექომაგა მ. ჯავახიშვილს, რომელიც საქართველოს კომპარტიის იმდროინდელმა ცკ-ის მდივანმა, პარტიულ-პოლიტიკანური

კონიუნქტურის მოთხოვნებიდან გამომდინარე, მემარჯვენე მწერალთა შორის მოიხსენია. მანვე ი. ლისაშვილი მ. ჯავახიშვილის მიმართ კეთილშობილური მხარდაჭერის გამო პროლეტარულ მწერალთა შორის არსებულ მემარჯვენეთა წარმომადგენლებს მიაკუთვნა (1931წ.). ამის შემდეგ ქართველ მწერალთა კომფრაქციამ შეამოწმა ი. ლისაშვილის ხელმძღვანელობას დაქვემდებარებული გამომცემლობა „ფედერაცია" (1932წ.). სპეციალურ სხდომაზე, სადაც ეს საკითხი იხილებოდა, ი. ლისაშვილი, როგორც დაგმობილი კომუნისტი, სასტიკად გააკრიტიკეს „ამხანაგმა" კომუნისტებმა. ერთმა თქვა: „ფედერაციის" შტატი გაბერილია." მეორემ „საფინანსო დარგის საქმიანობა" მიიჩნია საეჭვოდ და მისი გამოკვლევა მოითხოვა. მესამემ „საფინანსო დარგი არეულიაო", მეოთხემ კი განაცხადა: „გამომცემლობა კატასტროფულ მდგომარეობაშია, გაუპიროვნებას აქვსო ადგილი, პასუხისმგებელი მუშაკები უყაირათოდ იქცევიან, ფინანსური დარგი არეულ-დარეულია და გარღვევები შეინიშნებაო." მეხუთემ ყველას გადააჭარბა – „ლისაშვილი სუსტად მუშაობს, ახალი კადრების აღზრდაში არაფერია გაკეთებულიო." ეს ყველაფერი მინიმუმ იმას ნიშნავდა, რომ ი. ლისაშვილი „ფედერაციის" ხელმძღვანელობისთვის უნდა ჩამოეშორებინათ და პარტიული სასჯელიც არ ასცდებოდა. მაგრამ რატომღაც გადაუწყვეტიათ „სადუქნო კომისიის" გამოყოფა, რომელსაც დაევალა მდგომარეობის შემდგომი, საფუძვლიანი გამორკვევა. ამ კომისიის სამ წევრს შორის პირველი, ალბათ, როგორც ეკონომიკის მცოდნე, მოხსენიებულია მ. ჯავახიშვილი (ლხცსა, ფ. 8, აღ. 2, ს. 19, ფ. 1-6). შემოწმების შემდეგ მ. ჯავახიშვილს დადებითი დასკვნები წარუდგენია და ი. ლისაშვილისათვის სიტყვიერადაც უთქვამს: „თქვენ საკვლევით ჯანსაღი ფინანსური მდგომარეობა გქონიათ." ამის შემდეგ გამომცემლობა „ფედერაციას" და ი. ლისაშვილს ახალი უსიამოვნება დაატეხეს. ეს იმაში გამოიხატა, რომ საქართველოს მთავლიტის და ჩეკას ერთობლივმა კომისიამ, რომელიც ბიბლიოთეკებსა და გამომცემლობებში ანტისაბჭოთა ლიტერატურის გამოვლინებისათვის მუშაობდა და უამრავი „მავნე ლიტერატურა", მათ შორის ქართველი კლასიკოსების ზოგი ნაწარმოები, კერძოდ, ი. გოგებაშვილის „იავნანა რა ჰქმნა", როგორც ნაციონალისტური მოთხრობა, „ამოიღო". ამ დროს გამომცემლობა „ფედერაციის" სისტემის წიგნის გამავრცელებელსაც აღმოუჩინეს „დანაშაული". ეს იყო ჯონ რიდის წიგნი „10 დღე, რომე-

ლმაც შეძრა მსოფლიო." ამის გამო პარტიის თბილისის კომიტეტმა ი. ლისაშვილს საყვედური 1935 წლის მაისში, ჯერ კიდევ მანამდე გამოუცხადა (იხ. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 300, აღ. 1, ს. 20, ფურც. 17, 19, 103, 113), ვიდრე ამ კურიოზულ ამბავში გაერკვეოდა და გაიგებდა, რომ თუ-რმე ეს წიგნი საბჭოთა კომუნისტური ბეჭდვითი სიტყვის შედევრი ყოფილა და ამ წიგნის შესავალიც ლენინმა და კრუპსკაიამ დაწერეს. არა და, ასეთი შემთხვევების მიზეზი ის იყო, რომ მკაფიოდ არ იყო მითითებული, რა იყო ანტისაბჭოთა ტროცკისტულ-ზინოვიევური, ნაციონალისტური და კონტრრევოლუციური. პასუხისმგებლობას კი სასტიკად მოითხოვდნენ. მაგრამ ქართველი ინტელიგენციის ფსიქო-ლოგიურ განწყობილებაზე განსაკუთრებით მძიმე შთაბეჭდილება მა-ინც 1934 წლის 1 დეკემბერს, კიროვის მკვლელობის შემდგომმა იმ პოლიტიკურმა რეპრესიებმა მოახდინა, რომელიც ჩვენში ე.წ. „ნაპო-სტუველობის" ანტიპარტიულ და ანტისაბჭოთა ვითომ ქართული მი-მდინარეობის (ვარდინ-მგელაძე, პ. ქიქოძე, ფრ. ნაროუშვილი, შ. შა-ვგულიძე) და ქართველ ნაციონალისტ-ფაშისტად შერაცხული ახა-ლგაზრდა მწერლის გ. შატბერაშვილის გამოაშკარავება-დარბევის გამო 1935 წლის დასაწყისში გაიშალა. სასტიკი პოლიტიკური ტე-რორით, სისტემატური დევნითა და უსამართლობით გამოწვეული ფსიქოლოგიური სტრესების გამო ბევრ სახელოვან მწერალს ცდომი-ლება მოსვლია, ზოგს კი თავის მოკვლაც არაერთგზის გადაუწყვე-ტია. არა მგონია საჭირო იყოს ამის საილუსტრაციო საარქივო დო-კუმენტების მოხმობა, მით უმეტეს, რომ ასეთი დოკუმენტი მავანის პოლიტიკანური მიზანდასახულობით ერთხელ უკვე გამოქვეყნდა. აი ასეთმა ფსიქოლოგიურ-პოლიტიკურმა კლიმატმა არაერთ ინტელი-გენტ-კომუნისტს უბიძგა გადაჭარბებული პარტიულ-პოლიტიკური სიფხიზლე გამოევლინა. ასეთი მაგალითების შესახებ საუბარი სხვა დროს სპეციალურ პუბლიკაციაში გვექნება.

მეორე მხრივ, გასათვალისწინებელია, რომ როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, რ. შიშნიაშვილის მიერ 1988 წელს გაზეთ „ლიტე-რატურულ საქართველოში" გამოსაქვეყნებლად გადაცემული მ. ჯა-ვახიშვილის წერილი სისხლის რასობრივი თეორიის და ინციდენტის შესახებ ქალბატონ ქეთევანს მომზადებული ჰქონია იმ სახით, რო-მლის დროსაც ვ. გორგაძის თანმხლები მეორე მწერალი, იაკინთე

ლისაშვილი, აღნიშნული ყოფილა არა სახელითა და გვარით, არამედ **ასოთი** – X. მაგრამ ეს წინდახედულება, როგორც რ. შიშნიაშვილმა გვითხრა, მისი ინიციატივის გარეშე, რედაქციაში იმ მოტივით დაურღვევიათ, რომ უფიქრიათ, X-ის ქვეშ ვაი თუ მკითხველმა ერთი თანამედროვე ცნობილი, ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებთან მდგარი მწერალი იგულისხმოსო. ამ შემთხვევაში, როგორც ჩანს, რ. შიშნიაშვილსაც სათანადო წინდახედულობა ვერ გამოუჩენია. ბოლოს კი ის გამოვიდა, რაც უთუოდ ინციდენტის მონაწილე არც ერთ მწერალს არ მოეწონებოდა. სწორედ ამაზე იტყვიან: „შარო საიდან მოდიხარ?!" ამ ნათქვამს ნაწილობრივ მაინც ადასტურებს ის, რომ როდესაც 2000 წელს რ. შიშნიაშვილმა დედის ანდერძი აღასრულა და მისი „მოგონებები მამაზე" გამოსცა, ქალბატონ ქეთევან ჯავახიშვილის 1988 წლის ვარიანტი აღადგინა (იხ. გვ. 430-434). ამას ახლა უკვე ნაკლები ღირებულება აქვს, მაგრამ მაინც კეთილი „ჟესტის" გამოვლინებაა. საერთოდ კი როგორც მიხეილ ჯავახიშვილის აღნიშნულ ბიოგრაფს, ისე მოწინააღმდეგე მხარეს შეიძლება ვუსაყვედუროთ წინდაუხედაობაში. ვიმედოვნებთ, რომ ეს სამწუხარო შემთხვევა მომავალში სხვისთვისაც გასათვალისწინებელი იქნება.

მაშასადამე, 1921-1923 წლების ანტისაბჭოთა ქართული ეროვნული მოძრაობის ისტორიის სიღრმისეული პროცესების გამოკვლევამ შეგვაძლებინა თვალსაჩინო მამულიშვილების, მათ შორის, მიხეილ ჯავახიშვილის ეროვნულ-პატრიოტული მოღვაწეობის ურთულესი პერიოდის მეცნიერული ახსნა.

სათანადო ისტორიის წყაროების მობილიზებამ, თემის გარშემო არსებული ლიტერატურის კრიტიკულ-ანალიტიკურმა შესწავლა-გამოყენებამ და საქართველოს 1921-1923 წლების პოლიტიკური პროცესების, აგრეთვე 20-იანი წლების ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობის ისტორიის შესწავლამ და ნამდვილი, უტყუარი ისტორიის წარმოჩენამ დაბეჯითებით დაგვარწმუნა, რომ:

1. კონკრეტულმა ისტორიულმა პროცესებმა განაპირობა 1921-1923 წლების, ანტისაბჭოთა ქართული ეროვნული მოძრაობის პირველი ეტაპის თავისებურება. ამ დროს სამშობლოს სუვერენიტეტისათვის მებრძოლი მამულიშვილების ბრძოლას, ქვეყნის საშინაო და საერთაშორისო მდგომარეობის სწორი გათვალისწინების გამო, მხოლოდ მოსამზადებელი ხასიათი ჰქონდა;

2. ანტისაბჭოთა ქართული ეროვნული მოძრაობის პირველი ეტაპის კონკრეტული ისტორიის პროცესების გამოწვლილვით შესწავლამ დაგვანახა, რომ 1923 წლის მარტისათვის ჩვენს რესპუბლიკაში შეიქმნა სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური სიტუაცია, რომლის დროსაც გარდაუვალი გახდა არალეგალურ ექსტრემისტულ ბრძოლაზე უარის თქმა და ეროვნული ინტერესებისათვის მშვიდობიანი მეთოდებით ბრძოლა;

3. ანტისაბჭოთა ბრძოლის ახალი ეტაპის შესაბამისი, მშვიდობიანი ბრძოლის ტაქტიკის შემუშავება-გატარების აუცილებლობა გაუგებარი გახდა ექსტრემისტული ბრძოლის მეთოდებით გატაცებული მამულიშვილებისათვის და ამიტომ ლეგალური, მშვიდობიანი, კომპრომისული ანტისაბჭოთა მოღვაწეობა ამ ფიცხი მამულიშვილების მიერ შეცდომით სამშობლოს ინტერესების ღალატად შეფასდა;

4. სინამდვილეში კი კონკრეტულ რეალობაში, ექსტრემისტული ტაქტიკით ბრძოლაზე უარის თქმა ისტორიული მომენტის აუცილებლობას წარმოადგენდა. ამ სინამდვილის გაუგებრობამ განაპირობა ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობის პირველი ეტაპის მწვავე პრობლემები.

ამ ცოდნის საფუძველზე შესაძლებელი ხდება ეროვნული მოძრაობის შემდგომი, 1923-1924 წლების, ეტაპის ანალიზი და მისი სიღრმისეული გაშუქება. ამ ამოცანის გადაჭრას კი ჩვენი მომდევნო წიგნი ეძღვნება.

დოკუმენტები და მათი კომენტარები

ჩეკას საინფორმაციო ბლანკის ნიმუში

№№ по порядку	Фамилия, имя и отчество.	Возраст	Социальное положение	ОБРАЗОВАНИЕ	Советская служба и должность	Время вступления в партию	Какое положение или должность занимает в партии и каким пользуется влиянием.	К какому течению принадлежит	Активен или нет	АДРЕС	Примечание.

(სუკის არქივი, საქმე №41, ფ. 34.).

კომენტარი: ჩეკისტური საინფორმაციო ბლანკიდან ჩანს, რომ ჩეკა დაინტერესებული იყო იმითაც, თუ რომელ ანტისაბჭოთა მიმდინარეობას მიეკუთვნებოდა კონკრეტული პიროვნება. ჩეკისტური დოკუმენტებიდან ჩანს, რომ განსაკუთრებული ყურადღება ჰქონდა დათმობილი ხელისუფლების მიმართ ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლის არა მარტო გარკვეული მიმდინარეობისადმი კუთვნილების გამორკვევას, არამედ აგრეთვე მოცემული პიროვნების და, საერთოდ, ამა თუ იმ მიმდინარეობისადმი ჩეკას დამოკიდებულების გამომუშავებას. ამიტომ ეროვნული მოძრაობის ისტორიკოსთა უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობის შიდაპარტიული და პარტიათაშორისი ძირითადი მიმდინარეობების – ა. არალეგალური ექსტრემისტული, ბ. ექსტრემისტულ-ავანტიურისტული, გ. რადიკალური, დ. ლეგალური-ლიბერალური ანუ კომპრომისული – საქმიანობის შესწავლას, თითოეული ამ მიმდინარეობის მიმართ ხელისუფლების და უშიშროების ორგანოების დამოკიდებულების გამოკვლევას. ამის გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობის ისტორიის საფუძვლიანი შესწავლა-გაშუქება.

СПИСОК

ЧЛЕНОВ ЦЕНТРАЛЬНОГО /ФЕДЕРАТИВНОГО/ КОМИТЕТА ГРУЗИНСКИХ СОЦИАЛ-ФЕДЕРАЛИСТОВ

1/ ЗДАНОВИЧ Георгий Феликсович /председатель/.
2/ ЗУРАБОВ Иван Иванович /тов. председателя/.
3/ ЛОРДКИПАНИДЗЕ /князь/ Николай Мерабович /член/.
4/ МДИВАНИ Александр Виссарионович.
5/ ПИРЦХАЛАВА Самсон Георгиевич.
6/ ЭРИСТОВ /князь/ Николай Давидович.
7/ КИПИАНИ Василий Ростомович.
8/ ЛАСХИШВИЛИ Георгий Михайлович.
9/ МАЧАВАРИАНИ Иван Николаевич.
10/ РЦХИЛАДЗЕ Василий Георгиевич.
11/ КИЛОСАНИДЗЕ /врач/.
12/ МУСХЕЛОВ /бывш. врач Тиф. жел.-дор. больницы/.
13/ МЕСХИЕВ Константин Иосифович /кандидат/.
14/ ДЖАБАДАРИ Александр Георгиевич /то же/.
15/ АБАШИДЗЕ Кита /Иван/ Семенович /то же/.
16/ ДИАСАМИДЗЕ Александр Николаевич /то же/.
17/ ГВАМИЧАВА Раждсн Варфоломеевич /то же/.

ИСПОЛНИТ. БЮРО. АГРАРНАЯ СЕКЦИЯ И БОЕВОЙ ОТДЕЛ ПРИ ЦК ПАРТИИ ГРУЗ. СОЦ.-ФЕДЕРАЛИСТОВ

1/МАЧАБЕЛИ /князь/ Георгий.
2/ ВАХВАХОВ /князь/ Александр.
3/ ДЖАБАДАРИ Реваз.
4/ КИПИАНИ Симон Васильевич.
5/ ЦИМАКУРИДЗЕ Александр Михайлович.
6/ МЧЕДЛИШВИЛИ Иван Иосифович.
7/ КУТАТЕЛАДЗЕ Гедеван Георгиевич.

РЕДАКЦИОННЫЙ КОЛЛЕКТИВ ПРИ ЦК ПАРТИИ ГРУЗ. СОЦ.-ФЕДЕРАЛИСТОВ

1/ МАКАЕВ /князь/ Константин Захарович.
2/ ГОГИЧАЙШВИЛИ Филипп Гаврилович.
3/ СУРГУЛАДЗЕ Петр Ростомович.
4/ АДАМАШВИЛИ Михаил.
5/ АБАШИДЗЕ Иван Семенович.
6/ РЦХИЛАДЗЕ Василий Георгисвич.
7/ ДЖОРДЖАДЗЕ Арчил Константинович.
8/ ПИРЦХАЛАВА Самсон Георгиевич.

КОМИССИЯ ТАЙНОГО НАЦИОНАЛЬНОГО ЗЕМЕЛЬНОГО ФОНДА ПРИ ЦК ПАРТИИ ГРУЗИНСК. СОЦ.-ФЕДЕРАЛИСТОВ

1/ ЦИЦИАНОВ /князь/ Александр.
2/ МАЧАВАРИАНИ Семен Ростомович.
3/ ЦЕРЕТЕЛИ Мария.
4/ МИКЕЛАДЗЕ Шалва /доктор/.
5/ МАЧАВАРИАНИ Иосиф.
6/ ЧИДЖАВАДЗЕ Тамара.
7/ ДЖАПАРИДЗЕ Анна.
8/ СОЛОРИДЗЕ Георгий.
9/ АНАНАШВИЛИ Георгий.
10/ АМИРАДЖИБИ Иван.
11/ ГУНИЯ Валериан Леванович.

В состав Тифлисского окружного комитета партии грузинских социал-федералистов входят "почти" те же лица, что и в центральный комитет.

СПИСОК ЧЛЕНОВ КУТАИССКОГО ОКРУЖНОГО КОМИТЕТА ПАРТИИ ГРУЗИНСК. СОЦ.-ФЕДЕРАЛИСТОВ

1/ ТАВДГИРАДЗЕ Николай Караманович /бывш. Сухумск. голова.[1]

2/ ТАРУАШВИЛИ Сапрон Тарислович.

3/ ХУНДАДЗЕ Силован Фомич.

4/ КИПИАНИ Павел Иосифович.

5/ МЕУНАРГИЯ[2] Иона Михайлович.

6/ ОСХЕЛИ[3] Иосиф.

7/ МТВАРИШВИЛИ Фома.

8/ КУТАТЕЛАДЗЕ Иосиф.

9/ ГОКИЕЛОВ /доктор/ Гаврил Иосифович.

10/ АВАЛИАНИ Давид.

/Из фонда Кавказского районного охранного отделения, дело № 351, л. 44, об. -45 об., 6, 6 об., 38/

ОБЩИЙ СПИСОК ЧЛЕНОВ ПАРТИИ ГРУЗИНСКИХ СОЦ.-ФЕДЕРАЛИСТОВ

1. АБАШИДЗЕ Иван
2. АБАШИДЗЕ Кита /Иван/ Семенович
3. АБАЛОВ[4] Евстафий Григорьевич
4. АВАЛИАНИ Давид Николаевич
5. АГЛАДЗЕ Илья
6. АДАМАШВИЛИ Михаил[9]
7. АМИРАДЖИБИ Иван
8. АМИРАДЖИБИ Ираклий Георгиевич
9. АМИРАДЖИБИ Шалва Георгиевич
10. АНАНАШВИЛИ Георгий

11. АНДРОНИКОВ Поликарп
12. АТОЕВ Геурк
13. БАРАТОВ Иосиф Александрович
14. БИЛАНОВ Дмитрий Григорьевич
15. ВАХВАХОВ Александр
16. ГАКИЕЛОВ[5] (доктор)
17. ГВАЛИЧАВА[6] Ражден Варфоломеевич
18. ГЕЛИАИДЗЕ Дмитрий Дмитриевич
19. ГЕЛОВАНИ Платон Леванович
20. ГЕУРК
21. ГОГИЧАИШВИЛИ Филипп Гаврилович
22. ГОКИЕЛОВ Гаврил Иосифович
23. ГУГУШВИЛИ
24. ГУНИЯ Валериан Леванович
25. ДАДИАНИ Шата[8] Платонович
26. ДАЛАКИШВИЛИ
27. ДЖАБАДАРИ Александр Георгиевич
28. ДЖАБАДАРИ Реваз
29. ДЖАВАХОВ Михаил Саввич[9]
30. ДЖАДЖАНОВ Арчил Ражденович
31. ДЖАНДИЕРИ
32. ДЖАПАРИДЗЕ
33. ДЖОРДЖАДЗЕ Арчил Конст.
34. ДИАСАМИДЗЕ Александр Ник.
35. ДОБРЫДИН Игнатий
36. ЖАНДИЕВ[7] Георгий
37. ЗДАНОВИЧ Георгий
38. ЗУРАБОВ Иван Ив.
39. ИОСЕЛИАНИ Поликарп Кон.
40. КАВТАРАДЗЕ Кайхосро Яс.
41. КАЗАХОВ Сергей Ник.

42.КАНШАУРИ Ник.
43.КИЛОСАНИДЗЕ
44.КИПИАНИ Василий Рост.
45.КИПИАНИ Павел
46.КИПИАНИ Петр Иосиф.
47.КИПИАНИ Симон Вас.
48.КИПИАНИ Семен Георгиевич
49.КУТАТЕЛАДЗЕ Гедеван Георгиевич
50.КУТАТЕЛАДЗЕ Иосиф
51.ЛАСХИШВИЛИ Георгий Мих.
52.ЛОРДКИПАНИДЗЕ Ник. Мераб.
53.МАГАЛОВ Иван Дав.
54.МАКАЕВ Конст. Зах.
55.МАМРАДЗЕ Георгий Гр.
56.МАМУЛОВ
57.МАЧАБЕЛИ Георгий
58.МАЧАВАРИАНИ Георгий Луарсаб.
59.МАЧАВАРИАНИ Иван Ник.
60.МАЧАВАРИАНИ Иосиф
61.МАЧАВАРИАНИ Семен Ростомович
62.МАЧАРОВ Георгий Доментьевич
63.МДИВАНИ Александр Ражд.
64.МЕСХИЕВ Конст. Иосиф.
65.МИКЕЛАДЗЕ Шалва
66.МТАВРИШВИЛИ Рома Абр.
67.МУРМАНИШВИЛИ Луарсаб
68.МУСХЕЛОВ Вахтанг Сол.
69.МЧЕДЛИШВИЛИ Иван Сол.
70.НАЗАРОВ
71.НАНОБОВ Александр Ирадионович

72.НИКОН
73.ОНИКАШВИЛИ Кола Муссин
74.ОЦХЕЛИ Иосиф
75.ПАНЦХАВА Яков Спиридонович
76.ПАРЦХАЛАВА Самсон Георгиевич
77.РЦХИЛАДЗЕ Василий Георгиевич
78.САПОЖНИКОВ
79.СОЛОРИДЗЕ Георгий
80.СУРГУЛАДЗЕ Петр Ростомович
81.ТАВДГИРАДЗЕ Ник. Караман.
82.ТАВЗАРИШВИЛИ Михаил Мих.
83.ХИЗАНИШВИЛИ Павел
84.ХРАМЕЛОВ Игнатий Марьевич
85.ХРАМЕЛОВ Сеид Луарсабович
86.ХУЦИШВИЛИ
87.ХУНДАДЗЕ Силован Фомич
88.ХУЦИЕВ /Хуцишвили/ Мих. Ник.
89.ЦЕРЕТЕЛИ Мария
90.ЦИМАКУРИДЗЕ Александр Мих.
91.ЦИЦИАНОВ Александр
92.ЧЕРКЕЗОВ Варлам
93.ЧЕРКЕЗОВ Иван Леванович
94.ЧИДЖАВАДЗЕ Тамара
95.ЭДИАШВИЛИ Захарий
96.ЭРИСТОВ Ник. Дав.
97.ЯШВИЛИ Сеид Луарсабович

/Из фонда Кавказского районного охранного отделения, дело № 351/.

სუკის არქივი №41. ფ. 34-37

შენიშვნა: ᲣᲜᲓᲐ იყოს: №1. თავდგირიძე...; 2. №5. მეუნარგია; 3. №6. ოცხელი; 4. №3. ავალოვ; 5. №16. გოკიელოვ; 6. №17. გვამიჩავა; 7. №36. ჯანდიერი; 8. №25 დადიანი სამსონ პლატონის ძე – გ.ც.
9. №6 და №29 ადამაშვილი-ჯავახიშვილი მიხეილი.
დოკუმენტი ასახავს ფედერალისტების უფროს თაობას.

კ ო მ ე ნ ტ ა რ ი: სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის უფროსი თაობის შემადგენლობის და ორგანიზებული სტრუქტურის ამსახველი ეს ორი დოკუმენტი ჩვენს მიერ გამოვლენილ იქნა სუკის არქივში (საქმე №41). მათი გადამოწმების დროს გაგვიმარტეს, რომ ისინი არქივის სხვა მასალებთან ერთად შთანთქა 1991-1992 წლების ძმათამკვლელმა სამოქალაქო ომისდროინდელმა ხანძარმა. დოკუმენტებს დართული მითითებებიდან ირკვევა, რომ იგი ჩეკას მოუპოვებია საქართველოს სსრ ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცული მეფის ოხრანკის კავკასიის რაიონის ფონდიდან. დოკუმენტებს შედგენის თარიღი არ გააჩნია. მისი დადგენა ცენტრალური საისტორიო არქივის მეშვეობით უნდა გამხდარიყო შესაძლებელი. მაგრამ ისინი იქ ვერ გამოვავლინეთ. სხვა წყაროებიდან ირკვევა, რომ დოკუმენტები უნდა ასახავდნენ 1904-1913 წლების მდგომარეობას. როგორც ცნობილია, საკუთარი პიროვნების, ანუ მ. ადამაშვილის ფედერალისტთა პარტიიდან გასვლას მ. ჯავახიშვილი (ადამაშვილი) გ. ლასხიშვილის „მემუარების“ (1934წ. ნ. I) შენიშვნაში ათარიღებს 1907 წლით. ამ დროს ს. ყიფიანი, პ. სურგულაძე, მ. ადამაშვილი და სხვა პოლიტიკური მოღვაწეები მეცადინეობას ეწეოდნენ ახალი მიმართულების ყოველკვირეული კრებულის გამოცემის მიზნით (იხ.: ქ. ჯავახიშვილი, მოგონებები მამაზე, თბ., 2000, გვ. 120). ამ დროს ფედერალისტების პარტია დატოვა ზოგმა სხვა წევრმაც და სათავე დაუდეს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ჩასახვას.

სუკის არქივში ჩვენს მიერ გამოვლენილი ს. ყიფიანის ერთ-ერთი ჩვენების მიხედვით სოციალ-ფედერალისტების პარტიიდან მისი, პ. სურგულაძის და მ. ადამაშვილის გასვლა და ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების პარტიის ფუნდამენტის ჩაყრა უკავშირდება 1905-1906 წლებს, ანუ იმ დროს, როცა ს. ყიფიანის, მიხაკო წერეთელის,

პ. სურგულაძის და მ. ადამაშვილის მიერ წამოწყებულ იქნა ყოველკვირეული ჟურნალის („გლეხის“ – გ.ც.) გამოცემა და ეროვნული იდეის გატარება. „მაგრამ ერთი წლის შემდეგ, – წერს ს. ყიფიანი, – სამივე საზღვარგარეთ გაემგზავრა და საქმე დროებით შეწყდა...“ (არქივი №23682, ფურც. 16-17). ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა, რომ საზღვარგარეთიდან დროებით დაბრუნების შემდეგ, ანუ 1907 წელს, მ. ადამაშვილი, ს. ყიფიანთან, პ. სურგულაძესა და სხვებთან ერთად, შეუდგა 300-გვერდიანი კრებულის გამოცემას, რომლის სახელწოდება იყო „ნიავი“. საფიქრებელია, რომ ს. ყიფიანს ეს კრებული ჰქონდა მხედველობაში. ამავე 1907 წლის ბოლოს მ. ადამაშვილი ჟანდარმერიისაგან დევნის გამო კვლავ მიემგზავრება საზღვარგარეთ, საიდანაც დაბრუნდა 1909 წელს და ამის შემდეგ იძულებული გახდა ეცხოვრა წინაპრის, ანუ ჯავახიშვილის გვარით. იგი ფედერალისტების ამ სიაში მოხსენიებულია როგორც ადამაშვილის (№6), ისე ჯავახოვის (№29) გვარით. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ ამ დროს მ. ჯავახიშვილის და მწერალ-პოლიტიკურ მოღვაწეთა ერთი ჯგუფის მეცადინეობით გამოიცა ჟურნალი „ერი“ (შემდეგ იწოდებოდა: „ჩვენი ერი“, „ქართველი ერი“, „საქართველოს მოამბე“, 1910 წლიდან „მოამბე“ – რედ. პ. სურგულაძე), ხოლო უკვე 1913-1914 წლებში ჩამოყალიბდა ახალი პოლიტიკური, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, რომელიც საბოლოოდ 1917 წელს გაფორმდა. ამდენად, შეიძლება ამ დოკუმენტების შედგენის თარიღის უკანასკნელი ვადა გადაიწიოს 1909-1912 წლებამდე. მაგრამ არაუგვიანეს 1913 წლის 21 მარტისა, როდესაც გარდაიცვალა დოკუმენტებში საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა პარტიის ცკ-თან არსებულ სარედაქციო კოლეგიის წევრად მოხსენებული არჩილ ჯორჯაძე (იხ.: №7 და №33)... თუმცა აქ ისიც შეიმჩნევა, რომ მოხსენებულია ზოგი ის პიროვნებაც, რომელიც ჯერ კიდევ 1909 წელს გარდაიცვალა (ნ. მ. ლორთქიფანიძე).

აღნიშნული დოკუმენტები, შესამჩნევი ზოგი უზუსტობის მიუხედავად, უაღრესად მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს სოციალ-ფედერალისტთა, საერთოდ, პოლიტიკური პარტიების ისტორიის და ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობის შესასწავლად.

СОВЕРШ. СЕКРЕТНО

НАЧ. СЕКР.-АГЕНТ О.О.

Смена власти 26 февраля с/г и последнее бегство меньшевистского правительства, сперва из Тифлиса, а затем из Батума не успокоило взволнованные умы грузинского народа.

Несмотря на проклятия, посылавшиеся вслед населением удравшему меньшевистск. правительству, вскоре в население распространились слухи, что меньшевист. правительст. поступило разумно, захватив с собой миллиардные ценности, все это, говорили оставшиеся меньшевистские агитаторы, сделали наши правители для того, чтобы поднять Европу против насильственного вторжения в родную Грузию ненавистной Советской власти.

Возвращение из Кутаиси и Батума, согласно декрета, бывших прислужников бежавшего правительства и занятия ими ответственных должностей в Советск. учреждениях усугубило настроение населения.

Принятая ими на себя добровольно роль проповедников геройства бежавшего правительства, искусственно насаждала в население надежду на скорое возвращение бежавшего правит. под защитой войск антанты. Надежды эти быстро распространились среди населения и даже вселяли уверенность, что власть Советская очень кратковременна. Уход части войск из Тифлиса, ликвидация некоторых Совет. частей, оставление на местах старой милиции, выборы в коллегии учереждений перекрашенных меньшевиков и, наконец, состав Ревкома, в коем были все грузинские фамилии, подтверждал слухи о скорой перемене настоящей власти на старую.

К вышеизложенному добавился факт, имевший огромную важность - факт организации грузинских войсковых частей из старых вообще офицеров. Приглашение генералов Цулукидзе, Цицианова и Андроникашвили формировать бригады и армию, все лица княжеского достоинства и воспитанников

старого режима, бесспорно, показывало населению, что вскором времени Грузия будет восстановлена с ее собственной национальной армией.

Само собой разумеется, что бывшие Николаевские соратники привлекли к себе своих прежних сотрудников. Например: начальником штаба грузинской армии назначен б. полковник генерального штаба Гедеванов, родственник бывшего меньшевистск. помощ. военного министра, и при меньшевиках Начальника Оперативной секции Генштаба; Командиром 1-го полка б. полк. Мачавариани, - ведущего совместно со своим помощником, бывш. майором Утнеловым меньшевистскую пропаганду среди подчиненного ему командного состава. Служившего в грузинск. штабе офицера разведки Дзагания и других.

Пропаганда среди грузинского войска, его комсостава и усиленная пропаганда главарей разных Советских учреждений, которые, не стесняясь даже русского элемента, официально заявляют, что "Мы воздерживаемся от необходимого строительства в ожидании перемены курса власти" - сделали свое дело.

В настоящий момент не только город, но и деревня живет нервным ожиданием скорой смены власти. Стоит заглянуть в любую деревню, чтобы услышать брань и проклятия на голову Сов. власти, если только крестьяне уверены в незнании Вами грузинского языка. Агитация ведется открыто и в ней принимают участие бывшие помещики, князья и дворяне и даже члены сельских Ревкомов. Мне лично известно, что крестьяне меняют хлеб на оружие. (ამ წინადადებას მინდორზე გაურკვეველი წარწერა აქვს. ერთი წინადადება ფანქრით რუსულადაა. იგი ვერ წავიკითხე გ.ც.).

Из отношений крестьян к совет. власти и аналогично отношения рабочих (жел.-дорож. мастерских, фабрично-заводских и других) я усматриваю дальнюю подготовку, пропагандируемую меньшевиками, восстания населения против существующей власти. Членов ревкома Грузии называют узурпаторами - меньшенством, насильно захватившим власть над пролетариатом Грузии. "Его надо смести, уничтожить"

– так кричат в народе и до сведения моего дошло, что в ближайшие дни предполагается осуществитъ лепимое восстание. Не задаваясь вопросом реального результата, восстание имеет целью дать знать Европе и поддержать работу Жордания, Рамишвили и др., что Грузия не желает власти Советской и она навязана им насильно.

Особенно нервное состояние населения наблюдалось в Грузии во время стоянки на внешнем рейде в Батуми амер. крейсера; меньшевистские агитаторы от Кедия (быв. начальн. особ. отряда), а ныне инструктора сыска и проверки лиц, приезжающих в Константин. из Грузии, получаем сведения, что на советскую Грузию идут и французские дредноуты и предстоит скорое освобождение Грузии.

Население готовится и должно опасаться его скорого выступления совместно с Грузинской армией, на которое население возлагает большие надежды.

Гогоберидзе – 26 августа 1921 г. №21, г. Тифлис

სუკის არქივი №28082, ფ. 91-94.

კომენტარი: დოკუმენტი მრავალმხრივ არის საყურადღებო. აქ განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ის, რომ: ა) იგი ეკუთვნის ბოლშევიკური პარტიის იმ ერთ-ერთ ხელმძღვანელ მუშაკს, რომელმაც საქართველოს საბჭოთა აღმშენებლობაში განსაკუთრებული და ანტი „ნაციონალ უკლონისტური“ როლი შეასრულა; ბ) ეს არის სადირექტივო მითითება, რომელშიც საგნობრივად არის ასახული, ერთი მხრივ, საქართველოში არსებული პოლიტიკური სიტუაცია და ანტისაბჭოთა ძალთა დაჯგუფება, ხოლო მეორე მხრივ – ჩეკას ორგანოების მორიგი უმნიშვნელოვანესი საბრძოლო მიმართულება; გ) შემთხვევითი არ არის, რომ ეს „სრულიად საიდუმლო“ წერილი ეგზავნება არა საქართველოს კომპარტიის „უკლონისტურ“ ხელმძღვანელობას ან საქჩეკას „ნაციონალ უკლონისტ“ თავმჯდომარე კ. ცინცაძეს, არამედ საქჩეკას საიდუმლო ოპერატიულ განყოფილებას; დ) არც ის არის შემთხვევითი, რომ ეს დოკუმენტი გარკვეულ საფუძვლად დაედო ქართული ეროვნულ-

პატრიოტული მხედრობის წინააღმდეგ ბრძოლას, ხოლო „სამხედრო ცენტრის" განადგურების დროს მისი ერთ-ერთი აქტიური წევრის გენ. ვარდენ წულუკიძის სამძებრო საქმეს დაერთო მის და სხვათა ერთ უმნიშვნელოვანეს სამხელად.

დოკუმენტი შესრულებულია ხელნაწერის სახით.

ამონაწერი ქართულ წითელ ჯარში ჩეკას მიერ „დანერგილი" აგენტის „რაპორტიდან" ანუ „მემორანდუმიდან"

წყარო "Сотрудник" 27.I.1922 „ქართული წითელი არმია":

„შემადგენლობა: სარდალი აღნიაშვილი, შტაბის უფროსი გედევანიშვილი ნ. – მეფის პოლკ. ყოფილი გენშტაბის ოპერატიული სექციის უფროსი, მემარჯვენე მენშევიკი

შტაბის შემადგენლობაში ყველა მენშევიკების სამინისტროს ყოფილი თანამშრომლები არიან: 1. გვარდიის პოლკოვნიკი ვაჩნაძე, თავადი; 2. ყოფ. პოლკ. ჩაკიაევ (ალბათ ჩილაევ – ჭილაშვილი – გ.ც.); 3. ყოფ. პოლკ. მაჭავარიანი; 4. პოლკ. მუსხელიშვილი და სხვ.

პოლკის უფროსები არიან მენშ. ოფიცრები: 1. პოლკ. ალ. მაჭავარიანი, პირველი ქართ. პოლკის მეთაური

მეთაურთა შემადგენლობა დაკავებულია მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების განხილვით, გლოვობენ წარსული, მენშევიკური დროის გამო, მსჯელობენ ჟორდანიას მთავრობის მოქმედების შესახებ, ამართლებენ მის მიერ ფასეულობათა თითქოს საქართველოს აღდგენისათვის გატაცების შესახებ. ამ იმედს ისინი ქმნიან და წითელ არმიელებს უნერგავენ მის უახლოეს განხორციელებას...

ქართველი წითელარმიელები რუს წითელარმიელებს სიმპათიით ეკიდებიან და გამოსთქვამენ აზრს, რომ ისინი მათ წინააღმდეგ არასდროს არ წავლენ, უფროსებმა რომ უბრძანონ კიდეც. გარკვეულად შეიძლება ითქვას, რომ ქართული ჯარის რუსეთში გასვლის შემთხვევაში, დანიშნულების ადგილზე მათგან არ ჩავა 10 პროცენტი, ყველა ისინი გაიქცევიან სახლებში. ასეთი აზრი მათ მეთაურთა შემადგენლობამ ჩაუნერგა...

ყველა ქართულ ნაწილში გამეფებულია ვიწრო შოვინიზმი. რუს ოფიცრებს ითხოვენ სამსახურიდან და მათ ყოფილი ოფიცრებით ანაცვლებენ...

მეთაურთა შემადგენლობაში არიან საბჭოთა წყობისათვის აშკარად მტრული პირები. მენშევიკების ყოფილი პოლკოვნიკი ხიმშიაშვილი ცხენოსანთა გვარდიის მეთაური...

ხელმძღვანელ შემადგენლობასთან საუბრებიდან გამომდინარეობს სავსებით გასაგები აზრი... იგი ჯერ-ჯერობით რუსული არმიის საქართველოდან წასვლის მოლოდინში ემხრობა დაყოვნება-მოლოდინის ტაქტიკას".

„სოტრუდნიკი": *ხელმოწერა*

სწორია: აგენტურის საქმის მწარმოებელი."

(სუკის არქივი №24058, ფ. 21-21/2).

კომენტარი: 1. დოკუმენტი კავშირშია. ერთი მხრივ, ღოღობერიძის მიერ საიდუმლო აგენტურის განსაკუთრებული განყოფილების უფროსისადმი გადაცემულ ინფორმაციასთან, ხოლო მეორე მხრივ, 1922 წლის დასაწყისში ქართულ წითელ არმიაში შექმნილი მდგომარეობის და განწყობილების ჩეკისტურ შეფასებასთან.

2. მსგავსი ინფორმაციები გამოიყენებოდა. ერთი მხრივ, ქართული მხედრობის დისკრედიტაციის. ხოლო მეორე მხრივ, ქართული წითელი ჯარის ბოლშევიკური სულისკვეთებით აღზრდისათვის.

3. ეს ინფორმაცია ერთვის პოლკ. რ. მუსხელიშვილის სამძებრო საქმეს. როგორც წესი. აგენტურული ინფორმაციები ხელისუფლებას და ჩეკას ემსახურებოდა, ხოლო საბოლოოდ ამონაწერებისა თუ ასლების სახით ჩეკისტური ძიების მასალებს დამატებითი სამხელის საფუძველს უქმნიდა.

4. მსგავსი აგენტურული ინფორმაციები რომ მუშაობდა, ამას მრავალი მაგალითი ადასტურებს. ქართულმა წითელმა საჯარისო შემადგენლობამ და მისმა მხედრობამ, ცნობილი წყაროების მიხედვით, საბჭოთა ხელისუფლების მიერ დაკისრებული მოვალეობა, ნებსით თუ უნებლიედ, მრავალგზის შეასრულა. ამაზე მიგვითითებს ხევსურეთის აჯანყების ჩახშობაც. მაშასადამე. ქართული წითელი ჯარის საქართველოს განთავისუფლებისათვის გამოყენების შესახებ პატრიოტი ექსტრემისტების იმედები მწარე ილუზიად რჩებოდა.

ამონარიდი უძველესი დოკუმენტური პუბლიკაციიდან

„საქმე საქართველოს ანტისაბჭოთა პარტიების პარიტეტული კომიტეტის შესახებ (საბრალმდებლო დასკვნა). იუსტიციის სახალხო კომისარიატის გამოცემა. ტფ. 1925, „სამხედრო ცენტრი“, გვ. 16.

„თვით სამხედრო ცენტრის წევრთა ჩვენებებიდან ირკვევა შემდეგი ამოცანები და მიზნები... რომ გაანაწილეს როლები (ანდრონიკაშვილი ალექსანდრე – სამხედრო ცენტრის თავმჯდომარე...“

ციტატები „სამხედრო ცენტრის“ წევრთა ჩვენებებიდან

I. ვინ იყო „სამხედრო ცენტრის“ თავმჯდომარე?

Показание В. Цулукидзе от 24.IV.1923г.:

"Старшим (председателем) Военного центра был Андроникашвили."

(სუკის არქივი, №28082, ფურც. 68, 102).

Показание А. Андроникашвили от 7.III.1923г.:

"В. Цулукидзе сказал, что все партии, безусловно, доверяют мне... Джавахов (Ясон - Г.Ц.) сказал, что его уполномочил паритетный центр передать мне, что все партии объединились и они хотят создать при объединенном

центре Военный центр, куда выбрали меня, Мусхелова, Гедеванова. Кроме этого, мне было предоставлено решать о Цулукидзе и К. Абхази."

(სუკის არქივი, №28139, ფურც.70. №24367, ფურც.23).

Показание А. Андроникашвили:

"Первоначальный состав Военного центра объявлен Георгием Пагава на первом заседании в мае месяце 1922г.

присутствовали: В. Цулукидзе, Андроникашвили А., Мусхелов Р., Химшиев Георгий, Пагава Георгий, Нарикеладзе Иван...в сентябре месяце 1922 года в состав Военного Центра вошел Константин Абхази."

(სუკის არქივი, №28082, ფურც. 70).

Показание В. Цулукидзе:

"В октябре 1922г. я узнал, что в личном составе Военного центра произошли изменения - выбил Химшиев - вновь включен Абхази Константин."

(სუკის არქივი, №28082, ფ. 69).

Показание И. Нарикеладзе:

"Непосредственно перед ликвидацией Челокаевской авантюры на квартире того же Нарикеладзе состоялось второе заседание Военного центра. Состав... к этому времени дополнился Константином Абхази... отсутствует: Химшиев (арестован), Мусхелов (находится в Душети) и Гедеванов."

(სუკის არქივი, №28139, ფურც. 108).

რ. მუსხელიშვილის 25.IV.23 წ. ჩვენება:

„სამხედრო ცენტრი არსებობს 1922 წ. ივნის-ივლისიდან. თავდაპირველი შემადგენლობა: ანდრონიკოვი, წულუკიძე, ხიმშიაშვილი, გედევანიშვილი იოსებ და მე. ოქტომბერში შევიტყვე, რომ სამხედრო ცენტრში მოხდა ცვლილება. გავიდა ხიმშიევი, ჩართეს აფხაზი... გიორგი ხიმშიევი 1922 წ. ივლისის სხდომებზე ამბობდა ჩემი კანდიდატურა წამოყენებულია მენშევიკების მიერო."

(სუკის არქივი, №24058, ფურც. 160).

II. „სამხედრო ცენტრი" და აჯანყება

რ. მუსხელიშვილის 24.III.1923წ. ჩვენება:

„...რუსის ჯარი ვაჩნაძისათვის განვსაზღვრე 145 ათასი ჯარისკაცით ჩრდ. კავკასიაში და ამდენივე ამიერკავკასიაში..."

(სუკის არქივი, №24058, ფურც. 144).

Показание И. Нарикеладзе от 6.III.1923г.:

"...незадолго до выступления Челокаева дебатировался вопрос. относительно организации банд и пришли к отрицательному выводу. Присутствовали В. Цулукидзе, Мусхелов, Автандил (Г. Пагава - Г.Ц.) и потом пришел Гоги Химшиев."

(სუკის არქივი, №28139, ფურც. 18).

Показание Р. Мусхелова от 9. III. 1923г.:

"Вопрос о начале и развитии вооруженного восстания не стоял перед членами Военного центра."

(სუკის არქივი, №24058, ფურც. 87; №28139, ფურც. 26).

Показание Р. Мусхелова от 30. III. 1923г.:

"Цинцадзе сказал: "Челохаева нужно разбить, а хевсур спасти"

ЦГАЛИ АРЖИВ. №24058. ЗЗ×49. 120).

Показание В. Цулукидзе от 24. IV. 1923г.:

"Я далек от того, чтобы сказать, что в этой авантюре, как Душетское восстание, принимала участие вся партия национал-демократов, этого не допускаю, но отдельные члены этой партии, единомышленники Давида Бачнадзе, несомненно, в этом принимали участие. Кто эти лица, я точно не знаю, но думаю, что и Ясон Джавахишвили принимал участие в составлении этих приказов."

ЦГАЛИ АРЖИВ. №28062. ЗЗ×49. 80. 186).

[illegible]

[illegible]

უფრო კომპეტენტურად, მაგრამ უმართებულოდ ალ. სულხანიშვილის ის მცდარი აზრი ესახებათ, რომლის თანახმად „სამხედრო ცენტრის“ თავმჯდომარედ დასახელებულია კოტე აფხაზი, მესამე, ისინი არ იცნობენ, ან არ ენდობიან დიდი ხნის წინ გამოქვეყნებულ „საბრალმდებლო დასკვნას“. ჩვენი აზრით, სიმართლის დასადგენად განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს თავწყაროს და აგრეთვე ხელისუფლების იმ დოკუმენტს, რომელიც მიზნად ისახავდა აჯანყების ვითომ პრაქტიკულად მომწყობთა მოსპობას.

დაბოლოს, ალ. ანდრონიკაშვილი „სამხედრო ცენტრის“ წევრებს შორის ყველაზე ავტორიტეტული პიროვნებაა. იგი იყო ძველი არმიის გენერალი, ქართული არმიის მეთაური, მენშევიკების დროს ჯერ გენერალური შტაბის უფროსი, შემდეგ კი რესპუბლიკის სამხ. საბჭოს წევრი (სუკის არქივი, №28139, ფ. 100). საბჭოთა რუსეთის XI წითელი არმიის მიერ საქართველოს ოკუპაციის მიზნით განხორციელებული იერიშების დროს იგი იცავდა ერთ-ერთ ყველაზე საპასუხისმგებლო თავდაცვის ხაზს – კოჯრიდან თელეთის მონასტრამდე. მის განკარგულებაში იბრძოდა სახელგანთქმული იუნკრების პირველი ასეული (იხ. აკ. კვიტაიშვილი, რუსეთ-საქართველოს ომი 1921 წელს..., ჟურნ. „კავკასიონი“, 1967, №12, გვ. 91) და სხვ. მას ამიტომაც ხვდა „სამხედრო ცენტრის“ მეთაურობა.

3. ჯერ კიდევ ქ. ჩოლოყაშვილის გამოსვლებამდე იმსჯელეს „სამხედრო ცენტრის“ წევრებმა პარტიზანული რაზმების ამოქმედების მიზანშეწონილობის საკითხზე და უარყოფით დასკვნამდე მივიდნენ. 4. „სამხედრო ცენტრს“ არ დაუყენებია შეიარაღებული აჯანყების დაწყებაგანვითარების საკითხი. 5. მენშევიკების სამხედრო კომისიის თავმჯდომარე ი. ცინცაძე, არსებული რეალობიდან გამომდინარე, მიიჩნევს, რომ საჭიროა ქ. ჩოლოყაშვილის მეამბოხური რაზმის დამარცხება, ხოლო აჯანყებული ხევსურების შველა. 6. გენ ვ. წულუკიძე დუშეთში ქ. ჩოლოყაშვილის საბრძოლო ეპიზოდებს (და შემდგომ მოვლენებს) მიიჩნევს „ავანტიურად“, რომელიც ეროვნულ-დემოკრატების ცალკეულმა წარმომადგენლებმა

წააქეზეს, მაგრამ უარყოფს მის მიმართ ამ პარტიის თანადგომას. მისი აზრით, შესაძლებლად არის მიჩნეული ამ „ავანტიურაში“ ი. ჯავახიშვილის მონაწილეობაც, მაგრამ სხვა წყაროებით ეს საერთოდ არამცთუ არ დასტურდება, არამედ, პირიქით, ი. ჯავახიშვილი უდროო ამბოხებითი გამოსვლების აქტიურ მოწინააღმდეგედ გვეელინება.

Письмо Павленишвили к Челокаеву, с. Каркуча, 8 сентября (1922г. - Г.Ц.)

Дорогой Какуц. Мы приехали в село Каркуча 5-го числа в разведку с большими приключениями. Мы нарвались по дороге на разъезд милиции, но кое-как удалось освободиться. Там уже встретили нас несколько мохевцев-пастухов, которые отвели нас в горы в свои хутора и сказали, что завтра они соберутся поговорить и дадут нам определенный ответ о выступлении.

Мы их ответ ждали до вчерашнего дня /зачеркнуто, "но определенного ничего не могли узнать, ни да, ни нет/. Вчера, т.е. 7-го сентября, мы послали одного из мохевцев и это не привело ни к чему." Приехал из Душети в Казбеках Семен, который собирался во что бы то ни стало доехать до тебя, но случайно узнав о нашем здесь пребывании, остановился у нас. Он привез письма, присланные из центра. Одно из этих писем прислано в подлинном виде, а другое - переведенное на русский язык, во избежание всякого недоразумения. Центр пишет, что общим днем выступления, назначенного согласно решения главного военного Штаба, назначен на 12 дней позже назначенного нами дня, кроме этого они от нас трбуют следующих сведений:

1.Обшее число партизан по уездам.

2.Число партизан пеших и конных.

3. Количество ружей, патрон, пулеметов и пушек, находящихся в нашем распоряжении.
4. Связь с лезгинами и Азербайджаном (какую помощь оказывают)
5. Продовольственный вопрос в дни восстания.

Мы решили сегодня же поехать в Душет и начать свои действия оттуда. В Казбеках стоит (пропуск) приехавшие из Тифлиса и один бронированный автомобиль. Ехавшие с нами из Барисахо два представителя отстали от нас в ту же ночь и больше к нам не приходили. По слухам в эту сторону направлено 800 человек, из них 300 человек I полка (наши). Центр требует эти сведения доставить им к 15-му IX и сообщают, что диспозиции пришлют к 20/IX в закрытом пакете.

П.С. Сегодня вечером, т.е. 8/IX, было собрание всех трех деревень. На этом собрании решили принять участие в общем восстании, которое должно быть в назначенный нами день. Завтра рассылаются люди в другие деревни для известия. Центру сообщаем, что день общего восстания назначен 1-е с.м. по с/с. Семен сегодня ночью выезжает в Душет для предварительных работ. К этому дню Душетский уезд будет готов. Мы удаляемся из Сно на 2 дня раньше. Соединимся с вами в Бакур-хевах.

Шалико

(სუქის არქივი, №28065, ფურც.44.).

კომენტარი: წერილიდან ჩანს, რომ: შ. ფავლენიშვილი ცდილობს ააჯანყოს ს. ქარქუჩის რეგიონის მაცხოვრებლები; სიმონს (ჭიაბრიშვილს) ქ. ჩოლოყაშვილისათვის უნდოდა გადაეცა ვითომ ცენტრიდან, ანუ „მთავარი სამხედრო შტაბიდან“, სინამდვილეში კი დ. ვაჩნაძის მიერ ედპ-ის შტაბიდან გამოგზავნილი წერილები. ჩვენი აზრით, ეს უნდა იყოს „ბრძანება №1“ და დ. ვაჩნაძის წერილი. მათში ნათქვამი იყო, რომ აჯანყების ვადად განსაზღვრული იყო 12 დღით უფრო გვიანდელი რიცხვი, ვიდრე ეს მათ გადაუწყვეტიათ. ფავლენიშვილი ქ. ჩოლოყაშვილს

ატყობინებს აგრეთვე, რომ ყაზბეგიდან დუშეთში ბრუნდება სიმონი, რომელსაც იქ სათანადო სამუშაოების მოგვარება ევალება. შ. ფავლენიშვილის წერილიდან ჩანს, რომ იგი ემორჩილება „ცენტრის" მოთხოვნას და მიაჩნია, რომ მომდევნო თვის 1 რიცხვიდან მაზრა მზადყოფნაში იქნება, თავად კი 2 დღით ადრე სნოდან დაიძვრება მასთან ბაკურხევში შესაერთებლად. ამ მონაცემებით, შ. ფავლენიშვილი მოქმედებას იწყებს 2 დღით ადრე, ე.ი. 28 სექტემბერს. როგორც ცნობილია, „ცენტრის" პოზიციამ შ. ფავლენიშვილის აქტიური მოქმედება, ფაქტობრივად, გამორიცხა, ხევსურეთის ბრძოლები კი მაინც რეალობად იქცა.

ამონაწერი ჩეკას აგენტ-ინფორმატორის მიერ მოწოდებული ცნობებიდან, „ანუ კომორანდუებებიდან":

1) წყარო "Осв" 14.I.1923:

"В период Душетских событий главным гнездом бандитов было селение Барисахо. Из приказа по войскам экспедицион. отр. от 8/IX -22г. видно, что на Барисахо должны были двигаться 3 колонны: Первая колонна числ. 832 чел. под командой Мачавариани, в сост. 2 груз. уч. кадр. бат. и отд. св. кав. эскадр. (посл. командовал Алимов); 2 средняя колонна в сост. 537 чел. под команд. к-ра груз. п. Брегадзе в составе 356 чел. I груз. п., I роты 9 стр. п., 2-х оруд. легк. Артд. 3 див. 7 взв. 3 сап. роты, 8 инжбата и I эскадр. 2-х Кавкурсы; 3) левая колонна под командой Биязи в сост. 6-ти рот 13 курсов, I р. уч. кадр. полка, I взв. стр. полка, орут. горн. бат. 3 стр. див. взв. 3 сап. роты, 8 - инжбата, около сел. Каркуча стоял I взв. уч. кадр. полка и АБС №17 под командованием Ивилченко. 9 сент. средняя колонна

двигалась в прямом направлении из Барисахо. Ни в одной колонне, кроме колонны Брегадзе, не было более крупных частей I груз. полка (300 чел.)"

(სუკის არქივი, №28065, ფურს. 44, 44/2).

2) წყარო "Осв" 14.II.1923:

"Мачавариани... во время меньшевиков бранил их правительство и политику, то же замечается и сейчас в отнош. Сов. власти. В служ. отношении примерн. работник. Замечаются некоторые склонности к монархизму. В 22 году участвовал в экспедиционном отряде в Тианет. уезде, но по дороге заболел и вернулся обратно. В старой армии заслужил все боевые отличия."

(სუკის არქივი, №28065, ფურს. 44/2, 45).

3) წყარო "Осв" 14.II.1923:

"Средней колонной командовал Брегадзе. Нач. штаба был Девдариани, Пим. Цхирели, помкомб. Мачавариани Алдр. Комбат Джапаридзе, комрот Харадзе, Шавишвили, Микеладзе, Гачечиладзе, Иосава, начполком - ди. Чрелашвили, комзвода Чантурия, Мамулашвили, Чичинадзе, Гегешидзе, Глонти, Дгебуадзе, Николай Цицкадзе и Киладзе Варлам.

Мачавариани состоит на учете как монархист."

4) ფურცელი "Георгадзе" 25. I.1923:

"О 300 "наших" Климиев намекнул на пом. командира I груз. полка Сашу Мачавариани. Гвердцители в конце августа уехал еще к Челокаеву."

(სუკის არქივი, №28065, ფურც. 13).

კომენტარები: ეს აგენტურული მონაცემები დაცულია ხევსურეთის აჯანყების ჩასახშობად გაგზავნილი საექსპედიციო ჯარების ერთ-ერთი სარდლის და „სამხედრო ცენტრის" გამო ჩეკას ორგანოების ძიებაში მყოფი პოლკოვნიკ ალექსანდრე მაჭავარიანის ბრალეულობათა სამძებრო საქმეში. აქედან ჩანს, რომ იგი ქართული წითელი პოლკის უფროსის მოადგილედ და ერთ-ერთი მიმართულებით მოიერიშე კოლონის უფროსად დაუნიშნავთ. მაგრამ, როგორც მისი 1923 წლის 3 მაისის ჩვენებიდან ჩანს, შინსახკომისრის მოადგილე ტალახაძის ჩასვლის გამო, „ბრძანება" შეიცვალა. იგი დანიშნეს რაზმის უფროსის განკარგულებაში. შემდეგ კი ა. მაჭავარიანი ავადმყოფობის მოტივით ბრძოლებში მონაწილეობის მიღებამდე უკან გამობრუნებულა (სუკის არქივი, №28065, ფურც. 52). აგენტურული მონაცემებიდან ჩანს, რომ ხევსურეთზე მოლაშქრე ჯარების საერთო რაოდენობა 2 ათასს უახლოვდებოდა. ამასთანავე, ჯარი აღჭურვილი იყო ძლიერი შეიარაღებით. ჯარისკაცთა შორის იყვნენ ქართველები. ასევე უპირატესად ქართველებით იყო დაკომპლექტებული ექსპედიციის ხელმძღვანელი შემადგენლობა. მაგრამ ამას არ შეეძლო გმირი ხევსურების მძიმე ხვედრის აცილება. კლასობრივი და სამოქალაქო ომების მწარე გამოცდილებამ კონკრეტული მაგალითებით გვიჩვენა, რომ გარკვეულ სიტუაციებში ეროვნული კუთვნილება არ არის ეროვნული ინტერესების ხორცშესხმის უცილო გარანტია. ხევსურებს იმდროინდელ რეალურ ვითარებაში სჭირდებოდა დაშოშმინება და არა აჯანყებისაკენ წაქეზება. დოკუმენტებში შეინიშნება ზოგი უზუსტობა.

4) წყარო ჩეკას აგენტი "Георгадзе" 23.I.1923:

"Горийское восстание" Под этим названием существовало то движение, окончившееся неудачей, которое было организовано в Кавтисхевском районе для поддержки пресловутого Какуца Чолокашвили. Когда началась пропаганда, установить трудно, но особенную остроту она начала проявлять к весне п/г. Самым деятельным пропагандистом был член партии меньшевиков Лашкарашвили - ловкий, умный, развитой сам по себе и популярный в Горийском уезде вообще и в Кавтисхевском районе особенно. Лашкарашвили получал инструкции от меньшевистского центра, собирал вокруг себя быв. народогвардейцев, занимающих при правлении меньшевиков разные административные и прочие должности и вообще всех недовольных новым строем. Все периоды сборов разновидных налогов использованы были этими людьми в целях антисоветской пропаганды. Успех последней должнен быть приписан, во-первых, бездействию властей на местах, малочисленности опытных и преданных делу партработников, а, во-вторых, крайней недобросовестности некоторых членов компартии, куда эти последние вступили в целях наживы и обделывания своих личных грязных делишек. Особенно выделялись в Кавтисхевском районе Адамашвили (село Квемо Хандаки, Хуташвили (Земо Ничбиси), Надирашвили (сел. Надираанткари) настолько терроризовавшие население, что очень много крестьян впоследствии укомплектовавшие отряды Лашкарашвили взялись за оружие исключительно благодаря этим трем лицам. Между прочим, эта "тройка", несмотря на все неоднократные просьбы односельчан укротить права этой "тройки" - и даже на приговор крестьян, засвидетельствованный Исполкомом, - остались совершенно

безнаказанными и еще больше обнаглели. К сбору урожая в каждой деревне были готовы кадры, снабженные оружием и боевыми припасами, усиленно муссировались слухи о близком конце большевиков, о скором приезде Ноя, о идущих транспортах Английских войск и о приказе Ноя - подчиниться старым властям: пропаганда не встречала противодействия, достигла апогея, атмосфера была наэлектризована до максимума. Одно время с этим в Тифлисе шла пропаганда среди офицерства и вообще в правящих кругах, которая, впрочем, с полной очевидностью можно констатировать, успеха особенного не имела. Вербовкой этих лиц в числе других занимался б. полковник Нарикеладзе и поручик Климиашвили. Конспиративные собрания устраивались по Кирпичной улице в заднем дворе деревянного ресторанчика (пройдя мост первый не доходя "Народного Дома"). От Центра всегда присутствовали на этом собрании члены партии: Миша Абуладзе, Квалиашвили (в октябре п/г был арестован) и еще один среднего роста сильно хромающий, фамилию которого непартийные не знают. К началу сентября были завербованы след. лица для занятия командных должностей: бывший ком. сотни ком. полка Нар. гвардии Симоник Багратион-Мухранский, Реваз Чиковани (Комсостав I груз. стр. полка), Парнаоз Кавалов (Нач. пул. I груз. стр. полка), Автандил Гедеванов (студент Гос. универ.), Николай Цицианов (состоит в данное время в груз. св. школе курсантов), Саквареліидзе (Пом. сел. Кавтисхеви) и еще человек 10-15, фамилии которых мне не известны. 18 сентября из центра было получено С. Мухранским для комсостава: 4 маузера, 6 наганов, бинокли, компасы, карты, медикаменты, 60 миллионов и задача. С 21-го эти лица выехали по ж.-д. разновременно в Кавтисхевский район; сборный пункт был назначен в 15 верстах от села Хандаки в лесу в монастыре, где их ждали М. Абуладзе и

Лашкарашвили с 60 вооруженными. Во главе отряда стал С. Мухранский, который, говорят, должен был эту должность передать через несколько дней полк. Датико Церетели (б. полк. Ком. полка. нар. Гвардии) Ежедневно в отряде прибывали новые лица - жители Гор. уезда. 23-го приезжали делегаты от жителей Казбекского района, которые сказали, что 28-го прибудет 50 вооруженных. В этот отряд прибыл Георгий - отказавшийся... возбужденный слухами о расстреле брата своего, сидевшего в то время в ЧК и, скрываясь от преследования агентов ЧК, решил работать. Была установлена связь с Шалико Павленовым, а затем со стоящим на охране Дзегвинского моста с 4-мя пулеметами Парнаозом Караловым, который должен был, по открытии военных действий, с командой и пулеметами перейти на сторону повстанцев. Велись также переговоры (говорят очень спешно) с командой бронепоезда, стоящего на ст. Мцхет. 27-го был пойман и доставлен отряд жит. сел. Тваледы Нацвалишвили, обвиняемый своими односельчанами, находящимися в отряде, в шпионаже и импровизированным "судом" был приговорен к расстрелу (приговор в исполнение не успели привести). 28-го был выработан план, по которому отряд, разбившись на две части, должен был 29-го ночью напасть на Душет (присоединившись к Ш. Павленову) и Ахалкалаки (Горийск.). 28-го ночью в сел. Хандаки приехал К. Габаев, который вызвал своего брата и всех, занимающих ком. должности. Переговоры велись до утра с представителями деревень. К. Габаев от имени властей передал всем сложившим оружие полную амнистию. Затем велись переговоры с Лашкарашвили, которые закончились тем, что Лашкарашвили предложил желающим разойтись. К вечеру было получено предписание из Центра, ввиду неудачи Челокаева, активности отряду не проявлять и разбиться на мелкие группы. К утру весь отряд разошелся, выделив

из себя 15 человек - делегацию, которая вместе с К. Габашвили выехал в Тифлис. Абуладзе, Лашкарашвили и Мухранский скрылись. Впоследствии Мухранский при помощи Габаева явился к Пред. ЧК Грузии, которым был амнистирован. Повстанцам оказывали деятельную помощь монахи указанного монастыря сбором продовольствия, разведовательной службой и т.д.

Указанный в письме **к Какуца Семену** думаю, что Багратион-Мухранский, который в этот период разъезжал по Душетскому уезду, к тому же этот Мухранский личный друг К. Челокаева и Ш. Павленова к Саше Гегечкори в августе пр. года, где К.Ч. просит Гегечкори похлопотать об освобождении арестованных в качестве заложников членов семьи Ч.К.

1. Миша Абуладзе в Тифлисе проживает на Кирпичной ул.
2. Мухранский проживает в Евгеновском тупике, д.№3.
3. Чиковани предан суду Ревтрибунала за оставление поста во дворце.
4. Каралов служит и сейчас в полку.
5. Квалиашвили, кажется, выслан.
6. Гедеванов учится в университете - прож. по Вардисубанской, д.14.
7. Сакварелидзе прож. в деревне.
8. Лашкарашвили удрал в Константинополь.
9. Датико Церетели занимает должность зав. складом Нар. Банка Грузии."

(სუკის არქივი, №24060, ფურცლ. 72-73).

კომენტარები: ე.წ. „გეორგაძის" აგენტურული ცნობა მრავალ მხრივ არის საყურადღებო. აქედან ჩანს, რომ ჩეკასთვის კარგად იყო ცნობილი ანტისაბჭოთა ამბოხებითი მოძრაობის ყველა თვალსაჩინო წარმომადგენელი და ამ მოძრაობის უმთავრესი მომენტები. მაშასადამე,

აგენტ-ინფორმატორებმა ჩეკას ჯერ კიდევ კ. მისაბიშვილის ციხიდან განთავისუფლებამდე მიაწოდეს ინფორმაცია, რომელსაც არა მარტო მეამბოხე რაზმებსა და მათ ორგანიზატორებზე გაჰყავდათ ჩეკისტური ძიება, არამედ კვალი უშუალოდ „სამხედრო ცენტრის“ წევრებამდე მიდიოდა. ამ აგენტურული ცნობიდან კარგად ჩანს აგრეთვე ჩეკას „ნაციონალ-უკლონისტური“ ხელმძღვანელობის ლოიალური დამოკიდებულება ე.წ. „ბანდიტური“, ანუ იმ ანტისაბჭოთა პატრიოტულ-მეამბოხური მოძრაობის წარმომადგენელთა მიმართ, რომელთა მსგავსი ქმედება საქართველოს კომპარტიის ახალი ხელმძღვანელობის პირობებში სასჯელის უმაღლესი ზომით კვალიფიცირდებოდა. ბ. ლომინაძის მოხსენებაში რკპ (ბ)-ის მიმართ „ნაციონალ-უკლონისტების“ ეს ლოიალური დამოკიდებულება საგნობრივად დასტურდება და მათ მიმართ ახალ ვითარებაში ერთ-ერთ მძიმე ბრალდებად ფიგურირებს. საყურადღებოა ისიც, რომ, როგორც კაკო შელიას მოგონებებიდან ჩანს, დამოუკიდებლობის კომიტეტთან სამხედრო ცენტრის არსებობის შესახებ ჩეკასათვის ცნობილი გახდა 1922 წ. ივნისში („დილის გაზეთი“, 1999, 6 ივლისი), კ. მისაბიშვილი დააპატიმრეს მაისში, ხოლო „ცენტრის“ შესახებ დამატებითი, სრულყოფილი ინფორმაცია ჯერ კიდევ კ. მისაბიშვილის ციხიდან განთავისუფლებამდე შეიქმნა.

Показание Андроникова А.С., Нарикеладзе И.И., Мусхелова Р.И. от 27.IV.1923г.:

"Интерпартийный Военный Центр образовался в мае месяце 1922 года. Состав Военного Центра объявлен Георгием Пагава на первом заседании на квартире Нарикеладзе в мае м-це 1922г. Первоначальный состав Военного Центра таков: **Андроников А.**, **Цулукидзе В.**, **Мусхелов Р.**, **Гедеванов И.** и **Георгий Химшиев**. В сентябре месяце 1922 года в состав Военного Центра вошел **Константин Абхази**. На первом заседании присутствовали: **В. Цулукидзе**,

Андроников А., Мусхелов Р., Химшиев Георгий, Пагава Георгий, Нарикеладзе Иван. Военный Центр создан для проведения подготовительных работ по организации и учету сил в случае добровольного ухода русских войск или под давлением внешних сил, - такова первоначальная постановка вопроса.

Подытоживая все, заявляем, что в нужный момент Военный Центр должен был руководить восстанием. Восстание мыслилось как единовременное на всем Кавказе при условии внутренних осложнений в России или в случае войны России с другой державой. Контрреволюционный аппарат под руководством Нарикеладзе работал при Интерпартийном Комитете.

Члены Военного Центра:

Андроников,

Р. Мусхелов,

Зав. контрразведкой при паритетном комитете Нарикеладзе.

Допросил..

Верно

(სუკის არქივი, №28139, ფურცლ. 70).

კომენტარები: დოკუმენტი ობიექტურად ასახავს „სამხედრო ცენტრის" წევრთა საქმიანობას. ამგვარი ობიექტურობა, როგორც ჩანს, ახალ პოლიტიკურ სიტუაციაში ხელს არ აძლევდა „ზაკჩეკას". ამიტომ მოცემულ დოკუმენტში ჩამოყალიბებულმა სიმართლემ განიცადა მნიშვნელოვანი მიზნობრივი ფალსიფიცირება და ჰიპერტროფირება. რაც შეეხება „სამხედრო ცენტრის" შექმნის თარიღს, იგი სხვადასხვა ჩვენებებში განსხვავებულად აისახა. მაგრამ ეს არ ცვლის საერთო გაგებას. „სამხედრო ცენტრი" 1922 წლის გაზაფხულზე შეიქმნა. ცალკეული განსხვავებული მაჩვენებლები აფიქსირებენ „სამხედრო ცენტრის" ფუნქციონირების მიმართ ჩვენების მიმცემთა სუბიექტურ დამოკიდებულებას, რომელსაც კონკრეტულ შემთხვევაში შესაძლოა ჰქონდეს გარკვეული ახსნა, მაგალითად, ბრალდების შემსუბუქების სურვილი და სხვ.

ПОСТАНОВЛЕНИЕ
(заключительное)

По делу Объединенного Военного Центра при "Комитете Независимости Грузии"

1. **Андроникова** Александра Семеновича, 51 года, с высшим образованием, б. князь, генерал генштаба, преподователь Груз. Сводной Школы, беспартийный.

2. **Цулукидзе** Вардена Григорьевича, 57 лет, окончил военное училище, б. дворянин, генерал, служащий щелкомотальной фабрики, беспартийный.

3. **Химшиева** Георгия Николаевича, 31 года, окончил Николаевское Кавал. училище, б. дворянин, б. полковник, командир учебно-кадрового батальона Груз. Сводн. Бригады, беспартийный.

4. **Мусхелова** Ростома Ильича, 35 лет, с незаконченным высшим военным образованием, б. дворянин, б. полковник, Нач. штаба Груз. Сводной Дивизии, беспартийный.

5. **Гедеванова** Иосифа Константиновича, 50 лет, с высшим военным образованием, б. дворянин, б. генерал, занимается сельским хозяйством, член груз. партии федералистов.

6. **Абхази** Константина Николаевича, 55 лет, с высшим военным образованием, б. князь, б. полковник, председатель ЦК Грузинской Национал-демократической партии, нигде не служит.

Следствием и показанием самих обвиняемых установлено: **В начале весны 1922 года** (!- Г.Ц.) после долгой взаимной борьбы пять антисоветских политических партий Грузии: маньшевики, национал-демократы, социалист-федералисты (правые), независимые социал-демократы (схивисты), социалист-революционеры (правые) заключили соглашение на основе: прекращения взаимной борьбы и создания **единого фронта** борьбы с Советской властью. **Результатом** соглашения,

подписанного представителями всех перечисленных партий, явилось **создание Паритетного Комитета**, он же интерпартийный, он же "Комитет Независимости Грузии" Комитет Независимости, **приступив к работе немедленно, наряду с организацией Комитета Красного Креста, финансового комитета и редакционной коллегии, создает объединенный Военный Центр**, сформированный по тому же принципу, что и Комитет Независимости. С самого же начала Военного центра взяли под непрерывный контроль партии меньшевиков и нац. демок. главным образом объединявшихся Комитетом Независимости. **В феврале, марте 1922г.** на квартире быв. полковника Нарикеладзе созвано первое заседание в составе лиц намеченных Комитетом Независимости **ВЦ** (! _ xazgasma Cemia _ g.c.), заседанием руководит член ЦК м-ков **Георгий Пагава**, объявивший на этом заседании, что представителями объединявшихся политпартий избран Военный Центр в составе Вардена **Цулукидзе** (от мен-ков), Ростома **Мусхелова** (от нац.-дем), **Андроникова** Александра (от нац.-дем.), Георгия **Химшиашвили** (от мен-ков), и Иосифа **Гедеванова** (от правых федералистов) Предложил обсудить вопрос о работе ВЦ. Дал краткую информацию о том, что силы и деньги в распоряжении партии имеются. Просил сообщить, какие сведения нужны ВЦ для составления плана общего выступления. По обсуждении поставленных вопросов, ВЦ пришел к следующим решениям:

1. Восстание возможно, как одновременное на всем Кавказе, при условии внутренних осложнений в России или войны России с какой-либо иностранной державой. Восстание в одной Грузии обречено на неудачу.

2. Задача Военного центра: произвести учет людей, оружия и пр. Руководить военными действиями в случае открытого выступления.

3. ВЦ против отдельных бандитских выступлений.

4. Момент восстания должен наметить комитет независимости, предварительно согласовав с ВЦ.

5. Высказано пожелание о связи с местами и частями Груз. Армии.

6. Высказано пожелание о регулярной оплате труда членов ВЦ в размере масячного прожиточного минимума.

7. Распределение обязанности между членами ВЦ - **Андроников** - председатель (! - Г.Ц.), **Цулукидзе** - связь с **комитетом** независимости, **Мусхелов** - нач. штаба.

8. Члену ВЦ Мусхелову поручено составить сводку о численности подготовленного офицерского и солдатского кадров.

9. Присутствующему на заседании Зав. контрразведки ЦК м-ков **Нарикеладзе** поручено снабжать центр сведениями военного характера. **Мусхелов** обещает также давать ВЦ военные сведения, получаемые им от Пом. Нач. Штаба ОКА **Стрихаря**.

Уже на этом первом заседании выяснилось, что партии, несмотря на заключенное соглашение, друг другу не доверяют и выкладывать сведения об имеющихся в их распоряжении силах не торопятся. **Это обстоятельство привело к тому, что военные организации партии меньшевиков и нац.-демократов, несмотря на создание ВЦ, провели работу каждая по директивам своего ЦК**. Наиболее сильные из объединившихся партий - меньшевики и нац.-демократы стремятся овладеть большинством в ВЦ. **Через несколько дней после первого заседания ВЦ** меньшевики перетягивают на свою сторону **Мусхелова** Ростома для использования его по работе в грузинских частях. **Мусхелов**, обязавшись с этого момента работать с меньшевиками, не прерывает в то же время и связи с нац.-демократами. Приблизительные данные о силах, которыми располагали партии, были известны отдельным членам ВЦ или лицам, принимавшим ближайшее участие в работе центра (**Нарикеладзе**)

Андроникову еще до вхождения в ВЦ членами ЦК партий нац.-дем. Ясоном **Джаваховым** и Давидом **Вачнадзе** было сообщено, что партия нац.-дем. располагает крупными силами в Кахетии от 5 тысяч до 6 тысяч человек. Зам. контрразведкой **Нарикеладзе** меньшевиком Сирбиладзе было сообщено, что партия меньшевиков имеет организованных: в Гурии около 1000 человек, Мингрелии - 300-400 человек, в Кутаисском уезде - 200 человек, в Рачинском уезде - 400-500 человек, в Кахетии - 600 человек - в общем 4000-5000 человек. **Первый период работы** - весенние **месяцы 1922г. - сосредоточить в своих** руках руководство движением, подготовляемое отдельными партиями - ВЦ **не смог**. Несмотря на отрицательное отношение КОМ. Независимости и ВЦ к отдельным бандитским выступлениям, показывают члены ВЦ, они все же продолжались. Данные об имеющихся силах и оружии поступали не в ВЦ, а сосредоточивались в ЦК отдельных партий: удовлетворительно работает лишь контрразведывательный аппарат, регулярно снабжающий ВЦ в лице **В. Цулукидзе** нужными сведениями: дислокация ОКА, численность ОКА, движение развивающегося бандитизма. **В апреле 1922г**. происходит арест **В. Цулукидзе** и **Гедеванова**. В мае того же года арестован **Химшиев**, намеривавшийся ехать "замирять **Челокаева**". **Андроников** 20 мая выезжает в Сурам. Работа Военного Центра, естественно, приостанавливается. Остаются на свободе **Мусхелов** и зав. контрразведкой **Нарикеладзе**, продолжающий работу. **В первых числах мая** освобождаются из-под ареста **И. Гедеванов**, а **3 июля - В. Цулукидзе**. Военный Центр приступает к работе. Этот период работы ВЦ характеризуется подготовкой **Челокаевского движения**. Показаниями членов ВЦ он освещен очень слабо. Имеющимися в деле документальными данными и показаниями Нач. Штаба ВЦ Мусхелова установлено:

1. В августе м-це 1922г. Д. Вачнадзе, член ЦК нац.-

дем., ведавший военной работой, при встрече с Мусхеловым поднял вопрос о выступлении в Кахетии. Просил Мусхелова составить оперативный план, заявив, что **Челокаеву** будет послан приказ о выступлении на 27 сентября.

В августе 1922г. Давид Вачнадзе послал Челокаеву письмо (дата июля), подписанное им псевдонимом "Сампери" В этом письме сообщается: 1. Что к осени Антантой подготавливается интервенция Сов. России. 2. За границей заказаны деньги и оружие. 3. Старое правительство из Парижа призывает к активным действиям, обещая заказанное оружие и деньги. 4. Создался единый центр, в состав которого вошли **Мусхелов** (**Я. Джавахов** - член Ком. Независимости и член ЦК нац.-дем.) 5. С письмом посылается приказ военно-оперативного штаба грузинских партизанских войск. Штаб этот является интерпартийным и считается главным военным Штабом Комитета Независимости. 6. Рекомендуется не держать связь с Варденом (**Цулукидзе**), который является противником активности.

Вместе с письмом был послан приказ #1 "начальнику грузинских партизан **Какуце Челокаеву**", которым "временем освобождения Грузии от оккупантов назначается с 27 сентября до 15 октября". Этим же приказом **Челокаеву** предлагалось представитъ к 15 сентября сведения об общем числе партизан, число винтовок, пулеметов, орудий, патрон. Предлагалось выяснить, какую помощь могут оказать лезгины и Муганло-Казаховские татары. Представить план продовольствия восставших. Приказ подписан "Сампери" (Д. Вачнадзе). По поручению главного партизанского Штаба" По показанию члена ЦК нац.-дем. **М. Джавахова Ясоном Джаваховым** послано Челокаеву 300-400 лир, полученных от Комитета Независимости. По показаниям члена ВЦ **В. Цулукидзе** - в разработке приведенного приказа #1 принимал участие член Комитета Независимости (от

н.-д.) и фактический пр-ль ЦК национал-демократов Ясон **Джавахов**. Приведенные выдержки из документов и показания устанавливают, что выступление **Челокаева** произошло по решению Комитета Независимости и руководилось Военным Центром - через военную организацию н.-д. (очевидно потому, что **Челокаев** является детищем н.-д. партии). Приказ о выступлении не был своевременно доставлен Челокаеву, ввиду неожиданного появления его севернее Душета во 2-х числах августа 1922г. **Челокаев**, якобы, приказ этот получил в период боя с красными войсками, а затем ушел из Хевсуретии через Панкиси и Алаверды. Момент ухода Челокаева из Хевсуретии означал начало исполнения намеченного плана, но достигнув с 10-12 всадниками района Алаверди, **Челокаев** уже не мог использовать местное население, на которое он рассчитывал. В последних числах августа 1922г. член ВЦ Мусхелов по заданию РВС ОКА выезжает в район действия банд **Челокаева** в Душетский уезд в качестве Нач. Штаба экспедиционного отряда с заданием подавить восстание, поднятое Чолокашвили. По окончании первого периода операции **Мусхелов** под предлогом устройства дел выезжает из Душета в Тифлис для свидания с представителем ЦК меньшевиков И. Цинцадзе. По приезде в Тифлис Мусхелов сообщает Цинцадзе: 1. Обстановку, о разговоре с Д. Вачнадзе перед выступлением Челокаева, настроении Хевсуретии, о том, что Челокаев отправил человека в Ингушети к какому-то генералу за помощью и о том, что он, **Мусхелов**, дал Челокаеву возможность безнаказанно уйти, задержав конницу в Тианетах.

2. Цинцадзе были даны **Мусхелову** следующие задания: информировать о дальнейшем движении войск и дальнейшем наступлении горских народов. "Пощадить Хевсуретию".

Далее Цинцадзе заявил, что в **случае движения населения** в большом масштабе, он прикажет двум бандам идти на

помощь Хевсуретии. Выразил надежду, что грузинские войска примкнут к движению и офицерам "покажем свою настоящую физиономию", обещая Мусхелову прислать человека для связи. Из вышесказанного следует, что военная организация партии меньшевиков, руководимая Иосифом Цинцадзе и **Г. Пагава**, выполнила часть своего плана. **Мусхелов** выезжает в Душет. Приехав в Душет, Мусхелов, во исполнение директивы И. **Цинцадзе**, задерживает наступление на Хевсуретию (мотивирует "черезвычайно тяжелыми местными условиями), давая тем самым возможность И. Цинцадзе развернуть операции 2-х объединенных банд. В этот период времени к **Мусхелову** является проживающий в том же доме, где первоначально помещался Штаб Экспедиционного отряда, Николай **Зандукели**, заявивший, что он прибыл от "Луки" (псевдоним И. Цинцадзе), получив от Мусхелова ответ, что никакого **Луку** он не знает, уходит. Вторично является через два дня и заявляет, что он имеет от **Цинцадзе** задание сформировать партизанские отряды и двинуть их по указанию его, Мусхелова. Просил сообщить ему обстановку. **Мусхелов** предложил якобы **Зандукели** без его ведома пока ничего не предпринимать. При вторичной встрече, происшедшей через несколько дней, **Зандукели** /член Душетского Комитета партии меньшевиков/ заявил Мусхелову, что Павленов готов и приглашает его, Мусхелова, принять на себя руководство объединенными силами. Этот последний разговор совпадает с началом разгрома **Челокаева**, **Мусхелов** предлагает **Зандукели** уведомить **Павленова**, что партизанские действия в данный момент бессмысленны и одновременно предложить **Павленову** не устраивать нападения на Душет, которое предполагалось, "так как все будут перебиты"

Непосредственно перед ликвидацией **Челокаевской** авантюры на квартире того же **Нарикеладзе** состоялось второе заседание Военного Центра. **Состав Военного Центра**

к этому времени дополняется Константином Абхази (! - Г.Ц.) /председатель ЦК нац-дем./ На заседании председательствует Николай **Карцивадзе** - пред. Комитета Независимости. Присутствует член Комитета Независимости Ясон **Джавахов**. Из членов военного центра отсутствуют: **Химшиев** /арестован/, **Мусхелов** /находящийся в Душети/ и **Гедеванов**. Обсуждается вопрос о вооруженном восстании. **Карцивадзе** дал общую информацию - сообщив о возможности связи с Азербайджаном и Арменией. По вопросу о вооруженном восстании и линии поведения Военного Центра якобы принимается следующее решение:

1. Бороться с бандитизмом,

2. Провести через партии учет людей и оружия, имеющегося в распоряжении партии. Учет сгруппировать по ЦК партии, откуда все данные должны поступить в Военный Центр. Эти данные должны послужить руководящим началом для создания общего плана восстания.

3. Был заслушан доклад командира I-й батареи 2 арт. див. Груз. св. див. **Чрдилели** о поступившей батареи, предложении присоединиться к Челокаеву. Собрание, якобы, решило предложить батареи к Челокаеву не присоединиться.

Партии вовремя не смогли произвести мобилизацию сил на помощь Челокаеву. Душетская операция заканчивается. **Челокаев** без наказания уходит ввиду неправильной группировки кавалерии. **Мусхелов** выезжает в Тифлис. Происходит встреча с И. Цинцадзе, Г. Пагава, которых Мусхелов информирует о закончившейся Душетской экспедиции.

Через несколько дней встречи с Д. Вачнадзе, выражающим пожелание не преследовать Челокаева, - дать ему отходить. Встреча с **В. Цулукидзе**, сетующим на ошибки политического Центра. На этом заканчивается первый период работы Комитета Независимости и Военного Центра.

В дальнейшем, вплоть до дня ареста, заседаний Военного

Центра не было. Все возникавшие вопросы решались членами Военного Центра при встречах на улице. В этот второй период работы подпольные организации Грузии, возглавлявшиеся Комитетом Независимости, установили (связь - Г.Ц.) с организациями горцев Сев. Кавказа, Дагестана, Азербайджана и Армении. Начал осуществляться план, намеченный Военным Центром первоначально. Паритетный комитет в этот период времени, по показаниям Мусхелова, "не организует банд - он занят учетом людей и оружия, работал тихо, он готовился в **нужный момент нанести удар**". Работа Военного Центра в некоторой мере принимает нормальный характер. **Нарикеладзе** систематически снабжает Военный Центр сведениями военного характера, получаемые из Штаба ОКА, он же налаживает регулярную выплату членам Военного Центра жалования: выдано 2-3 раза по 25 лир. **Мусхелов** доставляет **Нарикеладзе** интересующие последнего секретные военные данные, **Цулукидзе** держит регулярную связь с пред. (представителем - Г.Ц.) Комитета Независимости **И. Нарикеладзе**. В сентябре-ноябре 1922г. **Нарикеладзе** по поручению **В. Цулукидзе** передает в ЦК меньшевиков разработанные соображения об учете сил, сводившиеся к следующему:

1. Приступить немедленно на местах к учету офицеров, фельдфебелев, унтер-офицеров и солдат, проходящих и не проходящих службу.

2. Учет возложить на военные штабы, которые должны быть организованы в каждом уезде.

3. Сбор необходимых данных по учету возложить на партийных работников.

4. Учесть число оружия на местах: пулеметов, винтовок, патрон и к ним людей.

5. Все данные учета сосредоточить в уездных Штабах - откуда сгруппированные сведения передавать в Комитет Независимости.

6. На случай мобилизации учетные кадры сводятся в роты по 16 человек. Если в уезде имеется число, превышающее ротный состав, то организуются батальоны 3 ротного состава и полки 3 батальонного состава.

7. В тех местностях, где имеется возможность организовать кавалеристские части - там создать эскадроны.

Недели две спустя это распоряжение было передано ЦК меньшевиков на месте.

В середине января 1923 года член ВЦ **В. Цулукидзе** передал предс. Комитета Независимости **Н. Карцивадзе** те же соображения, несколько дополненные для выполнения их партиями, входящими в Комитет Независимости. Внесенные дополнения выражались в следующем:

1. Председатель Уездного Штаба должен являться военным.

2. В каждое "теми" для проведения плана в жизнь назначается один военный и один партийный.

3. Собранные сведения из Уездного Штаба поступают через Комитет Независимости в Военный Центр.

Связь с уездными, по показаниям **Цулукидзе**, имел председатель Комитета Независимости. Поступившие данные подтверждали существование в уездах интерпартийных Уездных комитетов и военных штабов. План учета и организации сил, намеченный Военным Центром, реально проводился в жизнь. В половине февраля 1923 года **Джавахов** /имя и партийность пока не установлены/, сообщает зав. контр. разведкой **Нарикеладзе**, что состоялось соглашение между Азербайджаном, Дагестаном, Горцами Сев. Кавказа и Грузией о совместном выступлении по свержении Сов. власти.

3 марта произведен арест Военного Центра, прекративший его работу.

На основании вышеизложенного вменяется в вину:

1. **Цулукидзе** Вардену Григорьевичу:

а) Руководство восстанием в августе-сентябре 1922г., имевшим целью свержение Сов. власти в Грузии. Руководство организацией нового восстания с теми же целями (ст. 59 Уг. Кодекса)

б) Участие в шпионаже (ст. 66 Уг. Кодекса).

2. **Андроникову** Александру Семеновичу:

а) то же (ст. 59 Уг. Кодекса).

3. **Мусхелову** Ростому Ильичу:

а) то же (ст. 59 Уг. Кодекса)

б) Участие в шпионаже (ст. 66 Уг. Кодекса).

4. **Химшиеву** Георгию Николаевичу:

а) то же (ст. 59 Уг. Кодекса)

5. **Абхази** Константину Николаевичу:

а) то же (ст. 59 Уг. Кодекса).

6. **Гедеванову** Иосифу Константиновичу:

а) то же (ст. 59 Уг. Кодекса)

Руководствуясь указанными статьями Уголовного Кодекса С.С.Р.Г.

Установил: **Цулукидзе** Вардена, **Андроникова** Александра, **Мусхелова** Ростома, **Химшиева** Георгия, **Абхази** Константина и **Гедеванова** Иосифа подвергнуть высшей мере наказания (**Расстрелять**). Предметы, отобранные по квитанциям №23, 95, 39, 31 и 36, конфисковать.

Настоящее постановление передать на утверждение Коллегии ЗАКЧК.

Справка: Все арестованные содержатся при ЗАКЧК.

Нач. КРО ЗАКЧК
15 мая 1923 года

С подлинным верно:

Нач. Реготделения ЗАКЧК /Маисов/.

(სუკის არქივი, №28139, ფურც. 103-110).

კომენტარები: 1. **РВС ОКА** - Революционный Военный Совет Отдельной Красной Армии - Г.Ц.

2. ამ დოკუმენტში გაყალბებულია „სამხედრო ცენტრის“ მონაწილეობა როგორც ხევსურეთის აჯანყებაში, ისე ვითომ ახალი აჯანყების მზადებაში.

3. დასკვნითი დადგენილების მიხედვით გაყალბებულია დ. ვაჩნაძის თვითნებური ქმედება და იგი მიჩნეულია როგორც „დამკომის“ და „სამხედრო ცენტრის“ მოქმედება.

4. იასონ ჯავახიშვილის მონაწილეობა ბრძანება №1-ის შედგენაში გაყალბებულია ვ. წულუკიძის სავარაუდო აზრის სიმართლედ მიღების გზით. ამ სიყალბიდან კი გამოტანილია მორიგი ყალბი დასკვნა თითქოს ქ. ჩოლოყაშვილის გამოსვლა მოხდა დამოუკიდებლობის კომიტეტის გადაწყვეტილებით და ეროვნულ-დემოკრატების სამხედრო ორგანიზაციის ხელმძღვანელობით.

5. აშკარად ყალბია დასკვნითი ნაწილი, რომლის მიხედვით ქ. ჩოლოყაშვილის ხევსურეთიდან კახეთში გადასვლა ნიშნავდა ბრძანება №1-ის თანახმად ახალი აჯანყების დასაწყისს. სინამდვილეში ქაქუცამ მიიღო „დამკომისა“ და „სამხედრო ცენტრის“ ერთობლივი მითითება აჯანყებაზე უარის გამო და დაემორჩილა მას.

6. დოკუმენტში გაყალბებულია „დამკომისა“ და „სამხედრო ცენტრის“ ერთობლივი სხდომის და ნ. ქარცივაძის აზრი აჯანყებასთან და ქ. ჩოლოყაშვილის მოქმედებათა დაგმობასთან დაკავშირებით.

7. დოკუმენტში გაყალბებულია პოლკ. ჩრდილელის ჩვენება, რომელიც

აგრეთვე ნათლად მოწმობს, რომ მას „დამკომმა“ და „სამხედრო ცენტრმა“ დაავალა ქ. ჩოლოყაშვილისადმი დაუმორჩილებლობა, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში შეიარაღებული წინააღმდეგობა.

8. ასევე აშკარად ყალბია აზრი, საერთო ეროვნული აჯანყების მიზნით, აზერბაიჯანისა და ჩრდილო კავკასიის მთიელთა გამოყენების და აჯანყების გეგმის პრაქტიკული განხორციელების დაწყების შესახებ. სინამდვილეში ასეთი რამ არ მომხდარა.

9. დასკვნით დადგენილებაში „დამკომის“, „სამხედრო ცენტრის“ და, კერძოდ, ნარიკელაძის საერთო ხასიათის ორგანიზაციული მუშაობა და კონკრეტული დეტალები ყალბად არის მიჩნეული აჯანყებისათვის პრაქტიკულ მზადებად.

10. მაშასადამე, დასკვნითი დადგენილება ისეა ფალსიფიცირებული, რომ „დამკომისა“ და „სამხედრო ცენტრის“ წევრებს ბრალეულობები გაუზვიადონ სასჯელის უმაღლეს ზომამდე. ზოგმა მკვლევარმა კი ჩეკისტური სიყალბე დაიჯერა, იწამა და სხვის დაჯერებასაც შეეცადა. მაგრამ სათანადო ისტორიის წყაროების ზედმიწევნით მცოდნე, ანალიტიკურად მოაზროვნეთა დარწმუნება მათი მცდარი დასკვნებითა თუ კონცეფციებით არ ხერხდება.

11. დოკუმენტში ყურადღებას იპყრობს ის, რომ დასკვნით დადგენილებაში „გაერთიანებული სამხედრო ცენტრის“ გამო პასუხისმგებლობაში მიცემულთა და დასახვრეტთა შორის არ არის დასახელებული ივ. ნარიკელაძე. იგი არ ფიქსირდება აგრეთვე ჩვენთვის ცნობილ ჩეკას მიერ დახვრეტილთა სიებში.

12. ი. გედევანიშვილის მიმართ ბრალეულობები ფალსიფიცირებითაც კი ვერ დასტურდება. ალბათ ამიტომ იგი შემდეგ სხვებთან ერთად არ დაუხვრეტიათ; არსებობს წყარო, რომლის მიხედვით ირკვევა, რომ ი. კ. გედევანიშვილი, დაბადებული მცხეთაში 1872 წ. დააპატიმრეს 3.III.1923, განთავისუფლებულ იქნა 23.V.1923 – ორდერი №102 (იხ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციის სამმართველოს მასალებში).

13. კიდევ ერთხელ მტკიცდება, რომ „სამხედრო ცენტრში“ უფროსი, ანუ თავმჯდომარე იყო ალექსანდრე ანდრონიკაშვილი და, რომ „სამხედრო ცენტრი“ არის იგივე „გაერთიანებული სამხედრო ცენტრი“.

14. საქართველოს სახელმწიფო უშიშროების არქივის მასალები, თბილისის 1991-1992 წლების ძმათამკვლელი ომის დროს გაჩენილი ხანძრით ნაწილობრივად მოსპობის, ინფორმაციის ერთი ნაწილის საკავშირო ცენტრში გაწვევის და აგრეთვე სხვა მიზეზების გამო, მნიშვნელოვნად არის შემცირებული. მომავლის ისტორიკოსებმა ყურადღება უნდა დაუთმონ რუსეთში დაცული მასალების გამოყენებას. მათი მისამართია: Отдел реабилитации и архивной информации Главного Информцентра МВД Российской федерации. Москва. Новочеремушинская, 67.

აუცილებელი განმარტებები სოფიო ჩიჯავაძე-კედიას „ნასმენ-ნახულის“ გამოქვეყნებასთან დაკავშირებით

წინამდებარე წიგნის დაბეჭდვის საკითხზე გამომცემლობა „ლეგას“ წარმომადგენელთან წინასწარი მოლაპარაკების დროს (2001 წ.) შევიტყე, რომ იქ იბეჭდებოდა ქართული ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენლის, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამაარსებლისა და მისი ყოფილი თავმჯდომარის სპირიდონ კედიას თანამოაზრისა და მეუღლის, ქალბატონ სოფიო ჩიჯავაძე-კედიას მოგონებები. აქვე გავიგე ისიც, რომ მოგონებათა ავტორს წიგნში მოყვანილი აქვს 1923 წელს ჩეკას მიერ მწერალ მიხეილ ჯავახიშვილის დაპატიმრებით შეშფოთებული კოტე აფხაზის ნათქვამი თუ წამოძახილი: „დავიღუპეთ, საშინელი მშიშარაა და თუ აწამეს, ყველაფერს იტყვისო.“ ეს თავისთავად უწყინარი ვარაუდი მე, როგორც ჩეკას დაკითხვების დროს წამების მაგალითების კარგად მცოდნეს, არ გამკვირვებია, მაგრამ არც სიმართლედ მივიღე, თუმცა უყურადღებოდაც არ დამიტოვებია. რადგან ეს ჩემთვის ახალი და მანამდე უცნობი ინფორმაცია აღმოჩნდა, საჭიროდ ჩავთვალე თვალი მიმედევნებინა იმისათვის, თუ რა კონტექსტში იყო იგი გაგებული. ჩემთვის ცნობილი იყო, რომ ჯერ კიდევ 1979 წელს ჟურნალ „ივერიას“ (№22) ფურცლებზე გამოქვეყნდა მიხეილ ქავთარაძის ვრცელი წერილი (გვ. 1-12) „სპირიდონ კედია“ აქ ავტორი აღნიშნავს, რომ ისარგებლა სპირიდონის მეუღლის ქალბატონ სოფიო ჩიჯავაძე-კედიას გამოუქვეყნებელი მემუარებით, რომლის სარგებლობის ნებართვისათვის წერილის ავტორი მადლობას იხდიდა რედაქციის სახელით (იხ. გვ. 1). ამის შემდეგ გამოქვეყნდა გ. შარაძის „ფრანგული დღიური“ (1990 წ.), რომელიც გვამცნობდა: „ქ-ნ სოფიო ჩიჯავაძეს დაუმთავრებია „მოგონებების“ წერა (გადმომცა მისი წინასიტყვაობა), რომელიც, პირველ რიგში, საინტერესოა სპირიდონ კედიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის სრულყოფილი სურათის აღსადგენად. წიგნს პარიზში მალე გამოსცემს ილია ჭავჭავაძის სახელობის ქართულ-ევროპული ინსტიტუტის დირექტორი ჯანრი კაშია...“

უკვე მომდევნო (1991) წელს გ. შარაძემ მკითხველს მიაწოდა უაღრესად საყურადღებო, ვრცელი წიგნი „უცხოეთის ცის ქვეშ" (წ. I). მასში საქართველოსათვის თავდადებულ მოღვაწეთა შესახებ მოთავსებულ საინტერესო ნარკვევებს შორის ადგილი ეთმობა აგრეთვე საყურადღებო წერილს – „სპირიდონ კედია" (იხ. გვ. 94-117). აღნიშნული ნარკვევიდან ჩანს, რომ მისმა ავტორმა (გ. შარაძემ) ს. კედიას შესახებ წერის დროს გამოიყენა მისი თანამოაზრე-თანამებრძოლი ემიგრანტების, აგრეთვე ქალბატონ სოფიო ჩიჯავაძე-კედიას მიერ დაწერილი „მოგონებების" ადრე მიღებული ნაწილიც. მაგრამ მ. ქავთარაძის და გ. შარაძის ამ თავისთავად საინტერესო ნარკვევებში რატომღაც არაფერია ნათქვამი ქალბატონ სოფიოს მიერ მიხეილ ჯავახიშვილის შესახებ გაცხადებული თითქოს უწყინარი ცნობის თაობაზეც კი მაშინ, როცა თურმე მასში მიხეილ ჯავახიშვილის მიმართ უაღრესად მძიმე ბრალდებაც ყოფილა წაყენებული. მის მიხედვით, „ჯაყოს ხიზნების ავტორი" გაგებულია, ისევე როგორც შემდეგ მანანა ხომერიკის მიერ, როგორც „სამხედრო ცენტრის" წევრების და მათთან დაკავშირებულ პირთა გამცემი. ჩვენი აზრით, შესაძლებელია, რომ მ. ქავთარაძე და გ. შარაძე, მეცნიერული პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, მოერიდნენ ამ (და, როგორც შემდეგში გაირკვა, სხვა მსგავს) უაღრესად სენსაციურად და მტრულად აღქმული, ამავე დროს ძნელად ასახსნელი ცნობების და სხვა მსგავს საჩოთირო (თუ აშკარად სახიფათო) ნარატიული წყაროს გამოქვეყნებას, რადგან იგი აუცილებლად მოითხოვდა სერიოზულ გადამოწმებას: სპეციალურ წყაროთმცოდნეობით ძიებას, მეცნიერულ კვლევასა და ანალიზს. თეორიულად არც ის არის გამორიცხული, რომ ქალბატონ სოფიოს მიერ მ. ქავთარაძის და გ. შარაძისათვის გადაცემულ „მოგონებათა" „წინასიტყვაობაში" მიხეილ ჯავახიშვილის შესახებ სათაკილო არაფერი იყო ნათქვამი. მაგრამ, როგორც ირკვევა, ს. ჩიჯავაძე-კედიას აზრი მიხეილ ჯავახიშვილის მიერ „სამხედრო ცენტრის" გაცემის შესახებ დაინტერესებული პირებისათვის ცნობილი ყოფილა ჯერ კიდევ მანამდე, ვიდრე იგი გამომცემლობა „ლეგას" ს. ჩიჯავაძე-კედიას მოგონებათა სახით გამოსაქვეყნებლად გადაეცემოდა.

ამ უკანასკნელ ხანს ისტორიკოს ოთარ ჯანელიძესთან საუბრის დროს გავარკვიეთ, რომ მან ეს ზემოთ აღნიშნული ოდიოზური ამბავი ჯ. კაშიას მიერ გადაცემულ „მოგონებათა" ხელნაწერში რამდენი-

მე წლის წინ გაიცნო. მსგავსი ინფორმაცია მივიღეთ აგრეთვე „უცხოეთში ქართველ მოღვაწეთა გრიგოლ რობაქიძის სახელობის ფონდის“ თავმჯდომარის ბატონ ავთანდილ ჩხიკვიშვილისაგან. მან ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დიდი მწერლის შესახებ ჩატარებული საჯარო საუბრის დროს (27.V. 2002) გაგვიმხილა: „ქალბატონ სოფიო ჩიჯავაძე-კედიას ვერსიას მიხეილ ჯავახიშვილის შესაძლო გამცემლობის შესახებ რამდენიმე წლის წინ გავეცანიო.“ მაშასადამე, არსებულა იმის თეორიული შესაძლებლობა, რომ ეს ცნობა, ს. ჩიჯავაძე-კედიასეული გაგებით, მინიმუმ 1990-იანი წლების დასაწყისიდან, თუნდაც ნ. კირთაძეს და მ. ხომერიკის წიგნების გამოქვეყნებამდე (1996 წ.), ყოფილიყო ცნობილი ზოგი დაინტერესებული პიროვნებისა და მკვლევრისათვის. უფრო მეტიც, ს. ჩიჯავაძე-კედიასეულ ვერსიას ზეპირი სახით საქართველოში შემოღწევა შეეძლო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სამშობლოში დაბრუნებული ყოფილი ემიგრანტების მეშვეობით. მაშასადამე, არ არის გამორიცხული, რომ მიხეილ ჯავახიშვილის, როგორც „სამხედრო ცენტრის“ დამსმენის და თანამოაზრე-თანამებრძოლთა მოღალატეობის ვერსია, იმპორტირებულია დიდი ხნის წინათ.

როცა წიგნს გავეცანი, გაირკვა, რომ სოფიო ჩიჯავაძე-კედიამ მოამზადა მოგონებათა ათასგვერდიანი ხელნაწერი – „ნასმენ-ნახული“, რომელსაც ჯერ კიდევ 1990 წელს მიენიჭა ილია ჭავჭავაძის საერთაშორისო პრემია (იხ. გვ.9). ბატონმა ჯანრი კაშიამაც შეასრულა ნაკისრი ვალდებულება და მიმდინარე, 2002 წლის დასაწყისში ს. ჩიჯავაძე-კედიას „ნასმენ-ნახული“ ქართველი ფართო მკითხველი საზოგადოებისათვისაც გახდა ხელმისაწვდომი.

აღნიშნული წიგნის შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ ეს არის უაღრესად ბევრი და საყურადღებო პოლიტიკური მოვლენის ხანდაზმული მემატიანის პირად განცდებსა და დიდ შინაგან ერუდიციაზე დაფუძნებული გულნადების, „ნასმენ-ნახულის“, გულწრფელი გადმოცემა. ეს უნიკალური ინფორმაციის შემცველი, ეთნოლოგიურ-ისტორიოგრაფიული ღირებულების მქონე, ვრცელი (432 გვ.) მოგონებები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, საერთოდ, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ისტორიის და, კერძოდ, ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობის ისტორიის დამატებითი გააზრებისათვის.

ს. ჩიჯავაძე-კედიას „ნასმენ-ნახული“ უაღრესად საყურადღებო და-

მატებით ცნობებს შეიცავს აგრეთვე საქართველოს 1921-1923 და შემდგომი წლების ეროვნული მოძრაობის ისტორიის სიღრმისეული გაგებისათვის. სამწუხაროდ გვრჩება მხოლოდ ის, რომ მოგვიანებით გამოქვეყნებულ მოგონებებში ასახული საყურადღებო ფაქტები არ არის გათვალისწინებული ჩვენს წინამდებარე წიგნში. ამ მდგომარეობამ გვაიძულა დამატებით ცალკე გადმოგვეცა ჩვენი დამოკიდებულება ს. ჩიჯავაძე-კედიას მონათხრობთა მიმართ.

1. ქალბატონ ს. ჩიჯავაძე-კედიას „ნასმენ-ნახული" საყურადღებოა წინამდებარე წიგნში ჩვენს მიერ მოცემული ისტორიოგრაფიული, წყაროთმცოდნეობითი, ანალიტიკური და კონკრეტულ-კონცეპტუალური დებულებების მართებულობის გაკონტროლება-აპრობირებისათვის; 2. მოგონებებში წარმოჩენილი ფაქტები გვევლინება დამატებით მასალად და არგუმენტებად წინამდებარე წიგნის ცალკეული ვითარებების, დებულებებისა და კონცეფციის ასახსნელად. 3. მაგრამ მ. ჯავახიშვილის პოლიტიკური ღვაწლის შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ „ნასმენ-ნახულში" ავტორს ასახული აქვს აგრეთვე ცუდად გაგონილი და პირად განწყობილებაზე დაფუძნებული მცდარი ფაქტები, რომელთა მიხედვით „ჯაყოს ხიზნების ავტორი" (?! – გ.ც.) მიხეილ ჯავახიშვილი შეცდომით გაგებული და გამოცხადებული ჰყავს „სამხედრო ცენტრის" წევრებისა და მათთან დაკავშირებულ პირთა გამცემად. ამას არ შეიძლება გავლენა არ მოეხდინა მკითხველზე, მათ შორის 1921-1924 წლების ანტისაბჭოთა ეროვნულ-პოლიტიკური ბრძოლის ისტორიის მკვლევრებზე. ამდენად, გასაგებია, რომ ცდომილება, რომელიც მ. ჯავახიშვილის, როგორც ღირსეული პოლიტიკოსის, გაგების საკითხში აღინიშნა, სათავეს იღებს ს. ჩიჯავაძე-კედიას „ნასმენ-ნახულიდან".

როგორც ცნობილია, მწერალი იმ დროს იყო მრავალი ცნობილი ნაწარმოების, მაგრამ არა „ჯაყოს ხიზნების" ავტორი. ს. ჩიჯავაძე-კედია მ. ჯავახიშვილს „ჯაყოს ხიზნების ავტორად" მოიხსენიებს 1905 წელთან დაკავშირებული ამბების თხრობის დროსაც, კერძოდ, როცა აღწერს „საქართველოისტების" წრეში მუშაობას. 1905 წელს „ხელმძღვანელობდა ამ წრეს ადამაშვილი-ჯავახიშვილი, „ჯაყოს ხიზნების ავტორი" (იხ. გვ. 87), – წერს იგი. შემდეგშიც, როცა მ. ჯავახიშვილი, როგორც მწერალი, გაბრწყინდა არა მარტო ამ ნაწარმოებით, იგი ს. ჩიჯავაძე-კედიასათვის მაინც მხოლოდ ბევრის მიერ

ქართველი თავადაზნაურობის, ინტელიგენციის, განსაკუთრებით ქართველი ქალის, თავმოყვარეობის შემლახველად და დამამცირებლად მიჩნეული „ჯაყოს ხიზნების“ ავტორად რჩება. აქ, ჩვენი აზრით, უთუოდ ჩანს ქალბატონ სოფიოს, როგორც შეურაცხყოფილი თავადაზნაურობის წარმომადგენელის და დედით არაგვის ერისთავთა შთამომავლის, წინასწარი უარყოფითი განწყობილება მ. ჯავახიშვილის, როგორც თითქოს პროსაბჭოურად გარდაქმნილი პიროვნების და თავადაზნაურობის ღირსების დამამცირებელი მწერლის, ანუ „ჯაყოს ხიზნების“ ავტორის მიმართ.

მივყვეთ ს. ჩიჯავაძე-კედიას მოგონებებს:

„ნასმენ-ნახულის“ 261-ე გვერდზე ვკითხულობთ: „თამარა ფალავანდიშვილისაგან გავიგე ცუდი ამბავი, რომ სამხედრო ცენტრის (? - გ.ც.) ერთი წევრი (ანუ „სამხედრო კომისიის“ ერთი წევრი – გ.ც.) ადამაშვილი-ჯავახიშვილი დაიჭირეს და ამასთან ისიცა სთქვეს, რომ კოტე აფხაზი საშინლად არის შეწუხებული, რადგან უთქვამს: „დავიღუპეთ, საშინელი მშიშარაა და თუ აწამეს, ყველაფერს იტყვისო.“

აღნიშნულ ნაწერს მოსდევს სპეციალური პარაგრაფი თუ თავი: „სამხედრო კავშირი (ცენტრი – გ.ც.) და მისი მწარე დასასრული.“ იგი იწყება სიტყვებით: „რამდენიმე ხანში სამხედრო ცენტრის მთელი შემადგენლობა ნიკო ქარცივაძის თავმჯდომარეობით (? – ნ. ქარცივაძე „დამკომის“ თავმჯდომარეა – გ.ც.) ჩეკაში იყო დაჭერილი.“

მაშასადამე, ს. ჩიჯავაძე-კედიას თ. ფალავანდიშვილისაგან კ. აფხაზის ნათქვამი ისე გაუგია, თითქოს პატიმარი მ. ადამაშვილი-ჯავახიშვილი მართლა მშიშარა ყოფილა, ჩეკაში, როგორც მოსალოდნელი იყო, უწამებიათ, ამის გამო თანამოაზრე-თანამებრძოლები გაუცია და სწორედ ამიტომაც დაუპატიმრებიათ ნ. ქარცივაძე, შემდეგში დახვრეტილი „სამხედრო ცენტრის“ წევრები და მათთან დაკავშირებული გამოჩენილი პატრიოტი მხედრები. მაშასადამე, ვითომ „სამხედრო ცენტრის“ ეს ერთი წევრი ცოცხლად გადარჩა. აქედან გამომდინარე მართლაც რომ საეჭვო ხდება მისი გადარჩენის ამბავი. მართალია, თ. ფალავანდიშვილისა და ს. ჩიჯავაძე-კედიას ნათქვამთა მიხედვით არა ჩანს კ. აფხაზის აღშფოთება რამდენად ფართო საზოგადოებაში იქნა გამოთქმული, ან იყო თუ არა იგი კონფიდენციალური, მაგრამ, ცხადია, მის გავლენას განიცდის შ. ამირეჯიბიც. როგორც ვნახეთ, შ. ამირეჯიბმა მ. ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნების“

შეფასების დროს ნაწარმოებთან ერთად ეჭვის ქვეშ დააყენა ავტორის ეროვნულ-პოლიტიკური ღირსების საკითხიც. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ შემთხვევითი არ არის გრ. რობაქიძის „მიხეილ ჯავახიშვილის“ ავტორისეული პასაჟები და ამავე წერილს დართული მ. ქავთარაძისეული საწინააღმდეგო კომენტარები, უნდა ვიფიქროთ, რომ მ. ჯავახიშვილი, როგორც მწერალი და პოლიტიკოსი, ცუდად გაგებულა ქართულ ანტისაბჭოთა ემიგრაციის ერთ ნაწილში. მაგრამ, როგორც ცნობილია, მ. ჯავახიშვილი, როგორც მწერალი, ქართველი ინტელიგენციის ერთმა ნაწილმა ცუდად გაიგო ჩვენშიც. მაგრამ იგი, როგორც ჩანს, ზოგმა ცუდად გაიგო, როგორც პოლიტიკოსიც. ამას მოწმობს თუნდაც გ. ქიქოძის ნააზრევი, რომლის მიხედვით ჩეკას პატიმრობაში მყოფი მ. ჯავახიშვილი 1924 წლის აჯანყების წინ გაათავისუფლეს. ამგვარი საეჭვო პოლიტიკური რაკურსები და ქარაგმები არც არის გასაკვირი. მ. ჯავახიშვილს და მის ოპონენტებს ცხოვრება და მოღვაწეობა უხდებოდათ უაღრესად რთულ სიტუაციებსა და საგანგაშო ვითარებაში. ამ დროს განსაკუთრებით რთული იყო მოვლენების ობიექტური შემეცნება. როგორც ჩანს, ამან განაპირობა ერთი მხრივ ნ. კირთაძის, ხოლო, მეორე მხრივ, მ. ხომერიკის შეცდომები. ს. ჩიჯავაძე-კედიას მიერ მ. ჯავახიშვილის შესახებ გამოთქმული მცდარი აზრის გაცნობამდე კი ლამის ვიფიქრე, რომ მ. ხომერიკი მხოლოდ საკუთარი ბაბუის გამართლების მიზნით აკოწიწებდა მ. ჯავახიშვილის ბრალდებებს.

„ნასმენ-ნახულის“ 419-420 გვერდებზე ავტორი ასახელებს სპირიდონის „თანამებრძოლებსა“ და „მიმდევარ ახალგაზრდებს“. აქ სპირიდონის „თანამებრძოლებს“ შორის ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის შექმნის ერთ-ერთი მოთავე (ს. ყიფიანის მიხედვით) მ. ჯავახიშვილი არ ჩანს. ეს არ არის შემთხვევითი და უმნიშვნელო მომენტი. სპირიდონის „მიმდევარ ახალგაზრდებში“ მოხსენებულია კალე მისაბიშვილი. პირველი შემთხვევა გასაგებია – ქალბატონი სოფიო მიხეილ ჯავახიშვილს სპირიდონის თანამებრძოლებს შორის დასახელების ღირსად არ თვლის, რადგან მიიჩნევს თანამოაზრე-თანამებრძოლების „გამცემ-მოღალატედ.“ მაგრამ საინტერესოა, რის საფუძველზე ამართლებს სხვების მიერ „გამცემად“ და, მაშასადამე, „ჯაშუშად“ თუ „მოღალატედ“ მიჩნეულ კ. მისაბიშვილს? აი რას წერს ს. ჩიჯავაძე-კედია: „ეს სია ჭირაქაძის წერილიდან მაქვს ამოღებული

– წერილი 10.2.1929 წ. აქ ახსენებს **კალე მისაბიშვილს, რომელიც საუკეთესო ელემენტი იყო ამ ჯგუფში და სპირიდონის მარჯვენა ხელი.** პატარიძე თურმე უფრო გვიან შეუერთდა ამ ჯგუფს. ამათ, და ეს არის **უბედურება, აუღიათ ეჭვი ამ მისაბიშვილზედ და დასწამეს ღალატი... და მოკლეს!**" (ხაზგასმა ყველგან ჩვენია – გ.ც.).

როგორც ვხედავთ, ს. ჩიჯავაძე-კედია კ. მისაბიშვილს მიიჩნევს სპირიდონის მიმდევარი ახალგაზრდების ჯგუფში „საუკეთესო ელემენტად" და „სპირიდონის მარჯვენა ხელად", „რომელსაც დასწამეს ღალატი... და მოკლეს", ხოლო „ჯაყოს ხიზნების" ავტორს, მ. ჯავახიშვილს გამცემლად სახავს. ამ აზრის ჩამოყალიბებისათვის, საფიქრებელია, „მოგონებების" ავტორს სხვა, გაუმხელელი „საფუძველიც" გააჩნდა. კ. მისაბიშვილის შესახებ იგივე აზრი, სათანადო წყაროების ბაზაზე, ს. ჩიჯავაძე-კედიას „ნასმენ-ნახულის" გაცნობამდე ჩამოვაყალიბეთ წინამდებარე წიგნში. მაშასადამე, ჩვენი მიგნება დამატებით დასტურდება. სასიამოვნო ინფორმაციაა აგრეთვე ის, რომ ჭირაქაძე კ. მისაბიშვილს, როგორც ანტისაბჭოთა ეროვნული მებრძოლს, დადებითად ახასიათებს. მაგრამ „მოგონებათა" ავტორს საფუძვლიანი არგუმენტები ვერ მოაქვს. იგი წერს: „ერთ დღეს აქ, პარიზში პატარიძემ მიამბო: „26 მაისს სიტყვა ავიღე და სწორედ მაშინ გავარდა თოფიო" (? – გ.ც.) – მაშინ ვუამბე ამ „ღალატის" (?! – გ.ც.) ნამდვილი ვითარება".

რაც შეეხება მ. ჯავახიშვილს, მის შესახებ ს. ჩიჯავაძე-კედია სათანადო არგუმენტებს იშველიებს: „როდესაც ჯავახიშვილ-ადამაშვილი, „ჯაყოს ხიზნების" ავტორი (? – გ.ც.) დაიჭირეს, თურმე კოტე აფხაზმა წამოიძახა: „დავიღუპეთ, ეს ისეთი მშიშარაა, რომ სუყველაფერს იტყვისო."

ს. ჩიჯავაძე-კედია განაგრძობს: ცოტა ხნის შემდეგ (? – გ.ც.), ეს ადამაშვილი გაანთავისუფლეს და იოლად შედის ჩეკაში (? – გ.ც.), სადაც ვასო მგალობლიშვილთან ერთად იყვნენ დაჭერილები ე.დ. პარტიის წევრები.

ვასომ მიამბო: „მე მომმართა და მითხრა." „ვიცი, რომ უშენოდ არაფერი გადაწყდება და თუ რამე საშიშროება მელის, იცოდეთ, მე ისე მაწამეს, ყინულზედ დამაწვინეს, რომ იძულებული ვიყავი ყველაფერი მეთქვაო" (იხ. გვ. 421).

როგორც ვხედავთ, მოგონებათა ავტორმა იწამა კოტე აფხაზის

ვარაუდი და ვ. მგალობლიშვილის ცუდად ნათქვამი მიხეილ ჯავახიშვილის შესახებ. მას სჯერა, რომ „სპირიდონის მარჯვენა ხელი" – კალე მისაბიშვილი – უცოდველია „სამხედრო ცენტრის" წევრების და მათთან დაკავშირებული ადამიანების გაუბედურებაში. ამასთანავე, მოგონებათა ავტორს ვასო მგალობლიშვილისგან მოუსმენია მიხეილ ჯავახიშვილის „მოღალატედ გამამჟღავნებელი" ფაქტების შესახებ:

1. მ. ჯავახიშვილი დაპატიმრებიდან „ცოტა ხნის შემდეგ გაანთავისუფლეს" და „იოლად შედის ჩეკაში" ედპ-ის წევრებთან;

2. ჩეკაში მ. ადამაშვილმა მიმართა ვ. მგალობლიშვილს: „მე ისე მაწამეს", „რომ იძულებული ვიყავი ყველაფერი მეთქვაო";

3. ამიტომ მ. ჯავახიშვილს ვ. მგალობლიშვილისათვის უთქვამს: „ვიცი, რომ უშენოდ არაფერი გადაწყდება და თუ რამე საშიშროება მელის, იცოდეთ", სხვა გზა არა მქონდა თუ არა თქვენი ღალატიო. აღნიშნულის შემდეგ გასაგები ხდება, თუ რატომ გაიგო მ. ქავთარაძემ გრ. რობაქიძის „მიხეილ ჯავახიშვილი" გაუკულმართებულად, ნ. კირთაძემ პატიმარი მ. ჯავახიშვილი საჩოთირო ჩვენების მიმცემად, ხოლო მ. ხომერიკმა თანამოაზრე-თანამებრძოლების და სამშობლოს მოღალატედ.

მაგრამ წინამდებარე წიგნში ჩამოყალიბებულმა უტყუარ, ისტორიის წყაროებზე დამყარებულმა ანალიზმა მკითხველს, ჩვენი აზრით, დამაჯერებლად უჩვენა, რომ ქალბატონ სოფიოს ვერსია იმთავითვე მცდარად შეკოწიწებულია. კოტე აფხაზის ნათქვამი თუ წამოძახილი-ვარაუდი მ. ჯავახიშვილის მშიშრობის, მისი შესაძლო წამების და მის მიერ თანამოაზრე-თანამებრძოლთა უცილოდ გაცემა-დაღუპვის შესახებ არ დასტურდება. წინამდებარე წიგნიდან მკითხველისათვის ცხადი გახდა, რომ: ბრძენი პოლიტიკოსი მ. ჯავახიშვილი აჯანყების საკითხში ყოველთვის ეწინააღმდეგებოდა ექსტრემისტულ-ავანტიურისტული ტაქტიკის მომხრე ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრებსა და, მათ შორის, კ. აფხაზს. იგი წინდახედულად შიშობდა იმის გამო, რომ უდროო აჯანყებას ერისთვის უთუოდ დიდი უბედურება უნდა მოეტანა; მიხეილ ჯავახიშვილი და სხვა „სამხედრო ცენტრის" გამო დაპატიმრებულები, განსხვავებით ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატებისაგან, ფიზიკურად არ უწამებიათ; ჩეკისტებმა ძიება ისე წარმართეს, რომ ამ ცნობილი ადამიანების წამება საჭირო არ გახდა. ამასთანავე, კ. აფხაზმა, ს. ჩიჯავაძე-კედიამ და ბევრმა სხვამ

არც ის იციან, რომ მიხეილ ჯავახიშვილი სრულიადაც არ იყო ის პირველწყარო, რომელსაც შეეძლო წამების შემთხვევაში თანამოაზრეთანამებრძოლების დასმენა-დაღუპვა; მიხეილ ჯავახიშვილი დაპატიმრებიდან ცოტა ხნის შემდეგ არ გაუშვიათ ვ. მგალობლიშვილთან და სხვებთან მოსალაპარაკებლად. მან მართლაც პრინციპული მნიშვნელობის, ალბათ, ვერაფერი დამალა და იძულებული გახდა ყველაფერი ეთქვა, ანუ ძიების მიერ დასმული ყველა კითხვისათვის ეპასუხა, მაგრამ, როგორც სათანადო წყაროები მეტყველებენ, ასევე ვერაფერი დამალა ვერც ერთმა „სამხედრო ცენტრის" საქმის გამო დაპატიმრებულმა, მათ შორის ვერც უშიშარმა კოტე აფხაზმა, რომელიც იძულებული გახდა, სხვა საიდუმლო ამბებთან ერთად, ეღიარებინა, რომ 1922 წლის დეკემბრის ედპ ცკ-ის სხდომაზე მიხეილ ჯავახიშვილის და სხვათა აზრის წინააღმდეგ მხარი დაუჭირა ქ. ჩოლოყაშვილის პარტიზანულ მოძრაობასა და მის საერთო-ქართულ აჯანყებად გადაზრდას, რომელიც ცკ-ის უმრავლესობამ არ მიიღო. როგორც წინამდებარე წიგნის სათანადო გვერდებზე ვნახეთ: ვერავინ ვერაფერი დამალა არა პირადი თვისებების გამო, არამედ იმიტომ, რომ: ა) ძიებამ დაპატიმრებისა და ძიებისათვის საჭირო ინფორმაციას თავი მოუყარა „სამხედრო ცენტრის" წევრების დაპატიმრებამდე დიდი ხნის წინ; ბ) ჩეკას ხელმძღვანელობამ „დამკომის" თავმჯდომარეს – ნ. ქარცივაძეს და „სამხედრო ცენტრის" წევრებს, ისე როგორც მათთან დაკავშირებულებს, წაუყენა ისეთი ყალბი ბრალდება, რომელიც სასჯელის უმაღლესი ზომით კვალიფიცირდებოდა. ეს იყო მათ მიერ 1922 წლის აგვისტო-სექტემბრის აჯანყების ვითომ ორგანიზება და 1923 წლის დასაწყისში ახალი აჯანყების ორგანიზებისათვის ვითომ პრაქტიკული მუშაობა. სინამდვილეში აჯანყების საკითხი, როგორც ვნახეთ, 1923 წლის შემოდგომამდე არ გადაუწყვეტიათ. ამ ბრალდების დროს თითოეული პატიმრის მიერ რაიმეს დამალვას აზრი აღარ ჰქონდა. პირიქით, თითოეული მათგანის საზრუნავი გახდა, ძიებისათვის დაესაბუთებინა სიმართლე, რომ მათი ჭეშმარიტი ანტისაბჭოთა საქმიანობა გულისხმობდა არა უშუალოდ აჯანყებას, არამედ მხოლოდ აჯანყების საჭიროების ან სხვა, მაგალითად, საქართველოდან რუსის წითელი ჯარის შესაძლო და მოსალოდნელი გაყვანის შემთხვევისთვის მოსამზადებელი სამუშაოების ორგანიზებას. როგორც ვნახეთ, ცალკეულმა გამომძიებელმა, სათანადო ჩვენებების საფუძველზე,

დაასკვნა, რომ ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობის ცენტრსა და ანტისაბჭოთა შეთქმულ-მოამბოხე ძალთა შორის აჯანყების ორგანიზების თაობაზე გარიგება არ მომხდარა, ბრალდებულთა საქმიანობა უშუალოდ აჯანყებას არ ითვალისწინებდა. ძიებისათვის ისიც გახდა ცნობილი, რომ „დამკომისა" და „სამხედრო ცენტრის" გადაწყვეტილებათა საწინააღმდეგოდ ან მისგან დამოუკიდებლად მოხდა ქაქუცა ჩოლოყაშვილის გამოსვლები და ხევსურთა აჯანყება. მას მხარს არ უჭერდნენ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცკ-ის რეალისტურად მოაზროვნე წევრები და, მათ შორის, მიხეილ ჯავახიშვილი, მაგრამ ზემდგომი ორგანოების ნების შესაბამისად, ჩეკას ხელმძღვანელებმა და ხელისუფლების წარმომადგენლებმა შეთითხნეს ფალსიფიცირებული ბრალდება, რომლისთვისაც გამოიყენეს აგრეთვე კოტე აფხაზის აღნიშნული ჩვენება ქ. ჩოლოყაშვილის გამოსვლებისათვის მხარდაჭერის შესახებ. ამ ყალბი გადაწყვეტილებით და საუკეთესო მხედართმთავრების დახვრეტით ანტისაბჭოთა ეროვნულ მოძრაობას ხერხემალი გადაუმტვრიეს. ამით ხელისუფლებამ ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობა ექსტრემისტი-ავანტიურისტი ხელმძღვანელების იმედად დასტოვა და იგი მომავალი დიდი დამარცხებისათვის გასწირა. ეჭვს გარეშეა, „სამხედრო ცენტრის" წევრები და მათთან დაკავშირებული გამოჩენილი მხედრები რომ არ დაეხვრიტათ, საქართველოს 1924 წლის აჯანყება და, მაშასადამე, შესაბამისი მსხვერპლიც ასცდებოდა.

სათანადო წყაროების ანალიზმა დაგვარწმუნა, რომ: მიხეილ ჯავახიშვილი დაპატიმრებულთაგან არც პირველი, ანუ ძიების გზის გამხსნელი და მაჩვენებელი, ყოფილა (ასეთი პიროვნება, ჩვენს ხელთ არსებული წყაროებით, კონტრდაზვერვის უფროსი პოლკოვნიკი ივანე ნარიკელაძე იყო) და არც ერთადერთი, ვინც „ყველაფერი აღიარა." როგორც ვნახეთ, ძიებას ყველაზე ადრინდელი სამძებრო ოქმების სახით ივ. ნარიკელაძის ჩვენებები მოეპოვებოდა. ძიების პროცესში კი პატიმრებმა ვერაფერი დამალეს. და, როგორც ჩვენი დაკვირვება გვიჩვენებს, ეს მოხდა მათ მიმართ ფიზიკური წამების საშუალებათა გამოყენების გარეშე.

მაშასადამე, ცხადი ხდება, რომ უაღრესად საყურადღებო, საერთოდ მართლისმთქმელი მოგონებების ავტორმა, ს. ჩიჯავაძე-კედიამ „სამხედრო ცენტრის" გამცემის ძებნისას დაუშვა სერიოზული შეცდომა:

მან კოტე აფხაზის ნათქვამი მისთვის საძულველი „ჯაყოს ხიზნების“ ავტორის შესახებ ჭეშმარიტებად მიიჩნია, საჭიროდ არ ჩათვალა ჩეკისტური ძიების სამზარეულოს თუნდაც ყოფილი პატიმრების მონაყოლთა მიხედვით გამოკვლევა (და არც შეეძლო ბოლომდე გამოერკვია), დაეყრდნო ცალკეულ პირთა საეჭვო მონაყოლს და მიხეილ ჯავახიშვილის შესახებ შემზარავი აზრი ჩამოაყალიბა.

არც არის გასაკვირი. ყველას, ვინც არ იყო საქმეში ღრმად ჩახედული და არ იცნობდა ჩეკას ორგანოების შინა საქმიანობის მექანიზმს, აგრეთვე, სათანადო ისტორიულ წყაროებს, კოტე აფხაზის, ს. ჭირაქაძის, შ. ბერიშვილისა და ვასო მგალობლიშვილის ნათქვამის მიხედვით, იგივე აზრი დაებადებოდა და ს. ზალდასტანიშვილისა და ს. ჩიჯავაძე-კედიას მსგავსად, იწამებდა კალე მისაბიშვილის ან მიხეილ ჯავახიშვილის გამცემლობასაც კი. რაღაცით ხომ უნდა აეხსნათ აჯანყების მარცხი, „სამხედრო ცენტრის“ ჩავარდნა და თვალსაჩინო მამულიშვილების დახვრეტა? მათ ხომ სრულიად არაფერი იცოდნენ ჩეკას აგენტურული მუშაობისა და იმ „მემორანდუმების“ შესახებ, რომლებიც „სამხედრო ცენტრის“ გამო დაპატიმრებულებზე თითქმის ერთი წლით ადრე იკრიბებოდა?! მართლაც, ვიღაცას ხომ უნდა აჰკიდებოდა მათი ცოდვა?! რადგან კალეც გამართლდა, „განტევების ვაციც“ შედარებით ადვილად „მოიძებნა“ – ეს უნდა ყოფილიყო პროსაბჭოურად გაგებული ნაწარმოების „ჯაყოს ხიზნების“ ავტორი. მაშასადამე, ს. ჩიჯავაძე-კედიამ, ფორმალური ლოგიკის მეთოდის გამოყენებით, დაიჯერა მთელ ანტისაბჭოთა მოძრაობაში ეროვნულ გმირად აღიარებული გენერალ კოტე აფხაზის მუდმივი ოპონენტის, გარეგნულად სუსტი, მაგრამ უაღრესად წინდახედული მწერლის მცდარი შეფასება. სინამდვილეში, როგორც ვნახეთ, მ. ჯავახიშვილი „მშიშარა“ იყო იმდენად, რამდენადაც კოტე აფხაზს და მისი საბრძოლო ექსტრემისტულ-ავანტიურისტული ტაქტიკის მიმდევრებს (დ. ვაჩნაძე, შ. ამირეჯიბი, შ. ფავლენიშვილი, იას. ჯავახიშვილი, გ. წინამძღვრიშვილი და სხვ.) ეწინააღმდეგებოდა.

კოტე აფხაზის გადაჭარბებულ სიფიცხეს და შალვა ამირეჯიბის ავანტიურისტულ მისწრაფებების დაგმობის შესახებ ს. ჩიჯავაძე-კედიას პოზიციას მ. ქავთარაძე, ქალბატონ სოფიოს „ნასმენ-ნახულის“ მიხედვით, როგორც უკვე ვნახეთ, ანტისაბჭოთა ტერორის წაქეზებად აცხადებს. იგივეს უფრო დეტალურად ს. ჩიჯავაძე-კედიას მოგონებე-

ბი გადმოგვცემს. ასე მაგალითად: მოგონებათა ავტორი მოგვითხრობს: მაშინ როცა სპირიდონი პატიმრობაში იმყოფებოდა და იასონ ჯავახიშვილის ფარულ წერილებს გადავცემდი, „გამაგებინეს...კოტე აფხაზს უნდა ჩემი ნახვა..." ეს შეხვედრა საბჭოთა მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოადგილის, ყოფილი ეროვნულ-დემოკრატის გერონტი ქიქოძის, მისი ცოლის და იგივე შალვა ამირეჯიბის დის, ტასოს ხელშეწყობით და თანადგომით განხორციელდა. „მივედით კოტე აფხაზის ბინაზე, – წერს ს. ჩიჯავაძე-კედია, – აღელვებული ლაპარაკობდა იმის შესახებ, რომ ხალხი ითმენს, რომ ტერორისტული აქტები თავში არავის მოსდის.

„ერთი მითხარით, განა ბუნებრივი არ იქნება, რომ ჩემმა ნათესავმა, ნადია ანდრონიკაშვილმა, იმის შემდეგ, რაც მისი შვილი სუსლიკა იქვე ჩეკაში ჩაკლეს, ქუჩაში დაუხვდეს ორჯონიკიძეს და ხანჯლით გულმუცელი გამოუშიგნოსო." ამასთანავე კ. აფხაზს სპირიდონის მეუღლე-მეკავშირისთვის უთქვამს: „თქვენ ალბათ თქვენი ქმრისა გეშინიათ, უნდა ვაჩვენოთ ჩვენი წინააღმდეგობა და ამისათვის თავებიც უნდა შეეწიროსო" (იხ. გვ. 249-250). აქედან კარგად ჩანს, რატომ უწოდა კ. აფხაზმა თავის მოწინააღმდეგე, წინდახედულ პოლიტიკოსს მ. ჯავახიშვილს, რომელიც აჯანყებისა და ტერორის წინააღმდეგი იყო, „მშიშარა". კ. აფხაზი სპირიდონ კედიას და ალექსანდრე ასათიანის დაპატიმრების შემდეგ, ექსტრემისტულად განწყობილებმა ძირითადად სწორედ იმ თვისებების გამო შეიყვანეს ედპ-ის ცკ-ის შემადგენლობაში (1922 წ. ივნისში) და აირჩიეს ედპ-ის თავმჯდომარედ (1922 წ. ოქტომბერში), რომ, მ. ჯავახიშვილისაგან განსხვავებით, ხელისუფლების მიმართ შემტევი იყო. ედპ-ის სამხედრო კომისიასაც ხომ ეროვნულ გმირად აღიარებული, უკიდურესი ექსტრემისტი დავით ვაჩნაძე მეურვეობდა. მწერლის დღიურიდან ჩანს, რომ ამ დროს და ამის შემდეგაც მიხეილ ჯავახიშვილი არაერთგზის აღმოჩნდა ცკ-ის წევრთა უმცირესობაშიც და პარტიზანული ბრძოლების საყოველთაო მოძრაობად გადაზრდის მოწინააღმდეგეთა შორისაც. მისი ეს „მშიშრობა" გამოწვეული იყო ქვეყნის საშინაო და საერთაშორისო მდგომარეობის რეალური შემეცნებითა და მოსალოდნელი უბედურების თავიდან აცილების სურვილით. მ. ჯავახიშვილის შეხედულება ემთხვეოდა პარტიის პატიმრობაში მყოფი ლიდერების სპირიდონ კედიას და ალექსანდრე ასათიანის პოზიციას, რო-

მლებიც გამორიცხავდნენ მასობრივ ბრძოლებს და ედპ-ის ცკ-ის დაუპატიმრებელ წევრებს ციხიდან ურჩევდნენ გამოეყენებინათ ხელისუფლების წინადადება ქ. ჩოლოყაშვილის მიერ ბრძოლების შეწყვეტის და საქართველოდან მისი გაყვანის შესახებ. წინამდებარე წიგნში მკითხველმა ნახა, რომ ამბოხებით ტაქტიკას მხარს არ უჭერდნენ მენშევიკები, „მემარჯვენე ფედერალისტების" და ზოგი სხვა პარტიის ლიდერებიც. მაშასადამე, წინდახედული „მშიშარა" ქართველ ანტისაბჭოთა მებრძოლებს შორის სხვაც ბევრი იყო. მაგრამ, მათგან განსხვავებით, მ. ჯავახიშვილი იყო, აგრეთვე, პროსაბჭოურად გაგებული „ლიკვიდატორი" და ავტორი.

მოგონებების ავტორის მონათხრობიდან ჩანს, რომ მან ვ. მგალობლიშვილის მონაყოლიდან წამოსწია ცუდად „ნასმენი", ანუ ლიკვიდატორებზე შემომწყრალი, ერთ-ერთი ვითომ თვალსაჩინო მემარჯვენე ეროვნულ-დემოკრატის, თავად ლიკვიდატორის ნათქვამი. როგორც ვნახეთ, მიხეილ ჯავახიშვილმა პარტიის „თვითლიკვიდაციის" საკითხზე მოლაპარაკებები აწარმოვა პარტიის სხვა ლიდერებსა და ავტორიტეტებთან ერთად, ამასთანავე ხელისუფლებისა და ჩეკას ორგანოების მხრივ იძულებისა და გამოუვალი მდგომარეობის შექმნის შემდეგ. ამასთანავე, იგი ამ „თვითლიკვიდაციის" სამუშაოების გატარების დროს იყო პატიმრობაში მყოფი ედპ-ის თვალსაჩინო ლიდერთა ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული და არა ერთადერთი წარმომადგენელი. ისიც ცნობილია, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოზიციის მიხედვით ანტისაბჭოთა ბრძოლაზე უარის თქმა და არალეგალური პარტიის „თვითლიკვიდაცია" იყო ედპ-ის ლიდერების ციხიდან განთავისუფლების აუცილებელი პირობა. აბსურდია, ვითომ „ლიკვიდატორობის" მოწინააღმდეგე და ვითომ „მემარჯვენე" ეროვნულ-დემოკრატის, ვ. მგალობლიშვილის „ნათქვამი": დაპატიმრებიდან „ცოტა ხნის შემდეგ ეს ადამაშვილი გაანთავისუფლეს და იოლად შედის ჩეკაში, სადაც ვასო მგალობლიშვილთან ერთად იყვნენ დაჭერილები ედპ წევრები." მ. ჯავახიშვილი გაანთავისუფლეს ექვსი თვის შემდეგ – აგვისტოს 3-ში. ვ. მგალობლიშვილი, რომელიც, ს. ჩიჯავაძე-კედიას მოგონების მიხედვით, იყო მემარჯვენე ეროვნულ-დემოკრატი (იხ. გვ. 364), პატიმრობიდან განთავისუფლებულია უკვე იმავე წლის ივლისში (იხ. გვ. 273). მაშასადამე, მისი განთავისუფლება მოხდა არა შემთხვევით, არამედ მხოლოდ ჩეკასა და

ხელისუფლებასთან სათანადო მოლაპარაკებით. მიხეილ ჯავახიშვილი ჩეკაში თუ შედის, მხოლოდ როგორც შუამავალი ხელისუფლებასა და პატიმრებს შორის, და არა როგორც საეჭვო პირი. უფრო მეტიც, ვასო მგალობლიშვილი თვითონ იყო ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიკვიდაციის ერთ-ერთი ინიციატორი. როგორც წინამდებარე წიგნის სათანადო გვერდებზე აღვნიშნეთ, 1923 წლის 8 აგვისტოს გამოქვეყნებულ ედპ-ის სალიკვიდაციო „დეკლარაციას" სხვებთან ერთად (პ. გოთუა, იასონ ლორთქიფანიძე, იოსებ მაჭავარიანი, ს. დანელია, დ. ჯავახიშვილი, ნიკ. წვერავა, მიხ. ჯავახიშვილი, ნიკ. თავდგირიძე, ა. თორაძე, გ. ამირეჯიბი, ნ. კეცხოველი, გ. ჯანელიძე, ა. ნიჟარაძე) ხელს აწერს ვასო მგალობლიშვილიც (იხ. გაზ. „კომუნისტი", 1923, 8 აგვისტო). ასე რომ, ედპ-ის „თვითლიკვიდაციის" საქმეში მიხ. ჯავახიშვილის როლის განსაკუთრებით გაზვიადება სხვა არაფერია, თუ არა კ. აფხაზის, ვ. მგალობლიშვილის უსაფუძვლო ნალაპარაკევის დაჯერება.

ეროვნულ მოძრაობაში, როგორც წინამდებარე წიგნის სათანადო გვერდებზე გავეცანით, მრავლად გვხვდება როგორც ღალატის, ისე უდანაშაულოთა მოღალატედ გამოცხადების შემთხვევები, უფრო მეტიც, თანამოაზრე-თანამებრძოლის მოღალატედ მიჩნევა არის პოლიტიკური ცხოვრების არცთუ იშვიათი გამოვლინება. ამის შესახებ ერთი, უაღრესად საინტერესო მასალა მოგვაწოდა პროფესორმა ოთარ ჯანელიძემ. ეს არის საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივის ჰარვარდის უნივერსიტეტის მიკროფირების შესწავლის დროს ემიგრანტული მთავრობის საარქივო მასალებში აღმოჩენილი იასონ ჯავახიშვილის წერილი. იგი საზღვარგარეთელ თანაპარტიელს „სამხედრო ცენტრის" გამცემად, კალე მისაბიშვილის გარდა, უსახელებს პოლკოვნიკ ივანე ნარიკელაძეს (იხ. საქმე №1145, ფურც. 79). ამ წყაროს მოწოდებისათვის პატივცემულ მკვლევარს მადლობას ვუხდით.

წინამდებარე წიგნში ივ. ნარიკელაძე მკითხველს გავაცანით იმ მხრივაც, რომ მისი სამძებრო საქმე სუკის არქივში არ იძებნება და რომ გამოყენებული გვაქვს სხვათა საქმეებში დაცული მისი ჩვენებების ცალკეული ამონარიდები. ისიც აღვნიშნეთ, რომ ჩვენს ხელთ არსებულ, ჩეკას ორგანოების მიერ 1920-1930 წლებში დახვრეტილთა სიებში არ არის დაფიქსირებული ივ. ნარიკელაძე. და ეს იმ დროს, როცა იგი იყო „დამკომის" კონტრდაზვერვის მეთაური, ერთ-ერთი

ყველაზე კომუნიკაბელური ანტისაბჭოთა განწყობის თანამდებობის პირი, რომლის ბინაზეც მინიმუმ ორგზის ჩატარდა პარიტეტული კომიტეტისა და „სამხედრო ცენტრის" უაღრესად მნიშვნელოვანი სხდომები.

აღნიშნული წერილი საქმის ვითარებაში ღრმად ჩაუხედავი მკვლევრისათვის შეიძლებოდა გამხდარიყო მისი მოღალატედ გამოცხადების საბაბი. მაგრამ წინამდებარე წიგნში წარმოჩენილი პოლიტიკური პროცესების და ჩეკას „სამზარეულოს" შესახებ არსებული ცნობები არ იძლევა ასეთი დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას. ჩვენთვის ცნობილია, რომ: ჯერ ერთი – ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობის ლიდერებს, მათ შორის ივ. ნარიკელაძეს ჩეკა, თავისი აგენტების მეშვეობით, თვალს ადევნებდა დაპატიმრებამდე მრავალი თვის განმავლობაში; მეორე – მრავალ მათგანზე მოგვეპოვება ისეთი აგენტურული მონაცემები, რომლებიც საკმარისი იყო მათი იმთავითვე დაპატიმრებისათვის; მესამე – მოცემული პერიოდის პოლიტიკურ-ჩეკისტური მოვლენების ზედმიწევნით მცოდნე, ყოფილი ჩეკისტი „კაკო", ანუ მანუჩარ შელია, შემდეგში უშიშროების სამსახურიდან დათხოვილი გენერალი და ბერად აღკვეცილი მამა ალექსი, ივ. ნარიკელაძეს იხსენიებს იმ გმირ მამულიშვილთა შორის, რომლებიც შეეწირნენ სამშობლოს განთავისუფლებისათვის ბრძოლას.

მოგონებათა წიგნში ს. ჩიჯავაძე-კედია წერს: „შერლოკ ჰოლმსი არა ვარ, მაგრამ მას ვუახლოვდებიო" (იხ. გვ. 392). მაგრამ უამრავი სათანადო ისტორიის წყარო დაბეჯითებით მარწმუნებს, რომ ქალბატონი სოფიო მიხეილ ჯავახიშვილის პოლიტიკური ცხოვრების გაგების საკითხში სცოდავს. მაგრამ ამავე დროს ისიც გაირკვა, რომ ამ ცდომილებას ჰქონია არა მარტო სუბიექტური, პირადი განწყობილებიდან გამომდინარე, არამედ ობიექტური საფუძველი. ზემოთ აღნიშნულის შემდეგ სასიამოვნო აუცილებლობად მესახება მოკლე მსჯელობა იმ მაგალითების შესახებ, რომლებიც წინამდებარე წიგნის ჩემთვის მოულოდნელ აპრობაციად მიმაჩნია.

ქალბატონ სოფიო ჩიჯავაძე-კედიას მოგონებებიდან ჩანს, რომ:

1. კალე მისაბიშვილის გამცემლობასა და მოღალატეობას, იმთავითვე არ იზიარებდა თურმე არა მარტო მ. ჯავახიშვილი, არამედ ზოგი მისი თანამოაზრე-თანამებრძოლიც. ეხლა ეს აზრი ალბათ შედარებით ადვილად მისაღებია, ჩვენ კი მისი მიგნებისათვის, როგო-

რც მკითხველმა წინამდებარე წიგნის გაცნობის დროს ნახა, უაღრესად დიდი სამუშაოს შესრულება დაგვჭირდა;

2. ს. ჩიჯავაძე-კედიას მოგონებებიც ადასტურებს, რომ 1921-1922 წლებში ანტისაბჭოთა ბრძოლის ფერხულში ხშირ შემთხვევაში ერთად არიან ჩაბმული ეროვნულ-დემოკრატები, ფედერალისტები, მენშევიკები, კომუნისტები და უპარტიოები. ქალბატონი სოფიო იგონებს: „...ყველა სპირიდონის კეთილ-მეგობარი მეუბნებოდა: „სპირიდონი უნდა გამოვიყვანოთ ციხიდანო". სპირიდონის განთავისუფლებას ცდილობს სოციალ-ფედერალისტების ლიდერი გიორგი ლასხიშვილი. სწორედ მისი წაქეზებით შეიტანა სოფიო ჩიჯავაძე-კედიამ სათანადო განცხადება ქმრის მაგივრად და მიაღწია მის დეპორტაციას. მოგონებებში მოხსენიებული არიან სახელმწიფო დაწესებულება-ორგანოებში მომუშავე პირები. სპირიდონის მეგობარმა ვასო მგალობლიშვილმა თურმე კომუნისტ აბელ ენუქიძის დახმარებით შეძლო 1923 წლის იანვრის ბოლოს პატიმრის საზღვარგარეთ გასახლება და ამით მისთვის სიცოცხლის შენარჩუნება (იხ. გვ. 253-254); ნიკო ქარცივაძის განთავისუფლების საქმე ენუქიძის დახმარებით მოუგვარებია ელენე ქიქოძეს (იხ. გვ. 262). უაღრესად საყურადღებოა, რომ მოგონებებით დასტურდება ჩვენი მიგნება იმის თაობაზე, რომ საბჭოთა სამსახურში მყოფ ჩეკისტებს შორისაც იყვნენ ეროვნულ მებრძოლთა მფარველი პიროვნებები. სოფიო ჩიჯავაძე-კედიას ჩეკაში ერთი საგანგებო დაკითხვის დროს გამომძიებლისათვის გაუმხელია: „სპარსეთის ელჩმა გადმომცა წერილი საზღვარგარეთიდან გამოგზავნილი სპირიდონისაგანო." უფიქრია, ალბათ იციან და ამის დამალვა საქმეს უფრო გამირთულებსო, მაგრამ გამომძიებელს უთქვამს: „ერთი სიტყვით ქმართან მიმოწერა არა გაქვთო" (გვ. 264).

მოგონებებში გვხვდება ერთი ასეთი შემთხვევაც: როცა 1924 წლის აჯანყების დამარცხების შესახებ ცნობამ ბაკურიანში მიაღწია, სადაც იმჟამად ქალბატონი სოფიო ისვენებდა, მფარველად კვლავ ხელისუფლების წარმომადგენელი გამოჩნდა. „თბილისიდან მოდის საშინელი ხმები", — წერს მოგონებების ავტორი და დასძენს: „ადგილობრივმა კომისარმა მინახულა და მითხრა: „ნუ გეშინიათ, თუ ვინმე მოვა თქვენი ვინაობის გასაგებად, ეტყვით თქვენი ქალიშვილობის გვარს, ხომ მართლაც ასე ხართ ჩაწერილი, მე კი ყველაფერს ვაკეთებ, რომ არავინ შეგაწუხოთო" (იხ. გვ. 269). ამ პიროვნების მოქმედება, ჩვენი

აზრით, მხოლოდ მისი კარგი კაცობით არ აიხსნება. ჩვენ გვესახება, რომ ამ „კომისრის" მოქმედება გამოხატავს ეროვნულ-პატრიოტებთან დაკავშირებული საბჭოთა მოხელის ქმედებას.

1924 წლის აჯანყების დამარცხების შემდეგ შალვა ამირეჯიბს სერიოჟა ქავთარაძის ძმის პეტრეს ცოლმა „ანიკომ მოუწყო... ევროპაში გასვლა" (იხ. გვ. 273). ჩემი აზრით, ეს სერიოჟას მონაწილეობის გარეშე ვერ მოხერხდებოდა.

მაშასადამე, ს. ჩიჯავაძე-კედიას მოგონებებით დამატებით დასტურდება ჩვენი მოსაზრება იმის შესახებ, რომ ანტისაბჭოთა ეროვნულ მოძრაობას ხან ერწყმოდნენ, ხან კი ეხმარებოდნენ უპარტიოებიცა და ცალკეული კომუნისტებიც. არა აქვს მნიშვნელობა ამ ომში ჩაბმული პიროვნება ანტისაბჭოთა პროგრამითა და წესდებით ხელმძღვანელობს, თუ პირადი შეგნებით, სამშობლოს და ერის ინტერესებით.

3. უაღრესად საყურადღებოა, რომ, როგორც მოგონებებიდან ჩანს, სპირიდონ კედია თავიდანვე წინააღმდეგი ყოფილა უდროო შეიარაღებული აჯანყების ორგანიზებისა. იგი იგივეს იტყობინებოდა საზღვარგარეთიდან. „ზაფხული მიწურული იყო, – წერს ს. ჩიჯავაძე-კედია, – რომ ბაკურიანში თბილისიდან ამოვიდა მასწავლებელი ტრიფონ ჯაფარიძე და მითხრა: „მინდა ერთი საიდუმლოება გაგანდოთ და იმედია თქვენგან არ გავა. ამ დღეებში აპირებენ აჯანყებას, ყველაფერი მზად არის, ევროპიდანაც შავი ზღვით სამხედრო ძალა იქნება გადმოსხმული ჩვენ დასახმარებლადო."

ამ ცნობამ ძალიან შემაწუხა, რადგან **სპირიდონისაგან ვიცოდი, რომ ევროპა არ გვიშველის. არაერთხელ სპირიდონმა ეს თავის მოაზროვნენი გააფრთხილა და ისიც კი, რომ საერთოდ ერი მზად არ არის** – როგორც ეს სამწუხაროდ შემდეგში გამართლდა.

წინა ზაფხულს კახეთში ყოფნისას, ჩემ სოფელში მაინც, კისისხევში, მეც დავრწმუნდი, რომ საერთოდ აჯანყებაზე არავინ ფიქრობდა" (იხ. გვ. 269), გარდა ზოგი ექსტრემისტი-ავანტიურისტი ხელმძღვანელისა (ხაზგასმა ჩვენია – გ.ც.).

აღნიშნულთან დაკავშირებით კიდევ უფრო საყურადღებოა ს. ჩიჯავაძე-კედიას შემდეგი მინაწერი: „მახსოვს აჯანყების წინა ხანებში ერთხელ მივედი ტასოსთან, ე.ი. მის (შალვა ამირეჯიბის – გ.ც.) დასთან... დავუწყე ლაპარაკი (შალვას – გ.ც.) ამ აჯანყებაზედ, სწორედ იმ ხანებში საზღვარგარეთიდან ჩამოსული იყო ნიკო ნიკო-

ლაძე – ეს ჩვენი ცნობილი მოღვაწე – და ექიმი წულუკიძე. ამათგან ვიცოდი, რომ ევროპის იმედით არ უნდა ვყოფილიყავით, რასაკვირველია, სპირიდონის აზრიც გადმოგვცეს.

– იცოდე შალვა, ვინც იქიდან ლირებს გიგზავნით და ევროპის დახმარებას გპირდებათ, გატყუებთ, სპირიდონის აზრი ხომ იცით – ამნაირად ველაპარაკებოდი.

– ყველაზედ ჭკვიანი ის ხომ არ არის, რომ იმას დაუჯეროთო.

– არა მაგრამ, ის ევროპაშია, სადაც ნათლად ჩანს დასავლეთის გულგრილობა საქართველოს მიმართ. ამიტომ საჭიროა იმის აზრსაც ანგარიში გაუწიო, ეროვნულ დემოკრატიულმა პარტიამ იმისი პოზიცია უნდა იცოდეს, ის სხვებზედ ნაკლებ არა ჰხედავს ნამდვილ მდგომარეობას, მართალია სპირიდონი ფულს არ გიგზავნით, მაგრამ ყველაფერი ხომ ფული არ არის, და სხვა...“

კარგად შევამკე, მწყრალის თვალით გადავავლე ლირებით გაშლილ სუფრას თავისი ხიზილალით და წამოვედი.

შენ წარმოიდგინე, თეონი (მიმართავს 100 წელს მიღწეული მეამატიანე თავის ქალიშვილს – გ.ც.), რომ მამას შეხედულება ყველა პარტიის წევრს ასცდა, თუ ააცდინეს? პარიზში ეს მითხრა ელისე პატარიძემ. ჩვენ ეს არ ვიცოდითო.“ ეს თქვა ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატების ყოფილმა ლიდერმა, რომელმაც, როგორც მკითხველმა წინამდებარე წიგნის სათანადო გვერდებზე იხილა, აჯანყების წინა ხანებში თავისი წინდახედულობით უარი განაცხადა აჯანყებაში მონაწილეობაზე და ამის გამო მხოლოდ ს. ზალდასტანიშვილის წყალობით გადაურჩა ავანტიურისტ-ექსტრემისტი პატრიოტი ახალგაზრდების ტერორს. შემდეგ კი იგი იძულებული გახდა აჯანყებაში აქტიური მონაწილეობა მიეღო. ავტორი აგრძელებს: „შალვა (ამირეჯიბი – გ.ც.) პირველი დღიდან ებრძოდა სპირიდონის მეთაურობას, რადგან მეგრელი არ შეიძლებოდა ეროვნული მოძრაობის ხელმძღვანელი ყოფილიყო, მეგრელს ის ქართველად არა სთვლიდა! საერთოდ საქართველოს შალვა მხოლოდ ქართლსა და კახეთში ჰხედავდა.

– როდესაც დამოუკიდებლობის კომიტეტი დაარსდა, ჩვენ გადავწყვიტეთ არცერთი იმერელი და საერთოდ დასავლეთ საქართველოდან არ შეგვეყვანაო“, – ამიტომ კარგად წაუვიდათ საქმე! – ვუპასუხე.

საწყალი შალვა, ცხოვრებაში ცოლიც მეგრელი ჰყავდა და მეგობრებიც დასავლეთიდან...“ (იხ. გვ. 273-274). ამავე შ. ამირეჯიბის

შესახებ ს. ჩიჯავაძე-კედია წერს: ემიგრაციაში წასვლის შემდეგ იგი „აქ პარიზში ყველას არწმუნებდა, რომ „პირველსავე დღიდან ავჯანყების წინააღმდეგი ვიყავიო!...“ ამას ავტორი წერს მისი ბიძაშვილის დეიდაშვილზე და ბავშვობის მეგობარზე. ქალბატონ სოფიო ჩიჯავაძე-კედიას ეს გულახდილი მონათხრობის ვრცელი ამონარიდი იმისთვის გვჭირდება, რომ ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობის საკითხებით დაინტერესებული მკითხველი დამატებით გავარკვიოთ და დავარწმუნოთ, რომ: ანტისაბჭოთა ეროვნულ მოძრაობაში ადგილი ჰქონდა ავანტიურისტი პატრიოტების აქტივობას, რომელსაც ეროვნული უბედურება მოჰყვა. ამასთან დაკავშირებით საჭიროდ მესახება მოვიხმო ამონარიდი ცნობილი ეროვნულ-დემოკრატი ემიგრანტის მიხეილ ქავთარაძის მიერ 1977 წელს პარიზში გამოქვეყნებული პუბლიკაციიდან – „წერილები და სიტყვები“, რომელიც არ არის დასეხებული მარტო ს. ჩიჯავაძე-კედიას „ნასმენ-ნახულიდან“: 1924 წლის „აგვისტოს ავჯანყების ხანებში ს. კედიამ გარკვევით ავჯანყების არასასურველობა განაცხადა, სადაც საჭირო იყო. ასეთივე შინაარსის შემცველი წერილი ჩაიტანა ექიმმა წულუკიძემ საქართველოში ეროვნულ დემოკრატიული პარტიის ადგილობრივი ხელმძღვანელობის მიმართ.

იგი არ უარყოფს ავჯანყების მორალურ მხარეს, მაგრამ ეს არ ღირდა იმ დიდ მსხვერპლად, რომელიც ავჯანყებას მოყვებოდა. ამის გამო თქვა: „ის რჩეულნი და უკეთესნი, რომელნიც ათასობით დაიხოცნენ, ცოცხლად რომ დარჩენილიყვნენ, ამ ჯანმრთელი პატრიოტული ელემენტების არსებობა, თვით საბჭოთა პერიოდშიც, ქვეყანას დიდ სარგებლობას მოუტანდა – ამ კარგთა ამოწყვეტამ ცუდებსა და უვარგისებს გაუხსნა გზაო“ (იხ. წიგნის გვ. 92-99; მ. ქავთარაძე, სპირიდონ კედია..., ჟურნ. „ივერია“, 1979, №22, გვ. 10-11).

ზემოთ აღნიშნული საშუალებას გვაძლევს ჯერ ერთი, დაგარწმუნოთ, რომ მიხეილ ჯავახიშვილის „მოღალატეობის“ ყალბი ვერსია განაპირობა, ერთი მხრივ, ფიცხი მამულიშვილების წინდაუხედავმა მიუტევებლობამ, ხოლო, მეორე მხრივ, გარკვეულ მიზეზებზე დაფუძნებულმა კოტე აფხაზის ცნობილმა სავარაუდო გამონათქვამმა, რომელიც სოფიო ჩიჯავაძე-კედიას მოგონებებშია მოტანილი. ამ ვერსიის მცოდნეებს შეეძლოთ იგი ჩვენში ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის შემდგომი დაბრუნების დროიდან შემოეტანათ;

მეორე – ეჭვი აღარ მეპარება, რომ მიხეილ ჯავახიშვილის „მოღალატეობის“ შესახებ ქალბატონ სოფიო ჩიჯავაძე-კედიას ვერსია მისი მოგონებების გამოქვეყნებამდე იცოდნენ ჩვენმა იმ ავტორებმა, რომლებმაც კრიტიკული შესწავლის გარეშე დიდი ქართველი მწერალი და ბრძენი პოლიტიკოსი საჩოთირო პიროვნებად და თანამოაზრე-თანამებრძოლების მოღალატედ გამოაცხადეს;

მესამე – ქალბატონ სოფიო ჩიჯავაძე-კედიას მონათხრობი არის ჩვენი მეცნიერული დებულებების ერთგვარი აპრობაცია და იმ დებულებების მართებულობის დასაბუთება, რომლებიც ზოგისათვის მიუღებელი იყო. ასე მაგალითად: ჩემი წიგნის „ჩეკისტური ბრალდებები შალვა ნუცუბიძის მიმართ და მათი დოკუმენტურ ანალიტიკური კომენტარები“ (თსუ, 1998) ხელნაწერში გაცნობის შემდეგ, ერთმა საქმეში ღრმად ჩაუხედავმა, ჩვენმა კეთილის მსურველმა მეცნიერმა, ექსტრემიზმისა და პატრიოტიზმიდან მომდინარე ავანტიურიზმის შესახებ ჩვენი მოსაზრების თაობაზე საყვედურით გვითხრა: „ამას ერი არ გაპატიებსო.“ საკუთარ ნააზრევში დარწმუნებულმა ვუპასუხე: „ერს მე მოველაპარაკები...“ და ეს ჩვენს მიერ დანაპირები „მოლაპარაკება“ ჩვენივე სხვა პუბლიკაციებით და ახლა კი წინამდებარე წიგნის სახითაც გაცხადდა.

ადრე სხვაც ვერ დავარწმუნე იმაში, რომ პოეტი შალვა ამირეჯიბი და 1924 წლის აჯანყების ხელმძღვანელობა ა) მასებს წინდაუხედავი, ავანტიურისტული ტაქტიკით რაზმავდა და აბრძოლებდა და, ამდენად, მართალი იყო ივ. ჯავახიშვილი და უნივერსიტეტის ის მემარჯვენე პროფესურა, რომელმაც ხელისუფლების მხრივ იძულების დროს 1924 წლის აჯანყების ხელმძღვანელთა (!) ქმედებას სწორი კვალიფიკაცია მოუძებნა და ავანტიურად გამოაცხადა. ამის გამო ერთმა ცნობილმა მეცნიერმა პრესაში გამოქვეყნებულ თავის წერილში დაგვმოძღვრა: უნივერსიტეტელთა „დეკლარაცია“ ნაძალადევი იყო და ამიტომ მისი ავტორების გამართლებით უნივერსიტეტს ჩრდილი არ უნდა მიადგესო.“ იმ წერილში ყველაზე მიუღებლად მაინც ის მეჩვენება, რომ ავტორმა ჩვენი ნააზრევი შეცდომად გამოაცხადა, ხოლო იმათი, ვინც ერთი მხრივ, ძველი შეხედულების კვალობაზე ავანტიურიზმად მიიჩნევდა ყველა მონაწილეს, მათ შორის ხალხს, ხოლო, მეორე მხრივ, კი ვინც ვითომ ახლებური აზროვნების პოზიციებიდან 1924 წლის აჯანყების ხელმძღვანელების ქმედებაში მხო-

ლოდ გმირობას ხედავდა, მიიჩნია სწორი მეცნიერული აზრის მქადაგებლად. ბ) ზოგმა ვერ გაიგო, რომ ჩვენს მიერ გამოყენებული ტერმინი „ავანტიურა" არ გამორიცხავდა ეროვნულ პატრიოტიზმს და გმირობას, ამდენად, შევთანხმდით, რომ ეს საკითხი დარჩენილიყო ჩვენს შორის შემდგომი დავის საგნად; გ) რამდენიმე წლის წინ (1996 წ.) ივანე ჯავახიშვილის დაბადების 120-ე წლისთავისადმი მიძღვნილ თსუ ისტორიკოსთა კონფერენციაზე, ჩვენი მოხსენების მოსმენის შემდეგ, არაერთმა სწავლულმა დაგვიწუნა ეროვნული პატრიოტების მიმართ „ნაციონალისტის" წოდების გამოყენება. ერთმა მათგანმა კი ყურად არ იღო ჩვენი განმარტება იმის გამო, რომ ტერმინმა „ნაციონალისტი" საბჭოთა პერიოდში ხელოვნურად შეიძინა „შოვინისტისა" და სხვა ერების მოძულის დატვირთვა. ეს მოხდა საბჭოთა, პროლეტარული ინტერნაციონალიზმისათვის მუდმივი „მწვანე შუქის ანთების" მიზნით. ამ ტერმინს სწორი დატვირთვა აქვს საზღვარგარეთულ ლექსიკაში. ერთმა პიროვნებამ კი განაცხადა „ივანე ჯავახიშვილი ნაციონალისტად წოდებისათვის არ მემეტებაო." მაგრამ ამის გამო ჩვენი მყარი აზრი არ შეგვიცვლია. ჩვენმა მოსაზრებამ ანტისაბჭოთა ქართული ეროვნული მოძრაობის და 1924 წლის აჯანყების შესახებ შემდგომი განვითარება-დასაბუთება პოვა ჩვენს მიერ გამოქვეყნებულ რამდენიმე პუბლიკაციაში. მათ შორის აღსანიშნავია გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" ფურცლებზე გამოქვეყნებული პუბლიკაციების სერია: „ეროვნული მოძრაობა და 1924 წლის აჯანყება", (იხ. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 1999, №230, №231 და №232 – 27, 28, 31 აგვისტო; რისთვის დახვრიტეს ვაჟა-ფშაველას პირმშო ლევან რაზიკაშვილი, თბ., 2001). ამ ნაშრომებს „მართებული" და „მაღალკვალიფიციური" უწოდეს სპეციალისტებმა. მოიწონა იმ ისტორიკოსმაც, რომელმაც ადრე არ მიიღო ჩვენს მიერ 1924 წლის აჯანყების უკიდურესი ექსტრემისტი ლიდერების ავანტიურისტებად შეფასება. სამაგიეროდ ის ისტორიკოსი შემოგვედავა, ვისაც ვუსაყვედურეთ იმის გამო, რომ მ. ჯავახიშვილის პოლიტიკური ღვაწლი გააშუქა არასწორად: „თანამოაზრე-თანამებრძოლების და საერთოდ სამშობლოს ღალატად" (იხ. მ. ხომერიკი, უსაბუთო მსჯელობის გამო, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 1999, №314 – 19 ნოემბერი). ზოგ ისტორიკოსს კი პრინციპულად არ სურს აღიაროს ისტორიის უამრავ წყაროზე დაფუძნებული ჩემი ის მიგნება, რომლითაც

მტკიცდება, რომ „მემარჯვენე პროფესურის“ აღიარებული ლიდერის ივანე ჯავახიშვილის და, საერთოდ, ეროვნულ-პატრიოტული ინტელიგენციის (მწერლების, პედაგოგების და სხვ.) მიმართ საბჭოთა ხელისუფლების და მისი უშიშროების ორგანოების მუდმივი ძალმომრეობა გამოწვეული იყო იმით, რომ ინტელიგენციის აღნიშნული ნაწილი სხვადასხვა ფორმითა და მეთოდით მუდმივად იბრძოდა ხალხის ინტერესების დაცვისათვის.

და ბოლოს, ს. ჩიჯავაძე-კედიას „ნასმენ-ნახული“ დამატებით ადასტურებს ჩვენს აზრს იმის შესახებ, რომ 1924 წლის აჯანყების სუბიექტივისტურმა ორგანიზებამ ქართულ ემიგრაციასაც უკიდურესად მძიმე პრობლემები შეუქმნა. იგი წერს: „ქართულ ემიგრაციაში მტერსა და მოყვარეს ვერ გაარჩევდი ვერც მაშინ და ვერც დღეს. აქ ყველა ყველას წინააღმდეგია. ორი ადამიანი, ნამდვილად მეგობრულად დაკავშირებული, იშვიათია... ესენი უფრო პირადი ანგარიშებით იყვნენ გართული“ (იხ. გვ. 305); „ემიგრაცია მოსკოვის კლანჭებში იყო, რაც არ აადვილებდა ქართველების გაერთიანებას, პირიქით, ყველაფერი იყო ხელის შემწყობად, რაც შეიძლება დაქსაქსული ყოფილიყო. ამისათვის ყოველ პარტიაში მას თავისი კაცი ჰყავდა, რომელიც შიგნით შხამს ატრიალებდა“ (გვ. 361); „ვეშაპელი ბოლშევიკების ლაგერში გადავიდა“ (გვ. 361); „ერთ ემიგრანტ ქართველს გადაწყვეტილი ჰქონია ნ. რამიშვილის მოკვლა“, სპირიდონმა ორგზის გადაარჩინა, მაგრამ მაინც ვერ ასცდა შურისძიებას (გვ. 365); მენშევიკების „წრეში თუ ვინმე აღმოაჩენდა შეცდომებს, ეს იყო კარლო ჩხეიძე... „ჩვენ დავღუპეთ საქართველო“ ამას იმეორებდა სხვადასხვა პიროვნებებთან შეხვედრისას“ (გვ. 413).

მაშასადამე, თითქმის განადგურდა შიდა და ემიგრანტული ანტისაბჭოთა არალეგალური მოძრაობა, მნიშვნელოვნად შეიზღუდა ლეგალურ-კომპრომისული მიმდინარეობის ლიბერალური წარმომადგენლობის ეროვნულ-პატრიოტული მოღვაწეობის ეფექტიანობა. აღნიშნულ დებულებათა მრავალგზის გამეორება საჭიროდ მივიჩნიეთ იმდენად, რამდენადაც, ეს ვერ გაიცნობიერა არა მარტო ფართო მკითხველმა საზოგადოებამ, არამედ ვერ გაიგო ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობის ისტორიის ზოგმა მკვლევარმა. არა და, ჩემი ღრმა რწმენით, კონკრეტულ ისტორიის წყაროებზე დაფუძნებულ ჩემს ამ მეცნიერულ-ანალიტიკურ კვლევის შედეგებს პრინციპული მნიშვნელობა

აქვს საერთოდ ქართული ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობის გაგებისათვის.

არ გამოვრიცხავთ, რომ ჩვენი მეცნიერული გარჯის შემდეგაც საქართველოს უახლესი ისტორიის პოლიტიკური ცხოვრების საკითხებზე ჩვენი ცალკეული ნააზრევი ზოგის მიერ კვლავაც სადავო გახდება. დავის გარეშე იხსნება წინააღმდეგობა და, მაშასადამე, ჩვენი უახლესი ისტორიის ისტორიოგრაფიის დაჩქარებული განვითარების შესაძლებლობაც. მაგრამ ჩვენ ღრმად გვწამს, რომ კვალიფიციური მკითხველი ღრმად ჩაწვდება წინამდებარე წიგნში კიდევ უფრო ნათლად ასახულ ჩვენს იმ მეცნიერულ მიგნებებს, რომლებსაც ცალკეულმა სპეციალისტებმა ჯერ კიდევ ადრე მისცეს მაღალი შეფასება, კიდევ უფრო გამოწვლილვით შეიმეცნებს მას და დარწმუნდება, რომ ადრე აღძრული პრობლემები წინამდებარე წიგნში კიდევ უფრო საგნობრივად გაშუქდა. ჩვენი აზრით, წინამდებარე წიგნში წარმოჩენილი ცოდნის გაცნობიერებით შესაძლებლობა გვეძლევა სწორად გავიაზროთ 20-30-იანი წლების ანტისაბჭოთა ქართული ეროვნული მოძრაობა და ერთხელ და სამუდამოდ მოვინანიოთ შეცდომებითა და სხვა მიზეზებით, მიხეილ ჯავახიშვილისა და კალე მისაბიშვილის თავიანთი თანამოაზრე-თანამებრძოლების და სამშობლოს მოღალატეებად თუ ჩეკას ჯაშუშებად გამოცხადებით, ჩადენილი ცოდვა.

კიდევ ერთი ახლად წარმოჩენილი გაუგებრობის გამო

წინამდებარე წიგნის მკითხველი უთუოდ დარწმუნდება, რომ თემის გარშემო მრავალი პუბლიკაციის, მათ შორის დოკუმენტების კრებულების და რამდენიმე საკვალიფიკაციო (საკანდიდატო და სადოქტორო) დისერტაციის არსებობის მიუხედავად, ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობის პირველი (1921-1924 წწ.) პერიოდის, კერძოდ მისი პირველი ეტაპის (1921-1923 წწ.) ისტორია წინამდებარე წიგნის გამოქვეყნებამდე მაინც ჯეროვნად შეუსწავლელი ანდა მცდარად გაშუქებული იყო. მკითხველი ალბათ იმაშიც დარწმუნდებოდა, რომ აღნიშნული სირთულეებიდან მომდინარეობდა ამ პერიოდის მებრძოლთა მოგონებებში და ისტორიის მკვლევარ-ავტორთა ნაშრომებში უამრავი უზუსტობა, გაუგებრობა, შეცდომა და ისტორიის ნიუანსების ახსნის მრავალფეროვნება.

ახლახანს დამატებით გაცხადდა: ზემოთ აღნიშნული ხარვეზები იმდენად რთული შესამეცნებელი და დასაძლევი ყოფილა, რომ ისინი, როგორც მოსალოდნელი იყო, თურმე კვლავაც ინარჩუნებენ ინერციის ძალას, ქმნიან თემის ძირეული, პრობლემური საკითხების გაუგებრობას და, ამდენად, წინამდებარე წიგნის გამოქვეყნების გარეშე, უთუოდ, კიდევ დიდი ხნის მანძილზე დამუხრუჭდებოდა არა მარტო თემასთან დაკავშირებული ურთიერთგამომრიცხავი წყაროების, არამედ, საერთოდ, ქართული ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობის მართებული გაშუქება.

ამის საილუსტრაციო, სანიმუშო მაგალითია ამასწინათ (3.V.2002) ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტთან არსებულ სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე დაცული ედიშერ ნარიმანიძის საკანდიდატო დისერტაცია: „ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა აღმოსავლეთ საქართველოში 1921-1924 წლებში“.

მიზანშეწონილად გვესახება დისერტაციის მხოლოდ ზოგი იმ განსაკუთრებით თვალში საცემი მცდარი მაგალითების (კონკრეტული უზუსტობების, შეცდომების და რიგი აუცილებლად წარმოსაჩენი მდგომარეობის იგნორირების შემთხვევების) აღნიშვნა, რომლებიც

გაუთვალისწინებელი დარჩა არა მარტო დისერტანტს, არამედ შესაბამის, ანუ მისი საკვალიფიკაციო ნაშრომით კმაყოფილ სამეცნიერო საზოგადოებას.

პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია ის, რომ დისერტანტს ანტისაბჭოთა ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორია ესმის როგორც საქართველოში მოღვაწე, ისე ემიგრანტი ავტორების მსგავსად, ანუ როგორც მხოლოდ არალეგალურ-ექსტრემისტული მიმდინარეობის ბრძოლის ისტორია. მისთვის, ისევე როგორც მისი წინამორბედი მკვლევრებისათვის, გაუგებარი დარჩა, რომ ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობა, მათ შორის 1921-1924 წლებში, კერძოდ, აღმოსავლეთ საქართველოში, მოიცავდა სამ ძირითად მიმდინარეობას:

I. ლეგალურ-ლიბერალურს, ანუ კომპრომისულს ხელისუფლების მიმართ (ეს არის ილიას ხაზის ტრადიციული გაგრძელება);

II. არალეგალურ-რადიკალურს, ანუ ცენტრისტულს და

III. არალეგალურ-ექსტრემისტულს, რომელსაც ხშირ შემთხვევაში ახასიათებდა ლიდერების ავანტიურიზმი.

ეს დიფერენციაცია შეუცნობელი დარჩა არა მარტო დისერტანტის, არამედ საერთოდ სპეციალისტებისათვის. სათანადო წყაროები კი გვიჩვენებენ, რომ საბჭოთა სახელმწიფო და უშიშროების ორგანოები თავიანთ პრაქტიკულ მუშაობაში ითვალისწინებდნენ ზემოთ ჩვენს მიერ აღნიშნული ყველა მიმდინარეობის არსებობას, მათ აფიქსირებდნენ სათანადო დოკუმენტებში და თითოეული ამ მიმდინარეობის წინააღმდეგ აწარმოებდნენ დაუნდობელ, მაგრამ დიფერენცირებული ხასიათის ბრძოლას.

დისერტანტისათვის შეუცნობელი დარჩა ის, რომ ეროვნული მოძრაობა გულისხმობდა არა მარტო უშუალოდ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლას, არამედ, აგრეთვე, ტაქტიკურ მოქმედებას, ანუ ისტორიის კონკრეტულ ეტაპზე ბრძოლას აღნიშნული სტრატეგიულ-პერსპექტიული იდეის ცხოველმყოფელობის შენარჩუნებისათვის. მაშასადამე, დისერტანტისათვის გაუგებარი დარჩა ის, რომ ანტისაბჭოთა ქართული ეროვნული მოძრაობა გულისხმობდა ლეგალური, ლიბერალურ-კომპრომისული მიმდინარეობის წარმომადგენელთა ბრძოლას, რომელიც მიზნად ისახავდა ქართველ ხალხში ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთების შენარჩუნებას, ამ მიზნით უპირატესად პროფესიულ-სამსახურებრივი

და საზოგადოებრივი საქმიანობით ბრძოლას. მისთვის შეუცნობელი დარჩა ისიც, რომ საბჭოთა სახელმწიფოებრივი რეჟიმის გარკვეულ პერიოდებში ამ ლიბერალურ-კომპრომისული მიმდინარეობის წარმომადგენელთა საქმიანობა ხელისუფლებისათვის იმდენად მოუთმენელი ხდებოდა, რომ იგი ფალსიფიცირდებოდა და საღდებოდა როგორც შოვინიზმი, კონტრრევოლუციური მოძრაობა და ფაშიზმი. ამ მოტივით ცალკეული ლიბერალების მიმართაც ტარდებოდა სახელმწიფოებრივი ჩეკისტური რეპრესიები და ტერორი.

აღნიშნული დისერტაცია ცხადყოფს, რომ მისი ავტორი ვერ არჩევს წინამორბედი მკვლევრების შეცდომებსა და ისტორიოგრაფიულად ღირებულ მონაპოვარს, ამიტომ ვერ ასხვავებს ისტორიის წყაროებში ასახულ სიმართლეს და სიცრუეს. დისერტანტი წყაროებში ასახულ და ნაშრომში მოხმობილ ფაქტებს ეჭვგარეშე იჯერებს, ერთმანეთზე აბამს და ამბის გადმოსაცემად კომენტარის გარეშე ისე იყენებს, რომ მათში ალტერნატიულსა და ზოგჯერ კურიოზულსაც კი ვერ ამჩნევს. იგი, ამასთანავე, ვერ ერკვევა თემის შემადგენელი მთელი რიგი საკითხების პრობლემურობაში, ამიტომ გვერდს უვლის საკვალიფიკაციო თემის ქრონოლოგიური პერიოდის საზოგადოებრივად მტკივნეულ და შეუსწავლელ საკითხებს.

აღნიშნული დისერტაციისათვის დამახასიათებელი უზუსტობების, გაუგებრობებისა და შეცდომების საფუძველია ისიც, რომ ავტორი გულუბრყვილო ნდობით იყენებს თემასთან დაკავშირებულ, მხოლოდ მისთვის ცნობილ წყაროებს, პუბლიკაციებს, რომლებიც ხშირ შემთხვევაში მცდარ და შეზღუდული მოცულობის ინფორმაციას შეიცავენ. ასე მაგალითად:

I. დისერტანტი იჯერებს ექსტრემისტი ეროვნულ-დემოკრატების დავით ვაჩნაძის, ალექსანდრე სულხანიშვილის, მიხეილ ლაშქარაშვილის, და სხვ. მოგონებებში ჩამოყალიბებულ უმართებულო აზრებს, რომ, თითქოს, 1922 წელს მართლა არსებობდა „რ. მუსხელიშვილის გეგმა", რომელიც შესაძლებელს ხდიდა ხევსურეთის აჯანყების გზით მთელი კავკასიის განთავისუფლებას. მას ეს არარსებული „გეგმა" არა მარტო რეალისტურად ესახება, არამედ მიაჩნია, რომ მას მხარს უჭერდნენ კ. აფხაზი, ალ. ანდრონიკაშვილი, საქართველოს „დამოუკიდებლობის კომიტეტი" და „სამხედრო ცენტრი" (იხ. გვ. 120–121 და სხვ.).

II. დისერტანტს სჯერა, რომ „რ. მუსხელიშვილის" არარსებული საქართველოს და კავკასიის საბჭოთა რუსეთის შემადგენლობიდან გა-

მოგლეჯვის ფანტასტიკური „გეგმა“ წარმატებით ვითარდებოდა, მაგრამ მხოლოდ იმიტომ ვერ განხორციელდა, რომ მას „ბარმა უღალატა – პარტიების შეუთანხმებლობის გამო, რ. მუსხელიშვილის მიერ ფშავ-ხევსურეთის ღრეებში „შეკუჭნულ“ კავკასიის საექსპედიციო ჯარებს, წინასწარ გათვალისწინებული „რ. მუსხელიშვილისეული გეგმით“ ზურგში არ დაარტყა (იხ. გვ. 134, 138).

III. დისერტანტის მცდარი აზრით, „რ. მუსხელიშვილის გეგმას“ თავიდან მხარს უჭერდნენ „დამკომი“ და „სამხედრო ცენტრიც“, მაგრამ შემდეგ მას ორივე განუდგა (იხ. გვ. 123, 133, 135). დისერტანტი იმეორებს სხვის მცდარ აზრს, რომლის მიხედვით **„ხევსურეთის 1922 წლის სექტემბრის აჯანყების ბედი არსებითად გადაწყვიტა** მენშევიკთა და ეროვნულ-დემოკრატთა შორის **შუღლმა და ურთიერთუნდობლობამ, ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ,** მენშევიკთა და ეროვნულ-დემოკრატთა ცენტრალური კომიტეტის წევრებს შორის 1922 წელს გამოსვლის საკითხზე ორი ჯგუფის არსებობამ, **ასევე აჯანყებისადმი „პარიტეტული კომიტეტის“ პოზიციამ“** (იხ. გვ. 133, ხაზგასმა ჩვენია – გ.ც.). და თუ არა ეს მიზეზები, ხევსურეთის აჯანყება მიზანს მიაღწევდა. თურმე ხევსურეთის ბედი გადაწყვიტა მხოლოდ „სუბიექტურმა ფაქტორმა“ (იხ. გვ. 18, 133).

IV. დისერტანტმა დაიჯერა დ. ვაჩნაძის მცდარი მონაცემები, რომელთა მიხედვით „რ. მუსხელიშვილმა რუსის ჯარი მთლიანად, 6000 ჯარისკაცი იარაღით სტრატეგიული მოსაზრებით შეაგზავნა არაგვის ხეობაში“ და „თავის თოფ-ზარბაზნებით მიაყარა თიანეთის მთის ღელეებს და იქ შეკუჭნა“ (იხ. გვ. 125).

V. დისერტანტი დარწმუნებულია „მოგონებებში“ მოცემული იმ მცდარი ციფრის სიმართლეში, რომელთა მიხედვით: „30 აგვისტოს გვერდწითელის რაზმში ითვლებოდა 100 მეომარი, ჩოლოყაშვილს ჰყავდა 160 კაცი სულ ცხენოსანი, ხოლო ანანურთან ჰყავდა 200 კაციანი რაზმი“ (იხ. გვ 124, 128), „ლაშქარაშვილს სექტემბრის პირველ ნახევარში დუშეთის ტინის ტყეში რუსებზე საიერიშოდ გაერთიანებისათვის ელოდებოდნენ ფავლენიშვილი და ხიმშიაშვილი 400 კაცისაგან შემდგარი რაზმით“ (იხ. გვ. 130). ხოლო 14 სექტემბერს, დისერტანტის მცდარი აზრით, „ქაქუცას რაზმი ითვლიდა 300 კაცამდე. 15 სექტემბერს ქაქუცა ალავერდობაზე მივიდა.“ (იხ. გვ. 140). ე.ი. 14 სექტემბერი ის დრო ყოფილა, როცა ქაქუცა ხევსურეთიდან თიანეთისკენ გადავიდა. ჩვენ კი ვიცით, რომ ამ დროს მას სამი კაცი

ახლდა. დისერტანტი ვერ ამჩნევს, რომ ეს გაზვიადებები მომდინარეობს ავტორთა, ძირითადად ყოფილი ექსტრემისტი ემიგრანტების მოგონებებიდან, მათი არამეცნიერული, სუბიექტივისტური კონცეფციიდან და სხვა ასეთივე წარმოშობის საარქივო წყაროებიდან.

VI. დისერტანტს სჯერა მცდარი ფაქტები, რომელთა მიხედვით 1922 წლის „სექტემბრის დამდეგს (?! – გ.ც.) პარიტეტული კომიტეტის თავმჯდომარემ... მოიწვია „პარიტეტული კომიტეტის“ პრეზიდიუმის სხდომა, სამხედრო ცენტრთან ერთად“, რომელსაც, თითქოს, რ. მუსხელიშვილიც (?! – გ.ც.) ესწრებოდა (იხ. გვ. 135). ჩვენ კი ვნახეთ, რომ ეს სხდომა ჩატარდა სექტემბრის ბოლოს და მას რ. მუსხელიშვილი არ დასწრებია, რადგან ექსპედიციაში იმყოფებოდა.

VII. დისერტანტი ცდილობს, უსაბუთოდ დაგვარწმუნოს, რომ, თითქოს, „სამხედრო ცენტრის“ წევრებს ჩეკისტები „თავზე მუხრუჭებს უჭერდნენ“; „ოფიციალურად მათ „ჩეკამ“ ვერაფერი ბრალდება ვერ დაუმტკიცა. ისინი წამების მიუხედავად ვერ გატეხა...“(იხ. გვ. 148). ეს კი სათანადო უტყუარი წყაროებით არ საბუთდება.

VIII. დისერტანტი იმეორებს ს. ზალდასტანიშვილის და სხვათა მცდარ აზრებს, რომელთა მიხედვით: 1) „სამხედრო ცენტრი“ შედგა შემადგენლობით: თავმჯდომარე – გენერალი კ. აფხაზი“ (იხ. გვ. 114); 2) „ეროვნულ დემოკრატიული პარტიის სტუდენტთა კომიტეტის წევრმა კალისტრატე მისაბიშვილმა გასცა „სამხედრო ცენტრის“ მთელი შემადგენლობა...“ (იხ. გვ. 145). ეს იმას ნიშნავს, რომ მას არც ერთი ჩვენი ადრინდელი პუბლიკაცია არ წაუკითხია.

IX. დისერტანტი ცდილობს, დაგვარწმუნოს ავტორთა მიერ იმ შეცდომით ჩაწერილ ამბავში, რომლის მიხედვით „მიხა ხელაშვილმა კლდის საფარიდან ამოიღო მიზანში და ერთი გასროლით რიყეზე გააგორა“ თიანეთიდან მაღაროსკარში ქაქუცას და მის რაზმელთა შესაპყრობად გადმოსული „რევკომის“ (?! – გ.ც.) თავმჯდომარე – სერგო სურგულაძე“ (იხ. გვ. 128), რომელმაც, სხვათა (ნ. ხუციშვილი) და ჩვენი მონაცემებით, სინამდვილეში მაღაროსკარის ბრძოლის შემდეგ კიდევ ერთი წელი იცოცხლა და არაერთი უბედურობა ჩაიდინა.

X. დისერტანტი სრული ნდობით ეპყრობა გაზეთ „კომუნისტში“ (№15, 23.05.1923 წ.) გამოქვეყნებულ დეზინფორმაციას, რომლის მიხედვით „ჩოლოყაშვილს გაუგზავნეს კაცი, რათა ეცნობებინათ მისთვის მენშევიკთა ცკ-ის გადაწყვეტილება, რომ არ დაეწყო თიანეთის მაზრაში აჯანყება, რომელიც მაშინ მზადდებოდა. ჩოლოყაშვილმა

უპასუხა, რომ ის დაემორჩილებოდა იმ შემთხვევაში, თუ, პირველი, მასზე არ იქნებოდა სამხედრო ზეწოლა და, მეორე, თუ ის იქნებოდა დანიშნული კახეთის ყველა აჯანყებული ძალის სარდლად. ცკ-მა დანიშნა ჩოლოყაშვილი კახეთის აჯანყებული ძალების სარდლად და გაუგზავნა მას 10 მილიონი ფული" (იხ. დისერტაცია, გვ. 140). აქედან ისე გამოდის, რომ თითქოს ქ. ჩოლოყაშვილის ქმედებაში გარკვეულ როლს ასრულებდა ამბიციები და ფული. სინამდვილეში კი ამ დროს კახეთის აჯანყება გამორიცხული იყო.

XI. დისერტანტი 1921-1924 წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიას გააშუქებს მხოლოდ მისთვის ხელმისაწვდომი, შეზღუდული მოცულობის წყაროზე დაყრდნობით. იგი არ იცნობს და, ამდენად, არ იყენებს საარქივო მასალებს, დოკუმენტურ და ანალიტიკურ პუბლიკაციებს, რომელთა გამოყენება-გათვალისწინების გარეშე შეუძლებელი იყო შერჩეული თემის სიღრმისეული, მეცნიერული შესწავლა-გაშუქება, რომლის პრეტენზია აუცილებლად უნდა ჰქონოდა საკანდიდატო დისერტაციას. თუ ქრონოლოგიური თანამიმდევრობით ჩამოვთვლით, ასეთი, მხოლოდ სავალდებულო პუბლიკაციების ნუსხა მინიმუმ ასეთია:

1. „საქმე საქართველოს ანტისაბჭოთა პარტიების პარიტეტული კომიტეტის შესახებ (საბრალმდებლო დასკვნა), იუსტიციის სახალხო კომისარიატის გამოცემა. ტბილისი, 1925. ეს კრებული ქართულ ენაზე 40 000, ხოლო რუსულ ენაზე 20 000 ეგზამპლიარის რაოდენობით გამოქვეყნდა.

2. **გ. ციციშვილი**, სისხლიანი სტრიქონები, გაზ. „ახალგაზრდა ივერიელი", 1991, სექტემბერი. გაზეთის ცალკე დანართად, აგრეთვე იხ. გაზ. „სიმართლე", 1991 №1, 2, 3 და გაზ. „ეროვნული მილიცია", 1992, №1, 2; **მისივე**, პოლიტიკური რეპრესიები საბჭოთა საქართველოში (1921-1938 წწ.), ბაქოს 1996 წლის 6-7 ნოემბრის საერთაშორისო კონფერენციის თეზისები: „საბჭოთა ტოტალიტარიზმი კავკასიაში (20-30-იანი წლები. ბაქო, 1996, რუსულ ენაზე, გვ. 129-132); **მისივე**, ეროვნული მოძრაობა და 1924 წლის აჯანყება. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 1999, 27-28 და 31 აგვისტო; **მისივე**, რისთვის დახვრიტეს ვაჟა-ფშაველას პირმშო ლევან რაზიკაშვილი. ჩეკისტური სამძებრო საქმე №2315, თბ., 2001.

3. **ა. მენთეშაშვილი**, სამი წერილი ოციანი წლების საქართველოს ისტორიიდან, გაზ. „კომუნისტი", 1989, 17 აგვისტო; **მისივე**, საქა-

რთველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დიპლომატიური ღონისძიებანი ქვეყნის დამოუკიდებლობის აღსადგენად. იხ. კრებული: „ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევი, ნ. II, რ. მეტრეველის რედაქტორობით, თბ., 1998. ავტორს ამ ნაშრომისათვის პუბლიკაციის სხვა თანაავტორებთან და რედაქტორთან ერთად დამსახურებულად მიენიჭა ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო რესპუბლიკური პრემია.

4. ა. სონღულაშვილი, 1924 წლის აგვისტო საქართველოში, იხ. კრებულში „დიდგორი", 1991.

5. გ. ჩხაიძე, ავჯანყება, რომელიც თავიდანვე განწირული იყო, გაზ. „ქომაგი", 1991, №96.

6. მ. მაცაბერიძე, 1924 წლის ავჯანყება და ქართული პოლიტიკური აზრი, ჟურნ. „პოლიტიკა", 1991, №8.

7. ნ. ხუციშვილი, მძიმე ტრაგიკული დღეები, 1924 წლის ავჯანყება, იხ. „საისტორიო მოამბე", 1996.

8. ო. ჯანელიძე, დახმარება რომ გვქონოდა, გავიმარჯვებდით (1924 წლის ავჯანყება და ქართული პოლიტიკური ემიგრაცია). ჟურნ. „მნათობი", 1997. №11-12.

9. გ. ცხოვრებაძე, ქართული პოლიტიკური ემიგრაცია და საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი 1921-1925 წლებში, თბ., 1996 (ეს საყურადღებო წიგნი მხოლოდ სარჩევში აქვს მითითებული).

10. ნ. კირთაძე, 1924 წლის ავჯანყება საქართველოში, ქუთაისი, 1996.

11. რ. კვერენჩხილაძე, წამების გზა. დახვრეტა, გადასახლება, დევნა. წიგნი I, თბ., 1999.

12. მ. შელია, მემუარები. გამოაქვეყნა დ. გელაშვილმა. იხ. „დილის გაზეთი", 1999, ივლისი – 9, 10, 12, 19, 20, 21; აგვისტო – 24, 25, 30.

13. და სხვა.

XII. ძირითადად სწორედ ზემოთ აღნიშნული პუბლიკაციების გამოუყენებლობის და გაუთვალისწინებლობის გამო ვერ გაარკვია დისერტაციის ავტორმა 1921-1924 წლების ეროვნული მოძრაობის კარდინალური საკითხები, წარმოაჩინა ამ პერიოდის უმთავრესად არალეგალურ-ექსტრემისტული ბრძოლის ისედაც კარგად ცნობილი, ჰეროიკული ამბები. მან სიმართლედ გამოაცხადა ეროვნულ-დემოკრატი ექსტრემისტების „მოგონებებში" ასახული მიზნობრივად მცდარი, ზოგჯერ კი კურიოზული მაგალითებიც.

XIII. დისერტანტი გვერდს უვლის საზოგადოებრივად მტკივნეული ისეთი პრობლემების გარკვევას, როგორიც არის:

ა) არალეგალური პარტიების ე.წ. „თვითლიკვიდაციის" პროცესი;

ბ) ექსტრემისტული ხელმძღვანელობის (კერძოდ, 1924 წლის აჯანყების) უარყოფითი შედეგები და რეალისტურად მოაზროვნე პოლიტიკოსების შეფასებები;

გ) დიდი ქართველი მწერლის და თვალსაჩინო პოლიტიკოსის მიხეილ ჯავახიშვილის 1921-1923 წლების ანტისაბჭოთა პოლიტიკური მოღვაწეობა;

დ) ინტერპარტიული „პარიტეტული კომიტეტის" და „სამხედრო ცენტრის" ხელმძღვანელობა და მათი ტაქტიკა;

ე) კალისტრატე მისაბიშვილის პოლიტიკური და ტაქტიკური პოზიცია.

დარწმუნებული ვართ, რომ კომპეტენტური მკითხველი უთუოდ გაგვიგებს: ჩვენი მიზანი ის კი არ არის, რომ ფორმალურად წარმოაჩინოს სადისერტაციო ნაშრომის უმთავრესი ხარვეზები, არამედ ის, რომ:

ინერციის ძალა არ მიენიჭოს პრობლემასთან დაკავშირებულ მცდარ კონცეფციას და ფაქტებს, რომლებიც აღნიშნული დისერტაციის ავტორს მეცნიერებაში კრიტიკული დამოკიდებულების გარეშე შემოაქვს; საქართველოს უახლესი ისტორიის და, კერძოდ, საქართველოს ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობის ისტორიის მომავალ მკვლევრებს, აგრეთვე მათ მესვეურებს კონკრეტული მაგალითების შუქზე დაანახოს საქართველოს უახლესი ისტორიის ისტორიოგრაფია, აღნიშნული პერიოდის ისტორიოგრაფიის მსგავსად, შეიცავს უამრავ „თეთრ ლაქას" და მათი დაძლევა მოითხოვს მეტ ყურადღებას.

სარჩევი

წინათქმა 3

კარი I. კვლევის აქტუალობა, მიზნები და ამოცანები

თავი I
ლიტერატურისა და წყაროების შესახებ 9

თავი II
„რადგან თავია სიცრუე ყოველისა უბადობისა...“ 77

თავი III
ვინ იყო კალე მისაბიშვილი? 99

კარი II. 1921-1923 წლების ეროვნული მოძრაობა და მიხეილ ჯავახიშვილი

თავი IV
ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობის საწყისი ეტაპის თავისებურება 124

თავი V
არალეგალური პარტიების ლიდერების გარიგება და შეუთავსებლობა 166

თავი VI
რადიკალების დამოკიდებულება ამბოხებითი რაზმებისა და ანტისაბჭოთა აჯანყების მიმართ 189

თავი VII
ემისარი ნ. ხომერიკი და ეროვნული მოძრაობის ექსტრემისტულ-ავანტიურისტული ხელმძღვანელობის გაძლიერების უშედეგო ცდები 229

თავი VIII

...და მაინც, ვინ გასცა „სამხედრო ცენტრი?“ 251

თავი IX

„საკანგაშო დრო“ – „სადაც არა სჯობს
გაცლა სჯობს...“ 288

თავი X

ანტისაბჭოთა პარტიების ყოფილი წევრები
და მიხეილ ჯაკახიშვილი ლეგალურ ეროვნულ
მოძრაობაში ლიბერალურ-კომპრომისული
ტაქტიკით მებრძოლთა შორის 329

ბოლოთქმა 360

დოკუმენტები და მათი კომენტარები 391

აუცილებელი განმარტებები სოფიო
ჩიჯავაძე-კედიას „ნასმენ-ნახულის“
გამოქვეყნებასთან დაკავშირებით 436

კიდევ ერთი ახლად წარმოჩენილი გაუგებრობის გამო 459

გამომცემლობის რედაქტორი ც. ჯიშკარიანი
ტექნიკური რედაქტორი თ. ფირცხელანი
კორექტორი ნ. ვაშაკიძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 17.02.03 საბეჭდი ქაღალდი 60×90
პირ. ნაბეჭდი თაბახი 30,71 სააღრ.-საგამომც. თაბახი 23,48
შეკვეთა №57 ტირაჟი 300

ფასი სახელშეკრულებო

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,
380028, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ., 14

დაიბეჭდა შ.პ.ს. „ენა და კულტურას“ სტამბაში
თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ., 45